

ქეთევან მარგიანი, თამილა ზვიადაძე,
მარინა კაკაჩია, მარინა ჯღარკავა

აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველება
(ტექსტები, გამოკვლევები)

აფხაზეთური ქართული

თბილისი
2025

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან მარგიანი, თამილა ზვიადაძე,

მარინე კაკაჩია, მარინა ჯღარკავა

აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველება

(ტექსტები, გამოკვლევები)

აფხაზეთური

ქართული



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი

2025

აფხაზეთის ქართველთა მეტყველება, გამორჩეული თავისი მოზაიკურობით, გვევლინება სავსებით უნიკალურ მოვლენად ქართველურ ენობრივ სამყაროში და საყურადღებო ფაქტებს წარმოაჩენს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

კრებული „აფხაზეთური ქართული“ შედგება ორი ნაწილისგან: I – ტექსტები, II – გამოკვლევები. დევნილთა სხვადასხვა თაობის მეტყველების ნიმუშები ჩაწერილია როგორც დედაქალაქში, ასევე საქართველოს მხარეებში, საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ჩატარებული კვლევებით კი არის მცდელობა აფხაზეთის ქართველთა მეტყველების ლინგვოკულტუროლოგიური სურათის წარმოჩენისა.

წიგნში საჭირო მასალებს ნახავს დიალექტოლოგიით, აფხაზეთის თემატიკით, ზოგადად, ქართველოლოგიით დაინტერესებული მკვლევარი: ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, სოციოლინგვისტი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი:

პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე

პროფესორი მერაბ ნაჭყებია

პროფესორი კახა კვაშილავა

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

პროფესორი მარინე ბერიძე

დოქტორი რუსუდან იოსელიანი

პროფესორი ბექან ხორავა

© ქ. მარგიანი, თ. ზვიადაძე, მ. კაკაჩია, მ. ჯღარკავა

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2025

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-521-76-8



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION
OF GEORGIA

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი # OTG-I-23-229). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant # OTG-I-23-229). All ideas expressed herewith are those of the authors, and may not represent the opinion of the foundation itself.
www.rustaveli.org.ge

ნაწილი I

ტექსტები

სიზმრებად ქცეული მწვანე ქალაქი

ხშირად მალვძიმებს სიმწვანე.

რომელიმე მწვანე საგანი კი არა, ერთიანი, დაუნაწევრებელი, ჯერ კიდევ გაუხელებელ ქუთუთოებზე სასიამოვნოდ დაწოლილი, განუყოფელი სიმწვანე.

იმ შორეულ წარსულში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, ჩემი სახლის წინ იდგა იმ არემარეზე ერთადერთი, ეული ნაძვი, რომლის კენწერო საძინებლის ფანჯარას სწვდებოდა. ფანჯრიდან თვალი პირველად სწორედ ამ ნაძვს ხედავდა და მისი მუქი, ჩამჯდარი, ჩაყურსული სიმწვანე ისე შეეთვისა ჩემს არსებას, ისე დაილექა და აღიბეჭდა ქვეცნობიერზე, რომ ახლაც, ამდენი წლის შემდეგ დილაობით ხშირად მალვძიმებს სიმწვანე...

და არ ვიცი, სად ვარ. უფრო სწორად, თითქოს სული სხვაგანაა და სხეული – სხვაგან.

მიმიხვდებით, ხეს კი არ მივტირი (რომელიც, სხვათა შორის, ფესვებით სამუდამოდაა მიჯაჭვული მშობლიურ გარემოს), არამედ – დაკარგულ, წართმეულ ბავშვობას, ახლგაზრდობას, ცნობიერებას, ბოლოს და ბოლოს, სიყვარულს, რომელიც იმ ნათელი ქალაქის ქუჩებში დამრჩა.

კონსტანტინე გამსახურდია უცხოეთიდან თავის პირველ მეუღლეს, რებეკა ვაშაძეს სწერდა და სთხოვდა, ქუთაისში ყველა ის ადგილი მოენახულებინა, სადაც ერთად ესეირნათ. ის ქუჩები, ის მიდამოები თითქოს ცოცხლად ინახავდა მათ სიყვარულს. ამიტომაც არ ავიწყდებოდა და წერილში უკლებლივ ჩამოთვლიდა ყველაფერს.

თითქოს მატერიალურს რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ადამიანის სულისთვის?! მაგრამ მას შემდეგ, რაც ტკბილ-მწარე მოგონებად მექცა, ცხადად ვხედავ და აღვიქვამ, ქალაქიც ცოცხალი ორგანიზმი ყოფილა, ზღვაც, სანაპიროც, პროსპექტიც და შუკაც, კაფე, სახლი, სკოლა, ნებისმიერი შენობა – ყველაფერს სული აქვს, ყველაფერი სუნთქავს, ლაპარაკობს, განიცდის, ფიქრობს, ტირის ან იცინის.

სოხუმს თავისი ხმა ჰქონდა და თავისი სურნელი (ალბათ, ისევე, როგორც ყველა ქალაქსა თუ სოფელს). ათასობით ჩემნაირმა ადამიანმა დაკარგა თავისი ზღვა და ზღვაზე გაწოლილი მზის სხივი, სახურავზე მოცეკვავე წვიმის ხმა და ერთმანეთში არეული ყავისა და ოლეანდრის სუნი.

ერთმა უცხოელმა მწერალმა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ

იმოგზაურა აფხაზეთში, სოხუმი შეადარა მზეთუნახავს, რომელიც თვითონ მხოლოდ სიბერეში ნახა.

ვერცერთი სიტყვა, ვერცერთი შედარება თუ მეტაფორა, ვერაფერი ვერ გადმოსცემს სრულად სამშობლოდაკარგული კაცის განცდებს.

ვცდილობ, კადრებად, ფრაგმენტებად, სურათებად დავალაგო, სიტყვიერ ყალიბში მოვაქციო და ისე აღვბეჭდო გულისთვის მარად განუყოფელი განცდები.

სურათი I

-ახრა! აბზა! ადა! – ყურში ჩამესმის მეზობელი აფხაზის, ნელი დეიდას, ხმა. ფანჯრიდან თითქმის ყოველ საღამოს ეძახდა შვილებს და თავისებურ მელოდიად ეფინებოდა მთელ ეზოს: ახრა! აბზა! გოგონას სახელი უფრო იშვიათად ისმოდა. ნელი დეიდას, სათნო და კეთილშობილი ქალბატონის, მეუღლე, ბორის გურგულია, სოხუმის უნივერსიტეტის ლექტორი გახლდათ. ქართული შესანიშნავად იცოდა. აფხაზური ფოლკლორის ისტორიას მიკითხავდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე (რა თქმა, უნდა, ქართულად).

უფროსი ვაჟი, ახრა, ტრაგიკული შემთხვევის შედეგად, ფაქტობრივად, დაბრმავდა. სკოლას ამთავრებდა, როცა ხელში რაღაც აუფეთქდა... ცალი თვალით ვედარაფერს ხედავდა და მეორით – მხოლოდ სილუეტებს.

ვხედავ: ბიჭები ეზოში შეკრებილან. საუბრობენ, იცინიან. რადგან მე სტუდენტი ვარ და ისინი ჩემზე უმცროსები არიან, მხოლოდ შორიდან ვესალმები, მეტი საერთო არა მაქვს მათთან. უცებ მაღალი და ლამაზი ახალგაზრდა ყველას აჩუმებს, წრიდან ერთი ნაბიჯით გამოდის, თავის დაკვრით, ხაზგასმული პატივისცემით მესალმება, მერე ისევ თავის ადგილს უბრუნდება და კვლავ განაგრძობენ საუბარს, ხუმრობას, სიცილს... ეს აბზაა, ახრას უმცროსი ძმა. რა თქმა უნდა, ვხვდები, ამ გულითადი სალმით ძმის მაგივრად იბოდიშებს – უფროსი ვერ მხედავს, სამაგიეროდ უმცროსი ენაცვლება. და ეს ხდება ისე კორექტულად, რომ არც ძმამ იუხერხულოს, არც მე დავრჩე, ასე ვთქვათ, „ნაწყენი“... ახრას ნაკლს აბზა ავსებს არამარტო ერთ შემთხვევაში. საერთოდაც, თავისი სინათლით ახრას მხედველობის მაგივრობას უწევს და მეზობლების დიდ სიყვარულს იმკის. ეს ტაქტი, ზრდილობა, მოვალეობის შეგრძნება თანდაყოლილია, ბუნებრივი, ოჯახიშვილური. ეს თვისებები ერთმანეთისგან არ განარჩევს ქართველს, აფხაზს, სხვა ეროვნებებს...

სამწუხაროდ, უცხო ძალის მიერ წაქეზებულ ძმათამცვლელ ომს აბზა მალევე შეეწირა. ქართველმა მეზობლებმა, მათ შორის, დედაჩემ-მაც ისეთივე ცხარე ცრემლით დაიტირა, როგორითაც ქართველ მე-ზობლებსა თუ ნამოწაფარებს დასტიროდა. არც უბედურება განასხვა-ვებს ერთმანეთისგან ქართველს, აფხაზს, სხვა ეროვნებებს...

ომის შემდეგ სოხუმში დარჩენილ ჩემს მშობლებს ახრა, როგორც შეეძლო, იცავდა. უთქვამს, თუ ღამით ვინმე კარზე მოგადგეთ, მაშინვე აივნიდან დამიძახეთო. მე აივანზე მძინავს, აუცილებლად გავიგონებ და მაშინვე თქვენთან გავჩნდები, უჩემოდ კარი არავის გაუღოთო. მე-გობრობა, სიყვარული, პატივისცემა ისეთი ღირებულებებია, რომლე-ბიც არა და არ განასხვავებს ქართველს, აფხაზსა თუ სხვა ეროვნებებს.

სურათი II

ფიქრებმა უფრო შორს, ბავშვობაში გადამისროლა.

მე და ჩემი ძმა პატარები ვართ. მეზობლად დიდად პატივცემუ-ლი ხანში შესული მამაკაცი ცხოვრობს. ახლა რომ ვფიქრობ, არცთუ ხანდაზმული, მაგრამ მაშინ ბავშვებს მოხუცადაც კი გვეჩვენებოდა ეს მომცრო ტანის კაცი. მის ისედაც მკაცრ იერს კიდევ უფრო განამტკი-ცებდა ჩაცმულობა – ყველა ღილით შეკრული შავი პალტო, თავზე ცი-ლინდრი, განუყრელი ხელჯოხი და ქარვის კრიალოსანი.

ალბათ, 8-9 წლის ბავშვები ვართ, ეზოში ვთამაშობთ – დავრბი-ვართ, ბურთს დავდევთ, გაწითლებულები, გაოფლილები, დასვრილე-ბი. ცა ქუდად არ მიგვაჩნია და დედამიწა – ქალამნად. ვხედავთ, ეზოში მოდის ეს ჩვენი მეზობელი – შემდეგ გავიგეთ: ცნობილი აფხაზი მწე-რალი ივანე პაპასკირი. შევჩერდით და შევაჩერდით. ისიც გაჩერდა. ხელჯოხი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, მარჯვენით ცი-ლინდრი მოიხადა, თავი დაგვიკრა, შემდეგ უკუსვლით შებრუნებული თანმიმდევრობით – ცილინდრი დაიხურა, მარცხენა ხელიდან ხელ-ჯოხი მარჯვენაში გადაიტანა და კვლავ მოზომილი და თანაბარი ნაბი-ჯებით განაგრძო გზა შინისკენ. მაშინ გაუცნობიერებლად ვიგრძენით, ახლა კი შეგნებულად ვიცი, რომ პატარების მიმართ გამოჩენილ ამ მო-წიწებულ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა დიდი ადამიანის ღირსება, ზნეობა, ზრდილობა, მაღლის თავმდაბლობა. სამუდამო, საშ-ვილიშვილო მაგალითად დარჩა ჩემს ცნობიერებაში ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, „უცნაური“ საქციელი.

და, ცხადია, სულიერი სიმაღლე, სისპეტაკე, ბავშვური სისუფთავე არ არის არც მხოლოდ ქართველის, არც მხოლოდ აფხაზის, არც მხოლოდ სხვა რომელიმე ერის თვისება.

სურათი III (მშობლების მონათხრობიდან)

1993 წლის 27 სექტემბერი. სოხუმი დაეცა. ჯგუზურიას 5-ის ბინადრები დაბნეულები არიან. შუქი არ არის, ე. ი. ტელევიზორი გათიშულია. სხვა საინფორმაციო საშუალება, ფაქტობრივად, არ არსებობს. ქალაქში აშკარად რაღაც ხდება, რა – ჩვენს ქუჩაზე ჯერ არავინ იცის. ერთმა სადარბაზომ პირველ სართულზე მცხოვრებ მეზობელთან მოიყარა თავი. მასპინძელი, ღულა დეიდა – დარეჯან ალანია და მისი შვილები ნოდარ და დალი კვიწინიები აფხაზები არიან. მამაჩემი, შეკრე ბილთაგან ერთადერთი მამაკაცი, ტელეფონს მიუჯდა. ხელში ფურცელი უჭირავს, რომელზეც ნაცნობთა ტელეფონის ნომრებია ჩამოწერილი. ცდილობს, რამე გაარკვიოს. რეკავს ხან მინისტრთა საბჭოში, ხან სხვაგან. არსად არავინ პასუხობს. ქალები თავზარდაცემულები სხედან. უცებ კარზე ძლიერი კაკუნი. წიოწ ღულა (ასე ვეძახდით) კარებს აღებს და შემოცვივდნენ შეიარაღებული აფხაზები. სამნი ყოფილან. სათითაოდ ჰკითხეს ყველას, რა ეროვნებისა იყო. დედაჩემი – ქართველი. მეოთხესართული თამარა ბაქრაძეც, რომლის ქართული არავის გაეგონა, შვილებმა რუსული სკოლა დაამთავრეს და პირადად მე მისი ეროვნება არც ვიცოდი (რუსი მეგონა), ქართველი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ პასპორტში ქართველი ეწერა და სხვა რამის თქმას ვერ გაბედავდა. სხვა მეზობელი, ლარისა მინჯიაც (აგრეთვე რუსულენოვანი) – ქართველი. მიადგნენ მამაჩემს, რომელსაც კარგად ისედაც არ ესმოდა, ნერვიულობისგან სულ ვერაფერი გაიგონა. ერთმა ხელიდან წაგლიჯა ფურცელი, რომელზეც ქართულად ეწერა გვარ-სახელები და ყველაფერი გასაგებიაო, – ჩაილაპარაკა.

მერე მასპინძელს მიუბრუნდნენ. იმან, მე და ჩემი შვილები აფხაზები ვართო. მომხდურთ ეჭვი შეეპარათ – აბა, ამდენი ქართველი რატომ შეიფარა? პასპორტი მოსთხოვეს. დეიდა ღულამ (ჩვენ წიოწ ღულას ვეძახდით), ახლავყო და საძინებელში გავიდა. კარგა ხანს შეაგვიანდა გამოსვლა. თურმე მღელვარებისგან ვერა და ვერ მიაგნო საჭირო საბუთს. ამასობაში ლარისა ერთ-ერთ შეიარაღებულს გამოელაპარაკა, შენ ხომ მე-4 სკოლაში სწავლობდიო. დასტური მიიღო. მახსოვხარ, ჩემი გოგოებიც იქ სწავლობდნენო. ხომ არ იცნობო, დაუსახელა... არ ვი-

ცი, გაიხსენა თუ არა ჯარისკაცმა, მაგრამ სიტუაცია დათბა, ამ ორის გასაუბრებამ საერთო დამაბულობა შეანელა.

მანაც ყველა საძინებლის კარს იყო მიჩერებული. ქალი არა და არ გამოჩნდა. ერთმანეთს გადაულაპარაკეს, შევიდეთ, არაფერი მოგვწიოს, ხიფათს არ გადაგვკიდოსო. ვითარება ისევ დაიძაბა. ისინი ხმამაღლა ალაპარაკდნენ, აშკარად, შეეშინდათ. ერთმანეთს აქეზებდნენ ოთახში შესასვლელად. ერთი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, უფროსობდა, უფრო ღელავდა. ახლა უკვე მკაცრად უბრძანა დანარჩენ ორს, შემტვრიათ საძინებლის კარი. რაზეც ერთმა ხელქვეითმა ზრდილობიანად, შეიძლება ითქვას, მორიდებულადაც კი, უპასუხა, ქალი მარტოა შესული საძინებელ ოთახში, უნებართვოდ შესვლა როგორ შეიძლებაო.

აღზრდა, მენტალობა ასეთ უდროო დროსაც იჩენს ხოლმე თურმე თავს. არავინ იცის, ინცინდენტი რით დამთავრდებოდა, რომ ამასობაში წიოწ ღულა არ გამოსულიყო პასპორტით, რომელშიც გარკვევით ეწერა ეროვნება: აფხაზი.

სურათი IV (კიდევ მონათხრობი)

ომის შემდეგ ჩემი მშობლები სოხუმში ჩარჩნენ. გამოსვლა ვერ მოუხერხდათ. იქ ყოფნის შიშს ისიც დაერთო, რომ ჩემ შესახებ არაფერი იცოდნენ. ორიოდე თვეში ორივე რამდენიმე წლით დაბერდა. ქალაქში აღვირახსნილი მოროდორობა მძვინვარებდა და რაც გაცილებით უარესია, ქართველებს მხოლოდ ქართველობის გამოკლავდნენ სახლებშიც, ქუჩებშიც, დღისითაც, ღამითაც. განმკითხავი არავინ იყო.

დედაჩემი აივინზე ყოფილა გამოსული, რომ გაუგონია, შეირადებული აფხაზი როგორ ეკითხებოდა ჩვენი კარის მეზობელს, სომეხ ედიკას, აქ ქართველი თუ ცხოვრობს ვინმეო. ტყუილის თქმას ვინ გაბედავდა და ედიკას უპასუხია, მესამე სართულზე ცხოვრობენო, თან დაუყოლებია, მაგრამ კარგი ხალხიაო. ცხვირწინ დაუცალა თურმე აფხაზმა ავტომატი, ვინ გკითხა, როგორი ხალხია, მე მაინტერესებს, თუ ცხოვრობენ ქართველები და სადო. მერე შემინებული კაცი მუქარით გაუშვა, თვითონ სადარბაზოში შემოვიდა თურმე. ხმაური და შელაპარაკება მეზობლებს გაუგონიათ. ახრა გურგულიას კი ჰქონდა ნათქვამი, კარი უჩემოდ არავის გაუღოთ, აივნიდან გადმომძახეთო, მაგრამ ეს პირობა მხოლოდ ღამის საათებზე ვრცელდებოდა, დღისით ახრა შინ არ იქნებოდა. გაფითრებული დედა კარისკენ შემობრუნებულა გასაღებად და რას ხედავს?! პირველსართულელი აფხაზი ღულა დეიდა, სველ, ქაფიან თავზე თავსაფარს იკ-

რავს და ისე მოჰყვება თან ნასვამ აფხაზს. თურმე აბაზანაში ყოფილა, საგანგაშო ხმა რომ გაუგონია, ბანაობა ვერ დაუმთავრებია, ტანზე სასწრაფოდ გადაუცვამს და სველ თავზე უკვე კიბეებზე ამომავალი იხურავდა. ჩვენთან შემოსული აფხაზი მოროდირი ხარბად ათვალერებდა ოთახებს, წასაღებს ეძებდა რამეს. წიგნების მეტი რომ ვერაფერი დაინახა, გაბრაზდა თურმე. ღულა დეიდას დაყვავებით უთქვამს, ხომ გითხარი, უკვე გაძარცვეს და ყველაფერი წაიღეს-მეთქიო.

როდის-როდის ჩაწყნარდა მოძალადე, წავიდა, გადარჩნენ ჩემები და დედას აივნიდან დაუნახავს, როგორ აცილებდა თავზედ ახალგაზრდას წელზეხელშემოხვეული ღულა, როგორ ტკბილად ელაპარაკებოდა რაღაცას აფხაზურად, ამშვიდებდა, არწმუნებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება შორს გაეტყუებინა ჩვენი სახლიდან.

არ მინახავს, მაგრამ თვალიდან არ ამომდის მეზობლის გადასარჩენად აბაზანიდან სველი თმით გამოსული, კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით, თავსაფრის სწორებით ამომავალი ქალი, რომელიც იმის სიხარულით, რომ უმწეო ადამიანები გადაარჩინა, ქუჩაში წელზე ხელს ხვევდა და ასე მიაცილებდა გაბოროტებულ არამზადას.

სურათი V (ესეც მონათხრობი)

სამარცხვინო ომს, გარდა იმისა, რომ მოჰყვა ნგრევა, განადგურება, ცრემლი, ობლობა და სხვა, მოჰყვა ოჯახების, მეგობრების, ახლობლების გათიშვა, დაპირისპირება...

1993 წლის სექტემბრის ბოლოს ჯერ ხომ თოვლმა იჯერა გული სვანეთში – გამოქცეულ, გამოხიზნულ ხალხს უღელტეხილზე, თითქოს სხვა გასაჭირი არ ჰქონოდათ, უჩვეულო სიცივე და ყინვა დაუხვდა მტრად და მკვლელად. ოქტომბერ-ნოემბერში კი ზღვისპირეთში (ოჩამჩირე-სოხუმ-გაგრამი) დათბა, მზიანი ამინდები დაიჭირა. ბუნება თითქოს ერთწლიანი ომისგან ისვენებდა.

ჩემი მშობლები, როგორც ვთქვი, სოხუმში ჩარჩნენ. მათ შესახებ არაფერი ვიცოდი, არც მათ – ჩემ შესახებ. მე და ჩემი ძმა, როგორც იქნა, ტელეფონით შევეხმიანეთ ერთმანეთს, მოვილაპარაკეთ, დათო სოჭში ჩავიდოდა და იქიდან შეეცდებოდა ჩვენების ამბის გაგებას.

მოუხერხებია, ჩასულა. იქ დახვდა მონატრებული სიწყნარე, სიმშვიდე, ზღვის შრიალი. სოჩას (ასე ვეძახდით) ომი არ შეხებია, შორეული ექოც არ გაუგია. მაგრამ დათოს განცხრომისთვის და დასვენებისთვის არ ეცალა, ქუჩაში მიდიოდა, თან დამაბული ფიქრობდა, რა უნ-

და ექნა, რა გაეკეთებინა. მის პირისპირ მომავალი ორი გოგონა არც კი შეუმჩნევია. შუბლშეკრული, არავის უყურებდა, ადამიანებს ლანდებივით უვლიდა გვერდს.

გოგონები ჩვენი მეზობელი აფხაზები, მადინა და ამრა, დათოს არამარტო ტოლები, არამედ თანშეზრდილი მეგობრები აღმოჩნდნენ. თანშეზრდილობა ამ შემთხვევაში მეტაფორა არ არის. შორეულ, კეთილ დროში ერთად თამაშობდნენ, საბანაოდ თუ სასეირნოდ ერთად დადიოდნენ, ჰქონდათ ერთმანეთთან პატარ-პატარა საიდუმლოებებიც, რომელთაც მე, როგორც პატარას, არაფრით გამანდობდნენ (არადა, ორი წლით ვარ მათზე უმცროსი). ერთი სიტყვით, გულწრფელი, უნგარო, გულითადი ურთიერთობა ჰქონდათ.

მათ, ლალად მომავალთ, შორიდანვე შეუმჩნევიათ ახალგაზრდა ვაჟი. მოულოდნელობისა თუ იმის გამო, რომ გარეგნულადაც შეცვლილი ეჩვენათ, ვერ დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად დათო იყო. – ეს დათოა? – ლამის ერთდროულად იკითხეს და გადახედეს თურმე ერთმანეთს. შეჩერდნენ, შეიცადეს, უფრო რომ მოუახლოვდა, აშკარად გამოჩნდა, რომ მომავალს შუბლი შეკრული ჰქონდა, რაც გაბრაზებულის იერს აძლევდა. გოგონები თან შეშინდნენ, ვაითუ ქართველმა დაივიწყოს წარსული და ახლა აფხაზი მეზობლებისთვის სამაგიეროს გადახდა მოინდომოს. თან იმასაც ხედავენ, რომ დათო მათ ვერ ამჩნევს და არ ეთმობათ გამოუცნაურებლად დასაშორებლად. რა ქნან? და მოიფიქრეს თურმე. გაფუღიმოთ, რომ ყურადღება მივიქციოთ და თუ მაინც გაბრაზებული წამოვა ჩვენკენ, სასწრაფოდ ქუჩის მეორე მხარეს გადავიდეთო. ჰოდა, ასეც მოიქცნენ. დადგნენ, გაუღიმეს. კი იყო საკუთარ სადარდელში ჩაფლული ჩემი ძმა, მაგრამ ლამაზი გოგონების ღიმილს, თან, ეტყობა, საკმაოდ გამომწვევს, გულგრილად ვერ აუარა გვერდი, შეხედა, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, რაღაც წამები დასჭირდა, რომ გაეცნობიერებინა, ვინ იდგა მის წინ და... წარბიც გახსნა, ხელებიც ფართოდ გაშალა და ორივე ისე გულწრფელად, ისეთი სიხარულით ჩაიკრა თურმე გულში, თითქოს მათ შორის ომი არც მდგარიყო.

• • •

ეს კარგი გოგონები დაეხმარნენ მერე, რომ მოექმნათ ნაცნობი და სანდო რუსი ბიჭი, რომელიც სოხუმში მიემგზავრებოდა. დათომ წერილი და ცოტაოდენი პროდუქტი გაატანა ჩვენს მშობლებთან. უცხო კაცს რომ კარზე დაუკაკუნებია, დედა შინ არ ყოფილა. მამას, აბა, სხვა რა ეგონებოდა, თუ არა ის, რომ მოსაკლავად მოადგნენ. ერთი კი გა-

უფიქრებია, კიდეც კარგი, ნანა შინ არ არისო, მერე ვითომ დრო გაუწელავს, მაინც უკითხავს, ვინ ხართ და რა გნებავთო. ის თურმე რაღაცას პასუხობდა, მამას ვერაფერი გაუგია და უცებ მოესმა სახელი „დათო“. ვიღაც კარს უკან დათოს ახსენებდა. მერე გვიყვებოდა, არც აფხაზი გამხსენებია, არც ომი, სიკვდილის შიში სადღაც გამიქრა, კარი ისე ფართოდ გამოვადე, ის ბიჭიც კი დავაბნეო...

1996 წლის 12 მაისს, როცა მამა ამქვეყნად აღარ იყო, გულისჯიბეში, პასპორტში ჩადებული ვუპოვეთ დათოს სოჭიდან გამოგზავნილი ბარათი, რომელზედაც თავისი ხელით ჰქონდა მიწერილი მიღების წელი და რიცხვი და რომელსაც წლების მანძილზე ინახავდა თურმე, როგორც რელიქვიას.

სურათი VI (და კიდეც მონათხრობი)

ომის მერეც კარგა ხანს გრძელდებოდა სოხუმში განუკითხაობა – ძარცვა, მკვლელობა, წიგნების აუტოდაფე და სხვა. შინიდან გამოსვლა და მით უმეტეს, ქართველისთვის, სარისკო გახლდათ. მიუხედავად ამისა, ერთ დღესაც მამაჩემს გადაუწყვეტია, ქუჩაში გამოსულიყო. მერე გავიგეთ, თურმე ჩვენს მოგვარესა და ნათესავთან, ძალიან კარგ ადამიანთან, ოთარ ვახანიასთან მიდიოდა, რომელიც ჩვენგან ცოტა მოშორებით, კერძო, ეზოიან სახლში ცხოვრობდა. ფეხით ამ მანძილის გავლა სავსებით შესაძლებელი იყო. ბატონი ოთარი ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ, უაღრესად კეთილშობილი კაცი. ვახტანგსა (მამაჩემი) და ოთარს, როგორც ჩანს, მარტო მოგვარეობა არ აკავშირებდათ ერთმანეთთან, არამედ – სულიერი საერთოც.

ამ დროს ბატონი ოთარი უკვე იძულებული გამხდარა, ოჯახით გასცლოდა სოხუმს, მაგრამ მამამ ეს არ იცოდა და ჯერაც ქალაქში ეგულეობდა. სტუმრად მისვლის მიზანი კი ის იყო, ანდერძი დაეხატებინა, თუ მოკლავდნენ აფხაზები, ოთარ ვახანიას თავის ეზოში დაემარხა დროებით და შთამომავლობისთვის ვახტანგის საფლავი არ დაეკარგა.

გზაზე შეიარაღებული აფხაზი გადაუდგა, იარაღი მიაბჯინა და ეროვნება იკითხა. ტყუილის თქმა და გასროლა, ცხადია, ერთი იქნებოდა. ბუნებრივია, მართლად უპასუხა.

- იბრძოდით? – დაკითხვას განაგრძობდა თურმე ახალგაზრდა აფხაზი რუსულად.

- აბა, შემომხედე, ეს ჭადარაწვერიანი, მოხუცი კაცი როგორ შევძლებდი ბრძოლას, იარაღის ხელში დაკავებასო, - იყო პასუხი.

- ბიჭი გყავსო? – არ მოეშვა ის.

- დიახო, – დამალვას აზრი არა ჰქონდა.

- ის იბრძოდაო? – შარს ეძებდა მოძალადე.

- არა. რადგან ომი შეცდომად და ორივე ეროვნების ხალხისთვის დამღუპველად მიაჩნდა, საერთოდ გაეცალა აქაურობასო.

არ ვიცი, დაუჯერა თუ არა, მაგრამ იარაღი დაუშვა თურმე, სამართლიანი კაცის როლი მოირგო აფხაზმა და დარიგებაც არ დაიშურა: კოგდა ზა საბოი გრეხოვ ნეტ, ნეჩეგო ბოიატსაო (თუ ცოდვები არა გაქვს, ნურაფრისა გემინიაო).

მამა შუაგზიდან მობრუნებულა შინ და ამის შემდეგ გადაუწყვეტია სოხუმიდან წამოსვლა. რაც არ ეთმობოდა, ეს იყო წლების განმავლობაში ნაგროვები მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელსაც იმ პირობებში ვერსად წაიღებდა. მოიკითხა ნაცნობი და გავლენიანი აფხაზები, თავისი გასაჭირი შესჩივლა და მაშინ, როცა ქალაქიდან ქართველის გასვლა უდიდესი რისკის ფასად თუ იყო შესაძლებელი, მის საცოდაობას ვერ გაუძლეს თუ რა, გამოუწერეს და მისცეს საბუთი, რომლის ძალითაც ჰქონდა კვლავ დაბრუნების უფლება. დაბრუნებისა, წიგნების წასაღებად.

სიცოცხლის ბოლომდე წიგნებზე დარდობდა. იმედი მაინც ჰქონდა, რომ არავინ შეეხებოდა, ის კი აწუხებდა, რომ წლების განმავლობაში მტვერი დაფარავდა „დაქვრივებულ ბიბლიოთეკას“. ისე აღესრულა, რომ არ გაუგია, ბინაში შეჭრილმა გუდაუთელმა აფხაზმა ერთადერთი სიმდიდრე შეუწყალებლად რომ გამოუყარა სახლიდან.

• • •

სამშობლოს გრძნობა დაბადებისთანავე, ინსტინქტურად ეძლევა ადამიანს. თუმცა შემდეგ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვალდებული ვართ, მოვუაროთ ამ გრძნობას და ვზარდოთ ისე, ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანი რომ ზრდის თავის სიყვარულს („ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისა“).

მე (და ათასობით ჩემნაირმა) სიზმრებში გადავიტანეთ სასურველი ხილვები, უნებლიეთ სიზმრებს მივანდეთ ყველაზე სათუთი, ყველაზე ინტიმური და რეალურად ვცხოვრობთ სიზმრებადქცეულ ქალაქში.

ჩემს სიზმრებში ახლაც მწვანეა სოხუმი...

ნინო ვახანია
(სოხუმი-თბილისი)

ჩაპა – ჩემი სახლის დარაჯი

„ჩემს ძაღლს ჩაპა ერქვა. მამამ მოიყვანა, ქაღალდის ყუთში ჩასმული. პატარა ვიყავი, მაგრამ ახლაც მახსოვს ჩალისფერი, ფუმფულა ლეკვი, ძლივს რომ ახელდა თვალებს. ოდნავ შეშინებული, ყუთის კედლებს ეჯახებოდა სიარულისას და ყოველ მეორე ნაბიჯზე საყვარლად ეცემოდა.

ერთად ვიზრდებოდით მე და ჩაპა, ერთად ვთამაშობდით. მისი ხათრით გაჭმევდითო – ბებიაჩემი მიყვებოდა. ეს ფრაზა კი მახსოვს: „ერთი კობას, ერთიც – ჩაპას“...

ძალიან ჭკვიანი და ერთგული გამოდგა ჩაპა. ისე შევეჩვიეთ, მის გარეშე ვეღარც წარმოგვედგინა ყოფნა. ჩვენი დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მე და ჩემი და გამორჩეულად ვუყვარდით, სულ ჩვენს ირგვლივ ტრიალებდა.

მე-2 კლასში ვიყავი, როდესაც სოხუმში ომი დაიწყო და ჩვენ მსგავსად, უამრავ ადამიანს აურია გზა -კვალი. იძულებულები გავხდით, ქალაქიდან წამოვსულიყავით. სახლში მხოლოდ ბებია დარჩა. ბოლომდე სწამდა, რომ სოხუმში არ დაეცემოდა. ბებიასთან ერთად იყო ჩაპაც. თითქოს ორი ერთგული ადამიანი დარაჯობდა სახლს და მამაჩემის და ბაბუაჩემის საფლავებს.

დედაჩემი ხშირად იხსენებს ერთ ამბავს: მამა რომ გარდაიცვალა, ბაბუა ისე ცუდად გამხდარა, საავადმყოფოში გადაუყვანიათ. ბებია თავზე ადგა მეუღლეს, დედა კი მარტო დარჩენილა ჩვენთან ერთად სახლში. ერთხელ, ღამით, რაღაც ხმაური შემოესმა თურმე, კართან ძლივს მისულა შეშინებული... გაუღია და... ზღურბლზე გაწოლილი ჩაპა დაუნახავს. ისეთი თვალებით ამომხედა ძაღლმა, შიში საერთოდ გამიქრაო -ამბობს.

იმ ღამეს ყველაზე მშვიდად მეძინაო – დედამ.

ომის დროს რამდენიმე დღე მე და თეონა ბებიაშემ სოხუმში ჩავვიყვანა. როდესაც ჩვენს ქუჩაზე ავუხვიეთ, უცებ დავინახეთ, როგორ გამორბოდა ჩაპა – სიხარულით არ იცოდა, რა ექნა. მოვდიოდით ასე – მე, ბებია, ჩემი და და ჩაპა. გარეთ გამოსული მეზობლები ცრემლს ვერ იკავებდნენ. ისევ გაიღო ჩვენი სახლის ჭიშკარი! მასპინძელი ახლა ჩაპა იყო...

ის დღეები ერთად ყოფნაში, მეზობლების მონახულებასა და სიყვარულში გაიღია. იყო ბევრი ცრემლი, მონატრებული საუბრები, იმედით სავსე!

სულ დაგვავიწყდა ომი, სანამ თავი არ შეგვახსენა – დაბომბვა ღამით დაიწყო. სოხუმი ჰაერიდან, ზღვიდან და ხმელეთიდან ერთდორულად იბომბებოდა. ის ღამე სამუდამოდ ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში.

მეორე დილითვე, ადრე, დავტოვეთ ქალაქი პირველივე მატარებლით. ძლივს გამოვედით, ჩვენ შემდეგ რკინიზა ჩაიკეტა.. მგზავრობის დროსაც კი რამდენჯერმე შემოგვიტყეს, მაგრამ ღვთის წყალობით, გადავრჩით. ისევ მარტო დარჩა ჩაპა. დარჩა უჩვენობაში. მისთვის მშობლიურ სახლში, მაგრამ უკვე – უცხო ქალაქში! მერე მითხრეს, „ბოვეიკ-ებმა“ მოკლესო...გული დამწყდა. სახლის დარაჯად მეგულებოდა, პატრონად! ალბათ, სახლი არ დათმო და არ აპატიეს...

კობა ალხაზაშვილი (15 წლის)

სოხუმი -თბილისი

წერილიდან

... სად იყუჩები ჩემს დიდ, თეთრ
სახლში,
რომელიც დაწვეს?!
(მეც, მასთან ერთად –
დაბადებამდე)...
ნაბიჯების ჩქამი მახსოვს
საფეხურებზე –
მონაყოლიდან...
სიზმრის სარკმლიდან
შემოჭრილი ცხელი სხივები...
რბილი ლოგინი, ალბათ გჩუქნის
საჩემო სიზმრებს...
რა გესიზმრება
ჩემს
უჩემო
სამინებელში?!
შენ ჩემით ცხოვრობ,
ჩემ მაგივრად,

უჩემო სახლში...

შენი და ჩემი სარკეში
გაილანდება,
ალბათ, და
იქნებ დღიურებშიც იწერდეს
ლექსებს
და ცრემლებივით უბრწყინავდეს
დედაჩემის
ლურჯი
საყურე...
ეზოდან, ალბათ, ყველა ჩიტი
გადაიხვეწა,
დამწვარ ხეებით გაწვალებული...
არ იპარები ღამდამობით ღია
სარკმლიდან
ღია ზღვისაკენ?
გყოფნის ჰაერი?

გიორგი ესებუა [16 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

ზოგი ცხოვრობს კარგად და ზოგი ცხოვრობს სწორად!
სწორად ცხოვრება ზოგჯერ არაა კარგად ცხოვრება!
უფრო უჭირთ ასეთებს...

ქ. მ. – ბატონო გოგი, გამარჯობა! გიდასტურებ, ჩემს უდიდეს პატივისცემას თქვენი მშობლების მიმართ. ძალიან მიხარია, რომ დამთანხმდით ინტერვიუზე. მიხარია, რომ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა და რომ შედეგაა ჩვენი საუბარი. წინასწარ დიდი კმაყოფილებით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენი შეხვედრა, უდავოდ, იქნება შედეგიანი; რომ თქვენი მონათხრობი იქნება ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი; მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთელი ქართველების მეტყველების ჩაწერის ჩვენეული მიზანი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ წმინდად **ლინგვისტურია, მე თქვენთან საუბარი ყველა ასპექტით მაინტერესებს**. პირველ რიგში, თქვენი ასაკი, დაბადების თარიღი, ადგილიც.

გ. ა. – მე დავიბადე სოხუმში, 1938 წლის 15 ივლისს.

ქ. მ. – თქვენი ათლექტურობის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდო, რომ ვარჯიშობთ.

გ. ა. – კიი, ვარჯიშით მე მართალია, სპორტსმენი ვერ გავხდი, მაგრამ ინვალიდი კი დავრჩი!

ქ. მ. – დაუჯერებელია, ბატონო გოგი! რა უნდა თქვენს სიახლოვეს ინვალოდობას. პირიქით, აი ჩემი დიდი აღფრთოვანება ზოგადად ჯანსაღი ცხოვრების წესს და ამ შემთხვევაში თქვენს ახალგაზრდულ იერს, ახალგაზრდულ შემართებას... ბატონო გოგი, როგორი ლამაზი გვარი გაქვთ... ანთელავების ძირითადი ფუძე სად არის! ადგილის დედა რასაც ჰქვია, თქვენთვის საქართველოს რომელი კუთხეა? საიდან იღებს სათავეს თქვენი გვარი?

გ. ა. – ანთელავების რამდენიმე შტოა... ზუგდიდთან ახლოს არის სოფელი ყულიშკარი. მე როგორც ვიცი წინაპრებისგან, ჩვენი შტო აქედან უნდა გადასულიყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც ყვებოდნენ, ძველად ამ სოფელში თორმეტი თუ ცამეტი ოჯახი ანთელავებისა ცხოვრობდა. და ყველანი ერთმანეთის ნათესავები იყვნენ. მთელი უბანი იყო ანთელავებისა, სადაც ყველა ეზოში ანძა იდგა, ანძა როგორი... ნუ, ხის რაღაც დიდი ჯოხი, ალბათ... და რომელიმეზე დროშა იყო ყოველთვის... ეს დროშა ნიშნავდა, რომ იმ დღეს მთელი ეს საანთელავო სადროშო, ასე მერე დაარქვეს, იმ ოჯახში სადილობდნენ!

ქ. მ. – ოი, ნახე, რა კარგი ტრადიციაა!

გ. ა. – ამ სანათესაოში იყვნენ, მართლაც, ძალიან ღირსეული ადამიანები. მაგალითად, ცნობილი ქირურგი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელა-

ვა, გულმკერდის ქირურგიის ერთ-ერთი პიონერი... მისი დამსახურება მედიცინაში აღინიშნა ლენინური პრემიით.

ქ. მ. – ჰოო, მაშინ იმ დროს ეს საკავშირო მნიშვნელობის დამსახურება იყო.

გ. ა. – ლენინური პრემია იყო, მაგაზე დიდი მაშინ არაფერი არ იყო...

ქ. მ. – საბჭოთა კავშირში...

გ. ა. – დიახ, საბჭოთა კავშირში!

ქ. მ. – მერე იყო მისი ვაჟი, ასევე ცნობილი თვალის ექიმი, ორთაქალაში, თვალის ცენტრის დამფუძნებელი.

ქ. მ. – ოფთალმიჯი ჰქვია, მგონი, იმ კლინიკას?

გ. ა. – სხვებიც იყვნენ... მე ახლა ისეთი ხალხი გიხსენეთ, რომლებიც რადიკალურად გამოჩნდნენ, თორემ სხვებსაც რას ვერჩით... აი აგერ თბილისში, ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, განუმეორებელი ადამიანი გივი ანთელავა იყო. მერე სეფსისის ცენტრს ხელმძღვანელობდა.

ქ. მ. – თენგიზ ანთელავა! ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის დეკანი სოხუმის უნივერსიტეტში!

გ. ა. – ის სხვა შტოა. არიან კიდევ ანთელავები, რომლებიც მოდიან სოფელ ჯიხაშკარიდან, იქვე, ზუგდიდის რაიონში. მოგვარეები არიან, ალბათ, რაღაც შორეული ნათესაობაც შეიძლება დაიძებნოს, ახლა საქართველოში ყველა ყველას ნათესავი ვართ.

ქ. მ. – დიახ, საქართველოში ყველა ყველას ნათესავია!

გ. ა. – ადვილად იბოვი ამ ნათესაობას სხვადასხვა გვარებშიც. არის კიდევ ერთი შტო ხორგადან... აი თენგიზ ანთელავა და ესენი ხორგადან არიან. არც იქ აღარავინ დარჩა, პირდაპირი თაობა... ერთადერთი დარჩა რამდენადაც ვიცი, ეს განუმეორებელი ადამიანი მერაბ ანთელავა, ცოცხალია ახლა... ინჟინერი ცნობილი! მაგრამ ისიც ჩემზე ბებერია.

ქ. მ. – არა, სიბერე თქვენთან რა მოსატანია, ბატონო გოგი, ეპითეტი ასაკოვანი (და არა ბებერი!) უფრო მოგიხდებათ თქვენც და ბატონ მერაბსაც...

გ. ა. – მაგრამ პირდაპირი შტო ყველა ერთად, ალბათ, სადღაც შეიძლება იკვანძება კიდევაც.

ქ. მ. – კი ბატონო, შეიძლება, გადაკვეთის ხაზი იყოს სადღაც სიღრმეში!

გ. ა. – გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ გამომეცხადა ერთ დღეს, კი არ გამომეცხადა, მე შევხვდი ადამიანს, რომელმაც მითხრა: **Я не**

Антелава, я Анталава

ქ. მ. – ოი, ეს როგორ?

გ. ა. – ღამე რიწის ტბიდან მოვდიოდით მე და ჩემი მეგობრები. ცხონებული გულდა კალამე და ორიც სტუმარი გვყავდა. რიწიდან მოვდიოდით, გუდაუთაში მანქანა გაფუჭდა. სტუმრები და ჩემი მეგობარი რაღაც მანქანაში ჩავსვი და სოხუმში გავუშვი. მე დავრჩი მანქანის გამო. ბნელოდა, ზაფხული კი იყო, მაგრამ უკვე ბნელოდა. აფხაზეთში

ქვეყნის მეგობრები მყავდა, ქვეყნის ნაცნობები. აფხაზეთის ყველა კუთხეში, თითქმის ყველა სოფელში ჩემთვის იყო სახლი, კარი და ოჯახი. სახლის კარები ხომ აფხაზეთში ყოველთვის ღიაა ყველა სტუმრისთვის!

ქ. მ. – მშვენიერი პრინციპია! ეს ჩვენი – აფხაზეთელების ფრიად მნიშვნელოვანი კრედოა.

გ. ა. – მოგესხენებათ, ეს აფხაზეთია. მე იქ დავიზადე, იქ გავიზარდე. ჩვენი ოჯახი ძაან ისეთი იყო. სულ მისვლა-მოსვლა, სულ ნაცნობები! ვიფიქრე, ახლა ვინმესთან რომ მივიდე, ყველა რესტორანში იქნება! ზაფხულია, აფხაზეთში იყო ეს...

ქ. მ. – მახსოვს, მახსოვს ჩემს ბავშვობაში როგორი იყო ზაფხული აფხაზეთში!

გ. ა. – სულ გრიალი იყო!

ქ. მ. – ჩემს ბავშვობაშიც ეგერე იყო ზუსტად!

გ. ა. – ამიტომ მოდი, ახლა მე რაიკომში შევალ... ღამეა, მაგრამ ვიღაცა იქნება მაინც... ან იქნება ნაცნობი, ან უბრალოდ, გავიგებ მაინც რა და როგორ მოვიქცე.

ქ. მ. – აჰა...

გ. ა. – შევედი რაიკომში. რაიკომის მდივანი ძალიან კარგი კაცი იყო. აფხაზი კაცი იყო! ძალიან კარგი კაცი! ვიცნობდი შესანიშნავად. აღმასკომის თავმჯდომარესაც ვიცნობდი, კომკავშირის მდივანი კი კლასელი იყო. ბნელა! მეორე სართულზე ავედი, კაბინეტები იქ იყო.

ქ. მ. – დაახლოებით რომელი წელია ეგ?

გ. ა. – წელი?

ქ. მ. – ალბათ, სამოცდაათიანები, შეიძლება ოთხმოციანიც კი...

გ. ა. – ოთხმოციანი? შეიძლება! იცით რა, ახლა ძაან ძნელია, დრო ზუსტად გაიხსენო... ოღონდ მახსოვს, რომ ხრუშჩოვი აღარ იყო.

ქ. მ. – კი, ბატონო, არა აქვს მნიშვნელობა. თითქმის არავითარი მნიშვნელობა!

გ. ა. – მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჯერ აფხაზებთან გვაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა. ბევრი კარგ ისტორია ჩამრჩა გულში. მოგიყვები!

ქ. მ. – აი ეგ მაინტერესებს განსაკუთრებულად!

გ. ა. – არ იყო ცუდი დამოკიდებულება! ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემის, ხათრის და დახმარების მომენტები იყო. ბუნებრივია, ამას ვერ გაექცევი ვერსად. ნაკლებად იყო ეს ანტაგონიზმი ხალხში, რაც მეორე ბოლო დროს ვნახე და ახლაც ვხედავ.

მოკლედ, შევედი რაიკომში. ერთი კარი ღიაა, შუქი გამოდის. შევიხედე. კარზე აბრაა პატარა. წერია რუსულად, შეიძლება აფხაზურად და

მე უბრალოდ ვერ ვარჩევ... იმიტომ, რომ შრიფტი ერთი და იგივეა უკვე მაგათი. ოო... ეს რა დიდი შეცდომა დაუშვეს!

ქ. მ. – კიი... შეცდომა დიდი, უზარმაზარი.

გ. ა. – სისულელეა ეს ყველაფერი. შეიძლება კიდევ გამოსწორდეს და... ჰოდა, იმ პატარა აბრაზე გიყვებოდი. ანთელავა წავიკითხე მე და თურმე... არასწორად წამიკითხავს – ანტალავა უნდა წამეკითხა თურმე. შევიხედე, ქალი ზის! გამარჯობა-მეთქი, ქართულად ვუთხარი. მეც ანთელავა ვარ.

ქ. მ. – აჰა, თქვენ უთხარით ესე იგი, ბატონო გოგი!

გ. ა. – ამაზე პასუხი. ძალიან ძლიერი აფხაზური აქცენტით ქალი მეუბნება: Я не Антелава, я Анталава.

ქ. მ. – ოჰოო!

გ. ა. – ნუ ცოტა უხეშად ვუთხარი, **меня это мало интересует, я хочу позвонить первому секретарю райкома партии.**

А вы что, его знаете? – მეკითხება.

Нет, я говорю, не знаю, просто так, хочу позвонить. вы мне номер можете сказать? Я выйду и из автомата позвоню.

გ. ა. – ნუ მოკლედ, ამაზე „მოტყდა“ ეს ქალი.

დავურეკე რაიკომის მდივანს, სახლში აღმოჩნდა! ეხლავე მოვდივარო, სადა ხარო? და სანამ ის მოვიდოდა, მძლოლი მოვიდა მისი.

ამასობაში ვხედავ, რომ ის ქალი, ვატყობ, რომ ცოტა ფაციფუცობს...

ქ. მ. – დაიძაბა? ნერვიულობს, ალბათ!

გ. ა. – მძლოლიც მოვიდა და რა მოუვიდაო მანქანას? რა ვიცი-მეთქი... სად დგასო? ცენტრში-მეთქი, რაიმაგთან. დიდი მაღაზია იყო, ორსართულიანი.

გამომართვა გასაღები და წავიდა. უცებ შემოვიდა რაიკომის მდივანიც!

ქ. მ. – გვარი? რაიკომის მდივანი რა გვარი იყო?

გ. ა. – არა მგონია, საჭირო იყოს გვარის დასახელება.

ქ. მ. – კაარგი, როგორც თქვენ გენებოთ, ბატონო გოგი.

გ. ა. – ზუხზა მახსოვს აღმასკომის თავმჯდომარე. ეს მდივანი კი გერია იყო თუ... რა მნიშვნელობა აქვს...

ქ. მ. – დიახ, არავითარი მნიშვნელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ აქვს...

გ. ა. – აბა წავიდეთო.. მე ვუთხარი, სად უნდა წავიდეთ! როგორ? მანქანა? მანქანას მოგვიყვანენო! ...გავდივართ ოთახიდან და ეს ქალიც აგვედევნა. ქალი ახლა თითქოს ცეკვა-ცეკვით... ცეკვა, ცეკვით კი არა, ღიმილით მოგვდევს... რომ ჩავედით დაბლა, ვიღაცებმა რაიკომის მდივანი დაინახეს, მასთან მოვიდნენ, ქალი კი დარჩა მარტო ჩემთან.

ქ. მ. – აჰაა!

გ. ა. – და მეგრულად მეუბნება: „მა ხოლო ანთელავა ვორექია“ „მეც ანთელავა ვარო“. სენაკიდან ვარო.

ქ. მ. – დედაა! ვაიმე, ახლა გული გამისკდება!

გ. ა. – თქვენ, როგორც გინდათ, ისე გააანალიზეთ!

ქ. მ. – დედა, ღმერთო ჩემო!

გ. ა. – ასე იყო ეს!

ქ. მ. – ბატონო გოგი, აი თქვენ ახლა ამ ქალის საქციელში უცებ სინანული დაინახეთ თუ?

გ. ა. – არავითარი სინანული. მათხოვარი იყო ჩვეულებრივი. ღირსების არმქონე ადამიანი!

ქ. მ. – წარმოიდგინეთ! წარმოიდგინეთ! თან ასეთი ამბები იქ ხდებოდა, სამწუხაროდ, ხშირად!

გ. ა. – ახლაც, რამდენიც გინდათ. რამდენი ჭელიძეა აფხაზი იქა... აფხაზები ქართული გვარებით ბევრნი არიან...

ქ. მ. – დიახ, დიახ! უამრავი, სამწუხაროდ! გვარად წერეთელი და ეროვნებით აფხაზიც კი შეგვხვდება მანდ!

გ. ა. – ნუ... ერისთავი იყო და არისტავა გახდა, ჩემმა, მეგობარმა, – მერაბ ემხვარმა, აფხაზმა, უთხრა კიდევაც – ასეთი სულელი როგორ ხარ, ერისთავი (ანუ თავადი!) იყავი და არისტავა როგორ გახდიო. ასევე ჯინჯოლია გახდა აჯინჯალი. იცით რა, ეს ცოტა სხვა თემაა! ეს უფრო ღრმა თემაა!

ქ. მ. – უკვე სხვა თემაა! კი ბატონო, პოლიტიკაში და ეროვნულ სატკივარში რომ გადადის, ის თემაა!

ჩვენს ამ ჩაწერილ მასალას კი უნდა ჰქონდეს წმინდად ენათმეცნიერული მნიშვნელობა. ამისთვის ვიწერთ ზუსტად.

გ. ა. – ამიტომ გამოქვეყნება ყველაფრისა თითქოს გამართლებული არც არის! ახლა მოგიყვები რას: გუდაუთის რაიონში, გუდაუთიდან ხუთ კილომეტრში იყო ასეთი ადგილი, ერქვა ოქროს სანაპირო, „ზალატოი ბერეგ“. დასასვენებელი სახლი იყო. რომელიც მერე გაყვეს. ნაწილი საბჭოელებს დაუტოვეს და ნაწილი – გედეერის ხალხს, გერმანელებს დაუთმეს, ნუ, გერმანიის დემოკრატიული...

ქ. მ. – აჰა!

გ. ა. – ეს ჩვენებისთვის ცოტა უცნაური აღმოჩნდა. იქ გერმანელები (გოგო, ბიჭი...) თითქმის ყველა შიშველი ბანაობდა. ჩვენები კი იმდენად საბანაოდ არ დადიოდნენ, როგორც ამის საყურებლად. ახალი ამბავი იყო ეგეთი თავისუფალი ქცევა. ერთ წელს იმ „ზალატოი ბერეგში“ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ და მოხდა ცუდი რამ. ორი ბიჭი იყო, გუდაუთაში წავიდნენ, ეტყობა, დალიეს. რომ ბრუნდებოდნენ, ერთადერთი ავტობუსი იყო, რომელიც გათვლილი იყო ალ-

ბათ, 30 კაცზე, მას კი ერთი სამასი კაცი მაინც ექიდებოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა, ეს ორი ბიჭიც, სტუდენტები უნივერსიტეტის, რაღაცნაირად ცდილობენ ავტობუსში შეღწევას... და აქ მოხდა ინციდენტი. ოღონდ ინციდენტი როგორ მოხდა. ვიღაც კაცი დადგა და არ უშვებს ამათ. მოკლედ, ამაზე ამ სტუდენტებიდან ერთმა, გაუქანა და ლეწა ამას... (ავტობუსში არ შემშვებს!)

ქ. მ. – ოჰო, ამ სტუდენტთაგან ერთმა?

გ. ა. – ჰოო... სხვათა შორის ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ, და დადასტურდა, რომ მართლებიც კი იყვნენ...

ქ. მ. – ოო, მე ძალიან დავიძაბე ახლა ამ სტუდენტების ჩხუბით...

გ. ა. – და ნახეთ, რა ხდება! უცებ ამ კაცმა... აღმოჩნდა, ეს კაცი მეგრული გვარით აფხაზია, ხანშიშესული კაცი. მან დაიწყო ყვირილი... მილიციონერი მოვარდა. მილიციონერი რომ მოვარდა, ნახა, რომ ეს მყვირალი კაციც მილიციონერია, ოღონდ დღეს ფორმა არ აცვია. ბიჭები დააკავეს, გააფორმეს როგორც მილიციის თანამშრომლის ცემა, დებოში, ხულიგნობა. და, რა თქმა უნდა, დაიჭირეს.

ქ. მ. – ცუდი ამბავია!

გ. ა. – დაიჭირეს და... სახლში მოვედი გვიან, მამამ მითხრა, თბილისში ვართ, ხვალო უნდა წავიდეთო. დილით ადრე გუდაუთაშიო.

ქ. მ. – ამ ბიჭების საშველად?

გ. ა. – რა მოხდა? – ვეკითხები მამას. აი ამ და ამ კაცის ბიჭი დაიჭირეს. ეს კაცი უნივერსიტეტის პროფესორია. ისტორიკოსი. აი ასეთი კაცი, რომ იტყვიან, ძალიან მაგარი. მე ვუთხარი, ეს ბიჭი როგორ დაიჭირეს, კარგი ბიჭია! ნუ, მოკლედ, რაღაც ცუდი ამბავიაო! წავედით. გზაში მამა მომიყვა ეს, რაც მე მოგიყევით.

ქ. მ. – აჰაა!

გ. ა. – გზაში ვუთხარი მამას, წამო, პირდაპირ გუდაუთაში წავიდეთ! გუდაუთის სასამართლოს თავმჯდომარე სოხუმელია, ძან კარგად ვიცნობთ და რაღაცას ვიზამთ.

ქ. მ. – რთული ამბავია.

გ. ა. – ჩავედით. თბილისიდან მანქანით წავედით. მივედით პირდაპირ გუდაუთის სასამართლოში. გივი შენგელაია, თავმჯდომარე პროცესზეაო, გვითხრეს... ავიდეთ-მეთქი მეორე სართულზე, სადმე იქნებ დავჯდეთ. ცხელა, ზაფხულია. ავედით ზევით. დიდი შუშაბანდია, რაღაც. ვდგავართ ათი წუთი, თუთხმეტი წუთი. პროცესი როდის დამთავრდება? ახლა, სოხუმში წადი... ხომ არ დაბრუნდები ისევ და... ვდგავართ. უცებ ერთი ოთახიდან ახალგაზრდა გამოდის და რუსულად გვეუბნება: მობრძანდით, აქ დაბრძანდითო, ოთახშიო. შეგვიყვანა, კაბინეტია, მაგიდაა და... გაიცინა ისე... იცით, რას გეტყვითო, თქვე-

ნო რა საქმისთვისაც ჩამოხვედითო, იმ საქმეში მე უფრო დაგეხმარებით, ვიდრე ის, თქვენ ვისთანაც ჩამოხვედითო. აფხაზია ეს ბიჭი... გუდაუთაში ჩასული სოხუმიდან.

ქ. მ. – გასაგებია! სოხუმელები სხვაგვარად იქცევიან ხოლმე ასეთ დროს!

გ. ა. – მე ვკითხე, რა ინფორმაცია გაქვთ-მეთქი. ძალიან ცუდი ინფორმაციაო, იცით... გაფორმებულია საშინელი დებოში. თან ხაზი გაუსვა, მე არ ვაზვიადებო. გაფორმებულია დებოში, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. მაგრამ მოწმეები სულ მილიციის თანამშრომლები არიანო. გაფორმებულია და ამ ბიჭებს მაინცადამაინც კარგი დღე...

ქ. მ. – არ ელოდებათო?

გ. ა. – კარგი დღე არ ელითო. ოღონდ დამიჯერეთო, ყველაფერს გავაკეთებო, რომ ეს საქმე ჩაიფარცხოსო... როგორმე ჩაიფარცხოსო. და რატომ, – მამამ ჰკითხა. და იცით არა უპასუხა ამაზე მამას? ისინი ხომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები არიანო. მაშინ უნივერსიტეტი სოხუმში არ იყო და უნივერსიტეტი თბილისშია მხოლოდ.

ქ. მ. – ერთი უნივერსიტეტია მხოლოდ!

გ. ა. – это же наш университет! „ეს ხომ ჩვენი უნივერსიტეტია!“

ქ. მ. – დედაა!

გ. ა. – აბა, მახსოვს, რომ ზუსტად ეს სიტყვები თქვა!

ქ. მ. – აი, როგორი დამოკიდებულებაა! დამოკიდებულება დედაქალაქისადმი და მართლაც, დედა უნივერსიტეტისადმი!

გ. ა. – ყველაფერს გავაკეთებო! მე მაქვს უფლება, ეს ბიჭებიო ხელწერილით როგორმე პატიმრობიდან დავიხსნაო. იმაში არიან, წინასწარი პატიმრობის კაბინაში.

ქ. მ. – კაპეზე ერქვა მგონი მაგ კაბინას...

გ. ა. – ხო, კაპეზე. უნდა როგორმე გამოვუშვაო, თქვენ თუ თავდებში დაუდგებითო სამივეო...

ქ. მ. – დავმშვიდდი!

გ. ა. – მამა იყო და ერთი მეგობარი, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომელი. მეგობარი იყო და წამოვიყვანეთ ისიც. ჩვენ ვუთხარიო, რომ სამივე მზად ვართ.

ქ. მ. – როგორ ირჯებით, ბატონო გოგი, სამივე იმ სტუდენტისთვის...

გ. ა. – მე თვითონ მოვაგვარებო. თურმე ეს ბიჭი ყოფილა რიგითი მოსამართლე.

ქ. მ. – ააა, ეს ვინც დაგხვდათ, ხომ?

გ. ა. – ჰოო, ეს მოსამართლეა ეს ბიჭი! ის თავმჯდომარეა, ვისთანაც მივდიოდით. დაელოდეთ სადამომდეო. მე თვითონ სოხუმში მოვდივარ

საღამოსო. სოხუმში წამოვიყვან მე თვითონო და მერე მატარებლით თბილისში წავლენო.

ქ. მ. – აი კაცი, აი მოსამართლე ბიჭი! ბრავო!

გ. ა. – მოკლედ, საღამოს ეს ბიჭები მოვიდნენ ჩვენთან სახლში. მართლაც, თვითონ ჩამოიყვანა სოხუმში ამ ახალგაზრდა მოსამართლემ. და მერე გამოვუშვით თბილისში.

ქ. მ. – თქვენ ყოჩაღ, როგორი გვერდში დგომაა, ბატონო გოგი!

გ. ა. – მეორე დღეს იმ ბიჭის მამამ დარეკა. ამათგან მეორე ბიჭს არც კი შევხვედრივარ. ამას ვიცნობდი კარგად. ძალიან კარგად! მერე გახდა ცნობილი ისტორიკოსი, არქეოლოგი. არ მინდა ეხლა გვარის დასახელება. მაგრამ აი, ახალგაზრდობაში ასეთი ამბავი მოხდა.

ქ. მ. – დიახ, ხდება ხოლმე ამდაგვარებიც!

გ. ა. – ახლა ბიძაჩემს, კოტე სიჭინავას, შენ იცნობდი კარგად!

ქ. მ. – კიი, კიი! თან როგორ კარგად ვიცნობდი! და როგორ მიყვარდა ბატონი კოტე სიჭინავა, როგორ პატივს ვცემდი!

გ. ა. – კოტე სოხუმში დიდი კაცი იყო, ანტენიანი ვოლგა ჰყავდა სამსახურის. ვკითხე, შენ როგორ არ იცი ეს ამბავი-მეთქი?

ქ. მ. – ეს ამბავი... ამ სტუდენტების?

გ. ა. – დიახ! როგორ არ ვიციო! ყველაფერი ვიციო, იქ რო ჩახვედით, ისიც ვიციო. ის ბიჭი ვინც არის, ვიციო. ნუ, მაან კარგი! თითქოსდა ამით გათავდა ყველაფერი და! გავიდა კაი ხანი... ერთ ღამეს ტელეფონი რეკავს. მე აი ის ვარო, გუდაუთის მოსამართლე აი, ის ადამიანი, რომელმაც როსტოვის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობდა გუდაუთაში. მირეკავს სახლში. გოგო, მე არ ვიციო, მაღლობა როგორ გადაგიხადო. მე ვუთხარი, შენ რისთვის უნდა გადამიხადო მაღლობა. არა, აი ბიძაშენს როგორმე მაღლობა უთხარიო, მეო არ გამიკარებს ეგო, მაღლობა უთხარი როგორმეო, რომ ამოდენა პატივი მცა და ჩემი თავი დაანიშნინა გაგრის სასამართლოს თავმჯდომარედო.

ქ. მ. – ოო, რა მაგარია!

გ. ა. – მეო არაფერი გამიკეთებია.

ქ. მ. – ანუ არც ჩაწყობები და ამდაგვარი არაფერი არ გამიკეთებიაო, ამას გულისხმობდა, ალბათ!

გ. ა. – მერე ვკითხე, მაინც როგორ გააკეთე, რა გააკეთე-მეთქი. არც არაფერიო, ესო გვარად იყო... მეგრული გვარი ჰქონდა მილიციონერს. არ უყვარდათო არც გუდათელებს, და არც-არავის. აფხაზი იყო. რამდენიმე მილიციონერი უბრალოდ გაახელა და აი ისე დააწერინეს... რა უნდა მექნა, რა უნდა მექნაო? ეს მილიციონერი, იმ დღეს რომ არ მუშაობდა, მთვრალი ნახეს ქალაქში. ხულიგნობისთვის დასაჭერი გახდებოდა. ამ-

ით ვისარგებლე და დავაწერინე, რომ უარს ამბობდა საჩივარზე, ოღონდ თავი დამენებებინა. ეს გაუკეთა ამან, ამ ახალგაზრდამ.

ქ. მ. – გასაგებია!

გ. ა. – მერე ერთხელ კიდევ დამირეკა. კიდევ მითხრა მადლობა!

ქ. მ. – მადლობის თქმა თავისთავად კარგია.

გ. ა. – და ბოლოს იცით, რითი დამთავრდა ეს ურთიერთობები: როცა სოხუმში დაეცა, ეს ბიჭი უკვე მუშაობდა უმაღლეს სასამართლოში. ერთ სახლში ცხოვრობდნენ ბიძაჩემი კოტე, პროფესორი შალვა ინალიფა... მაგათ სახლში, სასტუმრო თბილისის უკან, ცხოვრობდნენ სულ რაიკომის მდივნები, მინისიტრები... ელიტური სახლი იყო და. ენგურგესის სახლად ითვლებოდა ეგ.

ქ. მ. – მახსოვს ის ადგილიც...

გ. ა. – ეს ჩვენი გუდაუთელი მოსამართლე ავტომატით შეიარაღებული, ორი კაცი თუ შევარდა კოტეს ბინაში. დაცხრილა კედლები, სარკეები, ყველაფერი. კოტეს უთხრა:

Константин Николаевич, у вас есть время, отсюда уйти, и идите, куда хотите!

ქ. მ. – ვაიმე!

გ. ა. – მეც გავცოფდი უკვე, ბიძაჩემი კოტე რომ მიყვება ამას...

ქ. მ. – აბა რა იქნებოდა! მეც ავღელდი ახლა ძალიან!

გ. ა. – მე ვუთხარი, კოტე, რათ უნდოდა მაშინ ეს ამდენი მადლობა, ამდენჯერ ჩემთან მადლობებით დარეკვა...

ქ. მ. – მართლაც კი...

გ. ა. – ვერ ხვდებიო – მითხრა კოტემ, ვერ ხვდებიო, რომ გადამარჩინაო! ამით მე გადამარჩინაო. იმიტომ, რომ მას ახლდა ორი ისეთი, ჰყავდა ისეთები, რომლებიც მე მომკლავდნენ იქაო! ამან კი გადამარჩინაო!

ქ. მ. – ოოო, მართლა! ახლა კი მომეწონა ჩვენი გმირის საქციელი.

გ. ა. – მერე მე და ნადული წავედით ნათესავებთან, რომლებიც აფხაზობდნენ... იმათთან ვიყავით სარდაფში რამდენიმე დღე. შენ იცნობდი ბიცოლაჩემს! კოტეს ცოლს, ნადულის...

ქ. მ. – ჩემი საყვარელი ნადული ბებო! როგორ არ ვიცნობდი!

გ. ა. – კოტე და ბიცოლაჩემი ნადული სარდაფში იყვნენ ათი დღე დამალულები. მერე კოტემ მოისაზრა და კაცი გაუშვა ბესლან კობახიასთან. ქალაქში იყო ის. ასე ვარო და როგორმე დამეხმარეო, აფხაზია ისიც. მოვიდნენ, მითხრეს, რამე თუ წასაღები გაქვსო, აიღეთო, წადითო. მიიყვანა ქალაქის საბჭოსთან, გორსავეტთან, ჩასვა ავტობუსში. დაცვას და მძღოლს უთხრა, აი ამ ხალხსო პირადად გაბარებთო. თუ რამე მოუვიდათო, ამას უკვე ბესლან კობახია ამბობს: თუ რამე მოუვიდათ, იცოდეთ, არ გადამირჩებითო! ენგურამდე მიიყვანეთო, მერე გაუშვითო.

ქ. მ. – ოოო!

გ. ა. – მიგვიყვანეს ენგურამდე. იქ გვითხრეს, რომ მეტი ჩვენ არაფერი შეგვიძლიაო. გადავედით ხიდზე. ამასობაში აქ, თბილისში, ჩვენ მათ ვეძებთ. ქალაქში ლტოლვილების ჯგუფები ჩამოდიოდნენ. დავდივარ ლტოლვილებში. ვნახე დიმა ჯაიანი. ვკითხე: დიმა, კოტე ხომ არ გინახავს? როგორ არ მინახავსო. ზევით ვნახეო, იმაზეო, პერევალზეო. თვითონ იქიდან ფეხით წამოვიდა ხომ. და მერე... მერე, ალბათ, გამოჩნდება დღეს... ხვალ... დიმას სინამდვილეში არც უნახავს ეგა, იმიტომ, რომ დიმას ეგონა, რომ კოტე მოკლეს სოხუმში და მე ამ პასუხით დამამშვიდა. მოკლედ!

ქ. მ. – თქვენს დასამშვიდებლად გითხრათ, უღელტეხილზე ვნახეო.

გ. ა. – მერე მართლა გამოჩნდნენ კოტე და ნადული რამდენიმე დღეში. რუხიდან გადასულან ზუგდიდში. იქ ნათესავებიც გვყავდა... და იქ უკვე... ისედაც კოტე მარტო სოხუმელი არ იყო. კოტე ერთნაირად დაფასებული კაცი იყო მთელ დასავლეთ საქართველოში.

ქ. მ. – დიახაც იყო ძალიან, ძალიან დასაფასებელი კაცი! **ჩემი ძალიან დიდი პატივისცემა კოტე სიჭინავას სახელს!**

ბატონო გოგი, ახლა ვისაუბროთ წერილზე, რომელიც თქვენ მისწერეთ ვანო თარბას. ეს ხმაურიანი ამბავი იყო აფხაზეთში. მე დეტალები არ ვიცი, ამიტომ იქნებ თქვენ მომიყვით!

გ. ა. – ეს წერილი თან არ მაქვს. მაგრამ ჩემს არქივში აუცილებლად იქნება.

ქ. მ. – როდის მისწერეთ ვანო თარბას?

გ. ა. – ადრე, საკმაოდ ადრე! უკვე იყო ცნობილი ბზიფის წერილი.

ქ. მ. – ლიხნის წერილიც, მგონი?!

გ. ა. – ადრე... წელი შეიძლება ზუსტად არ მახსოვდეს. გამოვიდა გაზეთი „აიდგილარა“ და აქ წერილია ვანო თარბასი. მამაჩემი ჰყავს გალანძღული ძალიან. „ისტორიის მასწავლებელი, რომელიც ყოველთვის სხვისი დავალებით მოქმედებს“, ასეთი წინადადებებია ამ წერილში. ამ დროს რა დავალება, რისი დავალებები... მამა უპარტიო იყო ყოველთვის და, შესაბამისად, არავის დავალებებს არ ასრულებდა!

ქ. მ. – ვააა, რა ცილისწამებაა!

გ. ა. – ეს წერილი რომ წავიკითხე, გამიკვირდა. ეს წერილი ვანო თარბას დაწერილი როგორ არის-მეთქი, მამას სტუდენტი იყო, სახლში მოდიოდა ჩვენთან.

ქ. მ. – და მით უფრო საწყენია მაშინ, უფრო შეურაცხყოფელიც...

გ. ა. – მე ახლა ამ წერილზე არ გესაუბრებით, მე მოგცემ შენ ამ წერილს, წაიკითხე, თუ გინდა.

ქ. მ. – მართლა, ბატონო გოგი, კი, რა თქმა უნდა, ძალიანაც მაინტერესებს!

გ. ა. – წაიკითხე და მერე შენ თვითონ გააანალიზე!

ქ. მ. – აი თუ გადმომცემთ, წერილს ამ წიგნშიც დავბეჭდავ. მაინტერესებს ძალიან!

გ. ა. – მოკლედ, მე დავწერე პასუხი ამ წერილის! დავწერე ძალიან მწარე წერილი, ოღონდ აბსოლუტურად...

ქ. მ. – აკადემიურად?

გ. ა. – ეთიკურად, აკადემიურად! მახსოვს დასასრული ფრაზებიც: ეპისტოლური ჟანრი მოითხოვს ადრესატისადმი გარკვეული პატივისცემის ფორმულას. ამ შემთხვევაში თავს უფლებას ვაძლევ, ამ მოთხოვნით არ ვისარგებლო.

ქ. მ. – რა ორიგინალური „ეპილოგია“, ბატონო გოგი!

გ. ა. – ამ წერილით, ჩემი პასუხით მე მივედი შამბასთან... რომელიც ახლა იმათი პრემიერ მინისტრია თუ რაღაც ამგვარი....

ქ. მ. – მგონი საკმაოდ მაღალ თანამდებობაზეა შამბა.

გ. ა. – სერგეი მირონოვიჩ და მაშინ ვიცნობდი როგორც რუსლანს. მივედი და ვუთხარი: **Сергей Миронович, я хочу, чтоб вы это письмо в „Аидгылара“ напечатали бы не на русском, а на абхазском языке...**

ამან მითხრა, რომ რა კარგიაო! ჩვენო ეს კაცი მაინდამაინც არ გვიყვარსო. წერილს დავიბეჭდავო... დავუტოვე წერილი. რუსულად იყო დაწერილი.

გ. ა. – გავიდა ერთი დღე... ორი დღე... სამი დღე... არ მირეკავს! უთუოდ წაიკითხა... და არაფერს არ მპასუხობს! ვაცალე კარგა ხანი... მერე მივედი!

ქ. მ. – დელიკატურად და თავაზიანად ხომ?

გ. ა. – მივედი და მეუბნება, **Знаешь, он недавно инфаркт перенёс, жалко человека...** ეთერი კოლონია ხომ ბომბას ემსხვერპლა, მაგის ცოლი. ეზოში ბომბა ჩამოვარდა. აი ის კი ძალიან ცუდი ადამიანი იყო. აქ ქართული თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. ქართულ სპექტაკლებში გამოდიოდა და როცა იქ ჩავიდა, გახდა ერთ-ერთი ყველაზე მოწამლული ანტიქართველი. არადა, აქ ხორავას სტუდიაში სწავლობდა.

ქ. მ. – აი, წარმოიდგინე!

გ. ა. – ვანო თარბა კი ძალიანაც ქართველობდა. მუდამ იმეორებდა: „მოი დრუგ ნოდარ დუმბაძე“! ქართულად ლაპარაკობდა.

ქ. მ. – წერილის „თავგადასავალს“ რომ დავუბრუნდეთ, ბატონო გოგი!

გ. ა. – წერილზე ვუთხარი, რომ თუ არ ბეჭდავ, მაშინ დამიბრუნე.

ქ. მ. – მართლა დავიბრუნათ?

გ. ა. – დამიბრუნა წერილი! გავბრაზდი მაგაზე და... გასაგები იყო ყველაფერი. რომ დამიბრუნა, გამოვედი კაბინეტიდან. ეს იყო ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობაში. მინისტრთა საბჭო თუ გახსოვს?

ქ. მ. – მახსოვს კი, როგორ არა...

გ. ა. – მინისტრთა საბჭო... კუიბიშევის და ფრუნზეს ქუჩების კვეთაზე... იქიდან გამოვედი და ქალაქის საბჭოსთან გენო შემხვდა კალანდია. გენო მაშინ იყო „ბზიფის“, არა, „ოქროს საწმისის“ რედაქტორი, მაქვს შენახული ის გაზეთიც ... გენომ მკითხა, სად იყავიო... და რომ მოვუყევი... უი, არ გადამრიოო, მაიტა, მე დავბეჭდავ ქართულადო... უნდა თარგმნა ქართულადო? არა, მე თვითონ ვთარგმნი-მეთქი...

ქ. მ. – რა რთული დრო იყო...

გ. ა. – წავედი სახლში, ვთარგმნე, მემანქანეს გადავაბეჭდინე და გენოს მივეცი. პირველსავე ნომერში ეს ჩემი წერილი დაიბეჭდა. დაიბეჭდა... ნუ დაიბეჭდა ხმაურით!

ქ. მ. – ამბებიც შესაბამისი მოჰყვა, ალბათ!

გ. ა. – მოგცემ მე შენ მაგ წერილს! ... სიტუაცია საერთოდ იყო რთული. ძან უტიფარი გამოდგა ეს ვანო. ოზკომის მდივანი იყო ეგ. ორმოცდათოთხმეტ წელს მამამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. **აფხაზეთში ისტორიის მეცნიერებათა პირველი დოქტორი, ისევე, როგორც პირველი კანდიდატი, მამა იყო.**

ქ. მ. – ისტორიკოსი ირაკლი ანთელავა!

გ. ა. – ამის მერე დაიწყო ამბები... სტალინის გარდაცვალების შემდეგ ძალიან ამოქმედდნენ ის ადამიანები, რომლებიც რაღაც ამბებში შეიძლება დაჩაგრულები იყვნენ. აფხაზები იყვნენ, ინტელიგენცია ისეთი... საბჭოთა ინტელიგენცია. მაგრამ ნაწყენები იყვნენ და... გასაგებია, იმიტომ, რომ მგელაძის დროს წავიდა ძალიან ისეთი პოლიტიკა... ხშირად სამუშაოდ პარტიული მუშაკები სხვა ადგილებიდან ჩამოჰყავდათ, რაც ადგილობრივების განაწყენიანებას იწვევდა. მაშინ, ყველას სასიხარულოდ (მათ შორის აფხაზების), სოხუმის თეატრის დასში გამოჩნდნენ და დამკვიდრდნენ შესანიშნავი მსახიობები თბილისიდან. ძალიან დიდი სიამოვნებით მიიღო გითხრა, რომ სულ ახლახან გამოვიდა, სამწუხაროდ, ძალიან პატარა ტირაჟით, **ბრწყინვალე წიგნი „სოხუმის თეატრი გისმენთ“**. მისი ავტორია სოხუმის თეატრში გაზრდილი მსახიობი ლიანა მიქაშავიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ნიკოლოზ მიქაშავიძის ქალიშვილი. თეატრში მოღვაწეობდა ქართველი მსახიობების საოცარი დასი.

ქ. მ. – ამაზე მსმენია მხოლოდ...

გ. ა. – სტალინის გარდაცვალების შემდეგ უცებ წამოყვეს თავი სეპარატისტებმა, მე ასე ვიტყვი, მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ აფხაზური დასის მსახიობები..

ქ. მ. – დიახ, დიახ... სეპარატისტებმა!

გ. ა. – მაგრამ იცით, რაა... რაღაცაში შეიძლება არ გაამტყუნო... მაგალითად, აფხაზი ბავშვის რუსულ სკოლაში სწავლა ერთგვარად პრობლემატური იყო. მაშინ აფხაზეთში აფხაზური სკოლები არ იყო. სოხუმში კი საკმოდ დიდი სომხური სკოლა მოქმედებდა.

გ. ა. – ახლა რატომ ვამბობ ამას: დანარჩენებს კი სწავლა უფრო ქართულ სკოლაში უხდებოდათ – ჩემს კლასში სწავლობდა ბაგაპში. კაი ბიჭი იყო, ზაურ ბაგაპში, რომელსაც ძალიან უჭირდა ქართულად ლაპარაკი. მაგრამ რუსულ სკოლაში არ შეიძლებოდა, რომ ესწავლა.

ქ. მ. – აი, რითი ასაბუთებდნენ ამას, ამ აკრძალვას, რომ რუსულ სკოლებში არ შეეძლოთ სწავლა?

გ. ა. – არაფერს არ ასაბუთებენ! არა, უბრალოდ აფხაზი უნდა იყოს ქართველი. გიორგი ძიძარიამ მითხრა ერთხელ, რომ მე მაქვსო პატარა წიგნი დიმიტრი გულიასი, რომლის სათაურია: **Абхазы – Грузины**. მე ვერ მოვასწარი ამ წიგნის ნახვა. ლაკობადან წამოვიდა ეს ამბები.

ქ. მ. – არადა – არქივები ხომ გაიხსნა ახლა ოციანი, ოცდაათიანი წლებისა... და ბევრ საინტერესო საქმეს აეხადა ფარდა, ბევრი ახალი ინფორმაცია გახდა ცნობილი.

გ. ა. – ახლა ეს ამბები ჯამბულ ანჩაბაძემ ჩემზე კარგად იცის, რა თქმა უნდა. და აი ამ პროცესს აყვავანო თარბა იმიტომ, რომ აფხაზი იყო ისეთი, რომ ამ აფხაზებისთვის თავისი გულისხმიერება, თავისი გულშემატკივრობა გამოეხატა.

ქ. მ. – ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო, ჩვენ ერთი გვაქვს მიწა. და ეს მიწა აფხაზეთისა ხომ ძირძველი საქართველოა!

გ. ა. – ერთ დღეს... მახსოვს წვიმიანი ნოემბერი იყო, საათის ოთხი იყო, შეიძლება უფრო ადრე... კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. გავაღე კარი, გავიხედე... სამნი დგანან. ორ კაცს არ ვიცნობდი, მესამეს ვიცნობდი. მესამე იყო არქეოლოგი სანდრო კალანდაძე, ცნობილი, მამას მეგობარი, რომელთანაც ერთად ბევრი საინტერესო დრო გაიარა მამამ, ლენინგრადში სწავლობდნენ ესენი. და ეს ორი კი აღმოჩნდა: ერთი – ბატონი ანდრო აფაქიძე, იგივე ანდრია აფაქიძე, მეორე – ნიკო ბერძენიშვილი.

ქ. მ. – კორიფეები ქართული ისტორიოგრაფიისა!

გ. ა. – წვიმიანი დღე იყო და ...ნუ მობრძანდით, მობრძანდით... და ირაკლი სად არიო? – იკითხეს. არ ვიცი, დედამ თქვა, დააგვიანდაო რაღაცა... მოკლედ სანამ ჩვეულებრივი ამბავი მასპინძლობისა და ამასობაში მამაც მოვიდა.

ქ. მ. – მამათქვენი -კოლორიტული ირაკლი ანთელავა!

გ. ა. – მოვიდა მამა, საშინლად შეწუხებული და აი, მახსოვს ბატონი ნიკოს სიტყვები: რაო, ყმაწვილო, ჩვენი მოსვლა გეწყინაო? რა ხასიათზე ხარო?

აღმოჩნდა, რომ მამა მოდიოდა ოზკომიდან თარბასგან, რომელმაც უთხრა, რომ თქვენი შემდგომი ყოფნა აფხაზეთში მიზანშეუწონელიაო.

Ваше дальнейшее пребывание в Абхазии нецелесообразно–ო. და ამან მამა გადარია!

ქ. მ. – აბა რა იქნებოდა! გადაირეოდა, აბა რას იზამდა! წარმოიდგინე, გაგდევენ საკუთარი ქალაქიდან.

გ. ა. – ერთი სიტყვით, ბატონმა ნიკო ბერძენიშვილმა უთხრა მამას: კალამი გაქ, მელანი გაქ, მაშინ ავტორუჩკები ისე არ იყო (მოდაში!) ქალაქიდან გაქ... დამსვი რა და დამაწერინე რაღაცაო... დამიწერეო... და დააწერინა განცხადება ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. ხვალიდანო, ახლა ჩვენ მივდივართო თბილისში, ხვალ სამსახურში რომ მივალ, ბრძანებას გამოვცემ და შენ იქნები უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ისტორიის ინსტიტუტში, აკადემიის. ერთ წელიწადში განყოფილებას გაგიხსნიო, ბინითაც დაგეხმარებო. აი ეს ყველაფერი გააკეთა იმ კაცმა.

ქ. მ. – ნიკო ბერძენიშვილმა?

გ. ა. – ნიკო ბერძენიშვილმა გაუკეთა. კარლო კალამე ცხოვრობდა გულრიფშში. აგარაკი ჰქონდა რაღაც საოცრად გემრიელი, გულრიფშში. კარლოს შვილი ჩემი მეგობარი იყო. ჩვენ ვმეგობრობდით. გულდა კალამე მოქანდაკე იყო. პიცუნდაში ქანდაკებები მაგის გაკეთებულია. დაბადების დღე აქვს ოცდარვა აგვისტოს...

ქ. მ. – მარიამობას ესე იგი... რა კარგია ასეთი ლამაზი დღეები!

გ. ა. – ამ დაბადების დღეებზე არის როგორი ღრეობა, იცი?! პურმარილია სავსე! ჩამოდიან თბილისიდან მხატვრები, მწერლები... ნოდარ დუმბაძე იქვე. ცხოვრობს იქვე, გვერდით... ზურა ლეჟავა.. გულრიფშში იყო აი, სხვანაირი ადგილი! სხვათა შორის, კოლმეურენობის თავმჯდომარე გულრიფშის – დავითაია ოთარი აფხაზეთმა დახვრიტეს იმიტომ, რომ აი ის ადგილები დაურიგა ქართველ მოღვაწეებს. და დედა უტირეს, არ შეარჩინეს. იყიდა ბინა. ერთი სახლი ვანო თარბამ იყიდა. გვერდით არის იმასთან, კარლო კალამის აგარაკთან, ერთი ღობე ყოფს მხოლოდ. სულ ერთად არიან და ვანო არის ხშირად აქ თამადა... საღამოს პურმარილია. დიდი სუფრაა. მოსკოვის ტაგანკის მსახიობები არიან ჩამოსულები. კარლო გიჟდებოდა, მოდიან, მოდიანო... კაცო, რა გაუძლებს ამათო დაა... ჩამოვიდა ავიაციის მარშალი, ხრუშჩოვის ნათესავი **სუდეცი**, მან ჩამოიყვანა **ნიკიტას შვილიშვილი იულია პეტროვა**, რომელიც ნიკიტას მამით მოიხსენიებდა.

ქ. მ. – ხრუშჩოვის შვილიშვილი?

გ. ა. – ხრუშჩოვის ჰოო, აი ეგეთი ქალი... დედაა, რა კარგი გოგო იყო! შარშან მატარებელმა გაიტანა. აღარ ესმოდა ყურში.

ქ. მ. – რა სამწუხაროა!

გ. ა. – ოო, სიბერეს მოაქვს ბევრი უცნაური სენი.

ქ. მ. – ბატონო გოგი, რა უნდა თქვენთან სიბერეს, ისე მხნედ ხართ და ისე ახალგაზრდულად გამოიყურებით.

გ. ა. – ჰოდა, გიყვებოდი იმას, რომ ძალიან დიდი სუფრაა კარლო კალაძესთან და **თამადად ტრადიციულად დადგა ვანო თარბა**. დადგა რა, დააყენა კარლო კალაძემ, როგორც წესია ხოლმე... მოკლედ ამ სუფრის დროს **ვანო თარბამ აიღო სადღეგრძელო აფხაზეთში ქართველების... და მამაჩემს ადღეგრძელებს**. ავდექი და ვუთხარი, ივანე კანსტანტინოვიჩ, მე ამის უფლებას არ გაძლევთ-მეთქი.

ქ. მ. – ოოო...

გ. ა. – ლაწირაკი ვიყავი, კი... უკვე დამთავრებული მქონდა უმაღლესი, ვმუშაობდი, მაგრამ ამ ცინიზმმა გადამრია. და დამიანე წამოხტა გოგო-ხია. ისიც აქაა იმიტომ, რომ მარშალი ჩამოვიდა ვიღაცა და ხრუმოვოს შვილიშვილია და ...რაო გოგიო, ეს რას ნიშნავსო. მე ვუთხარი, მან თვითონ იცის, რასაც ნიშნავს-მეთქი.

ქ. მ. – რა მემზოხე ყოფილხართ, ბატონო გოგი!

გ. ა. – წარმოიდგინე, ხმა არ ამოუღია. ადგა. მოტრიალდა და წავიდა თამადა!

ქ. მ. – აი თქვენი ამბოხის შედეგი: თამადის წასვლა, ეს დიდი შეურაცხყოფაა, მოგეხსენებათ!

გ. ა. – დამიანე ძალიან სწორი და კარგი კაცი იყო. გოგი, რახანც ეს კაცი გააქცეე, ახლა შენ უნდა უთამადო სუფრასო. აი, ეს გავუკეთე! მერე ეს წერილი დაიბეჭდა... მისი წერილი. და იმაზე კიდევ ვუპასუხე. წერილს წაგაკითხე იმიტომ, რომ ისე მე ვერ მოგიყვები, როგორც იქ მიწერია, როგორც მაშინ ვწერდი...

ქ. მ. – აუცილებლად, ბატონო გოგი!

გ. ა. – რა იყო! აფხაზებთან ურთიერთობის შენარჩუნება, იცით, ძალიან კარგად შეიძლებოდა. მაგრამ ბევრი არასწორი ნაბიჯი გადაიდგა. ბევრი არასწორი, რომელიც ვერც ქართველებმა გაიგეს და ვერც – აფხაზებმა. შეიძლება განგებ გაკეთდა ეს, შეიძლება – არა!

რაც შეეხება იქ, თვითონ არძინბას ჩამოყვანას. რასაც მე მოგიყვებით, შეიძლება ეს არც კი გაუგიათ, იმიტომ რომ ეს პირადად ჩემი ურთიერთობაა.

ქ. მ. – ამიტომ არის ჩემთვის ასეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი სოხუმში მომხდარი ამბები უმუალოდ თქვენი მონაწილეობით.

გ. ა. – გარდაიცვალა გიორგი ძიძარია.

ქ. მ. – არძინბაზე და გიორგი ძიძარიაზე მერე მომიყევით და ჩავწერ. თქვენს ბავშვობაზე მაინტერესებს ძალიან!

გ. ა. – ჩემს ბავშვობაზე რა უნდა გითხრათ...

ქ. მ. – ბევრი რამე, ბატონო გოგი! დარწმუნებული ვარ, საინტერესო და ლალი ბავშვობა გექნებოდათ!

გ. ა. – გიორგი ძიძარია იყო აფხაზი ლიხნიდან! ოღონდ იყო აი, ძალიან, ძალიან დიდი კაცი. დიდი კაცი იყო, პირდაპირი. ჯერ ერთი, საოცრად განათლებული, პროფესიონალი და არასდროს არ დაჩოქილა არავისთან. ყოველთვის იყო პირდაპირი, სწორი კაცი!

იცით, ზოგი კარგად ცხოვრობს და ზოგი სწორად ცხოვრობს!

ქ. მ. – დიდი სიბრძნეა ამ სიტყვებში, ბატონო გოგი!

გ. ა. – **სწორად ცხოვრება ზოგჯერ არაა კარგად ცხოვრება!** უფრო უჭირთ ასეთებს...

ქ. მ. – კი ბატონო, ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული **სწორად ცხოვრება!**

გ. ა. – რომ გარდაიცვალა გიორგი ძიძარია, მე თბილისიდან წავედი გასვენებაში. მევალეოდა წასვლა! მამა რომ გარდაიცვალა, დილით მატარებელი რომ ჩამოვიდა სოხუმიდან, ვაგონები ხომ არ მოუბეს კიდევ დამატებით-მეთქი, ვიფიქრე, იმდენი ხალხი ჩამოვიდა. მამა მოულოდნელად გარდაიცვალა ერთ წუთში.

ქ. მ. – რომელი წელია?

გ. ა. – მამა სამოცდათვრამეტში გარდაიცვალა.

ქ. მ. – და მთელი... მთელი აფხაზეთი ჩამოვიდა... მთელი სოხუმი.

გ. ა. – იქ არ იყო ასე... აფხაზი, ქართველი... სუყველა, რაა. გეუბნები, იმდენი რაოდენობა იყო ხალხის, რომ ვინ დარჩა სოხუმში, არ ვიცი. ამათ შორის, რა თქმა უნდა, იყო გიორგი ბასილაია...

ქ. მ. – გიორგი ძიძარია!

გ. ა. – მაპატიე, ბასილაია სხვა რამეზე გამახსენდა... მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო გიორგი ძიძარია. აი ბასილაია შოთა კი იყო სრული ანტიპოდი გიორგი ძიძარიასი, ფიზიკურადაც და ადამიანურადაც! წავედი გასვენებაში. სოხუმის თეატრიდან იყო გამოსვენება. ამ დროს ბორის ადღეიბა იყო პირველი მდივანი. კარგად ვიცნობდი. დიდი განსხვავება ასაკში არ იყო. თუმცა მაინც იყო. მაგრამ ჩემთან, მაგალითად, ურთიერთობაში ის **არ მდივნობდა**, იყო ჩვეულებრივი ბორია. სანადიროდაც დავდიოდით და რაღაც ასეთი ამბებიც იყო. ოღონდ პურმარილში არასდროს არ ვხვდებოდით ერთმანეთს იმიტომ, რომ არ იყო საჭირო. აქაც შეხვედრა იყო ჩვეულებრივი. შენ იმას იცნობ, არ იცნობ.. ასე არა! ვიყავით, ჩვეულებრივი ურთიერთობები გვქონდა. კოტეს მეგობარიც იყო და... კოტეს კიდევ ვამბობ იმიტომ, რომ ეს ჩემთვის საამაყო ადმიანია ყველანაირად.

ქ. მ. – უნდა ვთქვა მეც, რა, გეხვეწებით, მათქმევინეთ: მე საოცრად მიყვარდა ბიძათქვენი – კოტე სიჭინავა. იმ ოჯახში ხომ ყველა ძალიან მიყვარდა და მიყვარს: კოტეც, ნადუღიც, მათი შვილებიც, სიძეებიც, შვილიშვილებიც... მაგრამ კოტე მაინც განსაკუთრებულად. კოტე ყველასგან გამორჩეულია! ამ ასაკშიც კი, ოთხმოცდაათს იყო მიტანებული, და როგორი ჯენტლმენური მანერები ჰქონდა, როგორი მისალმება, როგორი მოკითხვა. ისე მიხაროდა კოტესთან შეხვედრა და საუბარი. სვანური ქუდით რომ დავინახავდი, მაშინ სხვანაირად მიხაროდა მასთან შეხვედრა! ჩემს შვილებს – ნინოს და ანანოს – როგორ მოიკითხავდა, იცით? აბა, როგორა გყავს ვაჟკაცები? **კოტე სიჭინავას გახსენებისას თვალწინ წარმომიდგება მხოლოდ სიდიდე და სიდიადე, კეთილი და ღიმილიანი სახე...**

გ. ა. – თავადი ჯაიანი! კოტე იყო ჯაიანი! სიჭინავა არ იყო კოტე. სიჭინავები არიან ვარჩელები. ვარჩეში გაიზარდა. კოტე გაზარდეს სიჭინავებმა...

ქ. მ. – ვიცი, ბატონო გოგი, ეს ისტორიაც ვიცი. აქვთ ეს ჩემთან მოყოლილი ირას და ნადუღი დეიდას...

გ. ა. – ჰოდა, იმ დღეს ბორია ადლებოდა იყო იქ. და როცა დაიწყო თეატრიდან გამოსვენების რიტუალი, მკითხა, შენო მიდიხარო იქ, პანთეონშიო... არა-მეთქი, ვერ წავალ! მაშინ დამელოდეო, სალაპარაკო მაქვსო შენთანო. გამიკვირდა ახლა, რა სალაპარაკო აქვს. დაველოდე. ოღონდაც კაბინეტში არ შევსულვართ. ობკომთან იქვე ახლოს. გავედით ასე, ბესლეთის შესართავთან. დავდექით... იქ, ჩვეულებრივ, ეკვალიპტებია ბევრი... და მეკითხება: შენ არძინბას იცნობ? მე ვუთხარი, ვიცნობ-მეთქი. საიდან? ვუთხარი, ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის... წელიწადში ორჯერ, სამჯერ მაინც ჩავდივარ იქ... იმათი განყოფილების გამგე, პირველი, რომელიც დღეს აღარაა, მეორეც და მესამეც – ჩემი მეგობრები იყვნენ. ერთი იყო აკადემიკოსი კოროსტოვცევი, მეორე იყო პროფესორი კაცნელსონი... და ახლა არის პროფესორი ბონგარდ-ლევინი. სამივე ეგვიპტოლოგი იყო და მართლაც, ყველასთან მეგობრობა მაკავშირებდა. აღმოსავლეთმცოდნეობის მთელი ინსტიტუტი თბილისში, მოსკოვში ძირითადად... ლენინგრადში ნაკლებად, ერთი ოჯახივით ვიყავით.

ქ. მ. – აღმოსავლეთმცოდნეები ანუ ორიენტალისტები! ასეთი ურთიერთობა თუ იყო ამ ქალაქების შორის... კი არ ვიცოდით!

გ. ა. – დღეს, ახლა შენთან შეხვედრამდეც, სახლში ვათვალიერებდი, რა ხალხს აქვს წიგნები ნაჩუქარი. ორიენტალისტები იყვნენ, შეიძლება ითქვას, ცალკე კასტა იყო მართლა!

ქ. მ. – რა კარგია, ბატონო გოგი, ასე ტკბილად რომ გახსენდებათ!

გ. ა. – ერთი ოჯახივით ვიყავით ჩვენ, ეს მთელი ორიენტალისტები.

ქ. მ. – ვიცი... აღმოსავლეთმცოდნეობა რომ სამეცნიერო სამყაროსთვის ორიენტალისტიკაა. სხვათა შორის, მარი ბროსეც ორიენტალისტი იყო. მერე გახდა ქართველოლოგიის ფუძემდებელი ევროპაში, თორემ თავიდან აღმოსავლეთის სივრცე აინტერესებდა.

გ. ა. – კი, კი, მარი ბროსე... ეგ იყო ორიენტალისტი, თუ იყო! ეგენი სუყველა! გრიბოედოვიც ორიენტალისტი იყო. ოღონდ როგორც ორიენტალისტმა დიდი შეცდომა დაუშვა, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. არ შეიძლებოდა სპარსელი ქალის დამალვა რუსეთის საელჩოში, რომელიც ქმარს გამოექცა... ამას ვინ გაპატიებს, კაცო... ეს ისლამია!

ქ. მ. – ისლამის კანონები მკაცრია, ჰოო...

გ. ა. – და მოკლედ, ადლებას ვპასუხობ, ჰოო, ვიცნობ არძინბას-მეთქი. აი, თხოვნა მაქვს შენთანო არა, ეს უფრო გვიან იყო! ცოტა დროში ავირიე? ერთ ზაფხულს, სოხუმში მაიმუნების პიტომნიკში წავიყვანე ჩემი პატარა ბიჭი, ცხონებული... ჩემი ირაკლი. უნდა გვენახა აკადემიკოს ბორის ლაპინის – დირექტორის, ამ ინსტიტუტის... ეს ინსტიტუტი იყო...

ქ. მ. – საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტი, როგორც მახსოვს.

გ. ა. – კიი, მთელი კოსმონავტები იქ გადიოდნენ მომზადების ერთ-ერთ ეტაპს... წავიყვანე რატომ... იქ ლაპინის კაბინეტში, გალიასავით შუშის აკავრიუმში პატარა ნიანგი ცოცხალი ჰყავდათ და ჩემ ბიჭს ვანახებ-მეთქი ამას. დაბლა ვდგავარ დირექციის შენობასთან, დაბლა... გაჩერდა სოჩის ავტობუსი. ისეთი აი, სამთავრობო ავტობუსი. გაიღო კარი, ჩამოვიდა პრიმაკოვი და ვიღაცეები... ძან კარგი ურთიერთობა გვქონდა პრიმაკოვთან. შევხვდით ნუ, ჩვეულებრივად. როგორც ნუ თბილისელი კაცია, გადავკოცნეთ ერთმანეთი და მითხრა, რომ ხუთი წუთი დამელოდე. ესენი ამერიკელი სენატორები არიანო, ლაპინთან ავიყვანო ზევით და ჩამოვალო, სალაპარაკო მაქვსო. კი, ბატონო-მეთქი. პრიმაკოვი მაშინ საკავშირო აკადემიის ინსტიტუტის დირექტორია, მე საქართველოს აკადემიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვიყავი. გვქონდა ძალიან ვიწრო მეცნიერული ურთიერთობები, დისერტაციების გაცვლა-გამოცვლა, ჩასვლა-ჩამოსვლა, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, სესიები. მაშინ ახლანდელი აკადემია კი არ იყო, ის აკადემია იყო...

ქ. მ. – დიახ, საბჭოეთის აკადემია. საკავშირო მნიშვნელობისა.

გ. ა. – არძინბას იცნობო? კი-მეთქი... საიდანო? მე ვუთხარი – თქვენი განყოფილებიდან. და როგორი კაცია? რას ჰქვია, როგორი? რამდენჯერ იქ არ შევედი, თვალებში არ გიყურებს, მუდამ დაბოლმილია... იქ ერთხელ რომ ჩავედი, განყოფილების კოლეგებმა თბილისიდან ჩამოსული კაცის საპატივცემლოდ პატარა „საბანტუიჩიკი“ მოაწყვეს. დაუძახეს არძინბას იმიტომ, რომ იციან, მეც ხომ სოხუმელი ვარ. არძინბა აი არ

განძრეულა. ესე იყო. პირველად შევხვდი. არ ვიცნობდი არაფერი და. ასე რომ იყო, ვიფიქრე, შენი დედაც ვატირე, რაც გინდა, იყავი!

ამას მერე მოსდევს პრიმაკოვის ასეთი სიტყვები: შენო თბილისში როდის იქნებო? ვუთხარი, ამაღამ მივდივარ მატარებლით და დილით იქ ვიქნები. ძალიან გთხოვო, შედიო თამაზ გამყრელიძესთან და გადაეცი, არ დაუშვას არძინბას სადოქტოროს დაცვა იმიტომ, რომ სადისერტაციო საბჭო მაქვს მე ჩემს ინსტიტუტში, სადაც მუშაობს არძინბა და კეთილი ინებოს, იქ დაიცვას დისერტაცია.

ქ. მ. – გასაგებია!

გ. ა. – მე ვიცოდი, რამ გამოიწვია მისი გაბრაზება: საქმე იმაშია, რომ როდესაც გამოვიდა შალვა ინალიფას წიგნი აფხაზების ეთნოგენეზის შესახებ, მან ინსტიტუტის თანამშრომლებს აუკრძალა ამ წიგნზე რეცენზიის დაწერა. უთხრა, თქვენ ნუ გაერევით მაგ საქმეშიო, მაგრამ რეცენზია მაინც დაიწერა ორი კაცის სახელით: ერთი იყო არძინბა, მეორე კი – ედუარდ გრანტოვსკი. ახლა გამყრელიძეს ვთხოვ, არ დაუშვასო დაცვაზეო. მე ავკრძალეო და მაგათ მაინც დაწერესო რეცენზია. კოროსტოვცევი იყო უკვე მეტად ასაკოვანი აკადემიკოსი. სიმპატიური, წარმოშობით თბილისელი იყო. კოროსტოვცევის ოჯახში ინალიფას გოგო იყო. ცხოვრობდა. თან ეხმარებოდა მოხუცებს, თან სწავლობდა მოსკოვში. წიგნი იწყებოდა აკადემიკოს კოროსტოვცევის წინასიტყვაობით, რომელშიც ავტორი ცამდეა აყვანილი. მაგათ დააწერინეს არძინბას ამ წიგნზე რეცენზია. რომ ეს საქეზარი ენციკლოპედიაა და ასე... ასე... ასე... წიგნი რომ განახოთ, ერთადერთი თავი, რომელიც ენას ეხება, სუფთაა სულ. დანარჩენი? ნუ მამა ისტორიკოსი იყო, სულ აჭრელებულია ყველა გვერდი. და ბოლოს ვკითხე, მე ვუთხარი, რამ დაგაწერინა ამდენი რაღაცეები? ესო ენციკლოპედია კი არა, ეს არისო ტაკიმა-სახარაობაო. ნუ რეეები წერია, გაგიჟდები, რომ წაიკითხო!

ქ. მ. – მაინც რა წერია?

გ. ა. – წერია აქ, მაგალითად: კოლხები აფხაზები არიან. რატომ? იმიტომ, რომ რაღაც გვარი მოაქვს, დურიფშის რომელიღაც მაცხოვრებელმა თქვა, რომ კალხი, კელხი ეს რაღაც... აი ასეთი აბსურდების წიგნია.

ქ. მ. – და გამყრელიძე რა შუაშია?

გ. ა. – თამაზ გამყრელიძე, ნანა ხაზარაძე და კუკური გიორგაძე ძალიან ბალელშიკობენო მაგას და ცდილობენ, დაეხმარონ. არ არის ეს ჩემი მოგონილი ფრაზები. ეს პრიმაკოვის სიტყვებია!

ქ. მ. – გაგვიჟდი!

გ. ა. – არ არის ეს კაცი ღირსი, რომ დაეხმარონ. მოვიდეს, მე სამეცნიერო საბჭო მაქვს, დაიცვას აქ. და კი, ბატონო!

ჩემი და პრიმაკოვის ამ საუბრის მერე, მეორე დღეს ველაპარაკე თამაზ გამყრელიძეს. თამაზის რეაქცია იყო: „კარგი რა... პრიმაკოვი რა მეცნიერია“- ვუთხარი, მაგი კაკებეშნიკია! აკადემიკოსია! რასაც ლაპარაკობს! იცის, რასაც ლაპარაკობს. და ისე ამბობს, რომ მით უმეტეს ასეთ საკითხში, ალბათ, ჩვენზე მეტი იცის! ამ საუბარს შედეგი არ მოჰყოლია.

ქ. მ. – გავოცდი, ბატონო გოგი!

გ. ა. – ნუ, არაფერი! გავიდა დრო. გარდაიცვალა ძიძარია. და რომ გიყვებოდი ბორია ადლეიბასთან შეხვედრის ამბავს... არძინბას იცნობ? კი ვიცნობ, – ჩემი პასუხია. როგორი კაცია? ჩემთვის არაფერი არაა-მეთქი. არც ჩემთვის არ არიო. მაგრამ ეხლა ამ ინსტიტუტში დირექტორი უნდა იყოს, დოქტორი მაინც, პროფესორი, დოქტორი! ინალიფა დაბერდაო. და არც თვითონ უნდაო. და... ერთი ქალი მყავსო, ჩიმა ჭკადუა, მართლა კარგი ქალი, აფხაზი. ჩიქობავას მოწაფე იყო. დოქტორია, ოღონდ გაგონება არ უნდა დირექტორობის. მოსკოვში არისო ვინმე ტარას შამბა, აი ამ ახლანდელი შამბას უფროსი ძმა. მე მგონი, ცოცხალია? თუ გარდაიცვალა... არაფერი, დოქტორი იყო რისი? კაცმა არ იცის, მაგრამ პარტიული აკადემიის პარტმდივანი იყო შამბა... ის არ მინდა მეო... მე უბნებიან, არძინბა დანიშნე. რატომ? იმიტომ, რომ სადოქტორო მზად აქვს? ის არ მინდაო მეო. მე უბნებიან, არძინბა დანიშნეო. დანიშნეო იმიტომ, რომ სადოქტორო მზად აქვს. მე ვუთხარი, მზად ექნება ეგერ ჟორა ამიჩბასაც. ჟორა ამიჩბა იყო აქ გაზრდილი, ხელნაწერთა ინსტიტუტში ნამუშევარი.

ქ. მ. – ოო, ხელნაწერთა ინსტიტუტის ამბებიც კარგად ვიცი, ლექციებს მიკითხავდნენ ამ ინსტიტუტის თანამშრომლები, ერთ-ერთი ძლიერი სამეცნიერო კერააა საქართველოში... ახლა, როცა ვახერხებ, მეც სიამოვნებით მიმყავს ხოლმე სტუდენტები პალეოგრაფიის გავლისას.

გ. ა. – აი, აქ ხელნაწერთა ინსტიტუტში ქართულ წყაროებზე მუშაობდა. მეორე იყო ჟორა შამბა, არქეოლოგი. ორივე კანდიდატია, ორივეს სადოქტორო მზად აქვს. გაუშვით! დანიშნეთ-მეთქი... არაო, დოქტორი უნდა იყოსო. მოკლედ, რათ გვინდა ახლა... ვისთან მივედი, რასთან მოვედი... არძინბა დანიშნეს დირექტორად. აკადემიის ფილიალია ის სოხუმის...

ქ. მ. – აზნით ხომ, ბატონო გოგი?

გ. ა. – ჰოო, აზნით იყო ეგ. აქედან მოვიდა რაღაც ფორმა შესავსები, შრომის დაცვა როგორ მიდისო ინსტიტუტში ანუ სტატისტიკა, რა: მაგ. რამდენი წყლის კასრი გაქვთ, რამდენი – შლემი... რამდენი აგნეტუმიტელი და ასეთი რამ. ეს არის რუსული ფორმა, რუსულ ენაზე, ოთხგვერდიანი. უნდა შეავსო, რაღაც ჯვრები დასვა და ასე... ოღონდ წინმსწრები წერილი ქართულია აკადემიიდან: რომ გეგზავნებათ აი ეს და ეს, გთხოვთ, შეავსოთ და დააბრუნოთ აქ. სოხუმიდან წავიდა პასუხი:

უცვლელია ეს ფორმა, შეუვსებელი, ხელშეუხებელი, ოღონდ იქ რუსულად წერია, რომ აკადემიის სოხუმის ფიალიალში, ანუ აი ამ აბნიში, ქართულ ენის მცოდნე ვერ მოვძებნეთ, რომ ეს ეთარგმნა. აი, ეს იყო პირველი დემონსტრაციული ქმედება, რომელზეც არავინ არაფერს არ ლაპარაკობს... და ეს მე გავიგე, იმიტომ, რომ აკადემიაში მოვიდა და მე დამირეკეს როგორც სოხუმელს.

ქ. მ. – რა სამწუხაროა...

გ. ა. – და მერე პრიმაკოვმა მაინც რა გააკეთა: ეს არძინბა ნუ, წავიდა... წავიდა. მაგრამ ის, ვინც მოსკოვში მუშაობდა, ის გადაიყვანა ლენინგრადში. არ გააგდო. ვერ გააგდებდა სამსახურიდან, მაგრამ ლენინგრადში გადაიყვანა და... იმიტომ, რომ არ დაუჯერეს. პრიმაკოვს პატივს ვცემდი... პრიმაკოვი იყო თბილისელი კაცი. იცით, როგორი თბილისელი კაცი?! ყველა თავისი მიხვრა-მოხვრით. ნუ, იქ მერე რა მოხდა, როგორ მოხდა, ეგ სხვა საკითხია. იმაშიც, რამდენადაც მე ვიცი რა, არ ტყუის. პირიქით, შეძლებისდაგვარად ვილაცის დაცვა დააპირა. მერე ამას მოყვა კიდევ სხვა საშინელებები. რა მოხდა? არძინბამ დაიცვა დისერტაცია აქ, თბილისში. ეგ არ გამიკვირდა. ერთი ჩემი მეგობარი ოჯახის შვილის თხოვნა, რომელიც მოსკოვში მიზნობრივ ასპირანტირაში იყო, კოროსტოვცევის იმ განყოფილებაში, სადაც ეს არძინბა ერთ დღეს ეს ქალი, ქალი რა, ახალგაზრდა გოგო მირეკავს და მეუბნება, გოგი, იცი რაა, შენთან საქმე აქვსო არძინბას. რა საქმე უნდა ჰქონდეს მეთქი. დამირეკოს. და შენო დაცვაზე იქნებო? ნუ, ეს ხდება დაცვამდე. მე ვუთხარი, არა! რატომო... ნუ, არ მივდივარ-მეთქი. და ხე, არაფერი. ახლა ხომ არ დავუწყებ, რომ პრიმაკოვმა გამაფრთხილა, ესე და...

ქ. მ. – როგორი დეტალებიც კი გახსოვთ, ბატონო გოგი, მაოცებთ...

გ. ა. – მოკლედ, არძინბამ დაიცვა და ძალიან დიდი შეფასებები მისცეს სწორედ გამყრელიძემ, ნანა ხაზარაძემ, კუკური გიორგაძემ. არც ერთი აღარაა დღეს ცოცხალი. ნათელში ამყოფოს... ესენი ძალიან დიდები იყვნენ რაა. ძალიან დიდი მეცნიერები თავ-თავის სფეროში. თამაზ გამყრელიძე ხეთოლოგი იყო. ნანა ხაზარაძე, გიორგაძე... ესენი თვალსაჩინო მეცნიერები იყვნენ.

ქ. მ. – ბატონო გოგი, იცით თქვენ, თამაზ გამყრელიძის ქალიშვილი ეკა ჩემი კურსელია. ერთად დავამთავრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გ. ა. – ეკა! რა კაი გოგოა, რა კარგი ბავშვი ჰყავს, ანგელოზი! ეკა თვითონ ძაან კარგი ბუნებისაა.

ქ. მ. – კიი, უჩვეულოდ თავმდაბალიც კი. იმდენად, რომ ეს თავმდაბლობა გაგაოცებს კიდევაც აკადემიკოსის ოჯახის შვილისგან... ეს გვაოცებდა მთელს ჩვენს კურსსაც.

გ. ა. – ეს თავმდაბლობა ნინოსგან მოსდევთ. თამაზი ასეთი არ იყო!

ქ. მ. – დიახ, ბატონო გოგი, ეს ჩემთვის კიდევ ცალკე აღმოჩენა იყო! რომ ნინო, ეკას დედა, თამაზ გამყრელიძის მეუღლე არის ივანე ჯავახიშვილის შვილიშვილი!

გ. ა. – დიახ, ბუმბერაზები ერთ ოჯახში. ნინო საოცარი ქალი იყო და ახლაც არი, რა თქმა უნდა.

ქ. მ. – ერთხელ ჩემი ანანო და ნინო მყავდა წაყვანილი ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მუზეუმში ცის ქვეშ რომ ჰქვია კუს ტბის მიმდებარედ. იქ, სამჭედლოში გრდემლზე ურტყამდა ჩაქუჩს ეკა გამყრელიძე, უცხოელი სტუმრები ჰყავდა მიყვანილი და იმათ საჩვენებლად, თან უხსნიდა, ჩვენ – ქართველები ხალიბების შთამომავლები ვართო და ფოლადს ასე ვაწრობდითო. მაშინ მოვიკითხეთ ერთმანეთი ძალიან დიდი სიყვარულით, მოეფერა ჩემს შვილებს. მაშინ ვუთხარი ზუსტად, მე შენ მთელი სტუდენტობა მხოლოდ თამაზ გამყრელიძის შვილობით მოცეხდი და მერეღა გავიგე, ივანე ჯავახიშვილის შვილთაშვილიც რომ ხარ-მეთქი! მოკლედ, ძალიან მოვისიყვარულეთ ერთმანეთი. ისიც ვუთხარი, მამაშენმა გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე აკადემიაში მაჩუქა თავისი წიგნი: „რჩეული ქართველოლოგიური შრომები“. რომ ვუთხარი, თქვენი ეკას კურსელი ვარ-მეთქი, იმოდენა წარწერა გამიკეთა წიგნზე, უდავოდ, მესიამოვნა! ძალიან სათუთად ვინახავ ამ სიმბოლურ საჩუქარს.

ბატონი თამაზ გამყრელიძე პანდემიის დროს გარდაიცვალა. სიონიდან იყო გამოსვენება. იმ საზარელი პანდემიის საფრთხეების მიუხედავად, მე აბა როგორ არ წავიდოდი?! ჭირისუფლებში ვიდექი მთელი დღე. მახსოვს პრეზიდენტის სიტყვაც. ისე კარგად შეაფასა თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო დამსახურებების მსოფლიო დონე და მასშტაბი. ბატონო გოგი, კიდევ მომიყვით რა სოხუმის ამბები, როგორი საოცარი მოსაუბრე ხართ...

გ. ა. – დამირეკა მოკლედ არძინზამ. გიორგი ირაკლიევიჩ, მე ძაან კორექტულად ველაპარაკები. მეო ერთი თხოვნა მაქვსო... აქაური არა ვარო, რაღაცა და... მე მინდაო, რომ ვიწრო წრეში, დაახლოებით ასე ოცდახუთი კაცი მაინც, სუფრა მაქვს შეკვეთილი. სასტუმრო „ივერიას“ ბოლო სართულზე, რესტორანი იყო. დაახლოებით ერთი ოცდახუთი კაცი. მე მინდა, თქვენ, როგორც სოხუმელმა კაცმა, ამას უთამადაო! მე ვუთხარი, ვერა! მე ვერ მოვალ-მეთქი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაცვაზე არ ვყოფილვარ! არა, მერე რაო, მითხრა. ჩემთვის ეს უხერხულია, დაცვაზე არ ვყოფილვარ და იქ წამოვიდე-მეთქი. მე ვერ მოვალ-მეთქი სუფრაზე, ისე, რომ რატომღაც დაცვაზე რომ არ მივედი-მეთქი. ამიტომ როგორც გინდათ-მეთქი. ნუ, არაფერი. არ ვიცი, როგორ ჩაიარა იქ პურ-

მარილმა. მაგრამ, რომ აიარია ეს ყველაფერი უკვე, არძინბა პრეზიდენ-
ტია აფხაზეთის და გუდაუთაშია გადატანილი მთავრობა, სოხუმი მა-
შინ ჯერ კიდევ ჩვენი იყო, ქართველების. და გუდაუთაში წავიდა აფ-
ხაზური მთავრობა.

ქ. მ. – სეპარატისტების მთავრობა.

გ. ა. – რაც გინდათ, ის დაარქვით. ერთ დღეს აქედან გუდაუთაში რამ-
დენიმე ადამიანი, ოთხნი თუ ხუთნი, გააგზავნეს, რომლებშიც ერთი
ჟურნალისტი იყო, მეორე კიდევ – ვიღაც და მათ შორის თამაზ გამყრე-
ლიძეც. ოღონდ შედეგი გუდაუთაში მათ ჩასვლას არ მოჰყოლია, სამ-
წუხაროდ...

ქ. მ. – ბატონო გოგი, ძალიან მინდა, თქვენს ბავშვობაზე მელაპარაკოთ.

გ. ა. – კარგი, ვიმოგზაუროთ ბავშვობაში.

ქ. მ. – ბავშვობა, მოსწავლეობის პერიოდი, სკოლა.. ეს ყველაფერი სო-
ხუმში თუ?

გ. ა. – ჩვეულებრივი კი სკოლა იყო. სოხუმში ქართული სკოლა იყო პირ-
ველი საშუალო სკოლა, რუსთაველის სახელობის. სტალინის და თეატ-
რის ქუჩის გადაკვეთაზე. ახლაც ის სკოლა იქაა... უღონდ უკვე აფხა-
ზური სკოლაა. ჩემ დროს უკვე გააფხაზურდა, როცა იქ ვიყავი.

ქ. მ. – უშუალოდ სოხუმში რამდენი წელი იცხოვრეთ. რა ასაკში წამოხ-
ვედით თბილისში?

გ. ა. – სკოლა რო დავამთავრე და უნივერსიტეტში რო ვაბარებდი, თბი-
ლისში ოჯახი უკვე გადმოსული იყო. მამა უფრო ადრე იყო გადმოყვა-
ნილი, როგორც გითხარით, აი ნიკო ბერძენიშვილმა რაც გაუკეთა, სი-
კეთეები... და მე აქ დაქირავებულში ვიყავი ფიქრის გორაზე. ვიდექი
იქ. იქვე უნივერსიტეტი. დავდიოდი უნივერსიტეტში. ვსწავლობდი
თურქული ფილოლოგიის განყოფილებაზე.

ქ. მ. – თურქოლოგია ერთ-ერთი მიმართულებაა აღმოსვლეთმცოდნე-
ობის.

გ. ა. – მანამდე სოხუმში ვსწავლობდი. შვიდწლედ ქართულად დავამ-
თავრე სოხუმში. და ოჯახმა გადამიყვანა რუსულში იმიტომ, რომ სხვა
პრობლემა იყო. იყო კლასი, აი როგორი: ყველა კაი დედ-მამიშვილე-
ბის. ბრწყალებში ვამბობ ამას. ყველას მშობლები ნორმალური, წესიე-
რი. ჩვენ კი ყველანი ერთი მეორეზე უფრო აცვენილები ვიყავით. ვიყა-
ვით რა! ნუ, ეს უკვე ცელქობა და ხუმრობა კი არ იყო, უკვე ხულიგნო-
ბაზე ვართ გადასულები იმიტომ, რომ აი, ფეხებზე გვკიდია ყველაფე-
რი. რატომ? ოო... ეს იმის შვილია, ეს ამის შვილია... ახლა დღეს აღარ-
ავინ აღარ დარჩა... გული მტკივა ამაზე. სუ ბოლოს რემიკა ღვინჯილია
გარდაიცვალა... მე მანამდე გადამიყვანეს რუსულ სკოლაში, კლასიდან
კლასში. წელიწადი არ დამიკარგავს. მეშვიდე დავამთავრე აქ, მერვეში

წავედი იქ იმიტომ, რომ სახლში, ჩვენს ოჯახში განათლების სისტემა განსაკუთრებულად სერიოზული იყო დედაჩემის მხრიდან. მამა არ ერეოდა... არაფერი ამგვარი. დედაჩემის პრეროგატივა იყო და ბავშვობიდან, ნუ, პრაქტიკულად ოთხი წლიდან, ენას გვასწავლიდნენ. უცნაური იყო. ესე იგი ფრანგული ენა იყო. „იატაკქვემეთიში“ იყო ფრანგული საბავშვო ბავშვი. გრიგოლიების სახლში. თუ გახსოვთ გრიგოლიას სახლი. ეს ენგელსის ქუჩაზე მენიკი დადიანის და ალექსანდრე გრიგოლიას სახლი იყო. იქ ჰყავდათ მაგათ შვილიშვილი, ვატო ჯორჯიკია, რომელსაც ამ საშინელი ომის დროს ფეხი მოკვეთეს. შვილიშვილის გამზრდელად ჰყავდათ ფრანგი ქალი. ნუ არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ფრანგი იყო, მოხუცი იყო, ერთგვარად დაჩამიჩებული ქალი. მას ჰყავდა რამდენიმე ბავშვი აყვანილი. მათ შორის ჩვენც. ოღონდ მაშინ ამაზე არ შეიძლებოდა ხმამაღლა ლაპარაკი. აკრძალული იყო ეს.

ქ. მ. – რეპეტიტორობა და კერძო მასწავლებელი?

გ. ა. – რეპეტიტორობა კი არა, უცხო ენის კერძოდ სწავლა არ შეიძლებოდა.

ქ. მ. – აა, ახლა გავიგე!

გ. ა. – ეგერ გაქვს სკოლა. იქ რატომ არ სწავლობ? სახლში რატომ სწავლობ? ჯგუფშიც საინტერესო კონტინგენტი ვიყავით.

ქ. მ. – ანუ იატაკქვემეთში სწავლობდით. ოჰ, კარგად გამაცინეთ, ბატონო გოგი!

გ. ა. – ნუ, იატაკქვემეთი რატომ იყო, ფინანსური პოლიცია დასდევდა. რატომ არ იხდი გადასახადს და... და რა გადასახადი, ნახევარი იქ უფულოდ სწავლობდა.

ქ. მ. – აჰაა!

გ. ა. – ერთი სიტყვით, იქ ვსწავლობდით ამ უცხო ენასაც. რუსულ სკოლაში რომ გადავედი, ის პროგრამა, რომელიც იყო გათვალისწინებული ქართული სკოლებისათვის, მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ენას, ლიტერატურას... სრულად გვქონდა. სრულად გვქონდა, რასაკვირველია, როგორც მოსწავლეს, ნასწავლი. მაგრამ მე რუსულ სკოლაში რომ გადავედი, დედამ, რომელიც ქართველი ქალი იყო, ოღონდ რუსულენოვანი აბსოლუტურად ნუ, სხვადასხვა მიზეზების გამო. ერთი მიზეზი იყო, რომ ადრე დაობლდნენ და გაზარდა დეიდამისმა. დეიდა... ბეზიაჩემი იყო დოლგორუკოვა... ფარმაცევტი ქალი. თავადი ჯაიანის ცოლი. თავადი იყო ისიც. ოღონდ, მე რომ ქართულ უნივერსიტეტში მოვედი, შეიძლება სოხუმური ქართულით ვლაპარაკობდი. ანუ როგორ... სოხუმელებს გარკვეული აქცენტი ჰქონდათ...

ქ. მ. – აი, ბატონო გოგი, მივადექით ჩემთვის ყველაზე მეტად სათუთ და ენთიმეცნიერულად საინტერესო საკითხებსაც. სოხუმური ქართული! ეს კი განსაკუთრებულად მაინტერესებს.

გ. ა. – სოხუმური ქართული, კიი, ქართული ენაა, მაგრამ აი რას ვგულისხმობ. მაგალითად, მოსკოვში რომ ვმჯდარვიყავით სადმე ისეთ ადგილას, აი არ იცით, გვერდით მსხდომნი ვინ არიან, მაგრამ უცებ გაარკვევდი, თუ მოუსმენდი, რომ ესენი სოხუმელები არიან. ქართულად, გინდ მეგრულად, გინდ სვანურად... აი არ ვიცი, ალიტერაცია იყო ეს თუ მახვილი... ყველას ჰქონდა და იყო განსაკუთრებულად სოხუმური. რამდენჯერ ყოფილა.. რომ ბიჭებო, სოხუმელები ხართ? Мы сужмыцы, да? საიდან? როგორ? მარტივად, ხმაზე და ინტონაციაზე შეგატყვე, რომ სოხუმელი ხარ. აი ეს ჰქონდათ!

* * *

დავუბრუნდეთ სკოლის პერიოდს: მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, რა არ ვიცოდით მერვე კლასში... ამ ახალ სკოლაში, ეს ძველი ქართული მწერლობა შუშანიკი და ესენი... მაგრამ კლასიკური ლიტერატურა, მეცხრამეტე საუკუნე, ეს როგორ არ ვიცოდით, ვიცოდით! ჩემმა დამ საერთოდაც ქართული სკოლა დაამთავრა, მე – რუსული იმიტომ, რომ პრაქტიკულად კლასი დაგვიხურეს, იმიტომ, რომ უნდა დავეშალეთ როგორმე.

ქ. მ. – აჰა, იწყება ამბოხი?

გ. ა. – უნდა დავეშალეთ რატომ, ნუ, ერთად რომ ვიყავით, ვერ გვიძლებდნენ. და მართლაც, ისეთი საშინელი რაღაცეებია, მაგალითად, არ გვინდა საკონტროლოს წერა. რა ვქნათ? რა ვქნათ! ეზოში დგას სოხუმგესის ტრანსფორმატორი. შენობაა რა.

ქ. მ. – ჰოო?!

გ. ა. – აძვრა იმაზე, ან როგორ არ შეეშინდა, მავთულებია იქ. ბენზინი თუ ნავთი გადაასხეს, დაწვეს. ააა და ხანძარია, ატყდა ერთი ამბავი! ვინ ქნა, ვინ ქნა? არ ვიცი, ვინ ქნა. ამის გარდა, კიდო სხვა რაღაცეები იყო... ბევრი თან!

ქ. მ. – როგორ ამბებში ყოფილხართ, ბატონო გოგი. ჩემთვის პირდაპირ წარმოუგენელია, რომ თქვენ, ასეთი აკადემიური კაცი, ასეთი არისტოკრატი, რომელიდაცა ასაკში თურმე „თინეიჯერული ბანდის“ წევრიც კი იყავით!

გ. ა. – მერე გადამიყვანეს სხვა სკოლაში. ისევ ქართულ სკოლაში. მაგრამ იქ რატომღაც ვერ დავდექი. სულ ორი სკოლა იყო. ორი ვაჟთა სკოლა და ორი ქალთა სკოლა იყო. მერე შეგვაერთეს მეცხრე კლასში.

ქ. მ. – ანუ იმ სკოლებშიც გისწავლიათ, ბატონო გოგი, ვაჟთა რომ ცალკე იყო და ქალთა ცალკე? აუ, რა საინტერესოა!

გ. ა. – ჰოდა, აი ამ მეორე სკოლიდანაც რომ გამრიცხეს...

ქ. მ. – გამრიცხეს ბრჭყალებში, ალბათ, არაა, ბატონო გოგი?

გ. ა. – არა, ნუ, პედსაბჭოზე გაიტანეს და ასე...

ქ. მ. – ოჰოო!

გ. ა. – მერე სახლში რაც ხდებოდა ამ ამბებთან დაკავშირებით და რა „ეგზეკუციებიც“ მქონდა, ეგ სხვაა, მაგრამ!

ქ. მ. – ხოო, ესეც მომიყევით რაა, ბატონო გოგი, „ეგზეკუციებიც“ მაინტერესებს!

გ. ა. – ეგ რთულია მოსაყოლად.

ქ. მ. – რაში გამოიხატებოდა ეგზეკუცია?

გ. ა. – ის, რაც დღეს აკრძალულია, რისთვისაც დღეს მშობელი შეიძლება დაიჭირონ.

ქ. მ. – კი, ბატონო!

გ. ა. – ცემა-ტყეპა იყო გემრიელი!

ქ. მ. – კარგად გამაცინეთ, ბატონო გოგი! არა, უნდა ვაღიარო, რომ მე ძალიან მიყვარს დისციპლინა! და ჩემი როგორც დედის მეთოდებშიც ნუ, იშვიათად, მაგრამ ეს მეთოდიც წესრიგისა ერია! ამასაც ვაღიარებ გულწრფელად, რომ უფროს-უმცროსი და წესრიგი ძალიან მიყვარს.

გ. ა. – ნუ, აი ახლა, როცა მშობელს ეუბნებიან, რომ ბიოლოგიის მასწავლებელი კლასიდან გააგდეს... როგორ გააგდეს? არაფერი... შემოდგომა იყო. ეზოში რაღაც შემოდგომის ყვავილები იყო და ფუტკარი ესეოდა. აი, ფუტკარს რომ ფრთებით დაიჭერ და კონვერტში ჩადებ და მერე კლასში გაუშვებ და კლასში ოცდახუთი ან ოცდაშვიდი მოსწავლე როა, და ყველას რომ მოაქვს თავისი ფუტკარი...

ქ. მ. – თავისი ფუტკარი? ოო, რა კარგად ვიხალისე! ანუ ოცდაშვიდი ფუტკარი კლასში, ანუ „მთელი სკა“.

გ. ა. – ჰოდა, იქ რა ამბავი იქნებოდა და როგორი გაკვეთილი ჩატარდებოდა, ხომ წარმოგიდგენია!

ქ. მ. – ასეთი მართლა არ გამიგია, ბატონო გოგი... თორემ ჩემს სკოლაშიც იყვნენ თავზეხელაღებული ე. წ. „ავარა“ ბიჭები!

გ. ა. – ჩვენი ბიოლოგიის მასწავლებელმა ხელების ქნევა დაიწყო და ამ ქნევაზე უფრო ეტაკა ეს ფუტკარი რაა. გააღეთ ფანჯრებიო! არა, მასწ. ცივა! ცივა! ვერ გავადებთ. არადა, რა ცივა, სექტემბერია!

ქ. მ. – ბატონო გოგი, რამდენი ხანია, ასე გემრიელად არ მიცინია! იქნებ კიდევ გაიხსენოთ რაა ასეთი „კრიმინალი“, და თქვენი „კრიმინალური“ წარსული!

გ. ა. – და მერე დედამ თქვა, არა, ეს ბავშვი ასე დამეღუპებაო. და უნდა წავიყვანო ისეთ სკოლაში, სადაც (არა მთლად ასე არ უთქვამს!) ისეთ სკოლაში, სადაც ბავშვებს პატრონი ჰყავთ. პატრონი რაა...

ქ. მ. – მივხვდი...

გ. ა. – და ისეთ კლასში გაამწესებინა ჩემი თავი, სადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შვილი სწავლობდა, რუსულ სკოლაში. კაი ბიჭი იყო, მაგრამ მერე გაფუჭდა. განარკომანდა. მამამისი რომ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მეორე დღეს შვილი დაიჭირეს. და მერე იქიდან რომ გამოვიდა, უკვე წასული იყო ხელიდან. კაი ბიჭი იყო მაან... სულ გული მწყდება... ძან ვმეგობრობდი ვაჟა პაკელიანთან. აი ასეთი ბიჭი იყო, მაგარი! ოჯახი აქ ჩამოვიდა. გოგო მერე იტალიაში წავიდა, მგონი. ერთი სიტყვით, ექიმი იყო მამამისი, ონკოლოგი დომენტი პაკელიანი. ცხუმარიდან იყვნენ. დანარჩენები ნუ...

ქ. მ. – ეს ამ ახალ რუსულ სკოლაში?

გ. ა. – არა, ეს ქართულ სკოლაში. და რატომ მოგიყევი ეს ...აი ასეთი კონტინგენტი რომ ვიყავით... ეს იმის შვილია, ეს ამის შვილია... და მასწავლებლები... იცი, ზოგი ნასტუდენტარი იყო, ზოგი სამკურნალოდ იყო იმ კაცთან დაა... ხომ იცით ასეთი ამბები...

ქ. მ. – აჰა, გასაგებია ყველაფერი!

გ. ა. – და რუსულ სკოლაში რომ მივედი, სულ სხვა ატმოსფერო დამხვდა. სულ სხვა! ჯერ ერთი, ეკონომიკურად აბსოლუტურად განსხვავებული კონტინგენტი. ახლა არ მინდა ამისი ასე გაჟღერება... არასწორად არ გამიგოთ... მაგრამ ზოგჯერ ეს ბავშვები მშივრები იყვნენ. მოსახლეობის დაბალი ფენებიდან, თუმცა არა მხოლოდ ამიტომ.

ერთხელ ღამით შინ ვბრუნდებოდით, სტუმრად ვიყავით, ბნელოდა უკვე. დედა, მამა, მე და ჩემი და მოვდიოდით... მაშინ არ იყო ავტობუსი, ყოველ შემთხვევაში, იმ უბანში არ დადიოდა. დავინახე, ეს ქუჩა თუ გახსოვთ, აი ეს ჭავჭავაძის ქუჩაა, მერე აი ფუნიკულიორის გზაა. აი ამ ადგილას იყოფოდა ქუჩა. პუშკინის ქუჩა ერქვა ამას. ძან ღამაში სახლი იყო, ალოიზის სახლი და გულის სამკურნალო კლინიკა რომ იყო, აი აქ ადიოდა გზა და აქ იყო სამკუთხედი. აქ იყო მაღაზია სურსათის. და ღამე რომ მოვდიოდით აქედან, ჭავჭავაძით დაბლა ვეშვებოდით, მაშინ ბერიას ქუჩა იყო ის, იქ ვეშვებოდით. ღამეა და ... დაკეტილია მაღაზია. მაღაზიის წინ ფანერისგან... ყუთები იყო. აი ასანთის ყუთები, დიდი ყუთები იყო. სადაც იდგა დიდი ყუთი, ამაზე სანთელი ენთო, აქ იჯდა ჩემი კლასელი ბიჭი და გაკვეთილებს აკეთებდა ამ ღამეში! გაკვეთილებს აქ აკეთებდა იმიტომ, რომ დღისით სკოლაში იყო და მერე არ ეცალა, დედამისს ენაცვლებოდა, რომელიც კურიერი იყო ბავშვთა პოლიკლინიკაში. აი, ეს ბიჭი იყო სანიმუშო ფრიადოსანი. ყვე-

ლა არ იყო ფრიადოსანი. ზოგი ჯიბიდან გავარდნილი იყო და რაღაცა, მაგრამ როგორი კონტინგენტი იყო, იცით, ძალიან ჭრელი. ერთმანეთთან მაიცადამაინც დიდი ძმობა და ის... არ ქონდათ. ახლა კომკავშირის ორგანიზაცია იყო და ეგენი სუყველა კომკავშირლები იყვნენ. მეც ვიყავი კომკავშირელი. არ შეიძლებოდა, რომ არ ყოფილიყავი. მაგრამ მე ფეხებზე მეკიდა მაგათი ისა... კომკავშირის კრებაზე აი სულ... შენ ისეთი ხარ! ასეთი ხარ... ნუ, ვგიჟდებოდი ამაზე. ზოგჯერ ეს სხვანაირად მთავრდებოდა. ექსცესებით... მაგრამ მაინც გაიძულებდა, შენ ცოტა თავი შეგეკავა.

ქ. მ. – აჰა! ჰოო... გასაგებია!

გ. ა. – და ამიტომ რუსული სკოლა დავამთავრე. სხვათა შორის, ვერცხლის მედალზე, მაგრამ... იმ მედალზე, ვიღაცა, თუკი ცოცხალი დარჩა ამ დრომდე, დღესაც ანონიმებს წერს. სრულიად ის იყო... მოულოდნელი ჩემთვისაც. ახლა როგორ იყო, იცით? მეშვიდე კლასიდან იწყებოდა საატესტატო საგნები. მაგალითად, კონსტიტუცია. ანატომიას გავდიოდით თუ ბოტანიკას და მერე ემატებოდა მშობლიური ენა, ლიტერატურა, მათემატიკა, არითმეტიკა არ ითვლებოდა, მაგრამ ალგებრა, გეომეტრია ცალკე იყო.. და ტრიგონომეტრია – ცალკე. ესენი საატესტატო ნიშნები იყო. მერე ქიმია, ფიზიკა... მე ამ მათემატიკაში სრული დებილი ვარ. არ ვსწავლობ, ვერ ვსწავლობ. ხან რეპეტიტორია, ხან რაღაცა და... მაგრამ ატესტატში სულ ხუთები მაქვს იმ ძველ საგნებში.

ქ. მ. – აჰა!

გ. ა. – დაიწყო გამოცდა. მშობლიური? არა, რუსულ ენა-ლიტერატურას ვწერთ. რაღაც თემა დავწერე და დირექტორი, ქართველი იყო და რუსულად მეუბნება, რა იყო ბიჭო, ვერ დაწერეო წესიერად. რა გიწერიოო შენო და აი ნიშანი არა გაქო კარგი. კარგი ნიშანი გაქო, ოღონდ ფრიადი არ არიო. და რა შეცდომაა-მეთქი! შევედი მასწავლებელთან და ვეუბნები, რატო დამიწერეთ-მეთქი ოთხიანი. იმიტომ, რომ აი შეცდომა გაქ. რა? წიგნი, რომელიც დაასახელე, სათაური არ გცოდნია სწორი. აჰააა... თვითონ იმ მასწავლებელმა არ იცოდა ამ წიგნის სათაური. ეტყობა, არ წაუკითხავს და მე სრულიად შემთხვევით დავინახე მაქსიმ გორკი... ნუ რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და... დავინახე სახელგამში ვიტრინაზე იდო... **Повесть Горького „Мать“** ვიყიდე ეს წიგნი. იმიტომ, რომ ვიცოდი დამჭირდება თემისათვის... რაღაც კაპიკები ღირდა. ვიყიდე და... დავწერე ზუსტად ეს პოვესტ გორკოვა... რას ჰქვია, ეს რომანიაო... მე ვუთხარი, არაა რომანი. გავასაჩივრე... სკოლამ საჩივარი არ დააკმაყოფილა. გავეკიდე... და ბოლოს იმაში, ქალაქის განათლების განყოფილებაში იყო ერთი კაცი, რომელიც ითვლებოდა ამ რუსული ენის... პოლო-

ნელი იყო, მაგრამ რუსული ენის ნუ რაღაც ღმერთად ითვლებოდა. და მაგან დაწერა, რომ **Исправителю посредственно, ученику – отлично.**

ქ. მ. – ოჰ! გავოცდი, ბატონო გოგი, რუსული ენის „ამ ღმერთის“ გაბედულებით.

გ. ა. – ამ შეფასებამ კი მე უკვე მომცა უფლება, რომ მათემატიკებში ოთხიანი მიმეღო. სამი საგნის ფარდად...

ქ. მ. – თქვენ ბრავო, ბატონო გოგი!

გ. ა. – იყო ასეთი დათო ლაგვილავა. ფიზიკას გვასწავლიდა სკოლაში. სამწუხაროდ, ომის დროს აღმოჩნდა ლტოლვილთა რიცხვში, თბილისში. დათოს ვთხოვე, აი ეს ბილეთი ვიცი. აი ასე შენობით... დამინიშნე ეს ბილეთი. აი ბილეთებს რო არიგებს გამოცდაზე. დუხ.. დუხ...

ქ. მ. – აჰა, აბა ახლა რა მოხდება!

გ. ა. – ანთელავა, გამოდი! გამოვედი. ავიღე ის ბილეთი და ... არაფერი არ ვიცი, მაგრამ პიონერთა ოთახშია გამოცდა და პლაკატები ჰკიდია. რა პლაკატები? მანქანის შიდა წვის ძრავა. ზედ წერია და ახატია ეს რა არის, ეს რა არის. ამას ვთრგმნი და ყვეები კარგად. მივიღე ხუთი!

ქ. მ. – აჰაა!

გ. ა. – და ანონიმებს მიწერდნენ იმიტომ, რომ მეოთხედებში... იმებში სულ ცუდი ნიშნები მქონდა. სულ რეპეტიტორებთან დავყავდი დედაჩემს. არ მივდიოდი. სადღაც მივდიოდი. ხან ბურთს ვთამაშობდით, ხან რაღაცა... ეს მედალი რომ ავიღე, ხომ გეუბნები, შიძლება დღესაც წერენ ანონიმებს იმიტომ, რომ... აი შტატნი მედალისტები იყვნენ და ვერ... მიიღეს ეს მედალი. ფრანგულს ვსწავლობდით ძალიან კარგად იმიტომ, რომ მერე, იმ ბალიდან რო გამოვედით, შემხვდა ადამიანი, რომლის სურათი სახლში დაკიდებული მაქვს და რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება მატარა თავისი წესით! უცნაური ადამიანი იყო. დიდი ადამიანი ძალიან დიდი ოჯახიდან!

ხომ არა მოგაბეზრეთ თავი, ქალბატონო ქეთევან?

ქ. მ. – არაა! რას ამბობთ, პირიქით, ჩემთვის ძალიან, ძალიან საინტერესოა თქვენი ყველა წინადადება, ყველა სიტყვა... გააგრძელეთ რაა, ბატონო გოგი!

გ. ა. – კარგი, ბატონო!

გოგი ანთელავა
(სოხუმი – თბილისი)
ქეთევან მარგიანი
2023 წელი

„მადამს ვეძახდი ამ ჩემს მასწავლებელს“

ქ. მ. – ვინ იყო ეს ადამიანი, რომელმაც ასეთი გავლენა იქონია თქვენზე?

გ. ა. – გეტყვით. რაკი შენ ლინგვისტი ხარ და ენაზე გაინტერესებთ. ეს ქალი იყო ძალიან დიდი ოჯახის წევრი, შეიძლება ითქვას. იყო რუსეთში ასეთი **მხატვარი – იგორ გრაბარი**. იყო აგრეთვე ძალიან დიდი **გერმანისტი ქ-ნი გრაბარ-პასეკ**. ბიძაშვილები არიან. ეს ქალბატონი დაქორწინებული იყო ერთ იურისტთან, პოლონელთან, რომელიც ამ გრაბარების უახლოესი ნათესავი იყო. **იურისტი იყო ცნობილი პიანისტი**. კონცერტებს ხელმძღვანელობდა. რევოლუცია რომ მოხდა, პეტერბურგში ცხოვრობდნენ. საზღვარგარეთ გასვლა ვერ მოასწრეს. და წამოვიდნენ ყირიმისკენ, იმიტომ, რომ ვრანგელი იყო ყირიმში. და გასვლა შეიძლებოდა თურქეთისკენ. **ჯერ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ ყირიმი აღებული, მაგრამ...** ჩასხდნენ მატარებელში და წამოვიდნენ სამხრეთისკენ. თუ არ ვცდები, გზა არმავირამდე მიდიოდა მხოლოდ და მერე იყოფოდა. და როგორც გინდა, ისე უნდა გევიღო იქიდან. მაგრამ ამავე დროს ეს არის პერიოდი, როცა უკვე სამოქალაქო ომის ნიშნები იყო. პრაქტიკულად სამოქალაქო ომის პერიოდია. და ერთ-ერთ სადგურზე ეს კაცი... ძან ისეთი... აი პენსნე... რაღაც ეგეთები... ჩაცმული შეძლებულად, ნუ ადამიანურად ჩაცმული გამოვიდა სადგურზე, რომ ცხელი წყალი... მაშინ სადგურებში იყო **КИПЯТОК** ეწერა. შეგეძლო, აგელო და შემდეგ ვაგონში აი ცხელი წყალი... ნუ ჩაი რომ დაეღიათ, თუ რაღაცა რაა. მატარებელი არის გაჭედილი, გაძედილი... ვინ არაა აქ... ეს კაცი და მისი მეუღლე, ეს **ჩემი მასწავლებელი ქალი**, ერთად არიან... ჩავიდა ეს კაცი და აღარ ამოვიდა! მატარებელი წავიდა!

ეს რომ აღელდა, ვიღაცამ თქვა, კაცო, იმათო, იქ **სამხედროებმა... მეზღვაურებმა ვიღაც შლიაპიანი და პენსნიანი** კაცი მოკლესო.

ქ. მ. – დედა... როგორ შემეცოდაა!

გ. ა. – ამ ქალმა გააგრძელა გზა. ჩავიდა არმავირში. არმავირიდან სოჩამდე ფეხით იარა. და სოჩიდან უნდა გადავიდეს სოხუმში. ჯერ აქაც ბოლშევიკები არ არიან. როგორ ჩამოვიდა... ნუ, რთულად.. მაგრამ მოვიდა. წარმოშობით პოლონელია, მაგრამ იცის **რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური...**

ქ. მ. – ოჰოო!

გ. ა. – ენები იცის... მაგრამ რაში გჭირდება ენების ცოდნა?!

ქ. მ. – რა საშინელი პერიოდი უნდა იყოს, ამდენი ენის ცოდნა რომ არაფერში გადგებოდეს, კი არადა, საჭიროც კი აღარ იყოს! ვაი!

გ. ა. – რაში გჭირდება ენების ცოდნა ამ ველურ სამყაროში! ველურია ყველაფერი! როგორღაც იქნა, სოხუმში მოვიდა. და როგორც თვითონ

ყვებოდა, ღმერთმა გამომიგზავნაო მე ერთი უბრალო კაცი, რომელსაც ძალიან უნდოდა, განათლებული შვილები ყოლოდა. და იცოდა, რო მე დავიწყე კერძო გაკვეთილები ენაში...

ქ. მ. – დედა... დამაჟრიალა!

გ. ა. – მაინც ძაან კულტურული ქალაქი იყო სოხუმი. მთელი ეს რუსი ექიმები, დიდი ექიმები თავისი კლინიკებით. იქ იყო ასტრაუმოვის კლინიკა. ბარათაშვილის თავზე საავადმყოფო რომ იყო, ის იყო ასტრაუმოვის კლინიკა. მერე იქვე მაიმუნების პიტომნიკი და კიდევ რაღაცეები. ერთი სიტყვით, ინტერესი ენებისადმი სოხუმში იყო. ეს კაცი იყო გვარად ვინმე ხარჩილავა ტყვარჩელიდან. აფხაზი. და მაგან მითხრა, მეო წაგიყვანო ტყვარჩელშიო, ჩემთან იცხოვრებო, შვილები მყავს... ორი შვილი და როგორც ოჯახის წევრს, ისე გაცხოვრებო. იქ ვიცხოვრე რამდენიმე წელი, აფხაზურ ოჯახში. მერე შალვა ინალიფა მეუბნებოდა, გოგოო, ელენა მიროსლავნამ, ამ ქალმაო, აფხაზური ჩემზე უკეთესად იცოდაო. პირველი, რაც ისწავლა ამ ქალმა სოხუმში ჩასვლისას, აფხაზური და მეგრული ენები.

ქ. მ. – უმაგრესი ქალი ყოფილა...

გ. ა. – კიი! სასაცილო იყო როგორც... მეგრულად რომ ლაპარაკობდა. მაგრამ აბსოლუტურად გამართულად და უბრალოდ გამოთქმა..

ქ. მ. – ჰოო, აქცენტი მაინც რჩება...

გ. ა. – ამან იცხოვრა დაახლოებით... რომ არ მოგატყუოთ, აი ჩემი გამოთვლებით... წიგნები დამიტოვა.. ამ წიგნებზე წარწერებია, ამ ქალს რომ ჩუქნიდნენ... ამ წიგნებზე მინაწერების მიხედვით რომ გამოვთვალო, დაახლოებით, რო გარდაიცვალა, იქნებოდა ასე, ასორი... ასოთხი წლის. ოღონდ როგორ, იცით... ახლა მაგის წერილები მაქვს შენახული. სურათებიც მაქვს კიდევ. ყოველ დილით ცივი შხაპი. ველარ ხედავდა... მაგრამ კოსმეტიკას რომ გაიკეთებდა... შეიძლება გამჟღავნებოდა... კი იყო, მაგრამ რიტუალი?! აი ასეთ რიტუალს ასრულებდა. ევროპულად გაზრდილი იყო. ბუნებით და მოწოდებით ევროპელი იყო. აღზრდით ხომ თავისთავად. დადიოდა, როგორ, იცი? აი, ასე! ერთს ისე ვერ ნახავდი. სულ გამართული იყო.

ქ. მ. – მისაბადი ადამიანი!

გ. ა. – სოხუმში ჩავედი. შვებულება მაქვს და. ჩავედი თუარა, მანქანა დავაყენე. დედას ვუთხარი, მინდა მადამთან წასვლა. **მადამს ვეძახდი ამ ჩემს მასწავლებელს!** მადამთან წავალ-მეთქი. არა, არ წახვიდეო. ახლა ერთ ათ წუთში სადილსაც გაგატანო. ღომი მაქვს და რაღაც, ბარემ წაუღეო! დედას სულ დაჰქონდა ხოლმე, იქვე ახლოს ცხოვრობდა.

ქ. მ. – აჰა! ესეც როგორი სიკეთე უკვე ასაკში მყოფი მადამისთვის!

გ. ა. – რომ შევედი ეზოში, იტალიური ეზოსავით იყო, მაგრამ თავისი ქოხი ჰქონდა, პატარა ისეთი. საქანელა სავარძელში და დამინახა... და ფრანგულად მითხრა, რა კარგია, რომ მოხვედიო, ახლა შემიძლია, მოვკვდეო. აი ახლაც მეტირება რაა...

ქ. მ. – *(ჩემი ემოცია მინდა გადმოგცე მკითხველო: 86 წლის გოგი ანთელავა ატირდა, ამ ეპიზოდს რომ მიყვებოდა! გავოგნდი, გავვოცდი).*

მადლობა, ბატონო გოგი, ამ ჩვენი შეხვედრისთვის, თქვენი ასეთი მიმზიდველი და საინტერესო საუბრისთვის და განსაკუთრებით მადამ მასწავლებელზე ასეთი ემოციური თხრობისთვის!

გ. ა. – ნუ, შევიყვანე სახლში, დადიოდა კი, მაგრამ უკვე ძაან მოტეხილი ... ასორი წლის. და კიდევ ვიღაცეები ჰყავდა, ვისაც ეს უვლიდა კიდევ. თავისი ახლგაზრდობის „პადრუგა“, რომელიც გადასახლებული იყო გულაგში, ჩამოვიდა და საიდან იყო, არ ვიცი, მაგრამ სოხუმში ამასთან ჩამოვიდა და ეს პატრონობდა და უვლიდა იმ ავადმყოფ ქალს. აი ასეთი დიდი ადამიანი იყო. მიირთვა ეს დედას გამოგზავნილი სადილი. დაღლილი ვარ, ამხელა გზაზე ნამგზავრი... ავედი სახლში. და საღამოს, საღდაც საათის შვიდი... რვა იყო, იქიდან მოვიდა ერთი ბიჭი და თქვა, რომ თქვენი მადამი გარდაიცვალაო.

ქ. მ. – ვაიმე, როგორ განვიცადე!

გ. ა. – კათოლიკე იყო.

ქ. მ. – სახელი და გვარი, რომ მითხრათ სრულად, თქვენი მადამ მასწავლებლისა!

გ. ა. – ელენა მიროსლავნა ტეოდორონსკაია.

ქ. მ. – აჰა, გავიგე!

გ. ა. – პოლონელი კათოლიკე... ამდენი ენა იცოდა. მეო, როცა მოვკვდებო, დამიწერეთო, დაბადების თარიღს ვერ დამიწერთო. მე გამოვთვალე წიგნების მიხედვით. აი მაგალითად, ვიღაცა ჩუქნის წიგნს და აწერს, ჩემს ძვირფას პატარა ლოლიას, რომელიც არის ამდენი წლის. შესაბამისად ეს წიგნიც შეიძლება წაიკითხოს ბავშვმა ათი-თორმეტი წლის ასაკში. ამ ლოგიკით მივყევი მადამის წიგნებს და გამოვთვალე თითქოს დაბადების თარიღი... ნუ, რა მნიშვნელობა აქვს. საინტერესო ადამიანი იყო. აი ნახეთ, მე როდესაც მოვკვდებო, ჩემს საფლავზე დაბადების წელს ნუ დამიწერთ. გარდაცვალების წლად მიუთითეთ 1917 წელი!

ქ. მ. – დედაა! ახლა გავგიჟდი! როცა შლიაპიან-პენსნეიანი მეუღლე მოუკლეს, არა?

გ. ა. – ნუ, რა თქმა უნდა, რევოლუციამ დაღუპა. 1917 წლის რევოლუციამ. ასე თვლიდა თვითონ.

ქ. მ. – და რამდენი მადამისნაირი ინტელიგენტი დაღუპა ლენინის რევოლუციამ!

გ. ა. – მადამს შევუსრულე ანდერძი. გავუკეთე ეს ყველაფერი. მიხაილოვსკაშია დასაფლავებული. ალბათ, არაფერი არ დარჩა იმისგან, სასაფლაოზე ხომ ომი იყო...

ქ. მ. – ანუ ბატონო გოგი, შვილი არ ჰყავდა ხომ? საკუთარი შვილი?

გ. ა. – არა! ახლგაზრდა იყო, როცა ეს მოუხდათ. ახლა მე არ ვიცი მაგის ცხოვრების სხვა ისტორია. მე ვიცი აი ეს. პეტერბურგიდან.. მაშინ პეტროგრადი ერქვა...

ქ. მ. – დიახ, პეტროგრადი ერქვა...

გ. ა. – პეტროგრადიდან წამოსვლა და მერე აქ როგორ აღმოჩნდა. და აი როგორი ცხოვრება ჰქონდა აქ. აი, ვოვა ვეკუა იცი...

ქ. მ. – კი, როგორ არა!

გ. ა. – ვოვას მასწავლებელიც იყო, გერმანულს ასწავლიდა მას. აი ასეთი ქალი იყო ჩემი მადამი.

ქ. მ. – თქვენს ცხოვრებაშიც ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

გ. ა. – არა! უმნიშვნელოვანესი ადგილი. მე ვერ გეტყვით, რომ რაიმეთი მშობლებზე ნაკლები მივიღე მისგან... არა!

ქ. მ. – სურათი ახლაც მაქვსო, თქვენ ამბობთ. ნათელში იყოს. ტკივილიანი მადამი, ძალიან განათლებული ქალი, ასეთი გავლენა რომ იქონია თქვენს ფორმირებაში. ბატონო გოგი, თქვენ უნდა დამპირდეთ, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით და გავაგრძელებთ საუბარს.

გ. ა. – კი, ბატონო!

* * *

ქ. მ. – აწი რომ შევხვდებით, თქვენ უნდა მესაუბროთ, როგორც ამას წინათ მიყვებოდით, თქვენი და პირიბე ნიგურიანის ძმობაზე. უნდა მომიყვეთ მესტიაში თქვენს თავგადასავლებზე.

გ. ა. – პირიბე ნიგურიანი ნამდვლად იყო დიდი და საოცარი კაცი.

ქ. მ. – თქვენ სვანურიც რომ მშვენივრად იცით, ბატონო გოგი!

გ. ა. – არა, არ ვიცი! თუმცა სვანეთში მე სვანი ვიყავი!

ქ. მ. – კიი, დარწმუნებული ვარ, ძალიან მაგარი სვანიც იქნებოდით [სვანეთში]. მე კარგად ვიცი, იქ ამ „საპატიო წოდებას“ ისე ჰარიჰარალებდ „არ ანიჭებენ“.

და ამიტომაც ვფიქრობ, რომ თქვენ სრულიად დამსახურებულად იყავით სვანეთში სვანი, თბილისში – ინტელიგენტი ქალაქელი, სოხუმში – არისტოკრატი სოხუმელი, პეტერბურგში – ქართველი ორიენტალისტი... და ასე დაუსრულებლად!

გ. ა. – მე ზოგადად, არ მიყვარს მოგონებების წერა. თუ დაკვირვებით ხარ, გამოდიან მოგონებით, მაგალითად, გიორგი წერეთელზე. და ყვე-
ბიან ასე: მე და გიორგი წერეთელი. ამ დროს მოგონება უნდა იყოს იმ
კაცზე და არა „მე“-ზე, ანუ საკუთარ თავზე.

ქ. მ. – გეთენხმებით, ბატონო გოგი, აწი ამ კუთხითაც მივაქცევ ყურად-
ღებას მოგონებებით გამომსვლელებს. მე კი დღეს არ შემძლია, რომ არ
გითხრათ ძალიან დიდი მადლობა ასეთი საინტერესო საუბრისთვის.
მადლობა გულწრფელი ემოციებისთვის. აი, მე გულიანად ვიტყვ
თქვენს მაღამზე! უნდა გითხრათ, რომ ძალიან პატივს გცემთ. ძალიან
მიყვარხართ.

* * *

გ. ა. – სოხუმი ჩემი ცხოვრების ულამაზესი ნაწილია. ბევრი ტკივილი გან-
ვიცადე, მაგრამ აფხაზეთთან დაშორება, აფხაზ მეგობრებთან ურთიერ-
ობის გაწყვეტა ერთი მოუწელელებელი სევდაა ჩემთვის.

ჩვენ თბილისში ვცხოვრობდით, სახლი გვქონდა სოხუმში და ამიტომ
ხშირად მიწევდა იქ ჩასვლა. სოხუმი არ იყო დიდი ქალაქი, ყველა ერთმა-
ნეთს იცნობდა. ქალაქის ინტელექტუალური ნაწილის ცენტრი 50-იანი
წლებიდან ექიმთა საზოგადოება გახდა, სხვადასხვა ეროვნების წარმო-
მადგენლებით: ცნობილი პედიატრი ფრანგი იყო, ტრავმატოლოგი –
სტოლბოვსკი, ნევროპათოლოგი – შუბლაძე, ქირურგები – შერვაშიძე, ემ-
ბა ემხვარი, არშბა... პირველი საავადმყოფო ასტრაუმოვსკის სახლობისა
გახლდათ.

ჭრელი იყო ნაციონალური შემადგენლობით სოხუმის მოსახლეობა. ქარ-
თველებთან და აფხაზებთან ერთად აქ ბევრი სხვა ერის წარმომადგენელი
ცხოვრობდა. ყველას მშობლიურად მიაჩნდა ეს პატარა ქალაქი. ენობრივი
კონტაქტებიც ნაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ მათთვის, ადამიანურ
ფაქტორს აძლევდნენ უპირატესობას.

რაოდენობრივად საკმაოდ ბევრნი იყვნენ ბერძნები. ბაზარი ძირითადად
მათ ეკავათ, ქალაქის განაპირა უბნებში ცხოვრობდნენ და ბოსტნეულითა
და რძის პროდუქტებით ამარაგებდნენ სოხუმს. ხორცს ქართველები აკ-
ონტროლებდნენ – მუჟა წულაია იყო თავში.

სომხური სოფლებიც იყო სოხუმის ირგვლივ. აქ თურქეთიდან გადმო-
სახლებულები ცხოვრობდნენ, თურქულად ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ,

ერთ-ერთ სოფელში – ბეშკარდაშში (სოფელ იაშტუხასთან ახლოს), კრებები თურქულად ტარდებოდაო.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთს თურქეთთან ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა. ბაბუაჩემი – კოსტა ჯაიანი თურქეთთან თამბაქოთი ვაჭრობდა თურმე. სქურჩაში ჰქონია პლანტაციები. რა ენაზე ურთიერთობდნენ, არ ვიცი, მაგრამ თურქულიც რომ სცოდნოდა, არც ეს გამიკვირდება. სომხებიც აწარმოებდნენ აფხაზეთში თამბაქოს. მიხაილოვსკის სასაფლაოსთან რომ აუხვევდი, გზის მარჯვენა მხარეს, იქ ჰქონდათ გაშენებული საშრობები, ისეთი სურნელი იდგა ხოლმე ამ ადგილას, დაგათრობდა. საუკეთესო თამბაქო იყო.

სოხუმში ყოფნა ძალიან მიყვარდა. ჰქონდა ამ ქალაქს რაღაც ისეთი, რასაც სხვაგან ვერ იგრძნობდი. სასაუბრო – საურთიერთო ენა რუსული იყო, მაგრამ ამას ისე იყო შეჩვეული იქ მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, რომ არავინ არ ფიქრობდა, რომ ეს დამამცირებელი იყო. რატომ? **განა მშობლიური ენა ვინმეს არ უყვარდა ან პატივს ნაკლებად სცემდა? ამ ადამიანებისთვის მთავარი ადამიანური ურთიერთობები იყო, ურთიერთობის საშუალება კი ის ენა იყო, რომელიც ყველამ თანაბრად იცოდა.**

ერთი ამბავი მახსენდება. ჩავედი ერთხელაც სოხუმში, ჩემი მეგობარიც წამომყვა. ვეღარ დაბრუნდა თბილისში დროზე, ამიტომ, რომ ჩავედით, მთხოვა, ტელეფონზე დამარეკინე, ოჯახს გავაგებინებ, აქ რომ ვარო. მობილურები მაშინ არ იყო, მოგეხსენებათ. დასარეკად შევედით ერთ-ერთ ორგანიზაციაში. ვსაუბრობდით. უცებ კარი გაიღო, კაბინეტში შემოვიდა კაცი და თავის უფროსს უთხრა: „ნიკალაევიჩ, თქვა ჭუმე ქართმა მიდიხართ, მოჟეტ ადინ დვა კილო კრასკა ჩამოიტანოთ!“ ჩემს მეგობარს გაეცინა – ბიჭო, ერთი წინადადების სათქმელად, რამდენი ენა გამოიყენაო. დასკვნაც მიაყოლა: „სოხუმი უდებდნენ ქალაქი ყოფილა“.

გოგი ანთელავა [85 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

ქეთევან მარგიანი

2025 წელი

პირიბე ნიგურიანი

ქ. მ. – ბატონო გოგი, თანახმად ჩვენი შეთანხმებისა, ვისაუბროთ თქვენს დიდ მეგობარზე – პირიბე ნიგურიანზე. რას გაიხსენებდით?

გ. ა. – იმით მინდა დავიწყო საუბარი, რომ მე დავიზადე სოხუმში. გავიზარდე სოხუმში. და სვანები, სვანური სეგმენტი სოხუმში ყოველთვის იყო საკმაოდ ძლიერი. ჯერ კიდევ სკოლაში ჩემი კლასელი და უახლოესი ამხანაგი იყო ცხონებული ვაჟა პაკელიანი. ჰქონდა საოცარი თვისებები. და ამ ყველაფრის მიუხედავად კი სვანეთი აი ჩემს აღქმაში, უკვე დიდიც რომ ვიყავი, მაშინაც კი, იყო თითქოს რაღაც შორეული, რაღაც იდუმალი, რაღაც მისტიციზმით მოსილი.

ქ. მ. – მისტიკური სამყარო იყო!

გ. ა. – დიახ, სვანეთი მაშინაც სიდიადით მოსილი მისტიკური სამყარო იყო ჩემთვის! და უნდა ვაღიარო, რომ მაშინ იმ ასაკში, ზოგადად, მთა მაინცდამაინც არ მხიზლავდა. ალბათ, მარტივი მიზეზის გამო: ზღვაში ვარ დაბადებული! უნივერსიტეტშიც სვანები მყავდა კურსელები, მეგობრები, ამხანაგები და ყველასთან მხოლოდ კარგი ურთიერთობა გამახსენდება!

მაგრამ პირველად სვანეთში ავედით როდის? აი თარიღი ზუსტად არც კი მახსოვს, მაგრამ შეგიძლია, დააზუსტო, ავედი მაშინ, როცა მესტიის რაიკომის მდივანი იყო ბორის სარალიძე, ჩვენი ახლობელი კაცი.

აი მაშინ მე და ბიძაჩემი – კოტე სიჭინავა მანქანით ავედით სვანეთში. ხაიშამდე კარგი გზა იყო. ხაიშის მერე მხოლოდ დახრეშილი გზა მიდიოდა. ანუ გზა ჯერ ბოლომდე გაკეთებული არ იყო. ჩემი მანქანით იქ ვერ ავიდოდი, ფიატი იყო ახალი გამოსული მაშინ, მანქანა ხაიშში ფოსტაში დავტოვეთ. ფოსტის გამგე იყო შესანიშნავი, რაღაც საოცრად კეთილი კაცი – დიმურზა ხორგუანი. და თქვა: დატოვეო მანქანა, რა გინდა, თუ რაიმე მოემატება, თორემ დაკლებით არაფერი დააკლდებაო. და არც გავჩერებულვართ, თუმცა იქ სტუდენტობისდროინდელ მეგობრებს, მაგ., ვალოდია კვანჭიანს, ამბავო ჭკადუას... არ შევხმდინებოვარ, ეგრევე ჩავჯექით ხრეშის გადამზიდავ მანქანაში. კაბინკაში ჩავჯექით მე და კოტე და გავაგრძელეთ გზა.

ქ. მ. – ოჰო!

გ. ა. – გავაგრძელეთ გზა. თან მე უკვე მძღოლი არ ვიყავი და უფრო ვაკვირდებოდი ამ სილამაზეს, გარშემო ყველაფერს!

ქ. მ. – სვანეთის სილამაზეს!

გ. ა. – დიახ, სილამაზეს, რომელიც წარმოუდგენელია, ვერ ახსნი, ვერ დახატავ, ვერ მოყვები, ვერ გადმოსცემ. ეს ენგურის ხეობაა, ეს სვანეთის ჯადოსნური სამყაროა!

და ბედი ჩვენი, რომ მაშინ ენგურგესი ჯერ დაწყებული არ იყო და ეს უზარმაზარი ტბა, რომელმაც მთელი ხეობის კლიმატი შეცვალა თურმე, მაშინ არ იყო!

ქ. მ. – კი, ბატონო! როგორც ამბობენ, ენგურგესმა თურმე უკიდურესად უარყოფითად შეცვალა!

გ. ა. – ხაიშში, ენგურის ხიდზე რომ დადგებოდი, რაც არ უნდა სიცხე ყოფილიყო, იქ მუდამ გჭირდებოდა თბილი სამოსი. ისეთი სიგრილე იგრძელოდა იმ გარემოში. ნაკადი, ცივი ჰაერის ნაკადი მოდიოდა ხეობიდან პირდაპირ.

მოკლედ, ავედით მესტიაში. იქ, მესტიაში პრობლემა არ გვაქვს. ერთი სასტუმროა და ნომრების შოვნა ზოგჯერ კი ჭირს... მაგრამ ნუ, რაიკომის მდივანია... მოგვცეს სასტუმრო „თეთნულდში“ ოთახი. შევედით, დავბინავდით.

და უცებვე, აი, დალაგებულიც კი არ ვართ, მოვიდა **მაღალი, ახოვანი, აი ისეთი ვაჟკაცური სილამაზის კაცი. გამიკვირდა, სვანური ქუდი რომ არ ეხურა!**

ქ. მ. – აჰა, **სწორი მოლოდინია** თქვენგან.

გ. ა. – გამარჯობათ! გაგიმარჯოს! მე ამ სასტუმროს დირექტორი ვარო. პირიბე მქვია და გვარად ნიგურიანი ვარო. ძალიან სასიამოვნოა თქვენი მობრძანება და თუ შეიძლება, და თუკი ამას მიიღებთ, ეს პატარა საჩუქარი თქვენ ჩემგანო. ჩემი მეგობრის ნახელავიაო. არის რა, იცით?

ქ. მ. – აბა, საჩუქარი!

გ. ა. – წითელი ხისგან ნაკეთები ფეხიანი ლარნაკი ალბათ, დოქი – არა... და მოყვება ლამბაქი და რამდენიმე პატარა ჭიქა? რუსებს აქვთ **რიუმკა**

ქ. მ. – კათხა?

გ. ა. – რუსებს აქვთ „რიუმკა“. აი რამდენიმე ასეთი სასმისი თავისი თეფშით! და შევწუხდი ახლა. ასეთი ძვირფასი საჩუქარი! მაგრამ ეს ისეთნაირად იყო მორთმეული, რომ ამის უკან არავითარი რაიკომის მდივანი... ან რამე ამდაგვარი. უბრალოდ ორი ერთნაირი! იცი, ერთმანეთს ვგავდით მე და კოტე! ხშირად ავრევივართ კიდეც ერთმანეთში, განსაკუთრებით – მილიციონერებს.

მორჩა! წავიდა ეს კაცი. გვითხრა, თუ რამე გჭირდებათ... ცხელი წყალი არი. სასტუმროში ყველაფერი არი. არაფერი არ გჭირდება!

ქ. მ. – ყოჩაღ! სასტუმროს დირექტორი სწორედაც ასეთი მასპინძელი უნდა იყოს.

გ. ა. – დაღამდა. და უცებ განათდა კოშკები. ეს განათებული კოშკები! აი ასეთი სილამაზე არ მინახავს და არც მერე... ის შთაბეჭდილება არ მავიწყდება არასდროს, აი ამდენი წელიწადი გავიდა მას მერე, ნახევარ საუკუნეზე მეტიც... და კიდევ იმ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ! საოცარი ქალაქები მაქვს ნანახი. იცით!

ქ. მ. – ეჭვი არც მეპარება, ბატონო გოგი!

გ. ა. – უძველესი ქალაქები საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში... რა ვიცი, სად – არა! სადაც კი ვიყავი, მაქსიმალურად ვცდილობდი, ნაკლები დრო დამეხარჯა მეორეხარისხოვან ამბებზე, ოღონდაც სულ მევლო და მენახა ეს ყველაფერი. და ღმერთმა ამის შესაძლებლობა მომცა, ჩემი შვილის და ჩემი რაღაც ხელობის გამო, პროფესიის გამო!

იმ ღამეს მესტიაში თუ საერთოდ დავიძინებდი, არ მეგონა! აი ასე პირდაღებული ვუყურებდი ამ კოშკებს. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ სხვა ინტერესი არ მქონია! პირველ რიგში უნდა ნახო კოშკი!

დილას ჩამოვედით დაბლა, მოვიდა ორი მესტიელი კაცი: ერთი იყო ანზორ ქურდიანი, განუმეორებელი ადამიანი, ცნობილი მედიატორი, განთქმული მონადირე, მეორე იყო გივი ჯაფარიძე, მოთხილამურე. ბორია კახიანის მწვრთნელი და გამზრდელი!

ახლა ამას თავი დავანებოთ იმიტომ, რომ ურთიერთობა ამათთან იწყებოდა დილით და მთავრდებოდა გვიან, გვიან... მუდმივად ფრაზე-ბით: შენი ჭირიმე, **მიშგუ ლადელ!** „გენაცვალე“ **ხოჩაამდუ ხარი!** „ღმერთმა გაგიმარჯოს, მუდამ კარგად ყოფილიყავი!“

ქ. მ. – **მუხბე! მუხბე!** „ძმაო, ჩემი ძმა!“ არაა? მუხბეს ძა ხილი და მუხბეთი მიმართვაც ძალიან უყვართ სვანეთში, მე როგორც ვიცი!

გ. ა. – მთავარი აქ რა იყო, პირიბე ნიგურიანი კი არ ამკიდებია, მაგრამ სულ იყო ჩემს თავს, ჩემს ერთგვარ მფარველად, როგორ გითხრა, იყო ერთგვარ ფარად!

სწორად უნდა გამიგოთ, სვანეთში მაშინ თუკი ვინმე იქაური არ გყავდა შენი თავისუფლების გარანტად, რთული იყო. დიახ, რთული იყო! **პირიბე ნიგურიანი თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით** სწორედ ასეთი გარანტი, ასეთი მცველი იყო ჩემთვის ყველგან და ყველასთან!

ქ. მ. – გავიგე, სწორად გავიგე!

გ. ა. – ახლა კი პირიქით, რთულია გაიგო, როგორ დაამახინჯეს მესტია ამ უსახური მშენებლობებით, ამდენი სასტუმროებით. მაგრამ მაშინ მესტია იყო ერთი სეტი, სეტის მოედანი, მჟავე წყალი და ერთი რესტორანი იყო.

ქ. მ. – მეც კი ვყოფილვარ, სხვათაშორის, იმ რესტორანში, როცა ჩვენ – მეცხრეკლესელები წაგვიყვანეს ექსკურსიაზე აფხაზეთიდან სწორედ მესტიაში 1985 წელს!

გ. ა. – გარდა ამისა, იქ იყო ჩემი **ლუბა ნიჟარაძე, რომლისნაირ ადამიანს იშვიათად თუ შეხვდები და ნახავ საერთოდ!** ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ სამოც წელს ბელგიაში და...

ქ. მ. – 1960 წელს, ბატონო გოგი?

გ. ა. – დიახ! და იქიდან ბელგიის მოგზაურობიდან ძალიან დიდი მეგობრობა გამოგვეყვა, მეგობრობა, რომელიც დღემდე მის ოჯახთან მაკავშირებს, შვილთან მაკავშირებს. **პირიბემ კი მასწავლა, რა უნდა მენახა სვანეთში და ისიც, რა არ უნდა მენახა სვანეთში.**

ქ. მ. – რა საინტერესოა!

გ. ა. – პირიბეს საოცარი იუმორი ჰქონდა. საოცარი! ვეუბნები, პირიბე, რა მარტო ლელვს ჭამთ, რა არის ეს! ლელვ ხორცია სვანურად. აბა რა ვჭამოთ სხვა? მე ვეუბნები, რომ თევზს რატომ არა ჭამთ, ნახე, რა წყლები მოდის, კალმახით გაძემგვილია იქაური მდინარეები... ცურვა არ ვიცით! – მპასუხობს და ილიმება. ეს, რა თქმა უნდა, მისი ხუმრობა იყო ასეთი! მერე ჩემი ოჯახიც რომ დადიოდა, ჩემი და უკვე მომდევნო წლებში, ეუბნება, პირიბეო, სოკოს რატომ არა ჭამთ? სოკოს ცნობა არ ვიცითო.

და სინამდვილეში სოკოს ცნობდა მხოლოდ ერთი ქალი, რუსი ქალი იყო, მესტიის ცენტრის დამლაგებელი. ქუჩებს ხვეტდა. იმან იცოდა სოკოს ცნობა.

ქ. მ. – არადა, რა გემრიელი სოკო მოდის იქ.

გ. ა. – ტყეა და სოკოა სულ. რამდენი ნაძვი, რამდენი რცხილაა, იმდენი სოკოა.

ქ. მ. – როგორ მიყვარს ტყეებში სიარული! სიარული უსასრულოდ!

გ. ა. – **პირიბე იყო გზამკვლევი ჩემთვის, მოძღვარი, თუ გნებავთ, თუმცა ასაკით ახლა მაინცადამაინც დიდი სხვაობა არ გვქონდა.** პირიბე იყო მცველი! დაცვა არ მჭირდებოდა.

საოცარი ოჯახი ჰქონდა პირიბეს. ქალბატონი სიმა, მისი მეუღლე, შესანიშნავი სპეციალისტი, შესანიშნავი მცოდნე რუსული ენისა, რაც მაშინ, იმ დროს სვანეთში იშვიათობა იყო. სკოლაში მუშაობდა ძირითადად, მაგრამ ამასთან ერთად ზაფხულობით მუშაობდა გიდად და იმ ხალხისთვის, ვისაც ის ექსკურსიებს უტარებდა, გიდად დაჰყვებოდა, დიდი ბედნიერება იყო ასეთი კვლიეფიცირებული ადამიანისგან მოესმინათ ლექციები სვანეთზე, ამ სამოთხეზე.

ნარგისი, სულ პატარა გოგონა იყო მაშინ. ფილმი გააკეთეს მასზე, მასწავლებელი იყო. აი ეს პატარა გოგონა მიდის სკოლაში; ატარებს გაკვე-

თილებს, მასწავლებლობს, რაღაც გუნდის ხელმძღვანელობს. მაან შთამბეჭდავი იყო ჩემთვის ეს.

ქ. მ. – ნარგისი მეც ძალიან მიყვარს. ფრიად აქტიური ქალბატონია. კონფერენციებზე და მივლინებებითაც სულ დავდივარ მესტიაში და ყოველთვის მიხარია ხოლმე ნარგისთან შეხვედრა. ჩვენც ვმეგობრობთ.

გ. ა. – იუმორზე გიყვებოდით. მესტია – ზუგდიდის ავტობუსი, ერთი და იგივე ხალხი ზის, მესტიაში ბრუნდება ხოლმე. რომ მიუახლოვდნენ ბეჩოს იმ ადგილს, საიდანაც უშბის ცალი მწვერვალი მოჩანს მხოლოდ... მაგრამ მანამდე უნდა მოგიყვე:

ამის ნახვა ჩემთვისაც წარუშლელი შთაბეჭდილება იყო. აი ეს რომ პირველად დავინახე, მაშინ შემიყვარდა მთა.

მთა და ზღვა ხომ აბსოლუტურად განსხვავებულია, მაგრამ მერწმუნე, ნაკლები სილამაზე არ აქვს მთას!

ზის პირიბე ავტობუსში და როგორც კი ბეჩოდან უშბა გამოჩნდა, დაიწყო: კაცო, როგორ არა სრცხენია ამ ხალხსო? ვინ ხალხსო! ვისა და მთავრობასო, ხელისუფლებასო. წარმოგიდგენიათო, ახლა უნდათო, რომ უშბას თავი წაკვეთონო! ეს როგორ? რატომ? რა იცი? ნუ ახლა ეს პატარა ავტობუსია და ხალხი დაიძაბა.

ქ. მ. – აბა რაა!

გ. ა. – რას ჰქვია, საიდან ვიცი. ვიცი ის, რომ ახლა კოსმოსში უნდა გაუშვან ახალი ხომალდი, მთვარეზე უშვებენო და მთვარემდე ოცი მეტრი აკლია. საწვავი არ ეყოფა და ამიტომ საიდანღაც უნდა იშოვონ სასტარტო მოედანი. და ამიტომ გადაწყვიტეს, უშბას წააჭრან ეს თავი და იქიდან გააგზავნონო. ეს რომ თქვა და... ავტობუსი გაჩერდა. ისეთი ამბავი ატყდა... ისეთი დამაბუღლობაა! – გააჩერე მანქანა, ვინ გაბედა! ჩვენს უშბას ხელს ვინ ახლებს! – არის ერთი გაწევ-გამოწევა!

ქ. მ. – კარგად გავიცინე, ბატონო გოგი! აი იუმორი...

გ. ა. – მოკლედ, პირიბემ მითხრა, იქიდანო ფეხით მომიწია წამოსვლაო!

ქ. მ. – ძალიან მაგარია! და მისი თვისებებიდან თქვენ ყველაზე მეტად რას გამოარჩევდით! თქვენ მომღვარიც კი უწოდეთ! და ეს იუმორის უნარზე ხაზგასმაც ძალიან მომეწონა. მთის ხალხში იუმორიც განსხვავებულია და იმიტომაც! სხვათაშორის 2007 წელს მივლინებით რომ მივდიოდით კოდორის ხეობაში, მაშინ მახსოვს პროექტის ხელმძღვანელმა „მკაცრად“ გაგვაფრთხილა რუსუდან იოსელიანი, მედეა საღლიანი, პოლინა თოიძე და მე, რომ საგანგებოდ ჩაგვეწერა ხუმრობის, იუმორის ეპიზოდები: ითვლება, რომ სვანები პირქუშები და მკაცრები არიან! მარტო ავთო მარგიანის იუმორი ვერ გეყოფათ სვანებს! – ასე დაასრულა მაშინ ჩვენი „დამომღვრა“ იზა ჩანტლაძემ.

გ. ა. – იცით, მე მაქვს პირიბეს წერილები შენახული. ეს როგორი წერილებია, იცი? მომწერდა ხოლმე, მეც ვწერდი! ბოლოს უკვე, როცა ავადმყოფობდა. უგანათლებულესი კაცის წერილებია. **ახლა მე რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, სრულად, ალბათ, მაინც ვერ წარმოვაჩენ. განა მხოლოდ განათლებული კაცის წერილებია, მხატვარია, ამ ნაწერებით ჩანს ბუნების მხატვარი, ნამდვილი მხატვარი. მაგალითად, აი როგორი დილა გათენდა დღეს მესტიაში; ან როგორ დაითოვლა ბუმბერაზი მთების სამყარო...** სასწაულია პირიბეს დამოკიდებულება ყველა საკითხისადმი... და იქიდან დაიწყო სწორედ ჩვენი მართლა ძმობა! ეს გაგრძელდა უკვე შემდგომ თაობაში. სამწუხაროდ, ქალბატონი სიმა ადრე გარდაიცვალა.

ქ. მ. – შვილები დარჩა, ხომ?

გ. ა. – შვილები, კიი, რა თქმა უნდა. ნარგისი! უმცროსი იყო ირაკლი! და მესამე ბიჭი ადრე, პატარაობაში გარდაეცვალა...

ქ. მ. – ოი, როგორი სამწუხაროა!

გ. ა. – მე პატივს ვცემდი თითოეულ მათგანს არა მხოლოდ ჩემი და პირიბეს ძმობის, არამედ მათი პიროვნული თვისებების გამო...

ქ. მ. – ნარგისი შვილია პირიბესი? მე რატომღაც და მეგონა მისი.

გ. ა. – ნარგისი პირიბეს და სიმას შვილია! და კიდევ ერთი ბიჭია პაატა, რომელიც ახლა ისრაელში ცხოვრობს. იქ მსახურობს, იქ მუშაობს.

ქ. მ. – მესტიელები ბევრნი არიან ევროპაშიც და ამერიკაშიც...

გ. ა. – ნარგისთან მე საოცარი კავშირები მაქვს დღემდე. ახლა წავიყვანე ჩემი შვილიშვილი, ამ ზაფხულს. სვანეთში მყავდა შვილიშვილი, რომელიც ახლა სტუდენტია და საზღვარგარეთ ცხოვრობს. წავედით უკვე თვითმფრინავით.

თვითმფრინავიდანაც კი ლამაზია სვანეთი, მაგრამ მანქანა მაინც ჯობია. მანქანით კი ჩემს ასაკში მაინდამაინც ვერ ვენდე ჩემს თავს და...

ქ. მ. – და გადაფრინდით ესე იგი!

გ. ა. – გაგიჟდა ბავშვი! გაგიჟდა! ეს რა მანახეო! ეს რა ვნახეო! ახლა იყო ჩამოსული, საადგომოდ, სულ რამდენიმე დღით და ახლაც „ზაფხულში ხომ ისევ წავალთ სვანეთშიო?“ აი, ასე უცებ „მოიწამლა!“

ქ. მ. – მართლა?

გ. ა. – აი სვანეთში ჩასვლამ, იქ ნახვამ მერე ორგანიზმის „მოწამლვა იცის!“

ქ. მ. – კი ბატონო, ვიცი, ასეთი ადამიანებიც ვიცი!

თქვენი „**სვანეთით მოწამლული**“ შვილიშვილის სახელი და გვარი? რა ჰქვია?

გ. ა. – გიორგი ანელავა!

ქ. მ. – დიდებულია!

გიორგი ანთელავა – შვილიშვილი! გოგი ანთელავა – ბაბუა! ორივე „სვანეთით სასიამოვნოდ მოწამლულები!“ უშგულში თუ იყავით?

გ. ა. – დამცინით?! უშგულში როგორ არ ვიქნებოდით! თქვენ მითხარით, სად არ ვიყავით!

ქ. მ. – მულახში?

გ. ა. – მულახი ულამაზესი სოფელია! რაღაც სასწაულია!

ქ. მ. – კი, ბატონო, გეთანხმებით!

გ. ა. – მულახში ოლიმპიური თამაშები გავხსენით მაშინდელი! რომელი წელი იყო, აღარც კი მახსოვს!

ქ. მ. – ძალიანაც კარგი!

გ. ა. – ესეც უნდა მოგიყვე: ჩემი მეორე ვიზიტია უკვე სვანეთში. ჩემს ცხოვრებულ პატარა ბიჭთან ერთად ვიყავი. და იქ საინტერესო ამბავი მოხდა. ბიჭი წავიყვანე. პატარა იყო ჯერ. სკოლაში ახალი დაწყებული ჰქონდა სიარული. ფრანგულს ვასწავლიდით და შევთანხმდით, რომ სვანეთში როცა ვიქნებით, მე და შენ ერთმანეთში მხოლოდ ფრანგულად ვილაპარაკებთ. ახლა ხალხში – არა, მაგრამ ერთმანეთში – აუცილებლად.

ერთ დილასაც ადრე ჩავედი სასტუმროს ეზოში. იქვე, კაფეში სამნი დგანან და ლაპარაკობენ. იერზევე ეტყობა, რომ ერთი მათგანი აშკარად ევროპელია. ერთი მათგანიც აღმოჩნდა ვალერი სილოგავა!

ქ. მ. – ოი, როგო პატივს ვცემ ვალერი სილოგავას. როგორი დამსახურება აქვს მას სვანეთის წინაშე, როგორც სვანეთის წერილობითი ძეგლების ვებერთელა ორტომეულის რედაქტორს! სულ მგონია, რომ მის წინაშე ვალში ვარ!

გ. ა. – ამ დროს ჩემი ბიჭიც ჩამოვიდა და შეთანხმებისამებრ, ფრანგულად მკითხა, ჩაი აქ უნდა დავლიო თუ მაღლაო; მეც ვუპასუხე, რომ შეეძლო ნებისმიერ ადგილას, სადაც მას სურდა. ჩვენს ამ საუბარს ყური მოჰკრა ამ უცხოელმა. თქვენ ფრანგული იცითო? ესო ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობას ჰგავსო რაა, რუსულად რომ დაელაპარაკა მეცხვარე! ეს კაცი აღმოჩნდა ბერნარ უტიე!

ქ. მ. – მართლა?! გავვიჟდი! დიდი ფრანგი ქართველოლოგი!

გ. ა. – აი ასეთი უცნაური შეხვედრა იყო! ვალერი სილოგავამ ჩამოიყვანა! არ ვიცი, რა მიზანი იყო, ტექსტები იყო თუ რა იყო! მაგრამ სვანეთში რა მიზანიც არ უნდა იყოს, სვანეთია და ყველაფერია!

ქ. მ. – კი, ბატონო! სწორედაც რომ ასეა! ლექციებზეც ხშირად ვიმეორებ, სხვათა შორის! აი ასე წერს-მეთქი აკაკი შანიძე ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში: ქართველოლოგიის კორიფეები თავიანთი სამეცნიერო ინტერესების დასაკმაყოფილებლად ყოველთვის მიაშურებდნენ ხოლმე სვანეთს.

გ. ა. – ბერნარ უტიეს მერე თბილისში ხშირად ვხვდებოდი კონფერენციებზეც, ხელნაწერთა ინსტიტუტშიც.

ქ. მ. – უტიეს დიდი დამსახურება აქვს ქართველოლოგიაში. მაგრამ იქ, მესტიაში თქვენი შეხვედრის ეს ეპიზოდი იყო ჩემთვის ძალიან შთამბეჭდავი.

გ. ა. – ნუ, ეგზიუპერს აქვს ნათქვამი, რომ სამყარო ძალიან პატარაა!

ქ. მ. – დიახ, დიახ! ამას წინათ ვკითხულობდი, დედამიწა ბოლოსდა-ბოლოს ერთი დიდი სოფელიაო!

გ. ა. – ეგრეა, ეგრე!

ქ. მ. – ბატონო გოგი, თქვენ არ გიყვართ საუბარი თქვენზე, საკუთარ თავზე, თქვენს დიდ დამსახურებებზე! ამიტაც ძალიან გამაოცეთ! არ გიყვართ საკუთარ თავზე, ამდენ ღირსებაზე, თქვენს რჩეულობაზე საუბარი! არ გიყვართ დამსახურებული შეფასებები და ყველაფერი წამაშლევინეთ, რაც კი თქვენზე მეწერა! და მეწერა არა მხოლოდ ჩემი სათქმელი, ყველა აფხაზეთელისა... ამაზე გული დამწყდა!

...და მადლობა კი უზარმაზარი უნდა გადაგიხადოთ ყოველივესთვის, ამდენი საინტერესო, ჩემთვის და ბევრისთვის უცნობი ამბის თხრობისთვის, მოყოლისთვის, გაზიარებისთვის! **მადლობა სვანეთის ასეთი სიყვარულისთვის! მადლობა თქვენი ბრწყინვალე სოხუმური ქართულისთვის! სიტყვაკაზმულობისთვის!**

შევხვედროდეთ სოხუმშიც და მესტიაშიც! დალის მისტიკურ ხეობაშიც, და თუ გნებავთ, ბერნარ უტიეს მშობლიურ საფრანგეთშიც!

ძალიან დიდი მადლობა, ბატონო გოგი!

გოგი ანთელავა [85 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

ქეთევან მარგიანი

2025 წელი

ღია წერილი მწერალ ი. თარბას

1989 წლის 29 დეკემბერს გაზეთმა „აიდგილარამ“ გამოაქვეყნა თქვენი წერილი გიორგი გულიას ნაწარმოების „შავი სტუმრების“ განხილვის ისტორიის შესახებ, რომელიც მოეწყო 1950 წელს. გაზეთმა „ოქროს საწმისმა“ თარგმნა ეს წერილი ქართულ ენაზე, დაბეჭდა იგი და გვერდით მოათავსა თქვენი სიტყვა, წარმოთქმული აფხაზეთის პარტიულ საოლქო კონფერენციაზე 1951 წლის 16 იანვარს, რომელზედაც თქვენ გამოხვედით როგორც საქართველოს საბჭოთა მწერალთა ორგანიზაციის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ამ ორმა პუბლიკაციამ კიდევ ერთხელ დამაფიქრა და ამომწურავი პასუხიც გამცა კითხვაზე: მაინც ვინა ხართ თქვენ, ივან კონსტანტინოვიჩ!

ხომ მიამიტობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ეგზომ გამოცდილ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ მოღვაწეს, ცნობილ მწერალსა და ლიტერატურულ ადმინისტრატორს ისეთი მოკლე მეხსიერება ჰქონდეს, რომ წარსულში ნათქვამი აღარ ახსოვდეს.

საქმე იმაშია, რომ ადრე დაგიწყიათ მემუარების წერა, ივან კონსტანტინოვიჩ, ძალზე ადრე! როგორ ვერ გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობის ბევრი მოწმე ჯერ კიდევ ცოცხალია. ეს კი სახიფათოა, განსაკუთრებით ისეთი მასშტაბის „მოღვაწესათვის“, როგორიც თქვენ ხართ. თქვენ რასაც წერთ, ხომ ხშირად სინამდვილეს არ შეეფერება! დასახელებულ პუბლიკაციებშიც თქვენ ისეთი განსხვავებული ბრძანდებით, რომ ძალაუწებურად იბადება კითხვა: ნუთუ ეს ყველაფერი ერთი და იგივე პირის დაწერილია?

ქეშმარიტად, შეუზღუდავია ადამიანის შესაძლებლობები!

ეს ზოგადად. ახლა კი კონკრეტულად:

ნაწყვეტი „აიდგილარაში“ დასტამბული წერილიდან: „აფხაზეთის ინსტიტუტის მუშაკმა, ისტორიის მასწავლებელმა ირაკლი ანთელავამ „შავი სტუმრების“ შესახებ ისაუბრა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მას წინასწარ დაუსახეს და დაიწყო ნაწარმოების მნიშვნელობის დამცირება“... /აქ და ქვემოთ ვსარგებლობ „ოქროს საწმისში“, N2,1990 წ. გამოქვეყნებული თარგმანის ტექსტით – გ. ა. /.

ცნობისათვის : აფხაზეთის ინსტიტუტს იმ დროს /1950 წელს – გ.ა./ ეწოდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ცხოვრებაში დაკანონდა მისი რუსული აბრევიატურა **აზნიი**. სხვისი რა მოგახსენოთ, თქვენ კი ვალდებული ხართ, ივანე კონსტანტინოვიჩი, სწორად დაასახელოთ რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულება. იგი ამას იმსახურებს.

ახლა კი ზოგი რამ უნდა შეგახსენოთ.

ანთელავა ირაკლი გიორგის ძე, 1912-1978 წწ., ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე /1961 წ./, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე /1965წ./. სხვა ჯილდოებთან ერთად მიღებული აქვს ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი /1972 წ./; 1938 წლის თებერვლიდან - 1956 წლის 30 ოქტომბრამდე მუშაობდა აზნიიში, პარალელურად – 1954 წლის ნოემბრამდე – სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც, სხვათა შორის, თქვენ დაამთავრეთ 1948 წელს.

გაიხსენეთ? ახლა კი სხვა რამეც მოვიგონოთ.

სწორედ ამ ინსტიტუტში აღზრდილს, თქვენ, ახალგაზრდა აფხაზ პოეტს, ივანე თარბას, გაგეხსნათ ფართო გზა, რომელმაც შემდგომში მიგიყვანათ განათლების მინისტრის, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის, რესპუბლიკის პროფკავშირული ლიდერის თანამდებობებზე, რაც ყოველთვის უკონფლიქტოდ უთავსდებოდა თქვენსავე აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას.

და აქ მეზადება კიდევ ერთი კითხვა: როგორ ხდებოდა, რომ აფხაზეთისთვის მწელ დროს, თქვენ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი პოეტი, ასეთი გამაღებით მიიწევდით წინ არაპოეტურ ასპარეზზე. გაიხსენეთ /თუ შეძლებთ/ სად იყვნენ, თქვენი ტოლები, თანაკურსელები და უბრალოდ ინსტიტუტის ამხანაგები: ალექსი ლასურია, ცარბეი ბჟანია, ალექსი ჯონუა, კუმფ ლომია, სხვები, არანაკლებ ნიჭიერნი, ვიდრე თქვენ?

ზუსტად ვერ ვიტყვი, თუ რას აკეთებდნენ ისინი იმ ხანად, ერთი კი ცხადია, – შრომობდნენ, მაგრამ არა გამორჩენისთვის.

გასაგებია, მძიმე დრო იყო. მძიმე ყველასათვის. ყველა როდი აღმოჩნდა ნამდვილი მოქალაქე, ხალხის ღირსეული შვილი, განა არა, ივან კონსტანტინოვიჩ? მაგრამ ხომ გამოჩნდა იმ დროს აფხაზეთში სამი მამაცი ადამიანი, რომლებიც არაფერს შეუშინდნენ, მისწერეს წერილი ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ხელი მოაწერა. მეოთხე მაშინ არ მოიძებნა. ეს ადამიანები პატივისცემის ღირსნი არიან, რასაც ვერ ვიტყვი თქვენზე, თუმცა თქვენ 1986 წლის „აფხაზურ წერილს“ მესამემ მოაწერეთ ხელი.

განა იმავე დროს /ან თითქმის იმავე დროს/ არ გამოაქვეყნეთ ლექსების ციკლი მერხეულზე? ეს წიგნი ავტორისეული მიძღვნიტ „ისტორიის მასწავლებლისადმი“ /მართალია, იქ იგი სხვაგვარადაა მოხსენებული/ შემონახულია. რა დავარქვავთ ამას, ყმაწვილური აღტკინება, აღმაფრენა ქართველი ხალხის „სასიკადულო შვილის“ სიყვარულით შთაგონებული? არც ერთი და არც მეორე. ეს ერთ-ერთი თქვენი პირველი ნაბიჯ-თაგანია, რომელმაც განსაზღვრა შემდგომში თქვენი ცხოვრების წესი.

საერთოდ, ივან კონსტანტინოვიჩ, ვინც კი თვალს გადაავლებს თქვენს მრავალწლიან პარტიულ-საბჭოთა-ლიტერატურულ კარიერას, განცვიფრდება იმ შესაშური ნიჭისა და უნარის გამო, რომელიც საშუალებას გაძლევდათ, ყოველთვის ყოფილიყავით განსაკუთრებულად პრივილეგიურ მდგომარეობაში. თქვენ არ გაგიშვიათ ხელიდან არც ერთი შანსი ამ მდგომარეობის მისაღწევად. ყოველი გამგებლის დროს ფავორიტი ან ნახეფრადფავორიტი იყავით, მართალია, ზოგჯერ გიხდებოდათ სავარძლიდან ნაკლებად რბილ სკამზე გადაჯდომა, მაგრამ ეს ხომ ცხოვრებაა: რაც უფრო ზევით ადიხარ, მით უფრო მძიმედ ეცემი ძირს!

ი. ანთელავას ბიოგრაფიულ ცნობაში მე პედანტური სიზუსტით მოვიყვანე აფხაზეთში მისი მუშაობის თარიღები. მიაქციეთ თუ არა ყურადღება 1956 წლის 30 ოქტომბერს? გახსოვთ? – თუ არა, შეგახსენებთ. სწორედ ამ დღეს, თქვენ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა, განუცხადეთ მას, რომ მისი დარჩენა აფხაზეთში „მიზანშეწონილი აღარ არის“.

ვფიქრობ, მაშინ მთლად თქვენი ნებით არ გიმოქმედიათ. თქვენ წინასწარ შეგიკვეთეს ეს და შეგიკვეთეს სწორედ თქვენ, რადგან დამკვეთებმა იცოდნენ, რომ მათი ნების უკეთეს აღმსრულებელს ვერ იპოვიდნენ.

ნუთუ არ იცოდით, რომ აძევებდით არა რიგით „მასწავლებელს“ /თუმცა ამ წოდებაში ვერაფერს სამრახის ვერ ვხედავ/, არამედ აფხაზეთში ისტორიის მეცნიერებათა პირველ კანდიდატს /მან დისერტაცია 1941 წელს დაიცვა თემაზე „ნარკვევები აფხაზეთის XVII-XVIII სს. ისტორიიდან“/ და ისტორიის მეცნიერებათა პირველ დოქტორს, ადამიანს, რომელმაც დიდი ძალა და ენერგია დაახარჯა აფხაზეთში ისტორიის მეცნიერების განვითარებას, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ეს მხარე, უანგაროდ ემსახურებოდა მას და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუწყვეტია მასთან კავშირი. აფხაზეთი მისთვის არ გაიგივებულა თანამდებობების პირებთან და მედროვეებთან, არამედ ყოველთვის იყო ანდრია ჭოჭუას, ვარლამ შარვაშიძის, გიორგი ძიძარიას, სოკრატ არშბას, მიხეილ თრაფშის, ქიაზიმ აგუმაას, მიხეილ ლაკერბაის და სხვა, დღესაც ცოცხალ, ღირსეულ შვილთა სამშობლო, სამშობლო იმ სტუდენტებისა, რომელთაც იგი ლექციებს უკითხავდა პედიუსტიტუტში და რომლებთან ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში მოლოტოვის ქუჩის /მაშინდელი სახელწოდება/ N21-ში. ბინა სახელმწიფოსაგან მას არასდროს არ მიუღია. მას ესმოდა „ალამისის“ მნიშვნელობა და ფასი, უყვარდა ამ ძლიერი სიტყვის შემქმნელი ხალხი და მისდევდა ამ სიტყვაში ჩაქსოვილ ყოველ მცნებას. იგი არ ყოფილა ორპირი, ვიმეორებ, ორპირი, ივან კონსტანტინოვიჩ!

სწორედ ამიტომ შეხვდა იგი გულწრფელი სიხარულით და მადლიერებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებას. სწორედ ამიტომ მძიმედ განიცდიდა აფხაზეთთან იძულებით განშორებას. მიუხედავად ამისა, მაინც არ დამდგარა განაწყენებული კაცის პოზაში და მთელი თავისი ცოდნით, ენერგიით და გამოცდილებით ემსახურა მას უკანასკნელ სუნთქვამდე.

ისევ დავუბრუნდეთ ზემოთ მოტანილ ციტატას: „...ისაუბრა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მას წინასწარ დაუსახეს და დაიწყო ნაწარმოების მნიშვნელობის დამცირება...“.

ამასთან დაკავშირებით მებადება კიდევ ერთი კითხვა: რამ გაიძულათ, გამოგექვეყნებინათ „ქმნილება“, საიდანაც ეს სიტყვებია ამოღებული? იგი ხომ დიამეტრულად ეწინააღმდეგება 1951 წელს თქვენსავე ნათქვამს გიორგი გულიასა და მის თხოვულებაზე? ლიტონი სიტყვა რომ არ გამოგვივიდეს, შევუდაროთ ერთმანეთს:

„გიორგი გულიამ – კაცმა, რომელმაც გულთან ახლო მიიტანა თავისი კეთილი, ნიჭიერი, საკუთარი მიწის მოყვარული აფხაზი ხალხის ყველა უბედურება და სიმწარე, მთელ მსოფლიოში კარგად ცნობილი ნაწარმოებებით უმღერა თავის მიწას, თავის მხარეს“... /„აიდგილარა“, „ოქროს საწმისი“/.

პარტკონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში კი, როდესაც ლაპარაკობდით გ. გულიას მთელი შემოქმედების ხარვეზებზე, ხაზი გაუსვით, რომ „... ეს განდგომაა სოციალისტური რეალიზმის პრინციპისაგან... ის მწერალი, რომელიც განუდგება ამ სტალინურ პრინციპს, ამახინჯებს სინამდვილეს, გვიჩვენებს მას მრუდე სარკეში, როგორც ეს გ. გულიას მოსდის. მწერალ გ. გულიას ეს ნაკლოვანებები არ არის წმინდა ლიტერატურულ-მხატვრული რიგისა, მათ უფრო პრინციპული ხასიათი აქვთ, რაც მაგნე კონცეფციაში გადადის /თარგმანი რუსულიდან ჩემია – გ.ა./ საკვირველია, როგორ არ აღმოჩნდა ამის შემდეგ გ. გულია „სოლოვკებზე“?

თქვენ, ივან კონსტანტინოვიჩ, რომელიც ყოველთვის მოქმედებდით მხოლოდ ვიღაცის მიერ დასახული გეგმით, უფრო სწორად, ვინმეს საამებლად, ალბათ, გიჭირთ, გაიგოთ, რომ არსებობს პრინციპულობა, მოქალაქეობრივი მრწამსი, ადამიანური ღირსება და, რომ ეს ზნეობრივი კატეგორიებია, მათ ვერც იყიდი და ვერც მოიხვეჭ! ეს ყველაფერი ღვთისაგანაა, ამით შეიძლება მხოლოდ იყო ბედნიერი და იამაყო.

სრული პასუხისმგებლობით ვადასტურებ, რომ „შავი სტუმრების“ განხილვისას ი. ანთელავა /აზნიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი და პედინსტიტუტის კათედრის გამგე/ გამოვიდა როგორც ისტორიკოსი, სპეციალისტი ნაწარმოებში აღწერილი პერიოდისა, მხოლოდ ამ თვალსაზრისით და მკაცრად გააკრიტიკა იგი ისე, რომ მისი ავტორისთვის არ უკადრებია ის, რაც თქვენ აკადრეთ მას თქვენს გამოსვლაში. /ი. ანთელავას გამოსვლის ტექსტი შემონახულია/. ამიტომ განწმენდის მცდელობა 29. 12. 1989 წ. „აიდგილარას“ ფურცლებზე მხოლოდ ნიანგის ცრემლებია. მათი ფასი ყველამ იცის.

დაბოლოს, მე მესმის, რამ გაიძულათ წარსულში ქექვა. შეუძლებელია, განთავისუფლდე ჩადენილი ბოროტებისაგან. ეტყობა, შიში იმქვეყნად ადამიანთან შეხვედრისა, რომელსაც თავს ლაფი დაასხი, არ გასვენებს. ახლა კი... ხანი გავიდა...ბევრი რამ დავიწყებას მიეცა... ჟამი დადგა, ჟა-

მი ამღვრეული, ხელსაყრელი, როდესაც ადვილად შეგიძლია მოიპოვო ქულები პატრიოტის ტიტულზე გამართულ „მასიურ ტურნირში“. მაგრამ... ივან კონსტანტინოვიჩ, გახსოვდეთ, რომ ეს ქულები ყალბია, ხოლო „პატრიოტი“ არც ორდენია და არც – წოდება, იგი სულ სხვა რამეა. პატრიოტობა ძალზე იოლია, პატრიოტი უბრალოდ უნდა იყო ყველგან და ყოველთვის, მუდამ უნდა გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და არასდროს დაგავიწყდეს, რომ შენი მამის შვილი ხარ და შენი შვილის მამა!

ეპისტოლური სტილი მოითხოვს, რომ წერილი იწყებოდეს და მთავრდებოდეს ადრესატისადმი გარკვეული პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით. ეს სიტყვები ზოგჯერ გულწრფელია, ზოგჯერ კი ეთიკურ სტერეოტიპს წარმოადგენს.

თავს ვაძლევ უფლებას, ამ შემთხვევაში ეს წესი არ დავიცვა.

გიორგი ანთელავა
1990 წელი

წერილი /რუსულ ენაზე/ წინასწარი შეთანხმების თანახმად წლის თებერვალში დასაბეჭდად მივიტანე აფხაზეთის ეროვნული ფრონტის ანტიქართულ გაზეთ „აიდგილარას“ რედაქციაში. რედაქტორმა, სერგეი შამბამ /შემდგომ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი/ დაპირების მიუხედავად, წერილი არ დაბეჭდა. „ოქროს საწმისში“ წერილი გამოქვეყნდა 1990 წ. აპრილი N4 მისი რედაქტორის, ქართველი პოეტის, საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მოქალაქის – ბ-ნ გენო კალანდიას ინიციატივით.

გიორგი ანთელავა

„დავაკებაზე ვდგავარ, მწვერვალზე უნდა ავიდე“

ქ. მ. – ბატონო ვახტანგ, ჩვენ ვსაუბრობდით ბექა გასვიანზე.

ვ. გ. – მე ვყვებოდი, მე ვთქვი, რომ 1921–24 წლების აჯანყებების პერიოდში ძალიან მძაფრი რეპრესიები ჩატარდა სვანეთში და მთელ საქართველოშიც, სამწუხაროდ, და გიორგი გასვიანი იმ პერიოდში დააპატიმრეს სოფელ კალაში, წაიყვანეს ზუგდიდში. დახვრეტილ იქნა ზუგდიდშივე. იქვე დაასაფლავეს. ბიძაჩემმა სეფე გასვიანმა მოახერხა და ლატალელი მეგობრების, ლატალელი ოთხი ვაჟკაცის დახმარებით გადასვენა სვანეთში და დაკრძალა ხალდეშივე. ეს დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული იმდროინდელი უგზოობის პირობებში, ამიტომ ამით სეფემ დიდი საქმე გააკეთა. მესამე ვაჟკაცი, კაპიტონი, უმაღლესი განათლებით, ფიზიკურად ძალიან მშვენიერი ვაჟკაცი იყო, 1945 წელს გარდაიცვალა თურმე. ოცდაჩვიდმეტ ოცდათვრამეტ წლებში ისიც დააპატიმრეს დასმენის შედეგად. მაგრამ ვერ დაუმტკიცეს ვერაფერი. ციხეში საშინელ პირობებში დაყო ერთი წელი, ამიტომ დაავადდა. დაავადმყოფდა და გარდაიცვალა ძალიან ახლაგაზრდა ასაკში ამ უსამართლობის გამო.

ბექა ბაბუასგან აი ასე დარჩნენ მხოლოდ სამი ძმები და ერთი ქალიშვილი! იმათი შთამომავლები ვართ ჩვენ, ძალიან თბილად ვეკიდებით ერთმანეთს. უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი. მახსოვს, როცა ეს ძმები არ იყვნენ გაყრილები, ცხოვრობდნენ ერთ სახლში. მაშინ, სხვათა შორის, ასეთი წესი იყო: ოჯახის გაყრას, ოჯახის გაყოფას ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ რატომღაც.

ქ. მ. – კი, კი...

ვ. გ. – ახლაც ასეა ეს!

ქ. მ. – ახლა არა მგონია ეგერე იყოს, მაგრამ დედაჩემის მონაყოლი ამბებით მეც მახსოვს, როგორი მტკივნეული თემა იყო ოჯახის გაყოფა. მიდგომა და მენტალობა იყო ასეთი, სავარაუდოდ!

ვ. გ. – აი მაშინ მე გიყვებოდი ოჯახურ ურთიერთობებზე, ერთმანეთ შორის დამოკიდებულებებზე, სამი რძალი ერთმანეთში მხოლოდ სიყვარულს აქსოვდა, შვილების გაზრდაში სამივე ერთმანეთს ხელს უწყობდა და ეხმარებოდა. მხოლოდ ურთიერთდახმარება, სიყვარული და პატივისცემა. აი, ასეთი ატმოსფერო სუფევდა ამ დიდ ოჯახში. მერე სამი ძმის შვილები რომ უკვე წამოიზარდნენ, გადავიდნენ ცალ-ცალკე. მამაჩემი მიყვებოდა მე, რომ სოფელმა მხოლოდ მაშინ გაიგო ჩვენი ცალკე სახლობა, სამი ძმის გაყრა, **ეჩქა ესერ გარ ოხმეკრა ღოთაღ** „მხოლოდ მაშინ გაიგეს გაყრის ამბავი“, როცა კვამლი სხვადასხვა სახლებიდან ავიდაო, ანუ ცალკე კომლენი გავხდითო.

ქ. მ. – რა შთამბეჭდავია. ამან გამახსენა, ბატონო ვახტანგ, თქვენ იცოდით სვანურად სიტყვა **მუკმი**, კომლის მნიშვნელობით? მე არ ვიცოდი. გაგიკვირდება და მუკმი არ არის სვანურის ლექსიკონებში. იცით, ალბათ, თოფურია – ქალდანის „სვანური ლექსიკონი“ – ქართველოლოგიის სამაგიდო წიგნი, მთელი სამოცი წლის მანძილზე იქმნებოდა და მხოლოდ ორი ათას წელს იხილა დღის სინათლე აკაკი შანიძის დავალებით ჯერ კიდევ 1936 წელს დაწყებულმა ლექსიკონმა. სხვათა შორის, მეც ვარ ამ ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი, მაშინ ასპირანტურაში ვსწავლობდი და ბალსემოურ მასალას საბოლოო რედაქტირება მთლიანად მე გავუკეთე. აი ამ ლექსიკონშიც კი არ გვხვდება სიტყვა, მუკმი. და ვიპოვე კოჟევნიკოვას ტექსტებში, მის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში. ეს **ევდოკია კოჟევნიკოვა** იყო ნიკო მარის სტუდენტი პეტერბურგში. პირველად სწორედ ნიკო მარმა წაიყვანა პრაქტიკაზე სვანეთში ოციან წლებში. პეტებურგშივე გააფრთხილა თურმე, შენ თუ გინდა ეთნოგრაფი გამოხვიდე, სვანეთში უნდა წახვიდე და იქ იცხოვრო. ნიჭიერმა სტუდენტმა დაუჯერა გენიალურ ნიკო მარს. ამ პეტერბურგელმა გოგონამ სრული ათი წელი იცხოვრა სვანეთში 1926 – 1936 წლებში. ისწავლა სვანური ენა ძალიან კარგად! უსაზღვროდ უყვარდა თურმე სვანეთი და სვანები! მისი ეთნოგრაფიული ჩანაწერები – ჯამში 1200 ხელნაწერი – გვერდი დღეს ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. იცით, როგორი საინტერესო ჩანაწერებია და როგორი საინტერესო ამბები აქვს ხოლმე მოყოლილი. აი, ამ კოჟევნიკოვას სვანურ ტექსტებში წავიკითხე პირველად სიტყვა „მუკმი“, ანუ იგივე მე-კომურ-ი. მე კი მხოლოდ მეზგე „მოსახლე“ ვიცოდი მანამდე.

ვ. გ. – ხალდეში კი, მე ვიცოდი მუკმი.

ქ. მ. – აი თქვენც ადასტურებთ. დიდი მადლობა. **ვისურვოთ, რომ ხალდეშიც და აფხაზეთშიც მომრავლებულიყვნენ მუკმიები – საქართველოს სიმრავლის, სიძლიერის, ერთიანობის მაღიდებელნი.**

ვ. გ. – მახსოვს, განსაკუთრებული პატივისცემით იყენებდნენ მაშინ ამას – მუკმის, მაგრამ დღეს უკვე ხმარებაში მუკმი თანდათან ქრება.

ქ. მ. – დიახ, მუკმი აღარ არის აქტიური გამოყენების სიტყვა. მას ენაცვლება მეზგე „მოსახლე“.

ვ. გ. – რა კარგი ისტორია მომიყევით იმ პეტერბურგელზე. შენი ასე ძალიან მოწონებული სიტყვიდან ანუ ამ სამი მუკმიდან ცალ-ცალკე რომ ავიდა კვამლი, მხოლოდ მაშინ გაიგო სოფელმა, რომ ცალკე ცხოვრობს იპოლიტე, ცალკე – სეფე და ცალკე – ლაზარე. აი, ასე უმტკივნეულოდ მოხდა ძმების გაყრა-გაყოფა.

ქ. მ. – ფრიად მომეწონა ამ სამი ძმის ძმოზა! მოდი, ცოტას გავაპოეტურებ: ესე იგი სოფელმა სეფე-ლაზარე-იპოლიტეს ღრთაღლის „გაყრა-გაყოფა“

ფის“ ამბავი გაიგო მხოლოდ მაშინ, როცა ამ მუკმიებიდან „მეკომურე-ბიდან“ ცალ-ცალკე ზოლებად აიზლაზნა თუ აიკლაკნა ცაში კვამლი!

ვ. გ. – სხვათა შორის, მე რომ სიძე გავხდი ჩანქსელიანების, მაშინ გას-ვიანების მეორე შტოდან იყო იმათი რძალი, რომელიც ასე უყვებოდა საუბრისას ოჯახში თავისიანებს, რომ აი ასეთი ოჯახიდან გვყავს ჩვენ სიძეო.

ქ. მ. – აა, თქვენზე?

ვ. გ. – დიახ, აი ეს ეპიზოდი მოყვა იმანაც. ამ ძმების სამ მეკომურად ასე უსიტყვოდ, უმტკივნეულოდ გაყრის ეპიზოდი.

ქ. მ. – ვაგრძელებთ თქვენს ბავშვობაზე საუბარს.

ვ. გ. – ბექა გასვიანზე უნდა მოგიყვე. ბაბუაჩემი იყო ძალიან მჭევრ-მეტყველი. სვანური თქმულებები, ამბები, გადმოცემები, ზეპირსიტყვიერება... რამდენი რამე იცოდა და მისი საუბარი ყოველთვის იყო ძა-ლიან საინტერესო. ამავე დროს კარგად უკრავდა ჭუნრზე „ჭიანურ-ზე“. მღეროდა. ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ: სვანეთში დადიოდა აკაკი შანიძე, ენათმეცნიერი, ცნობილი პიროვნება, გეცოდინება შენ.

ქ. მ. – მეცოდინება? კი არადა და უდიდესი თაყვანისმცემელი ვარ მი-სი! ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი, ქართული ფილოლოგიის ბერძენი – აკაკი შანიძე, ყოველთვის ასე იწყება ჩემი ლექციები ძველ ქართულ ენაში სტუდენტებთან. მე ძალიან დიდი მეხოტბე ვარ აკაკი შანიძის ქართველოლოგიური ღვაწლისა! სხვათა შორის, პირველკურ-სელმა ცოცხალი ლეგენდა საკუთარი თვალთა ვნახე კიდეც მისი 100 წლის იუბილეზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეს იყო 1986 წელს!

ვ. გ. – აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია ერთად იყვნენ ჩამოსული სვანეთში. ბაბუაჩემს გაესაუბრნენ და მოეწონათ მისი საუბარი. ექსპე-დიციის წევრებს აკაკი შანიძემ გადაულაპარაკა თურმე, ძალიან მომე-წონა ამ მოხუცის საუბარიო.

ქ. მ. – აჰა!

ვ. გ. – ბაბუაჩემმა რომ გაიგო, რომ მოხუცი უწოდა, მივიდა შანიძესთან, ხელი მხარზე დაადო და ღიმილით უთხრა: მე თქვენი პატივისცემით ჩემს პირველ შვილიშვილს აკაკი დავარქვიო. და ეს აკაკი – ჩემი ძმა კა-კო გასვიანია!

ქ. მ. – მართლა, რას ამბობთ! ფილოსოფიის დოქტორს, მწერალს, პარ-ლამეტის წევრს, ბალადების ავტორს, აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელს – აკაკი გასვიანს სახელი თურმე აკაკი შანიძის პატივისცემის გამო დაარქვეს! რა საოცარი რამე მითხარით, ბა-ტონო ვახტანგ, დიდი მადლობა ამ ეპიზოდისთვის!

ვ. გ. – მერე ბექა გასვიანი ეუბნება შანიძეს, გაიხედე იქეთ, ხალდეს მყინვარებისკენო, მყინვარებამდე ხედავთ, არის ვაკე ადგილი. მე ახლა დავაკებაზე ვდგავარ იმისთვის, რომ აი, იმ მწვერვალებზე ავიდეო, მე მოხუცი არ ვარ ჯერო!

ქ. მ. – ვაა!

ვ. გ. – ბაბუაჩემმა აი ეს სიტყვები უთხრა, როგორც შენ ამბობ, ენათმეცნიერების პატრიარქს.

ქ. მ. – რა მეტაფორული ნათქვამია!

ისე ხალდეს მწვერვალები, მდინარე ხალდეშურა, შხარა და ენგურის სათავეები, იქვე ჰადიშის ხეობა და თეთნულდის სიქათქათე – რა სილამაზე იყო, ღმერთო ჩემო, თვითმფრინავიდან რომ გადავხედე! ეგ-ზოტიკაც, ექსტრიმიც და განუმეორებელი ლანდშაფტები სწორედ აი იქ არის, რომ გადაუფრენ რაჭას და ლეჩხუმს, ლენტეხს და ზესხოს, მიადგები უშგულს, გადაჰყურებ ზემოდან საოცარ მონაცველობას ცადაზიდული ბუბმერაზი მთების, პირქუში კლდეების, მყინვარების და ხეობებში გადაკლავნილი მთის ბობოქარი მდინარეებისას... ულამაზესია! ულამაზესი და მგონია, რომ სიტყვები ძალას კარგავენ იქ!

ვ. გ. – ამზავ ჯალდეთე ნეკვად ღრზი მი ი მიშგუ ნიბაშინს, კაკა მახედვაჟს. ერეში ქორ ლუნთვრი გავიფორმეთ. ათხე მატული, გუშგვმი გიმარი ესერ ნომა ალცურად უპატრონოდ. „წელს ხალდეში გვინდოდა წასვლა მე და ჩემს ბადიშს, კაკოს ვაჟიშვილს. იქაური სახლი შარშან გავიფორმეთ. ახლა მეუბნება, ჩვენი მიწებიც არ დავტოვოთ უპატრონოდ“.

ქ. მ. – ხვადნ უვ შამედელხი აჯახ აფხზეთთეი, დალთე ი სოხუმთედ „ბევრჯერ წასულიყავით აფხაზეთშიც, დალის ხეობაშიც და სოხუმიშიც“.

ვახტანგ გასვიანი [85 წლის]

(გაგრ-გუდაუთა-სოხუმი-თბილისი-თეთრიწყარო)

ქეთევან მარგიანი

2023 წელი

სეფე – ხოჩა მორავ მარე „სეფე – კარგი მედიატორი“

[ქართული; სვანური]

ვ. გ. – ძალიან მჭევრმეტყველი იყო ჩემი მეორე ბიძა – სეფე. ლიმორეც ხოხალდა ხოჩამდ. მორავ მარე ლასვ! „მედიატორობა იცოდა კარგად, მსაჯული კაცი იყო!“

ქ. მ. – აჰა, მედიატორი ესე იგი.

ვ. გ. – იმ დროს იმ მხარეში არცერთი საქმე არ გაირჩეოდა, სეფე გასვინი რომ არ მიეწვიათ და მას არ მიეღო მონაწილეობა. იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა განსჯაში, სვანურ სამართალში.

ქ. მ. – ძალიან მაგარია!

ვ. გ. – სვანური სამართალი სახელმწიფო სამართალზე, შეიძლება ითქვას, რომ ბევრად მაღლა დგას ჰუმანურობითა და ადამიანებს შორის დამოკიდებულებების მორალის ხარისხით.

ქ. მ. – ბევრი დისერტაციაა დაწერილი სამართლისმცოდნეების მიერ კონკრეტულად სვანურ სამართალზე. საგანგებოდ არის შეწავლილი. და აი შარშან, 2022 წელს სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით პრეზიდენტის სასახლეში ჩატარდა სვანეთის დღეები. ძალიან ბევრი ასპექტი იყო წამოწეული და ერთ-ერთი დისკუსია მიემდგნა სწორედ სვანურ სამართალს, მეც ვმონაწილეობდი. საკმაოდ საინტერესო გამოვიდა მთლიანობაში ის დღეები! შედარება გაკეთდა ზუსტად ასეთი: სახელმწიფო სამართალი მკაცრია და ის მორალს ხშირად ვერ ითვალისწინებს. სვანური სამართლის **ლაგნაჟი ლიგნეს** „ადგილმონაცვლეობას?“ (*ზუსტი თარგმანი შეუძლებელია!*) კი ანალოგი არ გააჩნია. მე რაც იქ მოვისმინე, სამართლისმცოდნეების ზუსტად ეს შეფასებები გაკეთდა პრეზიდენტის ორბელიანების სასახლეში.

ვ. გ. – მოგიყვები ერთ ამბავსაც.

ქ. მ. – აბა, ამბავი!

ვ. გ. – ბიძაჩემი სეფე **ლამორაჭთე ესდრი ლექვა სოფელთე, იფართე** „მედიატორობაში მონაწილეობის მისაღებად მიდის დაბლა სოფელში, იფართში“. ყოფილხარ შენ იფართში?

ქ. მ. – კი, ნამყოფი ვარ ბევრჯერ.

ვ. გ. – **იფართ ხვაა ნათიარ ნეყანხ** „იფართში ბევრი ნათესავები გვყავდა“. მიდის გზაზე და **კალა ჭალა**ს ლახხვიდა „კალის ხეობაში შეხვდა“ ბექსტონ ქალდანის მამა, გობრონ ქალდანი.

ქ. მ. – ბექსტონ ქალდანი მეც კი მახსოვს, გულრიფშის აღმასკომის თუ რაიკომის მდივანი იყო.

ვ. გ. – გობრონ ქალდანი იყო მოსმართლე. შეხვდნენ სეფე და გობრონი დაახლოებით შუა გზაზე, კალის ხეობაში. მთაში წესი ასეთია, შორ გზაზე საგზლის გარეშე გზას არ გაუდგებოდნენ, ბოთლით არაყს და მისატანებელს ყოველთვის გაიყოლებდნენ ხოლმე. ამათაც ახლა, ნუ დაიპატიჟეს ერთმანეთი სეფემ და გობრონმა. დაპატიჟებაში დროც მიიღია. სადამო ჟამია. ბიძაჩემმა სეფემ უთხრა, დღეს შენ ჩემი სტუმარი უნდა იყო. გობრონმა ჰკითხა, რატომო. შენს ცხენს წინა ფეხები კაალაში – ანუ ჩემს ტერიტორიაზე უდგასო. შესაბამისად, მასპინძლობაც მე მეკუთვნისო.

ქ. მ. – ოო, რა კარგად გავიცინე! მშვენიერი ხუმრობაა!

ვ. გ. – ჩამოვიდნენ ცხენებიდან, დაასხეს არაყი. გააბეს საუბარი. ბექსტონის მამა, ანუ მოსამართლე ეკითხება სეფეს, სად მიდიხარო. სეფემ, მედიატორმა ღიმილით მიუგო, მე იფარში მივდივარო იმ ოჯახების შესარიგებლად, თქვენ რომ ვითომ გაასამართლეთ, მაგრამ დღემდე ერთმანეთს არ ელაპარაკებიანო. აი ისინი უნდა შევარიგო!

ქ. მ. – ნახე, მედიატორის „ჩახუჭუჭებული“!

ვ. გ. – და შენ სად მიდიხარო? მე სოფელ კალაში მივდივარ, ღია სასამართლო უნდა ჩავატარო იქო. და მერე ეუბნება თურმე: სვანური სამართალი გაცილებით უკეთესად არეგულირებს ნაწყენი ადამიანების ურთიერთობებს და, სეფე, შენო ეს ყოველთვის ძალიან კარგად და სხვაზე უკეთესად გამოგდისო!

ქ. მ. – ესე იგი მოსამართლე გობრონ ქალდანმა უთხრა ეს ცნობილ მედიატორ სეფე გასვიანს. ძან მაგარია! ბრავო, რაა! ძალიან მაგარი სიტყვებია!

ვ. გ. – ბავშვობაზე გინდოდა, რომ მომეყოლა. მე დავიბადე ხალდეში. არა მხოლოდ სვანეთში, სოფელი ხალდე თავისი ისტორიით და აჯანყებით ცნობილია მთელ საქართველოში. რუსეთის იმპერატორამდეც მიაღწია 1875 –76 წლების ხალდელების აჯანყების ამბებმა. თავისუფლებისათვის ბრძოლაში **ხალდეშელმა ვაჟაკებმა** დიდი გმირობა გამოიჩინეს. მე დიდი კმაყოფილებით აღვიქვი ის გარემოება, რომ 2021 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმში დაიწყო სვანეთით. ითქვა ასეთი სიტყვები: **სვანეთი დიდებულ გვირგვინად ადგას საქართველოს, ხოლო სოფელი ხალდე სიმბოლოა თავისუფლებისათვის ბრძოლისა!** ჩემი ძმა – აკაკი იმ დროს უკვე საავადმყოფოში იწვა, იმ დროს ჯერ კიდევ კარგად საუბრობდა. მივედი, საგანგებოდ მოვასმენინე სამხედრო აღლუმის ეს სიტყვა, ეს შეფასებები. ძალიან მოეწონა. თქვა, რომ ესო გარკვეულწილად ჩვენი დამსახურებაც არისო. იგულისხმა ჩემი წიგნი „მოგზაურობა ხალდედან ხალდეში“, რომლის რედაქტორიც შენ ხარ, ქალბატონო ქეთი, და აკაკი (გასავ) გასვიანის ის ცნობილი ბალადა.

ქ. მ. – როგორი კარგი ბალადაა!

ვ. გ. – ბავშვობა ნაწილობრივ გავატარე, ათ წლამდე მე ვიზრდებოდი სოფელ ხალდეში. საქართველოში, მთაში მოზრდილი ბავშვი, ყმაწვილი მითუმეტეს, აუცილებლად არის ჩართული იმ საქმიანობაში, რასაც მისი მშობლები ეწევიან. ეს იქნება ხვნა-თესვა, მოსავლის აღება, თიბვა, საქონლის წაყვანა მთაში და მოვლა. თვეში ერთხელ გვიწევდა ჩვენ მორიგეობა, რომ სოფლის საქონელი გაგვერეკა მთაში, სამოვრებზე და მერე საღამოს მოგვეყვანა. ამ საქმეებში ჩართული ვიყავი ყველაფერში.

ერთ ეპიზოდსაც გავიხსენებ: მამაჩემი და მე ვხნავთ ყანას, მე ვარ მეხრე, ხარებს მივუძღვები წინ. მამაჩემი კი მეგუთნეა და ხნავს. დილიდან საღამომდე მუშაობისას საუბარი მამა-შვილს შორის, რა თქმა უნდა, ხშირია, უსასრულოა! მკითხა, შვილო, შენ მე როგორ სიბერეს მომიწყობ, როგორ დამაბერებო. – როგორც შენ დააბერე ბაბუაჩემი ანუ მამაშენი, მეც ისეთ სიბერეს მოვაწყობ შენთვის-თქო. ასე ვუთხარი იმიტომ, რომ მე ხომ ძალიან კარგად ვიცოდი, როგორ მოვლა-პატრონობაში იყო ბაბუაჩემი. სამივე ვაჟიშვილის ოჯახში ბაბუაჩემს ატარებდნენ ხელისგულზე.

ქ. მ. – როგორი ორიგინალური პასუხია, ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – მთაში, სოფელში კანონებად ქცეული წესები, მე რაც ვიცი, რაც მახსოვს, ეს იყო ქალისადმი, ორსული ქალისადმი და მოხუცისადმი, ასაკოვანი ადამიანისადმი, და, ბუნებრივია, მამა-პაპისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. **ნიშგვედისგა ამჟი ლჰსვ ი...** „ჩვენში ასე იყო მუდამ და...“ ასე იყო ეს. იმ თაობაში სალაპარაკო იყო ეს თემა. აი, როგორ მოუარესო, აი, როგორ პატივისცემით ეპყრობიან ოჯახის უფროსებს, ასაკოვან ადამიანებს.

ვახტანგ გასვიანი [85 წლის]

(გაგრა-გუდაუთა-სოხუმი-თბილისი-თეთრიწყარო)

ქეთევან მარგია

განათლების „სამყაროში“

ქ. მ. – ბატონო ვახტანგ, დილა მშვიდობისა! მოგესალმებით! გიდასტურებთ ჩემს უზარმაზარ პატივისცემას თქვენი ასაკის, თქვენი გამოცდილების, თქვენი აფხაზეთში დამსახურებისათვის, რომ თქვენ ძალიან დიდი წვლილი მიგიძღვით აფხაზეთის განათლების მაღალ დონეზე აყვანაში. ამ ყველაფერზე უნდა ვისაუბროთ ჩვენ დღეს. ჩვენი საუბარი იქნება წმინდა ენათმეცნიერული ხასიათისა. ეს ყველაფერი წიგნად უნდა გამოქვეყნდეს და წიგნს ერქმევა „აფხაზეთის ქართველობის, აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველება“... დაახლოებით ამ სათაურით, ამ სახელწოდებით. ამ ყველაფერზე უნდა ვისაუბროთ ჩვენ დღეს, თემატიკა ჩვენი საუბრისა იქნება ძალიან მრავალფეროვანი, მაგრამ უპირველესად, უნდა დავიწყოთ, რა თქმა უნდა, თქვენი ბავშვობით და თქვენი ბიოგრაფიით, ასეთი ღვაწლმოსილი, ასეთი ბიოგრაფიის ადამიანი ბრძანდებით. ახლა რამდენი წლის ხართ?

ვ. გ. – ქალბატონო ქეთი, მე მინდა დიდი მადლობა გითხრათ თქვენ პირადად, რომ მომეცა საშუალება, ვისაუბროთ, ვისაუბროთ პირველ

რიგში აფხაზეთში განათლების გავრცელების შესახებ. ეს თემა მეტად საინტერესოა და მეტად რთული. მოიცავს ფაქტობრივად ორ საუკუნეს მთლიანად, და XXI საუკუნეს აი, დღევანდელ დღემდე. ამ წიგნის, ამასთან დაკავშირებით მე 2013 წელს გამოვეცი წიგნი „განათლების ისტორიიდან აფხაზეთში“. ასე რომ, ეს თემა ჩემთვის ძალიან საინტერესოა, საყვარელია. მე განათლების სისტემაში მუშაობას მივუძღვენი ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლები. 80-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის სამი ათეული წელიწადი განათლების „სამყაროში“ გავატარე, ომის პერიოდშიც განათლებაში ვმუშაობდი.

ქ. მ. – 2008 წელს გულისხმობთ?

ვ. გ. – არა, 1992-93 წლების მძიმე პერიოდს.

ქ. მ. – აჰა!

ვ. გ. – ვმუშაობდი, ჯერ 4-5 თვე ვასრულებდი მინისტრის მოვალეობას და შემდეგ ვმუშაობდი მინისტრის მოადგილედ... და ეს მუშაობა დენილობაშიც გავაგრძელე.

ქ. მ. – მოკლედ, მთელმა ქართველებმა თქვენს მხრებზე გადაიარა, ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – გავიარეთ, ეს იყო ძალიან რთული პერიოდი. განსაკუთრებით კონფლიქტის, მე ომს არ ვუწოდებ ამას, რაღაცა არ მინდა აფხაზებსა და ქართველებს შორის ეს ტერმინი ვიხმარო! ეს იყო პროვოცირებული კონფლიქტი, რომელიც, რა თქმა უნდა, გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში და სადღაც მიიღო ომის ხასიათიც.

ქ. მ. – ახლა ბიოგრაფია. თქვენი ბიოგრაფია.

ვ. გ. – ახლა რაც შეეხება ბიოგრაფიას...

ქ. მ. – რამდენი წლის ბრძანდებით?

ვ. გ. – ახლა ვარ მე... 83 წელი შემისრულდება მომავალი წლის 28 ივლისს. 28 ივლისი არის სვანეთში კვირიკობის დღესასწაული და ამ დღეს დავბადებულვარ.

ქ. მ. – ოო, რა მადლიან დღეს დაბადებულხართ!

ვ. გ. – ბაბუაჩემი რომ დღესასწაულიდან დაბრუნებულა ხალდეში, მაშინ უთქვია, რომ ჩემი ლოცვა-ვედრება გამართლდაო, ვაჟიშვილი დამხვდაო სახლში.

ქ. მ. – რა ერქვა ბაბუას?

ვ. გ. – ბექა გასვიანი.

ქ. მ. – ბექა.

ვ. გ. – ბექა გასვიანი.

ქ. მ. – გამიგია, ე.ი ბექა იყო ლიგურკეზე. კალა ლაგურკა კალის წმინდა კვირიკე საქართველოს მასშტაბით უძლიერესი სალოცავია.

ვ. გ. – სხვათა შორის, კალ ლაგურკათე ჯალდებან ესღერდა „კალის წმ. კვირიკეზე ხალდედან მიდიოდა“ ჩამოყალიბებული გუნდი, რომელსაც ტოლს ვერავინ უდებდა, ისეთი იყო. ბავშვობაში მახსოვს მათი სიმღერა, ცეკვა-თამაში. ასე იყო შესაკრები ადგილი სოფლებში, **ნესგუინს ხვატუილდად ეჯას**, ნესგა ადგილს „ნეგვინს ვეძახდით იმას, შუა ადგილს“. შუა ადგილი და ყოველ შაბათ-კვირას იქ შრომის შემდეგ ჩამოქონდათ, შრომა სვანეთში ძალიან მძიმე იყო, შრომატევადი სამუშაო იყო, და მაინც ახერხებდა ხალხი სადღაც ცხრა საათზე – ათ საათზე შაბათ-კვირას ეს ღონისძიებები ჩაეტარებინა.

ახლა რაც შეეხება ბექა გასვიანს...

ქ. მ. – მაგრამ მანამდე, ასაკთან დაკავშირებით უნდა გითხრათ, ბატონო ვახტანგ, რომ თქვენ ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებით!

ვ. გ. – ეს, ალბათ, განაპირობა ჩემმა ოჯახურმა პირობებმა. სხვათა შორის, ჩემი ცხოვრების წინსვლა – კარიერაში, და საერთოდ, დიდი წვლილი მიუძღვის მეუღლეს, ჩემს შვილებს, მათდამი სწავლისადმი დამოკიდებულება, შრომისადმი დამოკიდებულება, წესიერებას, აი ამან ყველაფერმა განაპირობა მე მაქსიმალურად დატვირთულად მემუშავა იმ სამუშაოებზე, სადაც ვმუშაობდი. და, სხვათა შორის, მე არავინ არ მყოლია, რომ მფარველი და ვინმეს ჩემთვის ეპატრონა ასე ჩემს სამსახურებრივ წინსვლაში. ამას ვახერხებდი ჩემი დიდი პასუხისმგებლობით დაკისრებულ მოვალეობაზე. ყოველთვის ვცდილობდი, შემენახა, შემენარჩუნებინა, როგორ გითხრათ, მაღალი პასუხისმგებლობა მოწინავე, მაღალი პოზიციებისას.

ქ. მ. – კი, ეს დღესაც გამოჩნდა, ბატონო ვახტანგ. აი, ჩვენი შეხვედრა დაგეგმილი მქონდა აქ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დილის 10 საათზე, რომ ჩვენი ინტერვიუ შემდგარიყო. მე მოვედი 10-ის ნახევარზე, მაგრამ მომერიდა დარეკვა, რომ ძალიან ადრეა-მეთქი, და მერე გაირკვა, რომ თქვენ მოხვედით 10-ს რომ 20 წუთი აკლდა მაშინ. ესე იგი, როგორ არაქართულად მოვიქცეით. რა თქმა უნდა, „არაქართულად“ ბრჭყალებში, ანუ ნახევარი საათით ადრე მოვედით ორივე. ქართული წესი კი მინიმუმ ნახევარი საათით დაგვიანება!

ზოგადად, მე ძალიან პატივს ვცემ პასუხისმგებლიან ადამიანებს. აი ამაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

ვ. გ. – სხვათა შორის, მეც ბავშვობიდან გამომყვა დიდი პასუხისმგებლობა ჩემი თავის წინაშე, მშობლების წინაშე! თუ სამსახურში ვიყავი, სამსახურშიც დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ყოველივე საქმეს. ასე გახდა ეს ჩემი ცხოვრების თანმდევი წესი აი დღემდე.

ქ. მ. – აი, მისასალმებელია და ძალიან ბევრი ბრავო თქვენ, რომ იტყვიან, და ძალიან ბევრი ყოჩაღ თქვენი ცხოვრების სტილს! და ჩაგერთვე-

ბით, ნეტავ, ნეტავ ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდეთ აი ეს ასეთი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება სამშობლოს წინაშე! გააზრებული ჰქონდეთ, რომ სამშობლო ძალიან ბევრ პასუხისმგებლობას მოითხოვს, ბევრი რამ გვევალება სამშობლოს წინაშე და ყველა რომ პასუხისმგებლობით იყოს, ხომ უკეთესად იქნებოდა ამ ქვეყნის საქმე.

კარგით, ბექაძე დავუბრუნდეთ, თქვენს ბაბუას.

ვ. გ. – ამაზეც ვილაპარაკებთ. ბექაძე გასვიანი გამოჩენილი პიროვნება იყო ჩვენს სოფელში. ის ხალდეს აჯანყების პერიოდში იყო ათი წლის ბავშვი და ძალიან კარგად ახსოვდა ყოველივე ეს.

ქ. მ. – ანუ 1875-76 წელს, ხომ?

ვ. გ. – დიახ, 1876 წელს ის იქნებოდა ათი წლის.

ქ. მ. – აჰა, კი ბატონო, ათი წლის ბავშვს ყველაფერი ახსოვს.

ვ. გ. – ჰოდა, ის, ყვებოდა, რომ დედულეთში იზრდებოდა სოფელ კალაში, მარგველანების ოჯახში! და სოფელში უნდა მენახა შორიდან, მონატრებული იყო სოფელს, შევდიოდით ლამარიას მინდორში, ჩვენ დაღმა იყო და იქიდან დავათვალიერებდით სოფელს.

ქ. მ. – ხალდეს გადახედავდა. ვაი! ცრემლები მომადგა თვალებზე.

ვ. გ. – ახლა, რაც შეეხება მის დავაჟკაცების შემდეგ, მაგან, მან, ცოლად შეირთო სოფელ მულახიდან ქალდანების ასული. თურმე ის დანიშნულიც ყოფილა და დანიშნული ქალი მოიტაცა, ხო ხედავთ ეს ცოტა არ იყოს, დიდი შეურაცხყოფას აყენებს, ალბათ, იმ მხარეს და ქალდანების მთელი ვაჟკაცები შემოსულან სოფელში. და სოფელში ამ პერიოდში ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცები იყვნენ, არ იყვნენ დავაჟკაცებული ბიჭები იმიტომ, რომ ყველა ვაჟკაცი ხომ გადაასახლეს.

ქ. მ. – აჯანყების მერე!

ვ. გ. – ხალდეს აჯანყების ჩახშობის შემდეგ. ჰოდა, ბიძამისი, დედამისის ძმა – მიქელ მარგველანი ყოფილა იმ დღეს ხალდეში და ის პირველი შეხვდა ქალდანებს და, როცა ნახა, რომ ქალდანებმა მოითხოვეს ქალის დაბრუნება. მოგვეცითო ქალიო, რაო? ხალდეს ბიჭები ყველა ფეხზე იდგა, რომ ეს არ დაეშვათ, რომ არ დაერთოთ ამისი ნება.

ქ. მ. – იმიტომ რო ეს უკვე ხალდესთვის იქნებოდა შეურაცხყოფა.

ვ. გ. – კი, შეურაცხყოფა იქნებოდა და მიქელ მარგველანმა ასე გაუწოდა ხელი მათ უფროსს: ბიძე ქალდანო, ხალდესო დღეს მხარდაჭერა ჰქონდება! და ეს სიტყვა დაამთავრა... და ხანჯლით დაიჭრა მარჯვენა ხელში. ნახეთ! ამან შეკუმშა მარჯვენა ხელი და მარცხენა ხელი გაუწოდა და მიმართა: ბიძე ქალდანო, მეო ვაჟკაცობას ცალი ხელითაც დავამტკიცებო, მაგრამ დღეს ხალდეს ჰქონდება არა მოქნეული ხმალი, არამედ მშვიდობა ჰქონდებაო!

ბიძე ქალდანი მიხვდა, ალბათ, ამას...

ქ. მ. – გაიაზრა!

ვ. გ. – გაიაზრა ეს და ეუბნება: მაპატიე!

მოიხია ახალუხიდან ნაჭერი და შეუხვია ჭრილობა და დატოვა სოფელი. აი ამის შემდეგ ცეკვა-თამაში-სიმღერა გაიმართა სოფელში და შეიქმნა ეს ოჯახი. ექვსი ვაჟკაცი დაიბადა იქ.

ქ. მ. – ესე იგი თქვენ ხართ ბექაშვილი გასვიანის შთამომავლები. და ბებიას რა ერქვა?

ვ. გ. – ბებიას ქეთევან ქალდანი.

ქ. მ. – ამბობთ, ბატონო ვახტანგ, შვიდი ვაჟკაცი დაიბადა ამ ოჯახში?

ვ. გ. – ექვსი ვაჟკაცი დაიბადა და ერთი ქალიშვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი ბავშვი დაეღუპათ, 14 წლისა, მუშაობის პერიოდში. მეორე ვაჟკაცი, გიორგი გასვიანი, 1921-25 წლების აჯანყებაში მონაწილეობის გამო დახვრიტეს და დაასაფლავეს ზუგდიდში.

ქ. მ. – ესე იგი თქვენ ხართ **მგლხარე ნიბაშინი**? „მულახელების ბადიში“?

ვ. გ. – **მგლხარე ნიბაშინი** ვარ, „მულახელების ბადიში ვარ“, დიახ!

ქ. მ. – კი, მეც მულახელი ვარ „გენეზისურად“.

ვ. გ. – დავით ქალდანი, გელა ქალდანი გახსოვთ თქვენ, ამ უნივერსიტეტის პროფესორი?

ქ. მ. – კი, კი! რა თქმა უნდა! გელა ქალდანზე თუკი მოგვიყვებით, საინტერესო იქნება ჩვენთვის! მას ხომ ძალიან დიდი პატივს სცემდა ჩვენი ინტელიგენცია და აფხაზეთის ქართველობა და არა მხოლოდ.

ვ. გ. – წარმოსადგეი კაცი, ავტორიტეტული. **მიშგუ დადამა ლეჟახ მარე!** „ჩემი დედუღეთის სახელოვანი წარმომადგენელი“.

ქ. მ. – ბატონო ვახტანგ, ახლა თქვენს ბავშვობას უნდა დავუბრუნდეთ. გაიხსენეთ აფხაზეთში ჩასახლების ამბები, იმდენად პატარა ყოფილხართ, თუკი გახსოვთ საერთოდ! გახსოვთ, როგორ ჩასახლდით ოთხარაში? როგორ დასახლდით?

ვ. გ. – მოგიყვები ყველაფერს! ზუსტად პატარა ბიჭის შთაბეჭდილებებს მოგიყვები.

ქ. მ. – ბავშვობის თემას დავუბრუნდეთ. ე.ი. 10 წლამდე ხალდეში იზრდებოდით. და მერე თქვენ გახსოვთ, აი როგორ ჩასახლდით ოთხარაში.

ვ. გ. – მე ძალიან კარგად მახსოვს იმიტომ, რომ არ ვიყავი გულგრილი, ყოველთვის ვიყავი სოფლის თავკაცების შეკრებებზე და ვისმენდი მათ საუბარს.

ქ. მ. – ეს პატარაობაშივე.

ვ. გ. – პატარაობაში, დიახ. მე მახსოვს, რომ ამისი გადაწყვეტა ძალიან უძნელდებოდათ. ძალიან უძნელდებოდათ ამის გადაწყვეტა და ერთ დღეს სოფელი შეიკრიბა და მახსოვს ეს ძალიან კარგად, ნესგვინისგა „ნესგვინში“ ნესგვინი შესაკრებელი ადგილია და ამაზე არის სჯა-ბაა-

სი. და ბიძაჩემმა ცოტა არაყი მოიტანა და თითო ჭიქა დაურიგა ვაჟკაცებს და თქვა, რომ დავლოცოთო ჩვენი წინაპრები და აი ასე. მეორე სასმისი იყო კიდევ, მესამე სასმისი იყო და მესამე სასმისზე – გზა დავილოცოთო ჩვენ.

ამის შემდეგ ჩვენი გვარის კაცი, სიმონ გასვიანი, ის იყო 1937 წლის მოსკოვში ქართული ანსამბლის წევრი. სვანური ანსამბლის წევრი, რომელიც მესტიიდან წაიყვანეს.

ქ. მ. – ჰოო, სვანური ანსამბლი პირველად ივანე მარგიანმა წაიყვანა პეტერბურგში, მგონი 1933 წელია...

ვ. გ. – ჰო, ძალიან აი ასეთი პიროვნება იყო და მან შესთავაზა სიმღერა. „ლილეო“ იმღერეს, „გაულ-გაუხე“ იმღერეს და მერე „ლაგუშედა“. ჰოდა, აი ეს სიმღერები რომ დამთავრდა, გასუსულია ხალხი, ფეხს ვერ იცვლის ვერავინ... შევნიშნე ცრემლი თვალებზე.

ქ. მ. – უფროსი ადამიანების თვალებზე, მშობლების და ასე შემდეგ!

ვ. გ. – ასე განიცდიდნენ ისინი სოფლის დატოვებას.

ქ. მ. – ეს რომელი წელია დაახლოებით?

ვ. გ. – ეს არი 1951 წელი. ეს ეპიზოდი არი მიახლოებით 1951 წლის 20 ოქტომბერი. ამის შემდეგ ჩვენ უნდა გადმოვსულიყავით კალაში იმიტომ, რომ ხალდეში ავტომანქანები ვერ შედიოდნენ. კალაში გადმოვიტანეთ ჩვენი ოჯახის ნივთები, სურსათი, რაც გვქოდა.

ქ. მ. – სანოვაგე, მარაგები, ალბათ.

ვ. გ. – ჰოდა, იქ ნათესავებში განვთავსდით. ყველა ოჯახს მიამაგრეს ორ-ორი სატვირთო მანქანა. აი იმ ორი სატვირთო მანქანით რაც დაეტეოდა, ის ჩამოგვქონდა.

ორი დიდი მანქანა დატვირთული.

ახლა ეს აუცილებლად უნდა მოგიყვე; მე ვიჯექი კაბინაში და ჩემს გვერდით ბიძაჩემი იყო, მეორე მანქანაში – მამაჩემი და ბავშვები. და ლატალში როგორც კი შემოვედით, გაგვაჩერა მოხუცმა, ასაკოვანმა კაცმა. და შეეკითხა ჩვენს უფროსებს, სად მიდიხართო? ჩვენ ხალდელები ვართო და აფხაზეთში გადავდივართო საცხოვრებლად.

იმ კაცმა ძალიან განიცადა, აი იმ ლატალელმა ძალიან განიცადა ხალდეს დატოვება.

ქ. მ. – ლატალელებმა?

ვ. გ. – იმ ლატალელმა ძალიან განიცადა. და დაგვიპატიჟა სახლში. ამათ მამაჩემმა და უფროსებმა უარი უთხრეს, გზაში ვართო მანქანებით და არ გამოვიდა შესვლა.

და რაკი არ შევედით, ის კაცი სწრაფად გაიქცა, სწრაფადვე მოტრიალდა, მოიტანა სახელდახელოდ ყველი, პური, სასმელი და დაგვლოცა, გზა დაგვილოცა;

აი ეს მახსოვს, ეს საუბარი ამათი. მაშინ თქვა ამ ლატალელმა: ხალდემ მთელ სვანეთს ღირსების ქუდი დაახურაო! მშვიდობიანი გზა გქონდეთო! აი ამ საუბრით გაგვაცილა იმან, ამ საუბრით. აი ასეთი სიტყვებით გაგვაცილა.

ქ. მ. – ხომ არსებობს კიდევაც წიგნი აკაკი გელოვანის „სვანეთის თეთრი ქუდი“

ვ. გ. – კი, „თეთრი ქუდი“.

ქ. მ. – და ეს თეთრი ქუდი ღირსებასთან ასოცირდება სვანური მენტალობით. სახელი და გვარი არ გახსოვთ იმ კაცის, იმ ლატალელის?

ვ. გ. – არ მახსოვს სახელი და გვარი. მგონი, გვარად გირგვლიანი იყო, ასე მახსოვს, მაგრამ სახელი არ მახსოვს.

ზუგდიდში ჩამოვედით ზუგდიდში სატვირთო მატარებელში გადაიტანეს ეს ხელბარგი, და ამ მატარებლით ჩამოგვიყვანეს გუდაუთაში, არის ასეთი სადგური შავწყალა, **ჩორნაია რეჩკას** ვეძახდით და იქ დაგვახვედრეს მანქანები და ამ მანქანებით სოფლამდე მივედით. სოფელში რომ შევედით, მე ხო არ ვიცოდი, სად იყო ჩემი საცხოვრებელი და კაცი ჩამოდის ზემოდან...

ახლა რა ეპიზოდია კიდევ. ადრე იყვნენ ჩასულები ჩემი უფროსი დამძმები ზაფხულში. ეს შემოდგომაა. და იყვნენ ბიძაშვილები, ადრე ჩამოსული. და რომ შევედი ეზოში, დარეჯან, უფროსი ძმის ქალიშვილი მეკითხება, როგორ მოგეწონა აქაურობაო. მე ვუთხარი, მე ვუთხარი... ვერ დავუდასტურე, რომ მომეწონა, იმიტომ, რომ შეჩვეული ვიყავი იმ ბუნებას ზღაპრულს! იმისი აღქმას და ახალ ადგილას... მაშინო, გამიყვანა და ყურძენი მაჭამა. მაღლარი ყურძენი იყო ჯერ ხეებზე.

ქ. მ. – მწიფე იქნებოდა, შემორჩენილი ხომ?

ვ. გ. – ჰოდა, მაინც, მაინც არ მომეწონა. აი, მანქანები გადმოვტვირთეთ. მანქანების გადმოტვირთვაში აფხაზი მეზობლები დაგვეხმარნენ. ჰოდა, ერთმა აფხაზმა მეზობელმა თქვა: –კაცოო, ამდენი მოსავალი სადაც მოდისო, იმ ქვეყნიდან რა გინდოდათ აქითო! ამდენი მოსავალიო! იმიტომ რომ ფქვილი, სულუგუნის ყველი, შამხი და ეს ყველაფერი ბევრი წავიდეთ.

ქ. მ. – კარტოფილიც, ალბათ.

ვ. გ. – კარტოფილი **ეშხუ მანქანა**, „ერთი მანქანა“, კაცო, კარტოფილი. მერე მე ვუთხარი, რომ ამდენი იქ დაგვრჩა კიდევ და გაზაფხულზე ჩამოვიტანთ-მეთქი. აი რატომ ვამბობ ამას, რომ იმათ იგრძნეს, რომ ჩვენ ღარიბი მოსახლეები არ ვიყავით. რომ ნახეს ამდენი.

ქ. მ. – ამდენი დოვლათი!

ვ. გ. – დოვლათი რომ ნახეს. აი ასე დავსახლდით გუდაუთაში, სოფელ ოთხარაში. სოფელ ოთხარაში 600 კომლი ცხოვრობდა აფხაზი და 100 კომლი ჩვენ, ქართველები, სვანები ვცხოვრობდით.

ახალ ადგილზე დასახლება ძალიან რთულია, ბევრ სირთულეებთან არი დაკავშირებული. პირველი ეს – ახალი სამეურნეო ურთიერთობები, სრულიად განსხვავებული სამეურნეო საქმიანობა; მეორე...

ქ. მ. – მეზობლებთან ურთიერთობა?

ვ. გ. – მეორე, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დალაგება: იმიტომ, რომ ჩვენ და აფხაზებს ერთად ცხოვრების გამოცდილება ხო არ გექონდა?! კი, ერთმანეთის შესახებ იცოდნენ, მაგრამ უშუალო მეზობლობა არ ყოფილა.

ქ. მ. – უშუალო მეზობლობა მაინც სხვაა.

ვ. გ. – აი ახლა მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენმა წინაპრებმა, მშობლებმა, იმ თაობის ვაჟკაცებმა უმოკლეს დროში შექმნეს სულიერად და ფიზიკურად ძლიერი დასახლება, ქართული დასახლება, რომელიც ანგარიშგასაწევი იყო, ანგარიშგასაწევი დასახლება იყო. ისიც მინდა დავამატო, რომ ერთი ხელი სამეგობროდ ჰქონდათ გაწვდილი, მეორე ხელი – ყოველთვის მუშტად შეკრული. ასე ვიცხოვრეთ იქ.

ქ. მ. – იმიტომ რომ არ იყო მარტივი იქ ცხოვრება, არ იყო მარტივი.

ვ. გ. – არ იყო მარტივი. იცით, ეს ფსიქოლოგიური მომენტი. ის კი არა, ქალაქში რო ცხოვრობ, ერთი ბინიდან მეორე ბინაში გადასვლა გეზარება და მეზობლების დაშორება და შენ ამხელა სიშორეზე მიდიხარ. მაშინდელი ეპოქა სულ სხვა იყო. სხვათა შორის, ზოგიერთმა თქვა, რომ დასახლების წინააღმდეგი იყვნენ ზოგიერთები! რა ვიცი, რა მოხდება მომავალშიო. მაგრამ მაშინ, იცით, როგორი ალტკინებული იყო ხალხი? სტალინის პერიოდია; საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უდიდესი ქვეყანაა და არავის არ სჯეროდა, რომ ამ ქვეყანას რაიმე მოუვიდოდა. აი ეს ითქვა მაშინ.

ქ. მ. – ჰოო, კომუნიზმი ეს რეალობა ეგონა ხალხს.

ვ. გ. – რეალობა იყო მაშინ ასეთი.

ქ. მ. – დიახ.

ვ. გ. – შევედი ოთხარის საშუალო სკოლაში.

ქ. მ. – და მანამდე? პირველი კლასი სად გქონდათ გავლილი?

ვ. გ. – დაწყებითი კლასი სამამდე დავამთავრე ხალდეში.

ქ. მ. – აა, ხალდეში იყო ეს დაწყებითი სკოლა?

ვ. გ. – დაწყებითი სკოლა ხალდეში იყო. მეოთხე კლასში ოთხარაში შევედი. ჩემთან ერთად... მაშინ აფხაზი ბავშვები და ქართველი ბავშვები ერთად ვსწავლობდით. ქართულად ვსწავლობდით. ბევრი ნიჭიერი აფხაზი ბავშვი სწავლობდა. მე ახლაც მახსოვს მათი სახელები.

ქ. მ. – ჩამოთვალეთ სახელები და გვარები აბა.

ვ. გ. – აიბა როსტომ, ლუკიკ აიბა, ბაგათელია ლამარა...

ქ. მ. – ალბათ, ბადათურია იყო!

ვ. გ. – ბებია და ბევრი, ბევრი სხვები. ძალიან ნიჭიერი გოგოები იყვნენ. განსაკუთრებით აიბები რო იყვნენ, ისე მშვენივრად ყვებოდნენ ქართულ ლექსებს და მოთხრობებს, ძალიან მშვენივრად. აი ამათთან ერთად ვსწავლობდი მე. სკოლა დავამთავრე კარგად.

ქ. მ. – სკოლაში ქართულად ურთიერთობდით ხომ თავისთავად?

ვ. გ. – ქართულად ურთიერთობდით იმიტომ, რომ იქ რუსული გარემო არ იყო და ჩვენ, სვანეთიდან წასულმა ბავშვებმა, საიდან ვიცოდით რუსული?! ვიცოდით საყველპურო რუსული, მეტი არაფერი.

ქ. მ. – და თვითონ იმ აფხაზმა ბავშვებმა იცოდნენ აფხაზური?

ვ. გ. – აფხაზური იცოდნენ. აფხაზური იცოდნენ, მაგრამ ქართულად სწავლობდნენ. ქართულ ენაზე იყო მაშინ სწავლება. ეს მოხდა 1945-46 წელს ქართულ ენაზე დაიწყო აფხაზეთში აფხაზი ბავშვების სწავლება.

ქ. მ. – კი, ჩვენ ამ თემებსაც მიმოვიხილავთ, მაგრამ ჯერ ბავშვობის წლები გავიხსენოთ.

ვ. გ. – აი, სკოლა დავამთავრე. ახლა უხერხულია ვილაპარაკო, მაგრამ წარჩინებით. ისე არ მოვდიოდი მე სკოლიდან, რომ კარგი ნიშანი არ მიმეღო, ჰოდა, მანამდე არაფერს არ გავაკეთებდი, სანამ გაკვეთილებს არ ვისწავლიდი. აი, ზოგჯერ მოდიოდნენ ამხანაგები, წავიდეთ, ფეხბურთი ვითამაშოთო, იქო, აქო... მე კატეგორიულად მქონდა ჩაფიქრებული, რომ გაკვეთილები მესწავლა და საღამოს თავისუფალი ვიყავი და მშვიდად ვიყავი, მშვიდად მეძინა, მშვიდად ვდგებოდი მეორე დღეს და გაკვეთილებზეც კარგად ვპასუხობდი ყველაფერს. აი ასეთი იმით სკოლა დავამთავრე 58 წელს. მაშინ ორი კლასი იყო დამამთავრებელი: მეათე და მეთერთმეტე კლასები.

მე მინდა მასწავლებლებზეც ვთქვა.

ქ. მ. – კი, ბატონო.

ვ. გ. – მასწავლებლები იყვნენ... ყველანი ჩამოსული მასწავლებლები ძირითადად. ბიძაშვილზე რომ გითხარი, აფრასიონ გასვიანი, მისი დები დაწყებით კლასებში მუშაობდნენ, ეს აფრასიონი კი ქართულ ენალიტერატურას ასწავლიდა უმაღლესი განათლებით, მაგრამ ყველა დანარჩენი მასწავლებლები იყვნენ უმაღლესი განათლებით და ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტავი ყოველთვის ასეთი დამოკიდებულებით იყონ მასწავლებლები ბავშვებისადმი, როგორც ისინი ჩვენდამი დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი ცხოვრობდნენ კერძო ბინებში. ჩამოსული იყო, ზუგდიდიდან იყო კლიმენტ რაფავა, ფიზიკას გვასწავლიდა. შოთა გოგია იყო სოხუმიდან, გეოგრაფი-

ას გვასწავლიდა. გრიგოლია შოთა იყო ბათუმიდან ჩამოსული. პეტრე მინდილაია იყო თბილისელი... ბევრი იყო ასეთი.

ქ. მ. – ძალიან დიდი სიყვარულით იხსენებთ თქვენ ამ მასწავლებლებს!

ვ. გ. – დიდი სიყვარულით, ძალიან დიდი სიყვარულით ვიხსენებ.

ქ. მ. – აი, ეროვნულ თემებზე, რა მაინტერესებს – აი გაკვეთილებზე ხომ ყველა თემა წამოტივტივდება და **ეროვნულ თემებზე თუ ხდებოდა რაღაც აქცენტირება?**

ვ. გ. – იცით, როგორ ხდებოდა? ძალიან საინტერესო იყო მათთან ურთიერთობა შემდეგი იმით, რომ გარდა გაკვეთილისა, თემისა, ისინი, განსაკუთრებით ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლები, სკოლის ბიბლიოთეკიდან წიგნებს ვიღებდით და მერე მთელი დღე ასეთი თემა იყო – ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების გარჩევა, ჩვენ უმცროსკლასელები მაინც მიგვიწვიეს და უფროსკლასელები იყო. ამ თემაზე ძალიან კარგად ისაუბრეს. მერე მე შევეკითხე ერთს – ალექსანდრე ყაზბეგი რომელ საუკუნეში ცხოვრობდა და რაღაცა შეცბა ისე ... ხო, ესეც იყო, ასეთი ამბები.

ქ. მ. – აუ, როგორი დეტალები გახსოვთ, რა.

ვ. გ. – როგორ არ მახსოვს. მასწავლებლები კიდეც რას აკეთებდნენ, განსაკუთრებით ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლები ჩვენ გვასწავლიდნენ საქმიან ქაღალდებზე მუშაობას. აი ავტობიოგრაფია როგორ დაწერო, განცხადება როგორ დაწერო. აი ამასაც გვასწავლიდნენ. ეს შეიძლება სასწავლო პროგრამაში არ შედიოდა, მაგრამ თავისუფალ გაკვეთილებზე ამას გვასწავლიდნენ.

ქ. მ. – ეს რომელ კლასებში დაახლოებით, რომელ კლასებში გასწავლიდნენ?

ვ. გ. – ეს იქნებოდა მერვე, მეცხრე კლასებში. მიახლოებით აი ასე.

ქ. მ. – ალექსანდრე ყაზბეგზე უნდა გითხრათ, რომ ქართულ ლიტერატურაში იგი შეფასებულია როგორც ხევის ბეთჰოვენი. როგორ შეგვაყვარა მთელ მკითხველებს აი ის მხარე.

ვ. გ. – მერე იყო... იცით რა არი? ბავშვებს შორის იყო შეჯიბრი: ვინ მეტს წავიკითხავდით.

ქ. მ. – ეს როგორი კარგი შეჯიბრია...

ვ. გ. – ბიბლიოთეკის გამგე და მასწავლებლები მერე ამას აჯამებდნენ და **კარიდორში**, ბიბლიოთეკის იმაზე, რა ქვია, შესასვლელთან ის იყო გამოკრული... სია მოწინავე მასწავლებლების, მოწაფეების.

ქ. მ. – ანუ კარგი მკითხველების.

ვ. გ. – კარგი მკითხველების, ჰო.

ქ. მ. – თქვენ იქნებოდით იმ სიაში.

ვ. გ. – ნუ, რა ვიცი აბა (იცინის).

ქ. მ. – ეჭვი არ მეპარება.

ვ. გ. – აი ასეთ ვითარებაში დავამთავრე მე ოთხარის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩავაბარე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ოთხი გამოცდა იყო ჩასაბარებელი: ქართული წერა, ბიოლოგია – არა. ქიმია, გეოგრაფია და უცხო ენა. ყველა საგანში მივიღე ხუთიანი.

ქ. მ. – მაქსიმალური შეფასება, ბრავოო თქვენ!

ვ. გ. – მაქსიმალური შეფასება. მე და მერი დგებუაძე კოდორის ხეობიდან ვერ მოვხვდით.

ქ. მ. – ეს დგებუაძეები სად ცხოვრობდნენ, კოდორის ხეობაში?

ვ. გ. – ცენტრში ცხოვრობდნენ.

ქ. მ. – აჟარაში?

ვ. გ. – აჟარაში, ხო. სამწუხაროდ, გამოაქვეყნეს სიები ჩარიცხულთა, არც მე ვარ და არც ის არი. რატო მოხდა ეს? მაშინ ასეთი წესი იყო: ჯარმოხდილები, შრომის სტაჟის მქონე ახალგაზრდები ძირითადად და ხუთი ადგილი იყო დაკავებული ახალდამთავრებულებისათვის. ამ ხუთეულში რატომღაც ვერ მოვხვდით მე და ის.

ქ. მ. – უი, რა სამწუხაროა?!

ვ. გ. – ახლა, რა ვქენით ჩვენ! შევედით რექტორთან. რექტორი იყო გიორგი ძიძარია, აფხაზეთის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ის ბოლო პერიოდში მუშაობდა დიმიტრი გულიას სახელობის ენისა და ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად.

ქ. მ. – აბნია რომ იყო, ხომ?

ვ. გ. – აბნია რომ იყო. შევედი მასთან და ის დაელაპარაკა, ჯიბლაძე იყო მაშინ უმაღლესი სკოლების სამინისტროს მინისტრი. ზოგადი განათლება სკოლების ცალკე იყო და უმაღლესი სკოლების – ცალკე. და ამავე დროს ჩავედით თბილისში მე და აკაკი, შევხვდით ჯიბლაძეს. ჯიბლაძემ მითხრა, რომ წლის ბოლომდე სოხუმის უნივერსიტეტს გამოვუყოფთ დამატებით ადგილებსო.

ქ. მ. – აფხაზეთის უნივერსიტეტს, აფხაზეთის...

ვ. გ. – მაშინ პედაგოგიკური იყო. და მანამდე დაელაპარაკა რექტორს და მანამდე, უთხრა, დაუშვითო თავისუფალ მსმენელებად. და ვიყავით თავისუფალი მსმენელები დეკემბრამდე. დეკემბერში უკვე ჩავვრიცხეს ინსტიტუტში. აი ასეთი ხლაფორთით მოვხვდი ინსტიტუტში.

ძალიან მიჭირდა რუსულ ენაზე სწავლა. რუსულ სექტორზე ჩავაბარე. მე ყველაფერი გავაკეთე, შევიძინე ქართულ-რუსული სასაუბრო, რუსულ-ქართული ლექსიკონები. ძალიან მეხმარებოდნენ სტუდენტები, თანაკურსელები. მე მახსოვს, აფხაზებიც იყვნენ მათში: ლაკობა ნადია, ადინბა ზური, აგრბა რეზო, ბევრი... და სხვა ეროვნების, აი რუსებიც იყვნენ.

ვახტანგ გასვიანი [85 წლის]
(გაგრა-გუდაუთა-სოხუმი-თბილისი-თეთრიწყარო)
ქეთევან მარგიანი
2024 წელი

აფხაზეთის მასწავლებლები – მშვიდობის ელჩები

ვ. გ. – აფხაზეთის განათლების სისტემაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ორმა დადგენილებამ გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების შესახებ. რამდენიმე ფაქტს გავიხსენებ მხოლოდ: პედინსტიტუტი გადაკეთდა აფხაზეთის უნივერსიტეტად. აფხაზეთის განათლების სამინისტროში შეიქმნა ცალკე განყოფილება აფხაზური სახელმძღვანელოების მომზადების თაობაზე. გაიზარდა აფხაზურ ენაზე წიგნების გამომცემლობების რიცხვი. აი, თექვსმეტი დასახელების წიგნები გამოვიდა აფხაზური სკოლებისათვის.

ქ. მ. – არადა, ეს რა რთული ეტაპია!

ვ. გ. – ტირაჟი. ტირაჟიც აფხაზეთისთვის იყო განსაკუთრებული, ამხელა ტირაჟით არც დანარჩენ საქართველოში, არც რუსეთში, არც უკრაინაში სახელმძღვანელოები არ გამოდიოდა. ფართოდ გაიშალა სკოლების მშენებლობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა. მაგ. 1978–88 წლებში 58 სკოლა აშენდა 25 ათას ბავშვზე. სკოლები განსაკუთრებით შენდებოდა გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონებში. შენდებოდა დანარჩენ აფხაზეთში, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო გალში ადგილობრივი მეურნეობების ხარჯზე; ნახეთ რა თანაფარდობა?!

ქ. მ. – აი, როგორი განსხვავებული მიდგომაა! არასამართლიანი თანაფარდობაა!

ვ. გ. – ეს იყო თვალშისაცემი... შეუმჩნეველი ჩვენგან არ იყო ეს! გავიხსენებ იმასაც, რომ გუდაუთის რაიონში, მაგალითად, არ იყო არც ერთი სოფელი, სადაც გზები ახლად არ გაიყვანეს. მე მახსოვს სოფელი აჭანდარა, საკმაოდ მაღალმთიანი სოფელია, გუდაუთამდე მიახლოებით

ოცი კილომეტრია. მახსოვს ასეთი შეხვედრებიც: თბილისიდან იყო ჩამოსული პატარიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ძალიან კარგი კაცი; ამხელა თანამდებობის პირის თაობაზე ძალიან კარგი საურთიერთო. რომ იტყვიან, გულთბილი მისალმება ჰქონდა ჩვენთან, აფხაზეთელებთან. ადგილობრივებმაც ასევე გულმხურვალე ტექსტებით მიმართეს, და აი ბოლოს ამით დაასრულეს, უთხრეს, რომ აჭანდარის გზის დამთავრების და ჩაბარების საზეიმო ღონიძიებაზე თქვენ აუცილებლად იქნებით დაპატიჟებულიო, ადგილობრივებმა ასე მიმართეს პატარიძეს. მე ვარ ამ დაპატიჟების მომსწრე! მაგრამ, სამწუხაროდ, იმ შემოდგომას ტრაგიკულად დაიღუპა იმ გზის დასრულებამდე და საზეიმო ღონიძიებამდე. ეს ეპიზოდებიც რაღაცნაირად ტკივილით მახსოვს.

ვ. ზ. – კიდევ ერთი ამბავი უნდა მოგიყვე. არ მინდა ეს გამომრჩეს. აფხაზეთში ქართული ენის სწავლების საკითხი. სამოცდათვრამეტი წლის გამოსვლების და ახლგაზრდობის დაუმორჩილებლობის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების შესახებ. მე აფხაზეთის დონეზე შევძელი ის, რომ ჩამოვაცალიბე სამუშაო ჯგუფი, კომისია ამასთან დაკავშირებით. ამ კომისიაში მყავდა პროფესორი ვახანია ვახტანგი, ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა მე მასთან, მწერალი ევგენი აქუბარდია, საბჭოთა აფხაზეთის გამომცემლობიდან და ქართული ენის ცნობილი მასწავლებლები. აი, მიახლოებით ასეთი კომისია ჩამოვაცალიბე. მეექვსე საშუალო სკოლა იყო ტურბაზაში. ეროვნულ მოძრაობაში დააყენეს საკითხი ქართული ენის სწავლების შესახებ სკოლებში და ქართული სკოლების ქსელის გავრცელების შესახებ. ნუ, მე ვესწრები ამ სხდომას. ჩემზე არის აქცენტი ძირითადად! და მითხრეს ერთი თვის ვადა. ერთი თვის შემდეგ თქვენ მოზრძანდებით ჩვენთან და მოგვცემთ ინფორმაციას, დამავალეს.

გავიდა ერთი თვე. მე მოვახსენე: ქართული ენის სწავლება აღდგენილია პროფტექსასწავლებლებში, ტექნიკური სწავლების საწარმოო კომბინატებში, ქართული ენის სწავლება აღდგენილი არის გაგრის არაქართულ სკოლებში. ქართული ენის სწავლება აღდგენილი არის ახალი ათონის ქართულ სკოლაში და იქ შესაბამისად მე გავაგზავნე ორი ქართველი სპეციალისტი. გაიხსნა ქართული სკოლა ქალაქ სოხუმში, დამოუკიდებელი სკოლა; დამოუკიდებელი სკოლა გაიხსნა სოხუმის რაიონში. ოჩამჩირეში შვიდი სასწავლო ობიექტი ქართულად გაიხსნა და დავასახელე ბესლახუბის საშუალო სკოლა, ჩემივე ბრძანებით გახსნილი! აი ასე ყველაფერი ჩამოვთვალე და...

როდის გაკეთდა ეს ღონისძიებები, დამისვეს კითხვა. ეს ღონისძიებები ჩატარებული იყო შარშან, სასწავლო წლის პერიოდში. კი მაგრამ, იმ

სხდომაზე რო იყავითო, მეუბნებიან, რატო არ მოგვეცითო ეს ინფორმაცია? მე ვუთხარი: თავი შევიკავე, ისეთი აჟიოტაჟი იყო, აზრს კარგავდა ჩემი გამოსვლა, რომ იმ დღეს მეთქვა ეს. და შევინახე დღევანდელი დღისთვის-მეთქი.

ქ. მ. – უდავოდ, დიპლომატიური მიდგომებით და ურთიერთობებით ხასიათდებით, ბატონო ვახტანგ.

ვ. გ. – ასეთი ამბებიც იყო ხოლმე!

ქ. მ. – ძალიან კარგი. უნდა ვაღიარო, რომ უამრავი ეროვნული საქმე გაქვთ განხორციელებული, ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი შესრულებული. ბატონო ვახტანგ, თქვენ ახსენეთ ქართულ ენასთან მიმართებით; ვახტანგ ვახანიაზე ხომ არ იტყოდით იმიტომ, რომ ის გამოჩეულად კოლორიტული ლექტორი იყო სოხუმში, სოხუმის უნივერსიტეტში და საოცარი ლიტერატორი. კაცი – დაბადებული ორატორად და ლიტერატორად!

ვ. გ. – თავისი თავის პოპულარობის გავრცელება ვახტანგ ვახანიას არ ახასიათებდა.

ქ. მ. – პიარს რასაც ვეძახით, არა?! ეს არ ახასიათებდა! ზუსტად ასე ვიცო სხვებისგანაც. მე არ ვიყავი მისი სტუდენტი, მე თსუ მაქვს დამთავრებული, ბატონო ვახტანგ, მაგრამ ვიცი, რომ აფხაზეთში მთელი ახალგაზრდები კი არა მხოლოდ, მთელი თაობები იყვნენ გატაცებულნი ვახტანგ ვახანიას ლექციებით და მუდამ აღფრთოვანებულები მისით! ყველას, ვინც კი თუნდაც ერთხელ მჯდარა მის ლექციაზე... თითქოს თეატრალურადაც განასახიერებდა ლიტერატურულ თხრობასო – აი ასეთ შთამბეჭდავ ლექტორად დარჩა თაობების მეხსიერებაში ვახტანგ ვახანია!

ვ. გ. – ძალიან პატივს ვცემდი მე ვახტანგ ვახანიას და მქონდა ძალიან ახლო ურთიერთობა.

ოთარ ჭურღულიასაც. თქვენი პატარა ასაკის გამო ოთარ ჭურღულია თქვენ არ გახსოვთ, ალბათ?

ქ. მ. – დიახ, როგორ არა. მე მოვუსწარი მას აქ, სოხუმის უნივერსიტეტში.

ვ. გ. – ახალგაზრდობაში! მე ვგულისხმობ ოთარ ჭურღულიას ახალგაზრდობაში!

ქ. მ. – ახალგაზრდა ოთარ ჭურღულიას თავისთავად – ვერა, აბა საიდან!

ვ. გ. – ორმოცდათვრამეტი წელია, სტუდენტი გავხდი. ჩვიდმეტი წლის ვიყავი მაშინ. ოთარ ჭურღულია შავი თმებით, ახოვანი, წარმოსადეგი! ჯერ გარეგნოება ხომ აღაფრთოვანებდა ადამიანს, მერე – განათლება, დახვეწილობა. ეს ინტელიგენტი კაცი!

ქ. მ. – ძალიან უყვარდა, სხვათა შორის, ნადირობის ამბების მოყოლა და ეს თხრობაც კარგად გამოსდიოდა. მაშინ უკვე ასაკოვანი იყო, მე რომ აქ,

სოხუმში დავიწყე ლექციების კითხვა. დიდხანს დაგამახსოვრდებოდა აი ისეთი საუბარი იცოდა! და ოსტატური საუბარი, ბუნებრივია, მას როგორც კოლორიტულ ადამიანს შეეძლო ნებისმიერ თემაზე.

ვ. ზ. – კარგი ურთიერთობა მქონდა ოთარ ჭურღულიასთან ბოლო პერიოდებში განსაკუთრებით. მე მაქვს მხედველობაში დევნილობა, უკვე ჩვენი პრობლემები აქ, დედაქალაქში, ლტოლვილობის პირველ წლებში განსაკუთრებით. მან დიდი როლი ითამაშა ჩემთვის ბევრ საქმეში. ჩემი შვილი, თენგო, აზარებდა. არავისთვის არაფერი არ მითხოვია, არადა, მაშინ ხომ ჩარიცხვა–მოწყობები მხოლოდ ასე ხდებოდა! მან თავად დამირეკა და მკითხა, გასვიანი შენი ვინ არისო; შვილი-მეთქი, ვუთხარი. ოთხიანი დაუწერა. ეს ოთხიანი იყო გამსვლელიც და მაღალი ქულაც. აი, ასეთი სიკეთეებიც გამახსენდება.

ქ. მ. – ერთ სიკეთეს მეც გავიხსენებ, თქვენი ნებართვით, ბატონო ვახტანგ. მოკლედ იმ ბნელ ოთხმოცდაათიანებში, ერთხელ მეც შევედი განცხადებით ოთარ ჭურღულიასთან. პრორექტორი იყო მაშინ ბატონი ოთარი სოხუმის უნივერსიტეტისა. განცხადება ეხებოდა ობოლი ბესო ავალიანისთვის სწავლის თანხის არ გადახდას! ეს ბესო ძალიან პატარა ასაკში, ხუთი თუ ექვსი წლისა დაობლდა. დედ-მამა ორივე დაელუპა. და დეიდაჩემი ზრდიდა თავის ამ მაზლიშვილს ექვს საკუთარ შვილთან ერთად. ეს ხდება სოფელ ადიშში. (ადიშის სახარება გაგახსენდება, ალბათ, უპირველესად!) დეიდაჩემი, ციალა ჯაჭვლიანი პროფესიით ბიოლოგი, წლების მანძილზე იყო დირექტორი ადიშის სკოლისა. და აი ობოლმა ბესომ სკოლა რომ დაამთავრა, მოაწყო აქ, სოხუმის სახლმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ მესამე კურსიდან გარიცხეს თანხის გადაუხდელობის გამო. მე ამ დროს ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა აქ. დავწერე ორთაბახიანი განცხადება, ჩამოვაყალიბე ბესო ავალიანის მთელი მძიმე ობოლობის ისტორია და ვთხოვე, გამონაკლისი დაეშვათ მისთვის! რომ შევედი, პირადადაც მოვუყევი, ასე და ასე გაზარდა-მეთქი დეიდაჩემმა ხუთი წლის ასკიდან. და მახსოვს, სხვათაშორის, რომ ბატონმა ოთარმა გულთან ძალიან ახლოს მიიტანა ჩემი თხოვნა! მე ყოველთვის დავინტერესდები ამ ობოლი ყმაწვილის მომავლითო, მითხრა. იქვე იმ წუთასვე ხელი მოაწერა აღდგენას. დღეს ეს ბესო არის ორი შვილის მამა, ცხოვრობს ზუგდიდში. დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტი, აილო დიპლომი. მე ჩემთვის ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რომ ადამიანებს როცა ამოდენა სიკეთეები აქვთ გაკეთებული, რაც იმ წუთას პრორექტორმა ოთარ ჭურღულიამ ჩემს ემოციურ და ტკივილიან თხოვნაზე გამოიჩინა, მოგონებად და მადლიერების გამოხატვად, უდავოდ, ღირდა! მათ შორის ამ ფაქტის თქვენთვის მოყოლაც ჩემი მხრიდან.

ვ. გ. – უნდა მოგიყვე აფხაზეთის მასწავლებლებზე. ეს სულ სხვა ფენომენია. ეს მასწავლებლები ხომ ძირითადად ენთუზიაზმზე მუშაობდნენ; და მერე, მუშაობდნენ როგორ პატიოსნად, როგორი მონდობებით, როგორი რუდუნებით! დევნილობის პირველი წლები უნდა გავიხსენო. ჩვენ ყველგან გავხსენით სკოლები, სადაც დევნილები კომპაქტურად ცხოვრობდნენ: თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, ბორჯომში, სენაკში, წყალტუბოში, წყნეთში...

პირველი, ვინც ჩვენ, აფხაზეთის განათლების კოლექტივი და **აფხაზეთის მასწავლებლობა დევნილობისას მიგვიღო, იყო პატრიარქი**. გამოყო დახმარება – 3 ტონა ფქვილი.

ქ. მ. – მართლა?! როგორი სიმბოლურია. დალის ხეობელებიც აღწერენ თავიანთ შეხვედრას უწმინდესთან. პატრიარქმა იტირა თურმე, ცრელებით აევსო თვალებიო: აი, როგორი ემოციებით ყვებიან ამ შეხვედრას: დალის ხეობა რომ დაიკარგა და დალელები ყველგან მიმოვიფანტეთ, მაშინ თენგიზ კორძაიასა და ლაშა მარგიანის წინამძღოლობით და მეთაურობით შეიქმნა დალელთა საბჭო. ამ საბჭოში ყველა სოფლიდან იყო ორ-ორი კაცი. ხშირ-ხშირად ვიკრიბებოდით და დალელების და, საერთოდ, დევნილების გასაჭირს ერთმანეთს ვუზიარებდით. იმ პერიოდში კოდორის ხეობიდან მოგვივიდა მაცნე, რომ რუსები და აფხაზები დალში დაბრუნებას მოგიწოდებენო. მაგრამ დაბრუნებულებს მაშინ ეძახდნენ მოღალატეს. მოღალატის სახელი კი, ბუნებრივია, არავის არ უნდოდა. ამიტომ მოვილაპარაკეთ ერთმანეთში და მოვინდომეთ შეხვედრა უწმინდესთან, რომ გვეკითხა რჩევა-დარიგება. ვიყავით სულ ათი კაცი, ყველანი დალის ხეობელები: ლაშა მარგიანი, თენგიზ კორძაია, ლეო ჯაჭვლიანი, მამა ნიკოლოზი (გუგუისიანი), ზადრი გერლიანი, თამაზ გუჯეჯიანი, რომან წიფიანი... ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე. უწმინდესმა დაგვლოცა და გულდასმით გამოგვკითხა ყოველივე. „შვილებო... შვილებო“... ასე მოგვმართავდა მხოლოდ. დიდხანს გვისმენდა. ლაშა მარგიანმა და თენგიზ კორძაიამ გულისტკივილით აუხსნეს, ამდენი ხნის ნაომარ-ნაწვალეები წყალში ჩაგვეყარაო. 16 წელი ვიომეთ კოდორელებმა, ვიბრძოლეთ, რომ ეს ერთი ხეობა მაინც შეგვენარჩუნებინა საქართველოსთვის. ახლა იქიდან გვთავაზობენ დაბრუნებას, მაგრამ დაბრუნებულებს ხელისუფალნი უწოდებენ მოღალატეებს. ჩვენ ეს არ გვინდა!

ამის მერე ცოტა ხანი იყო მდუმარება. და რა ნახეს ჩემმა თვალებმა. უწმინდესს თვალები ცრემლებით აევსო... და წარმოთქვა: **სვანი და მოღალატე? ასეთი რამ არ იცის საქართველოს ისტორიამ!**

მშვიდობიანად დაბრუნების შემთხვევაში ადგილზე საბუთს მოგთხოვენ? თუნდაც მოგთხოვონ! მერე რა, შვილებო, მთავარი ქართული საქ-

მის საკეთებლად ხომ გულით ქართველობაა და არა ფორმალურად ქართველობა. და მოგვიყვას საკუთარი მშობლების მაგალითი – ვლადიკავკასში წლების მანძილზე ცხოვრების მიუხედავად, მშობლებიცა და შვილებიც ქართველებად დავრჩით და ყოველთვის ქართულ საქმეს ვაკეთებდითო. საქართველოს ამ უწმინდეს ადამიანთან ამ ერთ შეხვედრად ღირდა სიცოცხლე. მას მერე თითქოს სულ ჩამესმის პატრიარქის „შვილებო“ და მთელ სხეულში მზურმგლავს, უწმინდესის გულწრფელობა და სიტყვები რომ მახსენდება. მერე წამოდგა, შევიდა... ჩემგან დალის ხეობას და დალელებსო და ოცი ათასი ლარი გადმოგვცა. კიდევ ერთხელ დაგვლოცა და ასე წამოვედით. ეს ოცი ათასი, როგორც გამგებელმა, ლაშა მარგიანმა, ერთნაირად და თანაბრად გაუნაწილა დალის ხეობის ბავშვებს. ზუსტად არ ვიცი, ამ კოდორელ ბავშვებს თითოეულს რამდენი შეხვდა... მაგრამ იმ დროს ეს იყო ძალზედ დიდი თანადგომა იმიტომ, რომ დევნილის შემწეობა მაშინ იყო მხოლოდ 11 ლარი. ბედნიერია საქართველო და ქართველი ხალხი, ასეთი უწმინდესი რომ გამოგვიგზავნა ღმერთმა. დიდხანს გვყოლოდეს უწმინდესი და დიდხანს, დიდხანს გვკონოდეს ჩვენი პატრიარქის სულიერი წინამძღოლობა! – აი, ასეთი არის დალელების მოგონებები უწმინდესთან შეხვედრის შთაბეჭდილებებისა.

დევნილობის სირთულები

ვ. გ. – დევნილობის პირველ თვეებშივე ჩვენ შევხვდით საქართველოს განათლების მინისტრს. ძალიან თბილი და გულისხმიერი შეხვედრა იყო. ისაუბრა ჯანო ჯანელიძემ. ვისუბრე მე. გავაცანით ჩვენი პრობლემები. წამოდგა ჩაკაბერია, გაგრილ განათლების უფროსი, ამოიღო ჯიბიდან გასაღები: აი ეს შემრჩა ჩემი სახლ-კარიდან და ჩემი მთელი ცხოვრების ნაშრომ-ნაჯაფარი დოვლათიდანო. ომის პერიოდში ჩვენ ხელფასები არ მიგვიღია. ამიტომ მე დაველაპარაკე საქართველოს ფინანსთა მინისტრს, თქვენთან გვინდა შეხვედრა-მეთქი. მივედით აფხაზეთის ყველა რაიონის განათლების განყოფილების გამგეები და მე. წლის განაცდური ხელფასები როგორმე უნდა გადაგვიხადოთ-თქო. ბევრი კი არ იყო ეს ხელფასი: ასი ლარი მოგვცეს, გამგეებს – ასოცი.

ქ. მ. – მახსოვს... მაშინ ჩვენ უნივერსიტეტის პროფესორებსაც ხელფასი გვკონდა ოცდახუთი ლარი. იყო, სამწუხაროდ, ასეთი მძიმე წლებიც.

ვ. გ. – მაგრამ ეს ასი ლარიც კი დიდი შემწეობა წამოდგა ჩვენთვის! თავიდან რაღაც ცოტა უკმეხად მიგვიღო ამ მინისტრმა. არ მომეწონა ეს გულცივობა. ამიტომ ვუთხარი, რომ მე მინისტრის მოადგილე ვარ-მეთქი; გვახლავს ქალები, დამსახურებული მასწავლებლები, ამიტომ

თქვენ ამ საჭირბოროტო საკითხებზე ცოტა სხვაგვარად უნდა გველაპარაკოთ-მეთქი, ამაზე სხვებმაც ატეხეს ხმამაღალი შემახილები, მოთხოვნები! ასე „გავუხურეთ“ უფროსობას. ჩვენი ეს ხმაური გაიგონა იქვე, კაბინეტში ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ. გამოუშვა თავისი თანაშემწე, ასეთი ხმაური რომ გაიგონა. დააბარა ჩემი შეყვანა პირადად მასთან. შევედი. მეუბნება, რომ აი, რასაც თქვენ გეუბნებით, სიტყვასიტყვით ასე გადაეცით თქვენს თანმხლებ მოხმარებელსო. ბატონო დავით, ჩვენ მოვედით რა ვითარებაში... ასაკიანი, დამსახურებული მასწავლებლები. თქვენ არ უნდა შეგეშალოთ! და მე კი არ უნდა დამაბაროთ თქვენი პასუხი, თქვენი სათქმელი, პირადად თქვენ უნდა მიიღოთ ისინი, – მეც არ დავიხიე უკან. გამოგვიყვეს სამი სამუშაო ოთახი. ჩვენ მოვიცავით მთელი საქართველო. დავნიშნეთ ჩვენი წარმომადგენლები ყველგან. ხელფასი კი არ ჰქონდათ. ისე – უხელფასოდ!

მინისტრი თამარ კოლონია

ქ. მ. – თქვენი და მინისტრი თამარ კოლონიას ურთიერთობიდან მიიღია, რომ გაიხსენოთ ეპიზოდები; თქვენ გამორჩეული კეთილგანწყობით იხსენებთ მას პიროვნულად. მას, როგორც მინისტრს, უაღრესად დადებითად ახასიათებთ. მომიყევით სამინისტროს ოფიციალის ამბები კი არა, უშუალოდ ცხოვრებისეული ეპიზოდები. ისეთი აი, რაღაც მეგობრული, მეზობლური, თუნდაც ურთიერთობითი.

ვ. გ. – თამარ კოლონიაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი.

ქ. მ. – რა მაინტერესებს, სამინისტროში თქვენს შორის, აი თქვენსა და ქალბატონ თამარს შორის საუბარი ძირითადად რა ენაზე წარიმართებოდა ხოლმე?

ვ. გ. – ურთიერთობა, საუბარი, რა თქმა უნდა, რუსულად, მაგრამ თამარ კოლონიამ ძალიან კარგად იცოდა ქართული ენა, კარგად იცოდა მეგრული ენა, იცოდა აფხაზური. მაგრამ აფხაზურ ენაზე ის არასდროს საჯარო გამოსვლას არ აკეთებდა.

ქ. მ. – აჰა!

ვ. გ. – ვერ აკეთებდა, ალბათ, იმიტომ რომ...

ქ. მ. – ეს ძალიან საინტერესოა!

ვ. გ. – აი მე მოგიყვებით ერთ ეპიზოდს თამარ კოლონიას ოჯახთან დაკავშირებით. ოჩამჩირეში ცხოვრობენ ტარბები. თამარ კოლონია ამ ოჯახიდანაა. თამარას დაბადებამდე ამ ოჯახს ორი უდღეური ბავშვი შეეძინათ და დაეღუპათ.

ქ. მ. – უი, რა სამწუხაროა!

ვ. გ. – ერთმა გონიერმა კაცმა, ანუგეშა რა ისინი, უთხრა მშობლებს, თქვენ მომავალში აუცილებლად გეყოლებათ შვილები. აი მესამე შვილი რომ გეყოლებათ, ის აუცილებლად ჩააბარეთ აღსაზრდელად სხვა ოჯახს. ამას თვითონ თამარა გვიყვებოდა ხოლმე.

ქ. მ. – ვაა, ესეც რა საინტერესოა!

ვ. გ. – დაიბადა მესამე შვილი, თამარა! მშობლებმა, რა თქმა უნდა, შეასრულეს ამ კაცის რჩევა, აღსაზრდელად შეიყვანეს ის ქართულ ოჯახში.

ქ. მ. – აჰა!

ვ. გ. – ქართულ ოჯახში შეიყვანეს ოჩამჩირეში. და იქ გაიზარდა სკოლის ასაკამდე, სასკოლო პერიოდამდე. შემდეგ შედის სკოლაში იქვე. სკოლაში თამარა ძალიან წარჩინებული ყოფილა! ნიჭიერი ქალი, ძალიან ნიჭიერი ყველაფერში. დაამთავრა რუსული ენა-ლიტერატურის ფაკულტეტი. ცხრამეტი წელი იმუშავა მასწავლებლად და შემდეგ დაინიშნა განათლების მინისტრად. მე მახსოვს, თამარა კოლონიას მეორე დედა, ვინაც გაზარდა, ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში გარდაიცვალა. თამარამ და მისმა დამ, ძმამ დიდი პატივით ღირსეულად გაასვენეს, ღირსეულად დაკრძალეს საკუთარი სახსრებით.

ქ. მ. – ანუ ვის ოჯახშიც იზრდებოდა, ის ქალი?

ვ. გ. – ვის ოჯახშიც იზრდებოდა, ანუ აღმზრდელი და არა მშობელი დედა. თამარა მას მთელი ცხოვრება მეორე დედას ეძახდა. სხვათა შორის, მეორე დედა, ჩვენში, სვანებშიც ასე არის ეს ტრადიცია!

ქ. მ. – ვიცი, მემე დედა! მემე დედას ამბობენ ხოლმე, ბევრჯერ გამიგია, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც წამიკითხავს.

ვ. გ. – ჩვენთან იყო ერთი ბიძაშვილი. როდესაც სოფლებში რთულად გასაზრდელი ბავშვების შემთხვევაში ან როცა დედას ძუძუ გაუშრებოდა სხვადასხვა მიზეზებით, მიუყვანდნენ აი, ამ ჩემს ბიძაშვილს და ის ხდებოდა ბიძა ამათი; და ბიძაობის ეს ტრადიცია არსებობდა ყველა დროში...

ქ. მ. – მეც კი მახსოვს დალის ხეობიდან, რალა შორს წავიდე, თავად ჩვენი ოჯახი პავლე დევდარიანისთვის იყო სახელად მიძიარ! და აი რატომ: ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ერთი რელიგიური კაცი – თათაოზ დევდარიანი; ახლახან გავიგე, ოფიციალურად თადეოზი რქმევია. ამ თათაოზს და ბაბლინეს პეტრეპავლობა დღეს შეეძინათ თურმე ტყუპი ბიჭები. რა თქმა უნდა, დაარქვეს პეტრე და პავლე. დედამ ანუ ბაბლინემ უმცროსი პავლე მიუყვანა თურმე ჩემს ბებიას, მართას, რომელმაც მთელი სამი წელი აწოვა ძუძუ თავის ნაბოლარა შვილთან, ანუ მამაჩემთან, ირაკლი მარგიანთან ერთად. ამიტომ დევდარიანების ოჯახი ჩვენ გვეძახდა მიძიარს. ყველა დანარჩენი მეზობელი სოფელში კი – მართოლარს. აი სხვათა შორის, ეს ყველაფერი მხოლოდ მოყოლილი

ამბები ვიცი იმიტომ, რომ მე არასდროს არ მინახვას ჩემი მართა ბებო, მართა გიგანი. ჩემს დაბადებამდე 20 წლით ადრე გარდაცვლილა. მაგრამ სვანური ამ „ძიძიარის“ ტრადიცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აი, მესამე თაობაც კი, ანუ ირაკლი მარგიანის და პავლე დევდარიანის შვილები ვაგრძელებთ ძუძუმტეობის ნათესაობას ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობებით, მეგობრობით, თანადგომით ჭირში, ლხინში.

ვ. გ. – აი, ნამდვილად იყო ასეთი ურთიერთობები. ერთ ეპიზოდს მოგიყვები კიდევ. აფხაზეთში, ჩვენთან იყო ასეთი მიტროპოლიტი ჭკადუა. გამოაგზავნა ამ მიტროპოლიტმა თავისი თანაშემწე, რომელმაც მითხრა: მიტროპოლიტს უნდა შენი და თამარა კოლონიას დაპატიჟებაო. გამიგე, როდის ეცლება თამარას ან მიიღებს თუ არა ამ მიპატიჟებასო. შევედი მე თამარასთან. თამარამ დადებითად აღიქვა ეს. იქვე მაშინ დროც დავთქვით, დღევ ვუთხარით. მივედით იმ დღისთვის. ნუ ახლა მიტროპოლიტმა ძალიან კარგად მიგვიღო, ეკლესიური საჩუქრებიც ჰქონდა მომზადებული და გადმოგვცა. მერე ჩამოაგდო საუბარი რელიგიური განათლების გავრცელების შესახებ სკოლებში. უკვე იმ პერიოდებში შემოსული იყო რელიგიის საკითხები...

ქ. მ. – რელიგიის ისტორია, ასე ერქვა საგანს, მე როგორც მახსოვს.

ვ. გ. – დიახ, რელიგიის ისტორია. ამაზე ვიფიქრებთ და ვიმსჯელებთო თამარამ და მე ასე ვუთხარით. თამარამ მიტროპოლიტს აუცილებლად დაპირდა საკითხის განხილვას და ნუ, დადებითად გადაწყვეტას. ამის მერე მე და თამარა ცალკე შევხვდით, როგორ მოვაგვაროთ ეს საკითხი. შენ ეკლესია თუ გახსოვს სოხუმის?

ქ. მ. – სოხუმის ეკლესია მახსოვს, როგორ არა. ისე მე აგუმერის ეკლესიაში მომნათლა მღვდელმა თამაზ ბუცხრიკიძემ, როდესაც მე თვითონ ნათლია უნდა ვყოფილვიყავი 3 წლის ბერდია გულედანისა. მოუნათლავე ნათლია არ შეიძლებოდა და მღვდელმა ჯერ მე მომნათლა და მერე მე მოვნათლე ჩემი კლასელის და მეგობრის შვილი. ეს ხდება 1990 თუ 1991 წელს... არ მინდა, შემეშალოს!

ვ. გ. – სოხუმის ეკლესიის უკან იდგა სასკოლო საწარმოო კომბინატი. იქ პროცესი მიმდინარეობდა. იმის აქეთა მხარეს იყო ორი თუ სამი ოთახი. ადრე, გასაბჭოებამდე ეს მთლიანად ყოფილა ეკლესია. მერე ეს ჩამოურთმევიათ ბოლშევიკებს... და მე შევთავაზე, რომ გადავცეთ ის ოთახები-მეთქი. ამ ოთახში არის ხის საამქრო. მე შევთავაზე თამარას, რომ ეს ხის საამქრო თავის ოთახებიანად გადავცეთ ეკლესიას. თამარს დაუჯდა ჭკუაში ეს აზრი. ახლა ეს საკითხი, რელიგიის სკოლებში სწავლებისა უნდა გაგვეტანა კოლეგიის სხდომაზე. თამარა, ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა. იმიტომ, რომ ეს ინფორმაცია გავრცელდა და ბევრი მოწინააღმდეგის აზრიც მოდიოდა ჩვენამდე. კოლეგიაზე სა-

კითხი მე უნდა გამეტანა. თამარამ ასე გადაწყვიტა! თანაც, არ დაგავიწყდეს, მეუფე ითხოვდა არა მხოლოდ იმ ოთახების უკან დაბრუნებას ეკლესიისთვის, არამედ სკოლებში რელიგიური კუთხეების მოწყობასაც, ანუ ოთახების გამოყოფას შესაბამისი რელიგიური რიტუალით.

ქ. მ. – აჰა!

ვ. გ. – ამასაც ითხოვდა! და ხომ იცი, ეს უფრო რთული საკითხი იყო. თვალშისაცემი საკითხი იმ დროს. აი ყველაფერი ეს რომ მოვამზადე, დაინიშნა კოლეგიის სხდომა. მე გამოვედი ამ კოლეგიაზე... დიდი აქცენტი გავაკეთე იმაზე, რუსების სკოლებში ეს როგორ ხორციელდება. აფხაზური სკოლები, ფაქტიურად რუსული...

ქ. მ. – რუსული სკოლების ასლია.

ვ. გ. – ნუ ასეა, ფაქტია. მიბმული იყვნენ ერთმანეთზე. მოხსენებას რომ ვამზადებდი, მე დავამუშავე მთელი თემები, რუსეთის სკოლებში იყო თუ არა ეს უკვე განხორციელებული და მოვიყვანე მთელი რიგი მაგალოები.

ქ. მ. – აჰა, მაგალოები, რომ ეს ასეა, იქ ეს ასეა!

ვ. გ. – და მივაბი ამას ყოველივეს ჩვენი პრობლემები. და კოლეგიამ ისე ჩაიარა, რომ არავის წინააღმდეგობა არ გამოუხატავს, ერთი სიტყვაც კი არავის უთქვია. არავის დაუძრავს.

ქ. მ. – მშვიდად წარიმართა ესე იგი.

ვ. გ. – ნუ, დამთავრდა კოლეგია, შემოვედი. ჩემს მოპირდაპირედ... ოთახში ვზივარ და შემოვიდა თამარა: ვახტანგ, **დღეს შენც გაიმარჯვე და მეც გავიმარჯვე!** – თქვა ღიმილიანი და კმაყოფილი სახით.

ქ. მ. – ვაა! რა კარგია!

ვ. გ. – აი ხელი ასე დამადო ბეჭზე თამარამ.

ქ. მ. – ძალიან კარგი ქალი ყოფილა ეგ შენი თამარა! და აი რა მაინტერესებს, თვითონ თამარა ქრისტიანი აფხაზი იყო თუ?

ვ. გ. – თამარი იყო საუკეთესო აფხაზი, ქრისტიანი აფხაზი.

ქ. მ. – და კიდევ რა მაინტერესებს, სახელი თამარი მას აღმზრდელმა ოჯახმა ხომ არ დაარქვა, თუ თავიდანვე თამარი ერქვა?

ვ. გ. – ეს არ ვიცი, მართალი გითხრა.

ქ. მ. – ეს დეტალი არ იცით ესე იგი. იმიტომ, რომ სახელი თამარი აფხაზურში ძალიან გავრცელებული სახელი არ უნდა იყოს.

ვ. გ. – მეც ასე მგონია.

გუდაუთელი ექიმი ზაირა ოტირბა

ვ. გ. – თანამდებობებზე, მაღალ პოზიციებზე მუშაობის პერიოდებში მე ყოველთვის ვცდილობდი მაქსიმალურად არა მხოლოდ გამეთვალისწინებინა, დამეცვა კიდევაც აფხაზთა ინტერესები.

მე ჯანდაცვას ვკურირებდი წლების განმავლობაში და, ბუნებრივია, ვიცოდი დეტალები, კულუარული ნიუანსები. აი იდგა ასეთი საკითხი. მას ედავებოდა, რომ ბიულეტენი მან გადაჭარბებულად გასცა ნუ, ვიდაცასთან. არაერთი წერილი შევიდა ჯანდაცვის სამინისტროში, აფხაზეტის. მე მიახლოებით ვიცოდი იქ ამბები, ჩივილის, მომჩივანის! იმანაც ძალიან კარგად იცოდა. მაგრამ საკითხი დგას ძალიან მკაცრად. თითქმის ისეა დაყენებული საკითხი, რომ უნდა გაეთავისუფლებინათ სამუშაოდან. ამ ბიუროში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა აფხაზეტის ჯანდაცვის მინისტრი კამბა. არის სჯა-ბაასი. მოუსმინეს ერთს, მოუსმინეს თვითონ ოტირბას. მე შევატყვე, რაიკომის მდივნებს მაინცადამაინც არ უნდათ ამ ქალის ასეთი ფორმით მოშორება სამსახურიდან.

ქ. მ. – ჰოო, ნუ ბუნებრივია!

ვ. გ. – და მთხოვეს მეც სიტყვა. მე ჯანდაცვას ვკურირებდი. მთხოვეს ჩემი აზრი გამომეთქვა. მე გამოვედი და ვთქვი: რა თქმა უნდა, ოტირბას არ უნდა დაეშვა შეცდომა! მაგრამ ნახეთ, ოტირბა იქ მუშაობს მხოლოდ ორი წლის განმავლობაში. დაამთავრა სამედიცინო რუსეთში. ამჟამად სწავლობს ასპირანტურაში. ჩვენ უნდა ჩავხედოთ რეალობას: რამდენად ვართ განებივრებული ჩვენ, – გუდაუთა, რომ ადგილობრივი კადრები გვყავდეს მედიცინის? მისი განთავისუფლება დღეს იქნება უფრო დიდი შეცდომა, ვიდრე ის „შეცდომა“, რომელიც მან დაუშვა, დაუშვა, ვფიქრობ, გარკვეული მიზეზების გაუთვალისწინებლად. მოეწონათ ეს აზრი! არ გაათავისუფლეს. დატოვეს ზაირა ოტირბა თავის პოზიციაზე.

ქ. მ. – რა თქმა უნდა, სწორი გადაწყვეტილებაა.

ვ. გ. – დღეს კი სწორია, რა თქმა უნდა, მაგრამ მინისტრს ძალიან უნდოდა იმ დღეს ზაირა ოტირბას გათავისუფლება. ცოტა ის იყო...

ქ. მ. – ხისტი, ალბათ...

ვ. გ. – დიახ, ხისტი. და ამგვარ ხისტებთან ბევრი ასეთი ადამიანური ეპიზოდების გამარჯვების შემთხვევებიც იყო.

ქ. მ. – მიიწა გკითხოთ, თქვენ, ვახტანგ გასვიანს ამ ასაკში, ვისთვის გაქვთ მადლობა სათქმელი?

ვ. გ. – ახლა მე გეტყვი შენ... განათლების „სამყაროს“ ოცწლიანი მსახურების მერე (ჩვენ გაგვათავისუფლეს 2005 წელს!) ასაკოვანი მასწავლებლებისთვის და ჩემთვისაც არავის გახსენებია ოდნავი, სიტყვიერი მად-

ლობა ეთქვა თუნდაც. სხვათა შორის, ეს აზრი მორიდებულად ამ წიგნშიც წერია. **განა არ იყვნენ მადლობის ღირსი აფხაზეთის მასწავლებლები? თავგანწირულები, ენთუზიაზმზე მომუშავენი, მშვიდობის ელჩები და დესპანები!**

ქ. მ. – რა თქმა უნდა, იყვნენ, საჭირო იყო მხოლოდ ნება ხელისუფალთა!

მადლიერება

ვ. გ. – ჩემი მინისტრობის დროს კი მე გამოვთქვი წუხილი, რომ აფხაზეთის არც ერთი მასწავლებლისთვის მადლობა არ უთქვამთ. საქართველოს განათლების სამინისტრომ აფხაზეთს თითოეული რაიონისთვის ერთი ან ორი ღირსების ორდენი გამოყო. ჩვენ ვცდილობთ, როგორც დევნილებს, კარგი დამოკიდებულება გვქონოდა საელჩოებთან და დედაქალაქის განათლებასთანაც. გასანაწილებლად ეს ღირსების ორდენები მე მომცეს. ვისთვის უნდა მიგვეცა? ჯანომ თქვა ჯანელიძემ, მე არც ერთ ორდენს არ ავიღებ, შენ შენი თავიც ჩართე და მერე გაანაწილე მასწავლებლებზეო. მე ჯანოსგან ავიღე მაგალითი! მეც ჩემი თავი გამოვაკელი და მთლიანად რიგით მასწავლებლებზე გადავანაწილე. და ჯანო და მე დავრჩით ღირსების ორდენების გარეშე!

ქ. მ. – ოო, რა კარგი მაგალითია თავმდაბლობის!

ვ. გ. – ერთ მისხალ უზუსტობას არ გიყვები, დამიჯერე! ეს ზუსტად ასე იყო ფაქტებით!

ქ. მ. – ოო, არც გამივლია გონებაში მსგავსი რამ, ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – ახლა, დღეს შეიძლება გული მწყდება ღირსების ორდენი რომ არ მაქვს იმიტომ, რომ მერე არავის არ გახსენებია ეს ჩვენი დამსახურებები. ისეთი ცხოვრება მოვიდა...

ქ. მ. – ოფიციალურ დამოკიდებულებას ყოველთვის აქვს თავისი ეტიკეტი. ამ წიგნში კი იქნება თქვენი **ბევრი მადლობა**. გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას, გისურვებთ საქართველოს გამთლიანებას, რასაც თქვენ ასე განიცდით, ასე გტკივთ. გისურვებთ, რომ **ხალდეში, იმპერიასთან მებრძოლ იმ კლდე სოფელში** კიდევ ერთხელ აგეჟდარუნებინოთ ზარები. 85 წლის ასაკში თქვენი ასეთი მხნე იერით, ასეთი ცინცხალი გონებით ამის „გარანტიას“ უდავოდ, იძლევით და მიტოვებთ განწყობას, რომ თქვენთვის ასე ძვირფასი კრახზაგარის მადლობიდან კიდევ გადაავლებთ თვალს ხალდეს სიდიადეს და სოხუმის ლაჟვარდოვან სანაპიროზეც კვლავაც ისაუბრებთ განათლების პრობლემატიკაზე.

ვ. გ. – მე შენ მინდა მადლობა გითხრა, ქალბატონო ქეთი, შენ ასეთ აქტიურ, ენერგიულ, განათლებულ ქალბატონს! ჩემთვისაც ამ თითქმის განათლების „სამყაროს“ ნახევარსაუკუნოვანი მსახურების გზისთვის თვა-

ლის გადავლება და თქვენთან საუბარი საიტერესო გამოვიდა, ერთგვარი განტვირთვა აღმოჩნდა ჩემთვისაც. და **თუკი ეს თხრობა რაღაცნაირად ჩემი ბიოგრაფიაა, ამისთვისაც მოვიბოდიშებ!** შეიძლება ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ვერ გავიხსენე, ამ გარემოში ყოველთვის იყო ბევრი ძალიან ღირსეული ადამიანი, ღირსეული ქცევით, სწორი მიდგომებით... გული მწყდება, მათზე სათანადოდ თუკი ვერ ვისაუბრე. მე არ შემიძლია გალის განათლების ორი თანამშრომელი დავივიწყო: ესენი იყვნენ – **მერი გეგეჭკორი** და **შოთა გვილია**. დიდი პატივისცემით გავიხსენებ გაგრის განათლების განყოფილების გამგეს, **ჩაკაბერიას**; მე ვისაუბრე მასზე ცოტაოდენი. **მიხეილ ლეთოდიანი**, სოხუმის განათლების თავკაცი იყო. ის იყო კოლორიტი ქართველი. მას შეეძლო, ქართულად ემღერა ნებისმიერ გარემოში და ეს სიმღერა აღაფრთოვანებდა ყველას. რუსი ეროვნების ქალი იყო **დაგმარა ნინიძე**, **კუჩენოვა** იყო გვარად და ნინიძე მეუღლის გვარია. ქართული ოჯახი ჰქონდა. მას თავისუფლად შეეძლო დარჩენილიყო სოხუმში თავისი ეროვნების გამო. მაგრამ – არა! მან ჩვენთან ერთად გადაიტანა და გაიზიარა ყველა ის განსაცდელი და სიმძიმე, რაც ახლდა ჩვენს ლტოლვილობას და დევნილობის სისასტიკეს. დაგმარა იყო უაღრესად განათლებული. შეგეძლო, მისთვის გეკითხა, რჩევა მიგეღო ბევრ თემაზე. ისეთი რჩევა, სწორ გზას რომ არ აგაცდენდა. ის მინისტრის მოადგილეც იყო, ჩვენ ერთად ვმუშაობდით წლების მანძილზე. დაგმარა ნინიძე – აი, ყოველნაირად დიდებული ქალბატონი. ძალიან ხანდაზმული იყო ოჩამჩირის განათლების გამგე **თინა გვარამია**. და ტყვერჩელი – **გრიშა გვარამია**. დიდი დამსახურება აქვს **მერი გაფრინდაშვილს**. **დალოსტი გობეჯიშვილი** ასევე.

ქ. მ. – როგორ, დალოსტი? სახელი ვერ გავიგე კარგად.

ვ. გ. – დალოსტი გობეჯიშვილი გუდაუთაში, ქართული სოფლის კარგი მასწავლებელი.

ქ. მ. – და **რობერტ ბაკარაძე**? ის ჩემთვის განსაკუთრებულია და მოგიყვებით რატომ.

ვ. გ. – რობერტ ბაკარაძე მუშაობდა დახელოვნების ინსტიტუტში. ძალიან განათლებული კაცი. ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე სპეციალისტი. რობერტის მამა, ასევე კარგი ფილოლოგი, მუშაობდა ჩვენთან.

ქ. მ. – აი იქ, მისტიკურ დალის ხეობაში, 1980 წელს გენწვიშის საშუალო სკოლაში შესამოწმებლად მოვიდა რობერტ ბაკარაძე. ჩემი ქართულის მასწავლებელი იყო ეთერ ლაშხია-ჩოფლიანი. ვართ მეხუთე კლასელები. შემოვიდა რობერტი და გვესწრება გაკვეთილზე. ეთერი მასწავლებელმა, რა თქმა უნდა, მე გამომიძახა. უნდა მოვყვე და ჩავაბარო ვაჟა ფშაველას „ხმელი წიფელი“. და როგორც მერე სკოლის შეფასებებში ჩა-

უწერია რობერტ ბაკარაძეს და ჩემი მასწავლებელიც ძალიან, ძალიან ამ-
აყობდა ამ შეფასებით, „მე მსგავსად მოყოლილი „ხმელი წიფელი“ არ-
სდროს არ მომისმენიაო“. მე მომავალშიც დავინტერესდები იმ მეხუთეკ-
ლასელი გოგონას ბედითო, უთქვამს მაშინ რობერტ ბაკარაძეს.

სხვათაშორის, ამ რამდენიმე წლის წინ ქალბატონი მინედა, რობერტის
მშვენიერი მეუღლე, მოგეხსენებათ, ბატონი რობერტი და მე აღმოვჩნდით
ღონისძიებაზე ზუსტად გვერდიგვერდ. მაშინ გავახსენე ბატონ რობერტს
„ხმელი წიფელი“ და აშკარად ძალიან ესიამოვნა, ძალიან გაუხარდა.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული!“

[გალაკტიონი]

ქ. მ. – ბატონო ვახტანგ, თქვენი საუბარი არის გამორჩეული. თქვენ ნამ-
დვილი მემატიანე ხართ, არ ვამეტებ! სრულიად გულწრფელად გეუბ-
ნებით, იმდენი ამბების მონაწილე ხართ. თქვენი ცხოვრებით ხართ მე-
მატიანე მთლიანად აფხაზეთის, აფხაზეთის ქართველობის, მემატიანე
ხართ განათლების სისტემის! მაგრამ ახლა მინდა გავიხსენოთ თქვენი
ბავშვობა; ხალდე და შვიდი-რვა წლის ბიჭუნა, პატარა ვახტანგი. და
განსაკუთრებით, მე, როგორც რედაქტორს თქვენი ისტორიული წიგნი-
სა „მოგზაურობა ხალდედან ხალდეში“, თბ. 2025წ. მაინტერესებს
თქვენი განცდები ხალდესთან მეორედ შეხვედრის დროს; ეს არა მხო-
ლოდ ამ ეტაპზე ჩვენი დევნილური პოზიციებიდან, იმიტომაც, რომ
ხალდე ეს არ არის ერთი ჩვეულებრივი სოფელი; რომ არაფერი
ვთქვათ, ისტორიულ ქალდეასთან ფონეტიკურ თანხვედრაზე და ქარ-
თველთა და შუმერთა საერთო გენეტიკაზე, ხალდე კლდეებში, მარ-
თლა, არწივის ბუდეშავით მიკრული ეს პატარა სოფელი კაცობრიობის
ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის წინააღმდეგ მემამბოხე სოფლის სახე-
ლით შევიდა არა მხოლოდ საქართველოს, მსოფლიო ისტორიაში. იმ
დროს, ანუ 1876 წელს, იქ მცხოვრებმა 44 ოჯახმა და მხოლოდ რამდე-
ნიმე ათეულმა მამაკაცმა გაბედა და კოშკებში გამაგრებულებმა ამბოხი
მოუწყვეს, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწიეს ზარბაზნებით,
ხიშტებით, ტყვიამფრქვევებით შეირადებულ იმპერიულ ძალებს... რო-
გორი აღმაფრთოვანებელია ისიც, რომ მემამბოხე ხალდეელ ვაჟკაცებს,
საციმბიროდ გამწესებულსებს, სასამართლო პროცესზე იცავდა ქარ-
თული პოეზიის უგვირგვინო მეფე – აკაკი წერეთელი. ვისაუბროთ
ხალდეზე და თქვენს ბავშვობაზე, ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – სამშობლო იწყება იქ, სადაც დაიბადე. სადაც დაირწა შენი აკვა-
ნი! სამშობლო შინაარსით მშობელთან არის დაკავშირებული. ეს გან-

ცდა მუდამ თან დამყვებოდა. ხალდეში პირველად ჩავედი 2002 წელს.

ქ. მ. – ესე იგი რამდენი წლის მერე?

ვ. გ. – ბევრი... ძალიან ბევრი!

ქ. მ. – ათეული წლებია შუაში, ხომ! ბავშვობის ათ წელსა და ამ ჩასვლას შორის!

ვ. გ. – და რომ მივდივარ შვილთან და მეუღლესთან ერთად... იქ, იფრალში... სოფელი იფრალი არის ხალდეს შესასვლელამდე. იქ მარგველანის ოჯახი შეგვხვდა ჩვენ, კვირიკობის დღეა. კვირიკობის დღეს იმან დაგვპატიჟა, შეგვიპატიჟა სახლში. ჩვენ ვუთხარით, ხალდეში აუცილებლად უნდა შევიდეთ! ჯერ ეს შევასრულოთ და აქეთობისას შემოგივლით-თქო. და რომ ავედით, **კრამზაგარს ხვატულიდ ნა** „კრამზაგარს ვეძახით ჩვენ“!

ქ. მ. – ააა, გასაგებია!

ვ. გ. – იქიდან სოფელი უკვე კარგად ჩანს. სოფლამდე არის ორი კილომეტრი. მივდივართ მე, ჩემი შვილი, ჩემი მეუღლე. და მოკლედ ისეთი აღტკინებული მივდივარ, ისეთი აღფრთოვანებული მივდივარ, რომ ესენი ვერ დამეწიენ გზაზე, ისე ჩქარა მივდივარ!

ქ. მ. – გასაგებია! გულმა სხვანაირად დაგიწყოთ ფეთქვა. იმ წუთას, ალბათ, ისევ ის ათი წლის ბიჭი გახდით უცებ, ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – გავხედე ქვევით, ჩვენი ყანა დავინახე. მახსოვდა, იქვე მუხა იდგა. ამ მუხაზე ყვავები იკრიბებოდნენ შემოდგომისკენ... აი, ის გავიხსენე და ჩემ შვილ თენგოს ვეუბნები: აი, მამა ეს იყო ჩვენი ადგილი, ჩვენი ყანა, სადაც ვთესავდით ხორბალს, კარტოფილს და მთელ მოსავალს... თენგო გაოცდა, მამა, აქ როგორ ხნავდითო?

ქ. მ. – ძალიან ციცაბოა ხალდე მდებარეობით, ვიცი მე ეგ ლანდშაფტი!

ვ. გ. – აი ასე! ხნავდნენ, ხალხი შეჩვეული იყო ამას; ამ სირთულეების უნარ-ჩვევები ჰქონდა გამომუშავებული. ეს ერთ დღეში ხომ არ ხდება. წლების, თაობების, საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება. მამიდან შვილს გადაეცემა და ასე...

ქ. მ. – რა თქმა უნდა, ასე ყალიბდება ტრადიციები და რიტუალებიც შესაბამისად!

ვ. გ. – შევედით სოფელში. სოფელში მოდოდა წყარო...

ქ. მ. – ისიც გახსოვდათ? სოფლის წყაროც გახსოვდათ.

ვ. გ. – წყაროც მახსოვდა. ვიარეთ. მე სოფელი დიდი მეგონა, დიდი მახსოვდა! სახლები, აივნები იმდენად ახლო იყო, რომ ერთი აივნიდან მეორეზე გადახტებოდი. ვიარეთ, ვიარეთ... და სად უნდა მივსულვიყავით დაცარიელებულ სოფელში და... ავედით ეკლესიაში! **მაცხვარის** „მაცხოვრის“ ეკლესიაში და... ხატი მივაბრძანეთ! ნაკურთხი ხატი! ეკ-

ლესიაში ზარია ჩამოკიდებული! თენგომ მითხრა, ლოცვა რომ დავასრულე, მამა, ჩამოკარო ზარსო! ჩამოვკარი სამჯერ!

ქ. მ. – ოო, ახლა მინდა ჩემი თავი წარმოვიდგინო იქ, იმ იდუმალებაში!

ვ. გ. – ამ სამმა ზარმა... იქ ახლა მიტოვებული იყო ყველაფერი... ირგვლივ მთებია და ამ სამმა ზარმა ისეთი ექო წამოიღო, ისეთი ექო... გაისმა ეს ხმა სოფელში და მთელ სხეულში რაღაც საოცარმა ჟრუანტელმა დამიარა!

ქ. მ. – როგორ მესმის თქვენი განცდები... ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – ვიდექი გაშეშებული კარგა ხანს! გაშეშებული და... სხვა სიტყვებით არც მახსენდება, ზუსტადაც გაშეშებული ვიყავი განცდებისგან! წამომივიდა ცრემლები! უნებლიედ, ღვარად წამომივიდა ცრემლები! თენგო მოვიდა, გადამხვია ხელები და მთხოვა, მამა, დამშვიდდიო!

ქ. მ. – მამა, ამოდი ემოციებიდანო, თენგომ, ალბათ! თენგოსიც მესმის!

ვ. გ. – ცოტა დავმშვიდდი... და გავედი სასაფლაოზე. ჩემი წინაპრების – ბაბუაჩემი, ბიძები, ბებია...

ქ. მ. – ანუ იქაა დაკრძალული თქვენი ბაბუა – ბექა გასვიანი?

ვ. გ. – იქაა დაკრძალული, ორმოცდაათში გარდაიცვალა ის, ერთი წლით ადრე და... მე მახსოვდა ეს სასაფლაოები. რა თქმა უნდა, შესანდობრად ღვინო და პურმარილიც მქონდა წაღებული, წავუქციე, შესანდობარი ვთქვი... მერე გავიარე, საგანგებოდ გავიხადე ფეხთ, უფრო შინაგანად და უფრო სრულყოფილად რომ მიმეღო იმ მიწის მადლი, სადაც დავიბადე და სადაც შვიდი-რვა წლის ასაკამდე ვიზრდებოდი.

ქ. მ. – ანუ გალაკტიონის „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გავიარე, რაა მამული“

ვ. გ. – ჩვეუარო, ჩავეხუტე მიწის ყველა გოჯს. ამას ვერ აღწერ. უნდა იყო ალბათ, დიდი მწერალი, დიდი პოეტი ან დიდი ფსიქოლოგი უნდა იყო, ეს განცდა სრულყოფილად რომ გადმოსცე...

ქ. მ. – აბსოლუტურად სწორად მესმის თქვენი...

ვ. გ. – გონებაში ჩემს თავს დიდი ხანი ვამზადებდი ამისთვის და იმ წუთებშიც მქონდა ეს განცდა, რომ მოვიდა შვილი დედა ადგილას, ჩავეკარი იმ ძვირფას მიწას, ვიყავი ჩაყუნული, ლათვენ გიმს ათტგმშნ, მოვიდა შვილი და სამშობლო მიწას ჩაეხუტა.

ქ. მ. – დავმუნჯდიი მეც...

ვ. გ. – მერე საგანგებოდ ავიღე სამი ცალი ბროლის ქვა, იქ არის ასეთი ქვები და სიმბოლურად წამოვიღე როგორც თილისმა, ახლაც შენახული მაქვს ის ბროლის ქვები.

ქ. მ. – ესე იგი 1951 წლის მერე პირველად 2002 წელს დადგით ფეხი ხალდეს გრძნეულ მიწაზე...

ვ. გ. – ამდენი წლის მერე...

ქ. მ. – მხოლოდ ნახევარი საუკუნე კი არა, შუაში მთელი სამოოცდაათი წელია, შვიდი ათეული წელიწადი... ბრავოო თქვენ! ჩემი კიდევ ერთხელ დიდი აღფრთოვანება და პატივისცემა თქვენს სიყვარულს ხალდეს მიწისადმი, ადგილის დედისადმი!

ვ. გ. – მანამდე ვიყავი კალის ლაგურკაზე, კალის წმინდა კვირიკეზე. იქ მაშინ ლოცვის, რიტუალების მერე მისალმება მთხოვეს, ახლობელი აღმოჩნდა ლიგურკეს ერთერთი თავკაცი და... მაშინაც მე მისალმებაში ვთქვი, რომ ხალდეს შვილი მოვედი-მეთქი! მგკვლდემ გჯ ოღერ! ხალდეს შვილი მოვედი-მეთქი.

ქ. მ. – სვანურად ხალდელი, ხალდეს შვილი იქნება მგკვლდემ ხომ?

ვ. გ. – დიახ, მგკვლდემ.

ვ. გ. – ახლა ჩვენში – აფხაზეთში დაიკარგა ბევრი რამე, ხალდედან აფხაზეთში რომ გადავსახლით; დაიკარგა მაგალითად, რა: ბევრი წეს-ჩვეულება, ბევრი რიტუალი, ბევრი ხალხური სიბრძნე... ხალდეში სოფელი რომ შეიკრიბებოდა, იქ იყო მთელი საუბრები... მერე აკაკი, ჩემი ძმა, შეეცადა აფხაზეთში ამის აღდგენას, მაგრამ არ გამოვიდა... იქ იმდენად ძნელი იყო ყველაფრის საძირკვლიდან დაწყება, რომ არ გამოვიდა ამ ტრადიციის გაგრძელება, არადა, ძალიან ეცადა აკაკი...

ქ. მ. – რა მაინტერესებს, სოფლებში ხალხის შესაკრებ და სამსჯელო ადგილებს, ხევსურეთში რომ საფიხვნოს ეძახიან და სვანეთში – სვიფს, აი ასეთი სვიფი თუ იყო ხალდეში?

ვ. გ. – რა თქმა უნდა, იყო. და სწორედ იქ საღამოს თანასოფლელების შეკრების და სამსჯელოს აღდგენა უნდოდა-მეთქი ჩემს ძმას და არ გამოვიდა... იყო ეკლესია და იყო სოფლის შუა ადგილი, შესაკრები ადგილი.

ქ. მ. – რას ეძახდით იმ შესაკრებ ადგილს? სვიფს?

ვ. გ. – ნესგვინს ვეძახდით, შუათას, რაკი სოფლის შუაგულში იყო. და თუკი ვინმე უნდა გენახა სოფელში – ქალი, კაცი, სულერთია, მიხვიდოდი საღამოს ნესგვინში და იქ ნახავდი ჩვეულებრივ.

ქ. მ. – ერთი კითხვა გამიჩნდა; აბა თუ გახსოვთ, ექო როგორ იქნება სვანურად? ასეთი განცდებით ისაუბრეთ ხალდეს კლდეების ექოზე.

ვ. გ. – სვანურად? დაფიქრება მმართვეს!

ქ. მ. – მწნა! დიახ, მწნა!

ვ. გ. – მწნა, რა თქმა უნდა! მადლობა, რომ გამახსენე.

ქ. მ. – თქვენ ენათმეცნიერი გესაუბრებათ, ბატონო ვახტანგ!

ვ. გ. – უნდა მოგიყვე კოდორის ხეობის ეპიზოდები; სამწუხაროდ, ეს აფხაზეთიდან წამოსვლის ამბებია 1993 წელს. ოცდაშვიდ სექტემბერს აგუძერაში ჩვენ შევხვდით შევარდნაძეს. მე და ჩემი ძმა – აკაკი ვიყავით ერთად; აკაკის აინტერესებდა ჟიული შარტავას მდგომარეობა. აფ-

უძერაში, დაცვაც იქვე იყო, შვეიდა აკაკი შევარდნაძესთან, კარებში მეც რომ შევიხედე, მახსოვს, შევარდნაძეს, მაშინაც ჩაის ჭიქა ეჭირა ხელში.

ქ. მ. – ეს ის ჩაია?

ვ. გ. – დიახ, ის ჩაი!

ქ. მ. – ანუ შევარდნაძე სოხუმში არ იყო და იყო აგუძერაში?

ვ. გ. – გულრიფში, აგუძერაში იყო. მე გავაფრთხილე აკაკი, დიდხანს არ დარჩე-მეთქი იმიტომ, რომ ზუგდიდის მხარე ჩაკეტილია, მერხე-ულის მხარეც რომ ჩაგვიკეტონ, უფრო ცუდ დღეში აღმოვჩნდებით-მეთქი. შევარდნაძეს მეც ვიყავი შენახვედრი რამდენიმეჯერ, მაგრამ ყველა ხომ არ ახსოვს, ამიტომ აკაკის ჰკითხა, ვინ გელოდებო. და ნუ ჩემი ძმაო, უპასუხა აკაკიმ. ისაუბრეს, ჩემმა ძმამ მიიღო პასუხი შევარდნაძისგან, რომ ახლახან ვესაუბრეო პასტუხოვს თუ პესკოვს? და მომცა პირობა, რომ ჟიულის გამოუშვებენო... გამოვიდა აკაკი დაიმედებული. წავედით მერხეულისკენ. დალის ხეობაში გოგი ქალდანი თუ იცი?

ქ. მ. – როგორ არ ვიცი, ბიძაჩემია, ფიზკულტურასაც მასწავლიდა, ჩემი მასწავლებელიც იყო. ძალიან სიმპატიური კაცი, კარგი თამადა. დიდი ოჯახის თავკაცი!

ვ. გ. – აი, გოგი ქალდანის ოჯახში. მაშინ ჭიჭიკოც ცოცხალი იყო...

ქ. მ. – ვიცი ჭიჭიკო ბიძია!

ვ. გ. – ვიყავით ორმოცამდე კაცი... მიგვიღეს, დაგვასვენეს, ყველას პატივი გვცეს. მერე გავუდექით გზას უღელტეხილისკენ. საკენი რომ გავიარეთ, იქ, მჟავე წყლებზე დავრჩით ერთი ღამე. ბორის გურჩიანი თუ გაგიგია? იმასთან...

ქ. მ. – გამიგია. ბორის გურჩიანის შვილი, მანანა არის მეუღლე გოგი ქალდანისა.

ვ. გ. – იმასთან მჟავე წყლებზე.

ქ. მ. – ესე იგი ბორის გურჩიანის კარავში, მჟავე წყლებზე საზაფხულო კარვებია მხოლოდ. და, სხვათა შორის, მეც ვარ ნამყოფი იმ კარავში.

ვ. გ. – იმ კარავში გავათენეთ ღამე. პურმარილი ბლომად გაგვიშალეს, ყველი და პური, ხაჭაპურები გვქონდა თავზე საყრელად... ბორისმა სასმელი გამოიტანა, დაგვლოცა, ოღონდ გვითხრა, რომ სამი ჭიქის მეტს მე თქვენ არ შემოგთავაზებთო. თქვენ უღელტეხილზე უნდა ახვიდეთ, დილას ძალიან ადრე, გამთენიისას უნდა ადგეთ, რომ უღელტეხილი ოთხ-ხუთ საათამდე გადაიაროთ, თორემ მერე მთაში ნისლი, ბურუსი ჩამოწვება და სიარული გაგიჭირდებათო. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და, რა თქმა უნდა, „დავემორჩილეთ“.

მე გამაოცა რამ, ლოგინები რომ გაგვიშალეს, თეთრეული, ზეწრები, შალითები იყო საოცრად ქათქათა, თეთრი, ქათქათა. მთის პირობების და კარვებისთვის წარმოუდგენლად ქათქათაც კი!

ქ. მ. – იცით რატომ? ბორის გურჩიანის მეუღლე, ანეტა, ძალიან კარგი, სუფთა გაპიწკინებული ქალი იყო. ასეთი სიქათქათე (და ისიც მთის კარავში) ხომ ყოველთვის ქალის დამსახურებაა.

გ. გ. – აი მე ძალიან ბევრ სასტუმროებში ვყოფილვარ და ისეთი ქათქათა თეთრეული, რაც იმ კარვებში გაგვიშალეს, სასტუმროებშიც არ მინახავს... ამდენი წელი გავიდა, ოცდაათზე მეტი და ახლაც მახსოვს.

მეორე დღეს, დილაუთენია გავუდექით გზას, ავუყევით უღელტეხილის აღმართებს, როგორც დაგვარიგა ჩვენმა მასპინძელმა.

გზად ძალიან ბევრი სირთულე იყო. ბევრი გაჭირვებული ადამიანი, ქალები, ბავშვები, მოხუცები, უმწეო ადამიანები... გახსენებაც კი მზარავს... და მოყოლა არც კი შემიძლია იმ ამბების...

უღელტეხილზე დაღამებამდე ავედით. შევისვენეთ. **მიშგუ მუხზად**, აკაკიმ აიღო გოგი ქალდანის გამოტანებული საგზალი, არაყი, პატარა კათხა ჰქონდა, მომცა ეს და მითხრა, დაილოცეო; პატარა სიტყვა თქვიო:

მე ავედი დიდ ქვაზე: გავიხედე დასავლეთისკენ – **ილორის ყოვლისშემძლე ეკელესია** ვნახე, გავიხედე სამხრეთ დასავლეთით – **ბაგრატის დიდებული ტაძარი** ვნახე, ი ლექუნ ერ ოთსგი, „და აღმოსავლეთით რომ გავიხედე“, ვნახე **კალის ლაგურკა**, **კალის კვირიკე**: და მაშინ ვთქვი ასეთი ტკივილიანი სიტყვები თუ სადღეგრძელო: სამი უდიდესი სალოცავის ნახვით, ხილვით, დიდებით, ძალ-მადლით გაუმარჯოს საქართველოს... ჩვენ არ დავმარცხებულვართ... ჩვენ დავბრუნდებით!

ვახტანგ გასვიანი [85 წლის]

(გაგრა-გუდაუთა-სოხუმი-თბილისი-თეთრიწყარო)

ქეთევან მარგიანი

„სანამ ჩაჩბას იტყვი, მანამ აჩბა უნდა თქვაო“ –

ჯამბულ ანჩაბაძე

ქ. მ. – ბატონო ჯონი, ვიცი, თქვენ ძალიან ახლო და ძალიან განსაკუთრებული ურთიერთობა გქონდათ ბატონ ჯამბულ ანჩაბაძესთან. ხომ არ გაიხსენებდით?

ჯ. მ. – **ჯამბულ ანჩაბაძე უაღრესად კოლორიტული ფიგურა იყო. დიდი გვარის დიდი წარმომადგენელი. ეამყებოდა თავისი გვარი. ხშირად ამბობდა: „სანამ ჩაჩბას იტყვი, მანამ აჩბა უნდა თქვაო“.** პირველობას აჩბას ანიჭებდა.

კეთილშობილი ადამიანი იყო. სიამოვნებას ანიჭებდა, თუ ვინმეს დაეხმარებოდა. უყვარდა ახალგაზრდებთან მეგობრობა. საოცრად მზრუნველი

და კეთილმოსურნე იყო. უფროსი გახლდათ ასაკით ჩემზე, მაგრამ ამას ვერც ვგრძნობდი, თანატოლივით მექცეოდა. **ღირსება მისთვის მთავარი იყო.** ცუდს არავის უსურვებდა, ავს არ ჩაიდენდა. თუ ვინმეს უღირს საქციელს გაიგებდა, „ფუჰ, ეშმაკისააო“ – იტყოდა. სოხუმიდან რომ გამოვედით, გაგვიჭირდა. ჩემი და ჩემი მეუღლის ყველა ნათესავი და ახლობელი აფხაზეთელი იყო, აქეთ არავინ გვყავდა, თავი რომ შეგვეფარებინა. ვდგავართ ენგურის გაღმა მე და ჩემი ძმა ოჯახებით, პატარა ბავშვებით. ბატონი ჯამბულისთვის უთქვამს ეს ვილაცას, დაგვინახეს, ალბათ! მაშინვე მოვიდა, სახლში წაგვიყვანა ყველა. წარმოგიდგენია, 40 კაცამდე შეიფარა! გულთთ გვიმასპინძლდებოდა, თავს გვევლებოდა.

ამ ღირსეული კაცის შინაგანი მრწამსი ღირსეული ცხოვრება იყო.

ფიცხიც გახლდათ. არაკაცურ საქციელს ვერ ეგუებოდა, შეურიგებელი იყო ტყუილის, თვალთმაქცობის, გაიმპერობის მიმართ, არ პატიობდა არავის უღირს საქციელს.

თვალშისაცემი იყო მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, მიხვრა-მოხვრა, საუბრის ტონი, მიმართვა... მღეროდა არაჩვეულებრივად. ერთი სიამოვნება იყო, როცა მეგობრებთან ერთად ილხენდა. **ლხინიც ზომიერი, კულტურული, თავადური იცოდა.**

მახსოვს, როგორც **აფხაზეთის დიდი გვარის წარმომადგენელი, ბუშთან შეხვედრაზეც მიიწვიეს!**

ქ. მ. – ოო, გამახსენდა, **ჯორჯ ბუში უმცროსი** რომ იყო ჩამოსული თბილისში **2007 წელს**, სხვებთან ერთად **ჯამბულ ანჩაბაძე შეხვდა როგორც საქართველოს არისტოკრატის წარმომადგენელი.**

ჯ. მ. – ჯამბული ძალიან უყვარდათ სტუდენტებს. მოწიწებით, მორიდებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. თვითონაც კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ. არ მახსოვს, სტუდენტთან კამათი მოსვლოდეს.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ოჯახის წევრებთან. **საკუთარი შვილივით უყვარდა რძალი. მათი ურთიერთობა სამაგალითო იყო!** სამწუხაროდ, დიდ ტკივილს ატარებდა უმცროსი ვაჟის გარდაცვალების გამო. ამ ტრაგედიის ღირსეულად ტარებაც შეძლო, არავინ შეუწუხებია, თავად ატარა მთელი ცხოვრება. შვილის სიკვდილის შემდეგ ჯანმრთელობა გაუუარესდა ბატონი ჯამბულის მეუღლეს. მოუარა, შეიძლება ითქვას, აცოცხლა თავისი დამოკიდებულებით, მზრუნველობით...

ძალიან ამაყობდა თავისი შვილიშვილებით! ღირსეულად აღზრდილი ახალგაზრდებით!

ჯონი მარღანია [65 წლის]

(სოხუმი-გალი-თბილისი)

ქეთევან მარგიაწი

ლეგენდა – ვახტანგ ვახანია

ქ. მ. – ბატონო ჯონი, დილა მშვიდობისა! ჩვენი საუბარი დღეს ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს და ბევრ თემას შეეხება, მაგრამ მანამდე თქვენი ასაკი, განათლება და დაბადების ადგილი რომ გვითხრათ. თან ჩვენი, ენათმეცნიერების ჯგუფის, წინაწარი მადლობები ამ შეხვედრისთვის და თქვენი დროისთვის...

ჯ. მ. – მოგესალმები, ქალბატონო ქეთინო! ასაკი: ვარ სამოცდახუთი წლის. დაბადების ადგილი – აფხაზეთი, გალი.

ქ. მ. – აჰა! გალი! ანუ ქართული ღელე ეტიმოლოგიურად და მეგრული ღალ, შემდეგ გახდა რუსულად გალ! თუმცა ამაზე მოგვიანებით.

ქ. მ. – კეთილი, ბატონო! სად მიიღეთ განათლება?

ჯ. მ. – ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტ წელს ჩავირიცხე სოხუმის... ნუ მაშინ პედაგოგიური ინსტიტუტი იყო, რომელიც ჩვენი სტუდენტობის პერიოდში გახდა სოხუმის უნივერსიტეტი... და დავამთავრე სრული კურსი ფილოლოგიის ფაკულტეტის სპეციალობით ოთხმოც წელს.

ქ. მ. – ძალიან კაარგი!

ჯ. მ. – ათას ცხრაას ოთხმოც წელს, იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ლიტერატურის თეორიის განხრით, შემდეგ მომიწია საბჭოთა სამხედრო რიგებში მსახურება და ყოფნა, ჩამოსვლის შემდეგ ოთხმოცდასამიდან გავაგრძელე, ოთხმოცდახუთში არა... და ექვსში დავასრულე ასპირანტურა.

ქ. მ. – აი თქვენი ლექტორებიდან ვის გაიხსენებდი, ასე ვთქვათ, განსაკუთრებული ნოსტალგიით, განსაკუთრებული სიყვარულით, განსაკუთრებული მონატრებით!

ჯ. მ. – სხვათა შორის, სოხუმის უნივერსიტეტში ყოველთვის, და ჩემი სტუდენტობის დროსაც, საოცრად კარგი პროფესურა იყრიდა თავს, განსაკუთრებით აი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, როგორც ქართული ენის, ასევე ქართული ლიტერატურის კათედრებზე. მე ვისთანაც შეხება მქონდა ქართველოლოგიის კუთხით, ეს ორი კათედრა იყო, მეტი არც იყო და აქ ორივეგან იყვნენ ბრწყინვალე ლექტორები...

ქ. მ. – და თქვენ მათ შორის, რა თქმა უნდა, როგორც ლექტორი, როგორც პრორექტორი, როგორც დეკანატის წარმომადგენელი... სტუდენტების განსაკუთრებული და კოლეგების დიდი სიყვარულით სარგებლობდით ყოველთვის! ამის მოწმე უკვე თავად ვარ სამი ათეული წელიწადია და ამას საიმოვნებით აღვნიშნავ, თანაც ხაზგასმით, ბატონო ჯონი!

ჯ. მ. – ლექციები – კი! აი ლექტორი ფასდება ლექციების ხარისხით. ამ თვალსაზრისით ჩემს ლექტორებში გამორჩეული იყო, განსაკუთრებული იყო ვახტანგ ვახანია!

ქ. მ. – ლეგენდები დადის თქვენს თაობაში! შეიძლება ითქვას, ყველა თაობაშიც დადის ლეგენდები ბატონ ვახტანგ ვახანიაზე...

ჯ. მ. – გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის ჯერ ერთი საოცრად იყო შეყვარებული ქართულ მწერლობაზე, ქართულ ლიტერატურაზე და საქართველოს იტორიაზე. და მისი ყველა ლექცია იყო სანახაობრივი, ასე შეიძლება ითქვას. თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა ფაქტებს და მოვლენებს. მარტო მშრალი მასალებით კი არ იფარგლებოდა. აი მაგალითად, რომელიმე მწერალზე საუბრობს, ვთქვათ, ილია ჭავჭავაძეზე. ისიც უნდა ვთქვა, რომ **ილიაზე კითხულობდა დაუსრულებლად! განკუთვნილი იყო, ვთქვათ, ათი საათი და კითხულობდა ორმოც საათს!**

ქ. მ. – ოჰო! მშვენიერია **ორმოცი ლექცია ერის მამაზე!**

ჯ. მ. – ჰქონდა ასეთი განსაკუთრებული სიყვარული **სამოციანელებზე!** კარგი გაგებით, **„გართულება ჰქონდა“** მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაზე და სამოციანელებზე. იყო, ვთქვათ, ასეთი ეპიზოდები, ილიას გამგზავრება პეტერბურგში სასწავლებლად. როდესაც ამას გვიხსნიდა, თვითონაც სიარულს იწყებდა აუდიტორიაში და **წარმოაჩენდა, მღეთის აღმართზე მიმავალი ილია რა სიჩქარით მიდიოდა!** ხელებით გვანახებდა ამას, აი **სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა როგორი ტემპებით ადის აღმართზე და ამ დროს პეტერბურგიდან თბილისში მომავალი ბრძენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი!** ესენი ხვდებიან ერთმანეთს. ის მოდის დინჯი, ზურგს უკან ხელებმიწყობილი და ილია კი ჩქარი ნაბიჯით მიუყვება აღმართს. და აი ამას ყველაფერს ანახებდა სტუდენტებს. ალბათ, ინფორმაცია ჰქონდა, ვიღაცას ჰქონდა ეს აღწერილი თავის მოგონებებში. რეალურად შედგა თუ არა ეს შეხვედრა? თუმცა შეიძლება მისეული ვარაუდი იყო სულაც ეს შეხვედრა! ეს ვარაუდი იყო სულაც!

ქ. მ. – მემუარებში აუცილებლად ექნებოდა ვინმეს აღწერილი!

ჯ. მ. – საოცარი გაქანება ჰქონდა ამ მიმართულებით. მას შეეძლო, **მწერლებზე და ეროვნულ მოღვაწეებზე საუბრისას იმპროვიზაცია.** ერთი მისი ჩვევა: **პრაქტიკულს საერთოდ არ ატარებდა. ლექცია და მხოლოდ ლექცია!** პრაქტიკული ვითომ გაახსენდებოდა ოდესღაც, მაგრამ არა, იმის ხარჯზეც ლექციას კითხულობდა. მიჰყავდა ორი საგანი. მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა თავისთავად და მიჰყავდა კრიტიკის ისტორია. კრიტიკის ისტორიას ცალკე არ კითხულობდა. აი,

ლიტერატურის ისტორიასთან ერთად... შესავალს კი აკეთებდა, მაგალითად ასეთს: ფეშანგი ფაშვიბერტყამით იწყებდა და ასე...

ქ. მ. – რა საინტერესოა ასეთი ლექტორი!

ჯ. მ. – ვახტანგ ვახანიას ჰქონდა ისეთი უნარი ლექციისა, ისეთი მიდგომა მიმზიდველად თხრობისა, რომ ლექციის ჩაწერას ასწრებდი ბოლომდე, ასწრებდი თავისუფლად.

ქ. მ. – აჰა! ვინც კი ერთხელაც მჯდარა მის ლექციაზე, დღემდე არტისტობის ტყვეობაშია. აი მე საგანგებოდ ამოვწერე ერთ-ერთი ნასტუდენტარის, ირმა ირემადის მოგონება: ჩემი სტუდენტობის ბედნიერება – ვახტანგ ვახანიას ლექციები... განუმეორებელი, შეუდარებელი, ქარიზმატული... მისი ყოველი ლექცია მონოსპექტაკლი იყო, რომელიც დაუსრულებლად გამოგზაურებდა რომანტიზმიდან შორეულ რენესანსში, შუა საუკუნეებიდან რეალიზმის მისადგომებთან... ბარათაშვილის მერანის ლირიკულ გმირს ადევნებული მსუბუქად თუ თავდავიწყებით, ყოველ ჯერზე აღფრთოვანებულნი, გაცეხებულნი შევცქეროდით, ვუსმენდით და არ გვბეზრდებოდა. ის კი, დიდოსტატი თხრობისა, არ იღლებოდა, უხვად გაეცა, გაეცნო, მოეთხრო, შეეცვარებინა... ვახტანგ ვახანიას წყალობით აკაკის იუბილესაც დავესწარიტ ოპერის თეატრში და ამ იუბილეზე დაგვიანებით მოსულ ვაჟა ფშაველასაც „მოვუსმინეთ“. მახსოვს, მიყვარს, მამედნიერებს იმ დღეების გახსენება!

ჯ. მ. – მშვენიერია ეს მოგონება! ვახტანგს საოცარი მიდგომა ჰქონდა ყველაფრისადმი. თხოულობდა კონსპექტებს. ოღონდ ლექციებისას კი არა, საკითხებისა.

ქ. მ. – აჰა, მასალის დაკონსპექტებას ესე იგი!

ჯ. მ. – დიახ! მასალის დაკონსპექტებას ითხოვდა და ყოველ მეექვსე გვერდზე აწერდა ხელს. შენს ნამუშევარს რომ მოგთხოვდა, გადაფურცლავდა და ხელმოწერას აკეთებდა ყოველ მეექვსე, მეშვიდე გვერდზე. საოცარი იყო, როგორც პიროვნება. მის ლექციას მოუსმენდი, წაკითხვა არ დაგჭირდებოდა. მისი ლექციის მერე უკვე ნებისმიერ საკითხზე გქონდა წარმოდგენა.

ქ. მ. – ლიტერატურის ლექციები სწორედაც ასეთი უნდა იყოს!

ჯ. მ. – მისთვის ლექციის მიღმა არ არასებობდა არაფერი! აი ლექციას კითხულობს... კითხულობს... სრუდენტები ხშირად... აი გოგონები განსაკუთრებით სთხოვდნენ: „ბატონო ვახტანგ, ლექსი მოგვიყევი, ლექსი მოგვიყევი!“ „მერე მოგიყვებით! მერე! მერე!“

ქ. მ. – ლექციის დრო არ ემეტებოდა ლექსებისთვის!

ჯ. მ. – აი დამთავრდებოდა ლექცია და შესვენების დროს იწყებდა ლექსების კითხვას... ჩვენ კი მოჯადოებულები ვისხდით და ვუსმენდით! და თვითონაც უხაროდა!

ქ. მ. – რა მაგარია! ლექსებსაც ასეთი ხელოვნებით და დეკლამაციით კითხულობდა?

ჯ. მ. – ლექსებსაც – ბრწყინვალედ! აი თვალსაჩინოებას იმას შერებოდა... ეძებდა ყველაფერში. და ამით მისი ყველა ლექცია იყო განუმეორებელი და ძალიან დასამახსოვრებელი.

ქ. მ. – ამიტომაც დარჩა ლეგენდად!

ჯ. მ. – ჰქონდა ასეთი ჩვევა: შეიძლება ითქვას, მისი ლექციის კითხვის ერთგვარი მანერა იყო, რომ ფანქარი უნდა სჭეროდა მარჯვენა ხელში. მის გარეშე ლექცია ვახტანგ ვახანიას არასდროს არ წაუკითხავს. იყო შემთხვევა, დღესაც მახსოვს, აკაკი წერეთელზე უნდა ჩაგვიტაროს ლექცია. აკაკი წერეთელიო. ხელი ასწია და ხედავს, ფანქარი არ აქვს... გაჩერდა, ხელიც ასე გააშეშა... ზარანდია, წადი, ფანქარი მომიტანე! წავიდა ის, მოიტანა... და მხოლოდ მაშინ გააგრძელა ლექციის კითხვა.

ქ. მ. – გასაოცარია!

ჯ. მ. – ეს ფანქარი ჰქონდა ყოველთვის მოწესრიგებული, ისე სათუთად გათლილი, წაწვეტებული შესაბამისად. აქ იდებდა ყოველთვის...

ქ. მ. – პიჯაკის ჯიბეში ესე იგი...

ჯ. მ. – პიჯაკის ჯიბეში, გარედან.

ქ. მ. – აჰა!

ჯ. მ. – რომ გეთხოვა, თავი რომ მოგეკლა, ფანქარს ხელს არ მოგაკიდებინებდა. ხვალ მოგიტან! ხვალ მოგიტან! დაგპირდებოდა, ოღონდ იმას ხელს არ მოგაკიდებინებდა. საოცარი კაცი იყო! მერე თითქოსდა ერთი შეხედვით თითქოს უხეში კაცი იყო!

ქ. მ. – თითქოს პირქუში გინდოდა გეთქვა, ალაბათ, არა? ერთგვარად ჯმუხი კაცი!

ჯ. მ. – ჰოო პირქუში კაცი იყო, მაგრამ იუმორი ჰქონდა?! საოცარი იუმორი. იუმორი ჰქონდა სასწაული. აფორმებდა ამას ყველაფერს. მოვლენას, ფაქტს აფორმებდა ისე, რომ ცხადად წარმოგადგენინებდა არსს.

სოხუმური „ფოლკლორი“

ქ. მ. – ბატონო ჯონი, ხომ არ გაგახსენდება შენი რჩეული ლექტორის ვახტანგ ვახანიას რომელიმე ლექსი? გამოცემულიც არ არის მგონი ეს ჩანაწერები, ამიტომ იქნებ გაიხსენოთ რომელიმე სტროფი თუნდაც!

ჯ. მ. – ვახტანგ ვახანიას უყვარდა ფუნაგორიები! და ერთი მახსენდება, დაწერილი მისი ასევე კათედრის წევრის მისამართით. აბესალომ გადილია იყო ასეთი – მისი მეგობარი! უმცროსი იყო ბატონ ვახტანგზე. და მისადმი აქვს მიძღვნილი. რომელიც, სხვათა შორის, მიუძღვნა მისი საკანდიდატო დისერტაციის დაცვას. ეს არის სამოცდაათი თუ სამოც-

დათერთმეტი წელი, ნუ, მაშინ მე არ ვიყავი იქ და რაც მთავარია, უყვარდა მას სხარტულა. საპასუხო ლექსიც დაიწერა მერე მასზე. და სწორედ ეს საპასუხო ლექსი მოსწონდა ძალიან! თუ მახსოვს ახლა ეს ლექსი:

„ამას ამბობს გადილია,
თუმც არ უყვარს ქადილია,
დაწერაა ძნელი, თორემ
დაცვა რარიგ ადვილია.
აიხდინა წადილია,
მოაყოლა სადილია,
დაუცველად კაცი იყო,
დაიცვა და გადირია“.

ქ. მ. – აუ, ბრავო! ძაან მაგარია! რა კარგია!

ჯ. მ. – ახლა ბატონ აბესალომს არ უნდა ვალში დარჩეს და ჩამორჩეს, მაგრამ აბესალომი ლექსებს არ წერდა, როგორც მე ვიცი. ბატონი ვახტანგი თვითონაც ამბობდა: ბიჭო, ბიჭო, მაგი ლექსის დამწერია? და რაღაც ღონისძიება ტარდება თურმე სოხუმის იმ დროს პედიწისტიტუტში და ესწრებიან ახალგაზრდა პოეტებიც... იმ დროს ბატონი გენო კალანდია, ბატონი ჯანო ჯანელიძე... და ამათ გადასცაო აბესალომმა მონაცემები, აი რა სახის... და რამე ლექსი. და იმათმა დაწერესო. მაგრამ ისინი უარობდნენ, მოკლედ, აბესალომის არისო, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. და შესაბამისად, ეს ლექსი აბესალომის სახელით დამკვიდრდა **სოხუმურ „ფოლკლორში“**, სინამდვილეში კი იმათ დააწერინაო, ასე ამბობდნენ! საქმე იმაში გახლავთ, რომ რომ ბატონ ვახტანგს გარკვეული პრობლემა ჰქონდა დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით ოპონენტთან, გამეზარდაშვილი იყო ოპონენტი.

ქ. მ. – ოი, ვიცი გამეზარდაშვილი!

ჯ. მ. – ოო, აქ იყო დავა ესთეტიკის საკითხებზე. გამეზარდაშვილი მოითხოვდა რაღაცის შეცვლას, ვახტანგ ვახანია არ ცვლიდა! სამოციანელებზეა მოკლედ დავა. ვახტანგს უნდოდა თავისი აზრი გაეტანა და ამის გამო დროში ეს დაცვა გაიწელა.

ქ. მ. – აჰა, კი ბატონო! გასაგებია! გაიწელა ესე იგი დისერტაციის დაცვა.

ჯ. მ. – დისერტაციის დაცვა გაიწელა და ამ თემას მიუძღვნეს სწორედ ეს ლექსი:

„ჩვენი ვახტანგ ვახანია,
ხარისხს იცავს რახანია,
ოპონენტი ხელს არ უწერს,
არის ერთი ჯახანია!
დისერტანტიც ჯორზე შეჯდა,

ისიც ნაგლი ნახალნია!
ფურცელადის ფურცლებს ფურცლავს
და რა ჟამია, რა ხანია!
დღემდე კანდიდატად რჩება
ჩვენი ვახტანგ ვახანია“.

ქ. მ. – ვაა! ასე მთავრდებოდა?!

ჯ. მ. – ასე მთავრდებოდა და უყვარდა თავად, ბატონ ვახტანგს მოსწონდა: ნახე რა კაი რითმია: **ვახანია – ჯახანია – რახანია!**

ქ. მ. – ოჰო!

ჯ. მ. – ჰოდა, თვითონ მოწონდა ეს! აი ასეთი საოცარი პიროვნება იყო ვახტანგ ვახანია. მხატვრულად გაფორმება უყვარდა ფაქტების... ამბების. ერთხელაც რექტორად დაინიშნა ზურაბ ანჩაბაძე და ბატონმა ზურაბმა დანერგა ასეთი სიახლე – ლექტორები რომ უფრო ახლოს გაეცნო, ლექციებზე დასწრება დაიწყო. მოულოდნელად შევიდოდა ლექციაზე, ესწრებოდა ნებისმიერს...

ქ. მ. – რა კარგი სიახლეა! და რა კარგი ტრადიციაა! ოღონდაც ვინმე დამესწროს ძველ ქართულ ენაში, პალეოგრაფიაში, ძალიან გამიხარდება!

ჯ. მ. – ზურაბ ანჩაბაძე დაესწრო ვახტანგ ვახანიასაც. ნუ, ახლა როგორ მოეწონებოდა ლექცია... შეფასებაც უმაღლესი მისცა. ვახტანგიც ამით ამაყობდა! მაგრამ ამბობდა, მეო ის დამესწრო მეოცე საუკუნის ლექციაზე. იოსებ გრიშაშვილზე წაუკითხავს იმ დღეს, ვახტანგი მეოცე საუკუნის სპეციალისტი არ იყო, მოგეხსენებათ... თქვენ წარმოიდგინეთ, აი მეცხრამეტე საუკუნე რომ მოესმინა იმას ჩემგანო! და არის ასეთი შემთხვევა: სამსახურში მოვდივარო... ჯგუზურიას ქუჩა იყო უნივერსიტეტის მოპირდაპირე ქუჩა, ამოვდივარო... ამ დროს გაჩერდაო ოცდაოთხი ახალი! გაჩერდა! ზურაბ ანჩაბაძე ზის!

ქ. მ. – ოჰოო!

ჯ. მ. – ზურაბ ანჩაბაძემ ჩაისვა ვახტანგ ვახანია მოკლედ მანქანაში და ისეთ დროს შევედითო ჩოჩუას ქუჩაზე, დიდი დასვენება რომ არიო და ყველა – დიდი და პატარა რო ფანჯრებიდან იყურებო... **გაიღო ოცდაოთხის კარი! გადმოვიდა ზურაბ ანჩაბაძე, გაიღო კარი, გადმოვიდა ვახტანგ ვახანია!** ხალხი ნუ... ყველა ჩვენ გვიყურებსო. გახარებული ვარო, ფრთები შემესხაო... მოკლედ, სასწაულებში ვარო, მოვედი სახლში და ვეუბნები მეუღლესო. ნანაო, ბედნიერი ვარო! ასე და ასე, ზურაბ ანჩაბაძემ ასეთი პატივი დამდო! დაღუპულხარო, მითხრაო! ბიჭოო, რატომ? რატომ? დაღუპულხარო! მითხრაო! ...და ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მას ეს აუხდაო. იმ დღიდან დაიწყო ჩემი გვემა, ცემა, დასმენა... დამცესო... რო დამცეს, მხარი მომტეხესო და დღესაც არ მაქვს გამრთელბულიო.

ქ. მ. – მოგვკვდი სიცილით!

ჯ. მ. – აი ასე საოცარი მოყოლა იცოდა!

ქ. მ. – ანუ თავის თავზე ისტორიების შეთხზვა თვითონ უყვარდა!

ჯ. მ. – თვითონ თხზავდა! და ეს ისეთი ოსტატობით გამოსდიოდა!

ქ. მ. – სხვათა შორის, ამას წინათ ფსიქოლოგიურ წიგნებს ვკითხულობდი, როდესაც ადამიანს საკუთარ თავზე ხუმრობა შეუძლია, ესეც არის თურმე ინტელექტის ყველაზე მკაფიო გამოხატულება და ერთგვარი გამოძახილი!

ჯ. მ. – თბილისში ვარო, ჩამოვედიო ერთხელ.

ქ. მ. – უკაცრავად, მომდევნო ჩანაწერში! ახლა ეს ჩანაწერი და ეს თავგადასავლები უნდა შევინახო უკვე! „ტექნიკური პარამეტრები“ ეგრე მოითხოვს!

ბატონო ჯონი, ძალიან დიდი მადლობა! საოცრად საინტერესოდ ყვე-
ბით თქვენ თავად! ზუსტად ისეთი პორტრეტი დამიხატეთ ბატონი
ვახტანგ ვახანიასი, როგორიც მინდოდა, რომ ყოფილყო ამ წიგნშიც და
მომავალი თაობების წარმოსახვაშიც! პერსონალური მადლობა შენ ამ-
ისათვის!

ჯ. მ. – კეთილი, ბატონო ჩემო!

ქ. მ. – მაშ ასე, ვაგრძელებთ საუბარს ვახტანგ ვახანიას ლეგენდურ „სამ-
ყაროზე“.

ჯ. მ. – მოკლედ ერთხელაც თბილისში ჩამოვედიო... უპირველესი ჩემი
საქმე თბილისში ჩამოსვლისას იყოო წიგნის მაღაზიაში მისვლა. შევე-
დი მერანში... ვნახეო ყველაფერი, რაც მაინტერესებდა... გამოსვლისას
გახარებულს ლექსის თქმა მომინდაო... აი, როგორც ნარკომანს მოუნ-
დება წამალი, ისე მომინდება ზოგჯერ ლექსიო... და უცებვე ვაჟა გამაზ-
სენდა... გაღმით შენა ხარ, გამოღმით მე, შუა ჩამოდის მდინარე... მთე-
ლი გატაცებით ვყვები ამასო დაა... უცებ აქვე რუსთაველზე მხედებიან
ორნი, ქალი და კაცი რაა... და მე კი ვაგრძელებ ლექსს! მაგრამ ხომ ხდე-
ბა ზოგჯერ, ქუჩაში შეხვედრისას გვერდი რომ უნდა აუქციო! აქეთ გა-
იწევი, შემხვედრიც აქეთ იწევა, იქით გაიწევი... ისიც იქით იწევა... და
ამასობაში კი აგვერვია ფეხი და ზუსტად იმ მომენტზე ვარო, მინდა გა-
კოცო, მაკოცოო... დაა... და ეს ქალიც აქეთ გადმოიწია, მეც იქით გადა-
ვიწიე! და უცებ ვიღაცამ ჩამავლო ქეჩოში ხელი, დამცაო ძირს! და...
ხომ წარმოგიდგენიათ ვაგრძელება ამბისა!

ქ. მ. – ჰა! ჰა! ჰა! ჰა! მოგვკვდი სიცილით!

ჯ. მ. – აი, ხომ ასე გეცინება ჩემს მოყოლილ ამ ამბავზე; თავად ვახტანგ
ვახანიასთვის რომ მოგესმინა, მაშინ იქნებოდი საერთოდ პირდაღებუ-
ლი! ისეთი ნიჭი ჰქონდა ოსტატურად მოყოლის და იმპროვიზაციის!

ქ. მ. – ნიჭი! ესეც ნიჭია თავისთავადი! პირადად ჩემთვის, ძალიან შესა-
შური ნიჭი!

ჯ. მ. – გამახსენდა კიდევ... ბატონი ვახტანგი ძალიან აზარტული იყო
ნარდის თამაშში. ნარდი შეეძლო ეთამაშა მთელი ღამე და, სხვათა შო-
რის, ძალიან კარგადაც თამაშობდა ნარდსაც, ჭადრაკსაც, შეიძლება ით-
ქვას, ბრწყინვალედ!

ქ. მ. – აჰა!

ჯ. მ. – იქვე სოხუმში, უნივერსიტეტში ფიზკულტურის კათედრაზე
იყო მისივე მოგვარე, ცხონებული ჯემალ ვახანია... ნათელში იყოს! ჯე-
მალ სთხოვდა ვახტანგს, მის ლექციებზეც ჩაეტარებინა ქართული
ლიტერატურა. ბავშვები იყვნენ გაფრთხილებული და ნაცვლად სტა-
დიონზე წასვლისა რჩებოდნენ აუდიტორიებში და უსმენდნენ ვახტანგ
ვახანიას ლიტერატურას.

ქ. მ. – აჰა, მშვენიერია! ფანტასტიკურია!

ჯ. მ. – ეს ასე გრძელდება კარგა ხანს... ამ დროს მე უკვე დეკანის მოდ-
გილე ვარ... მაშინ შედარებით ახალგაზრდა ვიყავი. სადღაც ოცდაექვ-
სი... ოცდაშვიდი წლისა და... ნუ ვახტანგი ატარებს და ატარებს ლექცი-
ებს ფიზკულტურის ხარჯზე... ჩამოვიდა თბილისიდან განათლების
მინისტრის მოადგილე იყო, ქვილითაია, მგონი... გვარი შეიძლება
ზუსტად არ მახსოვს... დიდი შეკრებაა უნივერსიტეტის სააქტო დარ-
ბაში და აჯილდოებენ უნივერსიტეტის ახლაგაზრდა ლექტორ-მას-
წავლებლებს. რაღაც სიგელებს გადასცემენ... გამოაცხადა ამ თბილი-
სელმა პიროვნებამ, რომ დაჯილდოვდეს ამა და ამ სიგელით ჯემალ
ვახანია! დერეფანში გამოვიდა **ჩვენი კოლორიტი** და იძახის: ბიჭო, ბი-
ჭო, რა ხდება! რა ხდება! ლექციებს კითხულობს ვახტანგ ვახანია! ჯე-
მალ ვახანიას – სიგელები!

ქ. მ. – როგორც ვხვდები, ასეთი „თავგადასავლები“ სულ თან სდევდა
ჩვენს გმირს!

ჯ. მ. – ერთხელაც ზაფხულის პერიოდია, ჯემალ ვახანიასთან ეზოში
ნარდს თამაშობენ. ჯემალს თვითონ წამოუყენებია პირობა: ვინც წააგ-
ებს, პურ-მარილს კისრულობსო... თხა! პურმარილი თხით! თხა უნდა
დაკლას წაბგებულმა! კარგო, უთხრა ვახტანგმა. ითამაშეს და მოუგო
ვახტანგმა და თხა უნდა დაკლას ახლა ჯემალმა.

ქ. მ. – ოჰოო!

ჯ. მ. – ჯემალს უთქვამს, კიო... ეს მე არ ვიცი, კიო, თხას ვკლავო! ოდ-
ნოდ ჯონი უნდა დავპატიჟო! ჯონის შევპირდიო! და რატომ, ახლა
მოგიყვები: მისი ნათესავი იყო ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი, თბი-
ლისელი გოგონა იყო ეს ნათესავი! არ უნდოდა შრომით სემესტრში
გაშვება სადღაც...

ქ. მ. – ჩაის საკრეფად, ალბათ...

ჯ. მ. – ხო სადღაც მანდარინი იყო თუ ჩაი და... არ უნდოდა! დამიტოვეო ეს ბავშვიო, არ გაუშვაო, რამე მომიხერხეო. კარგი-მეთქი, მე ვუთხარი. მე ვიცოდი, რომ შრომით სემესტრში არ მიგვყავდა ქართული ენისა და ლიტერატურის... და აფხაზურის სტუდენტები, არ მიგვყავდა შრომით სემესტრში. ისინი მიგვყავდა საველე პრაქტიკებზე, აი ჩაწერებზე ფოლკლორული მასალის...

ქ. მ. – კი, ბატონო!

ჯ. მ. – ფოლკლორული თუ დიალექტური მასალების ჩაწერა – ეს იყო დაახლოებით ერთთვიანი თუ ორკვირიანი. ჰოოდა, ეს ვიცოდი მე, ჯემალ ვახანიამ ეს არ იცოდა! ამიტომ ვუთხარი: კი ბატონო, დავტოვებ შენი პატივისცემით-მეთქი. და მერე, სანამ გაიგო, იქამდე კი დამთავრდა აქ ყველაფერი. ამიტომ ამ სტუდენტის შრომით სემესტრში არ გაშვებისთვის ჯემალმა მე პატივი უნდა მცეს!

ქ. მ. – აბა რაა! პატივი უნდა გცეს! უნდა დაგიფასოს „გარჯა“.

ჯ. მ. – მოვიდა ვახტანგი მეორე დღეს: ბიჭო ჯონი, მოდი! მოდი! – მეძახის. რა მოხდა, ბატონო ვახტაგ? ასეო, ჩემი მოგვარე რომ არისო, ჩემთან თხა წააგოო, შენთანაც ჰქონია საკისრებელიო... მოკლედ ვქეიფობთო! კაარგი, ვქეიფობთ!

ქ. მ. – აჰაა!

ჯ. მ. – ამის მერე გავიდა ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე! არ მოხდა რატომღაც ეს, ვერ მოხერხდა „ვერასგზით“! და ერთხელაც მეძახის ბატონი ვახტანგი: გააფრთხილე ის ჩემი მოგვარეო: ასე არ გამოვა და ან ის უნდა იყოს ვახანია, ან – მეო! მაგრამ როგორ იქნება ეს! მე გვარი რომ გამოვიცვალო! ამდენი დიპლომი! კანდიდატის, უნივერსიტეტის, დოცენტის, პროფესორის... მერე ამდენი წიგნი! ამდენი დამოწმება! იმან შეცვალოს ერთი დაბადების მოწმობა და მორჩა! არაფერი სხვა არ სჭირდებაო!

ქ. მ. – აი იუმორი – კლასს! ანუ სხვა დოკუმენტი არაო?

ჯ. მ. – არა! არაფერი არ სჭირდებაო მეტი!

ქ. მ. – კვლავაც მოვკვდი სიცილით!

ჯ. მ. – აი ასეთი საოცარი კაცი იყო ვახტანგ ვახანია! სხვათა შორის, ლექციის ხარჯზე მსგავსს არასდროს არაფერს არ იტყოდა, იუმორით ასეთი გატაცების მიუხედავად!

ქ. მ. – მართლა?!

ჯ. მ. – არა! ლექციის ხარჯზე გამორიცხული იყო ეს. ლექციაზე მხოლოდ ლიტერატურა და ლიტერატურის ირგვლივ ამბები! ასეთი ამბები კი მხოლოდ სხვა დროს: ან ექსკურსიაა, ან შესვენებაა... ქეიფია... აი

თავისუფალ დროს! იქ ყვებოდა ამ ამბებს. ერთხელ მოგვიყვა მზექალა შანიძეზე:

ქ. მ. – მართლაც?! ჩემთვის (და არა მხოლოდ ჩემთვის!) ხომ იცი, აკაკი შანიძე ქართული ენათმეცნიერების პატრიარქია. მზექალა და ლელი ბარამიძე კი მე მიკითხავდნენ ძველ ქართულ ენას და პალეოგრაფიას და ამით ძალიან ვამაყობ!

ჯ. მ. – მზექალა შანიძე და ვახტანგ ვახანია კურსელები იყვნენ. ერთ მერხზე ვიხსხედით, კაცო... – ყვებოდა. მზექალა რომ მოვიდა, პირველ კურსზევე იცოდაო ძველი ბერძნული, ძველი სომხური, სპარსული... რამდენი ენაო... თვითონაც უმატებდა მერე... სამი წლით ადრე დავიცავი მე მზექალაზე სადოქტორო, ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი შრომა დამჭირდებოდაო... მე ამდენი ენა კი არა, ქართულიც არ ვიცოდიო. თბილისში ერთხელ მაღახიაში შევედი და ვიკითხეო: მეგრულად არის „ქობალი ქოძუნო“. ეს მე პირდაპირ ვთარგმნეო და ვიკითხეო „პური ძევსო?“ გაიკვირვა იმან, ვინ არის ეს ხეპრეო! აი ასეთ დღეში ვიყავიო... და ამ კაცმა მზექალა შანიძეზე ორი თუ სამი წლით ადრე დავიცავი სადოქტორო, რამდენი შრომა დამჭირდებოდაო, ხომ წარმოგიდგენიათო!

ქ. მ. – დიახაც, უზარმაზარი შრომა!

ჯ. მ. – ეს იყო საოცარი კაცი, საოცარი ლექტორი. ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა ლიტერატურისა. ნებისმიერ მწერალზე თუკი ვინმემ რამე თქვა, ვინმემ რამე დაწერა, ყველაფერს აგიხსნიდა, ყველაფერზე შეგახედებდა!

ქ. მ. – თბრობის განსაკუთრებულ ნიჭთან და უნართან ერთად მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის უნიკალური ცოდნა, საოცრად ღრმად ცოდნა: აი ამ ორის სინთეზმა შექმნა ეს ლეგენდა – სახელად ვახტანგ ვახანია!

ახლა შედარებით „ფორმატზე“ უნდა გადავიდეთ: შენ მოგისმენია ნინო ვახანიას ლექციები? რომ შეადარო მამა და შვილი, ვახტანგ და ნინო ვახანიები, როგორც ლიტერატორები! რამდენად გაგრძელდა „საოჯახო“ ტრადიცია?

ჯ. მ. – სხვათა შორის, ნინო ვახანია, მე ვიტყვოდი, რომ ღირსეული გამგრძელებელია. ადამიანი შინაგანად მაინც კონსერვატორია. ამიტომ ყოველთვის პირველად ნახვის, პირველად მოსმენის... შთაბეჭდილება ყოველთვის სხვაა. ეს მაინც რჩება შინაგანად ადამიანში. ვახტანგ ვახანია ჩვენში ბოლომდე დარჩება პირველი შთაბეჭდილებების ხიბლით მოსილი.

თორემ ნინო ბრწყინვალეა... ბრწყინვალე, რა თქმა უნდა! ვახტანგ ვახანია კი დარჩა პირველად შესაბამისად ყოველი დროის!

ქ. მ. – კიი! რა თქმა უნდა, ბრწყინვალე! ნინო, დიახაც, ბრწყინვალეა ყველა ასპექტით: ლიტერატურული სიმაღლეებით, ტრადიციების განგრძობით, თხრობის ინტელიგენტური მანერით, ხმის საოცარი ტემბრით და ხავერდოვნებით...

ჯ. მ. – ნინო მეცნიერული სიმაღლეების თვალსაზრისითაც უკვე სხვა სიამღლეა!

ქ. მ. – დიახ! სხვა სიმაღლე, სხვა ლიტერატურული მასშტაბი და სხვა სამყაროა.

ჯ. მ. – ვახტანგის განსაკუთრებული მახასიათებელი კი საოცრად თხრობაა, ამას ვერ წაართმევ!

ქ. მ. – ორატორული ხელოვნება, რა თქმა უნდა, საკითხის ღრმად ცოდნასთან ერთად, ცალკე ნიჭია. მე ვფიქრობ, ამ ნიჭმა დიდ შრომასთან ერთად შექმნა ვახტანგ ვახანია!

ჯ. მ. – ხმის ტემბრით, ზოგჯერ ფრაზების გამეორებით აქცენტირება ძირითად საკითხებზე, ესეც განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა ვახტანგის ლექციას!

ქ. მ. – აქცენტირებას, რა თქმა უნდა, აქვს ძალიან დიდი მიშვნელობა! მე არასოდეს დამავიწყდება ის მომწუსხველი შთაბეჭდილება: ამ რამდენიმე წლის წინ ნინო ვახანიამ გამოსცა მონოგრაფია სახელწოდებით „ჩვენი მეცხრამეტე საუკუნე“, წინასიტყვაობაში კი დაწერა შემდეგნაირად: „ამ წიგნს ფაქტობრივად ორი ავტორი ჰყავს, ჩემი ლექტორი, ვახტანგ ვახანია და მე. აბა, მე სად შევწვდებოდი მის სიმაღლეს, მე როგორ შევძლებდი მისი ხმის, ჟესტ-მიმიკის, განცდათა, სრულყოფილად რა სათქმელია, მიახლოებით მაინც გადმოცემას; მსჯელობის სიცხადესთან ერთად იმ იდუმალი ხიბლის მოხელთებას, რომელიც თან ახლდა მის ყოველ ლექციასა თუ საჯარო გამოსვლას. თუ მკითხველს წიგნში რაიმე მაინც მოეჩვენება საინტერესოდ, იმის გამოისობით, რომ წერისას მამის ხმა ცხადად მესმოდა ხოლმე და მე მხოლოდ მის ნაკარნახევს ვიწერდი. სუსტი და უინტერესო მონაკვეთების არსებობა კი იმით აიხსნება, რომ ჟამთა სიშორეში ის ხმა თანდათან მიმეკარგებოდა, მე კი, ცოდვილი, მაინც ვწერდი...“

ჯ. მ. – ჩემო ქეთი, ერთ ამბავსაც გავიხსენებ: – ლექსი... ბატონო ვახტანგ, ლექსი! – ხშირად ეხვეწებოდნენ გოგონები ლექციაზე. – მერე იყოს, მერე!... პასუხობდა. აი ცნობილი სპექტაკლი რომ დაიდგა „ჩრდილოეთის პატარძალი“ ნონეშვილის და თორაძის ცნობილი შედევრი... შედევრი, ნუ, რა თქმა უნდა, ბრწყალებში... აი, ცნობილ გრიბოედოვს და ნინო ჭავჭავაძეს მიეძღვნა! ოპერაში დაიდგა. არ მოეწონა საზოგადოებას. მაშინ დაიწერა ლექსი. ჩვენ ვიცოდით ამ სპექტაკლის შესახებ

ყურმოკვრით, მაგრამ არ ვიცოდით ეს ლექსი. უფროსმა კურსელებმა გვითხრეს, უთხარითო, ბატონი ვახტანგი მოგიყვებათო... მოკლედ, საშველი რომ არ მისცეს ბატონ ვახტანგს, ბოლოს, ლექცია რომ დამთავრდა როგორც იქნა, დაიწყო: **ჩვენ ოპერას მოველოდით... და ამას აგრძელებს დიდხანს... მივიდა იმ ადგილამდე, რომ უნდა თქვას: ჯერ რუსების დედაც... იქ საგანგებოდ შეჩერდებოდა... ყველას გვგონია, რომ იტყვის ახლა იმას, რაც წერია... წამიერი დამაბული პაუზა! და ვახტანგი აგრძელებს: ჯერ რუსების დედაც... მოვკალ! მერე მათი პატარძალიო!**

ქ. მ. – ამ დროს მსმენელი ემოციურად განსაკუთრებულად იძაბება!

ჯ. მ. – იშვიათია, ალბათ, ადამიანი, რომელსაც ვახტანგ ვახანიასნაირად უყვარდა ლიტერატურა. ყველა დეტალი, ყველა ეპიზოდი... ამას გიყვებოდა, განიცდიდა თვითონ და განგაცდევინებდა შენ!

ქ. მ. – უკაცრავად, მეც ჩაგეჭრებით, გავკადნიერდები და გეტყვით, რომ სწორედ ამ ათიოდე წლის წინ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ნინო ვახანიას მონოგრაფია „ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის“ პრეზენტაცია, იქ ლიტერატორებში მომიწია გამოსვლა მე – ენათმეცნიერს. მახსოვს-მეთქი მაშინ ჩემეული ხაზგასმა სტუდენტობის დროინდელი ერთი „დარდისა“. ამ დარდს კი სახელად ერქვა ვახტანგ ვახანიას ლექციების ვერ მოსმენა. მოგეხსენებათ ოთხმოციაწი წლები და უფრო ადრეც პერიოდი... როგორი რთულად შესაღები იყო დედა უნივერსიტეტის (მაშინ ერთადერთი უნივერსიტეტის) კარი რეგიონებისთვის. მე კი აფხაზეთელმა ყოველგვარი რეპეტიტორის გარეშე ვისწავლე და მერე კიდევაც წითელ დიპლომზე დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემს ოთხ და-ძმასთან ერთად. და, ბუნებრივია, როგორი ძვირფასია ჩემთვის ამ კედლებში გატარებული სტუდენტობის წლები. და ერთადერთი, რის გამოც გული მწყდებოდა, რომ არ ვსწავლობდი სოხუმში, იყო სწორედ ის, რომ მე ვერ მოვისმენე ვახტანგ ვახანიას ლექციები და შესაბამისად მე მაკლია ის, რაც ასეთი ძვირფასი მოგონებაა ჩემი თაობის, შენი თაობის, ძალიან ბევრი თაობის აფხაზეთელისათვის... დიდება მის სახელს!

...და რაკილა პირველ ქართულ უნივერსიტეტზე, ჯავახიშვილზე, ვსაუბრობთ, მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით გეტყვი, სათქმელი მეოცე საუკუნის ყველა დედაუნივერსიტეტელისა რომ დაიტია და გამოხატა კიდევაც:

„თავშესაყართან დგარხარ ყველა გზის, გვერდი ვერავინ ვერ აგიაროს, დიდი იყალთოს, დიდი გელათის დიდხანს ნანატრო შვილო, გვიანო!

მომენატრება შენი შეხვედრა, შენთან ალერსი, ფიქრის განდობა,
მოგინახულებ და შენს თაღებში შემხვდება ჩემი ახალგაზრდობა“...
ეს დიდი ლექსია, ძალიან მთამბეჭდავი... და მე ასეთი დასასრულიც
უზომოდ მიყვარს:

„თუ მშობელს შვილის სჭირდება ფიცი, მაშინ ეს ლექსი მიიღე ფიცად“!

ჯ. მ. – მართლაც, რომ დიდებული სიტყვებია!

ქ. მ. – კიდევ ხომ არ გაიხსენებთდით ეპიზოდებს?

ბატონ ვახტანგზე გასახსენებელი ბევრი რამ არის თავისთავად... ერთს
დავამატებდი, ალბათ. ბატონი ვახტანგი, გარდა საუნივერსიტეტო
ცხოვრებისა, არასდროს სხვა საქმეებით არ იყო დაკავებული.

ქ. მ. – აჰა! არც აინტერესებდა, ალბათ და **ლიტერატურული სიმაღლე-
ებიდან არც ეცალა „ამაო“ საქმეებისთვის!**

ჯ. მ. – არც აინტერესებდა ეს მოძრაობები... პარტიები... ინტრიგები! იმ-
ას კი ამბობდა, როდესაც ურთიერთობები გარკვეულწილად დაიძაბა:
კაცო, თბილისში ყველა პატრიოტიაო, იქ რა მარტივია, იქ რა უნდა
პატრიოტობასო, იმაზე, რამდენიც გინდა, პასუხის გამცემი ვინ გყავსო!
აქ უნდა იყო პატრიოტიო... აქაა მწელი პატრიოტობაო!

ქ. მ. – ბატონო ჯონი, პოეზიაზე, ლიტერატურაზე ვისაუბრეთ, თქვენ,
როგორც პოეზიის სპეციალისტს კი არა, როგორც ქართველ კაცს, თუ
გიყვართ ლექსები? და უცებ ექსპრომტად ჩვენს სოხუმზე რა გაგახსენ-
დებათ?

ჯ. მ. – სოხუმზე მიყვარს დარიკო ფიფიას ლექსი: დარიკო, ხომ იცი,
შერვაშიძის პრემიის ლაურეატია!

ქ. მ. – აბა, რომელი ლექსი:

ჯ. მ. – ამბობ, მოუთოვია იმ მოლურჯო ზღვასთან...

ეძებ, ეძებ იმ ფერებს, მაგრამ არსად არ ჩანს,

გესიზმრება სო-ხუ- მი და დაშლილი ბუდე

ამბობ, მოუთოვია იმ მოლურჯო ზღვასთან...

თეთრი ლანდი მიჰყვება ვიწრო გზებს და ქუჩებს,

თეთრი ფარჩა მოუცვამს დახავსებულ ქალაქს,

გესიზმრება სო-ხუ- მი და დაშლილი ბუდე!

ქ. მ. – ბრავოო ავტორსაც, ლექსსაც და „დეკლამატორსაც“. აქ სიტყვები
ზედმეტია, თქვენ კითხულობთ ფანტასტიკურად! დიდი მადლობა!
უცებ წარმოვიდგინე... გონებაში, მხატვრულ წარმოსახვაშიც უკვე მო-
ვიარე სოხუმი...

აფხაზეთის წარჩინებულები

გვარი: მარღანია

ქ. მ. – ბატონო ჯონი, თქვენი გვარი ცნობილია აფხაზეთში, იქნებ გაცნოთ გვარის ისტორია, პირველად როდის მოიხსენიება გვარსახელი – მარღანია ისტორიულ წყაროებში?

ჯ. მ. – რა თქმა უნდა, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევები არსებობს ქართულ წყაროებში. XVII-XVIII საუკუნეებში **მარღანიები მაღალი იერარქიის წარმომადგენლებად იწოდებიან**. ეს არ ნიშნავს, რომ მანამდე არ იყვნენ, მაგრამ ფაქტებით ასეა. აფხაზეთის მთავრის – **მიხეილ შარვაშიძის** აღმზრდელი **ყოფილა კაც მარღანია**. იგი აზნაური იყო. მიხეილ შარვაშიძეს გადაუწყვეტია, მისთვის თავადობა ებოძებინა, მაგრამ ეს წოდება მხოლოდ პიროვნების იქნებოდა და არა გვარის, ამიტომ კაც მარღანიას უარი უთქვამს. მარღანიებს ბევრი ცნობილი და სახელიანი ადამიანი ჰყავდათ. ჩვენ სამურზაყანოელი მარღანიები ვართ. ბაბუაჩემის მონათხრობიდან ვიცი, რომ ბაბუას მამა **გუდუა მარღანია** იყო წებელდის ომის მონაწილე, **ზურაბ ჩქოტუას** რაზმის წევრი. მეფე ალექსანდრეს ჰყავს დაჯილდოებული ამ რაზმის წევრები მეფის ერთგულებისათვის. გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რაზმის დროშის ნაწილიც კი იყო დაცული.

XVII საუკუნიდან **ბზიფის ხეობიდან სამურზაყანოში გადმოსულან მარღანიები და დიხაზურგაში** დამკვიდრებულან. ამ სოფელში ძირითადად **გაქართველებული აფხაზები** ცხოვრობდნენ. ადგილი არ ყოფილა უნაკლო. ჭაობიანი ადგილების დამუშავება მოუხდათ.

ქ. მ. – სახელწოდება გალი ხომ იგივეა, რაც „ღალ“ მეგრულად ანუ ღელე!

ჯ. მ. – დიხაზურგადან ქვედა ზონაში ჩამოსულან, კერძოდ, სოფელ რეფში. ეს XIX საუკუნეში მომხდარა. დიხაზურგაში ის ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ, ენგურჰესის აგების შემდეგ წყლით დაიფარა.

დედაჩემი იყო ოჩამჩირის რაიონიდან, კოჩარიდან. იქ მახსოვს იყო სოფელი ქეთევანი, რომელიც შეჭრილი იყო აფხაზურ სოფლებში. ამავე სახელწოდებისაა მდინარეც. ზაფხულში აქ ვიყავით ქართველებიც და აფხაზებიც, ყველა ერთად. აფხაზური ენაც ვიცოდი.

ქ. მ. – სოფელს ქეთევანი რატომ დაარქვეს, ხომ არ იცი?

ჯ. მ. – გადმოცემის მიხედვით, მდინარეში დამხრჩვალა ახალგაზრდა ქალი, სახელად ქეთევანი. მდინარეს მისი სახელი უწოდეს, მერე სოფელზეც გადავიდა სახელწოდება, როგორც ხდება ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, ხალხური ეტიმოლოგიაა.

აფხაზური ენა იცოდნენ იქაურმა ქართველებმა. ბაბუა სახლში მოსულ სტუმარს ყოველთვის აფხაზურად მიმართავდა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო!

ქ. მ. – წებელდის ბრძოლა აღწერილი აქვს პროფესორ ბეჟან ხორავას. გალელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ მტრისთვის. **წებელდას დალის საბოქაულო ერქვა.** ჩვენც დალის ხეობას ვეძახდით მხოლოდ და მხოლოდ!

მამაჩემს – **ირაკლი მარგიანს** რატომღაც მოსწონდა გვარი მარღანია, ალბათ ჟღერადობის გამო?! მარგიანთან მსგავსების გამო?! ფსევდონიმიდანაც ატარებდა ხოლმე. ერთხელ სოხუმში, რესტორანში ლხინის დროს, გამოუცხადებია, მარღანია ვარო! დიდი პატივი უციათ მეზობელი სუფრიდან! ყოველთვის ღიმილით იხსენებდა ამ სოხუმურ პატივისცემას!

ჯ. მ. – ლეჩხუმში ცხოვრობენ მანდარიები. ისინიც თვლიან, რომ მარღანები იყვნენ.

ქ. მ. – ბატონო ჯონი, თქვენს ბავშვობაზეც მოგვიყევი. როგორ მოჩანს აქედან – თბილისიდან თქვენი ბავშვობა?

ჯ. მ. – სოფელში გავიზარდე. შეძლებული ოჯახი მყავდა. მამაჩემი აგრონომად მუშაობდა. მამიდაჩემი სკოლაში ასწავლიდა, მეც მისი მოსწავლე ვიყავი. სწავლას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ჩემს ოჯახში.

1976 წელს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, 1980 წელს დავამთავრე უკვე აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. ვმუშაობდი ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში.

ხშირად ჩვენ – აფხაზეთელებს – გვსაყვედურობენ, რომ საურთიერთო ენა იქ რუსული იყო. ეს ქართველების არჩევანი არ იყო. ჩვენ არ ვწყვეტდით ამას. ქალაქი მრავალეროვანი გახლდათ და კომუნიკაციაც იმ ენაზე მყარდებოდა, რომელიც ყველამ იცოდა. იქაური ქართველი ქართველთან ყოველთვის ქართულად საუბრობდა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან – რუსულად.

აფხაზეთში არაერთი სკოლა იყო ქართული, გვქონდა ქართული სექტორი უნივერსიტეტში, თითქმის ყველა სპეციალობა, ქართული იყო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, თეატრი... ქართულ ენაზე ზრუნვა, ქართულად განათლების მიღება პატრიოტობა იყო აფხაზეთში, თორემ აქ, თბილისში, ქართული იყო ისედაც გარემო. ქართული რომ არ იცოდა, ისეთი ქართველი აფხაზეთში არ იყო.

სოხუმური „ლინგვა ფრანკა“

ქ. მ. – ახლა ჩვენს საუბარში ერთ ძალზედ სათუთ თემას უნდა შევეხოთ, როგორც იტყვიან ხოლმე, სენსიტიურ თემას: იმ ბნელ და ტრაგიკულ ოთხმოცდაათიანებში აქ, დედაქალაქში, მახსოვს რამდენიმე ტკივილიანი წინადადება, მაგალითად, ასეთი: აფხაზეთი დაგვარგეთ იმიტომ, რომ თქვენ, აფხაზეთის ქართველობა, ვერ ქართველობდით სათანადოდ; ქალაქში კი არა მხოლოდ, ერთმანეთშიც და ოჯახებშიც არ კადრულობდით ქართულად ლაპარაკსო... აღარ გავაგრძელებ! შენ რას ფიქრობ ამაზე?

ჯ. მ. – ახლა, ქეთი, მე ამას სხვა კუთხით გეტყვი. ის ქალი ამ შემთხვევაში არის ვიღაცა! და ესეც ვიღაცის მიერ ნათქვამი ფრაზაა... გაიგონა ვიღაცისგან და გაიმეორა... შეიძლება ნამყოფიც კი არ არის ჩვენთან, აფხაზეთში. ისევე, როგორც დღეს აგიოგრაფიის ამოღებას რომ აპირებენ, იმახიან გიორგი მერჩულემ თქვა და ორ კაცს არ აქვს ის გიორგი მერჩულე წაკითხული. უბრალოდ, ვიღაცამ თქვა და მერე ყველა ყვება რაღაცას, როგორც წესი, გაგონილის გაგონილს... დღეს ხომ ყველა ყველაფრის ექსპერტია.

ახლა აფხაზეთში რა ხდებოდა: ხო, განსაკუთრებით სოხუმს ეხება ეს, ნუ გაგრა, სოხუმი, გუდაუთა... ის მხარე ძირითადად, ახლა გალში ეს პრობლემა არასდროს არ იყო იმიტომ, რომ იქ არაქართული მოსახლეობა იყო სულ ოთხი პროცენტი, ისიც რუსები... ნუ, ენგურჰესის მშენებლობიდან დარჩენილი მუშები... ოჩამჩირეშიც ასე თუ ისე...

ქ. მ. – მეტნაკლებად!

ჯ. მ. – ოჩამჩირეში მეტნაკლებად! სოხუმში ახლა ფაქტობრივად რა იყო, ყველამ იცოდა რუსული. აი ეს არი! რუსული რო იცოდნენ, იმაზეა ხაზგასმა. და რატომ? ქართულიც იცოდნენ იმათმა, თავისთავად. ყველა ქართველმა იცოდა ქართული. მე არ შემხვედრია სოხუმში ქართველი, რომელსაც ქართული არ სცოდნოდა. მაგრამ პარალელურად იცოდა რუსული. ნუ ის იძულებული იყო იმიტომ, რომ იქ პარალელურად სომეხი, აფხაზი, რუსი, ბერძენი...

ქ. მ. – ვინ არა... ესტონელებიც კი ცხოვრობდნენ... აფხაზეთური და, შესაბამისად, სოხუმური ლინგვა ფრანკა იყო რუსული ენა.

ჯ. მ. – ურთერთობის ენა – რუსული. გამორიცხული იყო სხვაგვარად იმიტომ, რომ შენ სომხური არ იცოდი, იმან ქართული არ იცოდა... და აქედან გამომდინარე, ყველამ იცოდა რუსული ენა ასე თუ ისე. მაგრამ

იმავდროულად ყველამ იცოდა ქართული. ყოველ შემთხვევაში მე არ შემხვედრია სოხუმში ქართველი, რომელმაც არ იცოდა ქართული! შეიძლება ათასში ერთი ვინმე იყოს... შეიძლება თბილისშიც არი ასეთი, ქართული რომ არ იცოდეს... თორემ, ჯერ ერთი, იმდენი სკოლა იყო სოხუმში... და ეს სკოლები ძირითადად იყო ქართული. ნუ, რუსული სკოლებიც იყო... აფხაზური სულ ორი იყო ფაქტიურად ქალაქში, მაგრამ... დანარჩენი – ქართული... რუსული... სავსე იყო ბავშვები!

ქ. მ. – მათ შორის რუსულ სკოლადამთავრებულებსაც რომ შევხვედრავარ, მათაც მშვენივრად იცოდნენ ქართული!

ჯ. მ. – ყველამ იცოდა აბსოლუტურად! ქართული რომ არ იცოდა, ასეთი ქართველი იქ... იშვიათად!

ქ. მ. – დიახ! დიახ!

ჯ. მ. – იშვიათი. ასეთი ვინმე შეიძლება ერთი-ორი ყოფილიყო მხოლოდ. ასეთი იშვიათი ყველგან შეიძლება მოძებნო. სამწუხარო იყო ეს!

ქ. მ. – გეტანხმები!

ჯ. მ. – ისევე, როგორც დღეს რუსი ამბობს, რომ შენ უნდა იცოდე რუსული და თვითონ – ინგლისური! კი თვითონ ინგლისური უნდა! ოღონდ ინგლისური მისთვის, თავისთვის! აი, ზუსტად მიდგომა იყო აი, სრულიად იდენტური. აი გარი კასპაროვი, ცნობილი მოჭადრაკე, რომელიც დღეს რუსეთში რაღაც დემოკრატიული მოძრაობის ლიდერია, იმან თქვა ერთი ასეთი რამ: როდესაც სახელმწიფო დონეზე ინგლისური აირჩა საურთიერთო ენად. როცა ინგლისურზე ასე გამახვილდა ყურადღება... ახლაგაზრდობამ ასე აიტაცა ინგლისური... იმან თქვა, მე რომ ინგლისური ვიცოდიო, მაშინ ხუთმა პროცენტმა არ იცოდა ინგლისურიო. და ეს კასპაროვიც კი გვმოდვრავს, რომ რუსული უნდა იცოდე ჯერ... და მხოლოდ მერე ინგლისურიო!

ქ. მ. – ესე იგი იმ ხუთი პროცენტის მონაწილე რომ იყო თავის დროზე, იმანაც კი!

ჯ. მ. – ზუსტად ეგ ვითარებაა ამათი განცხადებებიც: თქვენ სოხუმში ქართულად არ ლაპარაკობდითო! – არის ასეთი ბრალდება ჩვენზე, აფხაზეთის ქართველობაზე! არადა, სწორედაც აფხაზეთელი ქართულად ქართველთან ლაპარაკობდა... რუსთან რუსულად ლაპარაკობდა, იმიტომ, რომ იმან ქართული არ იცოდა. აფხაზთანაც რუსულად ვლაპარაკობდით, სომეხთანაც რუსულად ვლაპარაკობდით... იძულებითი ნაბიჯი იყო ეს!

ქ. მ. – მაგრამ აფხაზეთის ქართველობას რომ პატრიოტობაში თითქოს ბრალს გვდებენ, ეს ყოვლად გაუმართლებელია... ეს აბსოლუტურად გაუმართლებელია იმიტომ რომ სამშობლო არასდროს აფხაზეთის ქართველობას არავისზე ნაკლებად არ გვყვარებია! ...და რომ უდელაენო ქალაქში ანუ სოხუმში „ლინგვა ფრანკა“ იყო რუსული, ამის გამო არაპატრიოტის იარლიყის ჩვენზე მოკერება ყოვლად გაუმართლებელი უნდა იყოს!

ჯონი მარლანია [65 წლის]

(სოხუმი-გალი-თბილისი)

ქეთევან მარგიანი

„გმირებს ნუ შაეჭიდები, სიკვდილო, დამარცხდები!“

ეს წერილი წაიკითხეთ დინჯად, აუჩქარებლად, საშინელი ტრაგიზმის განცდით, როგორც სიზმარი, როგორც უბედურების მაცნე: ყველამ გაითავისეთ უდიდესი დანაკლისი, რადგან დაიხოცნენ ჭეშმარიტი რაინდები, საქართველოს ფარული მარგალიტები, ყველაზე საიმედო ვაჟკაცები: შუქრი მარგიანი, ემზარ გუჯეჯიანი, გუბაზ ჯოხაძე, ძმები ტელმან და ელვარდ კვიციანები... მათ შორის უკეთესი მეომრის, უკეთესი ჭაბუკის გამორჩევა არ შეიძლება, მაგრამ შუქრი ჩემთვის მაინც გამორჩეული იყო. ეს მიკერძოება არ არის: ის ჩემი კარის მეზობელი გახლდათ! სოხუმში, ფრუნზეს ქუჩაზე ჩვენ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, ერთმანეთის ფეხის ხმა გვესმოდა, უსიტყვოდ ვუგებდით კიდეც ერთმანეთს, მაგრამ არაფერს ვამბობდით ნაფიქრზე. „რა საჭიროა იქ სიტყვები, სადაც დუმილი არის მეუფე, სადაც სიტყვები გროშად ფასობენ, მდუმარება კი – ბაჯაღლო ოქროდ“ – უთქვამს ერთ ლიტველ პოეტს; შუქრიც დუმდა. ზოგჯერ სათქმელი ყელში გორგალივით დაუგროვდებოდა და ვერც ამოთქვამდა, მაშინ ნერვიულობდა. ამ ბოლო დროს საერთოდ მარიდებდა თავს, რადგან ერთხელ გავეხუმრე: ვისაც ჩემი თვალი შეესწრება, ომიდან უვნებელი დაბრუნდება-მეთქი... ირწმუნა. მას შემდეგ გზიდან დაბრუნებაც კი მოინდომა: „ტყუილად მივდივარო“ – თქვა. რამ შემახვედრა, გოგო, შენი თავი ახლავ, საოცრად ლამაზად წაიდუღუნა მაშინ და მაინც წავიდა. იმ საღამოს შინ უვნებელი დაბრუნდა. მართალი ყოფილხარო! – მითხრა სხვათაშორის.

30 დეკემბერს მოვედი ისევ ბინაში, ფრუნზეს ქუჩაზე... მისი კარები დაკეტილი იყო. დაღლილი ვიყავი და წამოვწექი. ამ დროს შუქრიმ მისთვის ჩვეული სწრაფი ნაბიჯებით გაიარა ჩემს კართან. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ის უკვე შორს იყო. თვალი მართლაც, ვერ შევაკლე. დაუბარებია: 5 იანვრამდე არ ჩამოვალო ოჩამჩირიდან. რატომღაც დამძურად მომენატრა შუქრი, ნეტა არ წასულიყო, იქ რა უნდოდა-მეთქი; 3 იანვრამდე იმავე სულისკვეთებით ველოდი. არ მოვიდა. მენანა... თურმე იმ დილით სიკვდილს ებრძოდა, ვითარცა იაკობ და გაიმარჯვა, სასწაულებრივ გაიმარჯვა!

იმ დღეს მთელ ფრონტზე მიმდინარეობდა შეტევა, როგორც დასავლეთის – ეშერის, შრომის, ასევე აღმოსავლეთის – ოჩამჩირის – მთლიან ზოლზე... 4 იანვარი თენდებოდა. მშვიდად არავის გვძინებია იმ ღამეს... სოხუმი ზანზარებდა... გრგვინავდა... ცახცახებდა... მიწა იძვროდა, არტილერიის ცეცხლი მუგუზალივით ცვიოდა, ქალაქს დაუნდობლად ბომბავდნენ... პირველად ვიგრძენი მამისეული სახლის სითბო და ვინატრე: ღმერთო, ეს ჭერი არ ჩამომინგრეო... უკეთესს არც გთხოვ-მეთქი, ასეც მოხდა!

მეორე დღეს გული ცუდ ამბავს მიგრძნობდა. მწუხრის მაცნეს ველოდი უცნაურად... გუმანი გამიმართლდა, ამბავი მოგვიტანეს – ჩვენი მეზობელი სვანი დაღუპულაო გმირულად. ღმერთს ვეხვეწებოდი, ნეტავ შუქრი არ იქნებოდეს-მეთქი! ნატვრა არ ასრულდა. შუქრის ცხედარი ჟერლომ ჩამოასვენა. ერთ ღამეს მორგში დარჩენილან. ერთიც ბინაში დაუყვიათ. მერე თავის ძმა-ბიჭებთან ერთად ომარიშალაში წასვენეს, დედასთან, და-ძმებთან... კონსტანტინე ბატონის სიტყვები გამახსენდა: „**არც სიკვდილში ჰქონიაო ბედი მეფე გიორგის!**“ ასეც ხდება თურმე; დიდთოვლობისა და უტრანსპორტობის გამო, სვანეთში ასვლა პრობლემად იქცა: ყვავილებიც რომ გამოიღია ბაზარში?! ღმერთო, მხოლოდ შავბაფთიანი თაიგულები იყიდებოდა იმ დღეს, მხოლოდ ფერწასული ქრიზანთემები და გაუშლელი ვარდის ყლორტები; მე კი ისეთი ლამაზი ყვავილები მიწოდოდა მიმეტანა შუქრისათვის, ისეთი ლამაზი... ჰმ, ეს სურვილიც რომ არ ახდა? ყვავილებმა ისევ წარსულში დამაბრუნეს და ბარემ ამასაც მოგიყვებით:

მაშინ „მშვიდობის ლეგიონი“ სანაპიროზე იდგა. ომიანობის ჟამსაც ვერ მოვწყდი რუსთაველის ბულვარს და, როცა უჰაერობისგან სული შემიგუბდებოდა, ხელებს ჯიბეში ჩავიწყობდი და სასიერნოდ

გამოვიდოდი ხოლმე. ამჯერადაც ასე დავუყევი თოვლიან სანაპიროს და ფიქრებიდან მაშინ გამოვერკვიე, როცა „მშვიდობის ლეგიონის“ ბიჭებს პირდაპირ შევეჩხე; წინ შუქრი მოდიოდა, მერე – ჟერლო, უკან ოცამდე სვანი მეომარი მოჰყვებოდათ, ფორმიანები, ავტომატიანები, ჯანიანები, „გულუჯანგიანები“... შუქრის ნახვა უნებლიედ გამიხარდა. ხმამაღლა გავიცინე, ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი: „მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ქართველი ბიჭები ყვავილებით ხელში მენახა, მაგრამ ვერ ველირსე, სამაგიეროდ, იმას მომასწრო ღმერთმა, რომ ავტომატით ხელში გნახე-მეთქი“...

საოცარი სახე მიიღო შუქრიმ, თითქოს მთელი ერის ცოდვა იტვირთა და ინანა, ერთმა ყველაზე ღირსეულმა თითქოს აზიდა ყველა უღირსის ტვირთიც... მას შემდეგ იშვიათად ვხვდებოდი, შევატყვე, შეგნებულად მერიდებოდა...

შუქრის საოცარი გული ჰქონდა: მოსიყვარულე, კეთილი, მზრუნველი. ორი ძმა ჰყავდა, ორი და, მამა ორიოდე წლის წინ გარდაეცვალა და მას შემდეგ უმცროს და-ძმებსაც თავად პატრონობდა, მამის მაგივრობას უწევდა, ძმის მაგივრობასაც. ოჯახის მტკიცე ბურჯი იყო...

შუქრის სულ გმირობისკენ მიუწევდა გული. „მეხარბეზაო იმ ბიჭების ბედი, ბრძოლის ველზე რომ იღუპებიან, ისინი გმირები არიანო“. ერთხელ რომ ვთქვი, „პოლკოვნიკი ყარყარაშვილი დაღუპულა და იმდენი ვიტირე“-მეთქი. ფიქრიანად კარგა ხანს მიყურა და თქვა: „იქნებ ის ცრემლი მეც მეწილადოსო“... (შემაჟრჟოლა!). ყველანი ვეხვეწებოდით, წინა ხაზზე არ გახვიდეო, მაგრამ არ იჯერებდა: „მე თუ არ ვიომე, შენ თუ არ იომე, თუკი არავინ არ იომა, მაშ სამშობლოს ვინდა დაიცავს? სამასი არაგველი ერთ დღეს გაწყდა, საქართველო კი გადარჩა... მეც ერთი კოდორელი ვიქნები, მამულს შეწირულიო“ – იტყოდა და მაინც წინ ისწრაფოდა...

ნოემბრის გვიანი ღამე იყო, შუქრის ღია ფანჯრიდან სიმღერა მომესმა: ისე კარგად, ისე ლამაზად, ისე სევდიანად დამღეროდა გიტარაზე, რომ გული მომიკვდა. მამიდას ვუთხარი: „ბიჭები შინ ყოფილან და შევალ-მეთქი“... რა დროს ბიჭებთან შესვლააო – შემომირისხდა მამიდა. მე მაინც მოვნახე მიზეზი, ჩუმად შევალე კარი... „ვნახავ ერთი, რა უჭირს, რომ ასე გულსაკლავად მღერის-მეთქი“. არც კაკუნი უგრძვნია, არც – ჩემი შესვლა, სიმღერა დაესრულებინა და ფიქრებს წაეღო... ფეხზე მდგომი რომ შემნიშნა, შეკრთა, თურმე არ მელოდა. „დაბრძანდიო“ – სკამი შემომთავაზა. გვიანია, როგორ

გამოგიშვესო”. შენ თურმე ისე კარგად მღერი... არ მინდოდა შემოს-
ვლა, მაგრამ მაინც შემოვედი-მეთქი“... ვთხოვე, კიდეც ემღერა.

„მე ქვეყნად მოსვლა არავისთვის არ მითხოვია“ აჟღერდა ომარ ხაი-
ამის სევდიანი მელოდია... მერე გაირინდა, უკანასკნელი აკორდები
აკრიფა და მოულოდნელად, თითქოს თავისთვის, მაგრამ მტკიცედ
მითხრა: ახლა წადი! – მე გაკვირვებული მზერა შევაფეთე... ჩქარა! –
გაიმეორა ბრძანება. გიტარის სიმები ჯერ კიდეც მსუბუქად ჟღერდ-
ნენ, როცა მის კარებს გამოვცდი, რაღაც ხმაური შემომესმა: თით-
ქოს სკამი წაექცა, თითქოს გიტარა კედლიდან ჩამოუვარდა?! ... მიბ-
რუნება გადავწყვიტე, მაგრამ მამიდა შემომეხმინა და ველარ შევე-
დი! მას შემდეგ არაერთხელ მიფიქრია, როგორ გადარჩა კიდეც ას-
ეთი კარგი ბიჭი ჩვენ შორის ამ შეშლილ სამყაროში-მეთქი! ამ ფიქ-
რებსაც ერთხელ მან ხმამაღლა გასცა პასუხი: ჯერ მთელი გულის-
ყურით მიყურა ჩაფიქრებულს, შემდეგ ხმამაღლა მიპასუხა: „ჩვენ
მარგიანები ვართ, მარგიანები ვართ ჩვენ!“ ახლობლებს თვალი გა-
დაავლო და ოდნავ წამოწითლდა! მე სახეზე სიგრილემ დამიარა
„მართლაც, კი!“ – დავუქნიე თავი და მას შემდეგ ხმამაღლა არას-
ოდეს გვისაუბრია!

ახლა მარგიანების დიდებულ გვარს და სრულიად საქართველოს
ეს ჭაბუკი აღარა ჰყავს. ის იყო უკანასკნელი და ერთადერთი ქარ-
თველი, რომელიც ამ დროისთვის ჩემს თეთრ სიაში ეწერა: მისი
დაღუპვა დანაშაული იყო!

გაზეთი „ერისი“
9 თებერვალი, 1993 წ.
ნონა კვარაცხელია

„ზეცას სახელი შერჩევის, მიწას ლეში და ძვლებია,
გმირებს ნუ შაეჭიდები, სიკვდილო დამარცხდები“
[ხალხური]

* * *

სამშობლოსგან გმირებისთვის მიძღვნილ კრებულში „საქართველოსთვის“ და პერსონალურად ამ ახალგაზრდაზე მოგონებების წიგნში „დალელთა იმედი – შუქრი მარგიანი“ [თბ. 2005 წ.] მისივე დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა ტკივილით ჩაწერს: „ახალგაზრდა კაცს, რომლის ხელში ყველაზე ნაყოფიერად კალამი იმუშავებდა, სამშობლოს სიყვარულისთვის ზედმა რატომღაც საბრძოლო იარაღის ასხმა არგუნა; ვაგლახ, რომ ამ კეთილშობილური განზრახვის განხორციელებისათვის მას ჯან-ღონით სავსე სიცოცხლის შეწირვა დასჭირდა... (აკადემიკოსი ლადო პაპავა).

„ვაჟკაცობისა და პატიოსნების ეტალონის – შუქრი მარგიანის სახელის უკვდავყოფა ჩვენი ეროვნულობის, ჩვენი ღირსების საქმეა“ (პროფესორი თეიმურაზ მიზჩუანი).

„კათედრასთან, მეცნიერებათა აკადემიაში ჩემს წინ იდგა საქართველოს მთასა და ბარზე შეყვარებული, გონებით თუ სახით ნათელი ახალგაზრდა კაცი. ალბათ, დაბადებიდანვე ასეთი სახენათელი იყო და მშობლებმაც ამიტომ შეარქვეს შუქრი, გავიფიქრე ჩემთვის პირველი გაცნობისთანავე. ეკონომიკის დარგით მისი პროფესორ-მასწავლებლების ნათქვამმა კეთილმა სიტყვებმა საფუძვლიანად განმิมტკიცეს რწმენა, რომ შუქრი მარგიანის სახით საქართველოს ეზრდებოდა მრავალი სიკეთის მომტანი ადამიანი (აკადემიკოსი თენგიზ ონიანი).

თქვა, რომ შუქრი მარგიანი იყო ნიჭიერი, ნიშნავს არ თქვა თითქმის არაფერი. ის იყო მართლაც ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. მე მადლიერი ვარ ჩემი ბედისა, რომ სტუდენტობის, ყმაწვილკაცობის ულამაზესი წლები გავატარე შუქრი მარგიანთან. მან დაგვირტოვა სამშობლოს სიყვარულის დიდი მაგალითი! მე მჯერა, რომ გაიმარჯვებს ის ეროვნული იდეები და ვაჟკაცური იდეალები, რისთვისაც მთელი ცხოვრება იბრძოდა და რასაც თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ვაჟკაცმა და სულით რაინდმა, „დიდმა სვანმა“, როგორც მას ვუწოდებდით, შუქრი მარგიანმა! (გია ტაბიძე).

* * *

ბებოს ელიზონდოვებზე დიდი მამულები ჰქონია!

[სვანური]

ნ. დ. – კუმამ ხორდა ბებოს. ხოჩა სახელარ ხუდვანდახ ეჯიარს. მაშ-ყიდ, ლამაზო ხეშხანდა ეშხუს.

ქ. მ – ეჯა ჯაშყიდმა, კუმშთე ერ ალჩადდ აშხტინ ჟიბე ნაკართე მი ი სი უშხუდ.

ნ. დ. – ვო, ვოო მაშყიდ.

ქ. მ – ქ'ერ წხსგი ერხანქა. ერქა ხწსვ მწა სემი ლეზილ გარ. ხომ ჩუჯაშყიდ მოლ ი ერქხანქა ცხიკარ იბნოლდახ – ჟიბე ნაკარ. ალ კუმშ სგა ონფიშტდდ მიდ ნინოდ. ათხე ქრხსგიდდად მოლხანქა ი ალა გუშგუტედ დაბარ ი ლეჭმალ ი ალამგ წნთერინწწ ჯტედიას. გამოჩნდა მოკლედ შდიხი ამზუშმში ბალ ერხან, იშგვიდამირ ბუჩქ შდიხ ლეჭუნწხან ი ჩტწბ მგრწმ ჯტედიას გამოჩნდა ეჯე ქორ.

ქწდსგრდრწლ ამწემდა ნინოდ ი „ალ მამულარ ესერ მწგ გუშგუტედ ლი-ხა, ბებრტმ ესერ ლიხაა?“ ვოოჯ ი... „დედა, მაშინ ბებოს ელიზონდოვებზე დიდი მამულები ჰქონია და“. ი ალა, ელიზონდოვარ მი მწმ მიხალ-და, ძარ დო ლწსტხ, მარე ერქა სერიალ მირ გადიოდა ი სი ი ბებო უშხუდ ხოსგიდდად ეჯ სერიალს. ნინოს ერხანქა ხოხალდა. ათხე, აჯალ მწა ჯემყდენი?

ნ. დ. – ეშხუ ლადელს ბებოს ერ გუნ ხოშა წან ხაკლიდა ი ერ ანდრი ათხე ალ წან ი ჭიშკარცახწ ერ ლგე ი გვატუული. ი წწი ერ გვახიადდა გუნ. ი მეშხე წან ლაასვდა ხომ?

ქ. მ. – ეშხუ თვეს გვაკალდა ეჯ წან ი წარმოიდგინე 75 წლის ბებო ჯა-გარ აჩწდ ცხიკართე ლათხწლთე. ერე ჟიბე ნაკარს შგყრი ცხიკარ მწგ ქ'წდზელწლე, საკენთედ ჩტ'აჩწდ. სი ი აწანო ხოხრელარ ხწსტდ ი ამლა დემ აჯუცტერ, მი ერ წმჩედელხტწს ლათხწლთე. ამლა ბებო ჯაგარ აჩწდ ი მთელი წაგზის ხეთხწლდა.

ნ. დ. – ი მიჩოვშ აწწად ერქაანდო ეჯ წან.

ქ. მ. – იმჟი ამსუნლდშწლ ჰერ წწკიდ ჭიშკარჟრწ და ლაგვხწწე მიჩა ლიკედ. ეჯგტწა აგვხრდგწ წწა კისდ ჩრს.

* * *

[ქართული]

ნ. დ. – საქონელი ჰყავდა ბებოს. კარგი სახელები ერქვათ იმათ. ლამა-ზო ერქვა ერთს.

ქ. მ. – ის თუ გახსოვს, ერთხელ საქონლის ჩამოსარეკად რომ წავედით მე და შენ ტყეში.

ნ. დ. – დიახ, დიახ, მახსოვს.

ქ. მ. – რომ გადმოიხედე მაღლობიდან. მაშინ იყავი რა, პატარა, სამი-ოთხი წლისა. ხომ გახსოვს ზედა მდელი – იქიდან უკვე იწყებოდა ტყეები და ზემო ვაკეები. საქონელი შემოვრეკეთ მოკლედ მე და ნინომ. და ასე გადმოვიხედეთ მდელიდან და ჩვენი ყანები, სათიბები და ეს ყველაფერი გადაიჭიმა მთელ სივრცეზე. გამოჩნდა ამოდენა თხილის ბაღი, შვიდასი ბუჩქი თხილით დასავლეთის მხარეს და ამ ყველაფრის დასასრულს შორს, სადღაც გამოჩნდა ჩვენი სახლი (სხვათაშორის სახლის სახურავიდან ისე ლამაზად ამოდიოდა, ზემოთ მიიკლავნებოდა კვამლი); გაიხედ-გადმოიხედა ახლა ნინომ და: ეს მინდვრები, ბაღები და ტყეები სულ ჩვენიაო? – მკითხა. კი-მეთქი... და გახარებულმა წამოიძახა: „**დედა, მაშინ ბებოს ელიზონდოვებზე დიდი მამულები ჰქონია და**“. და ეს ელიზონდოვები ვინ იყვნენ, ეს მე კი არ ვიცოდი, მაგრამ მივხვდი, მაშინ სერიალი გადიოდა რომელიღაც და შენ და ბებო ერთად უყურებდით იმ სერიალს. ნინომ იქიდან იცოდა.

აბა კიდევ რა გახსენდებათ?

ნ. დ. – კიდევ რას გავიხსენებ და ერთხელ ბებოს ძალიან დიდი ხარი რომ დაეკარგა და მოდის ახლა ეს ხარი და დადგა ჭიშკართან და დაგვიძახა. და ჩვენ ეს გაგვიხარდა ძალიან, ძალიან. და შავი ხარი იყო ხომ?

ქ. მ. – მთელი ერთი თვე დაგვეკარგა ეს ხარი და წარმოიდგინე, 75 წლის ბებო მარტო წავიდა სამეზრად ტყეებში. იქ, ზემო მაღლობებისა და ფერდობების მთელი ტყეები დაიარა. საკენშიც წავიდა. შენ ამ დროს პატარა იყავი და ამიტომ ვერ დაგტოვეთ, რომ ხარის სამეზრად ბებო კი არა, მე წავსულიყავი. ამიტომ ბებო მარტო წავიდა და მთელი კვირა დადიოდა და ეძებდა.

ნ. დ. – და მერე ის ხარი თავისით მოვიდა.

ქ. მ. – როგორ ადამიანივით ხმა ამოიღო ჭიშკართან; ხმამაღლა დაიყმუვლა და გვახარა თავისი გამოჩენა. და ჩვენც ყველას, ყველას ძალიან გაგვიხარდა.

ნინო დადვანი
(ოჩამჩირე-თბილისი)
ქეთევან მარგიაი

ქ. მ. – ათხე ახგმბაჲ ადგუმჲ ხარჯალ ი ლიფანალი წესარ იმჟი გუმთქუჲნ დალისგა.

ა. ჯ. – ადგომ მეჰად ხეხაჲ დემდარა დანჲსრს. ადგომ მეჰად ხეფანი სამარხუმჲ გარ. მიშგუ დი ეჯ ლადელ საერთოდ იტმა, ეჯლა ერე ქუნარუს ესერ მზზზარ მარალდ ხაყულუნის.

ქ. მ. – ნატამჲ მთელ ლადელ მოგუმჲ ლემარე ხეროლ ღო, სიმარე, ადგუმჲ ხარჯალ. ეჯ ლადელ დამ ქუეყნი ცერემონილს ხაკუ ლიჩუმე.

ა. ჯ. – ადგომ ლადელ ქორისგა შედ – ნაშედ ჩუ ჰესნმა ლგგ, მზგ ხეკუეს ქედმდგზნენს, ეჯლ'ერე ზამჲ ი ზამჲ ნესგა ადგომ ლადელ შიმი უჰმონა შედხანქა ესერ ქა მამ იფანეხ. ერქნდო ხაკუ ხარჯალს ქა ლიმარე – ქგნშს, კუეყნჲ ითქს, ლობიოს გაკუმჲ, ხილ მზგუჰკუიშ, გაკ, შდიხ, თუი, ჰარწყ, ღუინალ, კუახნესგ, ქართეფილ მეჯგზ ი მეტყაზი, ლაჲშარ მჲდ მოშ ფიშირ – ფიშირ ადგილს ლუცხრულე ი ჟი ლგპანწყურე, ეჯლ'ერე ერშელდ ესერ ლიხ ქუნარუ, ერე თუით პანწყულდ გარ ესერ ხეხაჲხ.

ქ. მ. – ფუსნჲ მუჟუელს ი დამ ხანყას ეჯ ლეთ?

ა. ჯ. – ფუსნჲ მუჟუელს ი ნაჰშხუნტარს შუმხტამ ლეთ.

ქ. მ. – უი, ნაჰშხუნტარ ჩუ ლგშდნე მარ. ეჯდარს ხადურდ გუნ უცხუდ ჰურ ხაკუხ ლინყე.

ა. ჯ. – ნაჰშხუნტარე ლანყაჟი ოჯახი წეჲრ ხეკუეს მზგ ქორს არდედს. მადეი ერქა ხეკუეს ლანყას ერტჲდ მამ ხოსგიდდა, ერი უჰმოშ ხეკუეს ლალჲმიხ. ეჯა ხეკუეს ქა ნომ ხეწეს. ჯუინალდ ქორს ერტჲდ დემ ხეხოლ შუმხტამ ლეთ, ერას ნაჰჲლს ჩუ ხომხტინდახ.

ქ. მ. – ოი, ალა მამ მიხალდა, შუმხტამ ლეთ ნანაყვლა ეშხუ ნაჰჲლჲ ჩუ-ლიშხვნი! მოგვამდ ოთგმზაჟან...

ა. ჯ. – ლირბდე ლიზნალდ ოჯახხანქა მახტუმი ქა ღვრდა ჯულ ლაქჩათე. ჯულს იქჩახ დედ ჟაჲტრჲშ, მადეი შდგხინდიშ. მანკუი კადას ერ ჟი ხატყაცდახ, ერქა გუის ხაჰტედდახ ერას ე ჯული ნაქაჩტმოყ ნაჲეფ ხოდხენდა მუსჟი ცილი მხარეტუმჲ ჰა სგამე, თუეთნე მხარეტუმჲ. ოჯახი ნამდტებრშდ ესერ ალას ხულტა მნიშვნელობა. ცილი მხარეტუმჲ ლახ ხოიხენ, ერქა ჯული მექეი ლუპურტუხე ტეხენ სგა ქორთე, ლახე სგამე მხარეტუმჲ ხოიხენ, ერქა ლგხინდე, ეჟლ'ერე ერქ'ესერ ნამდტებუი ხტლტა ეჯ ზაჲ ოჯახს.

ქ. მ. – ხოსდიმა. ათხე ალა უითომ მამ სერდე ოროლ?

ა. ჯ. – მამ მიხა, ამჟი მი ხებჲჲნხ ი...

ქ. მ. – აა, ალბათ ეჯღ'ერე ნაცეფიმ ნაქაჩუ მხარე დამ თუთენე ლი ი მერ-
მე მხარე მუტკუინ. თუთენეს ხოხა ნაშდუები, მუტკუინს –
ნაუბადური. მოკლედ, ალა ხეკუეს ქა ოთჰოდნა ეთნოგრაფიასგა.

ა. ჯ. – ნაჭმუნტარს გუიანდ გარ ანყახ, მერმე ერ ნორ ესლაკენხ.
მერბედელ მანკუთ სემი ლემზირს ანყე ქა, ერქანლო ქა ესდრი ჰაზუთექა.
სგა ხეკვრალ იესო ქრისტეს – მიშგუ ქუნარუ როქ სგა მწსწუინ.

ადგომ მერმა ლადელ ლი განხცხდამ, ჰამს დოსგ ხეკუეს გუეჟ ეჯ-
ძიკენს, ეჯლა ხადმხა განხცხდამს გოქამ.

ერქანლო ალ ჯულს სგა ჯიდე ქორთე ქორა მარე, ჰაზუთისგა მუსი ხომა
ჯოჟს ასყენე ი ერეჟი ფურისცახან ჟი ხოსტემ.

ქ. მ. – ფურის ხედა მირ ლი?

ა. ჯ. – ფურის ლი ლენზიმ, გგგზამ, ღუმირიმ... ხომა მგნწირდ ეჯლამ
ლენზიმ. ჯოჟი ხოსტემხ აჯალ შდგხინდი აშხლარს. ზომხა ლადელ
ოჯახთესგა სგა მეკედელ ხეკუეს ჩრმი აშხლრდ სგა ანკედას.

ქ. მ. – აჰა, ჟი ლამშყად, შდგხინდ ხეკუეს ლგბგმბილ ლგმწრნელასუ.

ა. ჯ. – მუსი ჯოჟ ხუაჟლა ი ბარაქლა გგამდახ, ფურის აუცილებელ ლასუ
ეჯღ'ერე, ქორთესგა ზესყის ესერ ხაკუ მანკუთ ლიესგო.

* * *

[ქართული]

ქ. მ. – ახლა მოყევი შენ, სულეების სტუმრობის კვირეულის კერძები და
სულეების რიტუალების წესები როგორ გვჩვეოდა აფხაზეთში, დალის
ხეობაში.

ა. ჯ. – სულეების კვირეულის საწყისი დამე („ადგომი“) ყოველთვის
ხვდება თვრამეტ იანვარს. ამ დღეს ყოველთვის მარხვაა. შესაბამისად
ამ დამესაც მხოლოდ სამარხო კერძებს ვამზადებთ; მხოლოდ სამარხო
კერძებით ვასრულებთ ლიფაანეს რიტუალს. აი, დედაჩემი ამ დღეს სა-
ერთოდ შიმშილობდა იმიტომ, რომ სულეებს მამლარი ადამიანების ეშ-
ინიათო.

ქ. მ. – მთელი დღის ნაშიმშილებს, შე კაცო, როგორი მოსამზადებელი
ექნებოდა ადგომის (სულეების სტუმრობის რიტუალის) კერძები. იმ
დღეს ხომ მთელი ცერემონიალები არის შესასრულებელი და გასაკე-
თებელი.

ა. ჯ. – სულეების სტუმრობის დღეს სახლში, ოჯახში რაც კი რამ ჭურჭე-
ლი, ქვაბები, ტაფები, ჭიქები, კოვზები, ბოთლებია... ყველაფერი სა-
გულდაგულოდ უნდა გაიხეხოს, გაირეცხოს, გაიწმინდოს იმიტომ,
რომ დათქმა არის ასეთი: წლიდან წლამდე ადგომ დღეს, ანუ სულეების
სტუმრობის დღეს ხელარმენახები ჭურჭლიდან არ ისურვებენ სულეები
ლიფაანეს; არ მიიღებენ, არ შეიწევენ, არ იქნება მათთვის მისავალიო.

ამგვარად, ყველაფრის გახეხვის და დაწკრიანების შემდეგ უნდა მომზადდეს კერძები სულებისთვის. ეს კერძებია: ქანაში „კანაფისა“, ხორბალი – წანდილი, ლობიო ნიგვზით, ყველანაირი ხილი, ნიგოზი, თხილი, თაფლი, არაყი, ღვინო, გოგრა, კარტოფილი შემწვარიც და მოხარშულიც, თხელი, სიფრიფანა ლავაშები რაც შეიძლება ბევრგან, ბევრგან დაჩვრეტილი უნდა იყოს და კუწუბოებიც (სეფისკვერების მსგავსად) უნდა ჰქონდეს; სტუმრად მომსვლელი სულები იმდენნი არიანო, რომ ამოდენა სუფრებიდან აი, პურის თითო ნაჩვრეტის, ან კუწუბოს ოდენა თუ შეხვდება თითოეულსო.

ქ. მ. – მთავარ სარიტუალო პურს – ფუსნა მუჟედვს (მეუფის წინამძღოლსაც) ხომ აცხობდი ხოლმე იმ დამეს შენ?

ა. ჯ. – ფუსნა მუჟედვს (მეუფის წინამძღოლს) და ნაჭმუნვარებს ანუ სამეკვლეო პურებს ვაცხობდი ხოლმე შუშვამის დამეს ანუ ახალი სტილით 13 იანვარს. ძველით ახალი წლის დამეს.

ქ. მ. – ოი, ნაჭმუნვარები ანუ სამეკვლეო პურები სულაც დავიწყებული მაქვს. ნაჭმუნვარებს, მგონი, განსაკუთრებულად მისტიკურად და მთელი წესების დაცვით უნდა სულაც გამოცხოზა.

ა. ჯ. – ნაჭმუნვარების გამოცხოზის მომენტში ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს შინ, სახლში. ანდა მაშინ, ვინც ცხობას არ უყურებდა, იმისგან მალულად უნდა შეჭამონ დანარჩენმა წევრებმა. ამან თვალის კი არ უნდა შეავლოს! არ უნდა დაინახოს. ძველ დროში შუშვამის დამეს ვინც ვერ მოხვდებოდა სახლში, იმას ერთ ლუკმას მაინც შეუნახავდნენ ამ სარიტუალო პურებიდან; ითვლება, რომ ამ რიტუალებს ასეთი მისტიკური ძალა აქვს და ერთი ლუკმითაც გადადის ადამიანზე მაღლი და ძალი!

ქ. მ. – ოი, ეს არ ვიცოდი, როგორი ამაღელვებელი ფაქტია სიმბოლურად თუნდაც ერთი ლუკმის გადანახვა...

ა. ჯ. – შუშვამის დამეს სარიტუალო პურების ცხობის დაწყებამდე ოჯახის უფროსი (მახვში) აუცილებლად წავიდოდა ხულის მოსაჭრელად. ხული უნდა მოეჭრათ ნებისმიერი კი არა, ან არყის ხისა, ან თხილისა, ასეთი იყო წესი. როგორც კი პირველ ჯერზე დაჰკრავდნენ ნაჯახს, მაშინვე ყურადღება უნდა მიექციათ, ხულის ანასხლეტი, ნაჯახით ანაჭრევი ნაფოტი როგორი სახით დაეცა თოვლზე: ქერქის მხრივ სახით თუ გულის მხრივ ფორმით, ანუ თეთრი სახით. მთელი წლის მანძილზე ოჯახის მშვიდობიანობისათვის ამას აქვს მნიშვნელობა, ასეთი იყო რწმენა, ერთგვარი აღთქმა. ნაფოტი თუკი ქერქის მხრიდან (ანუ მუქი ფერით) დავარდებოდა, მაშინ ხულის მჭრელი (ოჯახის უფროსი) შეწუხებული ბრუნდებოდა სახლში; მაგრამ თუკი შიდა მხარით (ანუ თეთრი ფერით) დაეცემოდა ნაფოტი, მაშინ კი გახარებული ბრუნდე-

ბოდა, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ოჯახს მთელი წელი მშვიდობა ექნებო!

ქ. მ. – შეხედე! რა საინტერესოა?! და ხულის ანაჭრევი ნაფოტის მხარეები ამდენად მნიშვნელოვანი იყო? ასეთი სხვაობა რატომაა?

ა. ჯ. – არ ვიცი, ასე თვლიდნენ, ასე მიიჩნევდნენ...

ქ. მ. – აა, ალბათ, იმიტომ რომ ნაფოტის ანაჭრევი მხარე, გულის მხარე ხომ თეთრია, მეორე – ქერქის მხარე კი მუქი ფერია, რუხია... თეთრმა იცის მშვიდობა, რუხმა და უკუნმა ფერმა კი – უბედურება. მოკლედ ეს ამბები უნდა დავაზუსტო, ეთნოლოგებს უნდა ვკითხო აუცილებლად.

ა. ჯ. – სარიტუალო პურებს აცხობდნენ მხოლოდ გვიან ღამე, სხვა (გარეშე პირი, უცხო ვინმე) რომ არ შესწრებოდა ცხობის პროცესს. მცხობელი პირველ რიგში აცხობს სამ სეფისკვერს (სამ ლემზირს), მერე გადის ეზოში და და გულმხურვალედ შეევედრება იესო ქრისტეს, ჩემი მიცვალებულების სულები დამაპატიჟებინო.

სულების სტუმრობის (ადგომის) მეორე დღეს არის განცხდაბი (შდრ. ძველი ქართული გაცხადებაი). რაკი ადგომი მძიმე მარხვაა, აი მეორე დღეს დილაუთენია უნდა დაგეკლა გოჭი, ამიტომაც ჰქვია ამ დღეს (განცხდაბს) გოჭის მოყვარული (სვან. გოჭაი).

ამ ყველაფრის მერე სულების სტუმრობის ღამეს ოჯახის უფროსი ამ საგანგებოდ მოჭრილ ხულს (სარიტუალო ტოტი) შემოიტანს ოჯახში. ეზოში თოვლისგან ასევე საგანგებოდ გააკეთებს თოვლის დიდ ზვინს და ფურისულასთან ერთად ჩაარჭობს ამ ხულს, ამ ტოტს.

ქ. მ. – გამახსენე, ფურისი რომელია?

ა. ჯ. – ფურისულას ტოტი უნდა იყოს მარადმწვანე მცენარე: ფიჭვი, სოჭი, ნამვი... ყველაზე ხშირად მაინც – ფიჭვი. ახალი წლის დღეს ოჯახში ყველა შემომსვლელმა ეზოში ამ თოვლის ზვინში ჩარჭობილი, დახუნძლული ტოტებიდან თითო პატარ-პატარა ტოტი (=სვან. მოფერებ. ტოტუნა) უნდა შემოიტანოს.

ქ. მ. – აჰა, გამახსენდა, თხილი აუცილებლად უნდა ყოფილიყო კუნწულებიანი...

ა. ჯ. – თოვლის ვეებერთელა ზვინს ზვავის და ბარაქის სიმბოლოდ აგროვებდნენ, მარადმწვანე ფურისულას ტოტი აუცილებელი იყო იმიტომ, რომ ახალი წლის დღეს ოჯახში პირველად ახალი, ქორფა, ნედლი უნდა შეიტანო და არა გამხმარ-გაბრიგინებული.

ანიკო ჯაჭვლიანი-ქალდანი [85 წლის]
(გულრიფში-ხუტია-გარდაბანი-თბილისი)
ქეთევან მარგიანი

ქ. მ. – აფხზეეთიშ ი დალია ლეზტბარხან მაშენე გუმარ გიმბშიან ლემ-ზირდ. გიმბშიან ქუთდ, ეჯა ლი სასწაულ. ერტჷდს მახე თაშმი ლეგემბაშ ლემზირ მრმ ხომა, ეჯნემ ნომის გარ ლაგერგლას... ხეკვეს აჯრმბვა, აზხუინ სოხუმ უნივერსიტეტი სენატი წევრალ ოჩადად ექს-კურსდათე კახეთთე! ათხე ჯრდი შუკჷი ხომ ათას მრლეგვეშეი ხეფსი რაგად, ხეფსი ღრმბვალ. ექსკურსია ამიტომაცაა კარგი და შთამბეჭდა-ვი. ეშხუ თანამშრომელ ნოდარ დარსანია ლი ისტორიკოს, ხოჩა ლაგ-ციან მარე. ეჯა მატული – პირველი ნარკომანები და ქანშუ ლუჟოორ-ალეზი“ ესერ საქართველოში ჩვენ ვიყავით, მეგრელები, აბა, სვანეთში როდის ააღწია ან ააღწევდა როქ! მი ხტეჟა, მომისმინე, „საყვარელო“, შენ ამ წუთას კანაფის ხაჭაპურზე გაზრდილ ადამიანს ესაუბრები და არაფერი შეგეშალოს-მეთქი. ალა, აშ ჯიხა, ლალგაცნლოშ, ათხე სი ახგმბაჟ, ქანს მაჲ ხარ ლასერგებ?

ა. ჯ. – ქანაშ მაჩენე ლი გიმბაშ მეშდე მახე თაშმი ქუთ.

ქ. მ. – მედე მამა მიხა ხოჩამდ, ქან იმტაჲ ხალაშა, ეჯ ადგილს ხაჲშხა ლალქანა, მადდა?

ა. ჯ. – ლალქანა. მიშგუ დი მეჲად ალაშა ლამშგედ ადგილს დაბუისგა.

ქ. მ. – ლამშგედ იმლა, მიჲ მამ ხალაშა?

ა. ჯ. – აშხუნაჲრდ. ლამგჷ ი ლამშგედი.

ქ. მ. – მი მაშყიდ ხოჩამდ, დეიდა ასმათს ქორ ჴემგინჟა ხადაა ალ ლალქანა, მარე ეჯზუმაშ ლასხუ ქანარ, ეჯზუმაშ, ერე მეგმარზუმ ჴეთ. იმხელები, თვალს ძლივს ავაწვდენდი, ლამის ხეებისხელა კანა-ფის ღეროებს. მე ვიქნებოდი ასე პირველ კლასელი. იმ შთამბეჭდილე-ბებს გიყვები ახლა.

თან კოწელ ბიჭუჷინ ეჯჷი ხოჩა თჷალაშდ ჰენდრახ ალ ქანარ, ერე ეჯდარე ლისგდის მამგუემ ხოჩანდა.

ა. ჯ. – ასმათ ი ელსაბედ მიჩა დიმთილ ლემზირს გიმბაშურ მამ ანყახ.

ქ. მ. – მი იმტაჲი მიხა, ქანს სგა მაჲ ხარ, მაგ ლასერგებ ლი: გიმბაშ, ბალე.

ა. ჯ. – ბალე მამ ლი ლასერგებ.

ქ. მ. – ალო სი დამ კუმაშს ხანაშს ლინთუისგა?

ა. ჯ. – ეჯა მეღუ ლი ი მადე ბალე. მეღუ ლი მაინალი ჟაგრალ. ამადა ხანაშს მეჲად კუმაშს ლინთუისგა.

ქ. მ. – მეშოკარშუ გტიგდა ალ მეღუ, კუმში ღენადა, ჩუ მაშყიდ.

ა. ჯ. – ქანა მეღუს ხონგედას ვოტრუბთესგა ი ხანაშს ამჷი მთელი ლინთუ.

ქ. მ. – ნაყოფდ ქან იშნე გიმბაშს, მადია?

ა. ჯ. – გიმბაშ ლი ქანა მაშან.

ქ. მ. – გიმბაშხანქა ისყი ქენაშ, მადია, ლიფანალიქა ერ ხასყენას?

ა. ჯ. – გიმბაშს მადხუაჲ ჟი ლიცერუე ხაკუ, ერქანლო ჩუ ლიყალ, ერქანლო ლიცისგა ჟი ლიჩდონე, ი წყენარ ლემესგჟი ჟი ლიფურნე. ეშ ხეკუეს ნომ დგურბაღედს, ერქანლო ხეკუეს ჩუ ათქუელა, ქა ათსკუხა, ჩუ მესდე სგელ ტყირშს სუფთა ჯიმლდ ესპუსნა. ალა ლი ქენაშ.

ქ. მ. – ათხე ბოლო ხანარქა ერ აკრძალეს ქანა ლილაშში, ერქანლო ხომ კუახანესგი წკახანქა ხასყენას ქენაშს ი ერასი ხოჩა გემშ ხეფსოლ!

ა. ჯ. – აკრძალეს ი მასარდ მალონ. ეჯღერე ლემზირი ი მოშ ლასტ გიმბშიან ი ქანა მელუ მაჲ მამ მულუნ ფურლეშდ, სეროთოდ, კუშიშდ, ერქანლო ჟი ხტეკუნდდას ეჯდარე ლალჟაგრძლს.

ქ. მ. – ადუ მარე, სემი ლიტრიან გიმბაშშუ გტეში დამ ლარტამისგა ეგუსანდ ჩუ ლუშდიდუ ი ჩუ ლუშბუინ?

ა. ჯ. – ეგუსანდ. ბოფმარეჯ ანკდენიხ თბილისხან, ერქა ლეგიმბაშ ქუთსეჯ ოხნყენე.

ქ. მ. – ო, ერ ალტხენიდ აფხზეეთთე, ერქა ჩუ ეგუხოლა ადო?

ა. ჯ. – მაჲ მრდე, ერას შდღუგურ ქა აკროკახ უცეფდ. პლასმასი ლაფრი ხელფარან ბალონს.

ქ. მ. – გიმბშიშ ზეთი ხომ გუნ ლასგრეგე ლი?

ა. ჯ. – მასარდ ლასგრეგე. კიბოსი ხაშიდ, ჟი ერ ესპოლა მარე მიჩა დტერეტჟინ. აშბუინ მიწურაჲა გიმბში ზეთ, მიშგუ თელდრა ნინა ღალ ერ არდა ლეგდ ერქა. ლაკთილ ხანს ქტინ ლახტიხ, საბრა. ხოჩამდ ესმეტრე.

ქ. მ. – ზეთ ლასგრეგე, გიმბაშ ლასგრეგე, მელუ ლასგრეგე, ბალე ლი მუჟორე, მარე ეჯაჲ ზედმეტ, ადო კოწელ გარ, ეჯანდ ჟაგრალ ლი.

ა. ჯ. – ეჯდარს შიარხანქა მეჩდე ახალგაზრდალს ლილჟაგრე ლის ქა ლიჟორე ხოცხახ. ი ამდად სერ აკრძალეს ი მასარდ მალა.

ქ. მ. – ღერს ქანაშ დემნარდ ხეყანდაჲ, იშგენ ერ მაგ ლასგრეგე ხარ?

ა. ჯ. – ღერალხანქა ასყენახ თაკურს. ამდად ალაშდახ სკიბდ. ერქანლო მუჟღტერ მიშგუ მუ ნეცინ–ნეცინდ ქა ხატმა ცილს ალ ღერალს, ჩტაცორდა ეშ. ერქანლო ეჯდარს ღორეკშუ ჟი აშდრანდა. ჟ' ასყენა თაკურს. სატს ჭემი ლანკდაჟი ხაკუ ლეკრი თაკუ ნაჯუდაჟი, ლეტფი თაკუ ნამშარაჟინ.

ქ. მ. – მაშყიდ ხოჩამდ ღენარჟინ, ლემზერალს ერ ხანზირდად სიჲ მამა, ნატუსუნი ქტინ ერ ხეფხენდა ჟი მთელ ქორს ი ერქანლო ლემზირლე ლიზტებს ერ ხუიბნად ბოფშარ, გიმბში ქტინ ჟი შყედენ ეშ ი სგა მუგუდჲა ჯიძხენ. მეჰად მარ ერ საუდ.

ა. ჯ. – ჟო, მარე წინწყაროს ქან ი გიმბაშ მადეჲ, ეჯა ვენდ გარ ანდრ'ე მწვანილოგდარ.. დალთან ადგილ იმე ორა ჩუ საქართველოდსგა. ამჩუ ჟი

მზგ ჟი ჯიკდენი, მარე მოსაჟნლ შიძსგა მშმ ჯულტა. ზაჟულადელ ხატყცი ჰელს ი ჩის ჟი აცხურკრნე. აფხზეთს, , სურიდ, ღერთჳ ნწმზერ, ლილცუ-ნე დქმგტაშ ხეკჳნდ. ისგლადელთეჟა ათუწრობჟრნ რიჟ გარ ქა ხნდ ლერტჳმს ი მოსაჟნლს ჩის. ამე რიჟ საერთოდ მშმა ხწმთქჳ. ეჯღა ლი ეჯ'ერე, ივლის-აგვისტოისგა მზგ იცხული.

* * *

[ქართული]

ქ. მ. – აფხაზეთის და დალის ხეობის კერძებიდან, კულინარიიდან ყველაზე მეტად მენატრება კანაფიანი სეფისკვერები (გიმზშიანი ლემზირები) და კანაფის მარცვლიანი ხაჭაპურები! ეს არის სასწაული! ვისაც არასდროს არ მიუერთმევია ახალი ჭყინტი ყველის კანაფიანი სეფისკვერები, იმან არც კი უნდა ილაპარაკოს და დიდად თავი არ მოიწონოს. უნდა მოგიყვე ესეც: ერთხელ სოხუმის უნივერსიტეტის სენატის წევრები კახეთში წავედით ექსკურსიაზე. გზად ხომ ათას რამეზე ისაუბრებ ხოლმე, ექსკურსია ამიტომაც კარგი. გყავს ასეთი თანამშრომელი, ნოდარ დარსანია! ისტორიკოსი კაცია, კარგი იუმორით. და უცებ ის მეუბნება: შენ იცი, რომ პირველი ნარკომანები და პირველი „დაბოლილები“ საქართველოში ჩვენ ვიყავით, მეგრელები! აბა სვანეთში როდის რა აღწევდა, ღმერთმა უწყისო! მეც არ დავბნეულვარ და სწრაფად ვუთხარი: მომისმინე, „საყვარელო“, შენ ამ წუთას კანაფის ხაჭაპურზე გაზრდილ ადამიანს ესაუბრები და არაფერი შეგეშალოს-მეთქი! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით და გადატანითი მნიშვნელობით. საქართველოდან შორს იყოს დაბოლილობა და ნარკომანობა. ახლა შენ მომიყევი, რა აქვს კანაფს სასარგებლო „თვისებები“.

ა. ჯ. – კანაფისა ყველაზე კარგია, მარცვალმოყრილი, გიმზაშგარეული ახალი ყველის ხაჭაპური.

ქ. მ. – კარგად არ მახსოვს იცი რა? რას ჰქვია სვანურად ლალქანა? სადაც კანაფი არის დათესილი, იმ ადგილს, ხომ? ანუ კანაფის ყანას?

ა. ჯ. – დიახ, ლალქანა – საკანაფე ყანა. დედაჩემი კანაფს ყოველთვის თესავდა ჩრდილიან ადგილებში.

ქ. მ. – ჩრდილიანში რატომ, მზე არ უყვარს?

ა. ჯ. – თითქმის ერთნაირად: მზიანიც და ჩრდილიანიც.

ქ. მ. – მე მახსოვს ძალიან კარგად, დეიდა ასმათს სახლის უკან ჰქონდა ეს კანაფის ყანა – ლალქანა. მაოცებდა ის, რომ იმხელები იყო ეს კანაფები, იმხელები, თვალს ძლივს ავაწვდენდი ლამის ხეებისხელა კანაფის ღეროებს. მე ვიქნებოდი ასე, პირველ კლასელი. იმ შთაბეჭდილებებს გიყვები ახლა. მახსოვს ისიც, რომ ქარის ოდნავი დაბერვის დროსაც კი ისე ლამაზად ირწეოდნენ ეს კანაფები, იმათ ყურებას არაფერი სჯობდა.

ა. ჯ. – ასმათი და ელისაბედი, მისი დედამთილი, სეფისკვერებს (ლემ-ზირებს) კანაფის გარეშე არასდროს არ აცხოვდნენ.

ქ. მ. – მე როგორც ვიცი, კანაფს რაც კი რამ აქვს, ყველაფერი ძალიან სასარგებლოა: მარცვალი (გიმბაშ) თავისთავად, ფოთოლი ცალკე, ღეროები ცალკე...

ა. ჯ. – ფოთოლი არ არის სასარგებლო.

ქ. მ. – აბა შენ ხომ აჭმევდი კანაფის ფოთოლს საქონელს ზამთარში?

ა. ჯ. – ის არის მეღვი! და არა ფოთოლი. მეღვი არის მაინაღის (საქონლის დაავდების) წამალი. ამიტომაც ვაჭმევდი მსხვილფეხა პირუტყვს ზამთარში.

ქ. მ. – დიდი ტომრებით გვედგა კანაფის ეს მეღვი, მახსოვს.

ა. ჯ. – კანაფის მეღვს შევურევდი ხოლმე საქონლის საკვებ ფქვილში და ამ სახით ვაჭმევდი მთელი ზამთარი ხოლმე.

ქ. მ. – ნაყოფად კანაფი ისხამს გიმბაშს, არა?

ა. ჯ. – დიახ, კანაფის ნაყოფს ჰქვია ზუსტად გიმბაში.

ქ. მ. – გიმბაშისგან კეთდება კერძი ქანაში (კანაფისა), სულეების სტუმრობის კვირეულში რომ აკეთებდი აუცილებლად?

ა. ჯ. – გიმბაში (კანაფის მარცავალი) ოდნავ უნდა მოხალო, მერე უნდა დანაყო, მერე წყალში უნდა მოურიო, და ნელ ცეცხლზე უნდა დადგა და წამოადუღო. ძლიერ დუღილამდე არ უნდა მიიყვანო. მერე უნდა გააგრილო, გადაწურო, დარჩენილ სქელ მასას უნდა მოაყარო ცოტაოდენი სუფრის მარილი. ეს არის ქანაში (კანაფისა).

ქ. მ. – ახლა ბოლო ხანებში რომ აკრძალეს კანაფის ყანების დათესვა, მერე ხომ გოგრის მარცვლისგან აკეთებდი ქანაშს, და ისიც საკმაოდ გემრიელი იყო!

ა. ჯ. – აკრძალეს და ძალიანაც არ მომწონდა ეს! იმიტომ, რომ ლემზირიც სრულიად სხვანაირია გიმბაშიანი და კანაფის მეღვი, რაც არ მქონდა უკვე ძროხებისთვის, მას მერე მთელი ზამთარი ვუნდებოდი საქონლის მკურნალობას, საქონლების წამლობას.

ქ. მ. – კი მაგრამ, სამლიტრიანი ქილა, გიმბაშით სავსე ხომ დავტოვეთ ბოსტანში, ორმოში ჩაფლული და საგანგებოდ „შენახული“?

ა. ჯ. – დავგრჩა, კიი! ბავშვები ჩამოვლენ-თქო თბილისიდან და მაშინ გიმბაშიან ხაჭაპურს დავუცხოვ-თქო!

ქ. მ. – ოო, რომ დავბრუნდებით აფხაზეთში, მაშინ დავგვხვდება აბა ჩვენი „ბოსტნის ნობათი“!

ა. ჯ. – გამაცინე, როგორ არა! იმ ქილას თავგები ხელად გამოხრავდნენ. პლასტმასის სახურავი ეფარა იმ გიმბაშიან ქილას.

ქ. მ. – კანაფის ზეთი ხომ ძალიან სასარგებლოა?

ა. ჯ. – უაღრესად, მეტისმეტად სასარგებლოა. სიმსივნესაც კი (კიბოსაც

კი) არჩენს, დროულად თუკი მიუსწრო კაცმა. ერთხელ გამომიწურავს ხელით, ჩემი რძალი ნინა რომ იყო ავად, მაშინ. კარგა ხნით თითქოს ახალი სიცოცხლე შეემატა, იცი! ისე კარგად მოუხდა.

ქ. მ. – ესე იგი ზეთი ასეთი სასარგებლო, გიმბაში – სასარგებლო, მეღვი – სასარგებლო, ფოთოლი არის „დამაბოლებელი“! ისიც ზედმეტი ოდენობით, თორემ ცოტადენი ისიც, ალბათ, სასარგებლოა გარკვეულწილად.

ა. ჯ. – აი, თავნება და ცოტა გზას აცდენილ ახალგაზრდებს მკურნალობას ურჩევნიათ, იყონ დაბოლილები, ამიტომ აკრძალეს და მე ეს ძალიან მწყინს!

ქ. მ. – კანაფის ღერო არაფერში გამოიყენებოდა, სხვა ყველაფერი რომ ასეთი სასარგებლო აქვს?

ა. ჯ. – კანაფის ღეროებისგან აკეთებდნენ თოკებს, ამიტომაც თესავდნენ მჭიდროდ, ახლო-ახლო. მერე შემოდგომით მამაჩემი ამ ღეროებს წვრილ-წვრილად ჩამოაფცქენიდა, ჩამოთლიდა პირდაპირ. მერე იმ ჩამონათლევებს ღორეკით დაგრეხდა, ასე აკეთებდა თოკებს. თივის მთებიდან მოზიდვისას მარხილს აუცილებლად უნდა სიგრძეზე ასამაღლებელი თოკი და სიგანეზე – დასადაბლებელი თოკი. ეს თოკები მზადდებოდა კანაფის ღეროებისგან.

ქ. მ. – მახსოვს ძალიან კარგად, რელიგიურ დღესასწაულებზე ლემზირებს რომ შესწირავდით, შეალოცავდით შენ და მამა, საკმეველის სურნელება რომ მოეფინებოდა მთელ სახლს. მერე ლემზირების ჭამას რომ დავიწყებდით ბავშვები, ეს გიმბაშის სურნელება ისე ამოვარდებოდა ცხელი სეფისკვერიდან, რომ ძალიან სასიამოვნოდ „გეცემოდა“ პირდაპირ. სულ მენატრება ხოლმე ის დრო და კერძოდ, ასეთი ლოცვის რიტუალები რელიგიურ დღესასწაულებზე.

ა. ჯ. – ოოო, დიახ, დიახ! ოღონდაც წინწყაროში კანაფი კი არადა, გიმბაში კი არადა, ძლივს მოდის მწვანელებიც კი (შდრ. კნინ. მწვანელებიც!). აქ ამოსვლით კი, თითქოს ამოდის ყველაფერი, მაგრამ ბოლოს ხელში არაფერი გიჭირავს, მოსავალი, ჭირნახული რასაც ჰქვია, არ გაქვს არაფერი. ზაფხულში ერთს დაჰკრავს გვალვა და გადახრუკავს ყველაფერს. აფხაზეთში კი, ნეტამც იქურობას, მორწყვა არაფერს უნდოდა. გვალვიანობის დროსაც კი შუადღემდე დილის ნამი ყოფნიდა ყველაფერს – ბოსტნეულსაც და მოსავალსაც. ასეთი არაფერი მინახავს, აქ დილის ცვარი, დილის ნამი საერთოდ არ იცის. ამიტომაცაა, რომ ივლის-აგვისტოში ყველაფერი გადაიხრუკება ხოლმე.

ანტისა ჯაჭვლიანი [86 წლის]

(გულრიფში-ყარაჩაი-ჩერქეზეთი-ომარიშალა-თბილისი-წინწყარო)

ქეთევან მარგიანი

ბურიკი მაჯონგლ „ბურიატების მსგავსი / მსგავსუკა“

[სვანური]

ლუნთვრი, ზავლადღარქა, ამრ სგუებინ აჯადდ აფხზნთხან დევ-ნილართე ი დალართე ხტჳსტდ მეჩდე მივლინებოშ. იმე მოდ ხტარ-დად: წყალტუბოს, ქუთაშ, წალკას, ირაგას, თეთრიწყაროს... ალ ლა-ზელნლჟი ლოხთხანანდ ემხუ ხოჩა ზურალს ვენერა გასვიანს, უსგუა გეზლ დის.

ვენერა მეშგუ ბებია მართ ლეპრიდე ლემარნელი. აი, ეჯნემ ჰმიმბტე მიჩა ლიპრიდეში ამბაჟ:

ვ. გ. – მად ესერ ესსპირსდას ალ **ბურიკი მაჯონგლს** – მუგუდად ამჟი ესერ ხოქუა მიშგუ მართა ბებოს მიჩაშჟინ.

ქ. მ. – ლო ალა სი იმჟი მამგჟ აჯტაშმდგენ! – ლემბჟად ლოხჟტედ მი.

ვ. გ. – იმნარ ჰმტაშმდროლ, მიშგუ პეპი მართა (ანუ მიშგუ ბებო – მართა გიგან!) ეჯგუა დიდებულ, გეგნეთელ ზურალ ლასტ: თტეთნე, წარმო-სადეგ, გდრჟი თერალ ხნდ...

ი მი მიჩა ლეპრისდე ეჩქა გაცხადდ ხოლა მეჩხლად დივოლ ხვასტ!

ი აჯად ამჟი ესერ ეჯდა ხრტუა, ერე მიშგუ უდილ გრაფი, ხედტად ლასტ თტეთნე, ეშ აქელცგნა ეჯჟრშ, ეჯა მიშგუ დიდ ახპირსდჳტნე მართ ჰმეზტბელს – მარი ზურებიანს.

მი ი ძაძუ ხვასვდ ლაცლა. ამლა კლასხან შალიდ ძაძუ მინჯრონა ის-გვექდთე. ი ეჩქა მი ხვექა ისგუ ბებოს: პეპი, იმნარგჟ ლქა მიშგვალა ბუ-რიკრლა მაჯონ?

ქ. მ. – ოოო ჟი ლახწყადვინ მო?

ვ. გ. – უ ეჩქა შუდ ხაჯონდას ი ეჯდა... ათხე შუდ მამა, ათხე შუდ ფარსაგ დივო ხი... ამჟინ ამშარდე ჩუ მიშგუ პეპიდ!

ქ. მ. – ხოსდიმა? დიპლომატია ჩუ ხახლენა მიშგუ ბებოს!

ი აჯად, ლიბოფშქა, დალს, ზაჟლადან, კლუხორი თანდი ნადფდიას, აჟაფარას ერ ხტარდას პირიბე ჯაჟვლიანაშ ი ნადია ბიცოლ ღახან... ეჩქა გიგა ნინიჩკად ერხანინ, მარე ბიძია პირიბე მეჰად მრმბტიდა, ერე მი-ნე ახალგაზრდობჟინ ესერ ამე ალამაგ კარაჟ ლემგენ, ალამაგ მელხუა-რა ესერ ლემარდხ, მარე ისგუ ბებია მართაშთან ჰიშდტარალს ესერ ლახვისგა გარ მადე, მთელ დალისგა დაშ მოშ ლემნაყინ. მართ ჰიშ-დტარალ ესერ მრმდ დუწად ლემარხ, ხენსგა მეტრას ესერ ქა ლემდჟოლინლიხ.

...ი ჯიხამა, ალ ნამბტალარშუ მალატ, ადო მი ღალ ხომ თანლაწტეტდ ი მამ მიწტა მიშგუ ხოჩა ბებო – მართა გიგან.

შარშან, ზაფხულის დღეებში, ამას წინათ, მოკლედ, აფხაზეთიდან დევნილებთან და დაღუპულებთან ვიყავით მივლინებით. სად არ ვიყავით: ქუთაისში, წყალტუბოში, წალკაში, ირაგაში, თეთრიწყაროში... ამ სიარულში შევხვდით ერთ კარგ ქალს, ვენერა გასვიანს, ექვსი შვილის დედას. ჩემი ბებოს – მართა გიგანის ნათლული ყოფილა.

აი, ის მომიყვა თავისი ნათლობის ამბავს.

ვ. გ. – რა დავანათლო ამ ბურიატების მსგავსსო – ვითომ ეგრე ეთქვა ჩემს მართა ბებოს.

ქ. მ. – მერე შენ ეს როგორ არ გეწყინა-მეთქი – ვკითხე მე გაოცებულმა!

ვ. გ. – რატომ მეწყინებოდაო. ჩემი ნათლია (ანუ ჩემი ბებო – მართა გიგანი!) ისეთი დიდებული ქალი იყო, თეთრი, მოხდენილი, ლურჯი, ლურჯი თვალებით, მე კი ერთი შავი, შეუხედავი, შავტუხა ვიყავიო.

ვ. გ. – და ასე თურმე იმიტომაც თქვა, რომ ჩემი და – **გრაფი ზურებია**ნი იყო თეთრი, ქათქათა და ეს ქათქათა გრაფი დედაჩემმა მოანათვლინა მართას მეზობელსავე – მარი ზურებიანს.

მე და ძაძუ ვიყავით თანატოლები, ამიტომ სკოლიდან ხშირად მივყავდი მე ძაძუს თქვენს სახლში. და ერთხელაც მე შევახსენე შენს მართა ბებოს: ჩემო ნათლია, რატომ მიწოდე ბურიაკის მსგავსი მაშინ?

ქ. მ. – ოოო, შეახსენე არა? და გარჩევაც მოუწყვე?

ვ. გ. – ნუუ მაშინ ცოტათი ჰგავდი შენ ბურიაკს და იმიტომ! ახლა – არა! ახლა ძალიანაც მშვენიერი და გადასარევი კარგი გოგო ხარ!

ასე დამამშვიდა ჩემმა ნათლიამ!

ქ. მ. – ხედავ? ნახე? დიპლომატიაც მშვენივრად სცოდნია ჩემს ბებოს!

და კიდევ, ბავშვობაში, იქ დალის წალკოტებში, კოდორში, ზაფხულობით ლუხორის უღელტეხილთან, აჭაფარაში რომ ვიყავი ხოლმე პირიბე ჯაჭვლიანთან და ნადია ბიცოლასთან ერთად, მაშინ გიგანიჩკაც, სხვათაშორის, მაგრამ თვითონ ბიძია პირიბე ხშირად მიყვებოდა, რომ აქ ამდენი კარავი იდგა მაშინ და ამდენი ვცხოვრობდითო, მაგრამ შენი მართა ბებოსნაირ ჭიშდვარს მარტო აჭაფარაში კი არა, მთელ დალის ხეობაში ვერავინ ვერ აცხოვდაო. ნახევარ მეტრზეც კი თამამად გაიწელებოდა, შუაზე რომ გადატეხავდი... აი, ამ მონაცემებით მიყვარს, თორემ მე ხომ თვალთ არ მინახავს ჩემი ლურჯთვალება ბებო – მართა გიგანი.

ვენერა გასვიანი-გერლიანი [80 წლის]

(გვანდრა-გენწვიში-ომარიშალი-ოჩამჩირე-წინწყარო)

ქეთევან მარგიანი

ლექსი ჩემი სულია!

თ.ზ – მოგესალმები, ნუნუ! მიხარია, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი შეხვედრა საინტერესო და შედეგიანი იქნება. პირველ რიგში, თქვენი ასაკი, დაბადების ადგილი, თარიღი.

ნ.ჯ. – დავიბადე აფხაზეთში, ოჩამჩირეში, 1965 წელს, ვცხოვრობდი სოფელ არადუში.

თ.ზ – არადუ ხომ ძირითადად ლექსუმიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას ეკავა?

ნ.ჯ. -კი, ჩემები ცაგერის რაიონის სოფელ ზუბიდან გადმოუსახლებიან.

თ.ზ – თქვენი გვარი, როგორც ვიცი, ლექსუმური არაა.

ნ.ჯ. – არა, ჯანელიძეები იმერლები ყოფილან, წარმოშობით სოფელ გორდიდან. როგორც გადმოცემით ვიცი, დიდ ბაბუას, რომელიც საკმაოდ თავმოძვრნე, ამაყი და თავისუფლებისმოყვარე კაცი ყოფილა, ბატონი მოუკლავს. იქ აღარ დაედგომებოდა და ლექსუმში ასულა. წაუყვანია თავისი ულამაზესი და, ერთი... ხარი არ იქნებოდა, ალბათ, სახარე მოზვერი, რომელიც მხრებზე შეუსვამს და მთით გადასულა **ზუბში**.

თ.ზ – არ იქნებოდა ადგილი ცხოვრების თავიდან დაწყება.

ნ.ჯ. – მშრომელი კაცი იყო, დასახლებულა, დაოჯახებულა, გამრავლებულა... თუმცა ტრაგედიები არ ასცდა. სოფელში მდინარე **კვერეშულა** ჩამოედინება, ერთხელაც დაწრეტილა, სათავესთან კი შეგუბებულა ისე, რომ მთა მოუწყვეტია, წამოუღია ქვა და ღორღი, წაულეკავს სოფელი. ბაბუას დას აკვნის პატარა ჰყოლია, სამი თვის მერე უნახავთ ხონში, აკვანზე დამხობილი...

ბავშვობიდანვე ვიცოდი ეს ამბავი. ისე იმოქმედა ჩემზე, მოთხრობაც კი დაეწერე. სამწუხაროდ, იქ, აფხაზეთში, დამრჩა.

თ.ზ – თვითონ თუ გადარჩა?

ნ.ჯ.- კი, თვითონ გადარჩენილა. უცნაურად დაღუპულა ბაბუაჩემის მამა – პავლეც. ტყეში ერთი ადგილი ყოფილა სალოცავივით – სამი ხე იდგა თურმე ერთად, „**ძმა ხეს**“ ეძახდნენ. აკრძალული იყო მათი მოჭრა. ბაბუას უფიქრია, ხემ რა უნდა მიქნასო და მოუჭრია. სულ მალე ცუდად გამხდარა, მეტყველება წაერთვა თურმე, ლაპარაკის უნარი დაკარგა. სახლამდე ძლივს მოსულა, რამდენიმე დღე ყოფილა მუნჯად და გარდაცვლილა კიდევ.

თ.ზ. – უცნაური ამბავია!

ნ.ჯ. – უცნაურობები სხვაც მახსოვს. ბაბუაჩემს ჰყოლია ძალიან ლამაზი დედა – ეფემია. **ღუჟღუჟა** თმები ჰქონია, შლილი. სიკეთე და სათნოება არ აკლდა თურმე, შელოცვები სცოდნია. სად არ დაჰყავდათო.

მოჰქონდა იქიდან ძღვენი – ტკბილეულს ბავშვებს ურიგებდა. ერთხელ, აღდგომა დილით, როცა ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, ბავშვებს წითელი კვერცხები შეუტანიათ მისთვის ოთახში, ხელში დააჭერინეს თურმე. ერთი დაუხედავს, გადაუბრუნებია თავი და გარდაცვლილა კიდევ წითელი კვერცხით ხელში.

თ. ზ. – საოცარ ამბებს მიყვები, ნუნუკა!

ნ. ჯ. – ამ ამბავზეც დავწერე მოთხრობა, „აღდგომა დილით” ჰქვია. აფხაზეთში დამრჩა, **თავისახლს** მქონდა.

თ. ზ. – შენი ყველა ლექსი და მოთხრობა ულამაზესია, საოცრად მართალი და თბილი. ყველაზე გულწრფელი ემოცია რომ მოგენატრება, მაშინ წასაკითხი!

ბეზიაზეც მოგვიყევი.

ნ. ჯ. — ბეზიას ოჯახი უფრო ადრე ჩაუსახლებიათ აფხაზეთში. სიამაყით ამბობდა ხოლმე, მე 1915 წელს სოხუმში დაბადებული ქალი ვარო. ბეზიას მამა – დიდი ბაბუა ანტონი მღვდელი ყოფილა, მის შტოს **ხუცი-სანებს** ემახდნენ. რომ ჩამოუსახლებიათ, მალარია გავრცელებულა მალე. დავტოვეთ ბარი და ზევით ავუყევით მთებისკენ, რომ მოვცილებოდით მალარიის ბუდეს და როგორმე თავი გადაგვერჩინაო – გვიყვებოდა. ბევრი **წებელდაში** დასახლებულა. მერე ისევ სოხუმში ჩამოსულან. ვინც მალარიას გადაურჩა, ომმა შეიწირა. ბეზიას ლამაზი ძმები ჰყოლია, **ლეგენდიდან გადმოსულებს ჰგავდნენო**. რუსეთ-იაპონიის ომში დაღუპულან. მარტო გალაქტიონ ბაბუა გადარჩენილა. ომიდან დაბრუნებული თურქულად თავისუფლად ლაპარაკობდა თურმე. ომი ომს ებმოდა და ბოლოს ბეზიას **ერთიკაკალა** ძმისშვილიც გაუწვევიათ, არც ის დაბრუნებულა. მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, ბაბუა ანტონი მაინც სულ გულმხურვალედ ლოცულობდა, უფალს მადლს სწირავდაო. გამწარებულ ბეზიას უთქვამს ერთხელ: კიდე გწამს, ხომ ხედავ, ყველა დაგეხოცა, ვინც იყო ფუძეზე, ისიც აღარ არის, არავინ დაგიტოვაო.

– ეჰ, ბრიყვი ხარ, ბრიყვი! – მარტო აქაური კი არ არის ეს ქვეყანა-წუთისოფელი, იქითაც გაიხედეო – უპასუხნია.

უცოდველი არავინ არ არის ამ ქვეყანაზე, ყველანი ვცდებით, მაგრამ ეს ცოდვიანი წუთისოფელიც სასიამოვნოა, როცა გვერდით შენიანები გყავს. გიხარია მათთან ყოფნა... ჩემი გონების ყოველი უჯრედი ამ მოგონებებითაა გაჯერებული, ზოგი დავწერე, სხვას მომავალში დავწერ...

თ. ზ. – მშობლიური კუთხიდან გადმოსახლება გაუჭირდებოდათ...

ნ. ჯ. – არ უნდოდათ წამოსვლა. ტირილით დაუტოვებიათ ლეჩხუმი. აქ ნახევრად გაუვალი ტყე დახვედრიათ, მგლებითა და ტურებით საგ-

სე... გავჩეხეთ, ვიშრომეთ, ვიწვალეთო – გვიყვებოდნენ. ბევრი ჭირი უნახავთ, სანამ **წელს წამოიდგამდნენ**.

თ. ზ – ძირითადად რომელ სოფლებში სახლობდნენ ლეჩუმლები?

ნ. ჯ. – კომფაქტურად იყო დასახლებული **არადუ, ახალდაბა, ცაგერა, ლინდავა, კოჩარაც** ნაწილობრივ.

თ. ზ – რა გვარები სახლობდნენ?

ნ. ჯ. – თუ რომელიმე არ გამოძრჩა, გეტყვით: **კოპალიანი, ჩაკვეტაძე, მამარდაშვილი, ცვარიანი, ასლანიკაშვილი, სალინაძე, თუთისანი, ბენიძე, ყურაშვილი, გოლეთიანი, კუხალაშვილი, ჯანელიძე, უგულავა...**

თ. ზ. – მოსახლეობამ ლეჩუმური დიალექტი შეინარჩუნა?

ნ. ჯ. – რა თქმა უნდა. ეს ისე იყო გამჯდარი ძვალ-რბილში, თუ გინდა, სისხლში, რა დაავიწყებდათ?! ზედმეტად ქალაქში არ ვიყავით გასული, თითქმის **ნაჭუჭში ვისხედით**, თვითმყოფადობა შევინარჩუნეთ. დიალექტმა გავლენა კი განიცადა სხვა ენების, მაგრამ ამას მაშინ მივხვდი, როცა **ზუზში** ავედი. იმ ხანად სტუდენტი ვიყავი და დავალებული მქონდა, მეტყველების ნიმუშები ჩამეწერა. ერთი რვეული... რას ვეძახდით მაშინ? – საერთო რვეული გავავსე, საინტერესო ფორმები ჩავწერე. კარგი იყო, რომ შემნახვოდა... ისე ტკბილად ჩამესმოდა იქაური დიალექტი! რა თქმა უნდა, უფრო ლამაზი იყო, ვიდრე – ჩვენი. სულ სხვანაირი ინტონაცია მესმოდა... მივხვდი, რომ ჩვენთან ბევრი რამ უკვე შეცვლილი იყო – ქართველურ ენათა და დიალექტთაგან აფხაზეთში მეგრული დომინირებდა. მეგრულმა დიდი გავლენა მოახდინა აფხაზეთელ ლეჩუმელთა მეტყველებაზე. მთლიანად ვერც გადავიდა მოსახლეობა სხვა კილოზე და ძირეულიც დაიკარგა.

თ. ზ — რატომ, ძველმა თაობამაც შეიცვალა კილო?

ნ. ჯ. – არა, დედაჩემს საოცარი ლექსიკური მარაგი აქვს, ახსოვს უფრო მ1ექტი. ისეთ რამეს იტყვის ხოლმე... და მაინც სხვაა ლეჩუმში გაგონილი.

თ. ზ – აუცილებლად უნდა შევხვდეთ დედას, დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესო მასალას ჩავიწერთ.

ნ. ჯ. – დედა წყალტუბოში ცხოვრობს. ომის შემდეგ იქ ჩავედით.

თ. ზ – იქ იმერული დიალექტის გავლენაც განიცადა ლეჩუმურმა. ძალიან საინტერესო იქნება ცვლილებებისა თუ გავლენების აღნუსხვა.

ნ. ჯ. — წყალტუბოში, რა თქმა უნდა, ადგილობრივმა მეტყველებამ ბევრი რამ შეცვალა **აფხაზეთურ ლეჩუმურში**. მეგრულის, რუსულის, აფხაზურის გავლენა საგრძნობლად შესუსტდა.

თ. ზ. — არადუში ცხოვრობისას ტრადიციები, წეს-ჩვეულებები თუ შეინარჩუნეთ?

ნ. ჯ. – ადგილობრივი კულტურა შევითვისეთ, ზოგი წესიც გავითავი-

სეთ. გასტრონომიულ კულტურას რაც შეეხება, აქაც გავლენა ძირითადად მეგრულის იყო. კერძები გამრავალფეროვნდა. ღმის ლეჩხუმში ფქვილისგან ამზადებდნენ, არადუში უკვე ღერღილით შეიცვალა. ელარჯსაც ვამზადებდით, მეგრულ კუპატებსაც... ლობიანი, რა თქმა უნდა, არავის დავიწყებია.

ზოგი ტრადიცია უცვლელი დარჩა. აი, ქორწილი რომ იცოდნენ აფხაზებმა რაღაც დამაბული – პატარძალს რომ მალავდნენ... ჩვენთან ეს არ იყო. ჩვენი ქორწილები ლაღი იყო და თავისუფალი.

თ. ზ. – აფხაზეთში ძირითადად ციტრუსი მოჰყავდათ, მაგრამ ვენახიც ხომ არ გაგიშენებიათ?

ნ. ჯ. – ვენახი როგორ არ გვექონდა, ვაზის გარეშე აბა როგორ ვიქნებოდით?! ძირითადად ადესა მახსოვს და ცოლიკაური.

თ. ზ. – ლეჩხუმში გავრცელებული ვაზის ჯიშებიც ხომ არ გქონიათ?

ნ. ჯ. – გვექონდა იქედან ჩამოტანილიც. ზოგმა გაიხარა, ზოგმა – არა. უფრო ღრმად სჭირდებოდა მიწაში ჩაფლვა ფესვებს, მახსოვს. **უსახელოური** ნამდვილად არ ყოფილა, მახსოვს **ჯვარისა**, შავი **მიჭუჭკუნებული** მარცვლები ჰქონდა...

თ. ზ. – ლოცვის, წყევლის ფორმულები, ხალხური თამაშებები ხომ არ გაგონდება? იქნებ შემორჩა რამე ძველი?

ნ. ჯ. – ეს უფრო დედას ეცოდინება... ერთი მაგონდება: ბავშვი გაუჩერებლად რომ ტიროდა, გასძახებდნენ ხოლმე: **გაგლეჯ-გაფხრეწ-გაპერანგება!**...

თ. ზ. – ომის დროს როგორ მოგიხდათ სოფლის დატოვება?

ნ. ჯ. – მე უფრო მწარედ ის მაგონდება, ვითომ შერიგების მერე (ე. წ. „პერემერიე“) რომ გამოვიქეცი.

დილით, უთენიაზე ატყდა სროლა. არავინ არ ელოდა. წინასწარ ვინ გაგიმხელს, არიქა, მოვდივარ და თოფს გესვრიო?! სამი თოთო ბავშვი მყავდა. ეძინათ – დაიქცა ქვეყანა, იბომბებოდა სოფელი, მეზობლის სახლს თავი წააცალა, ბევრი ადამიანი დაიღუპა იმ დღეს. ბავშვებს ეძინათ, არაფერი გაუგიათ, არც გაუღვიძიათ. შევახვით სამივე, მე თვითონ **მოფართხუნებული** ხალათითა და სახლის ფლოსტებით (რაღაც **ჯღარკებით**) გამოვიქეცი. მთავარი იყო, ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავით, იქ თხრილი იყო და დამალვა შეიძლებოდა. მერე შესახვევი იწყებოდა, თუ იქამდე მივალწევდით, ტყე-ბუჩქნარს **მაინ** შევაფარებდით თავს. ფეხით ვიარეთ, სულ უკან ვიხედებოდი. მამაჩემის სახლს რომ გავუსწორდი, გული შემეკუმშა, ჩემგან არ გაგიკვირდებათ და ვაჟა გამახსენდა... გულდაწყვეტილი შევავლე თვალი მშობლიურ ადგილებს, იმ წუთის ემოცია, ალბათ, არც გადმოიცემა! როგორც იქნა, მანქანები დავინახეთ, სამხედრო სატვირთოები იყო. კრებდნენ ქალებსა

და ბავშვებს. ტომრებივით თუ გუნდებივით შევეყარე ბავშვები. მე რას ავიდოდი, მაღალი იყო ძარა. გაიღვიძეს ბავშვებმა, მესმოდა მათი სი-ვილ-ტირილი... მერე ვიღაცამ ამიყვანა და მეც შემავლო. გაუთავებ-ლად ისროდნენ, ალაღბედზე მივდიოდით. უცებ დავინახე სოფლის მოსახლეობა, ჩემი ახლობლები. უმეტესობა ბავშვები იყვნენ, ფეხით მოდიოდნენ. ლიანდაგებს გამოჰყოლოდნენ. საშინელი განცდა იყო...მახსოვს ის სიმწარე, მათი ნახვით გამოწვეული!

რამდენი ვიარეთ, არც მახსოვს. ჩხრეკა, უბედურება, შიმშილი, წყურვი-ლი – რა არ გადავიტანეთ. ერთი ეპიზოდი მახსენდება (ახლა კი მეცინება) – მორიგი შემოწმება უნდა გაგვევლო, რომელიღაც შეიარაღებულმა ჯგუფმა შეგვაჩერა. ბავშვებს შიოდათ და გაუჩერებლად ტიროდნენ. არაა არ4ც პური, არც – წყალი ... ვკვდებით, ვწყდებით, რა უნდა ქნა? ჩემს უფ-როს ბიჭს ზვიადი ჰქვია, რომ დავუძახე, გაიგონეს სამხედროებმა.

- რა ჰქვია ბავშვს? – მეკითხება ერთი.

-ზვიადი! ...

ზვიადიო და... აბა, გაჩნდა წამში ყველაფერი – ბიდონით წყალიც მო-იტანეს, საკვებიც, კანფეტებიც... ზვიადისტები ყოფილან თურმე!

თ.ზ. – ისევ წყალტუბოში დაბრუნდით?

ნ.ჯ. – კი, იქედან გაგრელებმა გამოგვაცილეს, გულდაწყვეტილებმა, რომ თვითონ ჯერ ვერ ბრუნდებოდნენ. იმედი კი დავტოვეთ, მაგრამ... აბა, ისევ უკან დავბრუნდით, ვინც გადავრჩით. ცოცხალი არც ვეგო-ნეთ. ჩამოვედით გამურულები, **დატუტყნულები...**

თ.ზ. – წყალტუბოში , როგორც ვიცი, ჟურნალისტად მუშაობდი.

ნ.ჯ. – იმ ხანად წყალტუბოში კერძო ტელევიზია გახსნეს. კონკურსი გა-მოცხადდა. გასაუბრებაზე მკითხეს, რატომ გსურს აქ მუშაობაო. არ ვიცი, როგორ და თავისით მოვიდა პასუხი: **სიტყვა დამიჟანგდა**-მეთქი.

ბავშვობიდან ვთხზავდი ლექსებს, წერა-კითხვა ჩემით ვისწავლე, სულ ასოს, ბგერას და სიტყვას ვეძებდი. სკოლაში არც ვიყავი, როცა პირვე-ლი ლექსი გამომითქვამს:

„მედუქნეებს წყალი უჭირთ, ისე წყალი ბევრია,

წყალი ყინვით გაყინულა, ნაკადულის კერია”.

მედუქნეები მაშინ ქალები მეგონა, დოქები რომ აქვთ შემოდგმული მხრებზე... საბავშვო ლექსიც დამიწერია:

„ამ მსუნაგმა თავუნამ დაგვიცალა ნალია,

ისე გითხრათ, ეს საქმე ჩვენი ფისოს ბრალია”.

საბავშვო არა-მეთქი და ვწერე და ვწერე სადიდო ლექსები. ჩემი თავი ძაან პოეტი მეგონა! დიდი ამბიციები მქონდა (ეს ხუმრობით).

სინამდვილეში, მართლა ლექსებზე ავაგე მთელი ცხოვრება! ლექსი თან მდევს ახლაც! ლექსი ჩემი სულია!

ომი ახალი დაწყებული იყო. აიღეს ნახევარი სოფელი, ვიმალებოდით. რო დავტოვეთ სახლი და **გადარიღებული** ვიყავით, ვერ მოვისვენე და მახსოვს, მე და ჩემი მული ერთხელაც შევიპარეთ სახლში **...რა წამოვიღე? – ლექსები**. ფუთებში გამოვკარი ჩემი ნაწერები, ბავშვის ეტლში ჩავდე და გამოვიტანე...ოქროს არ დავხარბებივარ, ყველა იქ დარჩა...

თ. ზ. – წყალტუბოში დიდხანს მოგიწია დარჩენა?

ნ. ჯ. – ცამეტი წელი ვცხოვრობდი წყალტუბოში. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს იქ.

ბევრი კარგი რამ მაგონდება, განსაკუთრებით ცნობილ მწერალთან – **ოტია იოსელიანთან** ურთიერთობა იყო დასამახსოვრებელი და ჩემთვის მნიშვნელოვანი.

თ. ზ. – ხომ არ მოიგონებდი დიდ მწერალთან შეხვედრას?

ნ. ჯ. – პირველად პოეზიის საღამოზე ვნახე, როგორც კი გააცნეს ჩემი თავი, მაშინვე თქვა: „დედაჩემი!“ ჯერ ვერ გავიგე, მერე ამიხსნა – თურმე დედას მიმამსგავსა. ეს „დედის ნიშა“ ჩემთვის დიდი პატივი იყო, რა თქმა უნდა.

საოცრად მშრომელი და თავისი ქალაქის მოყვარული იყო ბატონი **ოტია**. ეკლესიის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, საზაფხულო თეატრს რომ აგებდნენ, ამ ხნის კაცი სახურავზე ადიოდა და ეხმარებოდა ხელოსნებს. ყველაფერში ერკვეოდა.

მორწმუნე იყო. ერთხელ ახალ წელს დავპატიჟეთ, მივართვით, რაც შეგვეძლო. სამარხვოს გარდა, არაფერს გაეკარა – სანამ გახსნილდება, რავა შევჭამო!

დევნილების ხშირი სტუმარი იყო, ბევრ საინტერესო ამბავს უყვებოდა ერთად შეკრებილებს.

მწერლის იუბილესთან დაკავშირებით გადაცემა გავაკეთე. ვშიშობდი, მოეწონებოდა თუ – არა. მომიწონა და ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო.

თ. ზ. – ნუნუკა, შენ სალიტერატურო ქართულით მეტყველებ, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც – როცა კუთხურად მოუქცევ ხოლმე, რომელი დიალექტი ჭარბობს შენში – **ლექსუმური**, აფხაზეთის **ლექსუმური** თუ იმერული?

ნ. ჯ. – ახლა ყველა ერთად ირევა, რამდენჯერ იმერულისთვის დამახასიათებელი კილოც დამიჭერია... მაგრამ, **რა თქმა უნდა, ლექსუმური**. ის, **ჩვენი – აფხაზეთური**. რაც მაგონდება, ჩაწერილი მაქვს, თუ გამოგადგებათ...

თ. ზ. – უღრმესი მადლობა, აუცილებლად გამოვიყენებთ კვლევის დროს.

წარმატებებს გისურვებ შენი არაჩვეულებრივი მხატვრული შემოქმედების გზაზე.

ნუნუ ჯანელიძის მიერ ჩაწერილი ლექსმწერის დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები:

აზუთხული – ძალიან მაღალი
აკანკული – მაღალი
აკვასკვასებული – აწითლებული
ამოდომილი – ახლად ამოსული ბა-
ლახი ან ულვაში
ამოთითხილი – დასვრილი
ალეში – გულგრილი
ასაბია – ოჯახი, გათხოვილი ქალის
თავისახლობა;
ასონტოლებული – სიმაღლეში წა-
სული
აქინდვრა – დაწუნება, ცხვირის აკ-
ვრა
აყანწალებული – მაღალი
ახუნტრუცება – არასწორად გალა-
ლება
ბაბანოური – თბილი
ბაღდო – მსუქანი, მაგრამ ლამაზი;
ბაღუნჩალა – ბუთქუნა;
ბაჟბაჟა – გემრიელი, მსუყე, კარ-
გად გაჯერებული;
ბამბაოზი – ზედმეტად მსუქანი
ბანდლი – აბლაბუდა
ბარბგალი – კანკალი
ბარბდი – უმწოდ სიარულის, დგო-
მის, მოქმედების ადამიანი
ბაური (დათვი) – დიდი, რომ არ
დაგზოგავს
ბაღუნჩალა – ბუთქუნა
ბაჟბაჟა – გემრიელი, მსუყე, კარგად
გაჯერებული
ბახარხალა – თავის შვილი, წრუ-
წუნა

ბაბგარე – მარადმწვანე მცენარე,
უნდა დადო სუფრაზე ახალ წელს,
კალანდას.
ბაჯგი – საყრდენი (მაგალითად, სკა-
მის ბაჯგი) გადატ.: მსუქანი კაცი
ბეთქეშა – დიდი და მსუქანი ადამ-
იანი
ბოჟოლია – ტილი;
ბოლოდიე – ობოზა (ყველაფერი,
რაც დალოდავს),
ბლაყვი – მოუხერხებელი, უუნარო
ბლაყუნი – უაზრო ლაპარაკი
ბლოყინი – უსაგნო ლაპარაკი
ბოილარი – ავარდნილი ბოლი
ბოჟიალი – უაზრო სიარული
ბოჟოლია – ტილი
ბოლოდიე – ობოზა (ყველაფერი,
რაც დალოდავს)
ბოჭოჭოე – ჭიანჭველა
ბუზარიე – მწერი
ბურსხლიანი – სუსტი, გამხდარი
ბუსკუტი – კოპი
ბუჯარი – ქექვა
ბუწალიე – ორკაპა მცენარე
ბჟირად – ბლომად
ბღლაზვა – თვალების დაქაჩვა
გაბესკვა – უმწოდ გაძლომა
გაბიბგული – გამხმარი, გამაგრე-
ბული
გაბუზუნებული – სავსე
გაგოლომებული – დიდ მუცლია-
ნი, ზედმეტად გამძლარი
გადარდაზებული – ზედმეტად
ცხარე
გადაქორთოშება – გადავსება

გადრიგინებული – გასუქებული
 გადრიზინებული – უშნოდ გასუ-
 ქებული
 გაზეპილი – ცხიმით სავსე
 გაზესკვილი – გამძლარი
 გაზიზინებული – გადავსებული
 გაზურანებული – გასუქებული
 გათუტუნებული – განებივრებული
 გალანჯული – გაკვამლული
 გალიგვებული – გაყინული
 გამდღვევა – შერევა
 გამოგოზილი – ცუდად გამომცხვა-
 რი
 გამოთეთქვილი – ფერდაკარგული
 გამოშანშლული – გამოძწვარი
 გამოცინდლული – გამხდარი
 გამოხანკალება – გამოცარიელება
 გამოხანცურება – შიგნიდან გამო-
 ფიტვა
 გამოხანხლული – შეჭმული, გამო-
 ცარიელებული
 გამოხოხებული – მსგავსი, ასლი
 გამცქრევა – ოდნავ გარევა
 გაპენტილი – ჭკუით სავსე
 გარიჟინებული – თვალებგადმო-
 კარკლული
 გარიძვინებული – მსხვილი, უხე-
 ში
 გარწიებული – გამხდარი
 გასკვინჩილებული – ტანსაცმელში
 ძლივს რომ ეტევა, მსუქანი
 გასინგვლა – გალანძღვა
 გატკვლევა – გასკდომა
 გატრეტვა – უზომოდ დაღევა
 გაფანაგება – განიავება
 გაფინდილებული – კარგად გამ-
 შრალი
 გაფიჟვინება – გაბერვა, გასიება
 გაფურცხული – თმააბურძენული

გაქვესქნა – კარგად მირთმევა, გამ-
 ღომა
 გაქორთოშება – გადავსება
 გაღვალვა – გაპარვა
 გაშმითვა – გატეხვა
 გაშპა- გაიქცა
 გაჩლაჩული – უშნოდ გადიდებუ-
 ლი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი...)
 გაძეპილი – დაუვარცხნელი თმა
 გაწიწინებული – პირამდე სავსე
 გაწრანვა-ხმის გაკმენდა, გაჩუმება
 გაჭეჭვა – უშნოდ გაძღომა
 გახვანჩალებული – კარგად დაბა-
 ნილი
 გახრეგილი – მაგარი
 გვესნიტი – მზაკვარი
 გოიშნი – გემრიელად, უზრუნვე-
 ლად ყოფნა
 გოჟო – უშნო მუცელი
 გლურჯი – უხასიათო
 გლიმურძი – უხასიათო
 გრუაწი – შორიახლოს ტრიალი
 დაბინიკება – გვერდებში დარტყმა
 დალისტვა – ბევრად ერთად შეგ-
 როვება
 დამკოსვილი – პატარა
 დამწლიკვული – გამხდარი
 დამქლოვა – ძვლებში ტეხა
 დამმგლოვა – დამსხვრევა
 დანოშილი – სიცხისაგან მოთენ-
 თილი სხეული
 დაპერტყილი – დაბალი
 დაჟნატვა – დანესტიანება
 დაჟორმოთება – სახსრებში ტეხა
 დარანა – მაღალი სიცხე
 დაწილაკება – დაცალკავება;
 დახაშხაშება – კარგად გარეცხვა,
 გაქათქათება;

დაღაფსვა – ზრდის შეჩერება, და-
ჩაჩანაკება

დაღვაჟღვაჯებული – მწიფე ნაყო-
ფი

დაღინჯურება – დაღეჭვა

დაჩხიკება – ძლივს დასახლება

დაცხრეკილი – დაბალი, პატარა

დაძნეყვა – ძირს დახეთქება, ცემა

დაწარაქებული – უქმელობით და-
ღარიბებული

დაწილაკება – დაცალკავება

დახაშხაშება – კარგად გარეცხვა,
გაქათქათება

დაჯიღვნა – დაკბენა

დგაცუნი – დიდი ხმა

დგვლემა – მუცლის გვრემა

დედეჩა(დედეჩელა) – აზრნაკლე

დეღლაზოიანი – უშნო, უვარგისი

დიდგელა – მშიშარა

დომგალო – მსუქანი, ფუმფულა
ბავშვი

დურმუზა – მსუქანი, ბუზღუნა
ადამიანი

დღოზვა – დაუზოგავად რაიმეს
კრეფა

დღუზვა – მოღუშვა, გაბრაზება

ერენჯიკი – უტეხი

ერეყანდაცემული – ვერმოპირუ-
ლი – არაკადემიური

ზანკალიფად – იშვიათად

ზუნზღლი – ჭუჭყი

თხნარვა – უადგილო ღიმილი

იდრიკა – თავისთავს ესროლა

იხუა – იუკადრისა, არ მიიღო

კანკურეზი – მაღალი

კარწაულე – უშნო წვრილი

კერკეჟი – მაგარი

კეტიტილი – ტკიპა

კინწისთაობა – მთვრალი კაცის
თავის ქიცინი

კიპკიპო – კისრის დასაწყისი

კონკორი – თავმომწონე

კოწიალა – ძალიან მაღალი

კუნიახი – ავად ძუნწი

კურკუზი – პატარა

ლაბზები – დიდი ტურები

ლაგაზე – თავს რომ იყეყეებს

ლაკორა – დაღეული

ლაღაგადასმული – თავზე ზედმე-
ტად მოშორებული(კოვზზე დყრი-
ლი შაქარი)

ლაყაპო – თავზე მორთმეული **ლე-
ქი**

ლაყლაყი – უსაგნო ლაპარაკი

ლაჩაქი – თავსაბურავი

ლეგვენდრო – დიდი ტანის, ზონ-
ზროხა, უნიათო

ლექორიე – ლოკოკინა

მანძუკიე – ფეთხუმი

მაწაკი – ენამწარე

მიკანაფებული – სული ძლივს რომ
უდგას

მიჟამისწირება – მიწყევლა

მოზალასინება – ძირფესვიანად
მოთხრა, მოსწორება

მოდღლეზილი – ფართოსახიანი

მოგვირიწინებული – მოშუმებუ-
ლი

მოზღარვა – მოსვრა

მაზღანიკე – უბრალოდ მოლაპარაკე

მკლოვიარე – მეკვლე;

მალუნდაკი – ცელქი

მომქშევა – უყაირათოდ დაზნევა

მორიალება – მოოხრება

მოსლეპილი – უთმო

მოსხიპული – კარგად მორგებული
(ვიწროდ)

მოფლაშული – ზედმეტად გადი-
 დებული, დაფართოებული
მოღავიანი – დოვლათიანი
მოღანჭალებული – დაღლილი, ძა-
 ლაგამოცლილი
მოღიღინება – მოსუქება
მოღრეცილი – დაღვარჭნილი, უს-
 წორმასწორო
მოყოყინება – მოყირჭება, მობეზ-
 რება
მოყვინთული – მოღვენთილი, ძა-
 ლაგამოლეული
მოჩართული – ფეხებმოღრეცილი
მოცოროზი – ტანად პატარა
მოცქვლეფილი – უთმო თავი, მე-
 ლოტი
მოცხუნკული – პატარა, ვიწრომ-
 ხრებიანი
მოძგნარვა – ძირში მოჭრა
მოჭყურტნა – მოჭყლეტა, მოჭყუნ-
 ტლული – დაჭყლეტილი
მოხაზირება – მომზადება
მოხიკვა – აკრეფა
მოხირჩქნილი – მოკბეჩილი
მოხუწუნებული – პირმოკრული,
 კარგად შმწვარი
მუნჩქი – პატარა კაცი
მურთხი – შეუხედავი, მაგრამ მო-
 ხერხებული
მურმალი – ნებივრობა
მუწუხი – კარგად მოსული
ნაგერე – ნაწილი
ნაიბარზე – ალაღბედზე
ნალუჭი – შეჭმული ხილის ნარჩენი
ნიკვრიანი – იტყვიან ავ ადამიანზე,
 უკადრისა
ნაჯაო – ნაყარნუყარი
ნოხტრები – ფართო კბილები
ნოხჭრები – უშნო კბილები

ოჩკოჩე – ტყის კაცი
ოპორტყილე – სულელი
ოფორთხილე – მოუხერხებელი
ოჯმაჯური – უშნო საქციელის ად-
 ამიანი
ორღავი – შურიანი, დაუნდობელი
ოხმახური – დიდი და მოუქნელი
ოზორდღილე – ტლანქი, მოუქნე-
 ლი
ოროშა – ჭამით გაუმაძღარი
ომგვამბიე – უშნოდ მჭამელი
პანკვლი – ღინღლი
პანწკვლი – პრანჭია
პელენწუკა – ფერთხუმი
პინტრიში – თავის ნებაზე სიარუ-
 ლი
პომპოცი – წითური და დიდი
ჟატვა – წყევლა
ჟალტამა – უფერო, შავყვითელა
ჟიჟმარიტი – ჟრჟოლვა, ჟრიალი
ჟიშვილე – უგულო
რეჯგვა – ცემა, გალახვა
სალაყინცელი – მაღალი, აყაყული
სისხინი – წვრილი ხმით ლაპარკი
სუიზარი – ხმა რომ რ ისმის, სიჩუ-
 მე
სულიე – სულწასული
სორსალი – ტანდი
ტინგიცი – უშნო გართობა
ტოილო – მსხვილი თოკი, ბაწარი
ტრიშინი – ჩქარი სიარული, თავის
 ჭკუაზე სირული
ტუა – ცური
ტუკა – ხელი ჩაყო, აფათურა
ტყამპალა – ლაყე
უგუარი – სხვას რომ ვერეწყობა
უპლეტა – თავს უშველა, გაიქცა
უშუშარი – მოუთმენელი
უნდილი – უმწიფარი

უჭილავებენ – დიდ ფასს ადებენ
უხუჯური – ვერავის რომ ვერ ეგ-
 უება
ფარჩხვა – ხელების უშნოდ ქნევა
ფარცაგი – ბლომად მოსავლის აღ-
 ება
ფინდილი – პირფერობა
ფირთხინი – უაზრო ფაციფუცი
ფიჩხორე – ფიცხი
ფლაფნვა – უშნოდ ჭამა
ფოფლოდ – მსუბუქად
ფშუტალე – უგულო ნაყოფი
ქანჩალა – საქმეზე მონდომებული
ქანძალე – უშნოდ მოსიარულე
ქაშაოთელი – ენერგიული, ვარგი-
 სიანი
ქვირთხინი – ვითომ გონივრული
 ქცევა
ქილბარდა – ფართო წინაკბილები-
 ანი
ქიფსი – წვრილი ხიჭვი
ქოქი – მარჯვე, სწრაფი
ქუქუ – ჯიბლიბო
ღარღამულე – დიდი ბზარი კე-
 დელში
ღვლეჭი – ხვიარასაგან დაწნული
 თოკი
ღიზინი – უმიზეზოდ მიზეზობა,
 ბუზღუნა
ღუდუელა – ქვეშეკემა
ღუნზულა – ხშირი ტალღოვანი თმა
ღუნზული – თავის ქნევით სიარ-
 ული
ღუნწი, ღუნწაპი – ძუნწი
ღძუვი – დაუნდობელი
ღჯოებიანი – ეშვებიანი
ყაპოიანი – დიდი თოხი
ყვიზინა – გაზულუქებული
ყიანწრო – უჭმელი

შეამწიფა – შეაწუხა
შემცხიკება – ლაპარაკში ჩაჭრა
შესხუთული – ვიწრო ტანსაცმელი
შეტუზვა – უხერხულად შესვლა
შეფაჩვა – ჭკუიდან შემლა(დაცინვი-
 თი ფორმა)
შეფხლიკული – ფიცხი
შეხვილიფება – შერჩენა
შეხანხლა – უცბად შეჭამა
შვანტალა – ტანადი
შინაჩოჩე – სახლში დაყუდებული
შიშაკოკე – უემოციო
შლაჭუნი – ხმაურიანი დარტყმა
შოლოზორდილე – ფეთხუმი
შტულური – დაჩემებით სიარული
ჩაბუჟუნება – პურის ჩაღობა
ჩაბუღადებული – ჩათბუნებული
ჩალაპული – ჩასველებული
ჩარჩვნა – უზომოდ ჭამა
ჩენჩერა – ქარაფშუტა
ჩინჩიპულა – ჩია კაცი
ჩინჩილოზა – ჩია, პატარა, გაღეული
ცახუნი – კოჭლობით სიარული
ციციბური – სწრაფი
მაგვარა – უშნოდგაშვებული (გამე-
 ძილი) თმა
მარმაყვიანი – მარღვიანი
მგენტერი – უსაგნოდ ხეტიალი
მელენძო – მსუქანი, დონდლო
მღიბვა – უგემოვნოდ ჩაცმა
მღვიბა – უშნოდ პრანჭვა
მღონვი – ცუდად ჩაცმული, მოუვ-
 ლელი მოხუცი
ჭანია – სახლის ზღურბლი
ჭიჭიპონია – ქცევასა საუბარში ყვე-
 ლა დეტალს რომ ითვალისწინებს
ჭლაკვა – ჩამჯდრი ჭუჭყი
ჭყიპავს – თვალეზს ძლივს ახელს
ჭყიპალე – ტკიპა

წაკუნი – მსუბუქი დარტყმა
 წატე- მომწარო – მომჟავო გემო
 ხეჩერიკი – შეუხედავი
 ხვანიაკი – შეუხედავი
 ხვარხვალი – ერთ ადგილზე
 ტრიალი
 ხიმაწდრობა – მახის დაგება
 ხმაგუნი – პრის ხმა ჭამისას
 ხმატკუნი – ხმაურით ჭამა
 ხონჩა – რაზეც საახალწლო ნობათი
 აწყვია
 ხოშკაკალა – სეტყვა
 ხროგი – დაყრილი გამოუსედეგა-
 რი ნივთები
 ხრონწი – ძალზე მოხუცი, ბებერი

ხუნჩული – სითბოში ნებივრობა
 ხინხიცი – ზედმეტად ახმაურება,
 უსაგნო აჟიოტაჟი
 ხირჩენა – წინა კბილებით ჭამა
 ხრიგვა – დარტყმისგან ხმური
 ხრიჩინი – ჩახლრჩილი ხმით ლა-
 პარაკი
 ჯარკენა – ზედმეტად ბევრის ჩაც-
 მა, უშნოდ ჩაცმა
 ჯლოყინი – უშნო ლაპარაკი
 ჯორკოლე – ხელნაკეთი პატარა
 სკამი
 ჯღარკი – სუსტი, გამვალტყავებუ-
 ლი, ძლივს რომ დადის

შელოცვები

თვალის

„აღისასა, მაღისასა, მე გილოცავ თვალისასა,
 შინაურისა, გარეულისა, შავთვალა კაცის, შავთვალა ქალის,
 ჭრელთვალა ქალისა, ჭრელთვალა კაცისა...
 გადევნიდა ღობესა, მეიშალა ღონესა,
 გააღო კარი, ავარდა მხარი,
 გევიდა სიპზე, გასკდა ჭიპზე.
 მოთხარა ორი ძირი ბალი,
 წამოუვარდა ორივე თვალი!-
 მოკვდა კლდე შავი.
 ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი,
 შეეწიე მაღლით შენით,
 მოუხდინე ლოცვა ჩემი,
 ბრძანება ღვთის, ლოცვა ჩემი!“

შეშინების

„აშინა, მაშინა, გულო, რამ შეგაშინა?
 კაცმა შეგაშინა, ქალმა შეგაშინა,
 ძროხამ შეგაშინა, ძაღლმა შეგაშინა,
 მეხმა შეგაშინა, ელვამ შეგაშინა,
 რამაც შეგაშინა...
 ნუ გეშინია, გულო, ნუ გეშინია სულო!
 ხორცო დაწყნარდი, ძვალო დამშვიდდი,
 გულო დაწყნარდი!
 დაბძანდი საგულესა, ჩადექი საბუდესა!“

ნუნუ ჯანელიძე [60წლის]

(ოჩამჩირე – წყალტუბო)

თამილა ზვიადაძე

„სავსემ დიკარი” ტურისტები

თ.ზ. – ბატონო როლანდ, რამდენი წლის ბრძანდებით? სოხუმში რამდენი წელი იცხოვრეთ?

რ.კ. – 78 წლის ვარ. სოხუმში 1950 წლიდან ვცხოვრობ. ბავშვი ვიყავი, როცა თბილისიდან სოხუმში გადმოვედი. პირველ კლასში **რო** წავედი, საბაზო სკოლა ერქვა. 4 წელი იყო ეს საბაზო სკოლა, მერე სწავლას ვაგძელებდით მე-11 სკოლაში. კიროვისა და ორჯონიკიძის ქუჩების კუთხეში იყო. საბაზო **რო** განთავისუფლდა, მერე **გადმეიტანენ** მე-11 სკოლა იქ, სადაც ახლაა.

ოცი ვიყავით **კლასში**, სულ ქართველები.

თ.ზ. – სხვა ეროვნების ბავშვები თუ სწავლობდნენ თქვენთან, ბატონო როლანდ?

რ.კ. – ერთი ებრაელი იყო, მოგვიანებით შემოგვიერთდა. ომის დროს წავიდაო – თქვეს, არ მინახავს. მერე **თქვენ**, დაილუპაო, **მარა** ცოცხალი ყოფილა, ამერიკიდან **დოურეკია**.

თ.ზ. – როგორი მეგობრობა ჰქონდათ?

რ.კ. – კარგი ძალიან. 20 ვიყავით და ათი **პარტა** იყო. ორ-ორად ვიჯექით, გვიყვარდა **ერთიმეორე**.

თ.ზ. – მასწავლებელთაგან ვის გაიხსენებდით?

რ.კ. – ისტორიის მასწავლებელი გვყავდა – **ბუჟღუ რაფაგა**. ის მახსოვს **კარგათ**. ყოველთვის მოწესრიგებული იყო, გაკვეთილზე რუკა მოქონდა, ჯოხი. ისე ხსნიდა, **იმიდან** ვსწავლობდით.

თ.ზ. – ბურჯუ თურქული სახელია, საკმაოდ გავრცელებული. ალბათ, იქიდან მომდინარეობს.

რ.კ. – რა ვიცი, ასე კი ერქვა და...

თ.ზ. – სხვა არავინ გახსენდებათ?

რ.კ. – ძალიან კარგი ადამიანი იყო **ოლია გოგობია** – ქართულს გვასწავლიდა. მე კითხვა ნაკლებად, თამაში უფრო მიტაცებდა... **ოდა**, ერთხელ დაბადების დღე **ქონდა**, საჩუქარი **უყიდეთ** პატარა, სამახსოვროდ, **მარა**, არ გინდა, უთხრა? ვინ **გოუბედავდა** – მკაცრი იყო **ნამეტანი**. მე დამევალა. ძლივს ავდექი **პარტიდან**, ენის ბორძიკით ამოვღერდე **რაცხა**. **ძან კარგათ მეიქცა** – დიდი მადლობა გადაგვიხადა, საჩუქარს უკან არ დაგიბრუნებთო, მაგრამ მეორედ არ ქნათ, იცოდეთო. **ამევის-უნთქეთ** ყველამ. მერე ინსტიტუტში **რო** ვაბარებდი, ოლია იქაც არ დამხვდა კომისიაში?

თ.ზ. – გაგმართლებიათ.

რ. კ. – რა გითხრათ, აბა? ფიზიკა-მათემატიკა უკეთ ვიცოდით. ქართულში რა უნდა დამეწერა? „ბაქტერიონი“ შემხვდა. **მოვაკოწიწე** აქეთ-იქიდან. რას ივარგებდა? **ჩოუსწორებია რაღაცეები.**

თ.ზ. – ბატონო როლანდ, იმერეთიდან ხართ, მერე თბილისში გიცხოვრიათ, 1950 წლიდან – სოხუმში, ახლა ისევ თბილისში ხართ. მინც როგორია თქვენი მენტალობა – თბილისელი ხართ, სოხუმელი თუ მაინც იმერელი?

რ. კ. – პირველ რიგში იმერელი ვარ! დედიტაც, მამიტაც, ბაბუა-ბები-იტაც...მერე – სოხუმია, რა თქმა უნდა – ჩემი ბავშვობის და ახალგაზრდობის ალაგი. თბილისში **ნახალოვკაში** ვცხოვრობდით, სოხუმში რომ გადმოვედით, ჯერ ბინად ვიყავით, მერე შევიძინეთ ჩვენი სახლი, მე-4 მიკრორაიონი ერქვა. აი, საბჭოს ქუჩა რო იყო, მერე კარლ-მარქსი დაერქვა. იმის იქით არაფერი არ იყო და 4 ახალი ქუჩა გაკეთდა: **პერვია ნოვია** – ჯგუზურიას ქუჩა. **ვტარაია ნოვია** – მაიაკოსკის ქუჩა. **ტრეტაია ნოვია** – შერვაშიძის ქუჩა. **ჩეტვიორტაია ნოვია** – თარხნიშვილის ქუჩა. მე **ვტარაია ნოვიაზე** ვცხოვრობდი, ჯერ იყო **ნომერ პიატ**, მერე თორმეტი ნომერი გახდა.

თ.ზ. – ეს რომელი პერიოდია?

რ. კ. – 50 -იანი წლები, ასე 1953-54 წწ. გძელი რიგი მახსოვს ძველი საბჭოს ქუჩაზე (აქ ნავთობაზა იყო) ჩამწკრივებული, ნავთის რიგები.

თ.ზ. – დიდხანს გიწევდათ რიგში დგომა?

რ. კ. – ხანდახან – მთელი დღე. დიდებს ამის **გულიზა** არ ეცალათ, სა დადგებოდნენ მთელი დღე იქ და ჩვენ გვიშვებდნენ – ბავშვებს. მერე ქვების **დადობა** მოვიგონეთ, ყვარაულობდით მერე ამ ქვებს, ერთმანეთისას. ხან ერთი **წევიდოდა** და მის ქვებს ჩვენ გადავწევდით, ხან-მეორე. აბა, რა გვექნა, მთელი დღე **რავარი** დასადგომი იყო?

თ.ზ. – რამდენს გაძლევდნენ ნავთს, რაოდენობა განსაზღვრული იყო?

რ. კ. – ყველას გვჭირდებოდა **ლამფისთვის** და **კერასინკაში** რო ჩაგვესხა. ზოგი 10-ს ყიდულობდა, ზოგი-20-ს, ფული თუ გქონდა...

თ.ზ. – ქვების დატოვება შეიძლებოდა მეორე დღისთვის?

რ. კ. – ნომრიანი ქვები იყო, კი დატოვებდი, მარა იყო შემთხვევა, **გადოუგდიათ**, ამიტომ **ხელს ვუწყობდით ერთმანეთს** -ხან ერთი დავრჩებოდით, ხან – მეორე.

თ.ზ. – დედუღეთზე რას გვეტყვით, ბატონო როლანდ?

რ. კ. – ოჰ, ყველაფერს საუკეთესოს! ჩემი დედუღეთი იმერეთშია – **წყალტუბოს რაიონი, სოფელი გუმბრა**. ორია გუმბრა. ერთი წყალტუბო – ქუთაისის ახალ გზაზე, მეორე გზა **თერნალიდან** ადიოდა.

თ.ზ. – სოფლის სახელწოდება საიდან მოდის, ხომ არ იცით?

რ. კ. – გვიმრები ყოფილა ბევრი, ახლაც ქეა. გვიმრა – გუმბრა ასეა

თ.ზ. – იქვე კიდევ ერთი სოფელია – **გუმბრინი**, როგორც ვიცის.

რ. კ. – კი, ბატონო, **შახტა** იყო იქ, მოიპოვებოდა თიხა, რომელიც ნავთობის გასაწმენდად გამოიყენებოდა. ქუთაის-წყალტუბოს ძველ გზაზეა, სანამ **ხომული დეიწყება**.

თ.ზ. – კი, ვიცის, გურეშიძეები ცხოვრობენ გუმბრინში

რ.კ. – ხო, ბაბუაჩემიც გურეშიძე იყო.

თ.ზ. – აფხაზური თუ იცით?

რ. კ. – აფხაზური – არა, მეგრული ვიცის. აფხაზები ირგვლივ მაშინ **იმდონი არ იყვნენ**, 1-2 მეზობელი თუ სახლობდა. **პავლიკი ქეცბა** მახსოვს. კაი მეზობლობა გვქონდა. უფრო მეგრელები იყვნენ – არჩაიები, ზარქუები – კაი დამოკიდებულება იყო ერთმანეთში.

თ.ზ. – მე სადაც უნდა ვიყო, მაინც იმერელი ვარო, ამბობთ და რაში გამოიხატება თქვენი იმერლობა, ბატონო როლანდ? როგორც პოეტი ბრძანებს: „გმირი იმერი – ზრდილობით?“

რ. კ. – ზრდილობით, თავაზიანობით, პურმარილით... ენამოსწრებულობით, სილაღით, თავისუფლებით.

თ.ზ. – დაგეთანხმებით, სილაღე გამორჩეულად ახასიათებს ამ კუთხეს.

რ. კ. – უხეში, ტლანქი იუმორი არ მიყვარს, – არც უგერგილო, **უნდილი, რო ვერ გეიგებ**, სად უნდა გეიცინო.

თ.ზ. – პურმარილით საქართველოს სხვა კუთხეებიც არ ჩამორჩებიან

რ. კ. – რა თქმა უნდა, მეგრელები განსაკუთრებით გამოირჩევიან, აფხაზები – ისე რა, მერე ისწავლენ **მაგენმაც**, მარა, იმერული მაინც სხვაა.

ერთხელ ქუთაისში მოგვიწია ჩასვლა. კაი ამბავზე კი არ ვიყავით, **ტირილი იყო. წევდით**, როგორც იცოდენ მაშინ, ავტობუსს **დეიქირავებდენ** და მეზობლები, სამსახურის თანამშრომლები მიდიოდენ. **გადარიიენ**, სუფრა ისეთი დახვდათ. **მაგენს** აჯიკით რას გააკვირვებ, მაგრამ იმერეთში აჯიკას სხვანაირად აკეთებენ და კითხულობდენ მერე, ეს რა იყო, **რაფერ** ამზადებენ ამასო?

გადაყვენ ჩამოსულებს. **ხო** იცით, **რაფერი** მიპატიჟება იციან, **ხანდისხან ნამეტანიც ქე** მოსდით. ისე გულით **გეპატიუებიენ** – არ ფიქრობენ – **მეიტეხე კისერიო**, შენ **თვარ მეიტეხე!**

თ.ზ. – სოხუმში სად მუშაობდით, ბატონო როლანდ?

რ. კ. – ტურისტულ ბაზაში ვმუშაობდი. ტურისტებს ვიღებდით. მთელი აფხაზეთი ფეხით მაქვს **შემორებული**. ისეთი ადგილებია აფხაზეთში... ბევრი ისე მოკვდება, ვერც ნახავს. სასწაული ბუნება იყო, **მარა** მოვლა ჭირდებოდა. მოვლა რომ ქონოდა, რომელი მხარე აჯობებდა, ისედაც ვერ ჯობნის და...

თ.ზ. – ტურისტულ ბაზაში მუშაობისას საინტერესო ამბებიც გადაგხდებოდათ, ხომ არ გაიხსენებდით?

რ. კ. – ხო, ტურისტები სხვადასხვა კატეგორიის იყვენ. ერთი წყება კანონიერად მოდიოდნენ. რუსეთში მაშინ იყო **ტურისტიჩესკიე პროფსაიუზები**. შეიქმნებოდა ჯგუფი, შეადგენდენ მარშრუტს, გამოაგზავნიდნენ: **მი ვიხოდიმ ტაკოიტო, ტაკოიტო ვრემია**, ვიქნებით სოხუმში ამ დროს, ტელეგრამის სახით მოვიდოდა, ჩავიწერდით და აყვანილი გვყავდა **იმაზე, რო** მოდიოდენ და უნდა დავხვედრილიყავით.

მეორე ჯგუფი იყო „**დიკარი**“, არავის არ უთანხმდებოდენ იქ და აქ **რო ჩამევიდოდნენ**, მერე გვიკავშირდებოდნენ და მესამე – „**სავსემ დიკარი**“. ეგენი **შეიკრიბებოდენ**, **ჩამევიდოდენ** და მისით დადიოდნენ, სადაც უნდოდათ.

ერთხელაც ასე შეკრებილან რუსი, ჩეხი და გერმანელი, აქედან ჩრდილო კავკასიაში უნდა გადასულიყვენ. მთით წასულან. მთაზე დიდი ჩანჩქერია, არხებია გრანიტის ქვაში და წყალი გადის, 15 მეტრი ჩანჩქერი იქნება, მერე პატარა ტბაა. გერმანელი და რუსი წასულან სურათის გადასაღებად. გერმანელს უთქვამს, ზემოდან უნდა მოვუაროო და ასულა. იქ აშხეფებს წყალი, დაუცურდა ფეხი და ჩავარდა. დაიკარგა კაცი. **გაგვაგებიეს** ჩვენ. შევედი თავმჯდომარესთან – ჩვენი ტურისტი არაა, არც აღრიცხვაზე გვყავს, **მარა** წასასვლელები ვართ-თქვა, ვუთხარი. **გამიშვენ**. ავედი კარვებთან, **ამიხსნენ**, სად უნდა მეძებნა. მდინარე არ იყო ადიდებული, მორევში **კარმანჩიკებია**, აქ ხომ არ არის-მეთქი, ვიფიქრე. ავიღე დიდი ჯოხი, კაუჭები **არმატურის გოუკეთე**. გული მიგრძნობდა, ჩანჩქერის უკან ხომ არ არის-მეთქი. აბა, აქეთ კლდეა, იქით – მდინარე, **სა** წევიდოდა? ჩავედი, კაუჭიანი ჯოხიც **ჩევიტანე**, ჩანჩქერსა და კლდეს შორის გავძვერი, დავიწყე ძებნა, გადამიტყდა ჯოხი და წყალში ჩავარდა. არ ჩანდა არაფერი, მაინც ვეძებდი. ვერ ვნახე. მივხვდი, ასე არაფერი გამოვიდოდა. დავბრუნდი სოხუმში. შევედი თავმჯდომარესთან (კვიწინია იყო გვარად, ტარიელი), ავუხსენი – კლდე თუ არ აფეთქდა იქ ისე, **რო** წყალმა დიდ კლდეს შემოუაროს, ვერაფერს ვერ დავინახავთ-**თქვა**. გამომიყო ხალხი. **წევილეთ ამონალი**. ცივი ამინდი იყო, წამოთოვა კიდეც.

მე როცა წყალთან **მაქ** შეხება, ტანსაცმლით არ ჩავდივარ, **პლავკებით** ვარ. **ინსტრუქტორიც** მახლავს – დემური სახეიშვილი, გრიგოლ თოდრია – „მოამბის“ კორესპოდენტი. ამფეთქებელი კაი კაცი იყო. დავტრიალდით, ვანგრევთ კლდეს, ნაწილი წყალი კი **ჩამევიდა**, კაი **ხელა**. **იმავშობით** ასე. თოკი მქონდა **შემშული**, ამფეთქებელს კონტროლი ხელში უკავია, **წოუკიდა**, **მარა** არ ფეთქდება, **დეიწვა**. ვუყურებთ – არ ჩანს არაფერი, ავიღე გძელი ჯოხი, გადავაგდე იქით. ცოტა ხანში **გადევიდა** წყალი და გამოჩნთა. გადაწოლილი იყო ქვაზე და წყალი ზედ ეცემოდა. მივაბი თოკი ხელებზე, გავმახე **იმგენს**, იქით **რო** იყვენ. **კჟაჩაობთ**,

ექაჩაოზო, არაფრით არ **მოგვცოზა**. ვერ **ამევიყვანეთ**. ჩავბრუნდით კარავში. მეორე დილაზე ადრე ამოვედით. თოკი ქვას ედებოდა თურმე, გადაუხეხია, ახალი **გოგუკეთეთ**, ამოექაჩეთ ძლივს.

თ. ზ. – რამდენი გიწვალათ!

რ. კ. – ორი მეტრი კაცი იყო, რას ნახავდი – თითები **დაბიჟვინებული** ქონდა. ეგენი **გიექცენ**, სამი დავრჩით მარტო. 100 კილოზე მეტი იყო, გაგვიჭირდა აწევა, საძილე ტომარაში ჩავსვით, ცხენზე გადავავით. ვეუბნები მერე **ამგენს** – **ჰე, დავაი**, წავიდეთ. ამათ თურმე ცხენისაც ეშინათ. დავტოვე ესენი, წამოვედი, ტანზე უნდა ჩამეცვა, **თვარა გევიყინებოდი**. ჩამოვედი კარვებთან. ვუცდი, ვუცდი, სად **არიენ?** თურმე გადმოტრიალებულა **მეშოკი**, ცხენს ფეხებშუა ჩავარდნია, აქეთ ცხენი გარბის, იქით – **იგენი**. ცხენზე ვერ ამაგრებენ. როგორც იქნა, **დოუმბიათ**.

თ. ზ. – სოხუმში გადაასვენეთ საბრალო?

რ. კ. – არა, **იუენი პრიუტში** ჩამოვიყვანეთ, გულრიფშის მორგში მივიტანეთ.

თ. ზ. – ეს ამბავი კი ცუდად დასრულებულა, მაგრამ თქვენ ყოჩაღ, რომ არ დატოვეთ იმ კლდესა და წყალში. ვინაობა თუ დაადგინეთ?

რ. კ. – სპორტის უნივერსიტეტის სტუდენტი ყოფილა- **იოჰან პეცოვდი**, საწყალი.

თ. ზ. – მოიკითხეს მაინც?

რ. კ. – უჰ, გახმაურდა ამბავი, მოსკოვიდან **კეკეზეშნიკები** ჩამევიდნენ, გერმანიიდან **კილო**.

მე იმ დღეს **რო** მივედი სამსახურში, ცოტა ხანში გავენთავისუფლე უფროსს, **პერეგავორნიასთან** ჩემი და ცხოვრობდა, იმასან უნდა მივსულიყავი. **დოურეკიათ** ტურიზმის საბჭოში, დამირეკა მე დემურიმ, გემებნო.

ჩვენებს უკითხავთ, **გდე ხარონიმო?** და **იმგენს** უპასუხიათ, **ვას პახარონიმ**, თუ არაა ისე ყველაფერი, როგორც საჭიროაო.

თ. ზ. – რა პირობებში დაიღუპა, ის აინტერესებდათ?

რ. კ. – ხო, ადგილის ნახვა უნდოდათ. აფხაზი მოდიოდა ერთი თავისი მანქანით, ჩვენ ვერტმფრენით უნდა გადავფრენილიყავით. ავდექი, ვიყიდე **ჩიბურეკები**, **ბალაშები**, ვიცოდი, მომივდებოდათ. დავბრუნდი, რას ვხედავ... ეშინიათ ჩაჯდომა, ზოგი ტელეფონზე რეკავს, ზოგი ვიღაცას ემშვიდობება...ავფრინდით, როგორც იქნა. რომ ჩავედით, სოხუმის სიცხის მერე **ამგენს** ჰაერი ესიამოვნათ. „**ოჰ, კაკაია პრიროდაო**“ – გაიძახოდნენ. ჩანჩქერი **რო** ნახეს, **თლა გადაირიენ**. სასწაული იყო, სასწაული!

თ. ზ. – მოიხიბლებოდნენ, რა თქმა უნდა, ულამაზესია იქაურობა!

რ. კ. – კიმი ჯაჭვლიანის ტურბაზიდან ორ კილომეტრში კარვები იყო. აქ ჩრდილო კავკასიიდან დიკარი ჯგუფები გადმოდიოდნენ, ნაჰარის და კლუხორის უღელტეხილები რომ იყოფა, იქ ხომ საოცარი ჩანჩქერებია, ერთ რამედ ღირს ნახვა.

თ.ზ. – კმაყოფილები წავიდოდნენ, დარწმუნებული ვარ

რ. კ. – რა ქონდათ საუკმაყოფილო. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო.

თ.ზ. – ძალიან საინტერესო ამბებს ჰყვებით, ბატონო როლანდ!

რ. კ. – საინტერესო ამბავი, იცოცხლე, ბევრი იყო!

თ.ზ. – ერთი ეს მითხარით, ბატონო როლანდ, როგორც იმერელ კაცს, ხომ არ გახსენდებათ ისეთი სიტყვები, რომელსაც სოხუმში არ გამოიყენებდნენ და თქვენთვის კი ორგანული იყო?

რ. კ. – როგორ არა, დედუღეთიდან მახსოვს რამდენიმე. აბა თუ იცით, რა ერქვა ბატს ძველ ქართულში?

თ.ზ. – მოიცა, გავიხსენებ, ღერღეტი!

რ. კ. – ხოდა, იმერულში ამბობენ: რავა დაღერღეტობ ანუ რა ბატივით დადიხარო.

კიდო – რას დაიბრანგვებიო. ბრანგვი დათვია, დიდი, უხეში, მოუქნელი... ანუ რავა დათვივით დააბოტებო.

თ.ზ. – რამე ნივთი ხომ არ იცით – სამუშაო იარაღი, რაც სოხუმში არ იყო და იმერეთიდან გახსოვთ?

რ. კ. – ერთხელ, მახსოვს, სოხუმში ტელევიზორს ვუყურებდი, იაპონიაზე ლაპარაკობდნენ, ხის ხელოსნებს გვაცნობდნენ, მერე სალესი ქვა გვანახეს, თურმე იაპონიის ერთ კუთეში მოიპოვება მარტო. რას ვხედავ – სალაშინის პირზე ლესავენ ქვას, გამახსენდა, ბაბუაჩემის სალესი ქვა, მეუბნებოდა, ეს, ბაბუ, იაპონიიდან არის ჩამოტანილიო. ვინ ჩამეიტანა, არ ვიცი, მარა მართალს ამბობდა თურმე.

თ.ზ. – ახლა როგორ ცხოვრობთ აქ, თბილისში?

რ. კ. – ორი შვილი მყავს – თამრიკო და ლიანა. 1975 წელს დაიბადა თამრიკო, „დიპლომატჯორჯიაში“ მუშაობს, ისრაელის ფირმაა და ხელმძღვანელია, სამი წელი საზღვარგარეთ ისწავლა, სტენფორდის კურსდამთავრებულია. ძაან მოხიბლულია იქაურობით!

ქ. მ. – სტენფორდის უნივერსიტეტი არაა ადვილად მისაღწევი და ადვილად დასამთავრებელი, მით უმეტეს, ჩვენთვის! ყოჩაღ, თამრიკო!

თ.ზ. – შვილიშვილები?

რ. კ. – სამი თამრიკოს ყავს და ერთი – ლიანას. ხოჯაშვილებია თამრიკოსი, გოცირიძე – ლიანასი. შვილიშვილი ამერიკაშია. ანრიმ იქ დაამთავრა და ახლა ერთი წელი უნდა იმუშაოს, რომ შემდეგ დოქტორან-

ტურაში განაგრძოს სწავლა. მეორე ბიჭი აქ, ზალდასტანაშვილში სწავლობს, ამთავრებს. ლიკასი ჯერ 12 წლისაა.

თ.ზ. – დიდი მადლობა, ბატონო როლანდ, საინტერესო საუბრისთვის. დღეგრძელობას გისურვებთ, უკეთეს სოხუმში დაბრუნებას!

როლანდ კოვზირიძე [78 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

თამილა ზვიადაძე, ქეთევან მარგიაიანი

ქართული დროშაც ფრიალებდა და ქართული ჰიმნიც ისმოდა!

თ.ზ. – მოგესალმებით, ქალბატონო მაია! მიხარია, რომ შევხვდით.

თქვენი ასაკი, საცხოვრებელი ადგილი.

მ. ა. – სოჭელი ქართველი ვარ, პლასტუნკელი. არის ასეთი ქართული დასახლება სოჭში, გეცოდინებათ. 59 წლის ვარ.

თ.ზ. – როგორ არ ვიცით. გვანტერესებს, როგორ ცხოვრობენ იქაური ქართველები, შენარჩუნებული აქვთ თუ არა ენა, ტრადიციები...

მ. ა. – პლასტუნკა ქალაქის განაპირასაა, ფერდობზეა შეფენილი. ძირითადად ლეჩხუმიდან გადმოსახლებული ქართველები ცხოვრობენ. მთაც იმიტომ შეურჩევიათ, თავიანთი ადგილი რომ მოაგონოთ.

თ.ზ. – მხოლოდ ლეჩხუმიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობენ?

მ. ა. – ძირითადად, კი, თუმცა აფხაზეთის ომის შემდეგ ლტოლვილები დაგვემატა.

თ.ზ. – მხოლოდ ერთი ქართული დასახლებაა სოჭში?

მ. ა. – არა, უფრო ქვევით, ქალაქთან ახლოს, არის „კესეემი“, იქაც ქართველები ცხოვრობენ. სოჭში ქართული სათვისტომოა, თავმჯდომარე იყო **სიმონ უჩაძე**, ახლა **რაულ ჯინჭარაძე**.

თ.ზ. – ვიცი, რომ პლასტუნკაში ქართული სკოლა იყო. ახლა რა ვითარებაა?

მ. ა. – სკოლაში ქართული მხოლოდ ერთი საგანი დარჩა – ქართული ენა, დანარჩენი რუსულად ისწავლება. ქართულ ენას თითქმის ყველა სწავლობს. ფაკულტატური სახით ისწავლება ქართული **კესეეშიც**. მე იქ ვასწავლიდი. სხვათა შორის, სოჭში, მე-7 სკოლაშიც ისწავლებოდა ქართული ენა. ცნობილი პედაგოგი **ვერა კვარაცხელია** ასწავლიდა. ისეთი კარგი პედაგოგი იყო, საიდან არ მიდიოდნენ მის გაკვეთილებზე, ოთხი წელი ისწავლებოდა, ბევრმა მისი დახმარებით ისწავლა მშობლიური ენა. მეც დავდიოდი მასთან, ვესწრებოდი, ვსწავლობდი, ჩემი

შვილებიც. მერე ჩემთანაც დადიოდნენ ქართული ენის შესასწავლად. ახლა უკვე ჩემი მოსწავლეები თბილისში სწავლობენ.

თ.ზ. – რა გვარები ცხოვროვრობენ სოჭში?

მ.ა. – პლასტუნკაში ძირითადად სვანძეები, ლეშქაშელები, უჩაძეები, მამაგეიშვილები, ასათიანები, ნემსიწვერიძეები (გადაკეთებულია – ლემსიწვერიძე-ლეფსწვერიძე. აქედან ლეფსი – ცნობილი მომღერალი); ყველაზე ძველი მოსახლეები სვანძეები და ლემსწვერიძეები არიან. ძველებმა უკეთესად იციან ქართული, ვიდრე – ახლებმა, სამწუხაროდ.

თ.ზ. – ალბათ, შერეული ოჯახია ბევრი.

მ.ა. – სხვათა შორის, ერიდებიან არაქართველზე დაოჯახებას. უფრო გოგონები იკავებენ თავს. კაცებს მაინც კი გაურბით თვალი რუს ქალებზე და ე გოგონები ქი რჩებიან ასე.

რომ შეხვალთ პლასტუნკაში, მართლა ლეჩხუმში გეგონებათ თავი. ისეთი მთები, ფერდობები, განლაგება... დიალექტიც შენარჩუნებულია.

თ.ზ. – კი, ქართველები უფრო მთიან ადგილებს ირჩევენ. მესტიიდან ქვემო ქართლში რომ ჩაასახლეს სვანები, ისინიც ასე მოიქცნენ, მოსავლიანი ადგილები ბარში სხვას „დაუთმეს“.

გარდა ლეჩხუმლებისა და რაჭველებისა, საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთა დასახლება ხომ არ არის სოჭში?

მ. ა. – კი, ერთი ასეთი ადგილია, „მამაიკა“ ჰქვია. რუსები სულ კითხულობენ: „შტო ტაკოე მამაიკა, შტო ტაკოე?“ აქ ძირითადად მეგრელები ცხოვრობენ კომპაქტურად. მათ ღომი („მამალიგა“) უყვართ, კი იცით. ხშირად აკეთებდნენ და სხვებსაც უმასპინძლებოდნენ. ამიტომაც დაერქვა თურმე „მამაიკა“. არის კიდე „ზედა მამაიკა“, ჩამოსახლებული ლეჩხუმლები ცხოვრობენ. ზედა ადგილებს არჩევდნენ ძირითადად ლეჩხუმლები, რასაც მიჩვეულები იყვნენ. მათი არსებობა არ ვიცოდი და ერთხელ, ავტობუსით მგზავრობისას, ყური მოვკარი საუბარს, ისე საყვარლად ლაპარაკობდნენ თავიანთ დიალექტზე, მოფერება მოგინდებოდა კაცს. გამოველაპარაკე, ადრე ჩამოსახლებულები ყოფილან, ახლა არა, ლტოლვილობის დროს.

თ.ზ. – როგორც თქვით, ქართველთა სათვისტომოაო და სოჭში მცხოვრები ქართველები ერთმანეთს არ ხვდებიან?

მ.ა. – შეხვედრის დრო 26 მაისია. 25 წელი ვიცხოვრე მე პლასტუნკაში და არ მახსოვს არცერთი წელი, რომ ეს დღესასწაული არ აგვეღნიშნოს. ქალაქის ცენტრში, „ზიმნი თეატრი“ ჰქვია, დიდ შენობაში ღონისძიება ტარდებოდა სათვისტომოს თავმჯდომარის ინიციატივით. სანაპირო ზოლი სავსე იყო ამ დღეს ქართველებით. მე ჩემს ქმარს ვეუბნებოდი ხოლმე, არ მინდა მანქანით წასვლა, ჩამოვალ, ფეხით გავივლი-თქო. მინდოდა ყველას ნახვა.

თ.ზ. – რა ხასიათის იყო ღონისძიება?

მ. ა. – მხიარულობდნენ, ცეკვა, სიმღერა, ლექსი... ქართველები გამოდიოდნენ, რაც კი რამ შეეძლოთ, ყველაფერს ამ დღეს წარმოაჩენდნენ. იყო ქართველთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, გაგრელი კაცი ხელმძღვანელობდა – ჩაჩანიძე გვარად. ძალიან კარგი მოცეკვავე იყო თვითონ, განთქმული. ჩვენი შვილებიც მონაწილეობდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ, სხვათაშორის და გვილოცავდნენ.

ქართული დროშაც ფრიალებდა და ქართული ჰიმნიც ისმოდა.

თ.ზ. – ბავშვებმა თუ შეინარჩუნეს დიალექტი?

მ. ა. – არა, სამწუხაროდ. კილო უფროსებს უფრო ეტყობათ. კიდე მათ, ვინც აფხაზეთიდან ომის დროს ჩამოვიდა. იმდენი რამე გავიგეთ მათგან... გვიმღერეს, გვიცეკვეს ქართულად... ძალიან საყვარელი ხალხია.

თ.ზ. – თქვენ თუ შეგიძლიათ ლექსუმურად მოუქციოთ? სიამოვნებით მოგისმენდით.

მ. ა. – აბა, ასე რა გითხრათ. მე სხვას რომ ვასწავლი, აღარ ვიყენებ დიალექტს. ისე ყოველთვის დავდივარ საქართველოში, ყოველ წელს. ლაშიჭალაში ვისვენებ ხოლმე ხშირად, ლექსუმში. მომწონს იქაურობა, საოცარი წყალია, ჰაერი... გზა არაა ოღონდ წესიერი. მახსოვს შარშან თუ... შეიძლება უფრო ადრე, იქაური მოგვიყვა: სასწაული წვიმები იყო და მგზავრები ძლივს გადმოვიდნენო(სვანეთიდანაა გადმოსასვლელი მთით), ფეხით წამოსულან, უცხოელები იყვნენო. თურმე წარმოშობით ლექსმელი იყო ერთი – ჩვენი გვარის – ასათიანი, საფრანგეთიდან.

თ.ზ. – კი, ასათიანები არიან საფრანგეთში, ჟორდანიას დროს გადასულები, ვიცი, მარსელში ცხოვრობენ.

მ. ა. – უღელტეხილი გადმოუვლიათ ფეხით, ქართული ცუდად სცოდნიათ, იქ დაბადებული და გაზრდილი ყოფილა. ბევრი სტუმარი ჰყავს ლექსუმს, ლაშიჭალაში უამრავი ადამიანი ჩამოდის.

თ.ზ. – თქვენი ძირი საიდანაა? სად ცხოვრობდნენ თქვენი წინაპრები?

მ. ა. – ჩვენები სოფელ **დღნორისიდან** არიან. ავდივართ ჩვენ, ბავშვებიც ავიყვანე, ვანახე, სად ცხოვრობდა დიდი ბაბუა. გზები ცუდია, სოფელი ნახევრად დაცლილია... მაგრამ მალე ეშველებათ, ალბათ. აქედანაა წარმოშობით მაია ასათიანი, ჩამოსულა თურმე და რაღაც კარგს აპირებს იქაურობისთვის.

თ.ზ. – ლექსუმში ერთ დროს სვანებით ყოფილა დასახლებული, ალბათ, ეს იცით. უამრავი ტოპონიმი მხოლოდ სვანურით იხსენება. საკითხი მაქსიმე ქალდანმა შეისწავლა და არაერთი თანამოაზრეც ჰყავს. თავად გვარები – ასათიანი, მუშკუდიანი, კოპალიანი... სვანური დაბოლოებისაა.

მ. ა. – დაბოლოებაზე გამახსენდა. ერთხელ, სტუმრად ყოფნისას, ჩემს ქმარს უთხრეს. სომეხი ხარ, ალბათ, გვარით თუ ვიმსჯელებთო. გადაირ-
ია, ჩხუბი კინაღამ გაჩაღდა. ბევრი ვერ არჩევს -იან დაბოლოებიან გვა-
რებს. იმ კაცს ნამეტანი მოუვიდა, არ გაჩერდა, **კიდო მიაწვა და მიაწვა**.

თ. ზ. – სომეხი ერი უძველესი წარმოშობის ერია და მათი გვარებიც
ძალზე საინტერესოა, რა თქმა უნდა, მაგრამ რაც შეეხება, სვანურ გვა-
რებს, „იან“ – ერთ-ერთ ძირძველ დაბოლოებად ითვლება ქართულ
გვარებს შორის.

მ. ა. – კი, მაგრამ იმ კაცს ნამეტანი მოუვიდა, კიდო მიაწვა და მიაწვა...

თ. ზ. – სათვისტომო რომ არსებობს, ეს სასიხარულო ფაქტია, რა თქმა
უნდა, ჟურნალი ან გაზეთი ხომ არ გამოდიოდა ქართულ ენაზე?

მ. ა. – კი, კი, თვეში ერთხელ გამოდიოდა ქართული გაზეთი, „**სოჭის
ივერია**“. რამდენიმე ნომერი მაქვს კიდევ სახლში.

თ. ზ. – ახლა ისევ სოჭში მიბრძანდებით, როგორც მითხრეს.

მ. ა. – კი, უნდა წავიდე.

თ. ზ. – როცა ჩამოხვალთ, იქნებ ჩამოგვითანოთ „სოჭის ივერიის“ რამდენიმე
ნომერი. კიდევ რამე გაიხსენოთ... სიამოვნებით მოგისმენთ. მაღლობას გიხ-
დით ჩვენთან საუბარს რომ დასთახმდით, წარმატებებს გისურვებთ!

მაია ასათიანი [59 წლის]

(სოჭი – თბილისი)

თამილა ზვიადაძე

ჩვენ თუ „შემოგვჩა!“

თ. ზ. – ქალბატონო ნელი, რამდენი წლის ბრძანდებით?

ნ. მ. – 83-ის გავხდი, შვილო, დავავიწყდი უფალს.

თ. ზ. – აფხაზეთში სად ცხოვრობდით?

ნ. მ. – სოფელი იყო **იქანე** ასეთი – არადუ ერქვა. ლეჩხუმიდან გადმოსახ-
ლებული ოჯახები **ცხოვრობდნენ**.

თ. ზ. – დიალექტი თუ გქონდათ შენარჩუნებული, ქალბატონო ნელი?

ნ. მ. – კი, აპაა! ჩემი **დედიდან** ვიცი ლეჩხუმური სიტყვები. მახსოვს ბევ-
რი. ახალგაზდები არ ლაპარაკობენ ამ სიტყვებით, ჩვენ თუ **შემოგვჩა**.

თ. ზ. – რას საქმინობდნენ თქვენი მშობლები, როცა აფხაზეთში ჩამოვიდ-
ნენ?

ნ. მ. – **ძაან მოსაქნარე იყვენ** ჩემი დედა და მამა. ლეჩხუმიდან აფხაზეთში
რო ჩასულან, **სხოკან** ცხოვრება **ძაან გაჭირებიათ**. თავიდან მოუწყვიათ
ცხოვრება. დედაჩემი სულ **საქნარობდა**, რაც მახსოვს. ეზო დაწკრილებუ-
ლი ქონდა, ბალახს **რავა** გააჩერებდა, **ხვართელას** ძირიანად **ამოაკვანკვა-**

ლებდა, მორეთ ამოღება რო არ დაჭირებოდა. იმისანე გაჩისტული ქონდა ეზო-გარემო, ბდღვერსაც ვერ ნახავდი. უთენია დგებოდა, ეზოს ბოლოში, სახლის უკან, ქონდა გადაღობილი ადგილი, იქ იყო საქათმე, აქით რავა გამოუშობდა ფრინველს! მოვსებულ ქათამს საბუდრეში შეიყვანდა, რო კვერცხი დაედო, პოპოცებს ფრთებს აჭრიდა, წიწილებს თხიპის წამალს დააღვეიებდა – აფერი არ ავიწყდებოდა. პურტყვი არ გვყავდა მაინდამაინ. ყველიზა კი გვყოფნიდა რძე. საგვაჯილეს ინახავდა დედაჩემი, გვიყვარდა ჩვენ გვაჯილი. ეგი იცით, რაია? – უმარილო, ფუმფულა ყველია, გადაზილული. ცოტას კი მოანცროვდა მარილს, თლა ცოტას, წყუთე არ უნდა იყოს. პური ჩვენ ქარხნული გვექონდა, მარა ბებიეი კი იხსენებდა რაცხა კოტოტიან პურს, გომიჯებს ჯობდაო. მე არ ვიცი, მაი რანაირია. დედაჩემი საჭმელსაც კაის აკეთებდა, კაი ბაჟბაჟას, აფერს არ დააკლებდა. ქერო ვატატყი ქალებია, იმათ კი არ გავდა! ბოსტანიც გვექონდა, აპა? ლობი-ეც, ა, იმნაირი, აშენებულ ლობიოს რო ემახიან, ხარდანზე როა. კოკორაჭა ლობიო – ბებიე უმახოდა ასე. შავი და თეთრი როა – ჭრელი კიდო. მეიცა, რას უმახოდენ? – ფარდელიო. მე გოუქნელი მიყვარდა ლობიო, ახლაც მასე ვარ, პირშილი ქვია მაგას, ქერო მოხარშავ და არ გაქნი, ნიგოზი უხდებდა.

მამაჩემიც კაი მშრომელი კაცი იყო. ცოტა ღვინო უყვარდა, მარა არავის აფერს უშავებდა. ხმას არ ოუწევდა არავის. პატარა ვენახი ქონდა, ვენახი არ ერქვა თლა, მარა კი ახარებდა თავის ჭიას. ჯიშები? – კი არ მახსოვს ყველე. არა, უსახელოური არ იყო, მაგას სხვანეირი ადგილი და მიწა ჭირდება. ადესა გვექონდა, ცოლიკოური, კიდო ნაკუთნოური? – არ ვიცი ზუსტად, შავი ყურძენი იყო, მრგვალი მარცვლები ქონდა. კაბისტონი გამიგონია მე ძველებიდან, ფაჩხატაც – თეთრი ყურძენია, მარა ჩვენ არ გვექონდა. ახლა იმდონი არ იყო ყურძენი, წიკვა რო დაჭირებოდა, ისე კი ეხმარებოდენ ერთმანეთს მეზობლები. ლეჩხუმში ბურულიანი სახლი გვექონდაო, ყობოდენ ძველები, რომე და – წუმ რო არ ჩამოსვლოდათ. აბა, თუ სახლიზა არ ვარგიხარ, ცოლი და შვილი მშიერი და ტიტველი გყავს და შენ ქე დაწიწინოფ აქით-იქით, რანაირი ოჯახის კაცი გქვია? დიდი ბაბუეი იმისანე მარჯვე კაცი ყოფილა, რომე ყიში არ გოუვიდოდა, სასახელო ნამდვილად, გზას გოუწალდავდა ადამიანს, იმისანე კი არა, ზოგს საქნარი რო ეზარება და გაგდებული აქვს კვინიხი თელი დღე. გაჭირვებით იქიდან წამოსვლა, მარა მერეთ კი იყვენ კმაყოფილი. ნეტაი ე ომი და უბედურება არ ყოფილიყო და...

თ. ზ. – წყალტუბოში სად ცხოვრობდით?

ნ. მ. – აქანე ნათესავები ყავს ჩემ ქმარს. ჯერეთ მაგათ შევეკედლეთ. მერე ქე მიდგენ-მოდგენ ჩემი შვილები, სანატორიუმში გადევედით – სულ ხო არ შეაწუხებდი სხვას! ამგენსაც უჭირდათ. ამ წყალტუბოში დამსვენებელი რო მოდიოდა და სანატორიუმები მუშაობდენ, მაშინ იყო კაი ცხოვრე-

ბა, თვარა მერე კი გაპარტახდა **აქოურობა**. ნამეტანი გვიჭირდა. მერე **რაც-ხა** მოვახერხეთ, **ბოვშებს გაზდა** უნდოდა და ვშრომობდით, ვწვალობდით, რავარც – სხვა.

თ.ზ. – ქალბატონო ნელი, გისმენთ ახლა და აშკარად ვგრძნობ იმერული დიალექტის გავლენას. აქაური მეტყველებაც გაითავისეთ, გეტყობათ.

ნ.მ. – მაი რა ვიცი. ალბათ, მასეა. **ამდონი** ხანია, **აქანე** ვართ და...

თ.ზ. – ხომ არ გახსოვთ ისეთი სიტყვები ან გამოთქმები, რომელთაც აქ, იმერეთში, არ გამოიყენებენ და თქვენ აფხაზეთში ცხოვრებისას ხშირად მიმართავდით?

ნ.მ. – თუ გევიხსენე...ა, ზარმაცს ვეძახდით **ზანტაკს**, მსუქან ბაღანას – **დონდორას**, კიდო – **დომფალას**, მამაჩემმა იცოდა „**ქვერე**“ (ქვევით) და „**ზერე**“ (ზევით), **სანე**-სად, **ფიჩხორე** -ფიცხი, **გამწლეული** – სუსტი, სული ვარ უდგია, **მაგვარა** – გამეძილი თმა რო აქვს, მიდღემჩი დოუვარცხნელი...**ვატატყი** – ქერო ქალი ვერაფერს თავს ვერ ადგამს, უნაირო როა... **ბინულს** ვუძახით წყალი რო მიწიდან ამოდის, წყაროს...

ახლა კი არ მახსენდება სხვაი ჯინაზე...

თ.ზ. – შელოცვები ხომ არ გახსოვთ?

ნ.მ. – ლოცვა **მაინდამაინ** კი არ ვიცი, აქანე ერთი ქალი დადიოდა, **ბოვშებს ალოციებდენ.. ქე** მახსოვდა ერთ ხანს...

„დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, გალახვაზე შეშინებული ხარ, ძაღლის ყეფაზე შეშინებული ხარ, დაყვირებაზე შეშინებული ხარ, **რაცხაზე** შეშინებული ხარ...

გულო, მოდი საგულესა, შეგიკერავ საბუდესა, გულო, რამ შეგაშინა?“

გათვალუღსაც ულოცავდა:

„ღმერთო, შენ **დოუფსე** თვალი და ყური, ვინც ავი თვალით შენ შეგხედა!

აგერ **მოვა** შავი წყალი, მას **მოყობა** შავი გველი,

ქვა ტყდებოდა, ქვა სკდებოდა,

ნეფსი და მახათი მის თვალებს **ასკტებოდა!**

გამჩენო, შენ **წოუყენე** ლოცვა ჩემი (სახელი)!“

თ.ზ. – ლეჩხუმში თუ დადიხართ, იქ ხომ არ გყავთ ნათესავები?

ნ.მ. – მე აწი **სა წავალ** და ჩემი შვილები **ქე** მიდი-მოდიენ, მოყვრები **ყავენ** ცაგერში.

თ.ზ. – ამ ბინებით თუ ხართ კმაყოფილი, ქალბატონო ნელი, მთავრობამ რომ გადმოგცათ?

ნ.მ. – ახლა მადლიერი უნდა იყო, უმაღლური ადამიანი მტრისას, **მარა**, **რავა** ვთქვა და კი გაგვიჭირდა **კაი** ხანს. იმ სანატორიუმში თუ **რაცხა** ქვია (ნანგრევებია ახლა, სადადაა სანატორიუმი) გვიჭირდა თუ გვილხინდა, **ქე** ვიყავით ერთად, უკვე **შეჩოულები** ერთიმეორეს, ახლა **ისეველე** თავიდან **რო** მოგვიხდა მეზობლობის აწყობა, არც **ქე** მეგვეწონა...

თ. ზ. – ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ და დაგაბრუნოთ თქვენს ოჯახებში იქ, ჩვენთან, აფხაზეთში.

ნ. მ. – გეიხარე, შვილო, ისმინოს გამჩენ-დამბადებელმა შენი სიტყვები!

ნელი მამარდაშვილი [83 წლის]

(ოჩამჩირე – წყალტუბო)

თამილა ზვიადაძე

* * *

„ბედისწერავ, გვედრები,
ერთხელ ამომიდექ მხარში,
სული იქით ისწრაფვის და
დამაბრუნე მე ჩემს სახლში!”

დავიბადე ცაგერში, კერძოდ, სოფელ ზუბში 1940 წელს. ჩემი გვარი ნემსწვერიძე – ნემსიწვერიძე შეიძლება შეგხვდეთ სხვა ვარიანტითაც – ლეფსწვერიძე. „ლეფსა” იგივეა, რაც „ნემსი” ლეჩხუმურ დიალექტზე. ამიტომ გვაქვს ეს ფორმაც. ისე „ნემსიწვერა” სამკურნალო მცენარეა და ალბათ, ესაა გვარის ფუძეში. დედით მუშკუდიანი ვარ. ოყურეშიდან იყო დედაჩემი. ასე რომ, ამ ორი გვარით ვარ აწყობილი.

გულით მიყვარს ლეჩხუმი, იქაური ხალხი. გული სულ იქით მიმიწევს. ლექსიც კი გამოვთქვი:

„მზის სხივებით მოქარგულა შენი მწვანე მთები,
ღმერთო, აღარ მომიშალო ლეჩხუმისკენ გზები“.

ერთი წლისაც არ ვიყავი, აფხაზეთში რომ გადმოგვასახლეს. არავის ეგონოს, ჩვენს ჩასვლამდე იქ ქართველები არ ცხოვრობდნენ. არა, ბატონო! აფხაზეთი ქართველების ძირძველი მიწაა. მეფის რუსეთის დროს ჩვენი რაოდენობა შემცირდა და სწორი გადაწყვეტილება მიიღო ბერიამ – დემოგრაფიული ბალანსი უნდა ყოფილიყო დაცული. მეორეც – ლეჩხუმლები და რაჭველები ალალ-მართალი, მშრომელი ხალხია და მათი ჩასახლებით იქაურობა უნდა გაკეთილშობილებულიყო. ასეა, ჰო, არაფერს ვაჭარბებ – მარჯვე და კეთილგანწყობილი, მშვიდობიანი ხალხით უნდა შეევსოთ ეს ტერიტორია.

სოფელ ახალდაბაში დაგვასახლეს – ნემსწვერიძეები, გოლეთიანები, ბენიძეები... და ყველაზე მეტი, თითქმის 60 პროცენტი – ჩაკვეტაძეები. ცოტა გვიან შემოგვიერთდნენ ღვედელები (სოფელია ცაგერის მუნიციპალიტეტში), ჭუბერიდან და საკენიდან გადმოსახლებული სვანები, ასევე – რაჭველები. გარემო იყო აფხაზური და მეგრული. ორივეს ერთად რუსულის გავლენა ეტყობოდა. უბან-უბან დავსახლდით. ერთ ადგილას ლეჩხუმლები, მეორე მხარეს – რაჭველები, აქით – სვანები, იყვნენ მეგრელებიც. ისეთი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან, ნეტა კიდევ მანახა მაგ-

ნაირი მეგობრობა, მეზობლობა, მაგნაირი სიყვარული, პატივისცემა, გატანა და მოფერება! **ხელმოწყობა** იცოდენ მეგრელებმა – თუ საქმობდენ, შენც დაგასაქმებდენ, ერთმანეთს – უფრო.

ენის მრავალფეროვნება მალე დაგვეტყო ჩამოსულებსაც – ქართული, მეგრული, რუსული – ერთ დონეზე ვიცოდით. მე აფხაზურიც მესმოდა, მაგრამ მთლად კარგად არ ვიცოდი, კი ვნანობ ახლა, უნდა მესწავლა უკეთ. რამდენიმე სიტყვას ახლაც გეტყვით:

ითაბუზ – მადლობა; **აჩა** – პური; **ვარა** – კაცი; **ბარა** – ქალი ...კი არაა მარტივი ენა, რთულია საკმაოდ. აფხაზებმა უფრო ისწავლეს მეგრულიც და ქართულიც. ასე რომ, **ჩვენ მოვახდინეთ გავლენა მაგათზე, მაგათმა კი – არა!**

ერს არასოდეს არ უნდა დაუკარგო ის, რაც მოსაწონია. სტუმართმასპინძლობა ჩვენზე მეტი თუ არა – არანაკლები **როდი** იციან! აფხაზის სახლში რომ შეხვიდოდი, ოჯახის უფროსი ქალი, 80 წლისაც რო ყოფილიყო, წამოხტებოდა, მოვიდოდა, თავზე ხელს შემოგატარებდა. წესი იყო ასეთი – **თავზე შემოგებელიო**, შემოგველეო, ამას ნიშნავდა. მოსმენის კულტურა აქვთ გასაოცარი. მაგათ შეკრებებზე ბუზის გაფრენის ხმას **გეიგონებდი**, აბა, ჩვენთან **მიდღემში** ყაყანია.

1940 წელს ჩამოვიდა პირველი ნაკადი და სად უნდა ეცხოვრათ, **რო** იცოდეთ? ეს იყო გაუვალი ტყე, მგლები და ტურები კიოდნენ. „ბერიას სახლები“ დაგვახვედრეს, სამთვალა, რას ჰგავდა, საქათმე იყო. თან ამ სახლის ფასი -14 თუ 16 ათასი მანეთი – მერე ხალხს **გადაახდევის** შრომით, აბა! მაყვლის ეკალი ფანჯარაში შემოდიოდა. ტურების ხმა სახლის ქვეშიდანაც ისმოდა. გვეშინოდა ჩვენ – **ბოვშებს** და ვტიროდით. ეს კი უნდა ითქვას, რომ ისე სიმეტრიულად იყო დადგმული ე სახლები, მერე სოფელი **რო** აშენდა, სულ პარალელური ქუჩები კვეთდა ერთმანეთს. **კაი** ჭკვიანი ყოფილა, ვინც ასე დაყო.

1941-ში ომი დაიწყო და კაცები კი **წეიყვანეს**. დარჩა სოფელი ქალებისა და **ბაღნების** ამარა. რაც შეგვეძლო, ვაკეთებდით, ეკალი გავჩეხეთ, **რაცბა** დავთესეთ კიდეც... 5 წლის მერე მამაჩემი **ჩამევიდა** ომიდან. გაჩეხა ტყე. მახსოვს, ერთი მუხა იმხელა იყო, **რო** მოჭრა, მთელი დღე და ღამე იწვოდა. რახანაც კაცები **ჩამევიდნენ**, სოფელს მიხედეს, ეს ველური ბუნება გააკულტურეს, მოასუფთავეს, ჭაობი და წყალი **დააშრენ**, მიწა დაყარეს, გაანაყოფიერეს, **თვარა** თეთრი იყო მიწა, რას მეიყვანდი იქ? ბევრი იშრომეს. აფხაზებმა საქმე **მაინდამაინ** არც **ქე** იციან, **მაგენს** უფროსობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე ოფლის მოდენა. 2500 კვ. გვეკუთვნოდა სამოსახლო მიწა ჩვენ, მეტს არ გვაძლევდენ. ქართველებისთვის არ იყო მიწის ფონდი, **თვარა** აფხაზებს არავინ უკავებდა მიწას. აქ უნდა დაგეტია ყველაფერი – **ბოსელი, სათხეზო, საღორე, ფანჩატური, სამზადისი, ვენახი, ბოსტანი...** სახლი – თავისთავად. მოდიოდენ და ზომავდენ... ეს კია, **რო** სამოსახლოს

გარდა, საყანე ადგილი დაგვიმატეს სიმიდის სათესად, ერთი იმდენი – 2500 კმ. ეს ადგილი მდინარე კოდორისა და ზღვის სამყოფზე იყო, მერე ზღვამ დაიწია და შლამიანი მიწა წარმოიქმნა, **რო** ვთოხნიდი, ნიჟარები ამოდიოდა, **გავწმინდავდი**, ჩვეიდებდი ჯიბეში. ნაყოფიერი მიწა იყო – სიმინდი ბლომად მოდიოდა. აქვე კოლმეურნეობის **ნალიები** იდგა, იქ ვაბინავებდით ტაროს, ჩალა- **ფუჩეჩი** მიდიოდა ფერმაში. ფერმაში კაცები მუშაობდენ მაშინ, რძისგან ყველი ამოყავდათ და **ყიდიდენ**.

ტრაქტორი **სა** იყო, ერთი მანქანა **დაკინკილობდა** მაშინ, **დომენტი ბენდელიანს** ჰყავდა „**ჩეტირისტა ადინ**“. ლხინშიც **უძახოდენ** და ჭირშიც. ძირითადად ვიყენებდით ხარ-კამეჩს, გუთანს, ურემს.. ასე ვწვალობდით თავიდან. ციტრუსის გარდა, ახალდაბა წამოსწია მებოსტნეობამ. საზამთრო **მოყავდათ**. კიტრის სათბური მქონდა მე. სათბურში **ფეჩეები** მედგა. მიხაკის მოყვანაც დავიწყე, ქუთაისში ჩამქონდა, ვყიდიდი. ქალი მეხმარებოდა. ყველაფერს ასწრებდენ მაშინ ჩვენი ქალები. ჩაის **კრიფავდენ**, დილას ადრე **მიდიოდენ**, იქიდან მობრუნებული, ოჯახს **უვლიდენ**, ბავშვებს სკოლაში, ბაღში უშვებდნენ, სადილ-ვახშამი, სარეცხ-საუთაო, ეზო, სახლი და საღამოს **კიდო** სტუმრების მიღება. კი იტანდნენ მაშინ. ახლა ვინ იზამს მაგას?!

ბოსტნები კარგი გვქონდა. ყველას ერთნაირი – არა, რა თქმა უნდა! მოვლა უნდოდა. მიწას ნაკელი ჭირდებოდა. ყველაზე კარგი ბოსტანი ახალდაბაში **გენატრე შამუგიას** ჰქონდა, უკეთესს რას ნახავდი! ყველაფერი **მოყავდა** – კომბოსტო, კიტრი, პამიდორი, **იმსისხო** პრასის ფოთოლი არ მენახა, მაგის ბოსტანში **რო** იყო, მწვანილი...ახლა სტუმარს **რო** კაი ავეჯს ანახებენ, შეგვიფასეო, მაშინ არა, ბატონო! – კარგად გაკეთებული და მოვლილი **ბოსტანით** მოქონდათ თავი ქალებს. კაცებს, რა თქმა უნდა – ვენახით. ზოგს **ოჯალეშიც** კი **ქონდა**, **ციცქა-ცოლიკოურის** გარდა.

აფხაზებს თავიდან არც **ქე** უნდოდათ, ფეხი **მოგვეკიდეზია**, ზოგი **ცერადაც** კი **გვიყურებდა**, მაგრამ ბევრი მიხვდა, რომ მშრომელი, მართალი და ალალი ხალხი ვიყავით, თანდათან დაგვიახლოვდენ. მამაჩემთან მოდიოდენ ხშირად. სოფელ **ათარადან** მახსოვს **ახუბა**, **არძინბა**, **ადლეიბა**, **კვიწინია**... ვენახის მოყვანა უნდოდათ ესწავლათ, აბა, მაგათ მარტო ველური ყურძენი **ქონდათ**, რა იცოდენ კულტურული ვაზის გაშენება! მამაჩემი ასწავლიდა, ნერგები ლეჩხუმიდან ჩამოუტანა. აუხსნა, როდის უნდა დაერგოთ, როგორ უნდოდა **გასხლვა**, **ფურჩენა**...**როდი** უნდოდა შეწამვლა...

ყველა აფხაზი ერთნაირი არ იყო. ზოგი გვიმეგობრდებოდა, ზოგი – არა. ბიძა მყავდა, ცოცხლად დამიწვეს ომის დროს. ობლად იყო გაზრდილი, სამ დედინაცვალგამოვლილი. **ბოვშობისას** დაბანილს კაკლის ძირში **დოუშინია**. **რავა** შეიძლება კაკლის და ლედვის ძირში დამინება! ლედვის ხეს ეშმაკისას **უძახიენ**. აყვა საწყალს მიწიდან დამბლა, ფეხები არ განუვითარდა, მარა **მაგიორში** გონება განუვითარდა ისე, გააკვირვებდა კაცს.

წიგნი უკუღმაც **რო დევკავებია**, მაინც ჩვეულებრივად შეეძლო წაკითხვა. სტუმარი **რო** მოვიდოდა, **ტაბლას** გავუშლიდი ხოლმე, ისე თამალობდა ეს ინვალიდი კაცი, გაგაკვირვებდა. ჭკვიანურად, აზრიანად ლაპარაკობდა, ყველა სიამოვნებით უსმენდა ხოლმე. ერთხელ აფხაზები გვყავდა სტუმრად. შევეყვით სუფრას. ერთი **კვიწინია** იყო, დამლოცა: გაიხარე და ისე გამრავლდი, რომ შენმა ნამრავლმა **ჩემ** სოფლამდე მოაღწიოსო. მეორეს ფერი წაუვიდა, იქით **გეიხედა** – არ **მეეწონა**. ბიძაჩემმა შეამჩნია და **რო წევიდენ**, მითხრა, არ უნდათ მაგათ **მაინდამაინ** ჩვენი გამრავლება და **ფეხმოდგმა** აქ, დიდი სახლების შენებას თავი დაანებეთ, **მითქვია მე, მაინ** ასაყრელი ვიქნებით აქიდანო. გონიერი კაცი იყო, იწინასწარმეტყველა.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა.

სკოლა ახალდაბაში დავამთავრე. 50 წლის იუბილე გადავიხადეთ დამთავრებიდან. ძალიან კარგად მოვემზადეთ. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე აფხაზი გვყავდა – **ნუგზარ კაცია**. არ იყო ცუდი ადამიანი. გვერდში დაგვიდგა თითქოს, დახმარება აღგვითქვა... სპორტული ღონისძიებები დავგეგმეთ, გამოვიკვლიეთ, ვინ დაიბადა პირველი ლეჩხუმიდან ჩამოსვლის მერე ახალდაბაში – **გიგლა ყურაშვილი** აღმოჩნდა... სადამოს სუფრა უნდა გვექონოდა. მივადექი ერთ აფხაზს, **ჯიკირბა** იყო გვარად, მოზვერი მინდოდა მეყიდა. უარი მითხრა – რა საქმისთვისაც გინდათ, **იმიზა** არ მოგცემთო. გავბრაზდი და **წამევედი**. მერე **კინდლში** ვიყიდე. არც ღონისძიებაზე და არც სუფრაზე არცერთი აფხაზი არ მობრძანდა, არც – სოფლსაბჭოს თავმჯდომარე. რა უნდა დაარქვა ახლა ამას? **მაინ** არ სიამოვნებდათ ჩვენი მოლხენა და ქეიფი მაგათ.

სადღეგრძელოები თუ იცით აფხაზურადო, მკითხეთ. აფხაზურად ვერ გავმართავ, მაგრამ მეგრულად კი შემიძლია. ხშირად ვიყავი თამადა, ახლა მოვხუცდი და ქორწილებში აღარ მაწუხებენ, ჭირში – კი, ბატონო. აფხაზეთში **ღვინის დაღვეის ოლიმპიური წესი** იყო – ვახრჩობდით ერთმანეთს ღვინოში. აქ ასე არაა – ღვინის ჭიქას ვინ **დაგათვლევიებს?! ამგენიზა** ეს **შეურაწყოფაა**.

ერთხელ ქუთაისში მომიწია თამალობა. არ მეკუთვნოდა, ღმერთმანი. ვეცადე, თავი არ **შემერცხვინა**. სუფრა რომ დასრულდა, ქალები მოვიდნენ – ბატონო, ჩვენ თამადას საერთოდ არ ვუსმენთ, **მარა** ახლა ისე დაგვაინტერესეთ, საქმელის ჭამაც კი დაგვავიწყდაო.

ერთხელაც მივხვდი, **რომე** სტუმრების უმრავლესობა სამეგრელოდან იყო. მაშინათვე გადავედი მეგრულზე. ვერ ვიტყვოდი თუ რა? **თქვანი გოლიაფირო**, **თქვან ჭირიმა**, **გულით გეხარი... დევითაფლე**. ადგა ერთი კაცი, მოვიდა, მეკითხება: **მარგალი რექო, წიე?** – მეგრელი ხარო, რა გვარისო? მე ვთქვი, გევიხუმრებ – **თქვა, ნემსაია** ვარ-**თქვა**, მევიგონე უცებ. თურმე მართლა ყოფილა ამ გვარის კაცი აბაშაში – **ნიკოლოზ ნემსაია**. თუ იცნო-

ბო, ათასი კითხვა დამისვა სტუმარმა. **ხვარ** მომეშვა! გამხმარი ჩემი ენა! – იცოცხლე, მერე კი ვინანე, რამ **მათქმევია-თქვა**.

ახლა თქვენ ანადზად იქნება გაიფიქროთ, ამ მოხუცს **ენა არ ეგვალვებაო**. მოხუცს რომ მიწოდებდნენ, კი არ მომწონდა, მაგრამ ახლა შევეგუე, სხვა რა გზა მაქვს:

„სანამ მიძახდნენ ბიძიას, ასაკი მე არ მიგრძენია.

რომ მეძახიან ბაბუს, სიბერეზე ვარ ყაბულს!”

ჩემს სოფელზე წიგნს ვწერ, ბატონმა **დავით ფაცაცია**მ გამიწია დახმარება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხარი დამიჭირა, მეც მოვინდომე – **საქმეს პატარა ცეცხლის შენთება უნდა**, ისე არაფერი არ გამოვა. რედაქტირებასაც მე ვაკეთებ, **თვარა იმისანე** რამეს დაწერენ....**„ღალიძგის წყალის მაგიორ ღალიძის წყალი დოუწერიათ**. გადავრიე – ღალიძის წყალი ღიმონათია, ბიძია და ღალიძგა მდინარეა-თქვა... თუ არ მიაკითხე, ასე დატოვებენ სამარცხვინოდ.

მე ჩემ სოფელში რამდენი ნაძვი იდგა, ისიც კი ვიცი (310) , 147 გვარი ცხოვრობდა. რაც მახსოვს, მეც მეამება და სხვასაც – ყველაფერს **მოუყარე** თავი წიგნში. მერწმუნეთ, წიგნი წაკითხვამდე 20 ლარი თუ ეღირება, წაკითხის მერე – 50;

კერძები

ახალი ჩამოსულები **რო** ვიყავით, რა თქმა უნდა, ლეჩხუმურ საჭმელებს ვაკეთებდით ძირითადად. ლობიანებს. ლორი უხდებოდა. ჩვეულებრივ ლობიოს რამდენიმენაირად აკეთებდნენ. ძირითადად ორი მახსოვს: ერთი – ჩვეულებრივი, **გალესილ – გაქნილ ლობიოს რო** ვეძახით, შეკმაზული. **ღორის შაშხი** უნდა **ჩაახარჩო** და კაი ქინძი ჩააჭრა ბლომად. მეორე – **პირშილი, კაკალი ლობიო**. ნიგოზი უხდებოდა ძაან.

ლობიოს ქოთანში ვაკეთებდით – მაგას აქვს გემო. შუა ცეცხლი მენტო **სამზადისში**, ღია ცეცხლზე ვამზადებდით ლობიოს, ღომს, ელარჯს...

ვაცხოვდით ხაჭაპურს, ლავაშებს, **ნიგვზიან პურებს**. საერთოდ, ლეჩხუმელები თონეს ამჯობინებენ საცხობადაც და შესაწვავადაც. სამზადისში ორი თონე მედგა – ერთი ლობიანებისთვის, ლავაშებისთვის, ხაჭაპურისთვის... მეორე – გოჭის შესაწვავად, ქათმებისა... სადაც გოჭს წვავდი, მარილს **ხო უშობოდი** ხორცს და თიხას აფუჭებდა, **ამიტო** მეორე თონეც მქონდა პურისთვის.

ჩახოხბილი ვიცით კარგი. ხახვი, პამიდორი, მწავანილები უნდა ბლომად, **კაი** ცხიმისანი დედალი...საცივი ხო თავისთავად.

4 ძროხა გყავდა, 100 ფრთა ფრინველი, ლორი **კიძო** – ბევრი. **შაშხი** სულ კეთდებოდა **ჩვენსას**. კარგად უნდა **დაგემარილებია**, მერე **ჩამოგეკიდა**, გაგემრო, რა ჯობია ჭადთან. ჭადის გარეშე ვინ იქნებოდა, თუმცა აფხა-

ზეთში ჩამოსულებმა ღომი და ელარჯი ვისწავლეთ მეგრელებისგან. ხშირად ვაკეთებდით. ყველს და სულგუნს არ ვყიდულობდით, ჩვენი გვქონდა.

საქონლის მოვლა არ იყო ძნელი იქ – **გოულე სამწყროვის** კარი, წავა, იბალახებს და **ქე** მოვა სადამოს **სახში**. **აქანე**, იმერეთში კი **მეცოდებიენ** – ხელზე თუ **გამეიზამენ** ბაწრით საქონელს, **თვარა...მიწა** და საბალახო სადაა?! აფხაზებისგან კერძები ბევრი არაფერი გვისწავლია, პირიქით – იქით ვასწავლეთ. რა იცოდენ **მაგენმა** – მოხარშავდენ ხორცს და ეგაა. აჯიკას **უშობიენ**. აჯიკა **კაი** იციან. ისე თხას **ხარშავდენ** რძეში აფხაზებიც და მეგრელებიც. კი იყო გემრიელი ნამდვილად. **ქორწვილებში** და დიდ სუფრებზე შემოქონდათ **მთელ-მთელა** შემწვარი თხები, სინებზე დამდგარი. გლახა შესახედავი კი იყო, **მარა** რას შეჭამდი უკეთესს! კერძები მეგრელებმა **იციენ** ნამეტანი გემრიელი, **პიმპილას უშობიენ** ბევრს **თვარა...** ერთი ფხალეულობა არაა **მაგენის** ისე **შიშხათი**, როგორც აქ, იმერეთში. აქ კმაზავენ სხვანაირად, ნიგოზს **უშობიენ** ზლომად.

ვაზიდან ძირითადად **ცოლიკოურმა** იხარა და **ციცქამ**. **უსახელოური** არ გაიხარებდა, იცოდა მამაჩემმა და არც ჩამოუტანია ლეჩხუმიდან ნერგები. **უსახელაურის სამშობლო ოყურეშია**, **ზუბშიც** არის, **მარა** ვერაა ისეთი, როგორც ოყურეში. ადგილმდებარეობასაც **ხო** აქვს მნიშვნელობა. არც **რქაწითელმა** ივარგა, **თვარა** კი ჩამოვიტანდით კახეთიდან. მაგი კი არა, გორიდან ვაშლის ნერგები რომ ჩამოიტანეს, მამაჩემმა უთხრა, არ იხარებს ეგ აქო. დარგეს **მაინ**. ძირში **წევიდა** ყველა, ზევით იგი არ ამოსულა...ციტრუსი მოდიოდა უხვად, თანაც აფხაზეთში მოყვანილი მანდარინი თუ ფორთოხალი გაცილებით ტკბილია, ვიდრე – აჭარის.

ღვინის დაყენებამდე არყის გამოხდა **დეიწყეს**. ტყე იყო გარშემო და ტყეში უამრავი პანტა-ხილი, **აგროვებდენ** და არაყს ხდიდენ. ღვინის გაკეთებაც მალე ისწავლეს, მათ შორის – შაქრიანის. ერთი მეზობელი გყავდა – **რაფიელ ჩაკვეტაძე**, სოფელ **ისუნდერიდან** იყო. რო შეგეხედა, ორი ძირი ვენახი ედგა და ყიდდა და ყიდდა ღვინოს. გამდიდრდა კაცი, **კაი** სახლი **დეიდგა**, **ხელი მეიწყო**. თურმე შაქარს **უშობოდა...** მერე სხვებმაც კი ისწავლეს – შაქრიანს ყიდდინენ, სუფთას აბა ვინ **გეიტანდა** ბაზარზე – თვითონ **მეიხმარდნენ**. ფელამუშს ჩვენ **ადესიდან** ვაკეთებდით სიმიდის ფქვილით. **რო** ვადულებდით, სასწაული სურნელი **ტრიალობდა** ირგვლივ. **აქანე**, იმერეთში, ქალაქში უფრო, სუფრაზე მუქი ფერის ფელამუშს **რავა** დადებენ, თეთრი ყურძნისგან უნდა იყოს, **რო** დაამშვენოს მაგიდა. ღვინო ყველას ქონდა სოფელში, ვაზს უვლიდენ. ქართველი ვაზის გარეშე ვინ ნახა:

„ყველა ქართველს ვაზი უყვარს

საკუთარი შვილის დარად,

მოუთმენლად ელოდება

ვაზის მტევნებს გასახარად”.

მკურნალობა

ხალხური მეთოდებით მკურნალობდა ხალხი. გვყავდა **შემლოცველები**. განსაკუთრებით აქებდენ **ანეტა ჩაკვეტაძეს**, რომელიც „მონადებს” და „წითელას” ულოცავდა. სამი შელოცვა და ადამიანი კარგად ხდებოდა. „წითელა” კი მოგეხსენებათ, ინფექციური დაავადებაა, მაგრამ მისი მკურნალობის სხვა მეთოდებიც იცოდნენ: **მოუწყობდენ** ოთახს წითელი ფერებით, ბუშტებით, ყვავილებით...ქათამს შეაბამდნენ წითელ ლენტს, ცდილობდნენ, კარგი განწყობა შეექმნათ ავადმყოფისთვის. **ხო** გაგიგონიათ, განწყობა, იუმორი, კარგ ხასიათზე ყოფნა წამალზე უეფარიო! **მოყავდენ** მომღერალი ქალები, გიტარაზე დაკვრა **რო** იცოდა, ან – ფანდურზე. ჩამოუვლიდა ე ქალი **დავლურს**, თან მღეროდა, **სხვაი კიდო** უკრავდა და ასე ამხიარულებდენ ბატონებიანს. ოჯახის კაცებს ღვინო და არაყი არ უნდა მიეკარებიათ პირზე. **რავა** შეიძლებოდა. **სახში**, სადაც ბატონები **ბძანდებოდა**, ხმას ვერ **ოუწევდი**, ხმაური, ჩხუბი და გაწევ-გამოწევა აკრძალული იყო. ავადმყოფს კამიან წყალში უხარშავდნენ ქათამს და იმას აჭმევდენ. მკურნალობდენ წურბლებითაც, **მდელოთერაპია**? ჰქვია მაგას. 9 მარტს უნდა დაგესვა. ამბობდენ, 9 თავი დაავადება გამოყავს ორგანიზმიდანო. ძველებმა ყველაფერი იცოდენ – ამ წურბლების დასმის მერე ჩიტივით იყავი, არც წნევა გაწუხებდა და არც – სახსრები.

ფიტოთერაპიაშიც არა გვიშავდა. სოფელში იყო მკურნალი **ზინა დათუსანი**, ის ამზადებდა **საყმაწვილოს წამალს**, **კუდას** ეძახოდენ მეგრელები. ერთ წლამდე ბავშვს, კრუნჩხვები **რო** არ **ქონდეს** და მაღალი სიცხისგან გართულებები, **იმიტო ასმევდენ**. წინასწარ უნდა **დაალევიო**. **ბოვში რავარც დეიბადებოდა**, მაშინათვე ზინას მიაკითხავდენ წამალზე.

მუცლის ტკივილის დროს დათვის ნალველას ხსნიდენ წყალში და ასმევდენ, **კიდო იცოდენ** საფანტით მკურნალობა-მარლაში გაახვევდენ **საფანტს** და მუცელზე დაადებდენ. გაციებას სხვადასხვანაირად უვლიდნენ. 15 წუთით ადრე დაწოლამდე ცხელ წყალში (სანამდეც **გოუძლებ**), ფეხები უნდა ჩააწყო. სისხლი ამ დროს იცვლის ტრაექტორიას. კომბოსტოს და თეთრი ფხალის ფურცელი, თაფლწასმული, გულ-მკერდზე ხველების დროს... ახლა დიდები ერთ **სტოპკა** ორნახადსაც კი **გადაკრავდენ**, ესეც შველოდა, **რო** იცოდე. **ძაან** კარგად ვიყენებდით „ბანკებს”. ღამე **დაგაკრავდენ** და დილას შვებას გრძნობდი უკვე. ახლა **სადაააა?**

ომი

გლახა საქმე გვიქნეს რუსებმა. მაგათ **რავა** უნდა **დოუჯერო**?! რუსეთი სიტყვით ერთია და საქმით – მეორე. ე ჩვენი მეფეებიც გულუბრყვილოდ **ენდობოდენ** მაგენს. ტოტლებენმა რა გვიქნა, **ხო** გახსოვთ? ახლაც ვიცი

ზოგიერთი ქართველი, თვალეზიერებული რო უყურებს რუსს. დამხვრიტეთ თუ გინდა, არასოდეს არ იქნება მაგენისგან იმედი – რაც არ უნდა უმახო ბაბაია, არ იქნება ხეირი!

ის, რაც ჩვენსა და აფხაზებს შორის მოხდა, მაგათი ნამუშევარია. შენ ჭკუა მეტი თუ გაქ, კი არ უნდა აყვე, მარა... ამ კონფლიქტმა დაშალა ოჯახები. ცოლი იქით დარჩა, ქმარი – აქეთ, ანდა – პირიქით. ეგი ახლა რუსებისთვის დიდი გაჭირვება კი არაა, მარა ჩვენთვის – კავკასიელი ხალხისთვის, ტრაგედიაა. სიყვარულმა არ იცის ეროვნება. ერთი ქალი იყო, თუთისანი გვარად, 9 შვილი გოუზარდა აფხაზს. არ ატანდენ მშობლები, მარა ფანჯრიდან გადაიპარა და გაყვა. მეც მყავს რძლები აფხაზები, სიძე... აქით არიან, ლტოლვილობაში არჩიეს ცხოვრობა თავიანთ ქმარ-შვილთან. იქით ქე გადადიან, ჩვენ ვერ მივდივართ თვარა.

ტანკები რო შემოვიდა სოფელში, როგორც ლეჩხუმელი იტყვის, რო შემოხლიწინდენ, მაშინ ვიყვირე, არიქა, ბოვშები-თქვა. დავავლეთ ხელი პატარებს, შევისვით ზურგზე, წიპოლიკით გამევიქეცით. ბიძაჩემი ვერ გამევიყვანე. რავა მეგონა, ინვალიდ კაცს თუ დოუშავდენ რამეს! მაინ არ დავტოვებდი, მარა პირველ რიგში პატარები უნდა გამოგვეყვანა. გლახაა, არჩევანის წინაშე რო დადგები... ბოვშებმაც გაგვიმართლეს, არ უტირიათ, შიშისგან სულ ჭაობში და ეკლებში ვიარეთ, ეკალი გვიბუჯავდა თმებს, ტყვიებს წუთილ-წუთილი გოუდიოდა. არ ვიცი, რაფერ გადავრჩით. ჩვენს უკან ომანამეების ოჯახი მოდიოდა, ჩაცხრილეს ყველა. ხო, აპაა! ნახევრად ტიტვლები მოვრბოდით, გზაში ვხიკავდი ვინცხეის დაყრილ შარვლებს და ბლუზებს. სადამო ხანს მოვალწიეთ სოფელ კინდლში. კი ვიქნებოდით ასე 400-მდე. ერთი იმდენი ტყვედ ჩაიგდეს სოფელში. მიგვიდენ იქაურებმა, პურიც მოგვაწოდეს, საჭმელიც... თუმცა იგიც კი მახსოვს, ვაშლს რო წოუწიე ხელი ხეზე, ამიყვირდნენ. გამიკვირდა, მართალი გითხრა, აფხაზეთში სანე უნდა გენახა ამნაირი კუნიახი. კი ვუთხარი – ხვალე ან ზეგე აქამდეც მოვლენ, სამწუხაროდ, არც შენ იქნები და არც ეს სოფელი, გგონია გადაურჩებით-თქვა? ჩვენ მოგვარიალეს, ამოგვანკვინკვილეს და თქვენ გვერდს აგივლიან-თქვა? კი არ ფიქრობდენ ამდენს.

გვართ ვერავის გაარჩევდი. ჩაკვეტამეც ვიცი აფხაზი და ჩალამეც. ჩალანძია იყო აქეთ, არადა ქუთაისში ღვიძლი მძა ყავდა ჩალამე.

ისე აგიხდა ყველაფერი კაი – დადგა კინდლელების ჯერი, სამწუხაროდ. რავა გოუზარდება ჭკუათმყოფელს?! ტყვედ ჩაიგდეს ლერი მიქაია – სკოლის მასწავლებელი და მისი დები. საწყალი გამოუშვენ კინდლში. ხალხს შემოუთვალენ: გამოდით ყველა, დააწყვეთ იარაღი ასფალტზე, გადავუვლით ტანკებით, იარაღს გავანადგურებთ, მერე გაგიხსნით გზას და გაგიშვებთ ცოცხალს ყველასო. მე უკან უნდა დავბრუნდე, თვარა დამიხოცავენ დებსო, თქვა მიქაიამ და წავიდა. დაიწყეს ფიქრი, რა უნდა ექნათ,

კიღმე დათანხმდენ. ვიყვირე: არიქა, არ ქნათ მაი-თქვა. რას ჩორბოტობენ, მაგის ამსრულებელი ვინ არის-თქვა? **დახოცავენ** ყველას ან ტყვედ აიყვანენ და მერე ქართველებს ვაჭრობას **დოუწყებენ**, ულტიმატუმს **წოუყენებდენ-თქვა**. ერთი **გეგეჭკორის** კაცი იყო, ამყვა იგი, დამიჭირა მხარი. ჭკუადაბნეულების **ბურძალობას** ხო არ **დევეთანხმებოდით?** არევინ არ **დეეთანხმა** ულტიმატუმს. სადამოს მევიდა **გარიჟინებული კიტოვანის** ხალხი. **ქობალიაც** იქ იყო. შევიდა კიტოვანი ახალდაბაში პატარა რაზმით. სად მიდიხარ, რო მიდიხარ?! **იქანე უკვე** მიდიოდა მარცვა, გლეჯა, სახლების გადაწვა... 7 კაცი მოუკლეს, კი გამობრუნდა აქით. სოხუმში მივდივართ ჩვენო. **რაის წამსვლელი იყო!** რას **შევიდოდა!** სოხუმში კი არა, კოდორს იქით ვერ **გადევიდენ!**

რამდენი უდანაშაულო ადამიანი **დეილუპა**, ვინ იცის. სკოლის დირექტორი – **რაჟდენ ქაჟაია** ჩაიგდეს ხელში **ბოიევიკებმა**. „აბა, თქვი, ვისი მიწააო?– კკითხებოდენ თურმე. წამებით მოკლეს. ზოგი ოჯახი მთლიანად ამოწყდა. სულ ვფიქრობ მიტოვებულ საფლავებზე, ჩვენს გმირ ბიჭებზე. ლექსიც კი შევბედე მათ ხსოვნას:

„ო, აფხაზეთო, თვალმარგალიტო!
მიწავ ქართულო, ჩვენო სახატევ!
შენტვის დაღუპულ ვაჟკაცთა სული
თოლიებივით ცაში ფარაფატებს.
მზემ ღრუბლის მძიმე ფარდა გახია,
იქ ხომ ლამაზი მთა და მდელოა!
სადაც ქართველი კაცი მარხია,
ყველგან პატარა საქართველოა!”

გამოსვლა გაგვიჭირდა. ჯერ ბავშვებზე, ქალებზე და მოხუცებზე უნდა გვეფიქრა. კიტოვანს დიდი მანქანები **ყავდა**. ჩავსვით ამ მანქანებში მოხუცები (მამაჩემიც გამოვუშვი), ბავშვები, თქვენ **მაინ** გადით ამ ჯოჯოხეთიდან-**თქვა**... ჩვენ დავრჩით.

ჩვენ ძლივს გამოვალწიეთ. ოჩამჩირემდე მოვედით და მერე **იმერეთმა ავტობუსები მოგვაშველა**. წყალტუბოში ჩავვიყვანეს. იქ სანატორიუმები ცარიელი იყო და შეუშვეს ხალხი. ჩემი და ცხოვრობდა წყალტუბოში, **მარა** იმასთან არ დავრჩი. მე ვუთხარი, ჩვენ მთავრობამ დაგავაზარალა და შენ რა შუაში ხარ, ახლა **რო** დაგაწვე კისერზე ამ ჩემი ოჯახით-**თქვა**. სანატორიუმში შევედი. დაკავებული იყო ყველა ოთახი. ექიმის კაბინეტი ვნახე დაკეტილი, ვითომ და არ **აღებდენ**, **მარა** მოვწიე და გავტეხე საკეტი: ვის უნახავთ ახლა ამას, **რაის დამსვენებელი ჩამოგივით აწი-თქვა**, ვუთხარი **ფერშალს**.

ვცხოვრობდით, თუ ამას რამე ერქვა. შევარდნაძე გვიგზავნიდა **ქაშის**... ვუყურე, ვუყურე და მივხვდი, ასე არაფერი **გამევიდოდა**, არც იმედი იყო არსაიდან – **წევედი** რუსეთში. დაბნეული კაცი არ ვარ და მოვერგე საქმეს,

ვშრომობდი, ვწვალობდი. ორ წელიწადში ბინა ვუყიდე შვილს, ჩემთვისაც ვიყიდე. ნეტაი, კიდე დავრჩენილიყავი, ძმისშვილსაც ვუყიდი. მარა ქალებმა არ გაჩერდნენ, ბოვშები მოგვენატრაო. ვაი ქართველიც გამოჩნდა, ახლა უკეთესი მდგომარეობაა საქართველოშიო, დაგვაჯერა. ჩემი პარტნიორი იყო, მიმტყუნა – თურმე ჩემი საწყობის ჩაგდება უნდოდა ხელში. ჩამოვედით. სად იყო უკეთესობა, გარე ვერ გახვიდოდი შუადღის მერე. კიდე კაი, სახლი მაინც მქონდა ნაყიდი. დავიწყე აქაც შრომა ხელდაპაწიკებულმა. მანქანების ხელოსანი ვარ. საბჭოური მანქანების გულის ექიმი, კარდიოლოგი. ჩემი ხელი არ ჩერდება და კი ვცხოვრობ. აქაურობასაც შევეჩვიე. ვხვდებით ახალდაბელები ერთმანეთს, არ ვივიწყებთ. კილო კი შევინარჩუნეთ, თუმცა იმერულის გავლენა მაინც იქნება, ამდენი ხანი აქ ვართ და...რაც არ უნდა კარგად მოვეწყოთ, ფიქრი არ გვასვენებს. რაფერ იქნები, როცა იცი, რომ შენი ნაშრომ-ნაჯაფი განადგურებულია და მომსპარი. ერთი ჩემ სახლ-კარში დამაბრუნა, მეტი რა უნდა მინდოდეს:

„წლები გადის, წლები გარბის,
ვერ ვეწევი ამ ტიალ დროს.
მეშინია, მძიმე სევდამ
დროზე ადრე გამიავდროს.
ვერ ვივიწყებ, რა ვქნა, მახსოვს,
მენატრება ჩემი ქუჩა.
სიზმრად იქ ვარ, ცხადში – აქეთ,
ლოდინს ბოლო აღარ უჩანს.
ბედისწერავ, გევედრები,
ერთხელ ამომიდექ მხარში.

სული იქით ისწრაფვის და
დამაბრუნე მე ჩემს სახლში.
ის ბავშვობა, ის ნათელი
სიჭაბუკე მიყვარს და მწამს,
ჩემი ფეხის ნატერფალებს
მომაფერე, გთხოვ – იმ მიწას!
გადამრიოს სიხარულმა,
ავმღერდე და იქ ავროკდე,
მშობელ კუთხის სითბო ვიგრძნო,
მერე თუნდაც იქვე მოვკვდე”;

მახსოვს სიტყვები, რომელსაც სულ გამოვიყენებდით, ზოგი აქანე შეერია:

დაკვერცხილი – დაფეხვილი, პატარა;

ბამბაოზი -ზედმეტად ასუქებული;

ბლიყიანი – სული ყელში რო აქ ამოსული, ფეთქებადი;

ყორე – ქვის ღობე;

ტუტური – ტუჩები;

პოხონდრიე – ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს რო იღებს, მოუფიქრებელს;

წინაპლანობს – პირველობა უნდა, იბზიკება;

იმწუთხება – სახეზე წუხილი ატყვია;

დონდლო – უფხო;

სოხანე – მიწიან იატაკი;

ლაფარო – სახლის ყურესთან დატოვებული წყლის გასასვლელი;

ყვიზარი – პატარა ქური;

ბურძალობა – საქმეს რო თავს ვერ ადგამ;
 გამოტყემლილი – თვალეზამოშავებული და ფერწასული;
 გამოციებული თვალეზი – მიზნედილი, უაზრო – ბევრი შრომისგან, დაღ-
 ლილობისგან;
 ღჯონები – ცუდი კბილები;
 ხალამი – ყველის ჭურჭელი;
 მორიალება – განადგურება;
 მოკვინკვილება – ამოწყვეტა, განანადგურება, გაჩანაგება;
 ჩხინკორე – ძალიან სუსტი;
 დურმუზელა – ძალიან მსუქანი;
 წამოგანძული – ფართოდ განზე გაწოლილი;
 ბემბეცო – უკუნი, ძალიან ბნელი;
 მოცხუნკული – დაბალი;
 ქოქი – სწრაფი;
 ოროშა – გაუმადლარი;
 ამწიორებული – ნაჩქარევად სიმაღლეში წასული;
 გამოპენტელეხული – ძალიან მთვრალი, ჭკუა რომ არ მოეკითხება და
 სხვ.

ილუშა ნემსწვერიძე [85 წლის]
 (ოჩამჩირე – წყალტუბო)
 თამილა ზვიადაძე
 2024 წელი

ჩემთვის რავა მივიტამალებდი?!

ჩემი გვარი კოპალიანია, ჯანელიძე მყავდა ქმარი და მის გვარზე ვარ. 86 წლის შევსრულდი და ჯერ კიდევ არ ვუჩივი ჯანს. დავიბადე ცაგერის რაიონის სოფელ **ლუხვანოში**. ორი წლის ვყოფილვარ, როცა ჩემი მშობლები ლეჩხუმიდან აფხაზეთში ჩაუსახლებიათ. სამტრე-
 დიაში ჩამოსული, მტრედებმა გამაოცა. ჩემს სოფელში **სა** იყო მტრედები, მე არ მინახია და... მამამ მითხრა, ამდენი **ტრედი** რომ არის, ამიტომაც და-
 არქვეს ქალაქს სამტრედიაო. არ ვიცი, ასეა თუ – არა, ჩემთვის დღემდე მტრედების ქალაქია სამტრედია.
 ოჩამჩირეში ჩაუსახლებიათ ჩემი მშობლები, სოფ. ცაგერაში, მაისის თვე ყოფილა. ადგილზე მხოლოდ პატარა სახლი დახვედრიათ, **ბერიას სახლს** რომ ეძახდნენ, თუ გაგიათ. არა – ეზო, არა – ლოზე, არც – ხეხილი... მალე მამა ომში გაიწვიეს და დავრჩით მარტონი. ვიწროდ ვცხოვრობდით, თა-

ვიდან გვიჭირდა, დედაჩემი მჭადს რომ გამოაცხოვდა, ნახევარს მე მომცემდა, ნახევარს – ჩემს ძმას, თვითონ ჭყინტი ლობიოს ან კვახს მოიხარშავდა და ასე **ფობიალობდა** საწყალი. **მაინ ვარგიანი** ქალი გამოდგა, არ დააბნია გაჭირვებამ და მარტო ყოფნამ, მამას ჯარში ჩააკითხა, ახალციხეში მსახურობდა და არ იყო იქ ნამეტანი **ცეცხლიკიდება**. დამთავრდა ომი და **ქე ჩამევიდა** ი კაცი უვნებელი. სამხედროებმა **ჩამეიყვანეს** დიდი **დროგით**, ჩამოგვიტანა კონსერვები, ნატეხი შაქარი – ვის ჰქონდა მაშინ! საიყო შაქარი **ჩვენ საიმანოდ?! მამაჩემის ჩამოსვლის** მერე რა გვიჭირდა?! თანდათან ყველაფერი შევიძინეთ – საქონელი, ფრინველი მოვაშენეთ, ყანები დავთესეთ – სიმინდიც გვქონდა, ლობიო, სხვა ბოსტნეულიც. ორი და შემეძინა, ოთხი ვიყავით სულ, ყველა ნიჭიერი და სწავლის მოყვარული. თამაშიც მიყვარდა. თამაშებიდან „**ცეცხლობა**“, „**რიკაობა**“, **დამალობანა** მახსოვს. განსაკუთრებით კითხვა მიტაცებდა. თუ სადმე წყნარ ადგილს ვნახავდი, დავჯდებოდი და კვითხულობდი. ერთხელ, მახსოვს, ლისაშვილის „ნათელას“ წასაკითხად **ეზო ბოლოში წვევდი**, სიმიდები გვქონდა იქ და **ჩვეიმალე**. ვიჯექი ჩემთვის და კვითხულობდი ისე, რო სულ არ მინდოდა არაფერი სხვა. დედაჩემი მეძებს, მიძახის: სად ხარ, მომეხმარეო. არ **გვეილე ხმა** კაი ხანს, მერე გამოვედი, არ გამიწყრე, წიგნს კვითხულობდი-თქვა, ვუთხარი. – **დედაია, რა ვქნა**, რა მოგიტანა მაგ წიგნმა, საქმე გავაკეთოთ, იგი ჯობიაო – მიპასუხა.

დედაჩემი დაუზარელი ქალი იყო, სულ რაღაცას აკეთებდა, რამდენი რამე იცოდა, უნარები **ქონდა** ბევრი. კერავდა ისე **კაი-კაი ბლუზებს**, შარვლებს, **იუბკებს...** მტკაველით ზომავდა. **დამტკალავდა**, დაჭრიდა, სამ მანეთად უკერავდა მეზობლებს. სულ ქონდა ფული ცოტ-ცოტა გადანახული. შვილებიც მშრომელები და **მოსაქნარეები** დაგვზარდა.

ძალიან ნიჭიერი და მყავდა, მამაჩემს გავდა – მათემატიკა იცოდა კარგად, რუსულად ქონდა მათემატიკური დამთავრებული. ახლა რომ **წარამარა მათემატიკოსები** არიან, ისეთი კი არ იყო, მოსწავლეებს ამზადებდა, სკოლაშიც მუშაობდა, **მოუღვეველი მუშა** იყო. ნამეტანს **შობოდა**, თავსაც არ უჯერებდა, **გადატვირთული** იყო ამდენი ნალაპარაკები. **იმისანა** ყურადღებიანი და მოსიყვარულე იყო, **რო** მნახავდა, რამე არ **ეჩუქებია**, რითმე არ **გავეხარებიე**, არ იქნებოდა. ძალიან დამასვენებია მისმა სიკვდილმა. ორშაბათს სკოლაში წასულა, ცუდად გამხდარა, სასწრაფოს გადაუყვანია, **მარა** რაღა დროს – სისხლმარღვი გამსკდარი **ქონია**. **იმისანე** **ჭირის დღე მოუწყვეს**, აფერი დააკლეს. მოსწავლეები ისე ტიროდენ, გული მოგიკვდებოდა: „**დასვიდანია, ელენა ვასილევნაო**“.

ჩემი მეუღლე ბავშვობისას გავიცანი. გურამი არადუმი ცხოვრობდა, იქ სკოლა არ იყო მაშინ, აბურდულ-დაბურდული იყო ყველაფერი... ცაგერაში დადიოდა, სადაც მეც ვსწავლობდი, 36-იანი იყო, ერთი წლით უფრო-

სი ჩემზე. ნამეტანი თეთრი იყო, მოწითალო-მოვარდისფრო სახე ჰქონდა, „წითელი ტურა“ დაარქვეს კლასელებმა – **ბოშებმა რო იციენ რაცხა** ამოჩემება... სკოლის დამთავრების მერე სოხუმში ვსწავლობდი საფერშლო სასწავლებელში, ყველაფერს უცებ ვითვისებდი, ვმეცადინებოდი, **მარა** კარნახი მიყვარდა, ენას ვერ ვაჩერებდი. ერთი ლექტორი გვყავდა, ფარმაკოლოგიას გვასწავლიდა, **მატრაკვეცას** მეძახდა. 1957-ში დავამთავრე და მუშაობა დავიწყე მოქვის ჩაის მეურნეობის საავადმყოფოში მორიგე ექთნად. ათსაწოლიანი იყო, მარა 15 ავადმყოფიც თავსდებოდა. მოქვი იქ იწყებოდა, ჩემი სოფელი **რო** მთავრდებოდა, აფხაზური სოფელი იყო, ქართული იცოდნენ. ჩემი ხნის ხალხმა თითქმის ყველამ იცოდა, რადგან ისინი სკოლაში ქართულად **სწავლობდნენ**, მერე **შეუბრუნდათ ტვინი** და აფხაზურ-რუსული შეურიეს. ძალიან კარგი მეგობრები მყავდა, ზრდილობიანი და ღირსეული ადამიანები იყვნენ. მეუბნებოდნენ, ისწავლე აფხაზურიო, **რავა არ დოუჯერე**, ჰკუა მეტი **რო** მქონოდა, **ქე** ვისწავლიდი... ცოტა კი მესმოდა. მოქვში თითქმის ყველა აფხაზი იყო, მეგრელებიც ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინიც გააფხაზებულები იყვნენ (კვარაცხელია, საჯაია, გოგონაია, გოგუა, კორტავა...). ცუდს ვერაფერს ვიტყვი, კარგი ხალხი იყო. ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა **გვქონდა**. თუ ფეხით მოსიარულეს **დაგინახავდნენ**, აუცილებლად გაგიჩერებდნენ მანქანას, ადგილზე მიგიყვანდნენ. მორიდებით და პატივცემით გელაპარაკებოდნენ, უკეთეს ზრდილობიან ხალხს ქვეყანაზე ვერ ნახავდი...ახლა სწავლით და ცოდნით **მინდამაინ** ვერ **დეიკვებნიდნენ**, **მარა სხვაფრივ** რა უჭირდათ. ერთხელ, მახსოვს, რაღაც ატესტაციას **რო** უძახით თქვენ, **იმისანა** გამოცდა ჩაგვიტარეს მეანობაში და პედიატრიაში. სოხუმში უნდა ჩავსულიყავით. **გვეკითხებოდნენ**, როგორ უნდა იკვებოს მემუშური დედა, რა ანალიზები უნდა ჩააბაროს ფეხმძიმემ... ე აფხაზის გოგოები, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები და მაღალ-მაღალი, აშოლტილები **ქე** იყვენ, **მარა**, რად გინდა – ვერ პასუხობდნენ **ვეფერს**, **ქე იდგენ** დამუნჯებულები. იცოცხლე, მე ვერ გამაჩერეს...კი თქვეს კომისიის წევრებმა (აფხაზურად), ეს ქართველი როგორ პასუხობს და ამათ ხმა ვერ ამოვადებინეთო. მე კი მესმოდა მაგდენი აფხაზური, **რო** გამეგო.

ვმუშაობდი, დაფასებაც მქონდა და პატივცემაც. ვინ დაგაყენა? შემიჩნდა მერე ე კაცი – გურამი და **ქე** გავყევი ცოლად. არა, მთხოვნელი სხვაც ბევრი მყავდა, ასე გათავებული კი არ ვიყავი მაშინ? (თავის ქება არ გამომივიდეს) მშობლებს გავუწიე ანგარიში – თვინიერი ვიყავი. ახლა კი ნამეტანი ენა დავაგრძელე, **თვარა** მორიდებული ვარ. გურამი პატიოსანი, წესიერი კაცი იყო, მშრომელი, თავაზიანი. შუამავალი არ ჰირდებოდა და ვინმეს შეჩენა – ცხრა მეტროიანი ენა **ქონდა** თვითონ, ვერ დაგარწმუნებდა თუ – რა! ნიშნობა გვქონდა პატარა, ორი კაცი **ახთა**, ნათესავი, ჩვენთან **რო**

მოვიდნენ, ოქროს საათი მომიტანეს კარგი. სუფრა ძვირფასი დავახვედრეთ, ჩემო ბატონო. ქალი უნდა გათხოვდეს, აბა სახლში **ხო** არ დააბერებ! სამი წელი დედამთილ-მამამთილთან ვცხოვრობდი, მაზლიც იქ იყო, მერე ცალკე დავსახლდით. ჩემი ქმარი ისეთი კარგი მეუღლე და მამა გამოდგა, **სხვის უკეთესი**. ოჯახის ასეთი მოსიყვარულე კაცი სხვა არც მეგულებს. ყველაფერში მეხმარებოდა, ერთი წუთი უსაქმურად ვერ ნახავდი. საქმეს არ თაკილობდა. ერთ **ხანას** ჩაის პლანტაციების გაწმენდა **დეიწყეს, კანაოებსაც** ასუფთავებდნენ. – წავალ უცებ, **გევიქცევი**, მივებმარები, მაგას **რაფა** ვერ გავაკეთებო, – თქვა და არც **დოუხანებია**. ასეთი რომ იყო, ამიტომ არ გვიჭირდა, ფულიც სულ გვქონდა. სახლიც ავაშენეთ, მანდარინების ბაღიც გავაშენეთ, 8 ტონა ჩავაბარეთ, მახსოვს, ბოლოს. წამოსვლამდე **კილო** უსაშველო იყო მოსავალი, მაგრამ ვინ აგაღებინა?! საქონელი გვყავდა, **გოუშობდი** დილას, იბალახებდა, **მევიდოდენ** საღამოს თავისით. ვენახიც გვქონდა, ბოსტანიც. ღვინო ჩვენი გვესხა: **ციცქა, ცოლიკაური, ადესა-ტალავერზე**.

მეგრელებისგან ბევრი რამე ვისწავლეთ – სუფრის გაწყობა, ღომის, ელარჯის კეთება, გებჟალია, აჯიკა... ლეჩხუმში თურმე ჭადით **ასვენებდენ** მიცვალებულს, არადღში ასე არ **ვშობოდი**. ლეჩხუმური კერძებიც არ დაგვვიწყებია – **იმისანე** ლობიანებს ვაკეთებდით – ღორის **ფენტხს** გავადნობდით და **ვუშობოდი** გატარებულ ლობიოს, თონეში ვაცხობდით. **შაშხს** ვაკეთებდით. **დამწყროული** გვყავდა ღორი, ვასუქებდით, საკალანდოდ დავკლავდით (გურულებივით ჩვენც ვეძახდით ახალ წელს **კალანდას**), თავ-ფეხით „**ხალადეს**“ ვაკეთებდით, არნახულს. ჩემი მეუღლე დაჭირდა, დასერავდა ხორცს, მარილს დააყრიდა. ჩააწყობდა ჭურჭელში, 5-6 დღის შემდეგ შეაბრუნებდა, ქვედა ფენა ზევით **რო** მოქცეულიყო და ზედა – ქვევით. მერე ჩამოკიდებდა გასაშრობად. ჩემ ქმარს მოქონდა ჯირკები, **ფუჟულობდა** კვამლი და შრებოდა. ხორციც ტკბილი იყო და ქონიც. აქაც მოქონდა **ფაჩანური**, აქაც კი დავკალით ღორი და შაშხიც გავამზადეთ. ახლა ვერ ვჭამ – მაწყინარიყო და... რა ვიცი, **ბეჩა**, იქ ყველა მიირთმევდა და **არევისთვის** უწყენია!

არადღე კარგი სოფელი იყო, ძირითადად ლეჩხუმელები ცხოვრობდნენ: **ყურაშვილები, ხეცურიანები, თუთისანები, ლეთოდიანები, ასლანიკაშვილები, კუხალაშვილები, საღინაძეები, კოპალიანები, მამარდაშვილები, ახვლედიანები...** კარგი პირობები გვქონდა. ავტობუსი ჭიშკართან ჩერდებოდა. დილით უთენია ვდგებოდით მეც და გურამიც. საქონლის მოვლაში მეხმარებოდა ჩემი ქმარი. ერთად **რო** ვაკეთებდით, ყველაფერს ვასწრებდით. დილის საქმეებს **მევილევდი** და ყველი მიმქონდა ბაზარში. მაშინ **ორმანეთობა** იყო. ჩავაბარებდი სოხუმში, იმავე **რეისს გამოვყობოდი** უკან და პირდა-

პირ სამსახურში მივდიოდი. 13 წელი ვიმუშავე მოქვში. მალე ჩემს სოფელში გამოჩნდა ადგილი და ჩაქვიდან არადღში გადმოვედი.

არადღში კარგი მეზობლობა გვქონდა. ყველასთან კარგი დამოკიდებულება გამახსენდება. არ მიყვარს ვინმეზე გადაკიდება, თუ რამე არ მომეწონება (ახლა უსაშველო თუ არაა), თავის შეკავება მირჩევნია. რამე **რო** წამომცდეს, ჩემთვის შეუფერებელი, მერე მე უნდა ვინერვიულო. არადა, გავა დრო, გული მოუბრუნდება ადამიანს და **ხო** ჯობია, ცუდი არაფერი ახსოვდეს. უბანში ყველა ერთმანეთის მოკეთე იყო თითქმის. ჩემ წინ ცხოვრობდა ოჯახი, **ნათლიობა** გვქონდა. ახლა ბიჭი თბილისშია, ლექტორად მუშაობს – როლანდი კოპალიანი. მონაწილეობა **აქ** მიღებული ჩვენი სახლის მშენებლობაში. ბლოკს ვჭრიდით, **რასტვორს ვზილავდით** – რას არ **ვშობოდით**. **ლაფათქით** ხელში გვერდში გვედგა სულ ეს ახალგაზრდა ბიჭი. მეორე მეზობელი იყო და ოჯახის ქალი ნამეტანი **კაი** ხასიათის, გადასარევი ადამიანი, **გულერთგული**, მომკითხავი, ყურადღებიანი...რამე რომ **გაეკეთებია** და ჩემთვის არ მოეკითხა, არ იქნებოდა. ასე ვიყავი მეც. ისე მენატრება. **რამენაირად** უნდა ვნახო. პუშკინზე **რო** სახლები აშენდა, იქ მიიღო ბინა. **კაი** სახლები ააშენეს იქ, იმაზე უკეთესი, ჩვენ **რო მოგვეცნ**. ეს პირველად ააშენეს და ნაჩქარევია, **რაცხა ნაფორთხიალები**.

იქ, არადღში, ქალებს უყვარდათ თავშეყრა – სალამოს საქმეს **რო** მორჩებოდნენ, ჭიშკრის პირას **გამევიდოდნენ, ლაპარაკობდნენ**, ქვეყნის საქმეს **არჩევდნენ**, იყო **ლაილუი, ლაილუი** გაუთავებელი – **ირთობდნენ** თავს. მე არასდროს არ მეცალა „**კანაოში ჩასაჯდომად**“ (ჩაღრმავებული ადგილი იყო ეზოების წინ). პატარა ბავშვიანი ქალებიც იყვნენ, იქვე აძინებდნენ ბავშვებს. ყველაფერი არ მახსენდება. ხანდახან ათასნაირი ამბავი მიტრიალებს თავში...

4 შვილი მყავს. უფროსი შვილები ერთმანეთის მიმყოლნი არიან. ორი აკვანი ერთად მედგა. სკოლაშიც ერთად წავიდნენ. უმცროსებს შორისაც არაა ბევრი განსხვავება ასაკში. ლელა ნაბოლარაა და ბაღში **რო** შევიყვანე, მერე კი ვმუშაობდი, ჩემო ბატონო. ყველაფერს მაგათთვის ვაკეთებდით, ჩემთვის რავა **მივიტამალებდი**, ოღონ მაგენისთვის რამე მეყიდა. 100 დოლარი **რო** ჩამეგდო ხელში, ჩემი თავი **რაცხა** მეგონა. მიხაროდა, **რო** დაბადების დღეზე ვაჩუქებდი ბავშვებს. კი დამიფასეს. კარგი შვილები მყავს. ბიჭები **ძაან** მეხმარებიან, თემური უფრო ახლოსაა და რამე **რო** გამიჭირდეს (და ისედაც), აქაა წამში. გოგოები ყურადღებას არ მაკლებენ. შვილებიც ასე გაზარდეს. რძლებში გამიმართლა, მაკა (იმას ვენაცვალე) ანგელოზია. მშვიდი, წყნარი, გაწონასწორებული, კულტურული... შვილებზე და შვილიშვილებზე გადაყოლილი. ხანდახან ე ჩემი შვილი ხმას **ოუწევს, მიყვირებს**. ისე მე კი არ მეზარება, ხანდიხან ოჯახის კაცი **რო** მიაყვირებს – რა უჭირს მერე... მაგრამ ახალგაზრდას ხო არ მოეწონება?! მაკა ერთს არ

შეუბრუნებს სიტყვას ჩემს შვილს, ისე ტკბილად ეტყვის, დაამშვიდებს, რო წამში დააწყნარებს. ბავშვი **გაჭინჭყლდება** – მოეფერება, ყურში ეტყვის რაღაცას და მორჩა, გააჩერებს უცებ, განსაკუთრებით – გიორგის. **ჯადოქარია ჩემი რძალი, ჯადოქარი!** ახლა საზოგადოება **რაფერ** პატივს სცემს, ეგ თქვენც კი იცით. აგერ მაკას და ნუნუკას წიგნები მიდევს, საამაყო არა მაქვს, თუ – რა!.. ჩემმა შვილმა კი იცის მისი ფასი. **ცოდვი კითხვა** რომ იყოს, ცოლს არ **გააგებიებს**, ნაკლებად შეაწუხებს. ღმერთმა გაანათლოს და მაკას დედა კი ამბობდა, შვილი **რო** დაელუპა – ათი მძა **რო** ყოლოდა დათოს, **იმა** ვერ **გოუკეთებდა**, რაც თემურმა შეძლო...

მეორე რძალი კიდო თლა **წუნწუფაა**. ნამეტანი მარჯვეა. სამსართულიანი სახლი აქვთ ადღერში, **გაწიწიკებული**. იყიდის ფარდას, **ლუსტრას**, ჩამოკიდებს, ერთი წლის მერე არ მოეწონება, ჩამოიღებს. არიქა, **შპალერს** შეცვლის... რაც ახალი და კარგია, უნდა შეიძინოს, ბავშვებს მოუტანოს. **ბოვშები კიდო, დედაია**, გიჟდებიან ბებიამისზე. **ძან** მონდომებულია, **რო** კარგი ოჯახი ჰქონდეს და ასეცაა. ქმარიც მიმყოლი **ყავს**. შრომობენ ბევრს და არაუშავთ, კი ცხოვრობენ თავიანთ გემოზე. შვილიშვილები კიდო – ყველა ლამაზები არიან (ახლა ნამეტანი ქება არ გამომივიდეს).

ლექსუმთან კავშირი სულ გვექონდა. **იმისანე კაი დეიდე და ბიცოლეი** მყავდა, **სხვის უკეთესი**. ჩავდიოდით, ვსტუმრობდით. ისინიც ჩამოდიოდნენ ზღვაზე დასასვენებლად. ჩემი დედულეთიდან მსტუმრობდნენ **გუგავები** სუფთა, გაკაწკაწებული უყვარდათ ყველაფერი, ერთი ფოთოლი **რო** გდებულებო ეზოში, **იმიზა** ცხრაჯერ **დეიკუზებოდნენ**, **რო ეელოთ**. ახლაც კი ვიყავით ლექსუმში. შეცვლილია ყველაფერი – ცხოვრობენ – **ვა, შე კაცო!**

არადუში არაფერი გვიჭირდა, შვილო, ყველაფერი აწყობილი გვექონდა, სასმელ-საჭმელი არ გვაკლდა, 30 კაცი **რო** მოსულიყო უცებ, გაუფრთხილებლად, არაფრისთვის ეზოს გარეთ არ გადავიდოდით. ყველაფერი გვექონდა და ცარიელ-ტარიელი **გამევედით** ამდენი ნაშრომ-ნაამაგარი ეზო-კარიდან. ჩემს უნცროს ბიჭს დიდი მანქანა ჰყავდა – „მაზი“. იმითი გამოგვიყვანა ქალები, თითონ უკან უნდა დაბრუნებულიყო. კაცები გვიან **წამევიდნენ**. მატარებელს უნდა **გამოყოლოდნენ**, ხიდთან რომ მოსულან, უკან გაბრუნებულან, საქონელი გამოურეკიათ. 5 დროხა გვეყავდა, იმისი ნამრავლი კიდე... ჩემი ქმარი, **კიდო** ორი ჩვენი მეზობელი კაცი და სამი ქალი ყოფილან. **მოქვი ხიდს რავარც** გამოვცდით, **მევიდნენ** აფხაზებიო. ბევრი დაიხოცა იქ ჩვენები. **ამგენს** სულ სირბილ-სირბილით გადმოუვლიათ ხიდი. ფეხით მოდიოდნენ. ენგურს გადმოვედით და კი აფეთქდა ხიდიო – **ყვებოდნენ**. ჩამოაღწიეს **ძლივ** ხონამდე. მერე კი უნახიათ მანქანა. საქონელი **დაგვაბინავებიეს** აქ, წყალტუბოში, გამოგვიყვეს ადგილი „მეტალურგთან“. ვისაშველეთ ცოტა. წველა კარგი გვექონდა, ყველს ვყიდდი,

ხან – მაწონს, ხან – რძეს. საჭმელი არ გვაკლდა. სადაც დაგვაბინავეს (ნამეტანი კაი ადგილზე ვიყავით), იმ სანატორიუმის ხალხისთვის იყო კვება. სანატორიუმ „სავანეს“ ფილიალად ვითვლებოდით. „სავანეში“ დავდიოდით, კი გვაჭმევდნენ **რაცხას**. რა იყო ახლა, ბადრიჯანს მოხარშავდნენ **რაცხა წუმპესავით** იყო... აბა იმნაირი **სანეა, ქერო სახში გვაქ**, მარა იმ გაჭირვებული ყოფის დროს რა უჭირდა. თავიდან გაუჭირდათ ჩემ შვილებს. ბავშვებს აქით აგზავნიდნენ, ზაფხულში აქით მყავდა შვილიშვილები. მერე კი **მეიწყვენ ხელი**. ახლა ჩემებს ამდენს ხო არ ვაქებ, **მარა ძაან** მშრომელი და დაუზარლები არიან.

ზღაპრებს თუ უყვებოდი შვილიშვილებსო, მეკითხება აგერ ეს გაფუმფულებული ქალი, თაიგულივით როა ახლაც. რავა არ **უყვებოდი**, მარა კი ვერ ვიხსენებ ყველაფერს... შელოცვა კი მახსოვს, შეიძლება ნაწილობრივ მაინც:

„აღისასა, მაღისასა, შეგილოცავ თვალისასა.
შინაურისა, გარეულისა, წასულისა, მოსულისა,
შავგვრემანისა, თეთრისა, კეთილისა, უკეთურისა...
ვინც შენ ავი თვალით , ავი გულით შეგხედოს
იმისი თვალი ეკალსა, გული – სამართებელსა...
დასწიოს წმინდა გიორგიმ იმის გული.
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა!“

მუცელი რო ეტკინებოდა პატარას, მაშინაც ულოცავდით (თან ხელი უნდა წაუსვა, სადაც იტკიებს):

„ანანია, მანანია, ჩემი ხელი წამალია!
გორს შევდექი, გორმადალასა,
წყალს ვუმზერდი წმიდასა,
ღმერთო, უხსენ ამასა!“

სიტყვებსაც, რაც გამახსენდება, კი გეტყვით:

ვაშხაპია – შეუხედავი
ქენჩურა – სიმინდის გული
მეტყულია – მატყურა
დაკოჩა – გადაწონა
წვირიანი – ჭუჭყიანი
ქაჭები – გვერდები (თირკმელა)
წამოგანძული – მხარ-თემოზე
წამოწოლილი

პლუტი – ლოთი
წუმს – წვიმს..
იჭიპრება – ჭიპზე სკდება
მიჭყვარტლა – გაფლანგა
დატყნეჟა – დაჩეჩქვა
ერწამა – ერთ წამს
ქაჭები ჩამიწყდა – ძალიან დავიღალე

კოშკოში – ინდაურის ძახილი, ხმა
გამოგნაწა – ამოასუფთავა
კვასკვასა – ძალიან წითელი
კირი პუნჩხა – თავდაყირა
ორპოჭყალა – შეტყუპებული კა-
კალი (ნიგოზი)

გეიღვაფა – დასველდა
ცინციფური – სწრაფი
ხანხლავს – სწრაფად ჭამს
ბინული – წყარო

ნათელა ჯანელიძე [86 წლის]
(ოჩამჩირე – წყალტუბო)
თამილა ზვიადაძე
2024 წელი

შვილები ყველაზე დიდი სიმდიდრეა, დია!

ვა, ბეჩა, რა დროის ჩემი წიგნში ჩაწერაა, არ გამაცინოთ!
კი მოგიყვებით, რაიც ვიცი და მახსოვს, მარა, რაში ივარგებს? აქით მეიწა-
რი, მასე შორიდან კი არ მესმის! უნდა დავალაგო, თვარა ასე ცინციფუ-
რად რაფერ ვიტყვი.

ლექსუმი თვალთ არ მინახავს კაი ხანი, აფხაზეთში იყვენ ჩემები ჩასახ-
ლებული. იქინე გევიზარდე, სკოლაშიც ქე ვსწავლობდი, ვინ დაგამთავ-
რებია, თვარა?! ჭიჭიკონე დეიდამისან იყო ჩამოსული და დოუნახივარ.
მერე არ მომეშვა, ჭკუა არ მქონდა, თვარა, რა მეთხოვებოდა. წყალტუბოში
არის ასეთი სოფელი – ბანოჯა. ხოდა, იქ ქონდა სახლი (სახლი კი არ ქვი-
ოდა მაგას , მარა...) და ყავდა მშობლები და ძმები. ე ძმები პეტრუანები იყ-
ვენ, ჯოხის ცხენებით თამაშობდენ, მე რო მიმიყვანეს. სახში თუ მარტო
დავრჩებოდი, ხამდახან მეც ქე ავყოფოდი ამ ბოვშებს -კი არ ვიყაი მაგათ-
ზე დიდი ბევრით! მერმე ამ ბიჭებსაც ვუვლიდი, მაზლები კი არა, შვილე-
ბივით მყავდენ. შვა დღეზე ჭიჭახვანაში (ჭალა იყო პატარა) დარბოდენ,
მერე ტყიდან შემა მოქონდათ. ვანთებდით ცეცხლს, წულებს (ფეხსაცმე-
ლია) აშრობდენ ზამთარში, რო სკოლაში წასულიყვენ. მერე ისევლე გე-
ილუმპებოდენ და ისევლე აშრობდენ და ასე...ძაან კი მიყვარდა იქაურო-
ბა, დედამთილ-მამამთილიც არ იყვენ ავები, მარა, რამდენ ხანს ვიქნებო-
დით ამდონი ხალხი ერთ პატარა სახში! რაც არ უნდა გეშრომა, ჭაჭები რო
ჩაგწყდომოდა, მაინ ვერ დაატყობდი ხელს ვეფერს. მე მაინც აფხაზეთის-
კენ მიწევდა გული, იქინე იყვენ ყველა ჩემიანები. ქე დამიჯერა ქმარმა და
ოჩამჩირეში დავსახლდით, ჩემ სოფელში. ლექსუმელები ესახლენ უმეტ-
ესად. თავიდან დიდი გაჭირვება გაუვლიათ, გაუვალი ტყე იყო თურმე.
გოუჩეხიათ, ეზო – კარად გოუხდიათ, რა ვიცი, იმდენ რამეს ყობოდენ.

მერე ქე შეიძინეს და ყველაფერი ქონდათ: კაი გამართული აივნიათი სახ-
ლები, შემოღობილი და დაწკაპული ეზოები, ყანა, ბოსტნები, ფრინველიც
ყავდათ და პურტყვიც. გზა გაპრიალებული, შენ ხარ ჩემი ბატონი, ავტო-
ბუსი დადიოდა. კი გაგვიჭირდა პირველად, მარა თავისახლი იქინე იყო
და იმედი მქონდა მაინ. ლეჩხუმელებმა ძაან ვიცით ერთმანეთის გატანა.
მანდარინის ბალი გვქონდა, კაი შემოსავალს გვაძლევდა, ლიმონი... კიდო
ფეიხოა დარგო ჩემმა სულგანათლებულმა ქმარმა. ბოვში თავიდან არ
გვეყოლა, ისთე ვნერვიულობდი, არ დავტოვე არცერთი ექიმი სოხუმში
და ოჩამჩირეში, რაცხა სოფლის წამლებსაც ქე ვსვამდი. ახლა რომელმა
მიშველა, რაი ვიცი, ქე მყავს სამი გოგო და ერთი ბიჭი, შვილიშვილები,
მაგათი შვილები... ვერაფერ უკეთესს ვერ იზამს ადამიანი ამ ქვეყანაზე,
დია, შვილებია ყველაზე კაი სიმდიდრე. აბა რაი!

შვილები რო გვეყოლა, უფრო გამოცოცხლდა ე ჩემი ქმარი, რომე და...
ბაღნებს არაფერი მოაკლდეთო. უფროსი გოგო –ავანტყოფობდა ცოტა,
დაგვყავდა მინვოდში.

ლეჩხუმური კილოთი ლაპარაკობდა თელი სოფელი, აბა! მარა მე ჩემი
ქმარის გავლენით და კიდო იმიტო, რო ბანოჯაში მომიწია ცხოვრება, იმ-
ერულსაც ვურევდი. მერედამერე, ხალხმა უმაღლესები რო დაამთავრეს,
ქე ვინ კადრულობდა, ბეჩა, ასე ლაპარაკს – რუსულზე გადავიდი.

ლეჩხუმური სოტყეები კი მახსოვს, ბეზიაჩემი ისე კაი მოლაპარაკე ქალი
იყო, ნეტაი ცოცხალი იყოს (ეჰ, მაი კი არა, მე რაფერ ვარ ამდონ ხანს, იგი
მიკვირს), შელოცვები იცოდა თვალნაკრავის, ახალგაზდობაში ქე მახსოვ-
და, ახლა ყველაფერი მავიწყდება. რაცხა ასე იყო:

„შეგილოცავ თვალისასა, კაცისა თუ ქალისასა, შავგრემანისა, თეთრისა-
სა... თვალი მოძრეს, თუ გაგთვალოს, გული მოძრეს, თუ დაგწყევლოს...
დამიწდეს, დანაცრდეს, კაი არ ეღირსოს... შენ ვერაფერი დაგაკლოს...”
ოფურიე, გონია, მე, ასე არ იყო, მარა რაც მახსოვს, ეგია.

საქონელსაც ულოცავდენ, ეგი იმერეთში იყო, ჩემი დედამთილი წყლისეს
(ძროხის ავანდყოფობაა) ულოცავდა :

„ანი იყო, ბანი იყო,

ორ წყალშუა ნავი იყო,

ნავის ზევით საყდარ იყო,

საყდრის ზევით ქალი იჯდა...

მერე არ მახსოვს...

და კიდო:

ავალ ზეცას, კკითხავ დედას,

ჩამევიტან ჩანგალ-ჩუნგალს,

დავკრავ, დავადენ სისხლსა.

დასწყევლოს წმინდა გიორგიმ,

გაქრეს „წყლისე“.

თავი ტკივა ადამიანს კიდო, **შაკიკს უმახიენ**, იმასაც შველის შელოცვა:

„შაკიკი **შემოჩოულა** სათიბისა ბოლოსა!

ისე ჭამდა რკინასა, **რაგარც** ხარი – რკინასა!

დასწყევლოს წმინდა გიორგიმ,

გააპაროს დილასა!”

მუშაობით არ მიმუშავია, განათლება ათი კლასიც არ მქონდა. **ბოვშებს** ვუვლიდი, ქმარს, ოჯახს. უთენია ფეხზე ვიდექი, საქონელს მივხედავდი, ქათმებს, ინდოურებს... სანამ **ბოვშები** ადგებოდენ. მერე მაგათი დაპურება, ზოგი სკოლაში უნდა წამეყვანა, პატარა – ბაღში. იქიდან **გამევიქცეოდი**, ეზო-კარს **დოუვლიდი** – სარეცხი, საუთოებელი... ახლა **რო** მანქანა აკეთებს ქალის გასაკეთებელს, **მასთე** კი არ იყო! ჩაღბობა, გამოხარშვა, მერე ცხელ წყალში რეცხვა, გამდინარე წყალში გავლება... გაყინულ-**გაფიჩხული** მქონდა ხელები. არიქა, ლილიან წყალში უნდა გაგველო – **ისტე** რავა შეიძლებოდა. **მერმე** ისე **უნა დეგეუთოებია**, **სულ ტკიცინი რო გოუდიოდა**... ახლა ვინ ხმარობს უთოს, გაწურვითაც მანქანა წურავს და **რაგარც ჩამეიღებენ** ბაწრიდან, **ისტე** აგებენ **ქვეშაგებზე**. ვაიიი, **მასთე** რო გვექნა... ანდა **ეგი რაია**, შავი და ყავისფერი და **რაცხა** მელნისფერი **როა საგები**?! თეთრეული **იმიზა** ქვია, თეთრი უნდა იყოს. **რავა მოშალენ** ყველაფერი!

ბოვშებს ვასწავლეთ. **ი გოგო** იყო ცოტა სუსტი, **თვარა** დანარჩენებმა უმაღლესები დაამთავრენ. გოგოებმა – სოხუმში, ბიჭი რუსეთში მოვაწყვეთ. კაი სიძეები შემხვდა, **ჩემ ჭირს მიწაზე არ აგდებენ**. ერთი ლეჩხუმელია, **მორე** – მეგრელი – იმის დედამ იხარა, **ძაან** ყურადღებიანია. რძალი რუსულის მასწავლებელი იყო. ყველა პატივს სცემდა, კაი შვილები დაზარდა.

ომი **რო დეიწყო**, მე აქით ვიყავი, ბანოჯაში, ჩემი **მაზლისას**. ხშირად დავდიოდი აქით, მიყვარს აქაურობა. ომის მერე **ყველე** აქით წამევიდა, აბა, **სანე** იყო სხვა გზა? გოგოები სანატორუმში გაანაწილეს. კი ცხოვრობდენ კაიხანს, მერე ბინები **მიცენ** წყალტუბოში. ბიჭი ჯერ რუსეთში **წევიდა**, იქ უმაღლესის ამხანაგები **ყავს**, **მარა ჩამევიდა** მერე, საეზოვე იყიდა და პატარა სახლი ააშენა. **ქე** ვართ ახლა აქ, ჩემი ქმრის სამშობლოში. ძაან უყვართ ჩემ შვილებს წყალტუბო. **ამისანე** ლამაზი ქალაქი **სა** იყო?! ახლა **როა დანგრეული** და მომსპარი, ასე **კარ** იყო! **წკრიალობდა** სანატორიუმებში ყველაფერი, კიბეებზე იმსისქე ნოხები ეფინა, **შით ჩეეფლობოდი**, **ლუსტრა** – უშველებელი, შუა დარბაზამდე ჩამოდიოდა შესასვლელებში. თეთრი ხალათებით დაცქრიალობდა მოსამსახურე პერსონალი, აბა! პარკებში ყვავილები, ხეები ერთ ზომაზე იყო მოყვანილი, **კრიჭავდენ** ნაძვებს, **ტყუპებივით იდგენ** შემოსასვლელში. რა გლახაა, თქვენ რო არ გინა-

ხიათ! **აქანე იმდონი** ხალხი ირეოდა – შუა აზიის ხალხი დაპწნილ-დაპწნილი თმებით, თავზე **რაცხა** პატარა ქუდები ეხურათ. ერთ **ხანობაზე** თბილისის სანატორიუმში ჩემი ნათესავი მუშაობდა, კუხალაშვილის ქალი, პატარა **ლარიოკი** ედგა შესასვლელში. **იქინე** ვაკითხავდი ხანდახან. **რაფერი** სუფთა და წკრიალა იყო ყველაფერი. ამ ჩვენ ხალხსაც ისე ეცვა, ნაირ-ნაირებით დადიოდნენ. დამსვენებელი იყო **დოუთვლელი**, **კასინკებს** ყიდულობდნენ. გახსოვთ თქვენ (თუმცა რა გეხსომებათ) კრისტალონის **კასინკები** იყო მომცრო, **დიდრუანი** – არა. სხვადასხვა ფერი. მე ვარდისფერი მქონდა, **კიდო** მწვანე... რამდენს ყიდულობდნენ, ყველა ფერები უნდოდათ. სასაფლაოს დასათვალიერებლად დადიოდნენ **კიდო** რუსები. რა ჯანდაბა უნდოდათო და ხო იცით, **რანეირი** საფლავების გაკეთება **იცოდენ** ძველად – სახლები იდგა გადახურული. **შით** სტოლიც იდგა, სკამიც, **შეაფიც...** ვითომ დაჯდებოდა ახლა **მკვტარი** და დაწერდა? მეტი არაა ჩემი მტერი. ზოგს უშველებელი ძეგლები იდგა, ეწერა: **აქანე** მარხია ექიმი ესა და ეს. **ბეჩა**, ექიმი, **თვარა** მიიღებდა ახლა **პაციენტებს** თუ **რაცხა** ჰქვია ახლა – **ავანტყოფს**. მერე **კიდო** სურათები ქონდათ, ნახატები. ერთი მახსოვს – სახლის აივანზე იდგა ნაწნავიანი ლამაზი გოგო, ეზოში ყანა იყო დახატული და ამ სიმიდის ყანაში – კაცი თოფით ხელში, **ჩაკუნცხული**, იქიდან უმიზნებდა ამ ქალს. ამბობდნენ, შეყვარებული იყო ე გოგო, გათხოვდა სხვაზე და ამ ბიჭმა მოკლაო. რა ვიცი ახლა, მართალი იყო თუ – **ტყული**. ე **ნახატი** ახლაც მახსოვს. სახლი იდგა **კიდო** ახალგაზდა გოგოს საფლავზე. **შით** დიდი სურათი მოჩანდა, პატარძლის კაბა ეცვა საცოდავს....ერთი საფლავი **თლა** სასწაული. არ იყო მიწაში დამარხული ბიჭი, **რაცხა** წამლებით **ყავდნენ**. (დედამისის თვალწინ **გოუტანია** მანქანას). უბედური დედამისი, ყოველ მოსვლაზე, დააჭერდა **რაცხა** **კნოპკას** ხელს, ამევიდოდა სასახლე, დატიროდა შვილს... მერე **ვინცხამ** **თქვა**, გაგიჟდა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში **გადეიყვანესო**. აბა, რა იქნებოდა. მერე **კი დამარხენ** ი საცოდავი... ჰოდა ამისანები არ ენახათ ჩამოსულ ხალხს და **ქე** დადიოდნენ დასათვალიერებლად. მე **ვანებზე** დავდიოდი **ერთი ხანობა**, სანამ მშვიდობა იყო. ჩემი მაზლის ცოლი **დამყობოდა**. ტბა იყო ცენტრში, იგი მახსოვს, გედები დაცურავდნენ. რა ლამაზები **იყვენ**, იცით? თეთრებიც იყო და შავებიც.

ნათლისღების დღესასწაული

აფხაზეთში **კაი** ცხოვრება გვქონდა **ძაან**. **კაი** მეზობლობა, **კაი** ნათესაობა... ერთიმეორესთან გადავდიოდით, **კაი** ნამცხვარს **რო** დავაცხოვდით, **კოფეზე** ვეძახდით ერთმანეთს, აბაა!

ნათლისღება ნათლია-ნათლულის დღედ ითვლება და ამისათვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით. მე **იმდონი** ნათლული მყავს და ყველა **დაჭ-**

ვირთული მოდიოდენ, რა არ მოქონდათ: ხაჭაპურები, ტორტები, კაი შემწვარი წიწილები, მოხარშული დედლები, ზოგს – **შეპიწკინებული** გოჭი... ხილი ნაირნაირი, რაც **ქე** იყო იმ დროს. მერე გავშლიდით სუფრას, ჩემი რძალი ნამეტანი მარჯვე იყო და რას დააკლებდა! **კაი** ღვინო გვქონდა, არაყი . კამპოტებს **იმდონს** ვაკეთებდით **კიდო**. დავლოცავდით, დაგვლოცავდენ... **იგენს** **რო** ძღვენი მოქონდათ, მეც, როგორც ნათლია, საჩუქრებს ვატანდი – ზოგს **კაი** საკაბეს, **პენუარებს** (ნაირნაირი მქონდა, სოხუმში ვყიდულობდი გემებზე), **კოფტებს** და რა ვიცი, რაც მქონდა, **რავა** დავზოგავდი!

მე როცა მივდიოდი ჩემი შვილების ნათლიებთან, მეც მიმქონდა რავა, სხვას ჩამოვრჩებოდი? ნაპალეონის ნამცხვარს ვაკეთებდი **კაის**, მოწონდათ **ძაან**, იმას რამდენიმე **ლისტს** ვაცხობდი, ბევრს **რო** ყოფნოდა, **კაი** ინდოურს (ჩემ გაზრდილს, თვარა, ნაყიდს რავა ვაკადრებდი) **ჩავაბაჟუნებდი**, ბადრიჯნის საცივსაც ვაკეთებდი... ახლა რო წვავენ და ზეთში **წურ-წურობს**, ისე კი არა... მოვხარშავდით ბადრიჯანს, მერე სპეციალური საწური გვქონდა, იმაში გავწურავდით, გავჭრიდით შუაში და გავტენიდით ნიგოზის საკმაზით. **რავარც** ინდოურის საცივს უნდა, **იმისანე** სუნელეზით ვაკეთებდით, ნიგოზი ბლომად უნდა, ბადრიჯანი ლურჯი **როა**, კი არ უნდა მოჩანდეს, თეთრი ნიგოზი უნდა ჭარბობდეს (ზოგი ბევრ ყვითელ ყვავილს უკეთებდა, ყვითელიც კაია, უხთება). ისე, მართალის თქმა ჯობია და ფხალეულის გაკეთება და შეკაზმვა მე ბანოჯაში ვისწავლე. **ამგენმა** ბალახიც რომ შეკმაზონ, მაინც უფრო გემრიელი გამოსდით, საკმაზიც **კაი** იცინა და ნიგოზსაც ბევრს **უშობიენ**. აბა ახლა ფხალიაო და მწვანე ფერი **როა დოუმწიფებელი** ტყემალივით, იგია **კაი**? ფერი ნიგვზის უნდა ქონდეს, არ უნდა დააკლო ნიგოზი. მე კიდო ბროწეულის წვეს **უშობოდი** და მოწონდათ, რა ვიცი. დიდ **ხონჩებსაც** ვაკეთებდით და ისე გადაგვქონდა ნათლულებთან, ზედ სუფთა, გაქათქათებულ ტილოებს ვაფარებდით. ახლა აფხაზეთში უფრო ღომი **იციენ**, მეგრელებმა და აფხაზებმა გვასწავლენ ჩვენც, რა ჯობია ღერდილის ღომს! მანამდე თურმე **ღომის ღომს** აკეთებდენ, **მაგი** მე არ მომსწრებია და რა ვიცი... ღომს, სადაც მივიდოდით, **იქინე** დაგვახვედრებდენ, მე ცხელ-ცხელი ჭადები **მაინ ქე** მიმქონდა, **კაია** ფხალეულთან.

ყველაფერი ქონდა ხალხს მაშინ. საჭმელის გაჭირვება **სა** იყო? ერთმანეთს ეჯიბრებოდენ **კაის** გაკეთებაში და მირთმევაში. ჩემ ოჯახს მაინც ნათლისლება უყვარდა გამორჩეულად. **რაფერ** ვემზადებოდით, რო იცოდეთ. ყველა ნათლული პატივს მცემდა, ჩემ შვილებში არ გამოვარჩევდი **არევის**. ახლა **სანე** არიან, ვინ იცის, დია, ვერ ვნახულობ, მე წასვლა-მოსვლა არ შემიძლია, **იგენი კიდე**, ზოგი **სა** გადაყარა ომმა და უბედურებამ და ზოგი – სად.

მჭადის გამოცხობა

ჭადის ხშირად ვაცხობდით. მაგის გარეშე რაღა შეიძლება. უწინ პური რომ არ იყო ლეჩხუმში. მიცვალებულსაც ჭადით ასვენებდენ. ქვილი უნდა იყვეს კაი, ღერდილის განაცერი კი არა. ლეჩხუმშიც და აქაც – წყალტუბოში ჭადის ქვილი ცალკე იფქვება და ღერდილი – ცალკე. უნდა უთხრა მეწის-ქვილეს, **რისთვინ** გინდა. ქვილი უნდა გაცრა აუცილებლად. განაცერს **ვზილავთ** და ქათმებს ვაჭმევთ. მერე ემალის **მისკაზე** დავყრით, დავახამთ წყალს (არც ყინულისცივი ცივი უნდა იყოს და არც – ცხელი) ოთახის ტემპერატურაზე მოთბო. ახლა ზოგი მინერალურ წყალში **ზილავს**, სოდას **უშობა** და კვერცხს. მაი არაა ჭადი. **მაგისანე „პერაშკი“** ვიცით ჩვენ. ჭადს **რათ** უნდა კვერცხი და სოდა? მე ნელ-ნელა ვასხამ წყალს, **რომე** ან თხელი არ **გამევიდეს**, ან – **ძაან** სქელი. დიდხანს უნდა **ზილვა**, უცებ **კარ უნდა დაატყეპო** შესაწავზე. ტაფაში თუ ვაცხობ, წინასწარ **გავახურეფ**, უფრო სქელ ჭადს ვაკეთებთ ტაფაში, კაი ხანი უნდა ჩაშუშებას. თუ კეცებზე **ვაცხოფთ**, კეცები წინასწარ **გვაქ გარმოდგმული** ცეცხლიდან. ცხელ კეცზე დავადობთ (უფრო თხელია კეცის ჭადი, ვიდრე ტაფის), დავახურავთ ზევიდან, მეორე კეცს **დავადობთ** და ასე...**შევდობთ** ნაკვერჩხალზე, ზევითაც მოვყრით და ქი გამოცხვება. ახლა გაზია, **შენ ხარ ჩემი ბატონი**, ყველგან და ვინ **გეიწვალეს** თავს **კეციაზე** ცხობით?! მარა მახსოვს **იმნეირი** დრო, **ქერო ქორწივლებშიც** კეცის ჭადებს **ვუშობდით**. ყველე ერთი ზომის და სისქის **უნა** ყოფილიყო. იმას ჰქონდა გემო.

ლომი

ლომის დამზადება მეგრელებმა **გვასწავლენ** და აფხაზებმაც, მარა აფხაზებმა ფქვილის ლომი **იციენ** და ჩვენ უფრო ღერდილის გვიყვარს. ახლა **ქვილიდან** ლომის გაკეთება უფრო იოლია, არ **პარტყალოფს** ღერდილივით, მარა გემრიელია ღერდილიანი.

ღერდილი **ჯერეთ** უნდა გარეცხო კარგათ, შავი კი არა, არანაირი წერტილი არ უნდა შეყვეს. რაც უფრო სუფთა და გაწვრილებულია ღერდილი, მით უფრო კაი გამოდის ლომი. აბა შავწერტილებიანს **რო გამეიტანს** ზოგი გლახა დიასახლისი, მაგას ვინ **მეიწონებს?** ჩვენ საცერს **დოუდებდით** ქვეშ **კასრულას**, რომელშიც ვრეცხავდით და იმ საცერზე რჩებოდა გადარეცხილი ღერდილი, მერე იმას ქათმებს და **ინდოურებს** ვაჭმდით. გამორეცხილ ღერდილს ვასხამდით ადუღებულ წყალს (თუ არ გეჩქარება, ცივ წყალში უფრო კაია) და იხარშებოდა. კარგად უნდა **მეიხარშოს**, არ უნდა იჩქარო. როცა **მიხთები**, **რომე** მოხარშულია ღერდილი (ქვაბის კედლებზე ნადებს **მეიკიდებს**), ნელ-ნელა შეაზელ **ქვილს**. **ქვილი** თეთრი უნდა იყოს, კაი, ხარისხიანი. ჩავზილავთ. კარგად უნდა მაგას ჩაზილვა, მე ხანდახან ქმარსაც **მევიშველიებდი**, **რო დემედლებოდა** ხელი, იმას მეტი ძალა

ქონდა. დამუშდება კარგათ. შიგადაშიგ ვურევდი მაინ, მერე ვაცლიდი. რო დავრწმუნდებოდი, რო ჩეიშუშა, მერე გადმევიღებდი ჩოგანით. რაფერ ამეიღეფ, იმასაც აქ მნიშვნელობა. გვერზე უნდა დეიდგა წყლიანი ჭურჭელი და ჩოგანი დაასველო ყველა ამოდებაზე. საინზე ლამაზად დაჯდება. არ გეიტყაპება. უნდა შემოალამაზო ჩოგანით. სუფრაზე ორი ამოღება იდობა საინზე ერთმანეთის გვერდით, ერთ ზომაზე, შინაურობაში უფრო მეტს ვდებთ საინზე. კაი სულგუნი უხდება. ჩვენ კაი რძიანი სულგუნები ვიცოით და იმასან ერთად კიდო „კაფჩიონი“ მეგრული. შვაში შეკმაზული ნადული. მაან კაია ღომი საცივთან, ხარჩოსან, პამიდორის საწებელასთან, ტყემლის წვეთთან (გოჭი და მოხარშული ხორცი თუა) ხმარობდენ კუჭმაჭთან, კუპატებთან... რა ვიცი, კიტრი-პამიდორის ნიგვზიანი სალათა რო ვიცით, იმასანაც ქე ჭამდა ზოგი.

გულსართიანი პურები

ლეჩხუმელი ლობიანის გარეშე ვინ ნახა?! თონეში ვაცხოვდით. ცომს მოვზილავდით, აქით გულს შევამზადებდით: ლობიოს გავრეცხავდით კარგათ, მოვხარშავდით. აქით ღორის ფენტხი გვქონდა, შაშხად გამზადებული. დავადნობდით. მოხარშულ ლობიოს გავატარებდით, მანამდე არ ატარებდენ მაშინკაში, ჭყელიტავდენ ცხიმში. მოვუკრავდით თავს, გავაპტყელებდით და მერე გამოვაცხოვდით.

ლეჩხუმლებისთვის კიდო ტრადიციული ბლუდა იყო ნიგვზიანი პურები. ქფილი, დროჟი და მარილი ცოტა თბილ წყალში უნდა გაქნა, მოზილავ კაი ცომს. გულად უნდა ლეჩხუმური ნიგოზი, ცხიმისანი და ვარგისანი, დავენაყავთ (ჩვენ აფხაზეთში მაშინკაში ვატარებდით, არც ლეჩხუმური ნიგოზი გქონდა, თუ ვინმე ნათესავი არ გამოგვიგზავნიდა ან ჩამოგვიტანდა), დანაყილ ნიგოზს დავამატებდით დაჭრილ ხახვს, კარგათ ოურევდით და ჩავდობდით პურში. ერთ პურს 100 გრამი მაინ უნდოდა, მოვუკრავდით თავს., დავენამავდით, რო თონეს მიკრობოდა და საშუალო ნაკვერჩხალზე (დიდი სიმხურვალე კი არ ვარგა, ჩამეიყრება პურები). ბებიაჩემისგან ვიცი, რომე ნიგვზიან პურებს და უფრო ლობიანებს გაპტყელების მერე მოსაჭიკჭიკებელს ადობდენ თავზე. ეს ყოფილა ხის დაფა, რომელზეც ამოჭრილი იყო სხვადასხვა ფიგურა. ეს გამოცხოვის მერეთ ქე აჩთა ზედ პურს და ლამაზი ყოფილა. ახლა არ ვიცი, ე მოსაჭიკჭიკებელი თუა სადმე.

ნიგვზიანებს ლეჩხუმში ხვამლობაზე აცხოვენ. ჩვენთან საკურთხის დროს ვაცხოვდით, როცა მარხვა უწყევდა.

ტატიანა ჩაკვეტაძე [87 წლის]

(ოჩამჩირე – წყალტუბო)

თამილა ზვიადაძე

დედა შვილებთან უნდა იყოს!

ჩემი მშობლები ცაგერის რაიონის სოფელ **ლუხვანოდან** ჩამოუსახლებიათ აფხაზეთში. ვცხოვრობდით არადუმი. სულ ჩვენები **სახლობდნენ** აქ. ნაწილი 1941 წელს ჩამოასახლეს, ნაწილი - 1949 ში. როგორც უფროსები **ყვებოდნენ**, გაუვალი ადგილები იყო თურმე, ტურები კიოდნენ, დამუშავება უნდოდა მიწას, განოყიერება, რამე **რო** დაგეთესა, მოგეყვანა. მე ყველაფერი კარგი მახსენდება იქაური, ბავშვობა სანატორელი მქონდა მეც და სხვასაც. არაფერი არ გვაკლდა. ომის ამბების გახსენება არ მიყვარს. ერთი წელი **კვიტოულში ტყვედ ვიყავი** სხვებთან ერთად. რა გაჭირვება **გამევიარეთ**, ენა ვერ იტყვის. ერთი წლის მერე, პირველი ნაკადი გამოუშვეს – ქალები **სამასვალზე** დაგვსვეს და ოჩამჩირეში ჩამოგვიყვანეს. ფეხმძიმედ ვიყავი. ცოტა ხანშიც ჩემი ქმარიც **ჩამევიდა** ოჩამჩირეში. აქით **წამევედით**, წყალტუბოში. და მყავდა აქ და მერჩივნა, მასთან ახლო ვყოფილიყავი. მასთან არ დავრჩით, სანატორიუმში ვარჩიეთ – პური **მაინ** იყო უფასო. „ინტურისტში“ ვცხოვრობდით 30 წელი. მეზობლობა კარგი გვექონდა, ყველა ერთმანეთს ვიცნობდით, გაჭირვებამ კიდე უფრო დაგვაახლოვა. ერთი სადილი, ერთი ვახშამი – არაფერი გვენანებოდა ერთმანეთისთვის. ორი ბიჭი გავზარდე, ტრაბახით არ ვიტყვი და არცერთი არაა უსაქმური და **ბირჟავიკი**. უფროსი ცალკე ცხოვრობს, უნცროსი – ჩემთან. ქმარი **ქე** მომიკვდა. დავსდეც ახლა შვილიშვილებს.

ბინები ქულების მიხედვით დაარიგეს. სხვადასხვა სანატორიუმებიდან ჩაასახლეს ხალხი. თავიდან გვიხდება გაცნობა და დაახლოება, რამდენჯერ უნდა ავიყაროთ და ვიცვალოთ გარემო! მთავრობის ადგილზე, ერთი სანატორიუმის ხალხს ერთ სახლში ჩავასახლებდი, რა უნდოდა ახლა მაგის მოგვარებას?!

წყალტუბოს კი შევეჩვიეთ, მაგრამ აქაც უჭირდა ხალხს, **რო** ჩამევედით, მაშინ განსაკუთრებით. რას დაგეხმარებოდა ვინმე, სანატორიუმებით და აბაზანებით ცხოვრობდა აქ ხალხი და ყველაფერი **რო** გაჩერდა, თავისი თავი უჭირდათ. არც ახლაა კარგი სიტუაცია – სამუშაო ადგილები არაა, ახალგაზრდები გარბიან, ვინც აქაა, ან **ბირჟაზე** დგას და უსაქმურობისგან არ იცის, რა ქნას. სვამენ მერე და კი არიან გადაგვარებული. რას დალევენ წესიერს. კარგს ფული უნდა და ფული ვისა აქვს?

ეს ადგილი ცოტა განაპირასაა ქალაქიდან. ავტობუსი გვემსახურება №2. სკოლა ახლოსაა, მეორე საშუალო, ბალი არ გვაქვს ჯერ, მაგრამ **მარშუტკა** გვყავს დაქირავებული, ვუხდით 25 ლარს და მიყავს და მოყავს ბავშვები. ასე ჯობია, სხვაგვარად უფრო ძვირი გვიჯდებოდა. საბავშვო ბაღს აშენებენ უკვე, დაწყებულია და მერე არ დაგვჭირდება შორს წასვლა. მაღაზიები

არის, კიდევ უფრო მეტი იქნება, ალბათ. იქით სოფელი გვიშტებიდა. კაი დიდი სოფელია, იქიდანაც ივლიან ბავშვები და სკოლასაც ააშენებენ. რა ვქნათ, მომავალზე ვფიქრობთ. დაბრუნებაზე ფიქრი არასოდეს შემიწყევტია, მაგრამ ვინ დაგვაბრუნებს? ეჭვი მეპარება, **რო** ვინმემ იქ შეგვიშვას ამდენი ხნის მერე. პოლიტიკურ დაპირისპირებას და ვიღაცის **ხუმტურებს**, ტყუილს, ღალატს შეგვწირეს! ხალხი ვის აინტერესებს, ეჰ!...რა ვიცი, ახლა თუ შვილები წავლენ, მეც წავალ, **აქანე** მარტო კი არ დავრჩები? არ წავლენ – მეც მაგათთან ვიქნები. სანამ დედა ცოცხალია, შვილებთან უნდა იყოს. სხვანაირად მე არ შემიძლია და სხვამ როგორც უნდა, ისე ქნას.

მერი კოპალიანი (64 წლის)

ოჩამჩირე -წყალტუბო

თამილა ზვიადაძე

არასოდეს გენახოთ ის, რაც ჩვენ ვნახეთ და გადავიტანეთ!

1952 წელს გადმოგვასახლეს **ცაგერიდან (ნაყურალეში)** აფხაზეთში. მამა-ჩემმა და დედაჩემმა ქუთაისში არჩიეს ცხოვრება, ბებია და მამიდა **არად-უში** დასახლდნენ. სამი ძმა ვიყავით. მამაჩემმა მითხრა, მამიდა და ბებია იქ მარტო **არიენ** და შენც **იქინე** წადიო. **ნეტაი**, ფეხი არ გამედგა. თურმე **სა** მიხვალ?! ქუთაისი ისედაც მომწონდა, შევეჩვიე, არ მინდოდა წასვლა. ვცხოვრობდი არადუში. ბებიაჩემი – **ბანდალაძის** ქალი – ჰკვირნი იყო. ბევრ რამეს მასწავლიდა. ახლაც მახსოვს, **ჯორჯოზე** იჯდა, **რო** მითხრა: ე მიწა-წყალი დაწყევლილია, გავყიდოთ ყველაფერი და **წევიდეთო. დემე-ჯერებიანა ნეტაი!** 100 წლამდე იცოცხლა. მოხუცებულობაში სულ შვილებს ეძებდა, ომში წასულებს: ჩემი შვილები **სანე არიენო...** ბებიე და **მამიდე** რომ გარდაიცვალა, მარტო დავრჩი, სვანის ქალი **მევიყვანე**. ორი ბიჭი გვეყოლა. სახლი დავშალე და დიდი სახლი გავმართე. ვცხოვრობდით, **მარა** სულ ვგრძნობდი, **რომე** აფხაზებს **გულზე არ ვეხატებოდით**. სახლის აშენება რო დევიწყე, ნაცნობმა აფხაზებმა **მითხრენ**, რას აშენებ, მაინც **დეგეკარგება** მაგ სახლი, გირჩევნია, ფული შეინახო, გამოგადგებაო. – **დაჯეი სახში**, მიტინგებზე არ დაგინახოთო, ფული და ოქრო შეინახეთ და **აქანე** სახლების შენებას დაანებეთ თავიო. ბაზარში **რამდონჯერ** გამიგონია, აფხაზი ქალები რომ **წეკინკლავებოდენ** ჩვენებს, წამოაძახებდენ – **როდი მევესწრებით**, აქიდან **რო** გაგყრითო. რესტორანშიც მახსოვს ჩხუბის დროს, ვინმე მთვრალი **აფხაზა** **რო წამეიძახებდა**, **როდი მევესწრები**, **თქვენ რო აქანე არ გნახავთო...** ერთი ჩიქოვანის კაცი იყო, აფხაზი (ჩიქოვანი რო გააფხაზდებო), **მარა ხო** ამბობენ, ხემ თქვა, ნაჯახი რას მიზამდა, **შით** ჩემი გვარის რო არ ერიოსო, ხოდა ე ჩიქოვანიც **გეიძახოდა**, **როიც**

გახვალთ აქიდანო. **ქე ოუხდათ**. მაშინ მეცინებოდა და მართალი ყოფილა, ტიტველი წამევედი იქიდან. სახლი დეიწვა. არც მაგენს დარჩათ. ძლივს გამოვასწართ. თავდასხმა რო დეიწყო, სახში ვიყავი. გამევედი გარეთ. ბიჭებმა თქვენ, მევიდენ, დაგვესხენ თავსო. შემევიდენ, ვერც გამოვასწრებდით, ჩვენ ჯარისკაცს ვუთხარი, ამდენ ხანს უნდა გაგეყვანათ ხალხი-თქვა. 99 უფროსი მყავს და მე-100 ახლა შენ დამემატე კიდეო – მიპასუხა, მაგრამ მაგრად იმარჯვენ, თან გაგვიმართლასავით – რუსის რაზმს ტანკის სწარიადი მოხვდა, 32 კაცი ადგილზე გოლთავევბია. მოვასწართ გამოსვლა, თვარა, ჩვენ ძვლებს ვერ ახიკავდა კაცი. რა ქნენ კოჩარაში, ქე გეცოდინებათ, რავა ჩვენ დაგვაკლებდენ?

ჩამოვადწიეთ ძულათინე. აქანე გაგვიჭირდა. მერე მივხვდი, ი ჩვენი ქვეყანა – აფხაზეთი უკეთესი რო ყოფილა აქაურობაზე, მეტი მოსავლიანი, მეტი მდიდარი...ყველას დიდი და კაი სახლი ედგა. აქანე სანატორუმში დაგვასახლეს. ერთი ეს იყო, ცენტრში ვიყავით, მე-6 აბაზანასან ახლოს, პარკიც იქვე იყო. სამსახურიც ქალს იქინე ქონდა. სკოლა, ბაზარი ახლოს... მერე ე ბინები მოგვცენ. თლად სამართლიანად არ გოუნაწილებიათ, მარა რა უჭირს, სართულები ამოღებით შეგვხვდა, ვინმე თუ გაგიცვლიდა, თვარა, ვეფერს იზამდი. პატარა მიწაც კი მაქ. ეგერ შით ქოხივით რო დგას, იგია ჩემი. ე მიწები ჩვენი არაა წესით, მარა არც თვითონ იყენებენ. ხალხმა მოუარა, გააშენა, ხო ხედავთ, ზოგმა ყვავილნარად აქცია აქოურობა, გაალამაზა გარემო. არ გვიმტკიცებენ და ცხრაჯენ მევიდენ ამიზა, მარა მე უპატრონო კი არ ვარ – ვეტყვი აგერ ჩემ ბიჭს, ვის დააჩაგრეებს ჩემ თავს?! ორი შვილი მყავს. ერთი საზღვარზეა ზუგდიდში, მეორე აქაა. სახში ვმუშაობ, რაცხეებს ვაკეთებ, პარალიჩმა მიწია, თვარა უკეთ ვაბამდი თავს საქმეს. ტრაქტორი მყავდა.

ლეჩხუმში კი ავედით თავიდან მე და ჩემი ძმა, მარა ჩვენი ადგილი დაკავებული იყო. ფული უნდა გადაგეხადა. არ ღირს აქანე ცხოვრებაო – ჩემმა ძმამ და არ ავსულვართ მერე. კი ვართ აგერ. ღმერთმა ქნას, დაგვაბრუნონ, მარა, რო გითხრა, დიდი იმედი მაქვს-მეთქი, არ ვიქნები მართალი.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ და არსოდეს გენახოთ ის, რაც ჩვენ ვნახეთ და გადევითანეთ!

ზურაბ ყურაშვილი [62 წლის]

(ოჩამჩირე – წყალტუბო)

თამილა ზვიადაძე

მინდა სამუდამოდ წავშალო ... ღმერთო, დამავიწყე!

წარმოშობით ცაგერის რაიონის სოფ. ოყურეშიდან ვართ. ჩავუსახლები-
ვართ აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირის რაიონში, სოფ. ახალდაბაში. მე ბევრი
არაფერი მახსოვს იქაური. პატარა ვიყავი, როცა ახალდაბის დატოვება მოგ-
ვიხდა.

საშინელი ტანჯვა გავიარეთ. დედაჩემს ოთხი შვილი უნდა გადაერჩინა და
სამშვიდობოს გამოეყვანა. ტყვეობაში მოვხვდით. რაც იქ ვნახე, იმას რა და-
მავიწყებს, დამიმახინჯა სული. ფეხმძიმე ქალები, არასრულწლოვანი ბავ-
შეები... არავის არ ინდობდნენ ბოვეიკები. დედაჩემმა რა გადეთქანა, ვინ იც-
ის. მე არ ვიხსენებ მაშინდელ ამბებს იმიტო, რო დუჯერებელია, ვერც ვერა-
ვინ გეიგებს. საშინელებათა ფილმში თუ უნახავს ვინმეს ისეთი ამბები, რაც
ვნახეთ და გადავიტანეთ. ცოცხლად გადარჩენის იმედი აღარ გვქონდა,
თუმცა სიკვდილი ჯობდა იმისანე ყოფას. დედაჩემი ნაცნობმა აფხაზმა იცნო
– შენ აქ რა გინდაო? – უკითხავს. ბევრი იბძოლა, რომ დავეხსენით. არ თმობ-
დნენ აფხაზები. ბევრი ცდის შემდეგ მაინ მოახერხა. გადმოვედით, მაგრამ
ვაი, ასეთ გამოსვლას! მამაჩემს იმედი გადაწურული ქონია, აღარც ვეგონეთ
არც ერთი ცოცხალი. დედამ ოთხივე შვილები ცოცხლები ჩამოგვიყვანა.

წყალტუბოში დაგვავინავეს სანატორიუმ „მეტალურგში“. დედამ დიდხანს
ვერ გაძლო, ვერ გადაიტანა, რაც თავს გადაგვხდა. პატარა ვიყავი, რო მო-
მიკვდა. საშინელება იყო ჩემთვის დედის დაკარგვა, ის იყო ჩემი იმედი, ის
იყო ჩემი გმირი! როცა ეზოში ვთამაშობდით ბავშვები და რომელიმეს დედა
დაუძახებდა, გული მეკუმშებოდა – ჩემი დედა აღარ იყო. რატომ, რატომ? –
მეტყვის ვინმე? რატომ დაიტანჯა ასე?! სულ 42 წლისა იყო.

ახლა არც დედა მყავს და აღარც მამა. აქ, წყალტუბოში, მესამე საშუალო სკო-
ლაში ვსწავლობდი, ოქრო ტყაბლაძე იყო სკოლის დირექტორი. ძაან კულ-
ტურული, განათლებული ადამიანი. მეგობრებიც აქ შევიძინე. მერე ხონში
გავთხოვდი. შვილები მყავს, ქმარი, ნათესავები, მეგობრები... არ ვიხსენებ
აფხაზეთს, არ მაქვს სურვილი. ამბობენ ახალდაბა გავერანებულიაო, სახ-
ლებში ხეებია ამოსულიო... ვერც იცნობ იქაურობასო, საკუთარ სახლსაც ვერ
მიაგნებო...

შვილებს არ ვუყვები იქაურ ამბებს. მინდა, რო დავივიწყო, ამოვიგდო მეხსი-
ერებიდან, სამუდამოდ წავშალო... ვერც თქვენ მოგიყვებით, არ ითქმება!
ღმერთო, დამავიწყე!

არჯევანიძე მაია [38 წლის]
(ოჩამჩირე -წყალტუბო)
თამილა ზვიადაძე

როგორ გვეგონა, ასე თუ გაგვიმეტებდნენ?!

გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდიდან ვარ. გავთხოვდი სოხუმში და ვცხოვრობდი ჭავჭავაძის ქუჩაზე. განახლებაში იყო ფსიქიატრიული **სავანტუოფო**, იქ ვმუშაობდი ექთნად მანამ, სანამ **ფუნუკოლიორი** არ აიღეს რუსებმა და აფხაზებმა. დავტოვეთ სოხუმი, მივედი მშობლების სახლში. **იქანე** ძმები **ცხოვრობდენ კილო** ჩემი. უნდა გავსულიყავით, მამაჩემს ფეხი არ უვარგოდა და ვერ ივლიდა, მშობლები **დარჩენ** და ჩემი უმცროსი ძმა – მურთაზი კუხალაშვილიც. მე, ჩემი შვილი, უფროსი ძმა, რძალი და პატარა ძმიშვილები **წამევედით**. ერთი კახელი ბიჭი იყო ჩარჩენილი, დიდი **სამასვალი** მანქანა **ყავდა**, იმან გვითხრა, წამოდიოთ. რა გვექნა? მთავრობიდან პატრონი არ გვყავდა **არევენ**, ჩვენი **თავიზა** უნდა გვეშველა. ჯერ თვითმფრინავით გვინდოდა გადმოფრენა, **მარა** ზუსტად იმას შევესწარიო, **რო** აფრინდა და აფეთქდა... **იქინე** რა გაგვაჩერებდა და წამოვედით. მშობლები **იმედიანათ** მეგულებოდა. ჩვენ გვერდით სომხები **ცხოვრობდენ** და **იგენმა გვითხრენ**, მივხედავთო. თურმე **ასმენდენ** ქართველებს, რა ვიცოდით! ჩემი უმცროსი ძმისთვის უთქვია კბილის **ტექნიკს** – **აქანე** არ გაჩერდე, ჩაშვებული ხარ, თავს უშველეო. იძულებული გახდა, იმასაც **დაეტოვებია** მშობლები. ტრაქტორით წამოსულან სამი: მურთაზი კუხალაშვილი, ტოგო შონია, საშა კუხალაშვილი. კი **დაგვეწიენ** გზაში.

უნდა დავადგეთ სვანეთის გზას და ერთი დაბნეული დედა-შვილი ვნახეთ, გოგო **ორსულათ** იყო. „**პერემინიას**” დროს ჩამოსულან, **ქერო** სწავლა **დეიწყეს** ვითომ. **ნასწავლება** ე გოგო სოხუმში. ვარჩემდე გზა გვიჩვენეთო. ვარჩეში რა გინდათ, აქით წამოდიოთ, თუ სამშვიდობოს გასვლა გინდათ-თქვა და **წამოგვევენ ეგენიც**. ორი გზა მიდიოდა, ერთი სამანქანო და მეორე – ბილიკი. ერთმა ქალმა, **გეიხარა** იმან, გაგვაფრთხილა, **მაქით** არ წახვიდეთ, წვიმაა, მალე თოვლი წამოვა და ყინვებში **მოხვთებით**, ბილიკით იარეთო. დღე მივდიოდით, ღამე ნაძვებში ცეცხლს ვანთებდით, **რო** გავმთბარიყავით, თან თოთო **ზოვშეს მანკა კაშას** ვუხარშავდით წყალზე. მეორე წლინახევრის იყო, ჩემი გოგო – 6 წლის. **კილო კაი, ჭამდენ**.

ასე ვიარეთ **ჭუბერამდე**. **იქანე** ქუთაისელი სტუდენტები ვნახეთ, ცხელ საჭმელს **ხარშავდენ** და აწვდიდნენ ხალხს, **რო** სული მეებრუნებიათ. ჩვენც **ქე** შეგვხვდა. გავნაგრძეთ გზა, **მარა** საჭმელი შემოგველია, **ზოვშეები** ძლივს მოდიოდნენ. ხელში აყვანას **გვთხოვდენ**. თოთო გულზე **ევიკარით** და ისე მოვყავდა რიგრიგობით. რამდენს **მოყავდენ** გარდაცვლილი ბავშვები გულში ჩახუტებულები, არ დატოვეს **იქინე**. დიდები

კი გვხვდებოდნენ მკვდრები მიტოვებულები...მეც ძლივს მოვდიოდი კაპლებით.

ერთ ადგილას **მაშინა** იყო გაჩერებული, მძლოლმა **რო** გაიგო ბავშვების ღნავილი, გააღო **ბარდაჩოკი და კირპიჩი** პურები **ამეიტანა, დოურიგა** ბოვშებს. **რაფერ** შექამეს, თუ იცი, ნამცეცხვსაც **ხიკავდენ...** ასე ჩავედით ზუგდიდში. დედა-შვილი კი ჩავაბარეთ პატრონს. იმ დიდ გზაზე ვინც **წამევიდა**, უფრო გაუჭირდა, ჩვენ ვითომ არა გვიშავდა თურმე. ტალახი არ იყო. ზუგდიდში ბევრი ხალხი ირეოდა, ერთ ადგილას იყო ყველა. უცებ მანქანა **დევინახე** და ჩემი მეზობელი არ გადმევიდა?! – **ბენ-დელიანი** იყო გვარად, ჩვენ ცოცხალი არ გვეგონა. ბუთხუ, წადი, **გეიგე** ჩვენების ამბავი-**თქვა – ჩემ** ძმას ვუთხარი. ვაი ამ გაგებას, მამაჩემი **ბო-ევიკებს დოუხვრეტიათ**. თურმე სოფელში **რო** შესულან, დარჩენილებს დამალვა **დოუწყიათ**. დედაჩემი ამ ფეხმტკივან კაცს დაარბენიებდა სამალავსა და სახლს შუა. **სა** შეემლო მამას ამდენი! ეტყობა, ვიღაცა **მაინ მევიდა**. **სახლიზა** უსვრია და ცეცხლი **მოუკიდა**. **სახში** მამაჩემი ყოფილა, დედა – ეზოს გარეთ. დედაჩემს შურა **ქვიოდა**, **სახში** ცუციას **ეძახდენ**. მოდის თურმე და რაღაცა გრძნობამ გააჩერა, თითქოს ვიღაცა მეუბნებოდა : **ცუცია**, არ წახვიდეო. ამ დროს ავტომატის ხმა მოესმა, არაა **კაი** ამბავიო, **მიმხვთარა**. მეზობელი გვყავდა სომეხი, მივარდნია **იმასან**, მიშველეო. ცუცია დეიდა, ახლა იქ რო მივიდეთ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენო და გაჩერებულან. როცა **სახში** შევიდენ, **ჩემ** მტერს, რაც **ნახენ** – მამაჩემს 27 ტყვია **ქონია** ნასროლო. **რათ** უნდოდა ამდენი ტყვია, **ვერ გევიგე**, ერთ მოხუცს! ნახევრად დამწვარი **ადიალაში** შეუხვევიათ და ეზოში დაუსაფლავებიათ.

გვერდით მეზობელი **რო** ცხოვრობდა – **ვერა ჯურხაძე**, **მაგასან ლინდა-ველი** გოგო აფარებდა თავს – **ნუცა გოდერიძე**. **წოუყვანიათ** იგი, **გაა-უპატურეს** თურმე და მერე იქით, **ილუშა კოპალიანის** სახლისკენ, ხიდთან **დოუწყიათ**. დედაჩემი ჯურხაძეებთან ყოფილა ერთ ხანს, მერე შეშინებია და სხვაგან გადასულა. **კიდო** კაი. ვენერა ჯურხაძე თავის **კრაოტზე** მოუკლიათ. დედაჩემსაც იგივე მოელოდა, **იქინე რო** დარჩენილიყო. **ე** საწყალი ვენერა თუ დაასაფლავა ნეტა ვინმემ?!

მამაჩემი მოკლეს **ოთხი ოქტომბერს**. ჩემი ძმა **რო წამევიდა, მაშვინ**. ისეთი წესიერი, მამაცი და უშიშარი იყო მამაჩემი, **ქერო** ჩემი ძმები **იბმოდენ**, გვერდზე ედგა. **პოსტი რო** გვქონდა, **იმაჩი** – ომის დროს იქ იდგა. **პლენები რო** ჩამეიყვანეს წებელდაში, მაშინ იქ იყო, ტელევიზიაც იღებდა, იყო ტელევიზორშიც – ხალხს მშვიდობისკენ მოუწოდებდა, კარგად ლაპარაკობდა...**რაფა** ეგონა, ასე თუ **გეიმეტებდენ** ხალხს!

არ ვიცი, **რაფერ** არჩევდენ – ზოგის ჭიშკარს წითელი ლენტი ეკიდა. ესე იგი, არ უნდა **შეხებოდენ**. ჩვენ სახლსაც ჰქონია ასეთი ლენტი, **მარა** მე-

რე ჩამოუხსნიათ და მაშინ გადაწყდა ჩემების ბედი, ეტყობა. ისე წითელი ლენტები უფრო სომხების სახლებზე იყო. ქართველის დაცვა ძნელი იყო, თან გეიგენ, ალბათ, რო ორი ბიჭები (ჩემი ძმები) იბრძოდნენ, და არ აპატიეს, რა ვიცი, რა ვიფიქრო!

გერმანელებს არ გაუკეთებიათ, მაგენმა რო გვიქნენ, იგი.

დედაჩემი მერე, ცოტა გვიან, როცა გადმოსაყვანი ხალხის სიებს ადგენდნენ, იმ სიაში მოხვთა და კი გადმევიდა. ჩანაწერები დაგვიტოვა, აგერ მაქ ერთი რვეული...4 წლის წინ გარადაიცვალა, აქ დავასაფლავეთ, ხონში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ჩემი ძმა უკრაინაში წავიდა, იქინეც ომი დეიწყო, მერე ისრაელში გადევნიდა და არც იქაა კაი დღეში. მოკლედ, ეს ომი ფეხდაფეხ დაგვყობა. მშვიდობა იქნებოდეს ნეტაი.

დალი კუხალაშვილი [58 წლის]

(გულრუფში, წებელდა -ხონი)

თამილა ზვიადაძე

2025 წელი

„კაკ ნე ხაჩუ ტებია უბივატ!“

გულრიფშის რაიონიდან ვარ, ვცხოვრობდი სოფელ ფშაფში. საავადმყოფოში ვმუშაობდი, ქირურგიულ განყოფილებაში. ომის დამთავრებამდე იქ ვიყავი, დაჭრილებს ვუვლიდი. სოხუმი რომ დაეცა, შვილები, დედამთილი და მული გავაყოლე უკრაინულ გემს, რომელსაც დაჭრილები გადაყავდა. დავრჩით მე და ჩემი ქმარი და მშობლები. დაიწყო მარცვა, მარადიურობა. დედაჩემს შეეშინდა და ჩემი ქმარი და ძმა აიძულა, სვანეთით წასულიყვნენ. მე მშობლები არ დავტოვე. სახლში მოხუცი ბებიაც მყავდა – ეკატერინე შენგელია. დედაჩემი – ეთერ ვეკუა მაშინ 58 წლის იყო, მამა – აპალონ სამუშია – 65 წლის. ჩვენ ოჯახს თავს აფარებდნენ ასევე ბებიას და – ლიდა ფაცაცია, დისშვილი – გოგი ფაცაცია და მისი ძმა – ალიოშა.

ჩვენს სოფელში 29 სექტემბერს გამოჩნდნენ ბოევიკები. დარბოდნენ, მანქნებს ეძებდნენ, თუ სადმე ნახავდნენ, გაყავდათ. გოგის მანქანა წაიყვანეს, მერე ჩემი ძმის – ანზორის. როცა ისინი ოჯახში შემოვიდოდნენ, ჩვენ ვიძალავდით. ჩემი მანქანის წაყვანა რო დააპირეს, ბებიამ დამიძახა ხმამაღლა და წამოვიდა ჩემსკენ. გამოყვეს და კი მნახეს სამალავში. ჩამიყვანეს პადვალში, სადაც მანქნები იდგა, კლიტე მომეცო, მიმაყენეს კედელზე. გადამეფარა დედაჩემი, წაიყვანეთ ეს მანქნები და წადითო. მე ვიხელთე დრო და გავიქეცი. გაყავდათ მანქნები, მებელი და ტანსაცმლები.

პირველი **გრუპა** ასე იყო – არაფერს არ ტოვებდენ, მიქონდათ, აცარიელებდენ სახლებს. მეორე წყება უარესები აღმოჩნდნენ. დღე შემოდის და სახლებში, არავის არ ინდობდენ. ამ დროს სახლში ვერ გაჩერდებოდი, სიმიდებში ვიმალებოდი, ზოგი **კილო** – სად. ბებიაჩემი და მისი და – ლიდა კი რჩებოდენ სახში, **სა** შეეძლოთ გარე-გარე სირბილი. 1 ოქტომბერი იქნებოდა და ჩვენ ოჯახში სამი **ბოევიკი** შემოვიდა, მე მანდარინებში შევედი, იქიდან **რო მეყურებია**, **გარე** ვერ გამოვდიოდი. სახლს რაღაც ესროლეს და ცეცხლი გაჩნდა. ბებიაჩემი გაეკიდა **ბაევიკს**, ეს **რო** ნახა, და ჯოხი მოუქნია. იმან ესროლა და ზედ ჭიშკართან მოკლა. სიმწრით სად წავსულიყავი, არ ვიცოდი, ვერც გამოვდიოდი, **პარტიებთ** დადიოდენ და რა ვიცოდი, როდის ვინ შემობრუნდებოდა. გვიან სამალავიდან **გამევიდენ** ჩემები. მიცვალებული **ადიელაში** გავახვიეთ და ეზოში დავმარხეთ. სასაფლაოზე წაღება ვერ გავბედეთ – ჩვენ ზევით სომხები ცხოვრებდენ, ისინი ჩაგვიშვებდენ და ვიფრთხილეთ. ვერც ფიცრები შევკარით – კაკუნს გაიგონებდენ.

ამ ამბის მერე გოგი ფაცაცია და მისი ძმა – ალიოშა ღელე-ღელე **გადავიდენ** თავიანთ სოფელში, მერე დედამისიც წაიყვანეს. დავრჩით მე და ჩემი მშობლები, ბიძაჩემიც ჩვენთან იყო – მეგონა სამუშაო. სახლი დამწვარი იყო, ბოსელი დავალაგეთ, ქვეშაგები, რაც სამალავში გვქონდა, **გამევიტანეთ** და იქ შევედით.

ჩემი და – მაია სამუშაო ზემო ფშაფში იყო გათხოვილი, ზევიდან ჩანდა, როგორ იწვოდა ჩვენი სახლი. დაუნახიათ. მაიას მამამთილი წამოსულა ამბის გასაგებად, ტყე-ტყე უვლია. მოაღწია ჩვენამდე, ჩქარა წამოდიოთ. აქ რა გინდათ – სახლი არ გაქვთო. წაყვევით ჯანიკო წურწუმისა და **მაგასან** დავრჩით. იქ **ისევლე** მარცვა მიდიოდა, ჯერ ხოცვა არ იყო დაწყებული. როცა გამოლიეს წასაღები, იქაც დაიწყო ნადირობა ადამიანებზე. არ **ზოგავდენ** არავის, არ **ქონდა** მნიშვნელობა, ახალგაზდა იყავი თუ – მოხუცი. ვისაც ეგონა, არ **მიბძოლია**, მოხუცი ვარ და მე არაფერს მიზამენო, **ყველა მოტყუვდენ**. აფხაზებმა პირველ ეტაპზე სხვები **შემოუშვენ** და **იმგენმა** რა იცოდა, ვინ ვინ იყო?!

ერთ საღამოს ჩემი მშობლების ლაპარაკს შევესწარი. **ჩემი გულიზა ემინოდათ**. ახალგაზდაა და საშიშია, **ნეტაი** თავისი პატრონისთვის **ჩაგვაბარებია** უვნებლათო. **გაუპატურებები იყო და ამიზა ფიქრობდენ**. საღამოს ჯანიკოს რძალი შემოვარდა, **ბოევიკები** იყვენ, ქათმები **მთხოვენ**, შევაგროვე ქათმები და მოვლენ, **ფთხილად** იყავითო. უკან, ხურმებში გვინდოდა დამალვა, მარა ჯანიკომ შეგვაკავა, აქ არ მოვლენო. მანქანა ჯანიკოს ძმის ჭიშკართან გაჩერდა, **გადმოვიდენ** ავტომატებით, მაგრამ არ **გვნახეს** და გაბრუნდენ. ჩვენ შოთას **სახში** გადავედით. დედამ თქვა, **რომე** შენ ახალგაზდა ხარ, შედი **შითო**. შევედი, პატარა ოთახი იყო, **კრა-**

ოტი იდგა და შკაფი. მაგათ შუაში პატარა ადგილი ვნახე, ჩევიკუნცხე და ტანსაცმლები დავიყარე თავზე. შემოვიდენ სახში. ამ ოთახს კარი ჩამოხსნილი ქონდა, მე ტანსაცმლებს ცოტა გავუწიე და ვხედავდი, რა ხდებოდა ზალაში, დადიოდენ, პოლი ჭრიჭინობდა, მივხვდი, რო რაღაცას ეძებდენ. შოთას ფეხი ქონდა მოჭრილი და ყავარჯნებზე იდგა. შენო, ომობდიო? ეს რა არის აბაო, ფეხი სად გაიფუჭეო? არ მიომია, განგრენა გამიჩნდა და მომჭრესო, – უთხრა. მამაჩემი იმ ოთახში შემოიყვანეს, სადაც მე ვიყავი. მინდოდა, გაეგო, რო იქ ვიყავი და ფეხზე მოვკიდე ხელი ქვემოდან. მამამ ფეხი დამიქანავა. ბაევიკმა უთხრა: „კაკ ნე ხაჩუ ტებია უბივატო“, მარა ესროლა. მამა კი არ დაეცა, ჩასრიალდა და მე მეგონა, სიკვდილს ხო არ იგონებს-თქვა. მერე შოთას ესროლეს, მის ცოლს და დედაჩემსაც. დედაც არ დაცემულა, ტახტზე დაჯდა. ეგიც იგონებს, არ არი მკვდარი-თქვა, იმედს ვაძლევდი ჩემ თავს. მერე ბოევიკმა აიღო ლამპა, იქვე კლეჩნი ადილა იყო, წოუკიდა ცეცხლი, მოედო ალი საბნებს, ადიელა აბოლდა. ახლა მიკვირს, არც დამიხველებია კვამლზე, მარტო იმაზე ვფიქრობდი, რომ ცეცხლი მამაჩემს უახლოვდებოდა, იმ ჭუჭრუტანიდან, თუ რაც იყო, ვუყურებდი, რო გავუწიე. მალე დავინახე, ლამპის შუქი წინ წევოდა და მივხვდი, რომ ბოევიკი მიდიოდა. უცებ გამოვედი და მამა გავწიე ცეცხლიდან, ნაბიჯებზე მივხვდი, რო შემობრუნდა. დავიმაღლე ისევლე. ამან მიათვალაიერა იქაურობა, ცეცხლი გაძლიერდა, ჩათვალა, რო არავინ იქნებოდა და წავიდა, ვერ მიხვდა, რომე იმაზე... ფიცარზე გავწიე მიცვალებული. ოთხივე კარიდორში გამევიყვანე. შოთა ბიძია შემატებული კაცი იყო და გამიჭირდა ძაან აწევა. ხმას ვერ ვიღებდი, რო მეყვირა, მიშველეთ ვინმემ-თქვა. სოფელში ხალხი იყო კაი ძალე, იმალებოდენ და რო გამოსულიყვენ და მერე ჩემი გულიზა რო იმასქნან -მოკლან, მერე რას შობი?!

ამ დროს კივილი მომესმა და გარეთ გავვარდი, ვიღაცას უჭირდა, მივხვდი, ჩემი დის დედამთილი – კეზო კიოდა: არიქა, გული და შურა მოკლეს (ცოლ-ქმარი იყო, მოხუცები, მეზობლად ცხოვრობდენ), ძაღლები დარბიან და შიგნით შემომაყვანიეო. საშინელება ვნახე, ჩელუსტი ქონდათ – ყბა დასისხლიანებული, ოქროს კბილები ქონიენ საწყლებს.

ამ საშინელებების მერე აქ ასე დოუცველად და ალაღბედზე რაფერ გაჩერდებოდი? – გამახსენდა მამაჩემის ნათქვამი, კომედანტი ყავდა ნაცნობი, მიკამბა იყო გვარად, სკურჩაში ცხოვრობდა. მამაჩემი ციხეში მუშაობდა, ეს კაცი თურმე იჯდა რაღაცაზე. ბევრი სიკეთე მახსოვს და მოგხედავო, უთქვია. შევატყობიეთ. „ერთი კაცი მყავდა მისახედი და იმასაც ვერ მივხედეო“, – უთქვია. დავგიყენა ამ მიკამბამ ახრანა. რაღაც აბშილკები მოგვეცეს – ფიცრები, ის შევჭედეთ და დავასაფლავეთ მკვდრები. ეს

იყო, მგონი, ერთადერთი შემთხვევა, როცა ჭურჭლით დავმარხეთ მიცვალებულები.

მიკამბამ ხალხს შეპირდა, **რო** აწი მკვლელობები არ იქნებაო. მართლა არ მომხდარა მკვლელობა, სანამ იქ ვიყავით. ეს იყო, რო ხალხს – ქართველებს ამუშავებდენ, **მანდარინას** აკრეფიებდენ. იქ **ქე** ვიყავი, **მარა ჩემ სახში** მინდოდა. ერთი აფხაზი იყო, რუსლანი ერქვა, 300 კილო მანდარინი **დოუკრიფეთ** და გავატანეთ. მიკამბას **ვათქმევიე, კილო დაგიკრიფავენ** და ეს თავის **სახში** გადაიყვანო. წამიყვანა, **მარა ჩემ** სახლს ეწერა **ზანიატა**. იქვე მეზობელ ოჯახს ჩააბარა ჩემი თავი – **აშუბები** იყვნენ. იქ ერთი დაჭრილი **ყავდათ**, დანა **ქონდა** ფეხში. ვუთხარი, მე ექთანი ვარ და ამოღებ ამ დანას-**თქვა**. მაგრამ სტერილური მარლა მინდოდა. მომიტანეს **აპტეჩკა**. ვიცანი, ჩემი სახლიდან **რო** იყო. რას იტყოდი? გაუწმინდე ამ დაჭრილს ფეხი, ერთი კვირა ვკურნალობდი. ერთხელ **იქანეც შემოცვივდენ**, აფხაზები იყვნენ, კედელზე მიმაყენეს, **მარა** პატრონმა მიშველა – **მაგი** დასახვრეტი **რო** იყოს, ჩვენ ვერ მოვკლავდითო?

კრასნი კრესტით ვაგზავნიდი წერილებს. ერთხელაც მომივიდა პასუხი, ჩემი მული მწერდა, **ბოვში** ავადაა, **სავანტყოფშია**, მე არ ვარგივარ მაგის პატრონად და **ეგება** მოახერხო გადმოსვლაო. გავგოჟდი მთლად, დავიწყე ტირილი. მკითხეს, რა მოგივიდაო და ვუთხარი, გამიშვით, შვილი **ავათ** ყოფილა და მე რა დედა ვარ, აქ **რო** ვარ-**თქვა**. შემიწყვეს ხელი. ჩამაცვეს რაღაც ფანელის ხალათი, მანქანით ჩამიყვანეს **სოჩამდე**. მერე კი მოვედი აქ, ბათუმში და ვარ მის მერე აქ.

ზაირია სამუშია [72 წლის]

(გულრიფში-ბათუმი)

თამილა ზვიადაძე

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი ასე...

გულრიფშის რაიონში ვცხოვრობდით, სოფელ დრანდაში, ციხის **რიადის** გაყოლებაზე. ომის დროს ბავშვი ვიყავი, **მარა** ბევრი რამე მახსოვს. ქართველების გამოდევნა რომ დაიწყო, ავტობუსში ჩავსვეს, აგუძერაში უნდა მივსულიყავით და მერე იქიდან გემით **გამევიდოდით**. ის ღამე ავტობუსში გავათენეთ. მეორე დილას **ბავეიკები გამოჩნდნენ**. დაკითხვა დაიწყო. **რო** გაიგეს, საიდან მოვდიოდით, უკან დაგვაბრუნეს. ბავშვებმა ტირილი **დეიწყენ**.. **რო** მივედით დრანდაში, **გაგვიშვენ**. ჩვენ **ბეზიაჩემისას** არ მივედით **იმიტო**, **რო** ბიძაჩემი იბრძოდა და საშიში იყო. **წავედით** დეიდაშვილებთან. იქ ვიყავით 10 დღე. კაცები **დეიმ-**

აღენ მანდარინებში, საჭმელი ჩუმად მიგვექონდა. დედა და მამა მაჭარკაში იყვნენ, ჩამევიდნენ და წაგვიყვანეს. აქ ვითომ უფრო სიმშვიდე იყო. 18 ოქტომბერს დრანდაში დავბრუნდით, რო ბიძა და ბიძაშვილები წამოგვეყვანა, მარა გვეიგეთ, რო ბიცოლაჩემს გადაეყვანა იგენი თავის სოფელში. გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება. გზაში წამოგვეწია მანქანა, გაგვაჩერეს, ჩაგვსვეს შით, ამ მანქანაში, რაფი იყო. სამნი იყვნენ, სამხედრო ფორმა არ ეცვათ. აგვიყვანეს ფშაფში. იქინე შტაბი ქონდათ. ეს ადგილი მახსოვს, მანდარინებს რო აზარებდნენ, იქანე იყო. რო მივადგე, ვიცნობ. ერთი 40-ოდე კაცი იყო აქ. ამის მერე ვილაცის ოჯახში გადაგვიყვანეს, ვერ ვხდები ახლაც, რატო...ორი ბავეიკი წამოგვეყვანა, ერთი დარჩა. კარგათ დაგვხდნენ, სუფრაც იყო გაშლილი. ერთი მოხუცებული კაცი იყო სახში, ქართულად დაუწყო მამაჩემს ლაპარაკი. მე გამიყვანეს. არ ვიცი, რა მიზანი ქონდათ, გვითხრენ, უკან დაგაბრუნებთო. ვინც ვიყავით, ყველა მოგვიყვანეს დიდიშვილების ოჯახში. მახსოვს, ოთახში ლამფის შუშა იყო თუ ჭრაქი. იქანე არაფერი უკითხავთ, მამაჩემი სკამზე დასვენ, ბებიას უთხრა ბავეიკმა, გაიწიო, გაამზადა დასახვრეტად. მერე მივხვდი, რო გამიზნულად წამოგვიყვანეს მოსაკლავად. აბა არაფერი არ წაუღიათ, მარადიორები არ იყვნენ, დაჟე, გასაღებიც არ ოულდ-იენ... უცებ სროლა ატეხეს – მამაჩემი დაეცა. მე მივარდი: პაპა, პაპამეთქი, ავტეხე ტირილი... ცოტა ხანში მივხვდი, რო შეიძლება ჩემი ჯერიც მოსულიყო და სანამ სხვებს ესროდნენ, გვეიქეცი და დევამალე. არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი ასე. გონზე რო მოვედი, მეზობელი სომეხის ჭიშკართან ვიყავი. წამომყვენ, მამაჩემს საბუთები ამოვუღე. დამარხვა ვთხოვე, მარა შეეშინდათ, იქნება მობრუნდნენ (ასე შობოდნენ) და საშიშიაო, ხვალ დილას მოვიდეთო. მეორე დღეს სახლი უკვე დამწვარი იყო და ყველა გამომწვარი შით – საფლავიც არ მაქ. ეს იყო 18 ოქტომბერი, ამ დღეს მომიკლნენ მამა.

წამოვედით მე, დედა და ჩემი და. გზაში ვხედავდით, რო ქართველების სახლები სულ გადამწვარი იყო. ქურდავდნენ და, რო დააცარიელებდნენ, მერე წვავენ. 19 – ში დრანდის ციხეზე ავედით და იქ გავათითეთ ღამე. 20 – ში გამოვედით. ციხესთან კრიზავდნენ ხალხს და ფულის და ოქროს ფასად გამოყავდნენ. 28 -ში გემზე ვიყავით. ჩამოვალწიეთ და მის მერე ვართ აქ, ვცხოვრობთ გურიაში, სოფ. გრიგოლეთში.

ვასო გელანტია [41 წლის]
(დრანდა- გრიგოლეთი)
თამილა ზვიადაძე

ჩემს სახლში შტაბი გაუმართავთ

წებელდა გულრიფშის რაიონს ეკუთვნის. ომამდე იქ ვცხოვრობდი. პროფესიით საქონელმცოდნე ვარ, მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი დავამთავრე.

სოხუმი **რო** დაეცა, წებელდაში **ამევიდა** ნოდარ ნათამე, შეკრიბა სოფლის თავკაცები და უთხრა, უნდა დატოვოთ აქაურობა და **პერევალით** უნდა გადახვიდეთო. ოჯახი **გავაფთხილე**, ასეა საქმე-თქვა. დედაჩემი დამთანხმდა, **რო** წამოვიდოდა. მე მაინც გადავწყვიტე, მეზობლებში გადავსულიყავი და გამეგო, რას ფიქრობდენ. ერთი 10 ოჯახი **ქე** მოვიარე. ყველამ თქვა, მივდივართო. ნოდარი თუთისანის ამბავი ვერ გავარკვიე, ვერ მივხვდი, აპირებდა სოფლის დატოვებას თუ-არა, **ქოქმანობდა**. სახლში მისვლა ამასობაში კი დამაგვიანდა. თურმე ჩემი დაც გადასულა მეზობლებში საკითხავად. **რო** მივედი, დედამაც და მამაც უარი **მტკიცენ**. რავარი იყო ახლა ეს?! თუ არ წამოხვალთ, **ტყვიას ვიკრავ გულში-თქვა**-ვუთხარი. შენ არ **შეგეშინოსო**, მე **არევი**ნ ხელს არ მახლებსო – დედაჩემმა. ისე გაკერპდა **რომე**, ვერაფერი ვქენი. დამარიგა, რუსთავში ჩადი, ჩემ ძმებთან და **იგენი** შეგიფარებნო. რა უნდა მექნა-დავტოვე ორივე **სახში** და წამოვედი **პერევალით**. გლახა ამბავი, **ქი** იცით, უცებ ვრცელდება და საკენს ზემოთ ვიყავი უკვე, **რო** ამბავი **მევიდა** – შენი და და დედაშენი **ქუხნა სახში** გამოწვესო. **ვეფერი გევიგე** მეტი. დამარხა ვინმემ თუ არა, ანდა თუ **დაწვენ**, ვინ დამარხავდა. წითელ ჯვარს მივმართე, **მარა**, ვერაფერი გავარკვიე **მაინ**.

კაროჩე, გენოციდი მოგვიწყვეს, **იავნი გენოციდი**, აბა, რა იყო **მაგი?! ჩემ სახში** შტაბი **გოუხსნიათ**, დედაჩემს და ჩემ დას იმსახურებდენ თურმე. ჩემ დას ყური მოუკრია, **რო** მეზობელს – ჯოტო კინწურაშვილს მოკვლას **უპირებდენ**. მოუხერხებია და **გააფთხილა** თურმე, **რომე** გემებენ და მიხედე თავსო. **ეგი** შეუტყვიათ, როგორც **მითხრენ** და მერე მოხდა, რაც მოხდა – დახოცეს ორივე, **რომე რავა** გააფთხილეო. **ქუხნა სახში** შოუყვანიათ და გამოუწვიათ. მეტი არაფერი ვიცი ვაფშე.

მე **პერევალით** გადმოვედი, 42 დღე ვიყავი **იქანე** – გადავდიოდი და გადმოვდიოდი, ვეხმარებოდი ხალხს. ტანზე არ გამიხდია, ერთი **ბუშ-ლატი** მქონდა, იმით დავდიოდი. ჩემი დიშვილები წითელი **ჯვარის** მანქანაში **ჩავაჟდინე** და გამოვუშვი.

ბიძაშვილი მყავდა – გერონტი თუთისანი, ჩვენში უფროსი **ეგი** იყო, ყველა ვუჯერებდით. **კომსომოლსკაიაზე** ცხოვრობდა. **მერეთ გევიგეთ**, რომ **იქინე** მოკლეს, თავის **სახში**, ცოლი ადრე მოუკვდა, გოგოები გამოუშვა, თვითონ მარტო დარჩა და კი მოკლეს.

პერევალზე რო მოვდიოდი, ღამე ცეცხლს ვანთებდით, ხალხი რო არ გაყინულიყო. ერთი ქალი მოდიოდა – მერი გაფრინდაშვილი. ლექსად გამოუთქვამს ჩემი ამბავი – ხალხს რო ვეხმარებოდი.

ნოდარ თუთისანი – (84 წლის)

წებელდა – ქუთაისი

თამილა ზვიადაძე

„გრუზინკა“

1944 წელს დაბადებული ვარ. ვარჩეს საშუალო სკოლა დავამთავრე, მერე სოხუმის საბუნებისმეტყველო ინსტიტუტში შევედი, რო დავამთავრე, სამედიცინო ტექნიკუმშიც შევედი. 27 წელი ვიმუშავე დრანდის სამშობიარო სახში.

ომი რო დაიწყო, ვერსად ვერ წავედი, მშობლები ავად იყვნენ, ორივე დაწვლილი, ხო ვერ მივატოვებდი?! აეროპორტი რო აიღეს, მაშინ ჩემ სახლს ჭურვის ასკოლკები მოხვდა. საშინელება იყო – აქეთ დედაჩემი კვნესის, იქით მამაჩემი ყვიროდა. ერთი ძმა მყავდა, მეორე კი მომიკვდა. წვევიდა ჩემი ძმა, ცოლ-შვილი გააცილა მერხეულამდი და ქე დაბრუნდა უკან. მეზობლებმა უთხრეს, რას დაბრუნდი, ვერ წადი შენ ოჯახთან ერთადო? – ჩემ დას მარტო ხო ვერ დავტოვებ მოხუცებთან, მარტო მაგის მშობლები ხო არ არიანო.

შემევიდნენ ბოევიკები ოთხი. ვინ ხართო. რას ვეტყვოდი – გრუზინკა-თქვა. არ უნდა მეთქვა თურმე... მამაჩემი მომიკვდა, პროსტინაში გავხვით და ჩემი ძმის სასაფლაოში დავმარხეთ. გვარდიელები დაგვეხმარენ, მერე ფული მოითხოვეს. სა გვქონდა რამე და ჩემმა ძმამ ბეჭედი მოიხსნა და მიცა – ამის მეტი არაფერი მაქო.

გაწამაწიაში ვიყავით. ვინ არ შემოდიოდა, უფრო მეტად – რუსები იყვნენ. ყველას ფული უნდოდა. სულ ვიმალებოდით ხან – ტყეში, ხან – ყანაში. რო შემევიდოდნენ ოჯახში, ჯერ ვეშებს უყურებდნენ, მერე ფულს ან ოქროს ითხოვდნენ. ყოველ დღე დადიოდნენ, ადგილზე კლავდნენ ხალხს. სადამოს 7 საათის მერე აღარ იყვნენ, რა ვიცი, სად მიდიოდნენ. ერთი ოჯახიდან ხუთი ძროხა თავისი ხბოებიანად მიყავდათ. ჩემმა მეზობელმა – რუსის ქალი იყო, წესიერი, უთხრა: 5 რომ მიგყავთ, ერთი მაინც დოუტოვით ამ ქალსო. კი, ერთ ტილიონკას დავუტოვებთო. სახლებს ჩხრიკავდნენ, ავტომატი ხო არ გაქვთო. ერთგან მთელი პოლი აყარეს სახში, სადმე ხო არ დამალეთო, ნიშანი ქონდათ, ალბათ.

შუქი არ იყო, საჭმელი გამოგველია, ცეცხლს გარეთ ვანთებდით, ჩაის ვადულებდით. შაქარი სა იყო! ერთი სომეხი თანამშრომელი მყავდა, იმ ქალს გავხსენებოვარ. ერთ დღესაც კართან მანქანა გაჩერდა. შემეშინდა. მანქანა რო გაჩერდებოდა, უნდა მიმხდარიყავი, რო კაის მსურველი არე-

ინ მევიდოდა. „ტი შტო, ჟივია?“ – მკითხა იმ ჩემმა ამხანაგმა ქალმა. გაქ რამე საჭმელიო? რო ნახა, რაფერც ვიყავი, საღამოს მომიტანა პური, შაქარი, კომბოსტო, კარტოფილი...ცოტა გადამატანია. ასე ვიყავით 9 თვე. მერე შემატყობიეს, რომ სიძე გარდამეცვალა, ერთადერთი შვილის ქმარი. რა გამაჩერებდა. პროპუსკი ძლივს გავაკეთე, ჩერეზ სოჩით უნდა წამოვსულიყავი. ბავშვებს რაღაცას წოულებ-თქვა, შევაგროვე, სუნკაში მქონდა. კიდო კაი, პასპორტი ხელში მეჭირა. აფხაზას ბავშვებმა ეს ჩანთა კი წამართვეს.

ჩამოვედი აქ, თბილისში. სიძე დამარხული დამხვდა. ორი წლის ბიჭი დარჩა ჩემ ქალიშვილს, გოგოზე ორსულათ იყო. მოვეხმარე, გავაზდევიე შვილები.

მე რო წამოვედი, დედაჩემი – დესპინე კარტოზია – მალე მოკვდა, ავით იყო. ასე, 5-6 თვე იქნებოდა გასული. ჩემ მამამ დამარხა დედა და ერთი კვირის მერე მიაღგენ იმასაც.

მოუკლავთ ადგილზე. რატო გააკეთეს, ეს არავინ არ იცის. ხალხი ამბობდა თურმე, ამისანა პატიოსან და წესიერ ხალხს თუ კლავენ, სხვას რას უზამენო და ამის მერე ბევრი აღარ გაჩერდა, გამევიდა სოფლიდან.

ამბობენ, მარადიორები თუ ბოფეიკები ჩემი მძის ამხანაგს მოსდევენ თურმე, მაგას დაუმალა სახლში. ამის გულისთვის მოკლესო. ზუსტად არავინ არ იცის. გაეროს წარმომადგენლებს გადაუტანიათ მიცვალებული სოხუმში. მერე არაფერი ვიცი, სად დამარხეს. 42 წლის იყო მაშინ. იმასაც ამბობენ, სახლის და მიწის გამო მოსდევენო. მეზობელი გვყავდა ახალი – ხარჩილავა იყო გვარათ. ის გადმოსულა და დასახლებულა ჩემი მძის სახში. კვიტოულიდან იყო, სამი ბიჭები ყავდა. გვერდით ჯერ გეგენავას სახლი დეიკავა, მერე ჩვენთანაც შემოსულა. მე ცალკე მქონდა ბელეტაჟი სახლი, იგიც დაუკავებიან – ზანთარაია ცხოვრობს ახლა.

რო ამბობენ, ბაბუშერაში არისო ბრატცკი მაგილა – ისე მაგათ რა ვუთხარი! რა მაგილა, ერთ დიდ ორმოს თხრიდნენ და ყველას შიგ ყრიდნენ. . .

იზოლდა კარტოზია [81წლის]
(ბაბუშერა – ქუთაისი)
თამილა ზვიადაძე

ისევ მეზობელი აფხაზები თუ მოგვხედავდნენ...

1962 წელს ვარ დაბადებული, ახალდაბიდან ვარ. იქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები და ძმა. გავთხოვდი გაგრაში და ცვხოვრობდი გაგრის ცირუსების მეურნეობის ბინებში 10 წელი. 6 აგვისტოს ბავშვები ჩამოვიყვანე ახალდაბაში, მშობლებლის სახში, უყვარდათ ბებია-ბაბუასთან ყოფნა არდადეგებზე. 14 აგვისტოს გვარდია შემევიდა. ატყდა პანიკა, ამბობდნენ, ომი იქნებაო, მარა არცერთ ჩემ მეზობელს და არც ოჯახის წევრს სოფელი და მისი სახლი არ დოუტოვებია. ეს იყო, პატარა ბავშვები გაიყვანენ. მათ შორის მეც გამოვედი, რადგან პატარები მყავდა. დედაჩემი, მამაჩემი, ბიძაჩემი სოფელში დარჩენ, ჩემი და სოხუმში იყო, ფეხსაცმელების ცეხში მუშაობდა.

აფხაზეთში დავბრუნდი პერემირიეს დროს. გაგრაში ვერ შევედი. მშობლებთან ვიყავი, მარა მერე მივხვდი, რო უკან უნდა დავბრუნებულიყავი. ჩემ ბავშვებს აღარაფერი ქონდათ, ის სახლი ჩემი ძმის იყო, ბავშვებს მისი წილი ხო უნდოდათ? ჩამოვედი წყალტუბოში. მერე აქ მივიღე ბინა.

16 სექტემბერს წამევეით. ამის მერე მატარებელი არც ყოფილა, ასე ქვიოდა, ბოლო რეისი იყო. ერთი ნაბიჯით გამოვასწარი.

მშობლების შესახებ კაი ხანი არაფერი ვიცოდით. მერე გევიგეთ – ახალდაბა ალყაში მოუქცევიათ ბოევიკებს – აფხაზებს და რუსებს (რუსი იყო უმეტესობა). ბიძაჩემი გადაპარულა ჩვენ სახში უკანა ეზოდან, გაფთხილება უნდოდა ჩემების, თავს უშველეთო, მარა ამის მისვლა და შემოსულარიენ ჭიშკარში. ხალხი ვერ ხვდებოდა, საიდან ჩდებოდნენ ეს ბოევიკები. ასე იმასქნენ – ალყები დოურტყენ. დედაჩემს და ბიძაჩემს მოუსწრიენ და ქე დამალულან მანდარინებში. მამაჩემი და ჩემი ძმა შერჩათ ხელში. მამას ეგრევე ესროლენ და დაჭრენ – სისხლისგან დაცალა თურმე. მისი ხმა ესმოდენ ამგენს მანდარინებში, მარა ვერ გამოდიოდნენ. სახლიზა რაღაცა უსვროლიათ და დოუწვიათ. იწვოდა ირგვლივ ყველაფერი და ამ ცეცხლით განათდა იქაურობაო. ქე შეუმჩნევიათ მანდარინებში დედა და ბიძა. გამოუთრევიენ, ურტყიათ, მიუყენებიენ კედელზე. დედაჩემისთვის ავტომატი უსვრიათ, მარა აცდა თურმე და კედელს მოხვთა. ბიძაჩემი წრეში ჩოუყენებიათ და უცემიათ, არცერთი კბილი არ ქონდა საწყალს. სისხლით შეუღებეს თავ-პირი.

ასე გაცოფებულები რატო იყვენ ე რუსები და აფხაზები, არ ვიცი. ამნეირად გადარეული ვინ გინახიათ, რა დავაშავეთ ამისანა? ჩვენ არევიან არ გძულდა. მაგრამ ერთი რო გკლავდა, მეორე გშველოდა – ღამე ეს გულწასული დედაჩემი და გონებაწართმეული ბიძაჩემი რო მოსული-

ერებულან, ისევლე მეზობელ აფხაზებს მიუხედაიათ მაგენისთვის. მოუტანიათ ადიელები, საბნები, შემოუხვევიათ, მიხმარებიენ. უთქვიათ კიდევ: აქანე იმდენი კატეგორის ხალხი შემოდის, ჩვენც არ ვიცით, ვინაა და ვერაფერს ვერ გავაწყობთ, სადისტები არიენ და თავს უშველეთო. წამოსულარიენ შუაღამეზე, ბებიაჩემთან უნდა მისულიყვენ, ავანტყოფი იყო ბებია, ლოგინს მიჯაჭვული. მისი ამბავი წინა მეზობლისგან გაუგიათ – შალვა შამუგიასგან. თურმე აქანეც შემოსულარიენ, ცეცხლი წოუკიდებიათ სახლიზა. ბებიაჩემი შველას ითხოვდა, ეგენი მიჩერებოდენ და იცინოდნენ, სამხიარულო რა იყო, ავანტყოფი მოხუციც არ დაინდეს. ცოტა ხანში ის მეზობელი – შალვა შამუგიაც დახვრიტეს. ცრემლებდაღვრილმა ბიძაჩემმა ძვლები აკრიფა და დამარხა თავისი დედა, მამაჩემიც. სხვების დამარხვაც დოუვალეზიათ, მერე ტყვედ აიყვანეს დედაჩემთან ერთად, საქონელს ამწყემსიებდენ. სამი თვენახევარი ტყვეობაში იყვენ. ჩემი ძმა ინვალიდი იყო, ლაპარაკი უჭირდა. ვერც იგი გადარჩა. მოკლედ კაცებს არ ინდობდენ, არევის არ აჭაჭანებდენ. დიდი წვალეზის მერე დედა და ბიძა ტყვეობიდან გამოიქცენ, ტყე-ტყე უვლიათ და ჩამოაღწიეს გალამდე. დედა არ იყო სრულ ჭკუაზე, ეს ამბები ბიძაჩემმა მოგვიყვა.

იმან, რაც გაიარა დედამ, მისი ქნა და სულ ავათ იყო. ვუვლიდი. იმისთვის ვმუშაობდი, რო დედაჩემისთვის მომეარა, მარა ისე იყო, ბოლოს შვილადაც ვერ აღმიქვამდა, მოსამსახურე ვეგონე. სულ იმას ტიროდა, ჩემ ქმართან და შვილთან რატო არ მოვკვდიო. გული მწყდებოდა და ახლაც მეტირება – ისეთი ტკბილი დედა მყავდა და რაფერ გააწამა ცხოვრებამ, გააავა, დაავადმყოფა.

ახლა აქ ვართ, წყალტუბოში ვცხოვრობთ. რა დაგვავიწყებს იმას, რაც გადავიტანეთ?!

ნანობაშვილი ლიანა [62 წლის)]

(ოჩამჩირე – წყალტუბო)

თამილა ზვიადაძე

გმირები

მ. კ. – ნუგზარ, რა მიგაჩნია ცხოვრების მთავარ მიზნად?

ნ. მ. – მთავარია, ღვთის წინაშე იყო კაცი მართალი, დანარჩენი მეორეხარისხოვანია. რაც მისაღები არ არის ჩემთვის, მას არასდროს გავაკეთებ. თუ მშვიდობიანად ვერ მოხერხდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება, მე კვლავ ავიღებ იარაღს ხელში, რამდენი წლისაც არ უნდა ვიყო და სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის. **არ მინდა ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, საქართველოს შვილებს ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილი საქართველო დავუტოვო. დავით აღმაშენებლის საქართველოს ისე არ გასწირავს ღმერთი, რომ იმდენი ვაჟკაცი არ აჩუქოს, რამდენსაც არ დაენანება სამშობლოსთვის თავგანწირვა.**

არ გვინდა სხვისი მიწა-წყალი, მაგრამ ჩვენი რაც არის, ის უნდა დავიბრუნოთ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის გაღება დაგვჭირდეს. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს ახლო და შორეულ წარსულში.

მ. კ. – ნუგზარ, შენ ომის მონაწილე ხარ, საკუთარი თვალთა გინახავს ბევრი რამ, რას გაიხსენებდი?

ნ. მ. – როცა მეგონა, დამთავრდა ომი, მაშინ დაიწყო ის, რაც “პერემირიამდე” იყო, ტკბილ სიზმარს დამეგვანა და დაიწყო საშინელი, დაუნიღებელი ომი ორ მოძმე, ოდითგან განუყოფელ ხალხს შორის. სხვა გზა არ იყო, ისევ უნდა ამეღო იარაღი ხელში. ყველაფერი თავდაყირა დადგა, ვინ ვის ესროდა, ვერ გაიგებდი. ერთ სახლში შეიარაღებული აფხაზები იყვნენ, მეორეში – ქართველები, მაგრამ რომელ სახლში იყო აფხაზი და რომელში ქართველი, ამის გაგება შეუძლებელი იყო, რადგან სამხედრო წესები საერთოდ არ არსებობდა. “პერემირიამდე” მათ გარჩევას რაღაცნაირად ვახერხებდით, რადგან უმეტესად პოზიციური ომები გვქონდა.

მ. კ. – ბოლოს სოხუმი როდის დატოვე?

ნ. მ. – 1992 წლის 16 სექტემბერს. ამ დღეს მავანმა და მავანმა არ მოისვენა და ჩვენი სისხლით და უძილობით შენარჩუნებული წინა ხაზი მზაკვრულად გადმოლახა. ატყდა განგაში, შევგროვდით ბიჭები, დავიძარიტ “პერემირიის” დროს დატოვებული წინა ხაზისაკენ, მაგრამ უკვე მიახლოება შეუძლებელი იყო, რადგან ერთ მუშტად შეკრული აფხაზი, სომეხი, ჩეჩენი, კაზაკი, რუსი და, ვინ იცის, კიდევ ვინ ოხერი ჩვენს საკუთარ მამულს სარეველა ბალახივით მოდებოდა. არ შევუშინდით, იყო მძიმე ბრძოლები, დაგველუპა თანამებრძოლები, რომლებიც მთელი ომის განმავლობაში ჩვენს გვერდით იდგნენ წინა ხაზზე, უფრო მე-

ტიც, ერთად გავიზარდეთ და საკუთარ დედმამიშვილებში არ ვარჩევდით ერთმანეთს, ღმერთმა გაანათლოს მათი სულები.

მ. კ. – სოხუმში რა მდგომარეობაში იყო?

ნ. მ. – სოხუმში განუკითხაობაში ჩავარდა, არავინ იცოდა, ვინ იყო ცოცხალი, არანაირი კავშირი არ არსებობდა. შუადღისას გავიგე, ჩემი სოფელი გამაგრებული იყო დარჩენილი ბიჭებით და მიდიოდა ბრძოლები. ჩემთან ჩემი ნათესავი მამუკა იყო. ის ახალდაბელია, მისი სოფელი კი ალყაში მოუქცევიათ გადამთიელებს, ანუ მდინარე კოდორთან გახლიჩეს საქართველო. მამუკას ოჯახის წევრები ალყაში დარჩნენ, როგორც ყველა ახალდაბელი. სჭირდებოდათ დახმარება, მაგრამ საიდან? ეს კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

ფიქრის დრო არ რჩებოდა, მოქმედება იყო საჭირო. გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია: სიცოცხლის ფასად რომ დამჯდომოდა, მამუკას ახალდაბაში უნდა შევყოლოდი. მივადექით კოდორს, სადაც პოზიციური ბრძოლები მიდიოდა. გამოჩნდნენ ჩვენსავით მსურველები. ესენი იყვნენ სოფელ ესტონკიდან, ოც კაცამდე. მოვილაპარაკეთ, როგორ გაგვერღვია ალყა და დავხმარებოდით მძიმე მდგომარეობაში მყოფ თანამემამულეებს. შებნელებულზე დავიმართო ზღვის ნაპირისკენ ოცდახუთი თუ ოცდაათი კაცი, მოვძებნეთ მდინარეზე გადასასვლელი ყველაზე კარგი ვარიანტი, გადავიწერეთ პირჯვარი და გადავლახეთ მდინარე, თან მიგვექონდა “ზმპ“-ის ჭურვები, ცინკებით კი – ავტომატის და პულიმოტის ტყვიები, ხელყუმბარები და აუცილებელი ატრიბუტი, რისი მორევაც შეგვეძლო. მდინარის მეორე ნაპირზე, იქვე ახლოს, ერთი ქართული შენაერთი იყო გამაგრებული სამანქანო გზის ნაპირას. ჩვენ სიმინდის ყანებში შევედით ღრმად და შუა ახალდაბისკენ ავიღეთ გეზი, მთელი გზა არ ჩერდებოდა სნაიპერის ტყვიების ზუზუნში, ჩვენ კი მივიწევდით წინ, სადაც ზოგიერთ თანამებრძოლს საკუთარი ოჯახი ელოდებოდა, რომლის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იცოდა. ასევე იყო მამუკაც, მე ვამხნევებდი, ყველაფერი კარგად იქნება, ყველანი ცოცხლები იქნებიან და ალყასაც მალე მოვხსნით-მეთქი. ამაში მართლაც დარწმუნებული ვიყავი, რადგანაც საქართველოსთვის ეს სოფელი მნიშვნელოვანი იყო, რადგან საქართველო ახალდაბის ჩაკეტვით შუაზე იყოფოდა.

მ. კ. – ამ დროს შიში არ გიგრძნობდა?

ნ. მ. – ვფიქრობდი, რომ შეიძლება ბრძოლაში დავლუპულიყავი კიდეც. სიმართლე რომ ვთქვა, ბრძოლაში დაღუპვის მეტი შანსი იყო, ვიდრე გადარჩენის, მაგრამ მამუკას მიტოვება ერთი წამითაც არ მიფიქრია. ამით ჩემს თავს დავუმტკიცე ის, რომ მართლაც შემეძლო ახლობლების-

თვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა, თუ ეს საჭირო იქნებოდა. ამ დროს ჩვენი სისხლი და ხორცი მტრის ტყვეობაში (აღყაში) იყო.

მ. კ. – ამ დროს სამთავრობო ჯარი სად იმყოფებოდა?

ნ. მ. – ახალდაბელები მთელი საქართველოს იმედზე იყვნენ, მაგრამ მათი იმედები იმედებად დარჩა და მხოლოდ ჩვენ, რამდენიმე მეომარი, კერძოდ, მე, ახალდაბის გარეთ დარჩენილი ოთხი თუ ხუთი ახალდაბელი და სოფელ ესტონკის მკვიდრი მეომრები, ოცი თუ ოცდახუთი ვაჟკაცი, ვაგრძელებდით ახალდაბის შუაგულისკენ მოძრაობას, რათა შევერთებოდით ახალდაბის მკვიდრთ და დაგვეცვა ჩვენი ბავშვები, მოხუცები, ქალები და საკუთარი მამული, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით შეგვინარჩუნეს. მოვძებნეთ ადგილი, სადაც შეიძლებოდა, გადაგვეკვეთა ცენტრალური გზა, მაგრამ ახლა დასადგენი იყო, ვინ გვხვდებოდა გზის მეორე მხარეს. მოვემზადეთ საომრად. თუ აფხაზები აღმოჩნდებოდნენ მოპირდაპირე მხარეს, მაშინ ბრძოლით უნდა მოგვეხდინა ხაზის გარღვევა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ დაგჭირდა, რადგან იმ მონაკვეთის მოპირისპირე მხარეს ქართველი მეომრები აღმოჩნდნენ და ჩვენც ნაწილ-ნაწილ, გადარბენებით შევუერთდით მათ.

მ. კ. – როგორ გაუხარდებოდათ, არა?

ნ. მ. – აღუწერელია მათი თვალები, რომლებშიც ჩანდა იმედი, სიხარული, სიკეთე და დაღლილობა, რომელიც მხოლოდ ერთმა სოფელმა, კერძოდ, ახალდაბამ გადაიტანა თავის თავზე, რადგან ზუსტად ეს გმირი სოფელი, რომელშიც ცხოვრობდნენ: ლეჩხუმლები, რაჭველები, სვანები, მეგრელები, აფხაზები და საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილები, მოაქცია მტერმა აღყაში, რათა საქართველო დაენაწილებინა.

მ. კ. – ხელისუფლებისათვის არ მიგიმართავთ? არავინ იყო წარმომადგენელი?

ნ. მ. – რამდენიმე მეომარი გამოგვეცა შტაბისკენ. შტაბში მისვლამდე გზაში იყო ის სახლი, სადაც ბავშვები, მოხუცები, ქალები და შეუძლო ადამიანები იყვნენ თავშეფარებული. შევედით. შემოგვეგებნენ. იქ მამუკას დედა, და, მამიდები, ახლო მეზობლები იყვნენ, რომლებსაც მეც ვიცნობდი. გაუხარდათ, გაუკვირდათ, მითუმეტეს, ჩემი დანახვა, ცოტა ხანი ვილაპარაკეთ, დავაიმედე: რადგან მე შემოვედი, ამ წუთიდან ნურაფრის ნუ შეგემინდებათ-მეთქი, გავეხუმრე და დავიძარი შტაბისაკენ, რომელიც ახალდაბის საშუალო სკოლაში იყო განლაგებული. გადავინაწილეთ ჩვენი შეტანილი ტყვია-წამალი. მათ თითქმის აღარ ჰქონდათ არაფერი დარჩენილი. რაციაზე გამოდიოდნენ და ყოველ

წუთს ჰპირდებოდნენ ახალდაბას დახმარებას, რომ ალყას მოხსნიდნენ, მაგრამ ეს ისტორიას ცარიელ სიტყვებად დარჩა.

მ. კ. – ე. ი. ხელისუფლებას მხოლოდ სატელეფონო კავშირი ჰქონდა?

ნ. მ. – ჩვენი რაციის რადიოტალღაზე აფხაზებიც გამოდიოდნენ და რუსულად ელაპარაკებოდნენ შტაბის უფროსებს, რომ ჩვენ გაყიდული და განწირულნი ვიყავით და ბევრი მსხვერპლი რომ არ ყოფილიყო, ზღვის მხარეზე ეგრეთ წოდებული “კარიდორით” გვესარგებლა და დაგვეთმო უბრძოლველად: ახალდაბა, ბავშვები, მოხუცები, ქალები და ქართული მიწა, რისი პასუხიც ჩვენი მხრიდან ის იყო, რომ ჩვენ უბრძოლველად არ დავტოვებდით საქართველოს მიწის არცერთ გოჯს, რაც ომის შემდეგ ზოგიერთი გადაგვარებული ქართველისთვის სასაცილოა დღესაც, მათთვის, ვინც დუბაით და სხვადასხვა ეგზოტიკური კურორტებით ერთობოდა, როცა მე და ჩემისთანები სისხლისაგან ვიცლებოდით უთანაბრო ბრძოლაში.

მ. კ. – და ასეთ პირობებში განაგრძეთ ბრძოლა?

ნ. მ. – დიახ, გადავწაწილდით ახალდაბის ირგვლივ. მე და ჩემი მამიდაშვილი და მამამისი სოხუმის მხრიდან მოვხვდით. წინა ხაზი არ არსებობდა, რადგანაც მთელი ახალდაბა ალყაში იყო და მთელი ახალდაბის ირგვლივ ბრძოლის წინა ხაზი იყო. ცენტრალურ გზასთან ერთი საგუმაგო იყო. შემდეგ საგუმაგოზე მე, მამუკა, ვახო და გონერი ვიყავით. გონერი ბრძოლაში დაიღუპა, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, ჩვენს შემდეგ საგუმაგოზე მამუკას მამა იბრძოდა, ისიც ბრძოლაში დაიღუპა. ღმერთმა გაანათოს მისი სული. მე და გონერი სანგარში ვიყავით, მამუკა და ვახო სანგრის გვერდში მოუთავებელი სახლის პირველ სართულზე იყვნენ გამაგრებული, დროდადრო ვცვლიდით ერთმანეთს. ეს იყო პირველი დღე ჩვენი შესვლიდან. ბიძიამ რამდენჯერმე მოგვაკითხა საგუმაგოზე, ფრთხილად იყავითო, დაგვარიგა, არ ჩაგეძინოთო. მან მისი თქვა, თორემ მე მთელი ომი წინა ხაზზე მქონდა გატარებული სოხუმში, რამაც დიდი გამოცდილება მომცა, როგორ უნდა მემოქმედა დაძაბულ სიტუაციებში, ღამის საათებში და ასე შემდეგ. სროლები კი არ წყდებოდა. საღამო ახლოვდებოდა, გონერის სულ ოციოდე მეტრი აშორებდა საკუთარ სახლს, მაგრამ ამ ღამის გათევაც აქ სანგარში უწევდა, რადგან მისი სახლი ჩვენი საგუმაგოს წინ იყო, სადაც მეტერი იყო გამაგრებული. მთელი ღამის განმავლობაში არ წყდებოდა ბრძოლები, ჩვენ ტყვიებს ვუფრთხილდებოდით, რადგანაც ალყაში ვიყავით და ვინ იცოდა, რა მოგველოდა, არსაიდან სერიოზული დახმარება არ ჩანდა.

მ. კ. – გამოდის, ვიღაცა ღალატობდა საქვეყნო საქმეს?

ნ. მ. – გარდა დაპირებისა, ჩვენ არაფერი მიგვიღია, მაგრამ დაპირების მაინცდამაინც არ მჯეროდა, რადგან გაგრის და სოხუმის ღალატის შემდეგ უკვე კარგად ვიცოდი მათი დაპირების ფასი, მაგრამ იმედი ბოლოს კვდებაო და მეც არ მეგონა, თუ ბოლომდის იყო განწირული საქართველოს ულამაზესი კუთხე – აფხაზეთი.

მ. კ. – ეს იცოდით და ბრძოლას მაინც აგრძელებდით?

ნ. მ. – რიჟრაჟზე კიდევ მოგვაკითხა ბიძიამ, უძინარმა, მაგრამ შეუდრეკელმა კაცმა, პატიოსანმა, ყველანი გულში ჩავვიკრა და დაგვაიმედა. ბიძია დაბრუნდა თავის საგუშაგოზე, ბრძოლები კი გამწვავდა. ტყვიების და მინამიოტების ჭურვების წვიმა მოდიოდა ახალდაბის თავზე, რასაც ტანკის და ბმპ-ის სნარიადების ცეცხლოვანი გრუხუნი აგვირგვინებდა, ჩვენ კი ერთი „ბმპ“ გვყავდა ახალდაბაში, რომელსაც მარტო ხუთი სნარიადი ჰქონდა, რა უნდა გაეკეთებინათ ასეთ მდგომარეობაში სოფელ ახალდაბის გმირებს, რომლებსაც ავტომატის ტყვიებიც თითზე დასათვლელად რჩებოდათ?

მ. კ. – სარდალი არ ჰყავდა ამ ომს?

ნ. მ. – შუადღეზე ახალდაბის შტაბიდან კაცი მოვიდა და შეგვატყობინა, რაციაზე დაგვიკავშირდნენ სამთავრობო შტაბიდან და ალყის გარღვევას გვპირდებიანო, აფხაზები კი გამოდიან რაციაზე, – გაყიდული ხართ, მაინც აგიღებთო, – გვეუბნებიან და ზღვის „კორიდორით“ სარგებლობას გვირჩევენო. ჩვენც არ გვინდა დიდი მსხვერპლის გაღებაო. რადგან იცოდნენ ახალდაბელების სიმამაცის ამბავი, ისინი ხომ ერთად იზრდებოდნენ, ერთად იყვნენ ჭირში თუ ლხინში, მაგრამ ახლარუსების მიერ, რუსების ტექნიკით და ცოცხალი ძალით ხდებოდა სოფელ ახალდაბაზე შემოტევები, რომლებიც ყოველ წუთს ჯოჯოხეთს ემსგავსებოდა. თავზე გვეყრებოდა ახალდაბელი კაცის შვილივით მოვლილი მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის თუ ფეიხოს ყლორტები და ტოტები, **სნარიადებით** და ტყვიებით მოგლეჯილები. ტყვიაწამალი გვითავდებოდა. მთელი ღამე არ ცხრებოდა სროლები, უცნაური ხმები ისმოდა, ისმოდა თითქმის იგივე ხმები, როგორიც გუმისთის წინა ხაზზე. ეს ხმები ტურების ყმუილს წააგავდა და ამას ყველა ასე ვაფასებდით. ირიჟრაჟა, ბუნებას არ აცალეს ღმერთის დაწესებულ დროს რომ გათენებულიყო, მტრის ყველა იარაღიდან ისმოდა გრუხუნი, ტანკების ძრავების ხმაური უკვე აშკარად გვესმოდა, იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

რამოდენიმე საათის შემდეგ ცენტრალური გზის საგუშაგოდან მოირბინა ალიკამ, ტყვიები აღარ დარჩენოდა, ტანკებით მოსდგომია მტერი საგუშაგოზე, მისი თანასანგრელი შტაბისკენ გაქცეულა ამბის მისატანად. ტყვიები გადავინაწილეთ. მე, მამუკა და გონერი სანგრიდან ვიგე-

რიებდით მტერს, ვახო და ალიკა კი – გვერდით მყოფი სახლის პირველი სართულიდან. ბრძოლის სიმძაფრე პიკს აღწევდა. ტყვიები გვითავდებოდა, მე თოფით ვიყავი შეიარაღებული, რადგან „პერემერიაზე“ ჩავაბარე ჩემი ხელის ტყვიამფრქვევი (რუჩნოი პულიმოტი).

მ. კ. – რატომ ჩააბარე იარაღი?

ნ. მ. – ომი დამთავრდაო, გამოაცხადეს ჩვენმა მაშინდელმა მხედართმთავრებმა, შევარდნაძის თამალობით. ალბათ, მემუარებში გმირად გამოყავს მისი და მისი თანაგუნდელების თავი.

თოფი ბიძაჩემმა მიშოვა, ახალდაბაში როცა შევედი მაშინ. უცებ გონერიმ ყვირილი ატეხა: ჩემს სახლში აფხაზები არიან და აქეთ მოხობავენო, მე სანგრის მეორე ბოლოში ვიყავი, ვერ დავინახე მტერი, ესროლემეთქი, მივაძახე უცებ. ლოდინის დრო აღარ რჩებოდა, მანძილი მხოლოდ სოფლის ვიწრო სამანქანო გზა რჩებოდა ჩვენსა და მოახლოებულ მტერს შორის. არ შემძლიაო – მომადახა. წამები წყვეტდა ჩვენს ყოფნა-არყოფნას, რადგან რუსის გაწვრთნილი მეომრები, მართალია, შემოტევაზე იყვნენ და წამგებიანი პოზიცია ეჭირათ, მაგრამ მაინც ამოგვჟლიტავდნენ, თუ არ მოვახდენდით მათ განადგურებას. უცებ გადაწყვეტილება მივიღე, გონერის ვუთხარ, ავტომატზე ხელი გაეშვა და ჩემთვის ადგილი გაეცვალა, მას თოფი დავუტოვე. როგორც კი ადგილები შევცვალეთ, უცებ ორი ბოევიკი დავინახე, გვერდითი „სეტკის“ ნაპირზე მოხობავდნენ ერთმანეთის მიყოლებით, კასკები ეხურათ და შთამბეჭდავი ეკიპირებით იყვნენ აღჭურვილნი, გადაწყვეტილება მივიღე, ორივე ერთდროულად უნდა მომეკლა, რომ არ დაესწრო მეორეს. ეს ყველაფერი წამებში ხდებოდა, ორი გასროლა რამდენიმე წამში მოვახდინე, რის შემდეგ მათი კასკები ადგილიდან არ განძრეულან, უცებ მათ უკან, ტირიფის ხე იყო, თუ არ ვცდები, საიდანაც წამოხტა მესამე ბაევიკი და გაიქცა სახლის მიმართულებით, ტყვიები ძალიან ცოტა მქონდა დარჩენილი, ამიტომ „ოჩერედით“ ვერ ვესროლე, თორე ასპროცენტის მესამე მსხვერპლი იქნებოდა. სამი გასროლა მაინც მოვასწარი სახლის კარებში შესვლამდე თითო-თითო გასროლით. არ ვიცი, მოხვდა თუ არა, რადგან გარბოდა. სულ ხუთი-ექვსი მეტრი იყო მისი ადგომის ადგილიდან სახლის კარამდის, არ დაცემულა, მაგრამ, ვფიქრობ, ერთი ტყვია მაინც მოხვდებოდა, რადგან არც თუ ისე ცუდად ვისვრი. ისევ გადავხედე მოკლულებს, თითო ტყვია ვესროლე კასკაში, რომ დავრწმუნებულიყავი, მკვდრები იყვნენ თუ არა, ვინ იცის, რომ მოეგონათ სიკვდილი, ერთი ხელის მოქნევით ჩამოგვიგდებდნენ სანგარში ხელყუმბარას.

მ. კ. – ასეთი სისასტიკე ომისთვისაა დამახასიათებელი! არა?

ნ. მ. – ალბათ, მტერი რომ შევაჩერე, უდიდესი სიხარული დამეუფლა, მაგრამ გამახსენდა ცენტრალურ გზასთან იძულებით დატოვებული საგუშაგო, მივხვდი, შემდეგი ჩვენ ვიყავით, მაშინ რა ვიცოდი, თურმე ახალდაბის ცენტრში მტრის ტანკები შესულან ცენტრალური გზიდან. ისმოდა გამაყრუებელი ხმები სხვადასხვა ჭურვების, ყუმბარების, ტყვიების. ცეცხლში იყო გახვეული ულამაზესი სოფელი ახალდაბა. ტანკის ხმა სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, ეტყობა, გადასცეს ჩვენი საგუშაგოს კოორდინატები, რადგანაც ცოცხალმა ძალამ ვერ აგვიღო, დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია, ტანკიც გამოჩნდა, ამოვხტი სანგრიდან, სახლის პირველ სართულზე შევევარი, ფანჯრიდან ავტომატის ჯერი მივაყარე, ტყვიები პურის მარცვლებივით გასცვივდა ტანკს, მუხლუხოები დაჯავშნული ჰქონდა, თითქოს ჩვენ გვქონდა რამე მისი მწყობრიდან გამომყვანი. ტანკის ლულა შემოტრიალდა და დავინახე ცეცხლი, გონზე რომ მოვედი, კვამლში გახვეული ვიყავით. მხოლოდ კარებიდან მოჩანდა დღის სინათლე. ხელების ფათურით გამოვალწიეთ სახლის გარეთ, თურმე მეორე სართულის ფანჯარაში შემოუგდია ჭურვი. სანგარში ჩავხტი. ტანკი იდგა სახლის კუთხეში და ტყვიამფრქვევით ანგრევდა ყველაფერს. თავის აწევა არ შეიძლებოდა. დავრჩით ღვთის ანაბარა, დაილოცა მისი სახელი, ვიღაცამ თქვა, დავტოვოთ საგუშაგო და ცენტრისკენ წავიდეთო, უკმაყოფილომ შევხედე, მაგრამ მალევე მივხვდი, ტანკის წინააღმდეგ შიშველი ხელებით ომი სისულელე იყო და ტყუილად თავის მოკვლა გამოვიდოდა, დავიძარით ცენტრისკენ.

მ. კ. – ასეთ ჯოჯოხეთში მოძრაობას როგორ ბედავდით?

ნ. მ. – პირველივე ნაბიჯების შემდეგ მანდარინის ტოტები დაგვეყარა თავზე. უკვე ტანკის დამმიზნებელს შემჩნეული ვყავდით, გავუჩინარდით მანდარინებში, ტყვიების წვიმაში მივრბოდით ახალდაბის ცენტრისკენ. ერთი სახლის ეზოში გაფითრებული იდგა ბიძიას ახლო მეზობელი, ნოდარი, უიარაღოდ. ის აფხაზი იყო, მაგრამ ბავშვობიდან ახალდაბაში იყო გაზრდილი და ომის დროსაც ახალდაბაში იყო.

მ. კ. – აფხაზი ქართველებთან დარჩა?

ნ. მ. – დარჩა კი არა, ნოდარიც ჩვენ გამოგვეყვა, ახლა უკვე ხუთნი ვიყავით: მე, მამუკა, ვახო, ალიკა და ნოდარი. ცენტრალურ ქუჩას რომ მივუახლოვდით, მაშინ მივხვდით, რომ ახალდაბა მთლიანად დაპყრობილი იყო, რადგანაც აფხაზები და მათი მოკავშირეები თავისუფლად დადიოდნენ ქუჩებში. ჩვენ ერთ სახლში შევჩერდით. გზის მეორე მხარეს იყო ის სახლი, რომელშიც თავშეფარებული იყვნენ ბავშვები, მოხუცები, ქალები და ის უმწეო ადამიანები, რომლებიც ცხოვრებისაგან ისედაც დატანჯულნი იყვნენ.

მამუკამ გზის გადაკვეთა მოინდომა, თქვა, უნდა გადავიდეთ, მე ვუთხარი – მე როგორც ახალდაბაში შემოგყევი, ისე იქეთაც გადმოგყევი, მაგრამ ეს შეცდომა იქნება, რომელიც ვერ გამოსწორდება-მეთქი. შემდეგ დავწევი მიწაზე და სახლის მთელი წინა ეზო ხოხვით გავედი ჭიმკრამდის. თავი გავყავი და დავინახე ახალდაბის ცენტრალურ გაჩერებაზე ტანკი, ბოვეიკებიც იდგნენ მის ირგვლივ. სროლას აზრი არ ჰქონდა. ახლა მთავარი იყო ალყიდან თავის დაღწევა და შემდეგ ისევ ბრძოლა თანაბარ სიტუაციებში. უკან გავხოხდი, სახლში რომ შევხოხდი, მაშუკას დანახული ვუთხარი, არჩევანის გაკეთება შევთავაზე, თუ გადავიდოდით, ასი პროცენტით გაგვანადგურებდნენ. მე ამისთვისაც მზად ვიყავი, მაგრამ მამუკამ მაშინ დამიჯერა და ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო, რადგანაც მისი დედა, და და მამიდები – ყველანი ტყვეობაში იყვნენ.

იმ სახლის უკან, სადაც ჩვენ ვიყავით, არხი იყო გათხრილი და იმ არხში ჩავსაფრდით ხუთივე, გზიდან სულ ათი მეტრი გვაშორებდა. მტრის ბოვეიკები დადიოდნენ თავისუფლად, სროლას აზრი არ ჰქონდა, არც ტყვიები არ გვექონდა საკმარისი და არც გამოღწევის შანსი რჩებოდა გასროლის შემდეგ.

მ. კ. – ბრძოლის შეწყვეტის სურვილი არ ჰქონია ვინმეს?

ნ. მ. – ზუსტად არ მახსოვს, რომელმა ერთმა თქვა: ჩავბარდეთ, არ მოგვეკლავნო. სიცოცხლე ტკბილია, მაგრამ მე ცივი უარი განვაცხადე, თან დავსძინე, სხვის სიცოცხლეში ვერ ჩავერეოდი და ვახოს ვთხოვე, პატარა, ჯერ კიდევ პირტიტველა ვაჟკაცს, ხელყუმბარა დამიტოვე, როცა ტყვიები გამითავდება, გავხსნი ხელყუმბარას და ვითომ მეც ვბარდები, ახლოს რომ მივალ, მათაც ავაფეთქებ-მეთქი. ვახომ გაბრაზებულმა შემომხედა, განაწყენებული იყო, არც დაუმაღლავს, მითხრა, სანამ სისხლის ბოლო წვეთი შემრჩება, არ ჩავბარდებიო, ხელყუმბარის აფეთქება მეც კარგად ვიცო. ბოდიში მოვუხადე და დავინახე, პატარა ბიჭში უკვე დიდი ბუნება ჩაბუდებულიყო. ომმა გამოაჩინა ბოლომდის ხალხის ხასიათი, თუმცა რა არის სიმართლე, ამას მხოლოდ ღმერთი თუ განსჯის.

მ. კ. – რთული იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება, არა?

ნ. მ. – გადაწყვეტილების მიღება ურთულესი იყო, დარჩენა არ შეიძლებოდა, რადგან წმენდას დაიწყებდნენ და გვნახავდნენ, რაც ათასპროცენტიანი სიკვდილი იქნებოდა. წასვლის ინიციატივა რომ გამომეჩინა, გზაში ერთიც რომ დაღუპულიყო, ადრე თუ გვიან იმას იტყოდნენ, რომ არ წამოსულიყვნენ, ღამე ყველა გამოვიდოდაო, მაგრამ საღამომდის იქ ჩვენ ყველა ვარიანტში გვნახავდნენ, ამიტომ დროის დაკარგვა არ ღირდა. ჩემი ჩანაფიქრი გავანდე თანამებრძოლებს, ბევრი ვიფიქ-

რეთ, ბევრი გადავხარშეთ და გადავწყვიტეთ, გავსულიყავით სასწრაფოდ.

მ. კ. – ვინ მეთაურობდა უკან დახევას?

ნ. მ. – ახლა გზას ვინ გაიკვლევდა, იმაზე ვიფიქრეთ. მე ახალდაბა ეზო-ეზო არ ვიცოდი და ვთქვი, ორიენტაციას ვინც დაიცავს, წინ ის გახოხდეს-მეთქი. ალიკამ აიღო თავის თავზე წინამძღოლობა, მე გადავინაცვლე ადგილი და ალიკას უკან დავიკავე, დავიძარით. ყველა ეზოს ბოლოში გვიწევდა “სეტკის” გაჭრა, რუსული „შტიკნოჟით“.

როგორც იქნა, გამოჩნდა ახალდაბის ცენტრალური ქუჩა, მაგრამ წინ იყო ყველაზე რთული მონაკვეთი გასასვლელად, რადგან უკვე ხელისგულივით ჩანდა ის მინდორი, რომელიც უნდა გაგვევლო, მინდვრამდის კი ახალდაბის ორი შიგა ქუჩა იყო გადასარბენი. სიმინდებში ვიყავით გაჩერებული, მახლობლად ძროხების სადგომი იყო, საიდანაც უფრო მოხერხებული იქნებოდა გადარბენა, მოვამერეთ ერთი ფიცარი სიმინდების მხრიდან და შევძვერით. დრო არ ითმენდა, უნდა გადაგვეჭრა გზა, მაგრამ მოპირდაპირე სახლამდე ოცდახუთი-ოცდაათი მეტრი იყო გაშლილი ადგილი, “სეტკასთან” “ბლოკები” იყო დაწყობილი, მისი დახმარებით ადვილად გადავხტებოდით მოპირდაპირე სახლში. რამდენიმე წუთი ვერ ვხედავდით გადარბენას, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ეს წუთები საბედისწერო გახდებოდა ყველა ჩვენგანისთვის. უცებ ბიჭებს ვუთხარი, მე გავდივარ, თუ მესროლეს, მე ცოტა ხანი შევძლებ მათ შეჩერებას, თქვენ კი ისევ სიმინდებში დაბრუნდით და იქედან სცადეთ ბედი-მეთქი.

მ. კ. – ბედს მიენდეთ?

ნ. მ. – კი, ეს ვთქვი და მოვწყდი ადგილიდან, ყოველ წამს ველოდი ტყვიას, ღმერთმა აქაც დამიფარა, “ბლოკებზე” შევხტი და “სეტკის” იქეთ აღმოვჩნდი. ვინ იყო შემდეგი, ვინც გაბედა გამოქცევა, ეს ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ღმერთმა ყველა დაგვიფარა. ბოლოს, მამუკა რომ გადმორბოდა, “ბლოკებიდან” გადმოხტომისას ავტომატის “რემენი” გამოედო სეტკას. რამდენიმე წამი დასჭირდა მის გამოხსნას. ეს იყო ძალიან მტკივნეული, მე ხომ პირველ რიგში მამუკას და მისი ოჯახისათვის ვიყავი ახალდაბაში შესული და მამუკას დაღუპვას ჩემი სიკვდილი მერჩინა, რადგანაც მის ოჯახს ისედაც დიდი ტრაგედია ჰქონდა გადატანილი.

გადავირბინე მეორე ქუჩაც, ახლა მთავარი იყო, დანარჩენებიც შეუმჩნევლად გადმოსულიყვნენ. გადმოირბინა ოთხივემ, მოვეფარეთ სახლს და ყველაზე რთული მონაკვეთის გადალახვაზე დავიწყეთ ფიქრი: ხელისგულივით ჩანდა დაახლოებით ას ორმოცდაათი მეტრის მანძილი, სადაც უნდა გაგვევლო, არანაირი მოსაფარებელი, არც ერთი

ხე, არცერთი შენობა, ერთადერთი, რაც გვაიმედებდა, პატარა სიღრმის წყლის არხი იყო, რომელიც ეკალ-ბარდით იყო ამოვსებული. ეს მონაკვეთი დაბალში იყო, ცენტრალური გზა მაღლიდან დაგვყურებდა. მტერი გზის ზედა მხრიდან ხის ძირში ისხდა. რამდენიმე მანქანამ მთავარ გზაზე გაიარა, ფიქრის დრო არ რჩებოდა, გადავიწერე პირჯვარი და ჩავხოხდი ეკალ-ბარდით გავსებულ არხში, ბოლომდის არ გვფარავდა, ძალიან ნელა ვმოძრაობდით, მტერს რომ არ შევემჩნიეთ. ერთმანეთში გასკვნილი ეკალ-ბარდების გახსნა თითქმის თავით მიწევდა, რადგანაც ხელებიდან ავტომატს არ ვიმორებდი, ყოველ წუთს შეედლოთ, დავენახეთ, მზადაც ვიყავით საომრად, მაგრამ ტყეში შესვლამდე მაინც სახედისწერო იქნებოდა, თუ დაგვინახავდნენ.

მ. კ. – დიდხანს იყავით ასეთ მდგომარეობაში?

ნ. მ. – უცებ სატვირთო მანქანის ხმა გაისმა. გავიყინე ადგილზე. რა თქმა უნდა, ყველა ჩემსავით გაშეშდა, თუმცა რას იზამდნენ სხვას, არხი ისე ვიწრო იყო, ერთი კაციც ძლივს ჩაკვებებულად ეტეოდა. გაიარა მანქანამ, ბიჭებს გადაუჭურჩულე, აბა წავედით-მეთქი, და გავაგრძელე ხოხვა. რაც უფრო ახლო მივდიოდით ცენტრალურ გზასთან, მით უფრო იზრდებოდა რისკის შანსი ჩვენი დანახვისა. სტრატეგია შეიცვალა, უკვე საჭირო იყო, თუ დაგვინახავდნენ, ცეცხლი გაგვეხსნა და დარჩენილი დაახლოებით ოცდაათი მეტრი სწრაფი სირბილით, სროლით გაგვერბინა, მაგრამ ამ შემთხვევაში ფორტუნა ჩვენს მხარეს აღმოჩნდა, თუ ამას გამართლება შეიძლება ეწოდოს, როცა ტოვებ საკუთარ სახლს, ახლობლებს, ღირსებასაც კი დროებით, მაგრამ მაინც, მაგრამ თავის სიკვდილი მაინც არ არის გამართლებული. ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო. მე ვფიქრობ, საერთო ჯამში აფხაზეთის ომში მაქსიმუმში გავაკეთე, რისი გაკეთებაც ერთ რიგით ჯარისკაცს შეეძლო.

მ. კ. – ვალმოხდილობის შეგრძნება გეუფლება, არა?

ნ. მ. – ჰე, გვირაბამდის მივაღწიეთ, გვირაბში შევხოხდი, ახლა ოთხი თანამებრძოლის ბედი წყდებოდა, ბოლო მეტრები თითქმის თავისუფლებამდის. ყველანი მშვიდობით შემოხოხდნენ, ახლა უკვე აღარ მეშინოდა, რომ ვინმე მოკვდებოდა, ყოველ შემთხვევაში სიკვდილის შანსი გაცილებით ნაკლები იყო. თავის საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ხელი მოვისვი, ეკლის პატარა ტოტი შემრჩა ხელში, მოვიცილე, მაგრამ ეს რას მიშველიდა, თავი ეკლის ქაცვებით მქონდა სავსე. ახლა ეს არ იყო მთავარი, მთავარი ტყვეების დახმარება იყო. მარტო ჩვენი ძალებით ვერაფერს გავხდებოდით, ამიტომ ჯერ ჯარს უნდა შევერთეობდით.

გვირაბიდან ტყემდის რამდენიმე მეტრი იყო, გადავირბინეთ და დავუყევით საცალფეხო ბილიკს, ბილიკზე ოლეგი ფოჩხუა იჯდა. სისხლი სდიოდა, თავშიც იყო დაჭრილი, წამოდგა, დახმარება არ მინდაო,

მაგრამ რამდენიმე მეტრის შემდეგ სიარული უჭირდა, მივედი, მხარში ამოვუდექი და მივხვდი, თუ როგორი დაღლილი ვიყავი მეც, ცოტა ხანში მამუკაც ამოუდგა მეორე მხრიდან და გავაგრძელეთ გზა. გზა-დაგზა ვხვდებოდით მათ, ვინც ჩვენსავით მოახერხა თავის დაღწევა, ერთად ვგროვდებოდით და მივიჩვენდით მდინარის გადასალახად. ვახო და ერთი თუ ორი ახალდაბელი (ერთის გვარი თოლორდავა იყო) გვეხმარებოდა დაჭრილის გადმოსაყვანად, დანარჩენები, თითქოს აქ არაფერიო, წინ-წინ გარბოდნენ, არადა ოლეგი ფოჩხუა თბილისის ჰოსპიტალიდან გამოიქცა დაჭრილი, ჩემს სამშობლოს, ჩემს სოფელს უჭირსო. ახალდაბაში ერთად შევედით, მეორედ დაიჭრა. ნუთუ ასეთ კაცს მეტი პატივისცემა არ ეკუთვნოდა?! გვიჭირდა დაჭრილის ტარება, მას სიარული არ შეეძლო, თვითონ წუხდა ჩვენზე, დავრჩებო, თქვა კიდეც. ამ სიტყვებმა უფრო შეგვმატა ძალა იმ ბიჭებს, ვინც არ ვტოვებდით დაჭრილს. მის ვაჟკაცობას კიდეც ერთხელ გაესვა ხაზი და ვცდილობდით, არ ჩამოვრჩენოდით სამშვიდობოსკენ მიმართულ დანარჩენ მეომრებს.

მ. კ. – ჯარი სად გეგულებოდათ?

ნ. მ. – მდინარის გადაღმა. მდინარეც გამოჩნდა. ფონის მოძებნა იყო საჭირო, ისე დაჭრილის გადაყვანას ვერ შევძლებდით, ფონიც მოვძებნეთ, საიდანაც გადავიყვანდით ოლეგის და გადავიწერეთ პირჯვარი, მდინარე გადავლახეთ, მაგრამ მთლიანად სველი ვიყავით სუყველა, ვისაც ოლეგი გადმოგვყავდა, მივემატეთ ბიჭებს. ისინიც თითქმის სველები იყვნენ. დავანთეთ ცეცხლი, გავიხადეთ ფორმები და ოდნავ შევაშრეთ. ერთ ახალდაბელს პლასტმასის 10 ლიტრიანით არაყი წამოეღო სახლიდან, ახლა უკვე ოცი-ოცდაათი კაცი ვიყავით თავმოყრილი, თითო სასმისი დავლიეთ სუყველამ, ცოტა გავთბით. ახლა იმაზე ვმსჯელობდით, ღამე გაგვეთია თუ არა ტყეში, მაგრამ დაჭრილისთვის როგორ ჩაივლიდა ღამე, ვინ იცოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, როგორმე დასახლებამდის მივსულიყავით. აქედან კიდეც რამოდენიმე ახალდაბელი დაგვეხმარა დაჭრილის წამოყვანაში. მოსახლეობამდის კიდეც ერთი მდინარის განშტოება იყო გადასალახი, როგორც ბიჭებმა თქვეს, თუ არა და ძალიან დიდი მანძილი უნდა შემოგვევლო, რომ მდინარის განშტოების გადალახვა აგვეშორებინა თავიდან. გადაწყდა მდინარის გადალახვა, რადგან ეს გაცილებით მოკლე გზა იყო. ოლეგმა კიდეც ერთხელ მოგვმართა, მე დავრჩებო, მაგრამ ეს გამორიცხული იყო. ცოცხალი კაცის დატოვება ომში სამშობლოს ღალატზე დიდი დანაშაულია, ჩემი ფიქრით. როგორ უნდა იცხოვრო იმის შემდეგ, თუ იცი, რომ სამშობლოსთვის თავდადებულ ადამიანს, ბრძოლაში მძიმედ დაჭრილს, ბრძოლის ველზე ტოვებ.

მივადექით კოდორის მეორე განშტოებას, აქ უფრო ვიწრო იყო მდინარის კალაპოტი, მაგრამ უფრო ღრმა, აქაც მოვახერხეთ დაჭრილის გადაყვანა, უკვე ახლოს ვიყავით დასახლებულ პუნქტთან. აქაც დავანთეთ ცეცხლი, ისევ ნახევრად გავაშრეთ ტანსაცმელი და წავედით სოხუმის მიმართულებით. კოდორის ხიდთან ქართველი მეომრები იყვნენ გამაგრებული ერთი გაფუჭებული ტანკით, რომელიც არ იქოქებოდა, ტრაქტორით აუთრევიათ სიმაღლეზე და ნაძვზე მიუბამთ ჯაჭვით, რათა თავდაღმართში არ გადაგორებულიყო. სროლით ისროდა, მაგრამ რას იზამდა ასეთ მდგომარეობაში მყოფი მძიმე ტექნიკა?! ეს იყო შევარდნაძისგან დარჩენილი უკანასკნელი მოჰიკანი, რომელიც ვერ წამოიყვანა თბილისში, მისი უვარგისობის გამო, თითქოსდა შევრიგდითო. ასეთი დიდი “პოლიტიკოსი”, მაშინ რომ გვჯეროდა, თავისი ხალხის ხაფანგი გამოდგა. ნეტა რას წერს თავის მემუარებში, რა ნამუსით იძინებდა თბილ ლოგინში, როცა უამრავი ბავშვი და მოხუცი, მეომრებზე არ მაქვს საუბარი, რომლებიც უსაფლავოდ დარჩნენ აფხაზეთის მიწაზე, მათ შორის, ჩემი ალალი ბიძა, მამიდას მეუღლე, ალექსი ცალანი, რომელიც ახალდაბის უსასტიკეს და უთანასწორო ბრძოლებში დაიღუპა და რომლის საფლავი არ არსებობს – კაცის, რომელმაც თაობები აღზარდა, ბრწყინვალე პედაგოგი და არაჩვეულებრივი ადამიანი, ჩემთვის ქართველი კაცის ეტალონი. მეორე ბიძა, დედის ძმა, უპატიოსნესი ადამიანი, ოთხი შვილის მამა, ბოლო დღეების უთანასწორო ბრძოლების მსხვერპლი გახდა, სოფელ ზემო კელასურსა და ოდიშში მიმდინარე ბრძოლებში ჩემი უფროსი ძმის გვერდით სასიკვდილოდ დაიჭრა. ესეც განუკითხაობის და მაშინდელი მთავრობის თუ სარდლობის უნიათობის და უვიცობის შედეგი, დატოვა ახალგაზრდა მეუღლე და ოთხი პატარა შვილი, რომლებიც ოზლად დიდი სულიერი ტრამვის ქვეშ გაიზარდნენ.

მ. კ. – საით გექირათ გეზი?

ნ. მ. – კელასურისკენ. დაჭრილი სამედიცინო პუნქტში გავაგზავნეთ და ნაწილი ახალდაბიდან გამოსული მეომრებისა უკვე კოდორის აქეთა მხრიდან ვცდილობდით იერიშის მიტანას. ახლა ჩემების არაფერი ვიცოდი, ამიტომ მამუკას ვუთხარი, ჯერ ავიდეთ ჩემს სოფელში, ვნახოთ, რა ხდება და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ-მეთქი. წავედით ზემო კელასურის მიმართულებით. არ მახსოვს ზუსტად, როგორ მივაღწიეთ ზემო კელასურამდის, ფეხით მოგვიწია ძირითადად სიარული. ზუსტად მახსოვს: საბჭოს სკოლასთან ხუტა შემომხვდა, მე ზურას ამბავი ვკითხე, ძალიან აფორიაქებული ვიყავი, რატომღაც დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ცოცხალს ვნახავდი. ხუტამ მითხრა, გუშინ დილით ვნახე, კარგად იყო, მერე არ მინახავსო. მე არ ვეშვებოდი, არ დამიმა-

ლო, თუ რამე გაიგე, მითხარი-მეთქი. არაფერი არ გამიგია, ნუ გეშინია, კარგად არისო, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი ტახუნა და ბიძაშენი – ორივენი ბრძოლაში დაიღუპნენო. სიმწრისგან რა მექნა, არ ვიცოდი. მოვუჩქარეთ მე და მამუკამ სიარულს, ბიძაჩემის სახლთან ქალები და ბავშვები იყვნენ თავმოყრილი, აქედან ბიძაჩემის ოთხი ძალიან პატარა ბავშვი, უმამოდ დარჩენილნი, დედის და მოხუცი ბებუას იმედზე დარჩნენ. ჭურვები ცვიოდა სოფელში, მამაკაცები პოზიციებზე მედგრად იცავდნენ ყოველ გოჯ მიწას. არსაიდან დახმარება, ბიძაჩემი სასწრაფოდ მივაბარეთ მშობლიურ მიწას, სასაფლაოც იბომბებოდა, სასწრაფოდ ჩავბრუნდით სოფელში. ბიჭები ვნახე, უკვე გაჩერება არ შეიძლებოდა, ადგილობრივი ძალებით ვერაფერს გავხვდებოდით. რუსთავის ასეული იყო ჩვენს ბიჭებზე მომაგრებული, მაგრამ მარტო ავტომატი, თითქმის ტყვია-წამალის გარეშე, არაფრის იმედის მომცემი არ იყო და გადაწყვეტილება მივიღეთ ქალების, ბავშვების და მოხუცების სვანეთის უღელტეხილით გადაყვანის შესახებ. არ ტოვებდა პოზიციებს ჩემი ბავშვობის მეგობარი, ახლა ჩემი ბავშვის ერთ-ერთი ნათლია, რომელსაც ცალი ფეხით, ერთ ხელში ხელჯოხით და მეორეში საკუთარი თოფით, ერთი დღე და ღამე არ მიუტოვებია ბიჭები, მაგრამ ეს არავინ არ იცის და ისიც წყალტუბოს სანატორიუმში, ცოლთან და პატარა შვილთან, როგორც ყველა, ღვთის ანაბარაა დარჩენილი.

მ. კ. – რით აპირებდით უღელტეხილის გადალახვას?

ნ. მ. – ჩვენს პატარა სოფელში ერთი მუხლუხა ტრაქტორი გვყავდა, აუცილებელი ნივთების დატვირთვა და უმწეო ადამიანების დასხდომა დავიწყეთ, ბებიაჩემი ცოცხალი თავით არ შვრებოდა სახლიდან წასვლას, ჯერ შვილის ძვლები არ გაცივებულა და მე რად მინდა სიცოცხლეო, მაგრამ ოთხი ობლის გაზრდა კიდევ მის კისერზე იყო (ეს მისიაც პირნათლად შეასრულა. სამივე გოგო დაოჯახებულია, ბიჭი კი სტუდენტია. ახლა შვილის საფლავზე მისვლას და შემდეგ სიკვდილს ნატრობს). ეს ვუთხარი და ძალით ტრაქტორის ძარაზე შევსვით, ოთხი ობოლი შვილიშვილი შემოვუსვით ირგვლივ და გავაგრძელეთ ასეთი გაჭირვებული ხალხის ომისგან გარიდება. რამდენიმე მეომარი მივაცილებდით ტრაქტორს, გენწვიშამდის ავაცილეთ. მაშინ ჩემი ძმიშვილი ოთხი თვის იყო. ისიც სხვასთან ერთად დედის და ღვთის ანაბარა დავტოვეთ და მე, ჩემი ძმა და მამუკა დავბრუნდით ისევ სოხუმის მიმართულებით, რამდენიმე მეომარი კი დარჩა და ბოლომდე გაჰყვა მათ.

მ. კ. – სოხუმი ამ დროს ხომ უკვე დაპყრობილია?

ნ. მ. – კი. მაჭარკის ხიდან არჩევანი უნდა გამეკეთებინა. ზღაპარი გამახსენდა: იქეთ წახვალ, მოგკლავენ, აქეთ წახვალ, შეიძლება გადარჩე, ხოლო თუ უკან დაბრუნდები, გადარჩებიო. უკან, რა თქმა უნდა, აღარ

დავბრუნდებოდით, რადგან უკვე იქიდან წამოვედით სამშობლოს დასაცავად. მე ჩემს ძმას ვუთხარი, მამუკას მდგომარეობა მძიმეა, მთელი ოჯახი ტყვეობაში ჰყავს, ახლა მის გვერდში ყოფნა უფრო სწორი იქნება-მეთქი და დავრჩი მამუკასთან. ზურას არაფერი უპასუხია, წავიდა ზემო კელასურის მიმართულებით მარტო, მისი გამოხედვა და მძიმე ნაბიჯები ახლაც მიდგას თვალებ წინ, არადა ჩვენი მშობლებიც ჯერ კიდევ სოფელში იყვნენ, მათაც დაცვა სჭირდებოდათ, ბიჭებს კი გვერდში ყოფნა, რომლებიც ღვთის შემწეობით, რუსის ჯარს უღობავდნენ სოფელში შემოსასვლელ გზებს. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო,- უთქვამთ წინაპრებს, არადა ომში ხომ საშინელებაა მარტოდ ყოფნა. მე მაშინაც და დღესაც მგონია, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი იმ მომენტში, მიუხედავად ყოველგვარი დიდი ტრაგედიებისა. მე ვფიქრობ, ჩემმა ძმამ სწორად გაიგო ჩემი გადადგმული ნაბიჯი, მე ზურა სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ მაშინ ძმობაზე წინ სამშობლო, მეგობრობა და სისხლით ნათესაობა დავაყენე, ალალი იყოს ჩემი დაქცეული სისხლი ერთზეც, მეორეზეც და მესამეზეც.

მ. კ. – ამინ!

ნ. მ. – ერთი სიტყვით, მე და მამუკა დავბრუნდით კოდორის ხიდზე. მას მერე ჩემი ძმის და ოჯახის არაფერი გამიგია, სანამ ომი მთლიანად არ მიწყნარდა და მე, მძიმედ დაჭრილი, ჯერ ზუგდიდის, შემდეგ თბილისის საავადმყოფოში აღმოვჩნდი. მადლობა უფალს, ჩემი ოჯახი მაინც რომ სრული შემადგენლობით გადმომიყვანა ეგრეთ წოდებულ სამშვიდობოს და ბეზიას და მამაჩემის საფლავზე მისვლას მაინც ვახერხებ. მამაჩემმა, რომელსაც მამა არ ახსოვდა, (მეორე მსოფლიო ომში დაიკარგა), ობლობაში გაატარა მთელი ცხოვრება და ცარიელ მიწაზე ააშენა ორი სახლი თავისი გლეხური ჯაფით და წვალეებით, ვეღარ გაუძლო გულმა და მაღალი, ღონიერი კაცი 59 წლის ასაკში გულის შეტევით ქალაქში, დედაჩემის ხელებში, სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე გარდაიცვალა, ღმერთმა გაანათოს მისი სული. ძალიან მიყვარდა მამა, უმისობა საფლავშიც ჩამყვება, ისეთი ადამიანები, ალბათ, ასწლეულებში ძალიან ცოტანი იზადებიან.

კოდორის ხიდთან ახალდაბელი ბიჭები იბრძოდნენ, მათ შორის იყო მამა-შვილი. ვახო ჩემთან ერთად იყო სანგარში ახალდაბის მძიმე ბრძოლებში. იგი პატარა ასაკის გმირია ჩემს მეხსიერებაში, ახლა უცხოეთშია. მამამისი მურადი სხვა საგუშაგოზე იყო და თავის ორსართულიან საოცრად მოწყობილ სახლს ცეცხლის აღში გახვეულის უცქერდა. მურადი, ვახოს მამა, თვითონ მიდიოდა კოდორის საგუშაგოებზე, თქვენ დაისვენეთო. ყველანი ველოდებოდით სასწაულის ანუ საქართველოს გამოღვიძებას, მაგრამ არაფერი მასეთი არ ჩანდა, პირი-

ქით, სოხუმიდან უკვე ავტომატის ტყვიები გვწვდებოდა, ჭურვებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ხაფანგში ვრჩებოდით, რამოდენიმე მეომარი ერთ-ერთის ნათესავის სახლში ვაფარებდით თავს თავისუფალ დროს, იმ სახლში 50 წლამდის ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. საჭმელს ისინი გვაჭმევდნენ. ერთ დღეს მძიმე ტექნიკის საშინელი ხმა და ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი გაისმა. ყველამ დატოვა სახლი სასწრაფოდ (მათ შორის, ოჯახის უფროსმაც), უკანა ეზოდან, “სეტკას” გადაახტნენ. მე სახლის უკან დერეფნიდან ვადევნებდი თვალყურს, რამდენჯერმე მივიხედე მეც უკან დასახევად, მაგრამ ჩემთან ერთად, ანუ სახლის უკანა მხარის ერთ კუთხეში, ოჯახის დიასახლისის შემფოთებული თვალები შემომეფეთა. თვალწინ დამიდგა ყველა იმ სამი თუ ოთხი დღის პატივისცემა, მისი გამომცხვარი პური თუ მჭადი და ფეხი არ მომიცვლია. გავყურებდი დერეფანს და ველოდი მტერთან უთანასწორო ბრძოლას, რომ წავსულიყავი, ამ დედისტოლა მანდილოსნის შემფოთებული თვალები მთელი ცხოვრება არ მომასვენებდა, დამტანჯავდა და მართალიც იქნებოდა.

უცებ გამოჩნდა სამი “ბეტერი”. ავტომატი მოვიმარჯვე, იქედან კი ჰაერში ისროდნენ, გამიკვირდა, მაგრამ აშკარა იყო, სახლში შემოსვლას არ აპირებდნენ. ოჯახის მანდილოსანს გავხედე. შავებში ჩაცმულ ქალს ფერი არ ედო, არც მე მექნებოდა კარგი ფერი, ალბათ, აბა, მარტო ერთი კაცი რას ვიზამდი სახლში რომ შემოსულიყვნენ?! ფილმი ხომ არ იყო, სასწაული მომეხდინა. გაირკვა, რომ ეს მძიმე ტექნიკა, მაშინ ასე ითქვა, თუ მართალია, ყარყარაშვილის მეტაურობით შემოვიდა ზღვის სანაპიროდან და, მათი ჭკუით, ის სროლები გამარჯვების იყო, სამი კინკილა ბეტერით უნდოდათ ძალით ჩაბარებული სოხუმის განთავისუფლება. ძალე ის სამი ბეტერი სვანეთის გზას შესდგომია თბილისში ჩამოსასვლელად. ბიჭები დაბრუნდნენ ტალახში ამოგანგლულები. უკვე გვეცინებოდა, ვხუმრობდი, ნამდვილი დესანტები ხართ-მეთქი.

უკვე პოზიციაზე შეუძლებელი იყო ყოფნა, ორივე მხრიდან საშინელი ზეწოლა იყო, იბომბებოდა მასიურად, დაჭრილების რიცხვი იმატებდა, ბიჭებმა სვანეთით გადმოსვლა გადაწყვიტეს. დიდი მანქანაც იშოვეს, თუ არ წავიდოდნენ სასწრაფოდ, სათუო გახდებოდა მტერზე გასწრება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მე და მამუკამ უარი ვთქვით, რადგან მამუკას ოჯახის წევრები ტყვეობაში რჩებოდნენ და ჩვენც იმედი გვქონდა, რადგან ძალას მოგვაშველებდა ”მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი, ედუარდ შევარდნაძე”, რაც არ მოხდა?! თუმცა რეალურად შეიძლებოდა. ვიცოდით, თუ რა შეიარაღება ებარა თენგიზ კიტოვანს, რომელიც ერთ დამეში გამოიპარა თავისი ჯარიანად ოჩამჩირიდან.

მ. კ. – მოღალატეები!

ბ. მ. – დავემშვიდობეთ ბიჭებს და წავედით მეორე ჯგუფთან, რომელიც ზღვის სანაპიროდან გადასვლას და ქართულ ჯართან შეერთებას გეგმავდა, რათა იქედან მოეხდინათ ოჯახის წევრების მტრისგან დახსნა. სადამო ახლოვდებოდა, 27 სექტემბერი, ბოლო დღე სოხუმთან ახლო ყოფნისა, დღე სოხუმის ოფიციალური აღებისა და დღე, როცა ზუსტად 24 წელი შემისრულდა, ბოლო დაბადების დღე სოხუმში მტრის ფეირვერკებით გავსებული ცით აღინიშნა. ზეიმობდა მტერი გამარჯვებას, ჩვენ კი, ყველასგან მიტოვებულებს, გული გვიკვდებოდა, დუბაიში და სხვა ქალაქებში მოგულავე ზოგიერთი ქართველი ვერ ხვდებოდა, თუ რას კარგავდა. სამწუხაროდ, ისინი დღესაც ვერ ხვდებიან, მათ მარტო სოხუმლების ჰგონიათ სოხუმი. ჩვენი წინაპრების სისხლით და ერთიანობით შემონახული ულამაზესი კუთხე გამოგვლიჯეს გულიდან რუსმა ოკუპანტებმა.

მ. კ. – მოღალატე ქართველების დახმარებით!

ბ. მ. – დავიძარით ზღვისკენ, ტყვიების და ჭურვების წვიმაში უცებ ყვირილის ხმა გაისმა, ერთი დაგვიჭრეს ფეხში, ფეხი გადავუხვიეთ, სნაიპერის ნასროლი იყო. გავაგრძელეთ გზა, ქალებიც შემოგვიერთდნენ გზადაგზა, ბოლო ნაკადი გადიოდა ალყაში მომწყვდეული მეომრების თუ ბოლომდის დარჩენილი მოსახლეობის. ზღვაში ნავი იყო, 15 კაცამდის თუ დაიტევდა. დაჭრილი, ქალები და ვისაც არ შეეძლო ფეხით სიარული, შევსვით ნავში, რამდენიმე მეომარი გავაყოლეთ და დანარჩენები დავიძარით ფეხით. მივდიოდით დიდი სიფრთხილით, მივაღწიეთ კინდლამდე, სადაც შემორიგებული ზვიადისტების ბატალიონი იყო. მიგვიღეს მთელი გულით და სულით, გვასადილეს და გვითხრეს, როგორც კი სამთავრობო ძალები ჩვენს ხაზს გაუსწორდებიან, ერთად განვახორციელებთ შეტევასო. ეს არ მოხდა, თუ რატომ, ამაზე პასუხს მაშინდელი ორად გახლეჩილი საქართველოს ლიდერები აგებენ, რომლებმაც პირადულ ამპარტავნებას შესწირეს ულამაზესი კუთხე. გადავწყვიტეთ, ოჩამჩირეში წავსულიყავით, რადგან გავიგეთ, იქ დიდი ძალა იკრიბებოდა, ყველანი იმედს ვებღაუჭებოდით.

მ. კ. – კიდევ გამარჯვების იმედი გქონდათ?

ბ. მ. – აბა! დავადექით ფეხით ტრასას, სადღაც სატვირთო მანქანა წამოგვეწია, გავაჩერეთ და ოჩამჩირისკენ დავიძარით. სოფელ ცაგერასთან სოფლის მეომრებმა გაგვაჩერეს, სად მიდიხართო, ჩვენ ჩვენი მიზანი ვუთხარით, ერთმა თოფით შეიარაღებულმა წვერმოშვებულმა მოხუცმა არ დაგვიჯერა, გარბიხართო და თან თოფს მანქანისკენ იშვერდა, დაგხოცავთ სუყველასო. ახალგაზრდებმა დააშოშმინეს და გავაგრძელეთ გზა. ოჩამჩირეში რომ შევედით, კბილებამდის შეიარაღებული უამრავი მეომარი სანგრებში იყო განლაგებული. გული სიხარუ-

ლით აივსო, ახლა კი ვიწამე, ბრძოლა შეიძლებოდა, რადგან ამდენი მეომარი სოხუმში წინა ხაზზე არ ვიყავით და ბევრ ძალიან მძიმე შემოტევას გავუძელით, მათ შორის, ყველაზე მასშტაბურს – 1993 წლის 16-17 მარტის შემოტევას. პირველი ბატალიონის პირველი ასეული მედგრად ვიდექით მდინარე გუმისთის სამანქანო ხიდის ახლოს კემპინგებში, სადაც სამი დღე მშვიერ-მწყურვალ ალყაში ვიცავდით საკუთარ პოზიციებს და ბოლომდის დავიცავით. სხვათა შორის, მამუკაც ჩემთან იყო მაშინ სტუმრად და ისიც ჩვენთან ერთად იყო ალყის მოხსნამდის. ოჩამჩირეში, შუა ქალაქში, მეომრები იყვნენ თავმოყრილი. ჩვენ შტაბი ვიკითხეთ და წავედით შტაბში, იქ ზურგჩანთები, ფორმა, პლამპალატკა, ჩექმები და რაც ჰქონდათ, დაგვირიგეს. მე არანაირი საბუთი არ მქონდა, ყველაფერი სოფელში მქონდა და საბუთიც მომცეს, ოჩამჩირის ბატალიონს მიმამატეს.

ყველანი თენგიზ კიტოვანს ველოდებოდით. გაისმა ვერტმფრენის გუგუნი, დაუბერა ქარმა და დაფრინდა ოჩამჩირის ცენტრში ბოლო იმედი, რომელმაც არ ვიცი, თავისი თუ სხვისი ბრძანებით, დატოვა ღამით ოჩამჩირე თავისი კბილებამდის შეიარაღებული ჯარით. კიტოვანმა ომახიანი ხმით თქვა: ხვალ განთიადზე შეტევას ვიწყებთ, აბა, თქვენ იცით, ბიჭებო. თმები ამებურძგნა, გავიფიქრე, მთლად არ დაღუპულა საქართველო, აი, კიდევ გვყოლია პატრიოტები-მეთქი.

მ. კ. – დაგამშვიდათ თუ მოგატყუათ?

ნ. მ. – რაც გამოვიდა. მე, მამუკა, ომარი და გივი წავედით ომარის და გივის ნათესავის სახლში, რომელიც ოჩამჩირეში ცხოვრობდა. ომარი და გივი ძმებია, ცოტა ვისადილეთ, ჩექმები გავიხადეთ და ისე წამოვწექით ლოგინებზე, დიდხანს ძილი არ მეკარებოდა, დარწმუნებული ვიყავი, დილით დაწყებული შეტევა ისევ გუმისთამდე მაინც დაგვაბრუნებდა. ფიქრების მორევში როდის ჩამეძინა, ვერ გავიგე. საშინელმა ხმაურმა გამაღვიძა. ტანკების გუგუნის ისმოდა ყოველი მხრიდან. ერთმანეთს გადავხედეთ, ფანჯრებში ბნელოდა. გულმა ცუდი მიგრძნო, ფანჯარასთან მივედით ფრთხილად, გამოკვეთილი რუსული და აფხაზური ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, უკვე ყველა იმედი დავკარგე, დავრწმუნდი, რომ აფხაზეთი საბოლოოდ განწირული იყო, რატომ გაიყვანა კიტოვანმა ჯარი, ვინ მისცა ბრძანება, ნუთუ ამაზე პასუხი არავის აინტერესებს?!

მ. კ. – მერამდენედ აღმოჩნდი ალყაში?

ნ. მ. – მესამედ ალყაში, სამი დღე მდინარე გუმისთის სანაპიროზე წინა ხაზზე, სამი დღე ახალდაბის ალყაში და ახლაც ვინ იცის, რა მელოდა. ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ახლა თავი უნდა გადაგვერჩინა და თუ ოდესმე საქართველოს ისეთი მმართველი ეყოლებოდა, რომელსაც წი-

ნაპრების სიყვარული, სამშობლოს სიყვარული და ღირსება ექნებოდა, მაშინ დაგვებრუნებინა სამაჩაბლო და აფხაზეთი, როგორც მსოფლიო პოლიტიკა მოითხოვდა, მაგრამ უნდა დაგვებრუნებინა, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგვეჯდომოდა.

სახლიდან ჩუმად გავედით, სახლის პატრონი არ წამოგვეყვა, ჩვენ რამდენიმე ეზო გადავჭერით, მეტი გადაადგილება არ შეიძლებოდა. ირიურაჟა, ვიდეკით მანდარინების ქვეშ. ეზოში “ბელეტაჟი” სახლი იდგა, ფიქრის დრო აღარ რჩებოდა. სარდაფში შევძვერით, მესამედი სარდაფისა ხის ცარიელი ყუთებით იყო სავსე. ბეტონის ბოძებზე იდგა ეს სახლი, ბოძებთან გავნაწილდით, ყუთები ამოვიფარეთ. ავტომატის ჩამკეტი გახსნილი მქონდა, გამოუვალ მდგომარეობაში რამდენიმეს მაინც გავანადგურებდით, მაგრამ ეს თუ მოხდებოდა, სიცოცხლის შანსი აღარ რჩებოდა. ერთი ტანკის ჭურვის სროლა სარდაფში, რომელშიც ჩვენ ვიყავით და რომელსაც რამდენიმე ღია ფანჯარა ჰქონდა, საკმარისი იქნებოდა, ძვლებიანად ჩავმწვარიყავით. მთელი დღის მანძილზე დადიოდნენ ბოევიკები სახლებში. რამდენიმე ბოევიკი ჩვენს სახლშიც შემოვიდა, აფხაზურად ლაპარაკობდნენ, ერთი მეტრის სიმაღლე გვაშორებდა მტერს, რადგანაც სარდაფი დაბალი იყო. მიყარ-მოყარეს ყველაფერი, ბრახუნებდნენ კარგა ხანი და ხმამაღალი ლაპარაკით გავიდნენ ეზოდან. ჩვენს სახლთან ბევრმა ჩაიარა, ღია ფანჯარაში კარგად ჩანდა მათი სახეები, ორმა ბოევიკმა მეგრული ლაპარაკით გაიარა, ომარმა თქვა, რაღაც შარვლის ქამარზე ლაპარაკობდნენო. მთელი დღე გვერდის შეცვლაც არ გვიცდია. შარდზე გასასვლელად მეოთხედ ბრუნს ვაკეთებდით, ადგომის შანსი არ იყო. სარდაფი ხელისგულვით ჩანდა იმ ვეებერთელა ფანჯრებიდან, რომელიც ჩვენს სარდაფს ჰქონდა. ღმერთმა ცარიელი ყუთები ჩვენს გადასარჩენად დააწყობინა სარდაფში. მთელი დღის მანძილზე ყოველ წამს ღმერთს ვთხოვდი მფარველობას, ახლა მრცხვენია ხოლმე, ისე გავა ზოგიერთი დღე, მაშაო ჩვენოს თქმა დამავიწყდება.

საღამო ახლოვდებოდა, სასწაულის მოლოდინში ვიყავი, ნუთუ მართლა გვეწერა სიცოცხლე? რიურაჟი ჩადგა ჩვენს ფანჯრებში, წამოჯდომა შეიძლებოდა უკვე. ავტომატის ჩამკეტი ჩავკეტე, ნახევარ საათში საკმაოდ დაბნელდა, სხვათა შორის, მთვარიანი ღამე იყო, გადავწყვიტეთ, ოჩამჩირე დაგვეტოვებინა ღამით, თუ მოვახერხებდით. გამოვძვერით სარდაფიდან და დავიძარით ზღვის მიმართულებით. შიმშილმა გაგვახსენა თავი. ცოცხალ კაცს ბევრი მოთხოვნილება უჩნდება, ყველასთვის ცნობილია. აქა-იქ შემორჩენილ ბოსტნეულის მარცვლებს წავაწყდით, ეზო-ეზო გადასვლის დროს რამდენიმე ხმელი ლობიოს პარკი ვიპოვეთ, გავინაწილეთ, საშინელი გემო ჰქონდა. ომარი, გივის

უფროსი ძმა, ასაკით ყველაზე უფროსი იყო ჩვენ შორის, მან გზის გაკვლევა იკისრა, თან ოჩამჩირეს ორიენტაციით მაინც ცნობდა. ერთ ეზოში დიდი ზომის საღორე იყო “სეტკასთან”. შევიხედეთ შიგნით, დიდი ხნის დაცლილი იყო, რადგანაც გამომშრალი იყო იატაკი, შევძვერით ოთხივე, ადგილი კიდე ბლომად იყო, ცოტა რომ დავისვენეთ, ომარიმ გვითხრა, წავალ, გზას დავზვერავ და დავბრუნდებიო. რამდენიმე წუთში სირბილით დაბრუნდა ჩვენთან, გაისმა ძაღლის ყეფაც მეორე “სეტკასთან”, თურმე ომარის მომდევნო სახლში შეუნიშნავს მოხუცი კაცი, რომელიც გამოსულა მანდარინებში მოსაშარდად. ომარს დაუძახია ხმადაბლა, ”ჰეი, ნი ბოისა, ია გრუზინო” , ის საცოდავი შარვალჩახდილი გაქცეულა სახლში, იქედან კი ბოევიკები გამოცვენილან, ამასობაში კი ომარიმ ჩვენამდის მოსვლა მოახერხა. ალბათ, იმ მოხუცს დღესაც დასცინიან, მოგეჩვენაო, ბოევიკებმა მოათვალიერეს იქაურობა. ჩვენ საღორიდან ვუთვალთვალებდით, როცა “სეტკასთან” მოვიდნენ. ქუჩებში მძიმე ტექნიკა დაგუგუნებდა, ზეიმობდნენ, რატომაც არა, უომრად ამხელა ტერიტორიის დაკავება განა საზეიმო არ იყო? ომარიმ ახლა მეორე გზის დაზვერვა გადაწყვიტა, ცოტა დააგვიანდა. ჩვენ ვნერვიულობდით, აი, ისიც გამოჩნდა. ხელით გვანიშნა, მისი მიმართულებით წავსულიყავით, გამოვძვერით და დავიძარით სამანქანო გზის მიმართულებით, ხოხვით მივადექით გზის ნაპირს. ტანკმა ჩაიარა, შემდეგ ბოევიკებმაც, ჩვენ ჭიშკარში გავხოხდით და არხში ჩავედით. არხი სავსე იყო ჭუჭყიანი წყლით, სხვა გზა არ იყო. ეს იყო ერთადერთი გზა გადარჩენისა. ავტომატები წყლის ზემოთ გვეჭირა, დავიღალეთ, მაგრამ რას ვიზამდით, სახლების წინ ბოგირები იყო. ჭუჭყიანი წყალი თითქმის ავსებდა ბოგირამდე, თავის ამოსაყოფილა რჩებოდა, ავტომატი და თავი წყლის ზემოთ, ასე მივიწევდით ზღვისკენ. ერთ მონაკვეთზე ძაღლმა შეგვნიშნა, ყეფა-ყეფით მოგვდევდა. კიდევ კარგი, არავის შეუნიშნევართ.

მივალწიეთ ზღვამდე, ომარი გაგვიძღვა და გალისკენ ავიღეთ გეზი. ოჩამჩირის და გალის საზღვარს რომ მივუახლოვდით, დავიწყეთ ფიქრი, როგორ გაგვერღვია საზღვარი, ჩვენ რა ვიცოდით, გალიც თუ გაყიდული იყო, როგორც დანარჩენი აფხაზეთი. გადავწყვიტეთ, ერთად მივახლოვობოდით საზღვარს. ერთი ხელყუმბარა ჰქონდა ომარის. მე დავკარგე ახალდაბიდან გამოსვლისას, ეკლების არხში რომ ვხოხავდით, ალბათ, იქ. ერთი სიტყვით, ხელყუმბარას ვესროდით, შემდეგ ავტომატებით ჩავხოცავდით სანგარში და გადავირბენდით მდინარეს. ეს გვქონდა გეგმაში, მაგრამ ეს არ დაგვჭირდა, სანგრებში არავინ დაგვხვდა, ამან უფრო გაგვაკვირვა, გადავლახეთ მდინარე ღალიძგა. დავრჩით ტყეში ყოველგვარი ინფორმაციის გარეშე. ერთ ადგილას ჭაობის არხი იყო,

გადასვლა შეუძლებელი გახდა, გავყევით მის ნაპირს და ერთ ნახევრადწაქცეულ ხეს მივადექით, რომელიც თითქმის წვდებოდა მეორე ნაპირს. ახლა მასზე ახოხება და გადახტომა იყო საჭირო. ეს მე, მამუკამ და ომარიმ შედარებით ადვილად მოვახერხეთ, ხოლო გივიმ რამდენჯერაც სცადა, იმდენჯერ ჩაცურდა ქვემოთ, ჩვენ უკან ვერ გადავიდოდით, რადგან ხის წვერო მაღალზე იყო ჩვენი მხრიდან, გივი კი ვერ გადმოდიოდა, დავჯექით და დავისვენეთ. გივიმ მოიკრიბა ძალები და ახოხდა ხეზე, ამჯერად გაუმართლა, ხის კენწეროს მოექცა თავში და გადმოხტა, დათვის ბელივით დაგორდა მიწაზე.

მ. კ. – ე.ი. გადარჩით?

ნ. მ. – იმ ეტაპზე კი. გავაგრძელეთ გზა. რადგან გადავრჩით, ახლა შიმშილმა შეგვაწუხა, ერთ მაღალ ხეზე ცოტა მოუკრეფავი ყურძენი იყო შემორჩენილი, ვახის ძირი დავქაჩეთ და ჩამოიყარა მტევნები. ძალიან ცოტა იყო. გავაგრძელეთ გზა. კაცის ჭაჭანება არ იყო, ერთი მანქანის მიტოვებული მისაბმელი სავსე იყო საზამთროთი. ახლა კი ვცხონდით, შიმშილის გრძნობა აღარ არსებობდა, მწიფე საზამთროს სისხლივით წითელი გულით დავნაყრდით. ერთ ეზოში მოხუცი ქალი ვნახეთ, ვკითხეთ, რა ხდება, ხალხი სად არის-თქო, რა ვიციო, თქვა, აფხაზები ხომ არ გინახავს შეიარაღებული-მეთქი, ვინ აფხაზები, არავინ არ ყოფილა აქ შეიარაღებულიო. ახლა უკვე გალის ტრასას მივუყვებოდით, ველოსიპედით კაცი შემოგვხვდა, გავაჩერეთ, მანაც გაიკვირვა, რისი ომი, გალში ომს რა უნდაო. დავრწმუნდით, რომ აქეთ არ იყვნენ შემოსული, მაგრამ მწარედ ვცდებოდით.

მივალწიეთ პრიმორსკს, სადაც გალის სამხედრო ნაწილი ყოფილა განლაგებული, სანამ ომი მიმდინარეობდა სოხუმში და ტყვარჩელის მიმართულებით. ახლა ცარიელი იყო. არ ვიცი, კიტოვანს გაყვნი უკან, თუ გაასწრეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ომი არავის არ უნდოდა, ასე გამოვიდა. შლაგბაუმი იყო ნაწილის წინ ჩაკეტილი, იქვე აზბესტის მსხვილი დიამეტრის მილი ეგდო, ერთი სკამი იყო ნაწილის შესასვლელ კართან, რომელზეც გივი ჩამოჯდა. მე ტრასას გავხედე. სატვირთო მანქანა მოდიოდა, ძალიან შორს იყო, ვერ გაარჩევდი, რისი იყო, ბიჭებს ვუთხარი, შევიდეთ მიტოვებულ ნაწილში, თავი დავიზღვიოთ-მეთქი, უარი თქვეს, ჩვენები იქნებიან და ზუგდიდამდის წავყვებითო. ომარიმ თქვა, მანამ შევალ, იქნებ ვინმე ვნახო, ამბავი რომ ვკითხო, მამუკამაც, მეც გავყვებიო და შევიდნენ ბეტონის გალავნით შემორტყმულ ყოფილ სამხედრო ნაწილში. მანქანა გვიახლოვდებოდა, გივის ვუთხარი, ჩვენც შევიდეთ-მეთქი, დაეზარა. მე გივი არ დავტოვე. გულს დარჩენა არ უნდოდა, ვინ იცოდა, რა მოხდებოდა. მანქანა გაჩერდა. “კაზინაში” სამი კაცი იჯდა, სამხედროები, მარაზე გრადი იყო

დამონტაჟებული, მის ირგვლივ კი ათ კაცზე მეტი იქნებოდა შემომსხდარი. გაიღო “კაბინის” კარი. ოფიცერმა ცალი ფეხი ჩამოდგა “კაბინაში” შესასვლელზე და აფხაზურად დაელაპარაკა გივისს. მე მანქანის წინ ავლმოვჩნდი, გივიმ სვანური კილოთი მიმართა რუსულად **“მი ტოლკო ჩტო პრიშლიო”** („ჩვენ ახლახან მოვედითო“) და ავტომატს მჭიდი მიაგო, ვითომცდა აქ არაფერიო, მე ამასობაში ხელით ვანიშნე, შლაგბაუმს გავაღებ და გაგიშვებთ—მეთქი. ეს ყველაფერი წამებში მოხდა, სანამ მე დიდი რადიუსის მილს თითქმის გადავაფრინდი, გივიმ ავტომატური ცეცხლი გახსნა, რასაც ჩემი ავტომატის ერთჯერიანი სროლის ხმა შეუერთდა, ერთჯერიანი მიტომ, რომ ტყვიები ცოტა მქონდა, მხოლოდ ორი მჭიდი მქონდა, დანარჩენი მარაგი ზურგჩანთაში მქონდა ცალობით, მაგრამ იმის ამოღებას და დატენვას ვინ მაცლიდა?! პირველი ოფიცერს ვესროლე, კაბინიდან ფეხი რომ გამოყო, იმას, შემდეგ მის გვერდში მჯდომს, ისიც ოფიცერი იყო, ამასობაში მძღოლმა მანქანა უკან დაწია ცოტათი და აზბესტის მილს დააჯახა, რას უზამდა, მკერდამდის მიწევდა მილის სიმაღლე, ოდნავ გადმოგორდა, ეს წამებში მოხდა. მესამე ტყვია მძღოლს ვესროლე და რულზე დადო თავი. შემდეგ ბარაბანზე გადავინაცვლე, იმათ ვესროდი, ერთი მჭიდი გათავდა, მეორე ტრასირებით (ტრასირი არის ცეცხლმფრქვევი ტყვია) მქონდა სავსე, მივაგე და ისევ ჩამოვეყვი, ხელმეორედ ვესროდი, რამოდენიმე ტრასირი **“სიღენიების”** მიმართულებით ვისროლე, ცეცხლი რომ მოკიდებოდა, გივისკენ გავიხედე, გივი არ ჩანდა, მეც გასაქცევად მოვემზადე იმ კარებისკენ, რომელშიც ომარი და მამუკა შევიდნენ, გივი არ დამინახავს, სად წავიდა. კიდევ ერთხელ გადავხედე გრადის მანქანის ირგვლივ, და რომ ვერავინ დავინახე ცოცხალი, წასვლის გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ ჩანაფიქრი გამაყრუებელმა ხმამ ექოდ გადააქცია და შორი ძახილივით ჩამესმოდა ყურში. ჩემი ავტომატი ძირს ეგდო. მე მანქანას ვუყურებდი, აზრი არ ჰქონდა დამალვას. მთელი სხეულიდან სისხლი ფანტანივით ასხამდა, ფეხთან ახლოს, ოც-ოცდაათ სანტიმეტრში, ხელყუმბარის შავი კვამლი იშლებოდა, მომეჩვენა თითქოს კვამლმა კუბოს ფორმა მიიღო, ჩექმა სისხლით ივსებოდა, ველოდი, როდის მესროდა მორიგ ტყვიას. ვერავინ დავინახე, გრძნობაც არ დამიკარგავს. უცებ ავტომატს დავწვდი, ისევ მიმოვიხედე ირგვლივ, ცოცხალი არავინ ჩანდა, იდეალური სიმყუდროვე ჩამოდგა, თითქოს დედამიწაზე ჩემს მეტი ცოცხალი არ არსებობდა. სიარული შემემძლო, კარებისკენ წავედი, მანქანას შავი ბოლი ასდიოდა, მიცვალებულები ერთმანეთზე იყვნენ მისვენებულნი. სისხლი მარჯვენა ხელიდანაც ასხამდა, ზურგჩანთის სიმძიმე აუტანელი გახდა, კარებიდან ოთხ-ხუთ მეტრში დავაგდე და იქვე, კუთხეში დავწექი. თუ ვინმე შემოვიდოდა,

წავიყოლებდი იმქვეყნად და საქართველოს მოაკლდებოდა მტერი. თითქოს მიწიდან ამოდვრავო, უიარაღო კაცი გამოვიდა სათვალთვალო პუნქტის ქვემოდან. ბიძია, ქართველი ვარ, ზურგჩანთაში ტყვიები მაქვს, მომაწოდეთ, თუ არ შეწუხდებით-მეთქი, ამ ლაპარაკში ის ჩემს წინ იდგა ორ-სამ მეტრში და მომახალა: ქართველი რომ ხარ, იმიტომ შენი დედის ასე და ისეო.

მ. კ. – აფხაზი უკვე გალში იყო?

ნ. მ. – მე ვიფიქრე, დაჭრილი ვარ, ალბათ, მომეჩვენა, ხომ არ გავბოროტდი-მეთქი, ვერ გავიგე-თქო, ისევ გამიმეორა, არ დაფიქრებულა, მეც არ დავფიქრებულვარ მეტი, ტრასირმა გაუარა გულში და ისიც ჩემსავით ასფალტზე ეგდო, მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ მე ჯერ ცოცხალი ვიყავი, ის კი – არა. თვალებს არ დავუჯერე, საიდანღაც ჩემს წინ ომარი აღმოჩნდა, გივი სად არისო, მკითხა, მე ვუთხარი, გარეთ არ გახვიდე, ნუ გეშინია, ის გამოსულია, მამუკა სად არის-მეთქი – კკითხე, იქ დარჩაო. მე ვერ წამოვალ, შენც ჩემი გულისთვის დაილუპები და წადი-მეთქი, უჭირდა წასვლა, მაგრამ რას იზამდა, შეტრიალდა და წავიდა მამუკას მიმართულებით. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა, ომარი თვალს მიეფარა, მე გრძნობას არ ვკარგავდი, რაღაც სიცოცხლის იმედი მომეცა, წამოვდექი და ომარის მიმართულებით წავედი, “სეტკა-ზეც” მოვახერხე გადახტომა. რამდენიმე კემპინგი იყო მწკრივში, ბოლო კემპინგში შევჩერდი. ტყემდე ასორმოცდაათამდე მეტრი იქნებოდა, შემედლო იქამდის მიღწევა, მაგრამ იქ რომ ომარი და მამუკა არ დამხვედროდა, მკვდარსაც ვერავინ მნახავდა შემდეგ, რადგან ათასნაირი ქვეწარმავლები და ცხოველები შეჭამდნენ ჩემს სხეულს.

გადავწყვიტე, ამ ბოლო კემპინგში გავჩერებულიყავი, მჭიდში რამდენი ტყვია დამრჩა. არ ვიცოდი, მაგრამ შემოწმების თავი არ მქონდა, რადგან ხელისგულში, მაჯაში და მხარში დაჭრილი ვიყავი. ასევე მთელი მარჯვენა სხეული დაცხრილული მქონდა, შევედი კემპინგში. სულ ერთი ვიწრო შესასვლელისა და ერთი პატარა გაპარტახებული ოთახისგან შედგებოდა. კარი, ფანჯარა და იატაკი არ ჰქონდა, ოთახის მაშტაბებთან შედარებით საფანჯრე დიდი სივრცე იყო ჩრდილოეთის მხარეზე, იატაკის მაგივრად კი მშრალი მიწის მტვერი და დაშლილი საბნის ბამბა იყო ერთმანეთში არეული. ფანჯარასთან დავდექი და ველოდი მტრის გამოჩენას. ბრძოლა სიკვდილამდე! იარაღით ხელში სიკვდილი არაფერია, პირიქით, სიამაყის გრძნობა მქონდა, რადგან ოცდაოთხი წელი და რამდენიმე დღე ვაჟკაცურად ვიცხოვრე. გული მხოლოდ იმაზე მტკიოდა, რომ ოჯახის წევრები დაიტანჯებოდნენ. არავინ ჩანდა, სისუსტეს ვგრძნობდი, ვფიქრობდი, სანამ გრძნობას არ დავკარგავ, ფეხზე ვიქნები-მეთქი.

მ. კ. – არ შეგეშინდა?

ნ. მ. – ვერ მოვასწარი. როდის ჩავიკეცე, არ გამიგია, გრძნობაზე რომ მოვედი, მტვრიანი ბამბის ნაგლეჯებში ვეგდე. ახლა ვფიქრობ, ალბათ, წაქცეულს თავში სისხლი მომეწოდა, ისევ ავდექი, ისევ ფეხზე ვხვდებოდი სიკვდილს და ჩრდილოეთისკენ ვიხედებოდი, რისთვის არ გვეშვებოდნენ, რას გვერჩოდნენ, რუსებისთვის რა დაგვიშავებია, თავისუფლებას ვითხოვდით.

რამდენჯერმე განმეორდა ჩემი დაცემის და წამოდგომის ისტორია, ბოლო-ბოლო – ადგომა არ შემეძლო. ფეხები გაითიშა. ხელის მოძრაობას ვახერხებდი, მაჯაში ამოგლეჯილი ჭრილობა სისხლიანი მტვრით იყო სავსე. საშინელი ტკივილები დამეწყო, სხეულმა გასიება დაიწყო, ავტომატს მისაბჯენზე დახვეული რეზინის ”ჟგუტი” მოვხსენი, ფეხზე გადავიჭირე, ტკივილებმა მიმატა, ფეხი ჩექმაში არ ეტეოდა, ისე გასივდა. ჩექმის გახდაც შეუძლებელი გახდა, მტვრიანი ბამბის ნაგლეჯები გადავიყარე ფეხებზე და წელზე, ხელები და თავი მიჩანდა მარტო, ღმერთს პატიება ვთხოვე, პასპორტის ყდაზე უკანასკნელი წერილი დავწერე, ჩავიდე საცვალში, რადგან ერთადერთი მისი გადარჩენის შანსი, ჩემი სიკვდილის შემდეგ, იქ მივიჩნიე და მართალიც ვიყავი, დანარჩენი ყველა საბუთი განადგურდა, მივიდე ავტომატის ლულა ყბის ქვემოდან და თითი ნელი სვლით დავაჭირე ავტომატის გამსროლს, ტკაცანის ხმა გაისმა, ეს იყო ავტომატის ბოლო ამოსუნთქვა. ღმერთს ბოლო მსხვერპლად გამოუგზავნია ის, ვინც ძალით მომაკვლევეინა თავი. ჯიბეები მოვიჩხრიკე, ყოველთვის მქონდა ორი – სამი ტყვია, ყოველი შემთხვევისთვის გადანახული, ვერაფერი ვიპოვე. ოფლმა დამასხა, სიკვდილსაც ვერ ვახერხებდი, ტკივილი მტანჯავდა, ავტომატს ”კრიშა” ავხადე, ზამზარა მტვერში დავმალე ჩემს გვერდში, **”ზატვორი”** თავთან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მყოფი ფანჯრიდან გადავაგდე, ის პატარა მოწყობილობაა და ადვილად ვერ იპოვიდნენ, აფხაზები მყავს მხედველობაში, თუ არ იცოდნენ, დაახლოებით სად ეგდო. ჩავიხუტე ავტომატი, ყოველნაირი იმედი გადაწურული იყო, თავის მოკვლის შანსიც არ დამრჩა. ამ შემთხვევაში ის ნათქვამი გამოირიცხა, რომელიც ამბობს, ერთი გზა ყოველთვის არსებობსო. ეს თავის მოკვლაზეა ნათქვამი, როგორც ყველამ ვიცით. მე ეს გზაც აღარ მქონდა დარჩენილი, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ღმერთს ამ დონეზე ვუყვარდი და ყველა გზა რთული, მაგრამ გახსნილი მაქვს ღმერთს. ზოგჯერ ფეხის ხმა მომესმებოდა, მე სუნთქვას ვაჩერებდი, თითქოს მკვდარი ვიყავი, ტყვედ არ წამიყვანონ-მეთქი, არავინ მინახავს, ახლა აშკარაა, რომ მეჩვენებოდა. რა დრო იყო, აზრზე არ ვიყავი, მახსოვდა მხოლოდ ის, რომ

დილით ადრე დავიჭერი, უკვე ტკივილებიც აღარ მაწუხებდა, ყველაფერი გათიშული იყო. ასე გავატარე მთელი დღე მარტომ, ღმერთის ანაბარა, დიდება მის სახელს! ერთი სიტყვით, ნელ-ნელა ვშორდებოდი აქაურობას. როდის დავკარგე გრძნობა, არ მახსოვს, მახსოვს როგორც სიზმარში, ისეთი რამ, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო, ამბობენ, ფერადი სიზმარი არ არსებობსო, ზოგი ამბობს იშვიათადო, მე კი მახსოვს: უკიდევანო მინდორში ვიწექი, ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი, ჩიტების ჟრიამული ისმოდა ირგვლივ, ზოგიც ცაში ნავარდობდა, ცა მოწმენდილი იყო, მზე კაშკაშებდა, მაგრამ ისე, რომ თვალის გასწორება შემეძლო.

მ. კ. – სამოთხეში ყოფილხარ, ნუგზარ?

ნ. მ. – ალბათ. ახალდაბელი ხარ? – ეს სიტყვები შემოიჭრნენ ჩემში, თვალის გახელა არ მინდოდა. საოცარ სილამაზესთან განშორება მიჭირდა, მაგრამ ეს სიტყვები მოსვენებას არ მამლევდნენ, მეორდებოდნენ, თითქოს ექოს გადაჰქონდა ტვინის სხვადასხვა ნაწილში. თვალი რომ გავახილე, ფანჯარაში ქერათმიანი მამაკაცი დავინახე, სწორედ ის მეკითხებოდა, ახალდაბელი თუ ვიყავი. ავტომატს ვეპოტინებოდი, ისიც გამახსენდა, ავტომატის ნაწილები გადაგდებული რომ მქონდა, ამასობაში მივხვდი, ეს პიროვნება ან მამუკას და ომარის გამოგზავნილი იყო, ან – გივის, რადგანაც ისინი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ, კიმეთქი, ვუთხარი. ის ფანჯარას მოშორდა და რამდენიმე წუთში ჩემს ოთახში შემოაბიჯა, რამდენიმე წამში გივი შემოჰყვა და მას კიდევ ერთი უცხო პიროვნება მოჰყვა უკან. ეს პიროვნებები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ, რომელთაც იარაღიც არ ჰქონდათ, თავი რომ დაეცვათ მტრისგან და ტყეში იმალებოდნენ. მე ჩემი ავტომატი მას გავუწოდე, ვინც პირველმა მნახა, გადამალული ნაწილები სად იყო, ვასწავლე, ტყვიები ზურგჩანთაშია-მეთქი, ისიც ვასწავლე, სად იყო. ერთი წავიდა, დახოცილი მტრის სისხლში გასვრილი სიგარეტის კოლოფები მოიტანა, მე მათაც იგივე ვუთხარი, რაც ომარის, გივის ვთხოვე – დამტოვეთ და ხელყუმბარა დამიტოვეთ-მეთქი. რამაზის ცრემლები შევნიშნე, აქ როგორ დაგტოვებთო. გივიმ და რამაზიმ წამოიშვიეს, მხარზე შესმა უნდოდათ ჩემი, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, რამდენადაც შემეძლო, ვიყვირე, დამაწვინეთ, ვკვდები-მეთქი, სიკვდილს ვინ ჩიოდა, ვიტანჯებოდი, მოთმენა არ შეიძლებოდა. დამაწვინეს ისევ მიწაზე, კიდევ სცადეს, ისევ უარესი, კიდევ ვთხოვე, წასულიყვნენ, ჩემი გულისთვის ყველანი არ დაილუპოთ-მეთქი, არ მეშვებოდნენ. მაშინ ხელები გავუწოდე, მიწაზე გართხმული თრევით წამაჩოჩეს ტყისკენ. ახლა ჩექმები საშინელ ტკივილს მაყენებდა, გახდით ვერ გამხადეს მარჯვენა

ფეხზე. ფეხი იმ დონეზე იყო გასივებული, ჩექმაში თითსაც ვერ ჩადებდით, დანით გაჭრეს და სისხლში გაჟღენთილი ჩექმა იქვე მიაგდეს. გზა გაგრძელდა, ფეხებში ქვიშა და ეკლები მერჭობოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ჩემი წამოყენება არ შეიძლებოდა. სისხლი არ იყო დარჩენილი, ვერტიკალურ მდგომარეობაში თავს რომ მიწოდებოდა. ტყეში რომ აღმოვჩნდით, დაისვენეს ბიჭებმა და უსაფრთხო ადგილის პოვნაზე ფიქრობდნენ, სადღაც წამათრიეს და ბუჩქებში დამალეს. მეტის თრევა არც მათ შეეძლოთ. ერთი წავიდა, იქნებ რამე ვიშოვო, დაჭრილი რომ დავაწვინოთ, თან საჭმელს მოვიტან რამესო. უკვე ღამდებოდა, გადარჩენის შანსი იზრდებოდა, რადგან ღამე მტერი ვერ გვნახავდა. მე პერიოდულად გონებას ვკარგავდი, გივი ენით ტუჩებს მისველებდა. წყალი არსად არ იყო, გულიც ამერია, წითელი სითხე ამომდიოდა, სისხლს მალეზინებდა, გვეგონა. გივი თურმე ცოტა ხნით გადიოდა გვერდზე, იტირებდა და ისევ ბრუნდებოდა ჩემთან, არ უნდოდა, დაენახებია ჩემთვის, რომ იმედი არ ჰქონდა ჩემი გადარჩენის. რომ არ მოვკვდი, შემდეგ გახსენებით, მარტო საზამთრო რომ გვექონდა ნაჭაში, წითელი სითხეც საზამთროს წვენი იყო. იმ პიროვნებამ ჩემთვის საჭმელი და „ადიალა“ მოიტანა, გივი თავისი ხელით ცდილობდა, ექმია, მაგრამ მე არ შემეძლო, დამეღეჭა, თვითონ დაღეჭა, მაგრამ ვერც ის გადავყლაპე, ერთი სიტყვით, გული არ კვდებოდა, დანარჩენი ყველაფერი კომაში იყო.

როგორ გათენდა, არ მახსოვს, ამ დეტალებს გივის ვკითხავ, ის ახლა სხვა ქალაქშია. მეორე დღეს ადგილობრივი ექიმი ცოლ-ქმარი მომიყვანეს. მათ მარგანცოვკიან წყალში დამბანეს და რაღაც გამაყურებელი ნემსი გამიკეთეს, დედიშობილა ვიყავი, რადგან შარვალი და ზედა ვერ გამხადეს, ისე ვიყავი გასივებული და შემომაჭრეს ყველაფერი ტანზე. როცა გრძნობაზე კარგად მოვდიოდი, ტკივილებიც პიკს აღწევდა. ვიღაცამ გივის წერილი მოუტანა, ომარის და მამუკას წერილს ჰგავსო, – თქვა გივიმ. ისინი სახელებს არ წერდნენ. გივიმაც დაუწერა რაღაც, მას მე როგორც მკვდარი, ისე მოვუხსენიებოდა იმ წერილში, რადგან არანაირი იმედი არ ჰქონია ჩემი გადარჩენის, მეტიც, საფლავის გათხრაც დაუწყია, ყოველ წამს ელოდა თურმე ჩემს სიკვდილს. ერთი სიტყვით, მამუკა და ომარი მოიყვანეს ჩვენთან და ახლა, რადგან არ გამიჩერდა გული, დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ წამომიყვანდნენ ზუგდიდში. მოჭრეს ორი გრძელი სარი, „ადიალა“ დაამაგრეს მასზე, დამაწვინეს და გადაწვევით, საღამოს ზღვით ნავის საშუალებით მაქსიმალურად წაგვეწია წინ.

ერთმანეთის ნახვამ ძალა შემატა ძმებს, სამივეს ვგულისხმობ ძმებში, რადგან ორი ალალი ძმები იყვნენ, მესამე კი – მათთან გაზრდილი ბიძაშვილი. ვიღაცამ ძველი შარვალი მომიტანა, სადილე არ ჰქონდა, მაგთულით შემიკრეს, შარვლის გარდა, არაფერი არ მეცვა. ნავი დაზიანებული იყო, კერძოდ, წვრილი ნახვრეტი ჰქონდა. ქილა მოგვიტანეს, წყალი რომ გადაესხათ ბიჭებს ნავიდან, ჩამაწვინეს ნავის ფსკერზე და ნავის ცალი ჯოხით შევცურეთ ზღვაში. დაბნელდა. გონზე რომ მოვედი, წყალში ვიწექი მთლიანად, პირში მლაშე წყალი ჩამდიოდა, რაიმეს თქმის თავი არ მქონდა, წყალს პირიდან უკან ამოსუნთქვით ვაბრუნებდი. ხრიალის ხმამ ბიჭები გამოაღვიძა, თურმე ჩასძინებოდათ. აბა, რა იქნებოდა, ამდენი დღის ნატანჯი იყვნენ. ნავის ჩაძირვას წამები აშორებდა, ბიჭები თან წყალს ასხამდნენ, თან ტანსაცმელს იხდიდნენ გადასახტომად. ნავი გადარჩა და ბიჭებმა მთელი მონდომებით განაგრძეს წინსვლა.

ირიჟრაჟა. ირგვლივ არაფერი ჩანდა, მდინარის დინებას ნავი ღრმად გაუტაცია ზღვაში, რაღაც ბუნდოვნად შენიშნეს ბიჭებმა და მისი მიმართულებით დაიწყეს ბრძოლა გადარჩენისთვის. მართლაც, გამოჩნდა ნაპირი. კარგი გათენებული იყო, სანაპიროს რომ მივადექით, კიდევ კარგი, არავის დავუნახივართ, თორემ ზღვაში ჩაგვხოცავდნენ. მდინარიდან ნავი ამოათრიეს, მთლად სველი ვიყავი, მოხრა არ შემეძლო. ბიჭებს უჭირდათ ასეთ მდგომარეობაში ჩემი გადაადგილება, ნავიდან ამოყვანისას ისეთი ტკივილები ვიგრძენი, სიკვდილი ვინატრე. ცეცხლი დაანთეს, ოდნავ შემაშვრეს. ომარიმ თქვა, შორეული ნათესავი ცხოვრობს სოფელში, იქნებ რამეში დაგვეხმაროსო. წამიყვანეს და იმ ნათესავის ეზოში, ხის ძირში დამაწვინეს. დათა თუთაშხია გამახსენდა: მწვანე მინდორში, ხის ძირში სიკვდილი, მართლაც, განსხვავებული ყოფილა, მაგრამ ღმერთს თურმე გეგმაში არ ჰქონია ჩემი სიკვდილი. მალე ორთვალაში გაბმული ცხენი მოიყვანეს, დამაწვინეს ხის ორთვალაზე და გავეშურეთ სოფლის შიგა გზებით ზუგდიდის მიმართულებით.

მ. კ. – როგორი ერთგულება და თავდადება გამოუჩენიათ შენს მეგობრებს! საარაკო, არა?

ნ. მ. – ისინი რომ არა, არ ვიცი! ხელყუმბარის ნამსხვრევები მთელი ზურგის არეში საშინელ ტკივილს მაყენებდნენ. გვერდზე დაწოლაც არ შემეძლო, თან გადებრუნებასაც ვერ ვახერხებდი. ცხენი კი სოფლის ქვა-ღორღიან გზაზე მიაქროლებდა მასზე მობმულ ორთვალას, რომელზეც საშინელ ტკივილს განვიცდიდი, მაგრამ, სამაგიეროდ, სამშვიდობოს ვუახლოვდებოდით, აუცილებელი იყო ერთი მონაკვეთის ცენ-

ტრალურ გზაზე გასვლა, გავედით და დაინახეს, მტრის მძიმე ტექნიკა სახლთან იდგა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო. მზე აცხუნებდა. გზის ნაპირზე დააყენეს ორთვალა. ბიჭები გზიდან გადავიდნენ და “სეტკის” ძირში დასხდნენ, სეტკის მეორე მხარეს სიმინდის ყანა იყო, მე თავის წამოწევა მოვახერხე და ზმპ დავინახე, საკმაოდ მოშორებით იყო, მაგრამ ცხენი ორთვალათი ვერსად გაიქცეოდა. მაშინ მივხვდი, რომ სიცოცხლის შანსი მქონდა, თან ახლოს ვიყავით ზუგდიტთან. იმედი იყო, ზუგდიდიც არ იქნებოდა გაჩუქებული მტერზე. სიმინდებში დამალვა იქნებოდა სიცოცხლის გარანტი, მაგრამ ბიჭები ისედაც დავტანჯე და არაფერი დამიძახია, ღმერთს მივენდე!

მ. კ. – დაგიფარა კიდეც.

ნ. მ. – და მანაც მომხედა, ზმპ მეორე მიმართულებით წავიდა, თორემ ჩემსკენ რომ წამოსულიყო, მნახავდნენ ორთვალაზე დაჭრილს და იქვე დამაცხრილავდნენ.

გზა გავაგრძელეთ. სახლის ავეჯით დატვირთული ტრაქტორი იდგა ენგურთან ახლოს, ცხენი ორთვალათი მდინარეს ვერ გადავიდოდა, ამიტომ ტრაქტორის პატრონს სთხოვეს და ამ ავეჯზე მალლა დამაწვინეს, ტრაქტორმა გადამიყვანა ენგურის მეორე მხარეს. იქ მაშინ ეგრეთ წოდებული ზვიადისტები იყვნენ გამაგრებული, ამბავი ჰკითხეს ბიჭებს და სასწრაფოდ ჩემი საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს მერსედესის მარკის ახალთახალი მანქანით. გადაწიეს წინა სავარძელი და შემამვრინეს, ჯდომა არ შემეძლო. ახლა უკვე ჯარისკაცის მამა გამახსენდა. მერსედესი კი თითქმის მიფრინავდა.

მ. კ. – ზუგდიდისკენ?

ნ. მ. – კი, ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმები და ექთნები თავზე დამტრიალებდნენ. მათ მე სიცოცხლე შემინარჩუნეს, აგრეთვე ზვიადისტების ქალთა ჯგუფი იყო, ორგანიზაცია არ მახსოვს მათი, მათ ყველა წამალი მოიტანეს, რაც საავადმყოფოს არ ჰქონდა, საკმაოდ ძვირადღირებული. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ექთანს – ლალი ფიფიას და ექიმს – რამინ შონიას, ლალიმ მთელი ცამეტი დღის მანძილზე საკუთარ ძმასავით მომიარა და თბილისში გადმოსვლისას ახალი ტანსაცმელი მაჩუქა. ღმერთი იყოს მისი მფარველი! მე სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები ამ ადამიანის. ბატონმა რამინმა კი მესამე დღეს, ტკივილები რომ არ მეხსნებოდა ძლიერი გამაყურებლებით, ყველა ჭრილობა დამითვალაიერა ხელახლა, ბარდაყში გამჭოლ ჭრილობაზე რომ დააჭირა ხელი, ჩირქი სახეში შეეფრქვა, მასაც და ექთანსაც, არადა, ვიზუალურად თითქოს შეხორცებული იყო, მის ადგილზე კი დიდი ჩირქოვანი გამჭოლი ნახვრეტი დარჩა. ექ-

თანმა ცრემლი ვერ შეიკავა, ექიმი უცებ შეტრიალდა, თან ექთანს უთხრა: საოპერაციოდ გაამზადეთ და შემომიყვანეთო.

მ. კ. – ოპერაციაც არ ავცდა?

ნ. მ. – ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, ტკივილებმა მიკლო, მაგრამ გამაყუჩებლების გარეშე მაინც მოუთმენელი ტკივილები მქონდა. ადრე გამაყუჩებლებიც არ მშველოდა სრულყოფილად, ექიმს მადლობა გადავუხადე, ღმერთი გფარავდეს-მეთქი, ვუთხარი, მეტის გაკეთება არ შემემლო, რადგან აფხაზეთიდან, როგორც დავიბადე დედისშობილა, ისე გადმომიყვანეს საკაცით.

ერთ დილით მამუკას და, დედა, და მამიდები შემოვიდნენ. ეს ისე მოულოდნელი იყო, ცრემლი ვერ შევიკავე, ირმას (აწ გარდაცვლილი, ღმერთმა გაანათოს მისი სული), მამუკას დას ბოდიში მოვუხადე, რომ ვერ შევძელით მამაკაცებმა მათი უსაფრთხოება და ტყვეობაში ყოფნა მოუწიათ მანდილოსნებს, მაგრამ თუ ადამიანი ხარ, ვერავის ვერ დაუკარგავ სიკეთეს. ტყვეობაში ირმას და მის უახლოეს დაქალებს ახალდაბელი აფხაზი მეზობლის ნათესავები მფარველობდნენ და ხელშეუხები გადმოიყვანეს, მამიდა კი ერთ ისეთ მძიმე შემთხვევას ყვება, არ მგონია, არსებობდეს ქართველი მამაკაცი, ვინც ამას მოისმენს და შეურაცხყოფილად არ იგრძნობს თავს, კერძოდ, ერთ დღეს შევარდნილან ბოვეიკები ტყვე ქალებთან, ცამეტი წლის გოგონა გაუთრევიათ, გარკვეული დროის შემდეგ იგი მოუყვანია ერთ ბოვეიკს და უთქვამს: "ჩტობ ვი ზნალი, ანა ჩესტანაი ბილაო". მე თითქოს გავაკეთე ყველაფერი, რაც ერთ რიგითს შეეძლო, მაგრამ იმ გოგონას თვალში როგორები ვიქნებით ყველა ქართველი მამაკაცი, როცა მას ახსოვს ის, რომ მტერმა იმ უბედურების დროს ისიც მიახალა თურმე, "გდე ტვოი გრუზინსკიე ბოვეიკიო". პირადად მე მაშინ სოფელ გუდავაში ვიბრძოდი და ჩვენი ჩახოცილი აფხაზები ზუსტად იმ სოფლებში მიუსვენებიათ. გადარჩენილს უთქვამს, მხედრიონი დაგვესხა თავსო. ეს ტყვეობაში მყოფებმა გვიამბეს შემდეგ, ჩვენ მხედრიონთან არანაირი შეხება არ გვქონდა, უბრალოდ მხედრიონის ნაწილი ეგონა მას, ვინც, სავარაუდოდ, მე ხელყუმბარა მესროლა და დაიმალა.

ერთხელ ერთი ახალდაბელი მოვიდა ჩემს სანახავად, მამიდას მეზობელი, ისიც ვიღაც ნათესავთან იყო შეკედლებული, მასთან ერთად ბევრი ლტოლვილი ყოფილა იმ სახლში თავშეფარებული. მაშინ ყველაფერი ჭირდა. ერთი ქილა მურაბა გამოუტანებია სახლის პატრონს უცნობი დაჭრილის საჩუქრად. ეს ჩემთვის მხოლოდ საჭმელი არ იყო. ეს იყო დიდი სულიერი თანადგომა გაჭირვებული ადამიანებისადმი, ყველაფერი რომ ნაწილდებოდა, რათა ხალხი გადარჩენილიყო. ღმერ-

თმა დალოცოს ის ოჯახები, ვინც დახმარების ხელი გაუწოდა გაჭირვებულ ხალხს, სულ სიკეთე მისცეთ ღმერთმა!

მ. კ. – რა გამოლევს კეთილ ადამიანებს?!

ნ. მ. – ამასობაში ხმები ვრცელდებოდა, აფხაზი ბოევკები ზუგდიდის ბაზარში ვნახეთო. ამის სარწმუნო წყარო მე არ მაქვს, თან არც მჯერა, რადგან თუ ზვიადისტები აფხაზებს შეურიგდნენ და ერთად აპირებდნენ ბრძოლას, მაშინ მე იგივე ზვიადისტებმა გადამარჩინეს მდინარე ენგურის მოყოლებული და ლოგინზე მიჯაჭვულს თავს მევლებოდნენ. მათ მე სიცოცხლე შემინარჩუნეს, დიდი მადლობა იმ კეთილ ქართველებს.

მ. კ. – რა გადაწყვეტილება მიიღეს?

ნ. მ. – ერთი სიტყვით, გადაწყვიტეს ჩემი თბილისში წამოყვანა და ქობალისთან წავიდნენ სათხოვნად, მანქანა რომ გამოეყოს ჩემს სადგურამდის მისაყვანად. ესეც მეორე ფაქტი, ზვიადისტები რომ არ ებრძოდნენ რიგით მეზრძოლებს. ქობალიას სწყენია, რატომ მიგყავთ, ნუთუ ჩვენთან ყურადღება გაკლიათო. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით. თუ რამე გჭირდებათ, მითხარითო. მამიდას უთქვამს: თბილისში ნათესავები გვყავს, უფრო მოგვხედავენო, კი ბატონო, და მანქანა გამოუყოლებია. საკაცით მეცამეტე დღეს წამოყვანეს რკინიგზის სადგურში. იქ ასფალტზე საკაცზე დამაწვინეს, ქალები ცრემლებს ვერ მალავდნენ. ერთმა ქალმა „სნიკერსი“ მაჩუქა, მეორემ – ფული. ქალის გული მაინც სხვაა, ქალი დედაა, ქალი ყველაფერია. იქ უფასო სასადილო ფუნქციონირებდა, ხორციანი საჭმელიც იყო. ხალხი გაურკვევლობაში იყო. მტერთან ბრძოლა შეწყდა და ახლა თითქოს ომი მოგვეგოს, ერთმანეთს დაეტაკნენ. ჩამოდგა მატარებელი, რომელმაც სამტრედიამდის მიგვიყვანა. იქ მდინარის იქეთ-აქეთ გზააბნეული, ორად გაყოფილი ქართველები იდგნენ და ბომბებს და ტყვიებს გამეტებით ესროდნენ ერთმანეთს. აბა, მაშინ აფხაზეთისთვის და ჯერ კიდევ იქ დარჩენილი ტყვეებისთვის ვინ მოიცლიდა?

მ. კ. – რომ ვერ იცლიდნენ, იმიტომ ვართ იქ, სადაც ვართ.

ნ. მ. – ნამდვილად. ახლა დანადმულ ხიდზე გვიწევდა გადასვლა, მე საკაცით მივყავდით ბიჭებს. ზვიადისტებმა გვითხრეს, ჩვენ გაგიშვებთ, მაგრამ ისინი დაგხოცავენო. მეორე მხარეზე რომ გადავედით, მოვარდნენ ჟურნალისტები და გადამიღეს ვიდეო, ინტერვიუ არ აუღიათ, ის კადრები მე არ მინახავს, ხოლო ხიდზე გადმოსვლის კადრები, როცა მე საკაცით გადმოვყავართ ბიჭებს, (თან ბევრი ადამიანი გადმოდისო და ჩვენთან ერთად), ბევრჯერ ანახეს ტელევიზიით. ახლა მეორე მხარეს გაუკვირდათ, ზვიადისტებმა როგორ არ დაგხოცესო. მე კი

ვფიქრობდი, თუ ასეთი სიძულვილი იყო ერთმანეთში ოდითგანვე, როგორ მოვადწიეთ აქამდე?! აქედან სამტრედიის საავადმყოფოში გადამიყვანეს სასწრაფო მანქანით, იქედან კი თბილისში გადმომიყვანეს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ჩემს პალატაში სოხუმში წინა ხაზზე მებრძოლი კახელი ვანო დამხვდა, ბარძაყი მოგლეჯილი ჰქონდა, სწორიადი მოხვედრია, მარტო ძვალი ჰქონდა დარჩენილი. მე ტკივილებმა შემაწუხა, ექთანს ვთხოვე, გამაყუჩებელი გამიკეთე-მეთქი, ვანომ თავი მოაბრუნა, ექთანს თვალები დაუბრიალა და უთხრა, წამალი არ გაუკეთო, თორემ ავდგები ცალი ფეხით და ორივეს გადაგყრით ფანჯრიდანო. ორმეტრიანი ვაჟკაცი იყო ვანო, ყოველთვის ყველაზე წინ მიიწევდა მძიმე შეტაკებებზე, წინა ხაზზე, ერთხელ ფეხშიშველა გადავიდა ხიდზე. გარდაცვლილა, გავიგე, მგონი, გულმა უღალატა. მართლაც, ოქროს გული ჰქონდა, ძალიან უყვარდა საქართველო. ექთანი გავიდა პალატიდან და აღარ დაბრუნებულა, მე ვანოს ვუთხარი, რა მიქენი, ტკივილები მკლავს-მეთქი, ვანომ მშვიდად მიპასუხა, ჩვენ თუ წამალს გავიკეთებთ, მივერვევით და ვინ იბრძოლებს სოხუმის დასაბრუნებლადო, შემდეგ თავისი კუნთმოგლეჯილი ბარძაყი მანახა, განა მე არ მტკივა, მაგრამ ვითმენო.

მ. კ. – როგორი ვაჟკაცი ყოფილა!

ნ. მ. – არაჩვეულებრივი! ერთი თვე გავიდა დაჭრიდან, ორი ყავარჯნით საპირფარეშოში მოვახერხე გასვლა, ძალიან მიჭირდა ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა. მაგრამ გავუძელი. ყველა გაჭირვება გადალახულია. დიდი ბრძოლის შემდეგ დავიწყე სამსახური დამსახურებულად, შევექმენი ოჯახი, მყავს თერთმეტი თვის ვაჟკაცი – დავითი (დათა), ვიყიდე მანქანა და ვცხოვრობ იმის იმედით, რომ დავიბრუნებთ სამაჩაბლოს და აფხაზეთს. თუ ომი იქნება საჭირო, მეორე 37 ჭრილობასაც ავიტან საქართველოს ერთიანობისთვის და ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის.

მ. კ. – უფალმა უმრავლოს საქართველოს შენისთანა ვაჟკაცები! დიდი მადლობა!

ნუგზარ მეშველიანი [55 წლის]

(სოხუმი -თბილისი)

მარინე კაკაჩია

მეგრული „ენციკლოპედია“

ქ. მ. – სახელი, გვარი, დაბადების წელი და ადგილი.

მ. გ. – მანანა გულუა, 1951 წლის 9 მაისი.

ქ. მ. – დაბადებული ხართ სოხუმში.

მ. გ. — არა, სოხუმში – არა, გაგიკვირდებათ და კიროვოკანში, რომელიც ახლა სპიტაკია. მამა სამხედრო მყავდა, ამიტომ მე ვამბობ, ჩემი ბიოგრაფია კი არ არის-მეთქი, ჩემი გეოგრაფიაა. მე დავიბადე სამხედროს ოჯახში, დავითვალე, 32-ჯერ გადავბარგდით ყველაფრიანად, ოჯახიანად და მერე მეც სტუდენტი.

ქ. მ. – აი, ის რომ თქვენ განათლება რუსულად გაქვთ მიღებული, მაღლიან საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით.

მ. გ. – ჰო, არა მაქვს კუთხური, მეგრული აქცენტი, სირიაში რომ ვმუშაობდი, მეუბნებოდნენ, რომ თურქი ხარო, გაქო თურქული ისა... არა, მე არა ვარ თურქი-მეთქი.

ქ. მ. – ახლა, ტრადიციული, დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელს რომ გითხრეს, რომ არა უშავს, ხდება ხოლმე.

მ. გ. – დავიბადე სომხეთში, ვარ...

ქ. მ. – ხარ ქართველი!

მ. გ. – მეგრელი! **ნასტაიაში** მეგრელი! ეხლა ჩემმა ბიჭებმა ცოტა აურიეს, ერთმა მოიყვანა რაჭველი, მეორემ – რუსი, ისიც უზბეკეთიდან. მოკლედ, ახლა უკვე აჯამსანდალია ოჯახში, თორემ ჩვენ ვართ **სუფთაკროვნი** მეგრელები **ოტი დო**.

ქ. მ. – თქვენ ძალიან კარგად ჩამოაყალიბეთ, რა მოგწონდათ მეგრული, და რა – არა! „წიკებიც“ კი დაარქვით მაშინ ამას. თქვენ ექიმი ხართ პროფესიით, მაგრამ პირველ რიგში მომიყვით ყავის მოდულების თქვენი მეთოდი.

მ. გ. – ნუ, ყავა ეხლა... ყველას აქვს თავისი ბზიკი. ეს არის ჩემი ბზიკი. მარტო მე ვსვამ ამას ოჯახში, პატარა ქვაბი მაქ, იმაში ქვიშას ვყრი, ამას ვაცხელებ და სანამ ეს ცხელდება გაზქურაზე, მე ვაკეთებ „**მელნიცას**“...

ქ. მ. – ჰაა, იმ წუთას ფქვავთ.

მ. გ. – ვფქვავ და მერე ვიდულებ და ვკაიფობ როგორც ნარკომანი, ნარკუმა. ყველამ იცის, იმ მომენტში მე ხელი არ უნდა შემიშალოს. ეს არის ჩემი თხუთმეტი წუთი!

ქ. მ. – ნუ, ეს მთელი რიტუალით სრულდება.

მ. გ. – მაგრამ იმ ყავას როგორ ვაკეთებ, ხო ვყიდულობ, სახლში მომაქ, ვხალავ მშრალ ტაფაზე, სანამ თავის ზეთს გამოყოფს, აი, მაშინ ვიდებ თეთრ ქაღალდზე, იქ უნდა გაშრეს და მერე იმას...

ქ. მ. – აი, ვიდაცებს რომ უთხარით, თქვენს ჩუანში მოდულებულ ყავას მე არ ვსვამო, ისიც გაიმეორეთ რა.

მ. გ. – მე ექიმი ვარ და არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდია, მამაჩემივით ვარ. კაციშვილი არ არსებობს დედამიწის ზურგზე, რომ თქვას, მანანა გულუამ ჩემგან ფული აიღო. გამორიცხულია! იმიტომ, რომ რა ვიცი, დიდი ამბავი, თუ ჩავხედე თქვენს ბავშვს ყურში, ან პირში და მივეცი დანიშნულება. მაგრამ პატივისცემას, კი ბატონო. ყავას მოგიდულებთ ერთ წუთშიო. არა-მეთქი. თქვენს ჩუანში მოხარშული „უჩუნაფუ ღუმცალო“ ეს თქვენ ჭამეთ და თქვენ დალიეთ. ასეთი ყავა არ მინდა. არ შეწუხდეთ! ვსიო! უცებ! როგორ, კაცო?! ის უნდა... არ უნდა იფიქრო არც ავადმყოფზე და არც არავისზე დედამიწის ზურგზე, მაშინ არის კაი!

ქ. მ. – პირდაპირ გეტყვით, თქვენ ჩემთვის აღმოჩენა ხართ. აქცენტით რომ საუბრობთ, ისიც. ჩვენთვის, აფხაზეთის ქართველობისთვის, უმრავლესობისთვის იყო ეს დამახასიათებელი. აქცენტით საუბარი, სხვათა შორის, თითონ ცხოვრების წესმა განაპირობა, ამიტომ თავისუფლად ისაუბრეთ.

მ. გ. – სხვანაირად მე მაინც არ შემიძლია. მოსკოვში ხომ იცით, „აკაი-უტ“, თვე-ნახევარში ზუსტად ასე ვლაპარაკობდი. ბუნებრივად გამოვიდა, თითქოს იქ დავიბადე და გავიზარდე. მეორე და მეხუთე პაკალენიაში მოსკოველი. აი ასე ვსაუბრობდი. სანამ სახეზე არ შემომხედავდნენ, უკვირდნენ მერე. იშო ზნაეტე, პოჩემუ? აბსოლუტნი სლუხი მაქ! მუსიკალურ სკოლაში და ყველაფერი. უ კავო აბსოლუტნი სლუხ, ესეც არის მაჩვენებელი. გერმანიაში გერმანულად ვლაპარაკობდი, ვითომ იქ დავიბადე. მამაჩემი სამხედრო ჰოსპიტალის უფროსი იყო და...

ქ. მ. – საექიმო ბიოგრაფია, რამდენწლიანი გამოცდილება გაქვთ?

მ. გ. – 53 წლიანი!

ქ. მ. – ნახევარ საუკუნოვანი გამოცდილება! კიროვოკანში რომ დაიბადეთ, იქ რამდენ წელს იყავით?

მ. გ. – სამი წელი, მერე მამაჩემი ლენინოკანში გადაიყვანეს, იქ ორი წელი, პირველ კლასში შევედი ქუთაისში და მესამე კლასიდან გერმანიაში. იქ დავამთავრე სკოლა.

ქ. მ. – სოხუმში რამდენი წელი იცხოვრეთ?

მ. გ. – აი უცებ. გერმანიის მერე მამაჩემი გადაიყვანეს, აირჩია სოხუმი. არ ჰქონდა მისამართი, კაკ გაგარიტსია, მოი ადრეს სოვეტსკი სოუზი იყო იმ დროს. მამაჩემს მისცეს უფლება, ამოერჩია ქალაქი საქართველოში. აირჩია სოხუმი. ჰოდა, 15 წლიდან უკვე სოხუმელი ვარ.

ქ. მ. – თქვენი მენტალობა როგორია? თქვენ არ მეტყვით ახლა, რომ კიროვაკნელი ხართ, თქვენ სოხუმელი ხართ.

მ. გ. – მე ბიოგრაფია არა მაქვს, მე გეოგრაფია მაქვს. მე არც სკოლის მეგობარი შემრჩა. იმიტომ, რომ ამდენი სკოლა გამოვიცვალე. გერმანიაში როგორ იყო, იცით? მასწავლებლები, ფული რომ არ დახარჯოს საბჭოთა კავშირმა, ხომ იცით, როგორი სკუპი იყო, ვისაც ჰყავდა მეუღლე, ცოტა მაინც ესმოდა რუსული, ის იყო რუსულის მასწავლებელი, გეოგრაფი გვყავდა, არ დაიჯერებთ, რასაც გეტყვით. ვერხობლიუდოვი იყო გვარად. ისე გიყურებდა თვალებში, რუკა არ ჰქონდა. შავ დაფაზე წერტილს დასვამდა, შტო ზა გოროდო – გვკითხავდა. აბა, ჩორნაგლაზაია, – ჩემზე იტყოდა. თბილისი, – ვიტყოდი. ნიჩეგო ნე ზნაემ, კრომე ტბილისი, ეტა ტოტ გოროდ, ვკოტორომ ია ჟივუო. სადღაც უფაში. ასეთი შტერი იყო. ასეთი რაღაცეებიც იყო!

ქ. მ. – ამ გეოგრაფიიდან რომ შეეხედოთ, მაინტერესებს თქვენი მენტალობა როგორც სოხუმელის.

მ. გ. – თხუთმეტი წლის ასაკში სოხუმში, იქ ვიყავი ერთი წელი, მოვასწარი. პირველ წელს ვერ ჩავირიცხე იმიტომ, რომ მამაჩემს ფული მოსთხოვეს, მამაჩემთან ფული! ფულის მეტი რა ჰქონდა გერმანიაში! რამდენი წელი იყო გოსპიტალის უფროსი. გელბახიანმა უთხრა მამაჩემს, მივიდა გელბახიანთან, ეს არის ცნობილი ფაქტი, დაჟე...

ქ. მ. – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორთან?

მ. გ. – მივიდა გელბახიანთან და გამიფუჭა საქმე. უთხრა, რომ სამხედროა, ისევ უნდა დაბრუნდეს გერმანიაში და შვილი აბარებს თქვენთან ოქროსმედალოსანი. კი, ბატონო, ათი ათასი ღირს, მაგრამ შვიდს გამოგართმევთ. მამაჩემმა გალსტუკი მოუჭირა, გაგიჟდა, ძლივს გააშორეს, ახრჩობდა. წარმოუდგენელი იყო მისთვის! ასე დავრჩი. ის წელი ვიყავი სოხუმში, მეორე წელს მოსკოვში გადაწყვიტა მამაჩემმა. სადაც არ უნდა ვიყო, მოსკოვი ჯობიაო.

ქ. მ. – ახლა თქვენი ჩარიცხვა და სტუდენტობა გავიხსენოთ.

მ. გ. – ეს იყო წერითი და ზეპირი. წერა რა, ავიღე ბილეთი და დავწერე და მზად ვარ წასასვლელად. ახლაც ვიცი, ვინ არის. ეს არის ლარისა მედვედევა.

ქ. მ. – ეს მოსკოვის ამბებს მიყვებით?

მ. გ. – დიახ, მოსკოვის, ჩემს გვერდით ზის, რა გჭირს-მეთქი, არ ვიციო. მომეცი, დაგიწერ-მეთქი, დავუწერე, დავუწერე და ასე ამოვხიე და მივეცი. მოვიდა შემამოწმებელი, მონიტორინგი, არის ასეთი. იცით, რა შეეძლო? ეს არის წართმევა მედალის, მთელი ცხოვრება აბარებ ყველა იმას, ეს ასე იყო საბჭოთა კავშირში. ეს რა გააკეთეო? ალბათ, ნახა ჩემი გულუბრყვილო... რა ვიცი.... ტიროდა და... თქვენ ხელმოწერილ ქაღალდზე დაუწერეთო შპარგალკა. აიღო და დაკუჭა. ჩაიდო ჯიბეში და ჩქარა გადიო. დაჟე არ შემეკითხეს, თითქმის პირველმა დავწერე, ვი-

ცოდი და დავწერე. და ის ქალბატონი მერე იყო ჩვენი ლექტორი. სო-
ხუმიდან რა პატივი ვცე, რა პატივი ვცე და აჯიკის მეტი არაფერი არ
მინდაო. ამისთანა ტკბილ ქალბატონს ყველაზე მწარე აჯიკა მომქონდა.
აი, ეს იყო, ნამდვილად გამიმართლა. შეიძლებოდა, მე არასწორად მო-
ვიქეცი, როგორ?! და გარეთ რომ გამოვედი, მამაჩემს თავისი ფრონტის
მეგობარი ედგა გვერდით და ზევიდან ვანახე ასე. მე ვთქვი, მიხვდება,
რომ ვიქტორიაა და წაიქცა მამაჩემი, იფიქრა, რომ ორიანია. არ უნახავს,
რომ ჩემი პირი იყო შუბლამდე, უკან მქონდა თვალები სიხარულისგან.
წარმოიდგინე!

ქ. მ. – მამათქვენის სამხედრო წოდება მითხარით.

მ. გ. – პოლკოვნიკი იყო, აკადემია დაამთავრა, ლენინგრადის, იცით, რა
ფრონტზეა... მამაჩემზე რომ არ მოვეყვე, არ შეიძლება.

ქ. მ. – კი, კი აუცილებლად.

მ. გ. – ერთი წელი გადაიწია სპეციალურად, რომ ომში წასულიყო. წარ-
მოიდგინე! მამაჩემი არის დაკარგული სოფლიდან, ყულიშკარიდან,
იმის იქით მერე უკვე აფხაზეთია, სამეგრელო თავდება.

ქ. მ. – ზუგდიდის რაიონი?

მ. გ. – კი, ზუგდიდის რაიონი, ძან მაგარი სოფელია. საცოდავი, სწავლა
უნდოდა. მაგრამ, ბევრი შვილები ჰყავდა ბებიაჩემს, ბებია მიხვდა, რომ
ამისგან ადამიანი გამოვიდოდა. მართლაც, ცალკე იჯდა და სწავლობ-
და. წავიდა თბილისში და ჩააბარა, დოხტური მინდაო შვილი. ბებიაჩ-
ემს შვიდი შვილი ჰყავდა. მანამდე ერთი მოუკვდა, იმით, როგორ გით-
ხრათ ეს, ყივანახველა, კოკლუში და მამაჩემმა თქვა: ექიმი რომ ვყოფი-
ლიყავი, ხომ არ მოკვდებოდაო. და მეორე და როგორ მოუკვდა, იცით?
ძალიან ლამაზი იყო, ესმა. ვობზე ულამაზესი! შეყვარებულმა გაათამა-
შა, თოფი ესროლა და მუცელში მოხვდა, პერიტონიტით იწვალა სამი
დღე და გარდაიცვალა. წარმოიდგინე! და ბებიაჩემმა არ დაწყევლა ის
ოჯახი! სამივე შვილი იქიდან წავიდნენ ფრონტზე და **პროპალი ბეზ
ვესტი**. წარმოიდგინე! ბებიაჩემმა გაიგო, რომ მამაჩემი მიჰყავთ ფრონ-
ტზე, ფეხით ჩამოვიდა, თერთმეტი კილომეტრი იყო სადგურამდე, ფე-
ხით ჩამოვიდა, მაგრამ დააგვიანდა და ღამე ბრუნდებოდა. ამას იმიტ-
ომ გიყვებით, რომ მე გეტყვით მერე ჩემ ისტორიას. იმას დაემთხვა ჩე-
მი ისტორია. ბებიაჩემი სახლში ხომ ბრუნდებოდა და წაიქცა. წაიქცა
და რაღაცა **პროვოლკას** დაარტყა თავი, აიღო. მე გეუბნებით აი ზღაპა-
რი, ის **პროვოლკა** კისერზე გააკეთა, სანამ შვილი არ დაბრუნდებო, ამ-
ას არ მოვიხსნიო, **სტრანგულაციონაია პალასა** ჰქვია ამას. ყველას ეგო-
ნა, თავს იკლავდა. არა! მამაჩემმა მოუსწრო. ერთი ნაკაწრი რომ არ
ჰქონდა, ისე დაბრუნდა მამაჩემი ფრონტიდან.

ქ. მ. – სახელი მითხარით მამათქვენის.

მ. გ. – კოსტა, კონსტანტინე გულუა. ჩემი გათხოვებაც სასწაულია! ხომ იცით ახლა მეგრელების ამბავი. იქ ნასწავლი, აქ ნასწავლი. სულ რომ ვიყო, თვალები შაში ბეში და ფეხი, რა ვიცი, რვაფეხა, ყველაზე კარგი სარძლო ვიყავი იმიტომ, რომ განათლებული ხარ. ექიმი ხარ! აეროპორტში მამაჩემი უფლებას არ მამღევდა ზამთარში, სად დაფრინდება, არ ვიციო. ზაფხულში მოვდივარ. დედაჩემი დგას, ერთი სამი-ოთხი ქალი ელოდება, უნდა ნახონ სარძლო და დედაჩემი რომ დამინახავდა ტრაპზე, უიმე! არა, არა ჩამოვიდაო, ეგერ ქმარი მანიშნებსო, სხვა რეისს მოყვებაო. მე კიდევ მამა, მამა, თან მამა, ვაიმე რა სჭირს დედაჩემს?! იმიტომ, რომ ამას რომ გეტყვით, მიხვდებით რატომ. დედაჩემი მეუბნება: აი, გათხოვო, ადამიანს რომ აქვს ფერი თმების, იმ ფერად რომ შეიღებო არ იქნებაო? მე რომ თმები მქონდა?! მაშინ პიორუშკები და ყველაფერი მქონდა, რასაც ვნახავდი, შვილებს გეფიცებით. ეუბნებოდა, რომ არ არისო! რცხვენოდა, რას იტყვიანო, ჩემს მტერს, თვალები შეღებილი, ყველაფერი. საცოდავ მამაჩემს ვატყუებდი. რა არის მანანაჩქა, ეს, ქუჩუჩას მემახდა, ისეთი თმები მქონდა, რა იქნება, ეს რომ მოიშოროო? ვეტყოდი, მამა ეს ექვსთვიანი, არ იყო ექვსთვიანი, პაპლუიკა ერქვა. ხომ იცით, რომ თფუ – თფუ – დააფურთხებდი და იმით ვიღებავდი წამწამებს და ჩემს ქმარსაც ვუთხარი, ვიღებავ სიკვდილამდე, არ შევიღებავ, უკვე მიეცი სასაფლაოს ადგილი. იშოვე! გამორიცხულია!

ქ. მ. – ე. ი. აეროპორტში რამდენიმე ქალმა ვერ გნახათ.

მ. გ. – მე გამოვბრუნდი, მამაჩემი წამიყვანდა სადმე, რომ ვნახავდი, მივრბოდი, ძროხა ხომ არა ვარ-თქო. მე ჩემი ფეხით, ჩემი ჭკუით, ჩემი თვალებით გავყევი ჩემს ქმარს, ზუგდიდელს, მარა სოხუმში ცხოვრობდა და მუშაობდა.

ქ. მ. – ამდენ ქვეყანაში გიცხოვრიათ, ამდენ ქალაქში გიმუშავიათ, ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის თქვენი სამედიცინო პრაქტიკა, ექიმობა. თქვენი მენტალობა მაინც კი ამაყად განაცხადეთ, მე მეგრელი ვარო, მაგრამ თქვენი მენტალობა, თქვენი თვითაღქმა როგორია? მე გეტყვით, მე სვანეთს ვერ ვაკუთვნებ ჩემს თავს, ჩემს თავს ვაკუთვნებ აფხაზეთს, იმიტომ, რომ იქ დავიბადე, იქ გავიზარდე, იქაა ჩემთვის ძვირფასი საფლავები: მამაჩემის, ჩემი ძმის, ჩემი წინაპრების. აი, თქვენი მენტალობა როგორია სოხუმთან მიმართებით.

მ. გ. – ძალიან მიჭირს, **გავარიუ კაკ ნა დუხუ**. ბებიასთან და ბაბუასთან ვიყავი ყულიშკარში, სუფთად სამეგრელო, ხო სწორია? მე ვისწავლე მეგრული იმიტომ, რომ მეგრულად საუბრობდნენ დედ-მამა, რუსული ვისწავლე სკოლაში, ქართული მასწავლა დედაჩემმა. არასდროს არც ერთი წიგნი ქართულად არ წამიკითხია იმიტომ, რომ ვერ ვკითხულობ. მე ახლაც არ შემიძლია ქართულად, ვერ აღვიქვამ, ჩემი ბრაღი

ხომ არ არის! ვაზროვნებ რუსულად დღემდე. მეგრულია ჩემი რადნოი იაზიკ, სიტყვა არ არსებობს ქართულ ენაში, იმას ფესვები თუ არ აქ მეგრულში! სულ ტყუილად გაიცინე. მეგრულად... ჩემს შვილიშვილს უთხრა ვიღაცამ, ლექსიკონი იყიდებაო მეგრული, რად მინდაო, უთხრა, აგერ მყავსო ცოცხალი ლექსიკონი.

ქ. მ. – ანუ ყველაფერი იცით?

მ. გ. – მეგრული? არ არსებობს სიტყვა ჭურჭულიდან დაწყებული იმპუთი დამთავრებული. აბა თუ იცით, რა არის გითახინწალი, გითაბიჯალი. ყველაფერი ვიცი აბსოლუტურად. კი! ისეთი დედ-მამა მყავდა, ბებია და ბაბუა ხომ საერთოდ!

ქ. მ. – ქართული მაინც! დედაენა ქართული...

მ. გ. – მე ახლა ზუგდიდში რომ ჩამოვედი, მე ეხლა არასოდეს არ ვიტყვი, ზუგდიდში რომ იციან: ვედრო, გარშოკ, ფანტან. აბა, ვედრო როგორაა ქართულად?

მ. შ. – სათლი.

მ. გ. – კი! თქვენ შემოგველეთ! გენაცვალეთ! დამასწარით! კამას არ ვიტყვი არასდროს, მეგრელებმა რომ იციან, კასტრულში ჩაასხი! რატომ კასტრულში? ისკლუჩაეტსია! ქართული ვისწავლე ზუგდიდში, ასე იყო ძველად. ახლა ჩვენ ყველა ხო ქართულად ველაპარაკებით ბავშვებს, დაჟე სამეგრელოში! ეს არის ცოტა კუდაბზიკობა!

ქ. მ. – მამაო, თქვენი სახელი და გვარი, თუ შეიძლება, აი, სათლი რომ შემოგვაშველეთ...

მ. შ. – მაქსიმე შაშიაშვილი, ბერი მაქსიმე შაშიაშვილი.

ქ. მ. – დაგვლოცეთ, მამაო! დიდი მადლობა!

მ. გ. – მიტროფანზე მოგიყვებით.

ქ. მ. – ვინ არის მიტროფანე?

მ. გ. – ეტო ტრუპ.

ქ. მ. – რომელი უნივერსიტეტი დაამთავრეთ?

მ. გ. – აკადემია იმენი პიროგოვა, პრიამო პედიატრიჩესკი ფაკულტეტი, პირველი კურსიდან ქირურგად ვაპირებდი ყოფნას, მაგრამ მამაჩემმა უფლება არ მომცა.

ქ. მ. – სკოლა რუსული თუ ქართული სექტორი?

მ. გ. – რუსული, გერმანიაში.

ქ. მ. – როგორ გერმანიაში?

მ. გ. – მამა სამხედრო იყო, გრუპა სოვეტსკიხ ვოისკ ვ გერმანიი, საოცარ ქალაქში გავატარე ეს დრო, ეს არის ვეიმარ, გიტლერის საყვარელი ქალაქი!

ქ. მ. – ჰოო, მუზეუმის ქალაქი!

მ. გ. – შატალოზე დავდიოდით ბუხენვალდში, იქვე იყო. ისე შევეჩვიეთ ამას, რომ საშინელება დირექტორი იყო ელზა კოხ, **იზვერგ**, ადამიანებს ტყავს აძრობდნენ, განსაკუთრებით რუს მატროსებს, რომლებსაც კარგი **ტატუიროვკები** ჰქონდათ, ჟივიომ სდირელი კოჟუ, სუშილი აშრობდნენ და მისგან აკეთებდნენ **აბაჟურებს, შლიაპა და პერჩატკები** იქვეა ყველაფერი გამოფენილი, ქალი და საშინელება.

ქ. მ. – უმაღლესი განათლება სად მიიღეთ ?

მ. გ. – მოსკოვში, აკადემია **იმენი პიროგოვა, პედიატრიჩესკი ფაკულტეტი**, ამიტომ ვარ რუსულენოვანი, სახლში მეგრულად, გარეთ – რუსულად.

ქ. მ. – ის ეპიზოდი მომიყვებით, შვილიშვილს რომ მეგრულის ლექსიკონის ყიდვა მოუწდა.

მ. გ. – შვილიშვილს მეგრული ლექსიკონის ყიდვა მოუწდა, განაცხადა, რომ არა, ბიჭო, რად მინდა მეგრულის ლექსიკონი, 100 ლარი ღირსო, უფასო ცოცხალი ლექსიკონია, სახლში მყავსო! აგერ ჩემი მულიაო!

ქ. მ. – რუსული სკოლის მიუხედავად, ასეთი ფანტასტიური მეგრული სად ისწავლეთ, ვინ გასწავლათ?

მ. გ. – ოჯახში, ბებია, ბაბუა და გენები, **პროსტო** თვითონ ამოდის იქიდან, არ არსებობს მეგრული სიტყვა, დამასწრო იმ მამაომ. აი, ვედრო, აბა თქვით ვედრო **პო მენგრელსკი**, სცადეთ აბა? სადაა ის, მეგრელი ვარო, რომ ამბობს, თქვას ვედრო, ან – ჭურჭული, ან – იმპუ. სასწაულია მეგრული! ჭურჭულია ტოჩკაა, ტოჩკა, სასაცილო არაფერი არ არის. წერტილია ჭურჭული. იმპუ? აი, მეგრელი რომ იტყვის: „შენ იმპუს ქუდოსქიდ“ ...ხვიშტი...

ქ. მ. – ახლა ინტრიგნულ კითხვას დაგისვამ მაშინ.

მ. გ. – კი, ბატონო

ქ. მ. – თქვენი ეროვნება?

მ. გ. – მეგრელი, სხვას ელოდით რამეს? ნუ, რა ვქნა, კსაჟალენიუ ქართველი და მერე იქიდან მეგრელი.

ქ. მ. – „კსოჟალენიუ“ რატომ?

მ. გ. – არა, **პროსტო**, მე ხომ ვხუმრობ, ვენაცვალე საქართველოს და ქართველს, ყველგან ვამბობ, რომ ქართველი ვარ. იცით, როგორ დამიძახეს? მანონი გულუ-ა, ეგონათ ფრანგი, მე ვუთხარი გულუ-ა კი არა, გუ-ლუა. მე არა ვარ მანონი, მე ვარ მანანა. **მეჟდუ პროჩიმ**, ძაან ქრისტიანული სახელია. მე ვარ **მანნა ნებესნაია**. ნონას ვუყვებოდი, მე არ უნდა დავბადებულიყავი. ექვსი თვინახვერის დავიბადე, ერთი კილო და სამასი გრამი

ქ. მ. – ვართ, მეც ორ კილოგრამამდე დავბადებულვარ.

მ. გ. – მი ოჩენ ჟივუჩიე, მი დო სტა ლეტ ბუდემ ჟიტ, იმიტომ რომ ჩვენ იქიდან დავიწყეთ ვიჟივანიე. იმ დროს მე უნდა მოვმკვდარიყავი, კი-ლოტრისტა, იმ პერიოდში, მარა ბეზიაჩემმა იცით, რა გააკეთა? ვალინკები მოატანია და იქიდან მე გამიკეთა მუფტა რა, სითბო, და თხა მოიყვანა, ბალკონზე იყო მიბმული მესამე სართულზე, თხის რძით გავიზარდე. აბა, დედაჩემს რძე ვინ მისცა?!

ქ. მ. – ახლა სტუდენტობა გავიხსენოთ.

მ. გ. – ჰო, ვაზარებ გამოცდას, ეს არის სახელმწიფო გამოცდა, მივდიოდი წითელ დიპლომზე, ამიტომ ოთხიანი არ მინდოდა, თან ინფექციებში, ვსწავლობდი პრიკრასნო, მარა ერთი დღე გავაცდინე, იმასაც გეტყვით, რატომ. ერთ ოთახში რომ ვიყავით, კავკასიიდან იყო ის, ლენა ლატიშევა, ის წერდა ლექციებს, მაგრამ ისე წერდა, ნუ თვითონ ვერ კითხულობდა. ჰოდა ოკოპნაია ლიხორდკა, აი ოტ ჩევო პოგიბალი სალდატი, იჯდნენ ხო აკოპებში, როგორი ლიხარადკაო და მე ოკონნაია ლიხარადკა-მეთქი და იცით რა მითხრა: მილოჩკა, ონი ნა ვაინე ნი ნა ოკნე სიდელი ი მეჩტალი, ა სიდელი ვ აკოპახ. დამიწერეს ოთხიანი. აი ასეთი ამბები, კინალამ მოგკვდი სირცხვილით.

ქ. მ. – სასაცილოა მართლაც. ყველაზე მეტად რომელი პერიოდი გახსენდებათ – მოსწავლეობა გერმანიაში, თუ სტუდენტობა რუსეთში.

მ. გ. – რა თქმა უნდა, გერმანიაში. წარმოიდგინეთ, ბერლინში მეტროთი მიდიხარ პოცდამში, და იქ რომ დროს ატარებ, საოცრებაა! ფანტასტიურია, ფანტასტიური!

ქ. მ. – ყოველივე ამის შემდეგ იმ ბეზია და ბაბუას გვარები მითხარით, ასეთი ფანტასტიური მეგრული რომ გასწავლათ.

მ. გ. – მე და ჩემი ძმა მხოლოდ მეგრულად ვლაპარაკობთ.

ქ. მ. – ღმერთთან რომელ ენაზე ლაპარაკობთ?

მ. გ. – სამივე ენაზე. მე ყოველ დილას ვლოცულობ. ჩემი კუთხე მაქ. სანთელს ვანთებ, ეტო რიტუალ! იწყება მეგრულად, მერე – ქართულად, მერე – ძველ რუსულად. ძველი სლავურით. მამაო ჩვენო არ ვიცი ქართულად.

ქ. მ. – თვითონ მშობლები ქართულად გესაუბრებოდნენ?

მ. გ. – არა, მეგრულად, ოჯახში ასე იყო მიღებული. ამიტომ არ ვიცოდი ქართული. დედაჩემმა მასწავლა.

ქ. მ. – დედა სადაურია?

მ. გ. – დედა არის ზუგდიდელი. დედა ზუგდიდელია. ბიოლოგია, მარა არსად არ უმუშავია იმიტომ, რომ მოხვდა რუსეთში. რუსული იმდენი არ იცოდა იმ დროს, რა გაეკეთებინა და ჩვენ გაგვზარდა.

ქ. მ. – შვილიშვილებს ელაპარაკები მეგრულად?

მ. გ. – არა, მე და ზურა ხო ვლაპარაკობთ მეგრულად, ერთი შვილიშვილია ჩვენთან, კარგად იცის მეგრული ჩვენზე უკეთესად. ყველა სიტყვა იცის.

ქ. მ. – იმათ აქვთ სურვილი, რომ იცოდნენ მეგრული?

მ. გ. – იმ შვილიშვილებმა არა, დედაა მთავარი. ქართულად საუბრობენ და არა აქვთ სურვილი.

ქ. მ. – ჩემი შვილების შემთხვევაში პირიქით მოხდა, ისინი თვითონ მთხოვენ, რომ ველაპარაკო სვანურად. მე არ მისაუბრია მათთან სვანურად, როგორც კი მე-10 კლასებამდე მოვიდნენ, კატეგორიულად მომთხოვეს.

მ. გ. – ჩემი შვილიშვილი უსწორებს სხვას, მე მეკითხება, როგორაა ესა თუ ის სიტყვა და ამბობს: ბიჭო, არასწორია, **აგერ მეგრული ენციკლოპედია ამბობს, ასე სწორიაო.** მეგრულ ენციკლოპედიას მეძახის.

ქ. მ. – რა სასიამოვნო სტატუსია მედიცინის დოქტორის სტატუსთან ერთად.

მ. გ. – არ ვარ მედიცინის დოქტორი.

ქ. მ. – თქვენ ღომის გაკეთების თქვენეული რეცეპტიც გექნებათ?

მ. გ. – არა, ნამდვილი მეგრული ღომი!

ქ. მ. – ღომს მცენარე ღომისგან ამზადებთ თუ სიმინდის ღერდილისგან?

მ. გ. – მე არ ვყიდულობ იმ გარეცხილ ღერდილს, მე იმას ვეძახი ზარმაცების ღომს, მე ვყიდულობ, რომ უნდა გარეცხო, იმას. ღომის ღომი არასოდეს არ მიჭამია. სანამ სიმინდი შემოვიდოდა საქართველოში, ღომის ღომს ჭამდენ.

ქ. მ. – კუს ტბამდე ვიდრე ავალთ, იქ ხომ არის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ჯანაშიას სახელობის მუზეუმი რომ არის, ღია ცის ქვეშ, იქ ჰქონდათ ტური, სადაც ამ ღომის ღომით გაგვიმასპინძლდნენ. საინტერესო იყო თავისთავად.

მ. გ. – ტრადიციული მეგრული ღომი კარგად უნდა გაირეცხოს, არც ერთი შავი წერტილი არ უნდა ჰქონდეს, ეს არის სამარცხვინო, სჯობია, თავი მოიკლა, შავი წერტილი რომ გაერიოს.

ქ. მ. – სამეგრელოში წერტილიანი ღომი დიდი სირცხვილია!

მ. გ. – ღომს წყალის დამატება არ უყვარს, უნდა იცოდეს, რომელ ქვაბში რამდენი წყალი...

ქ. მ. – პროპორციები უნდა დაიცვა.

მ. გ. – მერე უგემურია, მე ასე ვაკეთებ, ვურევ, ვურევ, სანამ არ ადუღდება სულ ვურევ, რომ ადუღდება, ვახურავ, და მივდივარ, ვქსოვ ან სხვა რამეს, ნახევარ საათში ერთხელ თუ მოვურევ, ერთი საათი არც ვუყურებ.

ქ. მ. – ეს ყველაფერი ნელ ცეცხლზე, ხომ?

მ. გ. – ძალიან ნელ ცეცხლზე, ჯერ ადუღდეს, მერე ნელ ცეცხლზე, რა თქმა უნდა. მერე თითონ აიღებს ამას ყველაფერს, მერე ბოლოს ცოტა ფქვილის ვუკეთებ, ჩვენ არ გვიყვარს ფქვილის ღომი, ამიტომ როგორც ბებიჩემი აკეთებდა სოფელში, ისე ვაკეთებ. სქელი ღომია და პოლ-ნოსტიუ ღერდილისაა.

ქ. მ. – გამიგონია, ღომი სამასჯერ უნდა ჩაიზილოსო...

მ. გ. – მერე კარგად ვზილავ, სამასჯერ არ ვიცი, მაშინ ორი დღე მოუნდები ღომის გაკეთებას, მაგრამ კარგად უნდა ჩაზილო, მერე ძალიან ნელ ცეცხლზე 15 წუთი უნდა გააჩერო. უკვე კედელზე არის მიმხმარი, ე. ი. მზადაა.

ქ. მ. – ზეთს არ უმატებთ?

მ. გ. – ზეთი და ღომი? მომკალით და ესაა. არა, დაჟე ლობიოში ზეთს არ ვუკეთებთ ჩვენ. ნა ვკუს ი ცვეტ ტავარიშა ნეტ. ამაზე არ დაობენ. რძე, მაგალითად, მე მიყვარს შაქრიანი და ზურა მარილთანს სვამს დღემდე. ორმოცდაათი წელი იქნება, ერთად ვართ, ვერ გადავეჩვიე. წარმოუდგენელია ჩემთვის. რძე ჩემთვის არის დესერტი ს სახარამ.

ქ. მ. – რაკი ღომზე ვსაუბრობთ, ელარჯიც გავიხსენოთ.

მ. გ. – ძან მარტივია, თუ ელარჯია, ზოგიერთი ისე აკეთებს, ღომს ამოიღებს და მერე ელარჯს აკეთებს. ნამდვილი ელარჯი თუ გინდა, უნდა იაროთ ბაზარში კოვზით. მე სერიოზულად გეუბნებით, კრომე შუტოკ. ვასწავლე ჩემ გამყიდველს, ქვევით რო არი. კოვზით და ზაჟიგალკით. ასე დადიოდა დედაჩემი ბაზარში კოვზით და ასე დავდივარ მეც. ელარჯისთვის ყველი უნდა დადო კოვზზე და „ზაჟიგალკით“ ქვევიდან უნდა გაახურო, თუ ყველი რასპლავიტსია და იწელება, ე. ი. მოსული ყველია, სხვანაირად არ გამოვა! ეხლა იმას ვასწავლე, კიპიტილნიკი მოვუტანე და ვუთხარი, ჩააგდე, როცა გაიწელება სოხუმამდე, დამირეკე და ჩამოვალ და ამოვიტან ყველს. სხვანაირად – არა! გებჟალია და ელარჯს ასეთი ყველი სჭირდება. სულუგუნიტაც აკეთებენ, ესეც არაა, დავუშვათ, კატასტოფა, მარა ეს არ არის ნამდვილი ელარჯი.

ქ. მ. – ბარემ გებჟალიაც „გავაკეთოთ“.

მ. გ. – ძან მარტივია, კი, ბატონო, ასეთი ყველი უნდა მოვიტანოთ.

ქ. მ. – ამოსული ყველი.

მ. გ. – ამოსული, წყალი უნდა იყოს ისეთი, აი პატარა ბავშვს რომ ვბანდით და იდაყვით რომ ვსინჯავდით წყალს, ასე უნდა შეამოწმოთ, თუ იდაყვი ითმენს, ჩააჭრი ამ ყველს და ჩადებ ამას შიგნით, აუცილებლად მე ჩუანში (ქვაბში) ვაკეთებ, ჯოხი ხის, რა თქმა უნდა. ცოტა იქით-აქით, იქით-აქით, სხვადასხვა ნაჭრები უნდა შეაგროვო, არ უნდა ადუღდეს. ესაა გადამწიფებული და ის არაფერი არაა. რომ ნახავ, რომ გროვ-

დება, გათიშე, ეს ყველაფერი ასე-ასე **შუმოვკით**, რაღაცით დადე წინასწარ გამზადებულ, მე მაქ **სპეციალნა დასკა**, დესპე კი არა, **ნასტაიაში დერეგო**, იმას დავასველებ, იმაში ამას ჩავდებ, წყალი არ უნდა გადაასხა, იმას მერე ხელით, როგორც ხაჭაპური, ცოტა უნდა მოცომო. რაც უფრო მეტხანს მოცომავ, უფრო **გრუბი** იქნება, ამიტომ **ნიმნოჟოჩკა**, მერე სპეციალური **დასკა** მაქ **დღია ეტავა**, უნდა გააბრტყელო, მარა, აი ხო გააბრტყელებ, მანამდე უნდა გქონდეს შიგთავსი გამზადებული. ეს არის ყველაფერი მწვანე. მწვანე წიწაკა, ჩვენ წიწაკიანი გვიყვარს, ეს მიორა, ჩვენთვის ასეა გეზჟალია ყულიშკარის, პიტნა **მიასორუბკაში** გატარებულს გემო არა აქვს, ამიტომ **ფარფოროვიმ ნოჟიმ ნადო ოჩენ ტონკო ნარეზატ**, გემო რომ შერჩეს! ნამდვილი პიტნა, იმაში მწვანე წიწაკა კაკლების გარეშე, ჩვენ მწარე გვიყვარს, მარილი. ეს ხომ უკვე გააბრტყელებ, იმ წუთას ეს უნდა წაუსვა, მე ასე ვაკეთებ, ცალ-ცალკე **კუსოჩკე-ბად...** მერე ეშმაკობასაც გასწავლი, მერე ეს უნდა გაახვიო რულეტი, კარგად, ასე გრძელი, დაჭრა როგორც გინდა ისე და ზედ მოსასხამს ვუკეთებ, მაწონი აუცილებლად, სახლში ვაკეთებ მაწონს, ცოტა შიგთავსი დამატებული, არაჟანიც შეიძლება, მაგრამ არ უნდა, თუ კარგი ყველია. ეს მთლიანად უნდა დაფარო ამ მოსასხამით და ჩადო მაცივარში. ხვალ იქნება კაკ **ხალადეც, კუსოკ-კუსოკ**, ლამაზი. ეხლა ხომ შეიძლება, არ გამოგივიდეს. არავის არ უსწავლებია ჩემთვის, ჩემმა ეშმაკობამ მასწავლა ხაზიკობა. ზურამ იცის, ეს რა არიო, ეკოცუმილ... ფურჩხოლია ვაკეთ, მა ვამკეთებ გეზჟალია, ვსიო. ფურჩხოლიაა, უბრალოდ დაშლილი. არი ყველი, არ გამოვა, რაც არ უნდა ეცადო. არ გაიწელა, რას იზამ? უკვე მზადა ხარ, ხო? ჩაყარე ეს ყველაფერი და მოპუჭკოლე ასე, ამიტო ქვია ამას პუჭკოლია. მოაპუჭკოლე და ვსიო. იგივეა, რაც ფურჩხოლია, ღომთან კიდე შეიძლება. ხომ დადე ღომი, ყველი ჩადე, შუაში ასე გააფართოვე, შიგ ჩადე ეს. **ეტო სკაზკა!**

ქ. მ. – კიდე რა შეიძლება ამ წუთას შევთავაზოთ აუდიტორიას?

მ. გ. – ხარჩო ყველამ იცის, გათავდა, მეტი ჩვენი ხაჭაპური რით გამოირჩევა ზევიდან არი ყველი. აი ეს არის მეგრული, თორემ ხაჭაპური ყველამ იცის.

ქ. მ. – სრულიად საქართველომ, კი ბატონო.

მ. გ. – თქვენ ხომ იცით, **მირავი** იმაში, დათო ამას აგროვებს, **პერვოე მესტო**, კაკ **პეროგ**, ესაა აჭარული ხაჭაპური. სამი **პერვი პიროგ ვ მირე**, ინგლისურად აწერია, დათომ გამომიგზავნა, ვიცი, რომ გააფრენო სიხარულით. ქართული როა, წარმოიდგინე, **იმენო** აჭარული! მართლა უნიკალურია! ჩვენი ხაჭაპურით ვის გააკვირვებ, იგივე პიცაა. ხო **ლოდკა** კვერცხიანი და კარაქიანი, ასე ეხატა და ინგლისურად ეწერა **პერვი პიროგ ვ მირე!** დათომ გადმომიტარგმნა.

ქ. მ. – იყოს პეროგი, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ქართულია და...

მ. გ. – ხაჭაპური რას ნიშნავს, პიროგია, ხო, იგივე, ხაჭო და პური. მერე გეტყვით, ხომ გახსოვთ ბრილიანტოვანა რუკა, არ მომიყოლია თქვენთვის?

ქ. მ. – არა, ეს არ მოგიყოლიათ.

მ. გ. – ტაკ, მე ეხლა გალინა ბრეჟნევისასავით მქონდა ერთი რაღაცა. მან მსუქანი ვიყავი, ას ოცდახუთი კილო, ვერაფერს ძაან მოდნის ვერ ჩავიცმევდი, ჩემი ქმარი სახელმწიფოს პარავდა ფულს, მე ასე ვამბობ, იმიტომ, რომ აშენებდა ხუთსართულიან სახლს და აფორმებდა როგორც ორმოცდაათსართულიანი და ფული ჰქონდა ჩეჩქევით. და მოჰქონდა ასე მრგვალი, ყველის ფორმით ვუხვევდი ასე, მეზობლები მეკითხებოდნენ, რად გინდათო ამდენი ყველი. როგორ, კაცო, რუსეთში გოგონებს ვუგზავნი-მეთქი ამას, ვითომ ყველია. ამას მერე სამლიტრიან ბანკებში ვდებდი და ვმარხავდი. ამას ხომ იქ ვერსად ვერ დახარჯავდი, სანამ იმაში, სირიაში, არ წავედი. მერე ვხარჯავდი, მერე ოფიციალურად უფლება მქონდა, მამაჩემს ნათესავი ყავდა როზა, ფამილია იო რემბაევა, ზვიოზდნი გარადოკის უნივერმაგის დირექტორი იყო, ჩავდიოდი და ვყიდულობდი კარგ სამკაულებს. ამაზე ჭკუა მეკეტებოდა. ძაან ბევრი! ჰოდა, ეს წამოვიღე პირველ რიგში, მარტო, მეტი რა უნდა წამომეღო? მოვედით ფოთში, მამაჩემმა წამოგვიყვანა, მე, ჩემი ორი ბიჭი და...

ქ. მ. – ეს სოხუმი რომ დავკარგეთ?

მ. გ. – ჰო, სოხუმი რო დავკარგეთ მაშინ, ეხლა ვიცინი, აბა ვიტყვით ყოველთვის? ის საშინელებები ყველაფერი და უთხრეს ფოთში დგანანო მეგრელები, ფოთში – არა, ბოჟე მოი, ხობის საზღვარზე და ყულიშკარში ვერ წახვალო და ბოდიში და დო ტრუსოვ რაზდევაუტ. დედა, რა ვქნა, ეს უნდა წავიღო, სულ რომ გადავცლაპო. ბავშვები რა ვქნა? რითი გავზარდო აწი? მე ვთქვი ვსიო, დავიღუპე. ჩემს შვილს ჰქონდა ხელი მოტეხილი, ჰქონდა გიფსი. მე მამაჩემს ვუთხარი, მოდი, ბრილიანტოვი რუკა, ვსიო. დანით გავუჭერით. ეს ყვირის, მტკივაო, გაჩერდი-მეთქი, ხმა არ ამოიღო, კლიანუს, ეს გავუჭერით, დათო იდგა, მე და მამაჩემი – ბუჩქებში, ეს გავუჭერი, ყველაფერი ჩავუდევი და შევუხვით თავიდან, ჰო და ტიროდა და ისე მიხაროდა, რომ ტირის, ვეტყვი ტკივა და ტირის, ხელი არ ახლოთ! არ ვიცი, რას გიზამთ. ასე ჩავედით. კაციშვილს ხელი არ მოუკიდია ბავშვისთვის. ნახეს, რას ვგავართ მე და მამაჩემი, არაფერი არ მიმქონდა, იქ იყო ყველაფერი! აი, ასე იყო ყველაფერი, ბრილიანტოვანა რუკა. და. გეუბნები, წარმოიდგინე.

ქ. მ. – ეს ფილმმა გაგახსენათ?

მ. გ. – აბა, ისე მივხვდებოდი? გამორიცხულია! გია ისეთი ტიხი, სკრომნი ბიჭია, დღეს ამბობს, ეს ყველაფერი მე მეკუთვნოდაო თურმე, რა გიქნიათო ჩემთვის.

ქ. მ. – ბრავო თქვენს შერლოკ ჰოლმსობას! დიდი მადლობა!

მანანა გულუა [73 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია

ასეთი იყო ჩვენი „პრიკლუჩენია“

მ. კ. – ლიანა, შენ სოხუმში ხარ დაბადებული, არა?

ლ. გ. – აბა? 1959 წელს, 14 მაისს, ქალაქ სოხუმში.

მ. კ. – რომელ სკოლაში სწავლობდი სოხუმში?

ლ. გ. – ვსწავლობდი მე -17 საშუალო სკოლაში.

მ. კ. – ქართულ სექტორზე?

ლ. გ. – არა, რუსულ სექტორზე, მამამ მიმიყვანა რუსულ სექტორზე იმიტომ, რომ იფიქრა ასე ადამიანმა, რომ გავაგრძელებდი უმაღლეს სასწავლებელში სწავლას მოსკოვში, რატომღაც რუსეთში იმიტომ, რომ მოსკოვში მყავდა ბიძია, მამის ძმა და რატომღაც კარგ მომავალზე ფიქრობდა მამაჩემი ჩემთვის, მაგრამ მერე, ვინაიდან დედისერთა ვიყავი, არანაირ მოსკოვში კაციშვილმა მე არ გამიშვა და მერე გავაგრძელე სწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, ფილოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე და ვსწავლობდი საღამო განყოფილებაზე და პარალელურად იმ დროს აუცილებლად უნდა მემუშავა, ამიტომ მეორე კურსიდან დავიწყე მუშაობა. უკვე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა 1979 **გოდუ**, ბატონი ზურაბ ვიანოროვიჩი იყო ანჩაბაძე პირველი რექტორი უნივერსიტეტის უკვე, ჰოდა, მამაჩემი კარგად იცნობდა ბატონ ზურაბს, ჰოდა, მიმიყვანეს სასწავლო ნაწილში, სასწავლო ნაწილში მდივნად ვმუშაობდი ფაქტიურად. აი, ეს დიპლომების გაცემა მე მევალებოდა, რექტორატის ოქმების შევსება მე მევალებოდა, **პროტოკოლ უჩინოვო სოვეტა** მე მევალებოდა, **შტატნი ფორმულიარ სოსტოვლიალი** მე მევალებოდა, გაცემა – მიღება დიპლომების, **კრუ** მოდიოდა, ათასნაირი შემოწმებები მოდიოდა და, ეს 18-19 წლის გოგონა ამას ყველაფერს, აი, ახლა მიკვირს ხანდახან, ამას ყველაფერს როგორ ვუძღვებოდი, მაგრამ ვინაიდან საქმეთა მართველობა რუსულად იყო, ჩემთვის ეს იყო **როდნოი იაზიკი**. აი ასე.

მ. კ. – სკოლაში თანაკლასელები გყავდა აფხაზები?

ლ. გ. – ახლავე მოგახსენებთ, ვინაიდან სკოლა იყო რუსული და ა.შ. თანაკლასელები ვიყავით, ერთი 30-მდე ხომ ვიყავით ბავშვები, აქედან 6-7, დაჟე 10 – მდე ვიყავით ქართველი, რუსი იყო რამოდენიმე, აფხაზი გყავდა 2 – აგრბა და ავიძბა, ბერძნები გყავდა, სომხები გყავდა, არა, შაკაია კიდო, სამი აფხაზი გყავდა, აი ასეთი შერეული კლასი იყო, უმრავლესობა მაინც ქართველები ვიყავით და მერე აფხაზი იყო სამი, სადღაც 4-5 იყო სომეხი, ბერძენი იყო 2-3.

მ. კ. – როგორი ურთიერთობა გქონდათ?

ლ. გ. – ურთიერთობა – ბრწყინვალე.

მ. კ. – სკოლის დამთავრების შემდეგ?

ლ. გ. – სკოლის დამთავრების შემდეგ? – კარგი. მე სკოლა დავამთავრე 1977 წელს, ხომ? ეს ჯერ კიდევ ომამდე კარგი დრო იყო და ჩვენ ბაიბურში არ ვიყავით, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. რას ამბობ? სომეხ ბიჭს ვუყვარდი, დავიწყით აქედან, აფხაზები პატივს გვცემდნენ და ჩვენც, ნუ... რა თქმა უნდა, ქართველ გოგოებთან ვითომ უფრო ვმეგობრობდი, მაგრამ ბერძენი, რომელიც მყავდა ოლია ფრანკოპულო, ჯერ ერთი და ხელისმომკიდე ვიყავი და ბავშვის ნათლია ვარ და დღევანდელ დღემდე, ამ ზაფხულს ჩემთან სტუმრად იყო ჩამოსული ის ბერძენი და წარმოიდგინე, რა დონემდე ვიყავით ახლოს. ე.ი. სომხები იგივე და რა ვიცი, ასე განსხვავებულად არ იყო და. შეიძლება, ქართველები ცოტა უფრო ახლოს ვიყავით მეგობრობაში, ცოტა, მაგრამ რაღაცა ხუთი პროცენტით.

მ. კ. – არაქართველებმა ქართული ენა იცოდნენ? რომელიმემ?

ლ. გ. – არა, არც ერთმა.

მ. კ. – ქართული ენა რუსულ სექტორზე ხომ ისწავლებოდა?

ლ. გ. – ქართული ენის სწავლება იყო ძალიან დაბალ დონეზე, აი, სამწუხაროდ.

მ. კ. – ვინ იყო მასწავლებელი?

ლ. გ. – იყო მასწავლებელი, ქართველი იყო, რა თქმა უნდა, რომელიც ლექსებისა და მოთხრობების გარდა, აი ელემენტარულად გრამატიკას არ გვასწავლიდა, ბაიბურში არ ვიყავით გრამატიკის, ქართული გრამატიკის. აი, წარმოიდგინე, რამდენად რთული იყო მერე ჩემთვის, აქ, უკვე ქართულზე გადასვლა. კიდო, დაჟე ინგლისური უფრო მიყვარდა, მინდოდა, ინგლისურზე მესწავლა. სახლში ცხოვრობდა ინგლისურის მასწავლებელ ჩემთან, მაგრამ იმ წელს არ იყო ინგლისურზე მიღება და წარმოიდგინე, ინგლისური უფრო იოლი იყო ჩემთვის, ვიდრე – ქართული. აი, წარმოიდგინე! ისე დაბალ დონეზე იყო ქართული ენის სწავლება. როგორ გითხრა, სურვილიც ამის მაინცდამაინც დიდად არ-

ავის არ ჰქონდა ჩვენს კლასში. არა, ნუ, ისე რა. იმიტომ, რომ ის მასწავლებელი არ იდგა თავის საფეხურზე. ისე კი ამბობდა, გვასალია, სირცხვილია, ქართველი ხარ, და ქართული უკეთ უნდა იცოდეთ სხვებთან შედარებით, მაგრამ როგორ მეცოდინება უკეთ, თუ არ მასწავლე?

მ. კ. – ნამდვილად; სკოლის დირექტორი ქართველი იყო?

ლ. გ. – სკოლის დირექტორი აფხაზი იყო.

მ. კ. – აფხაზი იყო?!

ლ. გ. – რა თქმა უნდა.

მ. კ. – სკოლაში ქართლი სექტორიც ხომ იყო?

ლ. გ. – რა თქმა უნდა, ქართულიც იყო, რუსულიც იყო; მე იმის თქმა მინდა, მოადგილე, მოადგილეები იყვნენ ქართველები. **ზავუჩი**, ზავუჩები იყვნენ ქართველები და დირექტორი იყო აფხაზი.

მ. კ. – როგორი დამოკიდებულება ჰქონდა იმ აფხაზ დირექტორს თქვენ მიმართ?

ლ. გ. – ჩვეულებრივი. არა, იქ განსხვავება არ იყო, არა. არც ერთ პედაგოგს, არც ერთ დირექტორს და მოადგილეს არ ჰქონდა ეროვნების მიხედვით დამოკიდებულება ბავშვებისადმი.

მ. კ. – არ იგრძნობოდა?

ლ. გ. – არასდროს, ვერცერთი პედაგოგი ამას პროსტა არ გაბედავდა ალბათ, თუ.. დაჟე წარმოდგენა არა მაქვს, ამას იტყოდა: **ვოტ ტი არმენინ, ტი გრუზინ, ტი გრეკ, ტი აფხაზ**. ამაზე აქცენტი არასდროს არ გაკეთებულა. **ნაციონალნასტ ნე ზატრაგიალას ნიკაგდა**. ნიშნების მიხედვით, ყველას ერთნაირად დაუწერდა იმ ქართველსაც, იმ სომეხსაც, იმ ბერძენსაც. ბერძენი შეიძლება ხუთოსანი ყოფილიყო და ქართველი – ოროსანი, და აფხაზი – ოროსანი....სადაც მე ვსწავლობდი, ასე იყო, სხვაგან არ ვიცი.

მ. კ. – შემდეგ?

ლ. გ. – შემდეგ, ინსტიტუტში, მე მუსიკალური სკოლაც დავამთავრე, მერე არ გავაგრძელე, იმ სკოლაშიც იყო სხვადასხვა ნაციონალნასტი, მაგრამ იქ ინდივიდუალური, **ინდივიდუალნიე ზანიატიე** ბილი, ჰოდა, იქაც არასდროს არც ერთი აქცენტი არ გაკეთებულა. ეხლა უნივერსიტეტში ჰო, პირველი კურსი, ისევ რუსული სექტორი, ისევ ქართველი გინდა, ბერძენი გინდა, აფხაზი გინდა, რიტა ამიჩბა ჩემი თანაკურსელია მაგალითად – ჯონი მარღანიას მეუღლე, ჰო. სომეხი გინდა, ისევ არეული იყო, ისევ ისე ზუსტად, როგორც სკოლაში. არანაირი აქცენტირება, არანაირი, დაჟე აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ის იყო აფხაზი და მე ვიყავი ქართველი და რა ვიცი, რიტა სულ სახლში ერთად ვხვდებოდით და ჩემთან უხაროდან მოსვლა რატომღაც, იმიტომ, რომ ახლოს ვცხოვრობდი უნივერსიტეტთან და დედა ხვდებოდა ყველას.

რა ვიცი მე, დედას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ რიტა იყო აფხაზი და იმიტომ ნაკლებად შეხვედროდა, ცივად, მაგალითად, და ეს აზრადაც არ მოუვიდოდა, ვიდრე ჩემს ქართველ თანაკურსელს, ან თანაკლასელს, ან თანამშრომელს. მერე თანამშრომლებზე დავიწყეთ: თანამშრომლები, ისევ ხომ არეული. ბერძნები ისეთი კარგი ლამაზი გოგონები, კანცელარიაში გინდა, კადრებში გინდა, არა, კადრებში არ იყვნენ, კანცელარიაში იყვნენ უფრო. ბუღალტერიაში – რუსები, აფხაზი გინდა, კანცელარიის გამგე აფხაზი იყო, ბუღალტერიის გამგე ანცუპოვა რუსი იყო, ჩვენი სასწავლო ნაწილის გამგე ბერძენი იყო მირჯანოვა, მაგრამ ქართულად საუბრობდა, მაგალითად, მირჯანოვა – მაგრამ ანცუპოვა მარტო რუსულად საუბრობდა, ის აფხაზი მარტო – რუსულად. რა თქმა უნდა, ყველანი ვსაუბრობდით რუსულად, რა თქმა უნდა. **ზასედიანიე რექტორატა, ზასედიანიე უჩონოვა სოვეტა ვსო პროვოდელას ნა რუსკომ იაზიკე.**

მ. კ. – როდის იგრძენი შენ პირველად დამაბუღლი მდგომარეობა?

ლ. გ. – დამაბუღლობა ვიგრძენი, როცა უკვე გადავედით ჭოჭუას ქუჩიდან ენგელსის ქუჩაზე, ოთხმოცდაპირველ წელს, 1991, აი როდესაც ჩვენთან 9 აპრილის შემდეგ რომ მოჰყვა. ჩვენთანაც ხომ იყო აქციები, მაგენსაც ჰქონდათ თავისი აქციები და ერთ მშვენიერ დღეს ვხედავ, რომ ეს აფხაზები სხვანაირად გვიყურებენ. სხვანაირად. უცებ! სულ სხვანაირად! იქ დაჟე გავიდნენ გარეთ, ეზოში და ვოტ ონი ეტო, ონი ტო, **სტარეიშინი პრიშლი.** უხუცესები მოვიდნენ ეზოში და მაშინ იყო რექტორი უკვე იყო გვარამია, მანამდე იყო ავიძბა და მერე გვარამია და გვარამია ჩავიდა ქვემოთ და მაშინ ვიგრძენი, რომ რაღაცა ცუდადაა საქმე. და აი, მაშინ ვიგრძენი და მერე უკვე, როცა ჩვენები გადავიდნენ ფილიალში ჰო, მე ხელად ვერ გადავედი ფილიალში და რატომ? იმიტომ, რომ მე მქონდა ჩაბარებული დიპლომები, მე მაგენის მიგდება ასე არ შემეძლო იმიტომ, რომ ეს ციხესთან იყო დაკავშირებული. ერთი დიპლომი რომ დაკარგულიყო, ვსიო, შენ ქართველი ხარ, თუ ფრანგი ხარ, არავინ არ შეგეკითხებოდა. სადაა დიპლომი? მე ოფიციალურად, სანამ არ დადგა იმის მომენტი, რომ გადამეცა იმავე აფხაზებისთვის, თუ ვინც ჩემს მერე რჩებოდა, იქიდან ფეხი ვერ გავადგი. გამიგე? მაგრამ უკვე სიცივე იყო.

მ. კ. – იყო, იყო და... როგორ გამოაღწიე სოხუმიდან?

ლ. გ. – ჰოი, გამოაღწევა ეს ცალკე ისტორიაა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს ეზოში დავარდა ჭურვი, ჩვენ რაღაცნაირად თავი ავაცილეთ, სხვა მართულელებს გავიქეციით.

მ. კ. – მშობლების სახლში?

ლ. გ. – ჰო, მშობლების სახლში და მაშინ გავიქეცი ვაჟა ფშაველას სახლში, ოთარის (მეუღლის – მ.კ.) სახლში. იქ ცოტა მიმაღულად ვიყავით, მაგრამ ვიგრძენით, რომ საქმე ცუდადაა. ოთარის ბიჭი ომობდა მაშინ და მოვიდა. თქვა: აბა, ვინც ხართ აქ ეხლაო, გუდა-ნაზადი აიკარიოთო და ავტობუსი იქნებაო ენგელსის ქუჩაზე, რომელიც მიგიყვანთო.

მ. კ. – ზუგდიდამდეო?

ლ. გ. – არა, კაცო, იქამდე, გდე **კარაბლი ოტპლივაუტ.**

მ. კ. – ჰა, აგუძერამდე.

ლ. გ. – ჰო, აგუძერამდე. იქ მოადგებაო გემიო და მერე უშველეთო თვითონ თქვენს თავს. დავფიქრდით. ჩემი დედამთილი და მული ცოცხალი თავით არ წამოვიდნენ. მე და ოთარი კი წამოვედით. ოთარის ცოტა ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა მაშინ უკვე, ამ ომის ნიადაგზე, ნერვიული ფონი ჰქონდა ძალიან, ცუდ მდგომარეობაში იყო ძალიან და დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. იყო უკვე 24 რიცხვი. რა თქმა უნდა, ენგელსის ქუჩაზე ფეხით მივედით. იქ მართლა იყო ავტობუსი. იქ გიგამ ჩავსვა ავტობუსში, ჩვენ გაგვიშვა და თვითონ დარჩა. აი, როგორი იყო, რომ თვითონ შვილი რჩება და მამა მიდის, ჰა? როგორია ეს? საშინელება, იქ კი მივედით, მაგრამ სადაა გემი? სადაა გემი? მაგრამ ჩვენ მაინც ღმერთმა გვიშველა და იმ გემში რომ ჩავჯექით, ჭურვები ბუყ-ბუყ, გვერდი-გვერდ. მაგრამ არ იყო ბედი ჩვენი. მერე რომ ჩამოვედით, აწი გიგაზე დარდი...როგორ? სად? ...

მ. კ. – სად ჩამოხვედით?

ლ. გ. – ბათუმში, ოთარის მეგობარი იყო, მერ ნაშეგო გოროდა, რომ მოკლეს.

მ. კ. – გაბესკირია?

ლ. გ. – ჰო, გაბესკირია და გაბესკირიაც მაგაში იყო. ჯერ ერთი ისიც ფეხბურთელი იყო და მერე მაგის ხელმძღვანელობის ქვეშ იყო გიგა, ჰოდა, იმან მერე გიგაც რაღაცნაირად გამოუშვა, უკვე 27-ის მერე. მაგი რომ ჩამოვიდა. მერე ამოვისუნთქეთ. ასეთი იყო ჩვენი **პრიკლუჩენია.**

მ. კ. – ახლა თუ გაქვს რომელიმე აფხაზთან ურთიერთობა, თუნდაც ვირტუალური?

ლ. გ. – ვირტუალური? არა, სხვათა შორის.

მ. კ. – არც ერთთან?

ლ. გ. – არა, არც ერთთან, აი, რიტასთან მარტო.

მ. კ. – რიტა აქ არის და...

ლ. გ. – ჰო, აქ არის. სოხუმიდან – არა. სოხუმიდან ხოლმე მირეკავდა რუსი მეზობელი, შურა, რომელიც უფრო აინტერესებდა აქაური ამბავი, ვიდრე მომიყვებოდა იქაურ ამბავს. ერთადერთი აზრი, რაც მე გამოვიტანე, რომ იქ ყველაფერი ცუდადაა. **სოსედი, კოტორიე ბილი ხო-**

როშიე, სეიჩას ვსე პლახიე. ი ვტვომ დომე ჟივუტ ტროე ბოევიკი, კო-ტორიე სჩიტაუტ, ჩტო ტვოი დომ იხ ტროფეინი დომ. პოტომუ ჩტო, ონი ვოევალი ნა სტორონე აფხაზცევ.

მ. კ. – ვინ არიან ეს ბოევიკები, აფხაზები არიან?

ლ. გ. – არა, არ არიან აფხაზები, მაინც ვერ გავიგე, ვინ არიან, ის ქალი ამბობს, ტო პოლურუსკიე, პოლუ არმიანე, ტო არმინინ, სამი ძმები.

მ. კ. – ახლაც ცხოვრობენ შენს სახლში?

ლ. გ. – დიახ, ახლაც ცხოვრობენ. მერე შურას და გარდაეცვალა და დი-დი ხანია, აღარ მირეკავს. ვსე პლახიე, ვოტ ტოგდა ბილო ხოროშო, ა სეიჩას ია ნიკამუ ნე ხოჟუ, ნისკემ ნე ობშაუს, პოტომუ ჩტო ნესკემ. ზო-გიერთი სახლი აფხაზებს უჭირავთ, საკურორტოდ, სახლი დაკეტი-ლია, მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიან, დასასვენებლად, სულ არ ცხოვრობენ. შენი სახლი გაქურდეს, ჩემი თვალით ვნახეო, ისევ მეზო-ბელმა სომხებმაო. აი ასეთი ისტორიაა. კიდეც იმას გავიხსენებდი, რო-გორ ვთქვა ეს, ცოტა კომუნისტვენო, ეს რომ ვთქვა, მაგრამ ვამბობ, მადლობა ღმერთს, რომ ჩემი დედა და მამა არ მოესწრო ამ დღეს იმიტ-ომ, რომ ისე იყვნენ ჩაციკლული ჩემზე და იმ სახლზე და იმ გარემოზე, რომ მაგენი იქიდან ფეხს არ გამოდგამდნენ, იმდენად იყვნენ...

მ. კ. – ისინი ომამდე გარდაიცვალნენ?

ლ. გ. – ორი წლით ადრე, მე არ მინდოდა, რომ დედაჩემს ეს ყველაფე-რი ენახა, იმიტომ, რომ ცოტა სხვანაირი ქალბატონი იყო, რომ ამას ვერ გადაიტანდა, ვერანაირად. ჯერ ერთი, რომ ვერ გადაიტანდა, რომ მე ქუჩაში აღმოვჩნდი ცარიელ-ტარიელი, ვერ გადაიტანდა, რომ ის სახ-ლი, რომელიც იყო მისი ნაკოწიწარი, ასე ვილაცის ხელში ჩავარდებოდა და ასე-ასე. ვფიქრობ, მართალია, ვერ დავდივართ იქ სასაფლაოზე, მაგრამ დროზე, როგორც კანონია და როგორც ქართველებს ეკუთვნო-და, ისე მივზარეთ იქაურ მიწას. ამით ვარ ბედნიერი, არ მინდოდა, რომ ეს ენახათ, არანაირად.

მ. კ. – მეზობლებზე რას იტყოდი?

ლ. გ. – აი, მეზობლები, ისევ არეული მეზობლები, როგორც კლასში, როგორც – ინსტიტუტში, როგორც – ტექნიკუმში, მუსიკალურში, რო-გორც თანამშრომლები, ისევ ისე, იგივე სიტუაცია. უმრავლესობა ვიყა-ვით ქართველები, სულ ორი ოჯახი იყო აფხაზი, სამი ოჯახი იყო სომე-ხი, სულ ამ უბანში, კრასნოფლოტსკაიას უბანში, 50 კომლი. 5-6 იყო ბერძნები, მაგრამ ბერძნებმა გაასწრეს მაინც ომამდე.

მ. კ. – წავიდნენ?

ლ. გ. – ჰო, და ისევ ის სახლები შეისყიდეს ქართველებმა, ანუ მაინც გვინდოდა, რომ უმრავლესობა ყოფილიყო ქართველები. მედია ჯან-ჯღავა, იოსელიანები, მურმან ღვინჯილია, მურთაზ კორსანტია, მგა-

ლობლიშვილები, ბატონი ბიძინა იქ ცხოვრობდა. ბიძინა მაგლობლიშ-
ვილი მსხვერპლი გახდა ამ ყველაფრის. არ დატოვა ბოლო წუთამდე,
იქ დახვრიტეს და ეზოში დაასაფლავეს და მერე მისმა შვილებმა აქეთ
გადმოსვენეს. ისევ უმცირესობაში იყვნენ აფხაზები. სამი ოჯახი და
ისიც ცოლი სამივეს რუსი ჰყავდა. სუფთა აფხაზები მაინც არ იყვნენ.

მ. კ. – როგორები იყვნენ მეზობლობაში?

ლ. გ. – როგორები და ჩვეულებრივები. აფხაზები მაინც სო სვოიმ ხა-
რაქტერომ, როგორ ვთქვა ეს ქართულად, არ ვიცი.

მ. კ. – თავისი ხასიათი ჰქონდათ, რა გვარის ხალხი იყო?

ლ. გ. – ქეცბა იყო. ბჟანია იყო და ერთი ავიძბა. ამ ქეცბას ცოლი, რუსი
კატია ასე ამბობდა: მი აფხაზცი, მი აფხაზცი. სულ ასე ამბობდა. იქით
ბჟანიას ნატალია პავლოვნა, რუსული ენისა და ლიტერატურის მშვე-
ნიერი პედაგოგი იყო ის ქალბატონი და. მაგი არ ამბობდა, **მი აფხაზ-**
ციო, მაგრამ მაინც აქცენტი აფხაზური ჰქონდა იმ რუსს, იმ რუსსაც კი.
იმ მესამის რუსი მეუღლეც აფხაზობდა. აფხაზობდა ის რუსი. მეზობ-
ლობა გადასარევი გვქონდა. ის ბერძენი მერჩივნა, როგორ ვთქვა ახლა,
მაგრამ ზოგიერთ ქართველს. არ ვიცი, ისე ვიყავით. ნუ, ეს ყავის სმა,
ჭამა-სმა იყო განუყრელად. სულ ერთად ვიყავით ჭირსა და ლხინში,
სულ! სულ!

მ. კ. – და არაფერი ეტყობოდათ იმ მეზობელ აფხაზებს?

ლ. გ. – არა, ეტყობოდათ, აი მაგათაც შეეტყოთ 1991 წლის შემდეგ. **მი**
ხატიმო პრისაიდინიცა კ როსიი, პოტომუ ჩტო, ვ როსიი პროდუქტი
ლუჩშე, ტავარ ლუჩშე. ასე მსჯელობდნენ. გამიგე? **ბოლშე სვიაზი ბუ-**
დეტ ს როსიი, გრუზია ნე ტაკ, ეკონომიკა ნე ტაკ რაზვიტაო. მაგრამ
ამაში რა იდო, კი ვიცოდით პრინციპში. მაგრამ ბერძნებს, ჩვენ ვუყვარ-
დით ძალიან, მაგრამ განაწყენებულნი იყვნენ ძალიან. აი, ბერიაზე,
რომ გადაასახლეს, ამას რატომღაც მარტო ბერიას აბრალებდნენ და სი-
ნამდვილეში მარტო ბერია არ იყო თურმე ამაში დამნაშავე. არ მიუღი-
ათ მონაწილეობა ომში. ხომ არ მიუღიათ? ვითომ დასაჯეს, ბევრი და-
იღუპაო, მერე ყვებოდნენ, რომ როცა დავბრუნდით, ქართველებმა აღ-
არ შეგვიშვეს ჩვენს სახლებშიო, აი, ასეთ დონეზე. მაგრამ ჩვენს მიმართ
ამას არ ამჟღავნებდნენ, იმათ მიმართ იყვნენ განაწყენებულნი.

მ. კ. – ე.ი. ნაწყენები იყვნენ ბერძნები?

ლ. გ. – კი, იყვნენ ნაწყენები, რომ გადაასახლეს, ბევრი დაბრუნდა, ბევ-
რი – ვერა. ომის დაწყებამდე წავიდნენ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს
იცოდნენ. გრძნობა მაქვს, მაგრამ არავის არ წამოცდენია არაფერი და
ახლაც რომ ვეუბნები ამ ბერძნებს, არაო, ჩვენ საიდან უნდა გვცოდნო-
დაო. აიყარნენ იმიტომ, რომ ხომ მისცეს უფლება საბერძნეთში ჩას-
ვლის, მანამდე ხომ არ ჰქონდათ, ამიტომ ისარგებლეს. **ვ პოისკახ ლუჩ-**

შეი ჟიზნი. მაგრამ მაგენს ჩვენგან განსხვავებით, არაფერი დაუკარგავთ, სახლები გაყიდეს, შიგნით ნივთი გაყიდეს და რეფრეჟირატორებით სავსე ავსებული წაიღეს. ჩვენ? ორი ჩემოდანი ხელში და ვსიო.

გავიხსენებდი კიდე, ლალი ბავშვობა, ლალი მოზრდილობა, ლალი ახალგაზრდობა. ნუ, რა თქმა უნდა, ეხლა, რაღაც პრობლემები იყო ოჯახური, პირადული, მაგრამ ეს სხვა თემაა. საერთო ჯამში სილაღე მახსოვს. აი, ეს სილაღე. ბოროტება რაღაც ნაკლებად მახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან იყო **ზავისტ** როგორ ვთქვათ, ცოტა შური იყო, დედისერთა ვიყავი,

მ. კ. – განებივრებული?

ლ. გ. – ჰო, ვიღაცას სამი შვილი ჰყავდა, იმდენი საშუალება არ ჰქონდა, ცოტა ასეთი, მაგრამ ეს არ იყო ესეთი მნიშვნელოვანი, გამიგე? რომ ამის გამო რაღაც ბოღმა ჰქონოდა ვიღაცას და შური. არა, არ მახსოვს. ქურდობა არ ყოფილა დაჟე. აი რამდენჯერ ყოფილა, სახლში მოვსულვარ, კარი – ღია, ოთარი ზის მეზობელთან, დომინოს თამაშობს, ვეუბნები: ბიჭო, კარი, – ვინ მოვაო. აი ასე. წარმოიდგინე და ეხლა ეს ხომ წარმოუდგენელი რამ არის, რომ კარი არ დაკეტო. ეს ჩვევა ახლაც აქვს შემორჩენილი ოთარის. სხვათა შორის, მოვდივარ, კარი ღიაა, რატომ? რომ არ ადგეს და რომ არ გამიღოს კარი. მერე რა, ვინ შემოვაო. ეს უკვე პირადულია, მაგრამ ის შემორჩა იქედან. ანუ დარწმუნებულია, რომ სამეზობლოში არ შეიძლება, რომ იყოს ქურდობა. დაჟე ის „ბლატნოი“ ბიჭები რომ იყვნენ ხო, მეზობელს ხელს არ მოჰკიდებდნენ. მეზობლის გოგოს არ დაუშავებდნენ არაფერს, მეზობლის ოჯახს არ დაუშავებდნენ. სხვაგან რას აკეთებდნენ, ეს რა ჩემი საქმეა. აი, ასეთი იყო.

მ. კ. – აქაურობას როგორ შეეწყვეთ?

ლ. გ. – აქაურობას ჯერ კიდევ ვერ შევეწყვე, ჰო გვიჭირს მაინც. აი, სოხუმში ხომ გვქონდა „ლუბიმოე მესტო“ ყველას, ალბათ, ხო? აი, თბილისში სულ ვეძებ ამ „ლუბიმოე მესტოს“, სადაც მინდა, რომ აი იქ დავჯდე, იქ ვიყო ხშირად, ხო გვინდოდა იმ სანაპიროზე ის ლუბიმოე მესტო, **ნა ეტოი ლავოჩკე სიდეტ...** აქ ვერ ვიპოვე. ეს შეიძლება ჩემი მიწისია, მაგრამ ასეა.

მ. კ. – დიდი მადლობა, ლიკა, ინტერვიუსთვის.

ლიანა გვასალია [64 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

მარინე კაკაჩია

გადმოვედით უკრაინული გემით

მ. კ. – სახელი, გვარი, დაბადების წელი და ადგილი.

ლ. დ. – ლალი იურის ასული დავითაია, ქალაქი სოხუმი, 1969 წლის 2 ნოემბერი. საბავშვო ბაღში არ დავდიოდი იმიტომ, რომ მამაჩემმა არ გაგვიშვა. მერე შევედი სოხუმის მე-5 საშუალო სკოლაში. სერგო ორჯონიკიძის სახელობის. 1986 წელს დავამთავრე მე-5 საშუალო სკოლა. ქართულ ენაზე ვსწავლობდი. პირველ წელს ვერ ჩავირიცხე, მერე ჩავაბარე მოსამზადებელზე. რუსულ სექტორზე, ბიოლოგიურზე და აგუში(აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – მ.კ.) ჩავირიცხე. შემდეგ მოგვისწრო 1989 წლის არეულობამ, სადაც გაიყო უნივერსიტეტი. ჩვენ, ქართველები, წავედით ცალკე, აფხაზები – ცალკე. ჯერ პირველად ქართული თეატრი დაკარგეთ, ვაჩუქეთ, ასე ვთქვათ, შემდეგ უნივერსიტეტი გაიყო. უნივერსიტეტი რომ გაიყო, ჩვენც, სტუდენტები, რა თქმა უნდა, ქართველებთან წამოვედით. ფილიალი იყო მაშინ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. ფილიალში გადმოვედით და იქ ვსწავლობდით. ხან – სად, ხან – სად, მომთაბარე ვიყავით, ჯერ სუბტროპიკულში, მერე ქვევით, ბაზართან ვიყავით. მერე 1992 წელს ომიც დაიწყო. გადმოვედით. ომის დროს მამა იბრძოდა. მამა გვყავს იქ დაღუპული, დაკარგული, არ გვაქვს საფლავი მისი. ჩვენ გადმოვედით გემით 27 სექტემბერს. ჯერ მამიდასთან წაგვიყვანა მამამ 25-ში, დაგვტოვა იქ, 25-ში კი არა, მგონი 21 იყო. თვითონ დაბრუნდა. დაბრუნდა და დაბრუნდა. მეტი მამა არც გვინახავს. 27-ში ბიძაჩემმა არაფრით არ დაგვტოვა, აქ ვერაფრით ვერ დაგტოვებთო და ბოლო გემით გადმოვედით იქედან.

მ. კ. – იმ უკრაინული გემით?

ლ. დ. – კი, უკრაინული გემით, იქაც, ვაიმე, ისეთი საშინელება იყო!

მ. კ. – მაჭარკიდან?

ლ. დ. – „ლიტერატურნაია გაზეტა“ ერქვა იმ ადგილს, აგუძერაში რომ მივდიოდით, დაბომბვა დაიწყო, ზოგი სად იყო და ზოგი – სად. რომელ კანაოში, მერე იქ რომ მივედით, პირველ ღამეს, 26 – ში მივედით, არ იყო გემი, უკან დავბრუნდით, გულრიფში დავბრუნდით ჩემს მამიდასთან, მერე ისევ წავედით და 27-ში იყო მეორედ მოსვლა იქ. ზემოდან მზე გაჰერს, ეს ამდენი ხალხი, ზოგი აქ ცვივა, ზოგი იქ ცვივა, ზოგი ნავით მოდის, ვაიმე, ისეთი ამბავი იყო და ვდგევარ აქ, შუა ადგილას, გული წამივიდა თურმე, გული რომ წაგივიდა, დგახარ, იმდენი ხალხია, ქვემოდან საწყალი ჟორიკო ბიძია, დოღბამე, ჩვენი მეზობელი, ექიმი იყო ის და ყვირის, ჩამოიყვანეთ, გული წაუვიდა, ჩამოიყვანეთ და ჩამომიყვანეს. რომ ჩამომიყვანეს, ჩემმა მამიდაშვილებმა, საიდანღაც ნავი მოიყვანეს ბი-

ქებმა, ამ ნავში უნდა ჩავჯდეთ, როგორმე იმ გემამდე მივიდეთ. ეხლა წყალში ფეხი არ ჩაადგმევინოთ როგორმე, გული გაუსკდებაო, ეს გული რომ წასული რომ მქონდა. ისე ავედი იმ გემზე, მე არაფერი არ მახსოვს, არაფერი, წარმოგიდგენია? და გავახილე თვალი, გემზე ვარ, მაზუთიანი, საოცრება იყო იქ, ქვევით, თან რამდენი ხალხი იყო, ღმერთო! რომ გამახსენდება. გემით გადმოვედით ფოთში, თან მამას ამბავი მოგვითხანეს, რომ ტყვედ წაიყვანეს, თან ესეთ დღეში ვართ, თან არც გადმოსვლა გვინდა, არაფერი არ გვიხარია, სად მიდიხარ? რატომ მიდიხარ? რომ ჩამოვედით ფოთში, იქ ვიყავით ორი ღამე. ვინ სად ვეყარეთ, ღმერთმა იცის. მერე წამოვედით აბაშაში, ბეზიასთან. ბეზია ცოცხალი იყო. რომ მივედით, გადაირია, შვილი სად დამიტოვეთო, არ მინდევხართ არც ერთიო. ჰოდა, მოკლედ იქ ვიყავით ცოტა ხანს, მერე წამოვედით თბილისში, მერე აქაც უკვე უნივერსიტეტი გაიხსნა ბატონი ოთარ ჟორდანიას ხელმძღვანელობით. ერთი წელი დავკარგე მე. მარადმწვანე ვიყავი რა. მერე აქ გავაგრძელე და 1995 წელს დავამთავრე, როგორც იქნა, ეს უნივერსიტეტი. გავიცედა წლები. 1995-ში ჯერ გავთხოვდი და მერე დავამთავრე უნივერსიტეტი. 1997 წელს ქალბატონმა ლილი კილაბერიამ: მაინც არაფერს არ აკეთებ, წამოდი, არ გინდა, მუშაობას დაგაწყებინებო კანცელარიაში. რატომაც არამეთქი და ის იყო წამოვედი და დავიწყე მუშაობა ამ ჩვენს უნივერსიტეტში ისევ.

მ. კ. – ლალი, იქ სოხუმში მეზობლები აფხაზები თუ გყავდა, როგორი ურთიერთობა გქონდათ?

ლ. დ. – გყავდა, როგორ არა, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ლადარიები იყვნენ ისინი, ლადარიები, მამაჩემი კიდეცაც თამადა იყო იმათ ქორწილში, კიდეცაც ყველაფერი იყო. მამაჩემი თანამდებობაზე მუშაობდა. ის იყო დირექტორი სოხუმის **პარკა კულტური ი ოტდისა** და ძალიან ბევრი აფხაზი მეგობარი ჰყავდა. მოადგილეც ჟორა ეშბა ჰყავდა. თვითონ ხელისმომკიდე იყო ბევრი აფხაზი მეგობრის. ეხლა არ მახსოვს, მთავრობაში ვინც მუშაობდა, იმათი ბავშვების ნათლია და ძალიან ისეთი შეხმატკბილებული ურთიერთობა გვქონდა აფხაზებთან, ამიტომ ჰქონდა მას დიდი იმედი, იქ რომ დარჩა. მე ხელს არავინ არ მახლებსო, მაგრამ ჰყავდა სომეხი მეზობლები, „მვირფასი“, რომლებმაც ჩაუშვეს ესენი, სახლში ვინც იყვნენ. ზუსტად იქ არიან მისულები და ზუსტად ისეთ დროს, რომ იარაღი არც ერთს არ ჰქონდა. მერე ესენი დაკრძალულები არიან თურმე სახლთან ახლოს, გარეთ ქუჩაში, რაღაცა ევკალიპტი იზრდებოდა, იქ და ოთხი ერთად არიან ჩასაფლავებული. მერე პარკის გაკეთება მოუწიათ თურმე. ჩვენ რამდენი ხანია, წითელი ჯვრით ვეძებთ, მაგრამ იქიდან ამოუსაფლავებიათ და უსახელო სასაფლაოზე არიან გადასაფლავებულები და ნომერიც არა აქვთ

მინიჭებული. ჰოდა ვეძებეთ, მაგრამ დაკარგულია, ვერსად ვერ ვიპოვეთ, ვერც წითელი ჯვრით და ვერც – ვერაფრით.

მ. კ. – იქნებ ტყვედ არის წაყვანილი და ახლაც ცოცხალია?

ლ. დ. – გამორიცხებულია, მამაჩემი რომ ცოცხალი იყოს...

მ. კ. – ახლა თუ გაქვთ თქვენს მეზობლებთან კავშირი?

ლ. დ. – არა, ჩვენ რომ გადმოვედით, მაშინ ჯერ კიდევ ტელეფონები არსებობდა, დარეკვა შეიძლებოდა, რამდენჯერმე დავრეკე ჟორა ეშბასთან და ვთხოვე მაშინ, მისულიყო, ენახა, ან ისე მოეძებნა, ან – ასე. მაგრამ – არა. ასე გვითხრა: ვერაო, მეო იქ ვერ წავალო, მეშინიაო. მოკლედ ვერ მივიდნენ რა. უარი გვითხრეს, ან იცოდნენ, უკვე მოკლული იყო და მოერიდათ და არ გვითხრეს. აი, ეს იყო რა.

მ. კ. – დედაქალაქს როგორ შეეგუეთ?

ლ. დ. – თბილისში ძალიან ბევრი ნათესავი გვყავდა ჩვენ. ბიძაჩემს ქალიშვილები აქ ჰყავდა და თავიდან ბინა დაგვითმო სამოთახიანი, ვცხოვრობდით კარგა ხანს. მაგრამ ეხლა სხვის სახლში რამდენ ხანს იცხოვრებ, ჰო? დედაჩემმაც უცებ დაიწყო ვაკეში პირველ საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობა და დღემდე მუშაობს სხვათა შორის. მე ორი და მყავს კიდე. მე და ჩემი მომდევნო, ნინო, სტუდენტები ვიყავით, სოფიკო პატარა იყო, სკოლაში სწავლობდა. აქ გაგვიჭირდა ძალიან და სოფელში წავიყვანეთ და ამიტომ აბაშაში დაამთავრა იმან სკოლა და მერე აი, იმ ჟორიკო ბიძიამ, დოღბაძემ, რომ ვახსენე, იმან ის დაგია, თავისი შვილი, იურიდიულ ფაკულტეტზე წლის გადასახადი გადაუხადა და დიდი პატივი გვცა. კი, ბევრმა პატივი გვცა, ბევრს არ ვახსენდით, მაგრამ არა უშავს. მადლობა უფალს ყველაფრისთვის, რომ აქამდე მოვედით. თავიდან გაგვიჭირდა, რა თქმა უნდა, საბავშვო ბაღში ვცხოვრობდით, მერე დედაჩემს დაუმტკიცეს ბაღში ის ოთახი, დღემდე იქ არის და ჩვენ ჩვენი გზა ვნახეთ. შვილები გვყავს: ზოგი გათხოვილია, ზოგი – გასათხოვარი.

მ. კ. – შენს პირად ურთიერთობებს თუ გაიხსენებ აფხაზებთან?

ლ. დ. – როგორ არა. სოხუმში ხომ ბიოლოგოურზე რუსულ სექტორზე ვსწავლობდი, სუფრა გავაკეთეთ ჩემს სახლში, ოცდაათი კაცი ვისხედით სუფრასთან, ზოგი, ვინც რაიონში ცხოვრობდა, ჩემთან დარჩა. ენ რაოდენობის აფხაზი მეგობარი მყავდა. დღემდე მყავს აფხაზი თანაკურსელები. ჩემი მეგობარია ლუდა კოლონია, მედაქალებოდა, ოჩამჩირელი იყო ეს ლუდა, სხვათა შორის, და ჰყავს თბილისში გათხოვილი ქართველზე, ჯერ კიდევ მაშინ, თვითონ ლუდაც ქართველს უყვარდა, მაგრამ ამ მშობლებს ის ვერ მოეწონებინათ, ერთი თბილისში რომ იყო გათხოვილი, მეორე არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ, რომ ქართველს გაჰყოლოდა. არ გააკეთეს ეს ამბავი. რომ დაიკარგა სოხუმი, მას მერე სულ მეხმიანება.

გათხოვდა, აფხაზი ჰყავს ქმარი, სამი შვილი ჰყავს, სოხუმში ცხოვრობენ, ძალიან კარგად ვართო – მითხრა. **კაკ ვამ ჟივოტსია ბეზ ნას**–მეთქი და **ოჩენ ხარაშოო** – მიპასუხა, ისე მეწყინა ეს სიტყვები, რომ მეტი არ შეიძლებოდა. აქ ჩამოდის, ხან სამკურნალოდ, ხან – სხვა საქმეზე, ვხვდებით ერთმანეთს, ვსაუბრობთ, ისე არ ჩამოსულა, რომ არ შემხვედროდა, რომ არა სიყვარული, ეს ალბათ, ასე არ იქნებოდა. იქაც არასდროს არ შემინიშნავს მისთვის სხვაგვარი დამოკიდებულება. იყვნენ იქ ისეთებიც, აი, ხომ იცი, გუდაუთელი აფხაზებივით, ქართველები რომ არ უყვარდათ, ისეთები, ბიჭებიც იყვნენ და გოგოებიც იყვნენ, როგორ არ შემინიშნავს სხვაგვარი დამოკიდებულება, მაგრამ პირადად ჩემთვის არასდროს არ უგრძნობინებიათ. ძალიან ნორმალური ურთიერთობა გვექონდა, სანამ ომი არ დაიწყო, არასდროს არ მიგვრძნია პირადად ჩემ მიმართ რაიმე უარყოფითი დამოკიდებულება. არასდროს. აი, 1989 წელს 15 ივლისი იყო. ისე კარგად მახსოვს, იმიტომ, რომ ჩემი დის დაბადების დღე იყო, ჩემს სახლში სუფრა იყო გაშლილი, მამაჩემი მოვიდა სისხლიანი, გაუბედურებული, ყველაფერი ხომ ორჯონიკიძის პარკში მოხდა, სადაც ის მუშაობდა. ბავშვები სახლში არ გაუშვათ, ყველას მე წავიყვან, ისეთი ამბავია ქალაქშიო. მაგრამ პირადად მე ეს არასდროს არ მიგვრძნია, რუსულ სექტორზე უნივერსიტეტში ხომ აფხაზი ლექტორები მყავდა ძირითადად, ერთი თორნიკე იყო ყიფიანი და მეორე – რეზო გოგუაძე, დანარჩენები – აფხაზები, მაგრამ არასდროს არაფერი არ მიგვრძნია. არა, არასდროს. თვითონ ლუდასთანაც, ახლაც, ვთხოვე მამაჩემის საფლავის ამბავზე, იქ, სადაც თითქოს დამარხული უნდა იყოს, **ვადაკანალთან** ახლოს. გამიწყრა, რატომ ადრე არ მითხარი, ბიძაჩემი ამ ვადაკანალის უფროსი იყოო. ახლა უკვე ისიც გარდაცვლილია, მაგას აუცილებლად ეცოდინებოდაო. ძალიან უნდოდა, დამხმარებოდა. ერთადერთი, რაც მეწყინა მისგან. ის იყო, კითხვაზე როგორ ცხოვრობთ–მეთქი, კარგადო, მიპასუხა. მე მყავს კიდევ ერთი მეგობარი ნარგიზა, ბერძენიშვილია გვარად, დედა ახლაც სოხუმში ჰყავს, 85 წლისაა ის ქალი. ყველა ზაფხულს ჩადის დედასთან.

მ. კ. – დედა ქართველია?

ლ. დ. – ჰო, ქართველია. ნარგიზა მოსკოვში ცხოვრობს და იქიდან ყოველ ზაფხულს სოხუმშია. და იცი, რა მითხრა? სოხუმში მკვდარიაო. მკვდარიაო. მე ჩემს სახლში ვცხოვრობ, მაგრამ მაინც ვცდილობ, გარეთ არ გავიდეო. ხანდახან ხომ მოგინდება ზღვაზე გახვიდე, მაინც მეშინიაო, შიში მაქვს მაინცო. მაინც სხვანაირი სიტუაციააო, არ არისო ძველი სოხუმში, არ არისო გაღაღებული ცხოვრება.

მ. კ. – ქართველები ბევრნი არიანო დარჩენილები სოხუმში?

ლ. დ. – არიანო, მაგრამ ბევრი არაო. მათ არავინ ერჩისო, ყოველ ზაფხულს ჩავდივარო, ასეთი რამ ერთხელაც არ გამიგონიაო. ეს ქალი ის-

ეთია, ლევან ჯანგველაძე რომ არის და ტარიელ ჯანგველაძე, იმათი ალალი ბიძაშვილია და შეიძლება ამიტომ ხელს არავინ ჰკიდებს. მთელი ზამთარი ის ქალი მარტოა იქ, მეზობლების იმედად.

მ. კ. – აფხაზების? მეზობლობენ?

ლ. დ. – კი, აბა? მეზობლობენ. 85 წლისაა და ისინი უვლიან. ის ერთი თვე რომ ჩადის, ისეთ სურათებს დებს, გაგიჟდები. აყვავებულია იქაურობა. ისეთი ეზო აქვთ. ამას ხომ უვლის ის მოხუცი?

მ. კ. – სად ცხოვრობენ ისინი სოხუმში?

ლ. დ. – იცი, სად? დიძარიაზე, სადგურისკენ, დომ კულტურასთან შესახვევი რომ არის

მ. კ. – ეზოიანი სახლია?

ლ. დ. – კი, ეზოიანი. და ეს მოხუცი ამას უვლის. რაც მთავარია, ხელს არავინ უშლის. ხან ნარგიზა ჩადის, ხან – მეორე და.

მ. კ. – როგორ ჩადიან? საზღვარზე პრობლემებს არ უქმნიან?

ლ. დ. – მათ ორმაგი მოქალაქეობა აქვთ და იმ პასპორტით მათ პრობლემას არავინ არ უქმნის. შვილებიც ხშირად არიან იქ. ბიჭები, მართალია, არასდროს არ ჩასულან იქ, მხოლოდ გოგოები. ბიჭები დაბადებულნი კი არიან სოხუმში, მაგრამ ჩასვლით არასდროს არ ჩასულან.

მ. კ. – უფრთხილდება, ეტყობა.

ლ. დ. – მართალია, მათ მამას, ჯონის, არ უომია, მაგრამ მაინც. ვაჟა-ფშაველაზე ცხოვრობდნენ ესენი.

მ. კ. – ახლა რატომ არ ცხოვრობენ ვაჟა-ფშაველაზე?

ლ. დ. – ვაჟა ფშაველაზე გათხოვდა ეს ნარგიზა, დიძარიაზე მისი მშობლების სახლია.

მ. კ. – იმ სახლს რატომ არ აკითხავს?

ლ. დ. – მიაკითხა და გაუბედურებულია იქაურობაო, ცოცხალი იქ არავინაა.

მ. კ. – რას ამბობს, რას ფიქრობენ აფხაზებით?

ლ. დ. – არაფერს. ძალიან კარგად ცხოვრობენ უჩვენოდ. არანაირი განცდა არა აქვთ. ჩვენთან სამკურნალოდ ჩამოდიან.

მ. კ. – მოსკოვში რატომ არ მკურნალობენ? ცუდი ექიმები არიანო? თუ აქ უფასო რომ არის, იმიტომ?

ლ. დ. – სარგებლობენ, რა თქმა უნდა, მაგრამ ცხოვრება რუსებთან ურჩევნიათო. ჯერჯერობით ასეა და ვნახოთ, რა იქნება. იქაურ ახალგაზრდებს ჩვენ არ ვჭირდებით, ისინი ჩვენ არც გვიცნობენ, არანაირი კავშირი ჩვენთან არა აქვთ. არანაირი ბმა ჩვენთან არა აქვთ, ამიტომ არც ვუნდევართ. თან ისე არიან გაზრდილები, რომ ჩვენ მტრები ვართ. რა გასაკვირია, რომ არ ვუნდევართ. რაც არ უნდა გააკეთო, არ უნდევახარ და მორჩა. ჩვენი ასაკის აფხაზები ნახევარი რუსეთში ცხოვრობს, ერთი

ნახევარი გარდაცვლილია. ამიტომ რასაც ჩვენი მთავრობა აკეთებს, უფასო მკურნალობა და სხვა, კი გამოიყენებენ, მაგრამ იმის იქით არ წავლენ. ჩემი აზრით, რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ. სხვა რაღაცა უნდა გავაკეთოთ. მაგრამ რა, არ ვიცით.

მ. კ. – სიყვარული თუ გვიშველის?

ლ. დ. – ჰო, შეიძლება. სიყვარულს დიდი ძალა აქვს. აი ჩვენ, მაგალითად, როგორ გვმტრობდნენ თურქები, მაგრამ ახლანდელი ქართველები დიდი სიამოვნებით დადიან იქ, ოჯახებიც იქმნება. ასე რომ, სიყვარული ყოვლისშემძლეა.

მ. კ. – დიდი მადლობა, ლალი.

ლალი დავითაია [54 წლის]

(სოხუმი – თბილისი)

მარინე კაკაჩია

გეკირკიტება: სად მიდიხარ, რატომ მიდიხარ, ვისთან მიდიხარ!

ქ. მ. – ჩვენ ვართ ენათმეცნიერები, მარინე კაკაჩია და მე, ქეთევან მარგიანი. მოვედით შენთან, გაწუხებთ იმისათვის, რომ ვისაუბროთ ჩვენს მშობლიურ აფხაზეთზე, შენი წლოვანება, შენი ასაკი და საცხოვრებელი აფხაზეთში.

ი. ჯ. – მოგესალმებით, მე ვარ ირინე ჯოლოგუა, დაბადებული გალის რაიონის სოფელი ქვემო ბარლები, ვსწავლობდი ქვემო ბარლების საშუალო სკოლაში, რომელიც იყო მართლა განთქმული, სწავლა მიმდინარეობდა უმაღლეს დონეზე. რაც მე ძალიან მომწონს – ჩემი ბავშვობა, ჩემი სკოლა. ეხლაც ვიყავი, ჩავედი, მოვინახულე. გადმოვედი 16 წლის ასაკში, მე-10 კლასი დავასრულე იქ და მეთერთმეტე კლასელი ვიყავი, რომ წამოვედით.

ქ. მ. – ანუ სკოლა აქ დაამთავრეთ.

ი. ჯ. – 27 სექტემბერს წამოვედით მთელი ოჯახი ზუგდიდში, ანაკლიაში, სოფელში, სადაც მე-11 კლასი დავამთავრე იქ.

მ. კ. – იმ სკოლაში, ბარლებში, დღესაც მუშაობს, ქართულ ენაზე ასწავლიან?

ი. ჯ. – არა, რუსულად ასწავლიან, მაგრამ ქართული ენა არის ერთი საგანი, კვირაში ორჯერ. სიმართლე გითხრათ, ეგ არაფერი, მაინც იქ აქვთ წიგნები და ცდილობენ, ბავშვებს ასწავლონ ქართული, გამართულად ილაპარაკონ. მამიდაჩემი, მარინე ჯოლოგუა, ასწავლის მათემატიკას ეხლა იქ.

მ. კ. – რუსულ ენაზე?

ი. ჯ. – არა, ქართულ ენაზე, თუ ვინმე მოვიდა, მაშინ ასწავლის რუსულ ენაზე, მათ სანახავად.

მ. კ. – რუსულზე გადადის.

ქ. მ. – გასაგებია.

ი. ჯ. – ახლა ცოტა ვითარება შეიცვალა იმიტომ, რომ დირექტორი დაუნიშნეს აფხაზი ეროვნების. ამიტომ მანამდე ქართველი, ისევ ჩვენი სკოლის მასწავლებელი იყო, მაგრამ ეხლა აფხაზი ეროვნებისაა და ეხლა ცოტა სხვა სიტუაციაა, უფრო სხვანაირად...

ქ. მ. – ანუ კონტინგენტი ხომ ძირითადად გალის მოსახლეობაა, რომელთათვისაც ქართულად სწავლება, ბუნებრივია, უფრო მისაღებია, მშობლიურ ენაზე, მაგრამ ახლა პოლიტიკა ასეთია, გასაგებია.

ი. ჯ. – თუმცა ჩემდა გასახარად, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ბავშვები, ანუ იქაური მაცხოვრებლები, როგორც კი სკოლას ამთავრებენ, ყველა გადმოდის აქეთ. იქ არავინ არ რჩება და სწავლას იქ არ აგრძელებს.

მ. კ. – ანუ ქართული იციან?

ი. ჯ. – ქართული იციან, სალაპარაკო ქართული, იციან კითხვაც, წერაც, და, სხვათა შორის, ზუგდიდში არის ესეთი მოსამზადებელი კურსები, გადმოდიან მოსწავლეები, აბიტურიენტები, გადმოდიან და ასწავლიან იქ, ონლაინაც ხდება, სხვათა შორის, სახლებში. ერთვებიან ონლაინ და აბიტურიენტებს ამეცადინებენ ონლაინ.

ქ. მ. – მერე სახელმწიფოსგანაც დიდი დახმარებაა იმიტომ, რომ სწავლას უფინანსებს.

ი. ჯ. – დიახ, უფინანსებს და გამოცდებიც არა აქვთ ჩასაბარებელი. პირდაპირ არჩევენ, რომელი უნივერსიტეტი უნდათ, ხელს ადებენ და იქ სწავლობენ.

მ. კ. – სხვათა შორის, კარგადაც სწავლობენ.

ი. ჯ. – დიახ, ჩვენი იქიდან გადმოსული ბავშვები უფრო კარგად სწავლობენ.

ქ. მ. – რამდენჯერ იყავით აფხაზეთში ტკივილიანი 1993 წლის შემდგომ?

ი. ჯ. – თავიდან ჩემს მშობლებს ყოველთვის ჰქონდათ იმედი, რომ ა, ახლა დავბრუნდებით, ა, ახლაო. ანაკლიაშიც იმიტომ დავრჩით ის ერთი წელი, რომ სულ ელოდებოდნენ დაბრუნებას და გადადიოდნენ, გადმოდიოდნენ. მაგრამ რომ მიხვდა მამაჩემი, ამის საშველი აღარ იყო უკვე, წამოვედით თბილისში. მე ჩავირიცხე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე. დავამთავრე, ვარ ისტორიკოსი და ახლა ვასწავლი აფხაზეთის N 2 საშუალო სკოლაში და ვასწავლი სამოქალაქო განათლებას და ჩვენი საქართველოს ისტორიას.

ქ. მ. – ამ სკოლაში ახალი დირექტორი გყავთ?

ი. ჯ. – დიახ, ამ სკოლაში ახალი დირექტორი გვყავს, ძალიან პოზიტიური, ახალგაზრდა, მიზანდასახული.

ქ. მ. – ქრისტინე ავალიანი?

ი. ჯ. – დიახ, ქრისტინე ავალიანი, რომელიც ძალიან მომწონს, წარმატებებს ვუსურვებ.

ქ. მ. – ჩვენი, სოხუმის უნივერსიტეტის, დოქტორანტია.

მ. კ. – ჩვენი მიმართულების?

ქ. მ. – არა, ეკონომისტია. წარმატებებს ვუსურვებთ მას, თქვენს სკოლასაც და ახლა ამ ზაფხულის მოგზაურობების შესახებ მოგვიყვი.

ი. ჯ. – შეწყდა ჩემი სიარული, დაახლოებით ათი წელიწადი არ ვყოფილვარ და მეტი. მერე მოხდა ისე, რომ ჩვენ საბუთები არ გვაქვს იმიტომ, რომ წამოვედით, წამოვედით, მთელი ოჯახი წამოვედით...

მ. კ. – იქ, თქვენს სახლში, ვინმე ცხოვრობს?

ი. ჯ. – არა, სოფლებში არ ცხოვრობენ, სოფელი არ უყვართ, ამიტომ ჩვენთან არავინ არ არის, მაგრამ სახლს მამაჩემის ძმიშვილი უვლის. იქ არის და ბიცოლაჩემი, მამაჩემის ძმიშვილი. მინდა გითხრათ, რომ ხალხი, აი, ემოციური ფონი აქვთ ცოტა დამაბულები, სულ შიშის ქვეშ არიან, მაინც დამაბულები არიან. აი, რომ შეხვალთ, ეტყობათ იქ მაცხოვრებლებს და აქეთ, ენგურს გამოლმა მაცხოვრებლებს, განსხვავება ძალიან დიდია. ძალიან დიდი. სახეზე ეტყობათ, დამწუხრებულები არიან, ღიმილს ვერ ნახავ მათს სახეზე. ერთი სიტყვით რომ გითხრათ. მერე აღმოჩნდა ისე, რომ გაჩნდა ეს მოწვევები, ანუ საბუთიერად მოწვევები და ჩემმა ბიძაშვილმა გამიკეთა მოწვევა...

ქ. მ. – მოწვევას იქაური ნათესავი გიკეთებს თუ?

ი. ჯ. – დიახ, მე ძალიან მიყვარს, აი როგორ გითხრათ, სხვანაირად ვსუნთქავ, რომ შევდივარ იქ. ძალიან მინდოდა ჩემს შვილს ენახა. ჩემი მიზანი იყო, რომ ჩემს შვილს ენახა აფხაზეთი და მისი ემოციები მაინტერესებდა, როგორ შეადარებდა აქაურ და იქაურ ბუნებას თუნდაც, მოსახლეობას, სიყვარულს იქაურს, როგორ შეხვდებოდა და ა. შ. გავაკეთებინე ეს მოწვევა და შევედი. შევედი, მაგრამ გამაჩერეს და რატომ გამაჩერეს? ჩემი შვილი არის ბიჭი და **მუჟსკის** მაგივრად ეწერა **ჟენსკი**. მერე სანამ იქ ვიღაცა არ მოვმეზნეთ, ფული არ გადავუხადეთ, ვერ შევედით. მერე, როგორც იქნა, გაგვიშვეს და გვითხრეს, ამას იძახის რუსი, ოღონდ აფხაზი არაფერს არ გეუბნება. ჯერ აფხაზები ჩვეულებრივად დგანან, ნახა, არაფერი არ უთქვამს, გაგვიშვა. **რუსი აი გეკრიკიტება: აი სად მიდიხარ, რატომ მიდიხარ, ვისთან მიდიხარ.** რა მიგაქვს, მანახე, იმიტომ, რომ ისინიც ხვდებიან, ვინ არის იქაური, მით უმეტეს ამ ეროვნულ, ქართული პასპორტი თუ დაინახეს, ხდებიან აგრესიულები. მაგრამ მე შევეწინააღმდეგე, ვუთხარი, რატომ არ მიშვებთ, ეს ჩემი შეც-

დომა არ არის, თქვენ დაუშვით შეცდომა. მე ამას არ გავასწორებო, ეს იმათი შეცდომააო. იმათიო – იმახიან აფხაზებზე. იმათაც არ უყვართ ერთმანეთი.

მ. კ. – როდის უყვარდათ ერთმანეთი?

ი. ჯ. – და მეუბნებიან, რომ სანამ არ გაასწორებ, უკან უნდა გაგიშვავო, გინდა, არ გინდა, იძულებული ვარ, წავიდე სოხუმში, რომ გავასწორო ეს თავიანთი შეცდომა..

ქ. მ. – და ეს ხდება 2023 წელს?

ი. ჯ. – ამ ზაფხულს, წელს (2023), შუა აგვისტოში,

ქ. მ. – სოხუმში რით მიდიხარ?

ი. ჯ. – მანქანით.

ქ. მ. – საკუთარი მანქანით?

ი. ჯ. – მანქანით, დიახ, იმიტომ, რომ ჩვენები, ვინც იქ ცხოვრობენ, ფერმერები არიან, მოდით ასეთ ტერმინს ვიხმარ, ფერმერები არიან, ჰყავთ უამრავი საქონელი, აქვთ შემოსავალი. სოფლის მეურნეობა არის უმაღლეს დონეზე იმიტომ, რო მუშაობენ, შემოსავალიც აქვთ, ამიტომ ყველას ჰყავს მანქანა.

მ. კ. – არ აყაჩაღებენ, არ ართმევენ?

ი. ჯ. – ადრე იყო, ახლა – არა, ეს წინათ იყო. იარაღი და რაღაცა.. მოკლედ, წამიყვანეს სოხუმში, მივედი, ვიყავი აფხაზეთის, სასტუმრო აფხაზეთთან, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განახლებული, არის გარკვეული ნაწილი ტურისტებისთვის, ერთი ქუჩა არის გაკეთებული, მინდა გითხრათ, და დანარჩენი, რომ მიდიხარ, არი ძან ცუდი სანახავი. გზა არის გაკეთებული.

ქ. მ. – გალიდან გზა სოხუმამდე? მთელი მონაკვეთი?

ი. ჯ. – და გზა რომ მიდის, რამაც მიიქცია ჩემი ყურადღება, ბილბორდებია გაკეთებული, სადაც გარდაცვლილებია ომის დროს. გარდაცვლილები.. გარდაცვლილები...იმიტომ, რომ სულ რომ ახსოვდეთ ეს, და ჩემი იქ ყოფნა დაემთხვა ომის დაწყების დღეს – 14 აგვისტოს და ჰქონდათ მარში, ალლუმი, რომ იტყვიან. ამ პატარა ბავშვებს ამ სურათებს აკავენ და მიდიან მემორიალთან, რომ ეს ასე ახსოვდეთ. ჰოდა, მივედი ახლა. რიგი არის. უზარმაზარი რიგი. და არიან უზბეკები, სომხები, სხვათა შორის შავკანიანები, ტაჯიკები. ბიჭები და რატომ არის რიგი? თურმე მიდიან სამუშაოდ რესტორნებში, კაფეებში და იდგნენ ყველანი დროებითი ვიზის მისაღებად და ჩვენ ახლა, როგორც ყოველთვის, უნდა...

ქ. მ. – ეს რესტორნები და კაფეები ასეთი იმით მუშაობს, ამდენი მუშახელი რომ სჭირდება?

ი. ჯ. – მივედი, ზღვას ვუყურებდი, დავჯექი, ყავას ვსვამდი, იმდენად ვიყავი მოწყურებული ამ სცენას და იმას...

მ. კ. – ქართველები არ შეგხვედრია სოხუმში?

ი. ჯ. – გამაფრთხილეს, ქართულად არ მელაპარაკა სოხუმში, ჩემმა შვილმა არ იცის მეგრული, უნდა ილაპარაკო ან მეგრულად, ან – რუსულად. რუსული იცის ძალიან კარგად, მე-5 კლასელია, მაგრამ პროტესტი გამოაცხადა, არაფრით არ ილაპარაკა რუსულად, ლაპარაკობდა სულ ქართულად, მეკითხებოდა სულ ქართულად, ვეუბნებოდი: დედა, არ თქვა. რატომ? ყველა ლაპარაკობს თავის ენაზე და მე რატომ არ შემიძლია ვილაპარაკო ქართულად ჩემს ქვეყანაში? თან ამას იძახის. და ვინც მომყვება, მეუბნება: გეხვეწები, გააჩერე, თორემ ვინმესთან პრობლემები გვექნება. მაგრამ ეს ახლა იმდენად მაღალ ხმაზე არ ლაპარაკობდა, რომ გაეგოთ, მაგრამ მაინც, მე, მაგალითად, მიხარია.

ქ. მ. – მე-5 კლასელისთვის ასეთი განწყობა, ასეთი დამოკიდებულება, ყოჩაღ!

ი. ჯ. – რა თქმა უნდა, ჩემი დამსახურებაც არის, მე მიყვარს და სულ ვეუბნები, მე არ მყავს აფხაზეთიდან მეუღლე, მყავს იმერეთიდან, მაგრამ ვცდილობ, რომ ჩემი... დედულეთი უყვარდეს. მინდა გაგიზიაროთ კიდევ ერთი, ჩემს შვილს ჰქონდა ესეთი კითხვა, როგორც კი ჩავედი. ყველას რატომ აქვს ორი სახლი? ვუხსნიდი, რომ ერთი არის სამზადი, მეორე სახლი არის სტუმრებისთვის; ეს ძალიან მოეწონა და გაგიჟდა მის დახვედრაზე. პირველად რომ იყო ჩასული, ყველა რომ ეფერება, ყველას რომ ხელით დაჰყავს, ვინ რას ანახებს, სად მიჰყავს. გოჭებიო, ძროხებიო, ესენი რომ ანახეს, მოეწონა. ყველაზე მტკივნეული თემა ჩემთვის იყო სასაფლაოები. პირველი, სადაც მე მივედი, ეს იყო ბებია – ბაბუა, ჩემი წინაპრების საფლავები.

მ. კ. – საფლავები შემორჩენილია, დაცულია?

ი. ჯ. – კი, ჩემი ბიძაშვილი უვლის, ძალიან კარგად უვლის და ეს იყო ჩემთვის, რა ვიცი, ძალიან ემოციური.

მ. კ. – იქ, სოფელში, ერთმანეთს რომელ ენაზე ესაუბრებიან?

ი. ჯ. – სხვათა შორის, ქართულად, იმიტომ, რომ იქ არავინ არ უზღუდავს. იქ სხვები არ არიან და ამიტომ.

ქ. მ. – იქ მხოლოდ თვითონ არიან და ამიტომ.

ი. ჯ. – მეორე, სადაც წავედი...

მ. კ. – აფხაზეთში ჯოლოგუები აფხაზები არიან.

ი. ჯ. – კი არიან, ბევრნი. სულ ვიყავი ოთხი დღე, მეორე დღეს წავედი ჩემს სკოლაში, დასვენება იყო და არავინ არ იყო, დაკეტილი იყო, მაგრამ მივედი, წრე შემოვუარე, ვიდეო გადავიღე, მოვეფერე და მერე ვნახე ჩემი კლასელები, ვინც იქ არიან, ზღვაზე წავედი, სოხუმის ზღვა კი

არ იყო, მაგრამ ჩვენთან არის, გაგიდასთან. ეს ზღვაც მოვინახულე და ემოციებით, სიხარულით, ბედნიერებით აღსავსე მოვბრუნდი უკან.

ქ. მ. – სოხუმში კიდევ რა ადგილებში იყავი, არ გახსოვს?

ი. ჯ. – ერთი სანაპირო და ეშბას ქუჩა იყო, სადაც ვიყავი, მეტი დრო არც იყო.

მ. კ. – ქუჩაში, რომელი ენა ისმოდა?

ი. ჯ. – ლაპარაკი სულ რუსული იყო, ტაჯიკური, აფხაზურიც მესმოდა.

მ. კ. – აფხაზური გესმოდა?

ი. ჯ. – კი, მესმოდა, სხვათა შორის, კაფეში რომ დავსხედით, ჩვენს გვერდით იჯდა ხანშიშესული კაცი თავის შვილიშვილებთან ერთად, ჩემი ბავშვის ქართულს რომ გეზულობდა, ჩვენკენ იყურებოდა სულ, რატომღაც მგონია, რომ აფხაზი იყო მაინც, მაგრამ ხმა არ ამოუღია და არაფერი არ უთქვამს.

მ. კ. – როგორ ენატრებათ ალბათ, იმ საცოდავებს...

ქ. მ. – უფლება არა აქვთ, ალბათ.

ი. ჯ. – როგორც კი მირიანი, მირიანი ჰქვია ჩემს ბიჭს, ქართულად დაილაპარაკებდა, ყურადღება ჩვენკენ ჰქონდა მომართული. აი, ესეთი ის იყო.

ქ. მ. – აი, თვითონ, აი რიგითი აფხაზები გალში არ ცხოვრობენ, გასაგებია, მაგრამ აი, განწყობა მაინც, იმიტომ, რომ შიშის ქვეშ ისინიც არიან.

ი. ჯ. – რიგითი აფხაზები არიან, რომ გითხრათ, ყველაფერი არის რუსების, კაფე რუსისაა, ეს რუსისაა, ერთი – ორი შეიძლება რესტორანი, მაგრამ მუშები და მოსამსახურეები არიან ესენი.

მ. კ. – აფხაზები?

ი. ჯ. – მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა .

მ. კ. – ტაჯიკებიც, ალბათ.

ი. ჯ. – არა, აფხაზები, აი ოფიციანტები იქ, სადაც მე ვიყავი, ტაჯიკი ბიჭებიც იყვნენ, გოგოებიც იყვნენ, მაგრამ მაინც აფხაზები იყვნენ და უფროსი – რუსი.

ქ. მ. – ხალხმრავლობა ქუჩებში, მაგრამ რაკი ეს დღე იყო, მარში და ა.შ. გასაგებია. დიდად – არა და ეს გზის გაკეთება გამიკვირდა. მე გამომიგზავნეს კოდორიდან ვიდეოები, აი როგორიც ხიდები დავტოვეთ მაშინ, ისეთი იყო. აი, ძლივს მანქანამ გაიარა.

მ. კ. – გალი სხვაა, დადიან, პროდუქტებს ყიდულობენ.

ი. ჯ. – გალი არის სავაჭრო ცენტრი, მათთვის ბედელია, კვირაში ორჯერ -სამჯერ აქვთ ბაზარი ყოველ დღე არ არის: ორშაბათი ოთხშაბათი, პარასკევი, მაშინ მოდიან და მიაქვთ.

ქ. მ. – ეგ არის გალის ბაზარი? როცა პროდუქცია მიაქვთ. აჰა!

ი. ჯ. – სოფლიდანაც მაშინ გამოაქვთ, იმიტომ, რომ იციან, როდისაა ბაზარი, როდისაა ბაზარი, როდის გაიყიდება ყველი, ყიდიან ძირითადად, კვერცხი, რაღაცა.

მ. კ. – ნატურალური პროდუქტები მოაქვთ სოხუმში და სხვა ფასად ყიდიან

ი. ჯ. – ჰო, გალის ფასი არის სხვა და სოხუმის ფასი – სულ სხვა, ვერ მიეკარები, ისეთი ფასებია.

მ. კ. – აქ რომ ერთ ლარად იყიდიან, იქ ყიდიან ათად.

ი. ჯ. – მაგალითად, სულგუნი აქ რო 10-15 იყიდიან, იქ ყიდიან 30-ად.

ქ. მ. – და ვალუტა, რომელი ფულით ვაჭრობენ?

ი. ჯ. – რუსული, რა თქმა უნდა.

ქ. მ. – ე. ი. რუბლებით ვაჭრობენ, არა?

ი. ჯ. – რომ ვიცოდი ეს, წინასწარ ვიყიდე რუსული ფული, ლარს კი გართმევენ, მაგრამ ძალიან დაბალი კურსით, რომ მერე თვითონ მოიგონ. ამიტომ სპეციალურად ვახურდავებ, რომ იქ რომ შევალ, რუსული მქონდეს.

მ. კ. – ე. ი. იქ რუსული ფულია, ცხადია, რუსეთისაა ტერიტორია, რუსულია.

ი. ჯ. – ჰო, რუსულია, იქ ყველაფერი რუსებისაა.

მ. კ. – რა თქმა უნდა, აბა, ის ბილბორდები ვინ ჩამოკიდა?

ი. ჯ. – არა, განწყობა მაინც ჩვენკენ უფრო არიან, მაგრამ ახალი თაობა ცოტა სხვანაირად აზროვნებს იმიტომ, რომ იმდენად ცუდად ასწავლიან ამ მოყოლილ ისტორიას. აი, როგორც მტრები ვართ და აი როგორი გენოციდი მოვუწყვეთ და რა გავაკეთეთ და, რა ვიცი, მან ისეთია.

მ. კ. – ახალგაზრდები მოწამლულები არიან.

ქ. მ. – მტრის ხატს ქმნიან ჩვენგან.

ი. ჯ. – მე ასე მგონია, ჩვენ თუ, თუ კი არა, უნდა დავბრუნდეთ, ორ წელიწადში იქნება სამოთხე. დამერწმუნეთ, ბათუმში აღარავინ არ წავა.

ქ. მ. – რა თქმა უნდა, როდის დადიოდნენ.

ი. ჯ. – ეხლა ხომ კარგი გაკეთებულია, მაგრამ დამერწმუნეთ, მაინც ჩვენთან წამოვლენ, ასე მგონია და მომკალით, თუ გინდათ, ასე მგონია.

ქ. მ. – აფხაზეთი ულამაზესი კუთხეა საქართველოსი, რას ამბობთ?

ი. ჯ. – აი, ერთი ვიდეო მინდა განახოთ, ვიდეო მაქვს გადაღებული გზაში.

მ. კ. – ფოტო არა გაქვთ, ფოტო, გამოვიყენებდით ფოტოსაც, იქნებ გამოგვდგომოდა, წიგნსაც მოუხდებოდა.

ქ. მ. – კი, კი, როგორ არა, წიგნშიც გამოგვადგებოდა. ფოტომასალასაც დავურთავთ. ე. ი. ეს 93-დან დღემდე მერამდენე ჩასვლა იყო ახლა?

ი. ჯ. – მეოთხე, ალბათ.

ქ. მ. – მეოთხე, ალბათ, სოხუმში პირველად იყავი?

ი. ჯ. – პირველად. პირველად ვიყავი და მუხლებმა დამიწყო... იქ ძალაუნებურად, რაღაცნაირად ემოცია რაღაცნაირად დამეუფლა: მუხლები, ხელები მიკანკალებდა, ესეთი ის მქონდა, ძაან ემოციური.

მ. კ. – რა განსხვავება იყო პირველ ჩასვლასა და მეოთხე ჩასვლას შორის, რა განსხვავება იყო?

ი. ჯ. – სოხუმში ჩასვლაზე იყო ასე, თორემ ჩემთან ჩასვლაზე – არა, იმიტომ, რომ გარკვეული პერიოდის მერე ხომ ჩავედი და სოხუმში, ბავშვობაში ხომ ყოველ წელს დავდიოდით, ბიძაჩემი იქ ცხოვრობდა და ყოველ წელს დავდიოდით, ახალ წელსაც დავდიოდით და, მაგრამ ხომ მახსოვდა, და ეს და ძაან ისეთი ემოცია მქონდა განსხვავებული. უნებლიე მოძრაობები მქონდა, ეს კანკალი და ეს...

ქ. მ. – როგორ მესმის ახლა ეს შენი მონათხრობი იმიტომ, რომ აი 93-ში სოხუმის მერე, რომ გვეგონა მთელი აფხაზეთი დავკარგეთ, იმედია, დროებით და არა – მუდმივად. ამის მერე ჩავფრინდი კოდორში და თან გენწვიშში დაეშვა ეს ვერტმფრენი და რომ გადმოვედი და ისევ დავაბიჯე ფეხი იქ, იმ მიწაზე, აი მახსოვს, როგორ ამიკანკალდა მუხლები განცდებისგან: თან სიხარულისგან, თან ტკივილისგან!

ი. ჯ. – აი, ნახეთ, აი, ეს ქუჩა გავიარე მე მარტო, აი, ეს.

მ. კ. – ხო, სანაპიროს ქუჩა.

ქ. მ. – ამის გაყოლებაზე ბოლოში ფრუნზეს ქუჩაზე იყო ჩემი ძმის ბინა.

ი. ჯ. – აი, ეს ქუჩა გავიარე და ხედავთ ხალხს?

ქ. მ. – ხალხი... ძალიან ცოტა...

ი. ჯ. – ძალიან ცოტა, იმიტომ, რომ, აი, ტურისტებსაც არა აქვთ, უსაფრთხოების ისიც – განცდა, რომ უსაფრთხოდ იქნებიან და აი ეს ქუჩა...

მ. კ. – ხო, ეს ქუჩაა სანაპიროსი.

ი. ჯ. – აი, ხომ გაკეთებული აქვთ, მაგრამ ამის წინ არის ეს. ახლა განახებთ, აი, ეს აქვთ გაკეთებული, ამის იქით ეს განადგურებულია.

ქ. მ. – „ამრა“...

ი. ჯ. – ეს ვითომ გაკეთებულია, ამის იქით კი განადგურებულია.

ქ. მ. – იქ როგორი კარგი კაფეები იყო!

მ. კ. – აბა!

ი. ჯ. – კიდევ, აი ეს რაღაც ახალი შადრევანი გაუკეთებიათ, ეს უნდა განახოთ. აი, ეს, ეს არ იყო და ახალი გაკეთებულია. აი, მოედანზე არის გაკეთებული.

მ. კ. – ამ სანაპიროს აქეთ მხარეს, სასტუმრო აფხაზეთისაკენ რომ არის, იქ არის გაკეთებული.

ი. ჯ. – ჰო, სასტუმრო აფხაზეთისაკენ. აი, გზა როგორ აქვთ გაკეთებული ლამპიონებით!

მ. კ. – კარგი გზა გაუკეთებულია.

ი. ჯ. – ეს მინდოდა, ყოველთვის ტრაფარეტები მომეხვედრებინა და აი, ეს კოდორის ხიდი...

მ. კ. – კოდორის ხიდი!

ქ. მ. – ჩვენი კოდორის ხიდი... და ტრაფარეტებზე არსად ქართული წარწერა?

ი. ჯ. – არა, მე საერთოდ, არ ვიცი, ზოგიერთი მიმსგავსებულია და მიხვდები, რა არის, და ზოგიერთი საერთოდ ვერ გავიგე, რა სახელი ეწერა.

მ. კ. – მარტო აფხაზურად წერია თუ რუსულადაც?

ი. ჯ. – რუსულად და აფხაზურად წერია.

ქ. მ. – და ინგლისურად არ წერია, ხომ?

ი. ჯ. – არა, ინგლისურად – არა.

ქ. მ. – ე. ი. იქ გეოგრაფიული სახელების გადარქმევის ტენდენცია მიდის, ამ თვალსაზრისით რა შენიშნე?

მ. კ. – მოიცა, კოდორს სხვა სახელი ხომ არ დაარქვეს ნეტავი?

ი. ჯ. – არა, არასწორად ეწერა უბრალოდ, მაგრამ სოფლებს აქვთ სახელები შეცვლილი და აი ეს – სოხუმში შესასვლელი.

მ. კ. – კელასურიდან?

ი. ჯ. – ჰო, კელასურიც მაქვს გადაღებული. მთელი გზა ვიღებდი, მთელი გზა... არ გავჩერებულვარ.

ქ. მ. – ჰო, ეს გზა...

ი. ჯ. – აი ეს გემი იყო, რუსული გემი, ბათუმიდან რომ გაუშვეს, ის გემი იყო, იქ იდგა. აი, ეს კაფე, სადაც ვიყავით, ეს მენიუ მორთმევით, სხვათა შორის, მომსახურება ცუდი არ ჰქონდათ ნამდვილად.

ქ. მ. – და კერძებიც მაშინაც და ახლაც გემრიელი იქნებოდა. შებოლილი ხორცები და შებოლილი სულგუნები.

ი. ჯ. – აი, ამ შენობაში ვიყავით.

მ. კ. – უი, ეს ფილარმონიაა ჩვენი, არა, „დომ ვრაჩა“...

ი. ჯ. – აი, აქ გაგვიკეთეს საბუთები. ვიზები და საბუთები აქ კეთდება.

მ. კ. – ეს რა ქუჩაა?

ი. ჯ. – არ ვიცი ნამდვილად, რომც დავკვირვებოდი, შეცვლილი აქვთ ქუჩების სახელები. დაღუპულების სახელებია.

მ. კ. – ოქტომბრის ქუჩას ჰგავს. ექიმთა სახლი...

ი. ჯ. – ეს იყო ეშბას ქუჩა, მე მგონი. რა გითხრათ, ზღვა ემოციები ნამდვილად მქონდა.

ქ. მ. – ყველაზე დიდი იმედგაცრუება რა იყო? იმედის მომცემი რა იყო?

ი. ჯ. – არავითარი წინსვლა არ არის, ისევ იქ არიან, იქ კი არა, უფრო უკან არიან კიდევ.

ქ. მ. – როგორც 30 წლის წინ დავტოვეთ.

მ. კ. – იმ დროშიც არ არიან, ცოტა უკან არიან.

ი. ჯ. – აი, ეს ვიდეო, მე არ მინახავს, გამომიგზავნეს, როცა ბავშვები ამთავრებენ სკოლას, იქ ხომ მე-11 კლასია, როცა ბავშვები ამთავრებენ, ქალაქში, აი, როცა ადლუმი ტარდებოდა, გახსოვთ 1 მაისს...

ქ. მ. – ასეთი რამე ხდება?

ი. ჯ. – ასე, ტრაფარეტები მოაქვთ და აცხადებენ გალის ეს სკოლა, მოდიან ეს ბავშვები, კაბებით და ...

ქ. მ. – ფორმებით...

ი. ჯ. – არა, ფორმებით არა, სადამოს კაბებით და მთელი ფეირვერკები.

მ. კ. – სკოლის დამთავრებას აღნიშნავენ...

ი. ჯ. – კომუნისტურ პერიოდში რაც იყო, ის დარჩა. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

ქ. მ. – დიდი იმედგაცრუება... გავიგეთ, იმედის მომცემი რა იყო?

ი. ჯ. – ახალგაზრდები, რომლებიც ცდილობენ, ჩემი მოსწავლეებიც აქედან ცდილობენ დაუკავშირდნენ ონლაინ, დაუმეგობრდნენ თავის თანატოლებს, ეს ტიკ-ტოკიც, გავრცელებული ხომ არის...

ქ. მ. – ბევრ საშუალებას იძლევა.

ი. ჯ. – ბევრ საშუალებას იძლევა და უმტკიცებენ, რომ ჩვენ ვიყავით ერთნი და ჩვენ არ გვქონდა გასაყოფი და ეს ყველაფერი რუსის ბრალია და ცდილობენ, გააგებინონ და სხვათა შორის, ბევრმა იცის ეს იქ. არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებიც ემუქრებიან, ლიხნიდან არის ერთი მაგარი ბიჭი, რომელიც დეტალურად ყვება, რატომ ვართ ჩვენ ცალცალკე, რატომ უნდა ვიყოთ ერთად.

ქ. მ. – გვარი და სახელი ხომ არ იცით?

ი. ჯ. – არა, არ ვიცი, თუ შემხვდა კიდეც, ყოველთვის აკეთებს კომენტარებს, როცა უწერენ და უფროსი თაობა რომ დაუწერს, მაშინ ყოველთვის ცდილობს, აუხსნას, რატომ აკეთებს ამას და რატომ...

ქ. მ. – თავად გალში, შენი წინაპრების ადგილსამყოფელში, რა განწყობაა?

ი. ჯ. – რა განწყობაა და იმედგაცრუებულები არიან ძაან. ყველა ცდილობს, რაც დრო გადისო, ყველაფერი უარესდებაო. თქვენო, რა კარგია უცებ წახვედით, ჩვენ აქ დავმკვიდრდითო, ჩვენ აქ არც იქ ვართო და არც – აქო. ბიცოლაჩემმა მითხრა ესეთი რამე: თქვენ უფრო ბედნიერები ხართო, ყველა ერთად ხართო. ჩემი ერთი ბიძაშვილი აქ არის, დედა არ გადმოდის და მეორე მას ვერ ტოვებს და გინდა –არ გინდა ოჯახები გათიშულია, შვილიშვილები აქ სწავლობენ. ჩვენც მალე წამოვალთო.

ქ. მ. – აი, გაუარესებაში რას გულისხმობენ?

მ. კ. – ეკონომიკურად ხომ მოძლიერდნენ?

ი. ჯ. – კი, ეკონომიკურად კი მოძლიერდნენ, მაგრამ ფსიქოლოგიური კიდე და რაც უფრო. გარდა ამისა, გადასახადებს ისინიც უმატებენ, პასპორტი არა აქვთ, აი დავუშვათ, ფულიც რომ მისცე, ძან რთულად კეთდება.

მ. კ. – პასპორტს არ აძლევენ ქართველებს?

ი. ჯ. – კი აძლევენ, მაგრამ ერთი წელი ლოდინით.

ქ. მ. – აძლევენ რუსულ პასპორტებს, ხომ?

ი. ჯ. – არა, არა.

ქ. მ. – აბა, ქართულსაც?

ი. ჯ. – არა, აფხაზურს, მაგრამ იქ წერია, რომ შენ ქართველი ხარ.

ქ. მ. – ააა, ეროვნებაც წერია?

ი. ჯ. – არა, იქ გეკითხებიან ეგრევე, რომ... ეგ არ უცდიათ. მართლა რა-ღაცა მწვანე პასპორტია.

მ. კ. – აფხაზეთის ცალკე პასპორტი არსებობს?

ი. ჯ. – კი...

მ. კ. – ადგილობრივი მოხმარებისა...

ი. ჯ. – პასპორტს რატომ არ აძლევენ თურმე, არის ასეთი გავრცელებული, რომ ბევრნი აღმოვჩნდით ჩვენ, ქართველები.

ქ. მ. – ახლაც კი?

ი. ჯ. – ომის შემდეგაც, იმიტომ, რომ იქ ნამდვილი აფხაზები არიან ძალიან ცოტა,

ქ. მ. – ანუ აფსუები?

ი. ჯ. – დიახ, ამიტომ ცდილობენ, ქართველი რძალი მოიყვანონ, სიძე ჰყავდეთ და ჩვენთან ცდილობენ, იმიტომ, რომ უფრო დანათესავებას, მაინც ჩვენკენ არიან, რო ნახეს, რომ ჩვენ უფრო მეტი ვართ, ჩვენთან უკვე გააძნელეს ამ პასპორტის გაცემა და ვიდ ნა ჟიტელსტვო და დროებით მაცხოვრებლები არიან.

მ. კ. – სჭირდებათ ასე.

ი. ჯ. – სტატისტიკა რო ნახო, უფრო მეტი ვართ, ეს მათვის ძალიან ცუდია.

ქ. მ. – ეს ეროვნება ქართველი რომ წერია, კარგია, მეიმედა.

ი. ჯ. – იქ თუ არ ჩაწერე ეროვნება – ქართველი, გამოდის რომ აფხაზი ხარ, ხომ?

მ. კ. – მე რაც მახსოვს ისაა, რომ აქედან ჩასულებს, ყოველთვის სთავაზობდნენ პასპორტში აფხაზის ჩაწერას, მამაჩემის ბიძაშვილი რომ ჩამოვიდა, პირდაპირ უთხრეს, აფხაზად თუ ჩაეწერები, სოხუმში ჩაგწერთო.

ქ. მ. – კი, კი და პრივილეგიებიც ჰქონდათ.

ი. ჯ. – ეხლა ჩვენ შემოგვითვალეს, რომ ჩვენი სახლი ხომ მაინც მიტოვებულად ითვლებოდა, ჩვენს სახლს გაუკეთეს ესეთი ბეზხოზნი (უპ-

ატრონო), ანუ არავისი არ არის, ანუ ცარიელია, შეუძლიათ გაყიდონ, რაც მოუნდებათ აკეთონ, მერე, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს ძაან ესეთი იყო და, მაინც ხომ არ ვცხოვრობ, ვერ ვცხოვრობ, მაგრამ ეს ჩვენი სახელია. ჩვენ ჩაწერა არ გვაქვს, ამოწერილები ვართ, ანუ იქაურები არ ვართ, და გავაკეთეთ ისე, რომ ჩემმა ბიძაშვილმა დაისაკუთრა ჩემი სახლი და ბაბუაჩემის სახლიც.

მ. კ. – სჯობს, რომ მის სახელზე იყოს.

ი. ჯ. – სჯობს და ჩვენ აქედან ვაგზავნით გადასახადს, მიწის, სახლის ნალოვს რასაც ეძახიან, გადასახადს ვაგზავნით წელიწადში ერთხელ.

მ. კ. – გადასახადი დაადეს ახლა ამ სახლს?

ი. ჯ. – წელიწადში ერთხელ ას ლარს ვაგზავნით, ეს საკმარისია მთელი წლის მანძილზე. ეს არის გადასახადი.

ირინე ჯოლოგუა [46 წლის]

(ქვემო ბარდები – სოხუმი – თბილისი)

ქეთევან მარგიაი

მარინე კაკაჩია

პლასტუნკელი ქართველების დახმარებით

მ. კ. – მადონა, ნამგალაძეები როგორ მოხვდით ეშერაში?

მ. ნ. – ბაბუაჩემი ყოფილა იმერეთიდან ჩასიძებული ხობში, იქ დაბადებულია მამაჩემი, რომელიც შემდეგ სოხუმში ჩამოსულა სამუშაოდ და დასახლებულა ეშერაში.

მ. კ. – შენც აქ დაიბადე?

მ. ნ. – დიახ, დავიბადე 1955 წლის 11 სექტემბერს, სოხუმის რაიონის სოფელ ქვემო ეშერაში.

მ. კ. – ეს სოფელი ხომ აფხაზებით იყო ძირითადად დასახლებული?

მ. ნ. – არა, რატომ? ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობდით ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები. მრავალეროვანი სოფელი იყო. ვმეზობლობდით, ჭირსა და ლხინში ერთად ვიყავით.

მ. კ. – სად სწავლობდი? ეშერაში?

მ. ნ. – დიახ, ექვსი კლასი ეშერის სკოლაში დავამთავრე, შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წამიყვანეს წალვერში დეიდასთან, სკოლაც იქ დავამთავრე. სწავლა განვაგრძე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე 1977 წელს.

მ. კ. – სად გაგანაწილეს? მაშინ ხომ განაწილება იყო? არა?

მ. ნ. – კი, განაწილებით. გალის რაიონში.

მ. კ. – მათემატიკის მასწავლებლად რომელი წლიდან მუშაობდი და სად?

მ. ნ. – 1978 წლიდან მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი ეშერის საშუალო სკოლაში. ეს სკოლა სოხუმის რაიონის საბაზისო სკოლა იყო და სამი სექტორი (ქართული, აფხაზური და რუსული) ფუნქციონირებდა. მე, რა თქმა უნდა, ქართულ სექტორზე ვმუშაობდი.

მ. კ. – ამ სამი სექტორის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს როგორი დამოკიდებულება გქონდათ ერთმანეთთან?

მ. ნ. – ძალიან კარგი, არავითარი განსხვავება ჩვენ შორის არ არსებობდა, დირექტორი იყო აფხაზი – კომუნა ჭედია, სასწავლო ნაწილის გამგე – ქართველი, ნათელა ციკოლია.

მ. კ. – პედაგოგიური საბჭოს სხდომები რომელ ენაზე ტარდებოდა?

მ. ნ. – რა თქმა უნდა, რუსულად, ჩვენი ურთიერთობის ენაც ხომ რუსული იყო?

მ. კ. – და არავითარი დამაბულობა კოლეგებს შორის არ არსებობდა?

მ. ნ. – არა, ყოველ შემთხვევაში 1989 წლამდე, სანამ მე იქ ვმუშაობდი, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა პედაგოგებს. ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი – ყველანი ვმეგობრობდით და ჩვენს საქმეს ვემსახურებოდით. 1988 წელს დავოჯახდი, ბავშვი შემეძინა და იმ პერიოდში დეკრეტულ შვებულებაში ვიყავი. ხმები კი მომდიოდა, რომ დაიძაბა მდგომარეობა 9 აპრილის შემდეგ, რუსი ეროვნების მასწავლებლები აღშფოთებულან ქართველი მომხმარებლების მოთხოვნებით და მათი დასჯა მოუთხოვიათ.

მ. კ. – ე. ი. თქვენს სკოლასაც დაეტყო საერთო დამაბულობა?

მ. ნ. – ამ პერიოდის ამბებს ზუსტად ვერ აღვწერ, არ ვიყავი ამ დროს იქ. ჩემი საცხოვრებელი სახლი სოხუმში იყო, ამიტომ ეშერის ამბები მხოლოდ სხვისი მონათხრობით ვიცოდი.

მ. კ. – ომის დაწყების დროსაც (1992 წელს) დეკრეტულ შვებულებაში იყავი?

მ. ნ. – არა, ამ დროს ვმუშაობდი.

მ. კ. – ომის შემდგომ მოსკოვში როგორ აღმოჩნდით?

მ. ნ. – ჩემი მეუღლე სამხედრო კომენდატურაში მუშაობდა, ბოლომდე, 27 სექტემბრამდე სოხუმში ამიტომ ვიყავით. ბოლოს კი უმრავლესობასთან ერთად სვანეთისკენ გზას დავადექით. ორი პატარა ბავშვით სვანეთის გზაზე, რა თქმა უნდა, დიდი სირთულეების გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ ახლობლების დახმარებით მოვალწიეთ წალენჯიხამდის.

მ. კ. – დიდხანს იყავით წალენჯიხაში?

მ. ნ. – არა, მალევე გამოვემგზავრეთ მოსკოვში, იქ განცხადება შეიტანა ჩემმა მეუღლემ საზღვარგარეთ დევნილობასთან დაკავშირებით და

ჩვენი საკითხი განსახილველად გადაეცა ევროპულ სტრუქტურებს. მოსკოვში ყოფნა გაგვიჭირდა და მეგობარმა ჩემს მეუღლეს სოჭში საკუთარი სახლი დაუთმო დროებით საცხოვრებლად. გამოვემგზავრეთ სოჭში. აქედან უფრო მარტივი აღმოჩნდა ჩემთვის ჩემი ახლობლების – დედის, და-ძმის – ამბების გაგება.

მ. კ. – იცოდი რამე მათ შესახებ?

მ. ნ. – ჩემმა ძმამ, თემურიმ, იარაღი არ აიღო, ჩემს მეზობლებს ტყვიას ვერ ვესვრიო, ვერ მოვკლავო, გინდ რუსი იყოს, გინდ აფხაზიო, მაგათ ხომ არ დაუწყიათ, კი, მართალია, სხვამ დაიწყო, მაგრამ ესენი რა შუაში არიანო.

მ. კ. – სოხუმელებს დიდხანს არ აუღიათ იარაღი ხელში.

მ. ნ. – მერე რა მოხდა, თემური და მისი ცოლისძმა, ისიც ხომ ჩვენთან ცხოვრობდა, და ეს რომ დაიწყო, ციცი (რძალი) ბავშვებიანად, დედაჩემი, სადღაც რაღაც **ბუნკერივით** გააკეთეს იქით, უკან, ჩვენი მეზობელი რომ ცხოვრობდა იმის იქით კიდე და იქ იყვნენ დღე, ღამე მოდიოდნენ დასაწოლად. მერე ბავშვებიანებს დართეს უფლება, ბავშვებიანებს შეეძლოთ გამოსვლა და გუმისთის ხიდთან ციცი ბავშვებიანად და მისი ძმა მშვიდობით გადავიდნენ. თემური და დედაჩემი იქ დარჩნენ. თემურიმ თქვა: მე არ წავალ, დედას არ დავტოვებო. დედამ ეხვეწა, – არაო, დედა, მე არ მომკლავენო, არაფერიო.

ჩვენ გვერდით ხომ პოლიკლინიკა იყო, იქ იყვნენ აფხაზები დაბანაკებული და ერთხელ თემური მოდის თურმე, დაინახეს იქიდან, მოადგნენ იარაღით.

მ. კ. – ეს ვიღაცა უცხო აფხაზები?

მ. ნ. – ჰო, უცნობი აფხაზები. მეზობლები – არა, ჰოდა, დედაჩემი ეხვეწება, პროხას მოგცემთ, ამას მოგცემთ, ყველაფერს, რაც გინდათო. მერე ეცინოდნენ, ყველაფერი მათი არ იყო, შენი ნებართვა რაში სჭირდებათო?! ბედად ერთმა აფხაზმა იცნო. თემური მუშაობდა კინდლში, რაღაც ტეპლიცის უფროსი იყო, თუ რაღაცა, იქ აფხაზებთანაც ჰქონდა ურთიერთობა, ერთ-ერთი აფხაზი იქიდან აღმოჩნდა. ეს ისეთი ადამიანიაო, უთქვამს, მე კარგად ვიცნობო. ამას თუ დაიჭერთ, მაშინ მეც დამიჭირეთო, ამას თუ მოკლავთ, მეც მომკალითო. გადაუდგა თურმე იმათ და გაუშვეს. იმ ნაცნობმა აფხაზმა უთხრა: გირჩევო, ეს კაი ხანს არ დამთავრდებაო, როგორმე წადი აქედანო. შენ ახალგაზრდა ხარ, წლოვანს – დედაშენს – არაფერს არ უზამენო და შენ გადიო. ჩემმა დებმა მოიფიქრეს, ვითომ თემურის ბავშვები არიან ცუდად და ციცი გიბა-

რებსო. თემური, საწყალი, შეშინებული გამოვარდა იქიდან და მერე უკან აღარ გაუშვეს.

დედაჩემს სახლში მაინც არ ეძინა. დარსაველიძეები რომ ცხოვრობდნენ ჩვენს უკან, რკინიგზის უფროსი იყო ის კაცი, იმათთან ათევდა ღამეს.

მ. კ. – დედამ როგორ მოახერხა ეშერიდან გამოღწევა?

მ. ნ. – როგორ და, ის კაცი ამ დროს საავადმყოფოში იყო, მისი ცოლი ვერ წამოვიდოდა იქიდან და დედამაც არ დატოვა, როგორც დაქალები და წლოვანები; დედა იყო 62 წლის და ის 64 წლის. იმ ქალს უფროსი შვილი ჰყავდა სოჩაში, იქ ცხოვრობდა საერთოდ. იმან ადგა და ორი მეგობარი აფხაზი, ჰყავდა იქ მეგობრები, გამოუშვა მანქანით და უთხრა: მიდი ამ დედაჩემის სახლში, უთხარი, თამარა (დედაჩემი) და ეს ქალი ჩაეჯინათ და წამოეყვანათ. მოვიდნენ ესენი ამ ქალთან, იუღია ერქვა ამ ქალს, და უთხრეს: ჩვენ ხვალ 4 საათზე მოვალთ თქვენთან, ის თქვენი მეზობელი, მეგობარი თამარაც, მოემზადეთ, ოღონდ ერთი ჩანთით წამოხვალთო, მეტი არა. და ზუსტად გაემზადნენ ესენი. დედაჩემმა რამდენი რაღაცეები, ალბომი, სურათები მეზობელი რუსი გვყავდა, იმასთან გადაიტანა, რომ შერჩეს ესო, სხვენზე აიტანა რაღაც-რაღაცეები იქ დამალა და 4 საათზე მართლა მოვიდნენ ისინი, ჩააჯინა იმ კაცმა, მაგრამ უთხრა, ეცადეთ, გზაში თუ გაგვაჩერებენ, ქართულად არ ილაპარაკოთო. მე ვილაპარაკებ მაგათთანო და გუდაუთაში 4 საათზე რომ წამოვიდნენ, ღამე გუდაუთაში ერთ-ერთი აფხაზის ოჯახში გაათენინეს. დილით ადრე გავუდგეთ გზას, ვიდრე ამ ღამეს ვიაროთო. ისე კარგად მიიღეს იმ ოჯახმა დედაჩემი და ის ქალი! აფხაზებმა უთხრეს, რა ვქნათო? ჩვენ ვინ გვეკითხებაო, ერთობა გვქონდა თქვენთანო, ჩვენ მტრები არა ვართო, ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხებაო, ისე ხდებოდა ყველაფერი.

მ. კ. – მართალია.

მ. ნ. – მართლაც, მეორე დილას წავიდნენ და გადაიყვანეს დედაჩემი და ის ქალი და ის ქალი წარმოშობით იყო სოჩის რაიონიდან.

მ. კ. – პლასტუნკიდან?

მ. ნ. – პლასტუნკიდან, იყო ასეთი სოფელი სოჩის რაიონში. ხეცურიანი იყო, მე მგონი, გვარად ის ქალი.

მ. კ. – სოჭელი ქართველი იყო?

მ. ნ. – ჰო, იქ ხომ ბევრი ქართველები ცხოვრობდნენ პლასტუნკაში, ჩემი და ნამყოფია იქ, ოღონდ მე – არა. ამ დროს, ეს ხდება ოქტომბრის დასაწყისში, მე ვარ სოჩაში, არა – მოსკოვში და ამ დროს ტელევიზორ-

ში რომ ვუყურებ, აბაშმაძე თუ გახსოვს, ისინი გამოვიდნენ, თავწაკრული იყო ის ქალი და როგორ ბომბავდნენ და...

მ. კ. – ამას ტელევიზორში უყურებ?

მ. ნ. – ჰო, ტელევიზორში ვუყურებ და ვტირივარ, სად არის დედაჩემი, იქნებ ცოცხალიც აღარ არის და ამ დროს ციალა ციკოლია რომ იყო, ისიც, ჩვენ ვეხმიანებოდით ერთმანეთს, და იმან გამაგებინა, რომ დედაშენი და იუღია გადმოსულები არიან სოჩაშიო. გავიხსენე მერე ის, იმ ქალის, პლასტუნკაში რომ ცხოვრობდა, მისამართი და გავუგზავნე ტელეგრამა.

მ. კ. – პლასტუნკაში ?

მ. ნ. – ჰო, პლასტუნკაში და ზუსტად იმ შვილმა, რომელიც გამოსვლაში დაეხმარა, იმას ქართველი ცოლი ჰყავდა, ეშერელი, ის დამელაპარაკა, ორივე ცოლ-ქმარმა დამამშვიდა, ნუ ნერვიულობ, ნუ გეშინია, დედაშენი კარგად არის, აქ არის ჩვენთან. დედაჩემს ასთმა ჰქონდა, წამლები ვიყიდე, ჩემმა მულმა – თბილი ტანსაცმელი, ესენი ყველაფერი გავამზადე. ვიცოდი, დედაჩემი როგორი ხატრიანი იყო ესეთი, და მისამართი გამოვართვით და გამოვაგზავნეთ პლასტუნკაში. მე კიდევ იქ ჩემს ძმას, დებს ტელეგრამა გავუგზავნეთ, რომ დედა ცოცხალია, იმიტომ, რომ იმათ არაფერი არ იცოდნენ დედაზე. თემური ჩავიდა სოჩაში და წამოიყვანა დედა.

მ. კ. – როგორ წამოიყვანა?

მ. ნ. – გემით. გემით წამოიყვანა სოჩიდან ქობულეთში და იქ ჩემი უფროსი და ხომ იყო და იქ დაბინავდა დედა და თემურიც ფაქტიურად იქ იყო, იქ იყო ჩაწერილი. ციკო ბავშვებით ქობულეთში დასახლდნენ.

მ. კ. – თქვენს სახლში ახლა ვინმე ცხოვრობს?

მ. ნ. – არა, ჩვენი სახლი დაინგრა და ახლა იქ არავინ ცხოვრობს.

მ. კ. – თქვენ დიდხანს ელოდით ევროპიდან ვიზას?

მ. ნ. – საკმაო დრო გავიდა, სანამ დანიის საელჩოში დაგვიბარეს.

მ. კ. – დანიურ თავგადასავალს არ მოგვიყვები?

მ. ნ. – დანიური თავგადასავალი სხვა ისტორიაა და სხვა დროს იყოს.

მ. კ. – დიდი მადლობა.

მადონა ნამგალაძე [69 წლის]

(ემერა-სოხუმი-მოსკოვი-კოპენჰაგენი-თბილისი)

მარინე კაკაჩია

სვანური სიმღერა „დედემ-დედემ მირანგულა“

ქ. მ. – სახელი, გვარი, დაბადების წელი და ადგილი.

ზ. ქ. – ზაალ ქობალია, აფხაზეთი, გულრიფშის რაიონი, 1976 წელი.

ქ. მ. – თქვენ მეუბნებით, რომ **სოხუმელების მეგრული** მეტყველება, ქართულზე რომ არაფერი ვთქვათ, **განსხვავდებოდა მარტვილელი მეგრელის მეტყველებისაგან?**

ზ. ქ. – კი, კი, რა თქმა უნდა.

ქ. მ. – წელანდელი მაგალითები დამისახელეთ, როგორ თქვით? დილა, მაგალითად.

ზ. ქ. – დილას მარტვილელები ორდოს ეძახიან.

ქ. მ. – ლომი, ლომი როგორაა?

ზ. ქ. – ლომს თუ თქვენ, რამდენად ძველი მეგრულია, არ ვიცი ლომი, მაგრამ ისინი ..ომს ეძახიან.

ქ. მ. – ლომი ლომის მნიშვნელობით თუ სამუშაო იარაღი?

ზ. ქ. – სამუშაო იარაღი.

ქ. მ. – ე. ი. მარტვილელი იტყვის ომში, გაიხსენეთ რაა კიდევ ასეთი მაგალითები.

ზ. ქ. – არ ვიცი, კონკრეტულად რა გავიხსენო, მაგრამ ლ-ს ნაკლებად ხმარობენ მარტვილელები, **მეგრელები ხომ „ლ“-ს ამბობენ...**

ქ. მ. – კი, კი **საყოველთაოდ ცნობილია მეგრელების „ლ“ მთელ საქართველოში.**

ზ. ქ. – მარტვილელები ნაკლებად ამბობენ „ლ-ს“, ამიტომ ქართულად რომ საუბრობენ, ნაკლებად ეტყობათ მეგრელობა.

ქ. მ. – მივხვდი, მივხვდი, რასაც გულისხმობ. ე.ი. მეგრელობა ნაკლებად ეტყობათ მარტვილელებს. ესაა თქვენთვის აქცენტი, კიდევ აი, **სოხუმელების, გულრიფშელების, მეც გულრიფშელი ვარ, მეტყველებას შენ განარჩევი დანარჩენი სამეგრელოს, საქართველოს მცხოვრებლებისაგან, აი, რითი კიდევ?**

ზ. ქ. – აი, ჯვარში მაგალითად ლაიტს ეძახიან, ჩვენ სიმინდს ვეძახით, ისე ლაიტი უფრო მეგრულია.

ქ. მ. – შვილებს მეგრულად ელაპარაკები?

ზ. ქ. – სახლში – ქართულად, მეგრულადაც, ორივე, შერეულად.

ქ. მ. – თქვენი შვილები ხომ აქ დაიბადნენ დევნილობაში?

ზ. ქ. – კი, აქ დაიბადნენ, იციან მეგრული.

ქ. მ. – თქვენს შვილებს უნდათ მეგრული იცოდნენ?

ზ. ქ. – იციან მეგრული, მიჩვეული ვართ სახლში ქართულად საუბარს.

ქ. მ. – იგივე მდგომარეობა მაქვს მეც, ჩემმა შვილებმა აქეთ მომთხოვეს, რომ მესწავლებინა სვანური.

ზ. ქ. – შვილიშვილი მყავს პატარა, ახლა იწყებს ბურდღუნს, ქართულად რაღაცნაირად მიჩვეული ვარ. უფრო მეუღლესთან თუ ვსაუბრობ მეგრულად, დანარჩენთან უფრო ქართულად, თავიდანვე ასე მივეჩვიე.

ქ. მ. – კარგი, ღმერთს რა ენაზე ელაპარაკები და როგორ ლოცულობ?

ზ. ქ. – ქართულად.

ქ. მ. – კარგი, ძალიან კარგი.

ზ. ქ. – აი, მარტო რომ ვმოძრაობ, საკუთარ თავთან, მაშინ – მეგრულად.

ქ. მ. – რა კარგია, საკუთარ თავთან – მეგრულად. რა კარგი რამე მითხარი. აბა კიდევ ბავშვობისა გაიხსენეთ რამე სოხუმისა, გულრიფშის ამბები.

ზ. ქ. – დაწყებითი გულრიფშში დავამთავრე, მერე სოხუმის მე-2 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი.

ქ. მ. – ყველაზე კარგი მასწავლებელი ვინ გყავდა?

ზ. ქ. – რა ვიცი, მასწავლებელს ვერ ვიხსენებ, ცოტა მე ვიყავი რთული ასატანი.

ქ. მ. – რთული ასატანი ხომ? რაში გამოიხატებოდა შენი რთულად ასატანობა?

ზ. ქ. – რა ვიცი, ყოფაქცევა, უზრდელი და რამე არ ვიყავი, უბრალოდ აი, ისე რა, მოუსვენარი ვიყავი.

ქ. მ. – აჰა, ბავშვი ასეთიც უნდა იყოს, დონდლო რა მოსატანია.

ზ. ქ. – დაგვიანება მიყვარდა სკოლის პერიოდში, ხშირად მიწევდა კუთხეში დგომა.

ქ. მ. – ეგ მოსული ამბავი იყო მაშინ იმ სკოლებში.

ზ. ქ. – უფრო მე-5-6 კლასების შემდეგ.

ქ. მ. – თვითონ ურთიერთობების თვალსაზრისით, აი, აფხაზეთში სხვა ტიპის ურთიერთობა გვქონდა, სხვანაირი თანადგომა ვიცოდით, მეგრელებმა, სვანებმა, ერთმანეთში. აი, ხომ არ შეადარებდი ამ კუთხით დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოს?

ზ. ქ. – ახლა კარგი თვალსაზრისით ის არის, რომ ადრე ხომ ასე ვუყუარებდით 90-იანებში ეს კუთხე, ის კუთხე... ეს ახალგაზრდობა ერთად გაიზარდა, უკვე ეს დაიკარგა.

ქ. მ. – ჰა, კუთხეები?

ზ. ქ. – ჰო, არ ვხედავ, არ მესმის, ადრე მესმოდა. აი, მეგრულად საუბარზეც პრობლემა შეიძლება ყოფილიყო. პრობლემა იმ თვალსაზრისით, რომ რაღაცნაირად შემოგხედავდნენ. ახლა ვაბზე მსგავსი არაფერი არის. მე, პირიქით, ბევრი კუთხის ხალხი რომ გავიცანი, პირიქით, შემეყვარდა.

ქ. მ. – კი, ბატონო.

ზ. ქ. – მეგონა, თუ ვიღაცა იტყოდა, ეგრე იყო, სინამდვილეში ახლა ასე არ არის. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. კუთხე არ არსებობს ახლობელი, მეგობარი არ მყავდეს, ამ 30 წლის განმავლობაში რომ შევიძინე.

ქ. მ. – კი, რა თქმა უნდა. ეს თვითონ ადამიანზე, ალზრდაზე, შინაგან კულტურაზე არის დამოკიდებული, თორემ...

ზ. ქ. – ერთ ადგილას ვიყავი, სამეგრელოს ერთ სოფელში, მე ქართველი არა ვარო, ვიკამათეთ ამაზე, მასეთები ყოფს ამ ქვეყანას, ისედაც ცოტანი ვართ. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომ ის კახელია, იმერელია, რაჭველია, მეგრელია, ან მეგრელის მხარეს, მე სიმართლეს მხარეს გავიწევი იმიტომ, რომ ჩემთვის სულერთია, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს როდესაც არ ვიცოდი, მეგონა, რომ ის სხვადასხვაა, სხვა არ არის არანაირად.

ქ. მ. – მეც, სხვათა შორის, ერთ-ერთმა ინფორმატორმა, ეროვნება რომ ვკითხე, მეგრელიო – მიპასუხა. გაცემისგან ენა ჩამივარდა!

ზ. ქ. – ჩემს თვალში მასეთი კაცი არავინ არ არის. მაგას პირიქით, ვაბზე საერთოდ ქართველად არ ვთვლი. იქ ჩვენ ადამიანობას უფრო ვაქცევდით ყურადღებას, მეტი წილი, ვიდრე ეროვნებას. ალბათ სხვაგანაც ასე იყო, მაგრამ მე იქ რასაც ვხედავდი, იმას ვამბობ.

ქ. მ. – ზუსტად და მაინც...

ზ. ქ. – სოხუმში ბევრი მყავდა სვანი მეგობარი, ბავშვობის, ძალიან ბევრი. სკოლაში რომ ვსწავლობდი, იქ ბევრნი იყვნენ აფხაზეთის სვანები.

ქ. მ. – კი, კი ბევრნი იყვნენ, ჩემი ძმაც იქ სწავლობდა,

ზ. ქ. – კვიციანები, კვანჭიანები და რა ვიცი, ბევრნი.

ქ. მ. – ჩემი ძმაც იქ სწავლობდა, მე კოდორში დავამთავრე სკოლა, შემდეგ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი და მაინც. ახლა მეგრულად მითხარით ერთი-ორი წინადადება, ძალიან ლამაზი ენაა, ძალიან მუსიკალური და აი, დალოცვის წინადადებები ხომ არ გახსენდება. აი, საქართველოს როგორ დალოცავ მეგრულად?

ზ. ქ. – როგორ გითხრა, ჩვეულებრივად, რა ვიცი; მეგრულად?

ქ. მ. – ჰო, მეგრულად.

ზ. ქ. – დოხვამას ჩქინ საქორთუო ღორონთქ, გამთლიანებულ ქომძირდას! „დალოცოს ჩვენი საქართველო ღმერთმა, გამთლიანებული მენახოს!“

ქ. მ. – კი, ბატონო, სვანურად შემძლია დავამატო: რომ ზეცამ და ღმერთმა ერთი აღმაშენებელი გამოგვიგზავნოს ნეტავ და ერთი ილია ჭავჭავაძე, რომ კვლავ ეღირსოს ამ ქვეყანას ძღვეამოსილი გამარჯვებები, „ძღვევაი საკვირველიც“ და ქართველთა საოცარი ერთობა.

ზ. ქ. – ამინ! სვანური სიმღერა დედემ-დედემ მომწონს.

ქ. მ. – დედემ-დედემ მირანგულა, ფანტასტიურია და... მირანგულას დედაზეა ბაღადა!

ზ. ქ. – კარგად ჟღერს და კაი მოსასმენია!

ქ. მ. – სვანური საგალობლები – ლილე, მირანგულა, გაულ-გავხე, ჯგირაგიში... ხომ საერთოდ საოცრებაა, მაგრამ თავად იმ საგალობელზე რევაზ მარგიანის ლექსია ეს მირანგულა. საოცარი, საოცარი ლექსი აქვს და მისი თანამედროვე პოეტები როგორ მიმართავდნენ, იცი? მიმართავდნენ ასე:

ბატონო რევაზ მარგიანო, ენამზიანო,
მინდა სვანეთის სიყვარულში შეგეზიარო,
გაგეზიარო? ვერ გავხედავ, არ ვარ გულადი,
ვიცი, დამჯახბნი პირველივე მირანგულათი!

ქ. მ. – კარგია, არა?! დიმიტრი გიგიბერიას ეკუთვნის ეს სტრიქონები!

ზ. ქ. – არა მხოლოდ კარგია, სასწაულად კარგია!

ქ. მ. – კარგია. კარგი. ძალიან ძალიან დიდი მადლობა კარგ ამბებში შევხვედროდეთ ერთმანეთს !

ზ. ქ. – ღმერთმა გისმინოთ!

ზაალ ქობალია [48 წლის]
(სოხუმი-გულრიფში-თბილისი)
ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია
2023 წელი

დედაჩემი – იმერელი დემეტრაძე

ქ. მ. – თქვენი სახელი, გვარი, დაბადების წელი.

ა. ფ. – ანიკო ფირცხელიანი, 1965 წელი.

ქ. მ. – რამდენი წლის ხარ ეხლა?

ა. ფ. – ორმოცდაცხრამეტის.

ქ. მ. – სვანურად მითხარი ორმოცდაცხრამეტის.

ა. ფ. – ვაი, არ ვიცი.

ქ. მ. – აბა ვისი რძალი ხარ და როგორი?

ა. ფ. – მამარდაშვილების რძალი ვარ, მაგრამ როგორი, მე არ ვიცი.

ქ. მ. – ქალბატონო ნათელა (მეზობელი ნათელა კოპალიანი), თქვენ რას იტყვით?

ნ. კ. – ანიკო არის უძვირფასესი ადამიანი, ნიჭითა და უნარებით სავსე, მარტო ამის ყვავილები რომ ნახოთ, უნდა განახოთ, რომ წახვალთ, მოგეწონებათ. დაუზარელი, ჩემი ნახევრად ექიმი, ჩემი მშველელი, შუალ-

ამე რომ იყოს, დამიძახე, გამოვალო. მპატრონობს როგორც საკუთარ დედას, დეიდას. დაუზარელი, დაუზარელი. მე არ მიკვირს, მეც ასეთი ვიყავი, როცა ვმუშაობდი, არაერთხელ თავზე ვადექი ჩემს მეზობლებს, ცუდად რომ იყვნენ.

თ. ზ. – ის სიკეთე გიბრუნდებათ ახლა.

ნ. კ. – ვფიქრობ ახლა ჩემს გულში, მეც არ დამეზარებოდა, თუნდაც აფხაზეთში ამბავი რომ გავიხსენო: შუალამისას მოვიდა ახალგაზრდა ბიჭი, არიქა, მიშველეთო, ცოლი ვედარ მშობიარობსო, იქ ზემოთ, შელეგიებთან ცხოვრობდნენ. წავყევი, მოვალოგინე ის ქალი, ყველაფერი გავუკეთე, არ დავიზარე. ანიკოც დაუზარელია ოჯახიზა კარგია, ქმარშვილებიზა კარგია, ნათელაზე კარგია.

ქ. მ. – ჩვენ ენათმეცნიერები ვართ, ვიკვლევთ აფხაზეთურ ქართულს, გვანტერესებს, რა გავლენას ახდენდა სვანური, მეგრული ქართველთა მეტყველებაზე, რას გაიხსენებთ ბავშვობიდან?

ა. ფ. – რა ვიცი, აბა, რა გავიხსენო, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ოხურეი მეგრული სოფელი იყო, ყველანი ერთად მეგობრულად ვცხოვრობდით, ერთად ვიზრდებოდით. ძალიან კარგი დამოკიდებულება გვქონდა მეგრელებსა და სვანებს ერთმანეთთან.

თ. ზ. – კარგია, ასეთი ურთიერთობა რომ გქონდათ; ენაზე როგორ აისახებოდა, ეს არის საინტერესო, თქვენს მეტყველებაში შემოდიოდა ეს სიტყვები?

ა. ფ. – ვაიმე, როგორ არა! სვანურზე მეტად მეგრული ვიცოდი, ხო ვამბობ. მივიწყებული მაქვს, ვერ ვსაუბრობ, მე იქ დავიბადე და იქ გავიზარდე, მამაჩემი და დედაჩემი – ჩასახლებულები, ჩასახლებულები კი არა, დასახლებულები. ჩვენ ვიყავით დასახლებულები. მამაჩემს მიწა უყვია იქ შონიებიდან. მეგრელებმაც იცოდნენ სვანური, კი, ლაპარაკობდნენ.

თ. ზ. – მერე, როცა თქვენ მამარდაშვილის ცოლი გახდით, თქვენს მეტყველებაში უფრო სვანური სჭარბობდა თუ ლეჩხუმური შემოვიდა?

ა. ფ. – ლეჩხუმური, რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა მეგობრები რომ ვიკრიბებით ჩატს რომ ეძახიან, იმაში, იმერული კილო გაქო – მეუბნებიან.

თ. ზ. – დიახ, ახლა ნამდვილად იმერულ კილოზე საუბრობთ მიმიკებით, ყველაფრით, მაგრამ იქ ლეჩხუმური შემოვიდა, არა, თქვენს მეტყველებაში?

ა. ფ. – ლეჩხუმური კილო არა, არ მიმიღია, სულ ოთხი წელი ვცხოვრობდი იქ გათხოვების შემდეგ, სულ ოთხი, ქმრის ოჯახში. ვერ მოვასწარი.

ქ. მ. – და ქმარი სადაური იყო?

ა. ფ. – არადუში, არადუელი იყო.

ქ. მ. – დედათქვენმა რამდენ ხანში ისწავლა სვანური?

ა. ფ. – დედაჩემი იმერელი ქალი იყო, დემეტრადის ქალი ბაღდათის რაიონიდან, ე. ი. ბერიამ ესენი ჩაასახლა სოხუმის რაიონის სოფელ ეშერაში. დედული მე იქ მყავდა, სოფელ ეშერაში. იქ გაიცნო მამაჩემი, სვანეთიდან ჩამოსული მუშათ, ახლა ისტორიას გიყვებით, მოეწონათ ერთმანეთი და წაჰყვა სვანეთში, მესტიაში, წვირმიში.

ქ. მ. – ჰო, ფირცხელიანები წვირმიში ცხოვრობენ.

ა. ფ. – ორი წელი იქ ვიცხოვრეთო – დედაჩემი ყვებოდა და მერე ისევ აფხაზეთში დავბრუნდითო. იქ მიწა უყიდიათ, პატარა ხის სახლი დაუდგამთ.

ქ. მ. – და ორ წელიწადში უსწავლია სვანური?

ა. ფ. – ერთ წელიწადში ვისწავლეო – იხსენებდა დედაჩემი. ისე კარგად ვისწავლეო. მართლაც, რომ საუბრობდა, სვანის ქალი გეგონებოდა.

ქ. მ. – ოჯახში სვანურად საუბრობდით?

ა. ფ. – სვანურად ვსაუბრობდით, მერე მეგრელი რძალი მოვიყვანეთ და იმის ხატრით უფრო ქართულადაც და სვანურადაც ვსაუბრობდით.

ქ. მ. – აბა, მეგრულად დაუსვით კითხვები, აბა თუ გიპასუხებთ.

მ. ჯ. – მარგალურო ქომიწიით მუთუნ. „მეგრულად მითხარით რამე.“

ა. ფ. – მუ გიწუათ, მუ მიჩქ. „რა გითხრათ, რა ვიცი.“

მ. ჯ. – აბა, მეგრულად თუ იცით ორმოცდაცხრამეტი?

ა. ფ. – დავიწყებული მაქვს.

ქ. მ. – აბა, რაღაც ანდაზები თუ გახსენდებათ სვანურად?

ა. ფ. – არა, ანდაზები – არა.

ქ. მ. – მაგალითად ასეთი გამოთქმა „ღმერთმა მიშველოს“ როგორ იქნება სვანურად?

ა. ფ. – ღერბეთ მაშიდ, ეს კი, ეს მახსოვს,

ქ. მ. – რომელიმე სვანური ზღაპარი თუ იცით, ან მეგრული?

ა. ფ. – არა, ასეთები არა, ქართულად კი, ბოვშებს ვუყვობოდით, კი. მეგრულად და სვანურად – არა, ნამდვილად არა.

ქ. მ. – აფხაზეთიდან როგორ გადმოხვედით, ეს მოგვიყევით.

ა. ფ. – აფხაზეთიდან როგორ გადმოვედით და მე თავიდან, პატარები მყავდა შვილები: ორი და სამი წლის. აქ რომ გადმოვედით, წინდაწინ ვიყავით აქ სანატორიუმებში, რადგან ომი მიმდინარეობდა, შემდეგ სოხუმში რომ აიღეს, ჯერ არ იყო აღებული, შემოტევები რომ დაიწყო, 16 სექტემბერი იყო თუ 18, მაშინ ჩასულები ვიყავით, სკოლები გაიხსნებო, მაგრამ შემოტევა რომ დაიწყო, მანქანებით ოჩამჩირეში ჩავვიყვანეს ქალები და ბავშვები და სატვირთო ვაგონებით, მატარებლით კი არა, სატვირთო ვაგონებით, აი, თივა და ბოდიშით და საქონლის ფუნა, რა არ იყო, შეგვყარეს იქ და წამოვედით, ინგირამდე ჩამოგვიყვანეს, იქ

დაგვხვდნენ ზვიადისტები მთელი ამალით, გადმოგვიყვანეს, ყურადღება მოგვაქციეს, საავადმყოფოებში მოგვათავსეს. იქ გავათიეთ ღამე, მეორე დღეს წამოვედით აქეთ, წყალტუბოში. მანამდე მთელი წელი გავატარეთ სანატორიუმ „ივერიაში“, ამიტომ წამოვედით აქეთ. ოცი წელი ვიყავით იმ სანატორიუმში, მერე ეს აგვიშენეს და გადმოგვიყვანეს.

ქ. მ. – ახლა თქვენი ბავშვები რას შვრებიან?

ა. ფ. – ახლა ბავშვები დაოჯახებული არიან, გოგოს ორი შვილი ჰყავს: ბიჭი და გოგო, მეოთხე კლასი დაამთავრა. ბიჭმა ცოლი მოიყვანა და თბილისში არიან. სიძე და რძალი ადგილობრივები მყავს. სიძე თერჯოლეელია, რძალი – წყალტუბოელი.

ქ. მ. – წვირმიში როდის იყავით ბოლოს?

ა. ფ. – წვირმიში ახლა ვიყავი, ერთი თვის უკან, ბიცოლა გარდამეცვალა.

ქ. მ. – იქ, ოხურეში, ერთმანეთს როგორ მიმართავდით?

ა. ფ. – სვანებს – სვანურად და მეგრელებს – მეგრულად, ქართულადაც, რა თქმა უნდა. ჩემი ძმა ახლა ზუგდიდშია, იქ ცხოვრობს, მეგრულად ისე ლაპარაკობს, მეგრელისგან ვერ გაარჩევ. ქართულსაც მეგრული კილოთი ლაპარაკობს. ძმისშვილებიც ასევე.

ქ. მ. – საოჯახო ჩვევები, ტრადიციები, რიტუალი...

ა. ფ. – ჩემს ოჯახში, მაგალითად, მე ყველაფერს ისე ვასრულებდი, როგორც ჩემი დედამთილი ასრულებდა, მამარდაშვილებთან. იქ კი დედაჩემი საკურთხოვას ერთს არ გამოტოვებდნენ, რაიმე დღესასწაული თუ იყო, ლამპრობა თუ იყო, ხომ იცით, ლამპრობა იციან სვანებმა, ყველაფერი, ყველაფერი ძაან ტრადიციულად. აი, განსაკუთრებით მამაჩემი იყო განსაკუთრებით ტრადიციული. მამაჩემს დათქმული ჰქონდა, დედაჩემი დააცხობდა ლემზირებს, ყველიან ლემზირებს, მამაჩემი, მაშინ სპეციალური ნახშირი არ იყო, საკმეველი როა, ცეცხლს დაანთებდა, ნაკვერჩხალზე სანთელს დაათლიდა და იმაზე ლოცულობდა, მთელ რიტუალს ატარებდა. მამაჩემი აქაც, ზუგდიდში რომ იყო გადმოსული დევნილად, აქაც ასრულებდა.

ქ. მ. – წვირმელი ფირცხელიანებიდან ვინ გაგახსენდება?

ა. ფ. – რა ვიცი, ბევრი, ბიძაჩემი, ბიძაშვილები ჰყავდა მამაჩემს კოსტა ფირცხელიანი, ალფეზ ფირცხელიანი, მამაჩემის უფროსი ძმები, ბიძაშვილები, ერთად, ერთ ეზოში ცხოვრობენ. ერთი ეზო აქვთ ამგენს.

მ. კ. – კომპი აქვთ?

ა. ფ. – არა, კომპი არა აქვთ. ცოტა ქვემოთ ფირცხელიანები რომ ცხოვრობენ, ა, იმგენტან დგას კომპი.

ქ. მ. – სადღეგრძელოს თქმა თუ შეგიძლიათ სვანურად?

ა. ფ. – რა ვიცი, ვიტყვი ალბათ, რომ დამჭირდეს, ვიტყვი. ხოჩაამდუ ლარიდ! ღერბეთ უვ ლაგშედა! „კარგადამც ვიყოთ, ღმერთი შეგვეწიოს ყველაფერში“ ასეთ რაღაცებს მოვახერხებ, კიი!

ქ. მ. – აი, ვთქვათ, გინდათ დალოცოთ საქართველო, როგორ დალოცავ?

მ. კ. – ადამიანმა პრაქტიკულად სამივე ქართველური ენა იცის, მართალია, სვანური და მეგრული დავიწყებული აქვს, მაგრამ იცის, აბა, სამივე ენაზე დალოცეთ საქართველო!

ა. ფ. – გვიგვეი საქართველოს უვ ლახშედა ღერბეთ „ჩვენს საქართველოს შეეწეოდეს ღმერთის ძალა“დავიწყება ცოდნია სვანურს! აქ არავინ საუბრობს სვანურად, არც მეგრულად, თორემ მართლა ვიცოდი! კარგად ვიცოდი!

ქ. მ. – დევნილობის ოცდაათმა წელმა შეცვალა შენი მეტყველება.

ა. ფ. – კი, რა თქმა უნდა, ახლა აქაური კილო მაქვს.

ქ. მ. – ოხუერიში მეგრელებს მეგრელებს ეძახდით თუ ზანარს?

ა. ფ. – ზანარს, სვანურად ზანარს ვეძახდით.

ფირცხელიანი ანიკო [58 წლის]

(ოჩამჩირე-არადუ-წყალტუბო)

ქეთევან მარგიანი, თამილა ზვიადაძე,

მარინა ჯღარკავა, მარინე კაკაჩია

განცხადება „პროლი კრასკილია“

თ. ზ. – აქ ცხოვრების შემდეგ დაგრჩათ ისევ რუსული თუ აქ იმერულ დიალექტზე...

ზ. ჭ. – ამ ჩემმა ქალბატონმა იცის ქართული, მეგრული, იმერული...

ი. ბ. – ეხლა უფრო აქ გეიწიე, მეიწიე, მაცალე... მე იმერლებს ვეუბნები, რომ მე ვიცი ამდენი ენა, ვიცი იმერული, ვიცი ქართული, ვიცი მეგრული, ვიცი რუსული და ცოტა ბერძნული.

ქ. მ. – თქვენ გაიხარეთ.

ი. ბ. – იმერლები მეუბნებიან, რატომ ლაპარაკობ მეგრულად? სამუშაოზე, მე უთხარი, მე მეგრელი ვარ და ვლაპარაკობ მეგრულად, შენ რატო არ იცი რუსული, მე უთხარი, რატო არ იცი ან ცოტა მეგრული, იცი მარტო იმერული – მე უთხარი. ეს როგორო? თბილისში ჩადი, მე უთხარი, შენ ქართულად ვერ ილაპარაკებ, მე ვუთხარი, შენ ილაპარაკებ: მამუკიე, ქეთინიე, გამეიწიე, გეიწიე, მე სუფთა ქართულად ვილაპარაკებ თბილისში, იმერეთში ვლაპარაკობ იმერულად, მე კიდო ვეძახი მამუკიე, გამეიწიე,

გეიწიე. იქეთ იქნება საცხა, რაცხა – ვეუბნები. იმერულად ვლაპარაკობ მე იმერეთში, თბილისში ვლაპარაკობ ქართულად, რუსეთში ვლაპარაკობ რუსულად, აფხაზეთში ვლაპარაკობ ცოტა აფხაზურად.

ქ. მ. – აფხაზურიც იცით?

ი. ბ. – ცოტა ვიცი, სარა ბარა ბზიას ბოი – მე შენ მიყვარხარ და ასეთი ცოტა რაღაცები და ამიტომ ვეჩხუბები იმერლებს, მარტო იმერული რომ იციან მიტომ, ქართული არ იციან. ყოლფერი, ყოლფერი კი არა, ყველაფერი. შუქი ანთილიაო, ანთილია კი არა, ანთებულია. აი ასე.

თ. ზ. – კარგია, კარგია ძალიან.

ქ. მ. – ეგ რა არის, ჩემი ძმაც მოკლედ, **თაყვანისმცემელი იყო თბილისური ქართულისა და სავაჭრო გაერთიანების დირექტორი იყო აფხაზეთში**, ყველა მოკლედ, ისე რომ შევედით მთელი კომისია ერთხელაცო და კარებზე გაკრულია განცხადება: **პროლი კრასკილია**.

ი. ბ. – ა, პოლი კრასკილია, მეგრული.

ქ. მ. – პროლი, პროლი, თან პოლი არა. მოკლედ ეს იყო მისთვის ნომერ პირველი მოსაყოლი მოკლედ თბილისის ინტელიგენციაში. ახლა, ქალბატონო, თქვენ ჩვენთვის აღმოჩენა ხართ...

ი. ბ. – ეუჰ...

ქ. მ. – დიახ, დიახ. ამიტომაც წიგნისთვის აუცილებლად გვჭირდება თქვენი წლოვანება, რამდენი წლისა ბრძანდებით, სახელი, გვარი, მამის სახელიც, ბუნებრივია, და მერე გავაგრძელოთ საუბარი.

ი. ბ. – კაი, ბატონო, მე ვარ სამოცდათორმეტი წლის, იზოლდა ბალათურია, ჰოდა, მეტი რა გინდათ?

ქ. მ. – ყოჩაღ, ყოჩაღ!

ი. ბ. – გულრიფში ვცხოვრობდი.

ქ. მ. – გულრიფშელი ბრძანდებით?

ი. ბ. – ჰო და, სახლი გვქონდა ორსართულიანი და დედმამისშვილი ხუთნი ვიყავით ჩვენ.

ქ. მ. – დაბადებულიც გულრიფში ხართ?

ი. ბ. – დაბადებული ვარ მე სენაკში, პირველი კლასიდან აქ შევედი გულრიფში, იქ დავიბადე სინამდვილეში, მერე გადმოვედით, გულრიფში სახლი ვიყიდეთ და ვცხოვრობდით იქ.

ქ. მ. – კი, ბატონო, და შვილები რამდენი გყავთ?

ი. ბ. – ორი შვილი მყავს, გოგო-ბიჭი.

ქ. მ. – ამდენი ენა იცით და ოჯახში რა ენაზე საუბრობთ?

ი. ბ. – ჩვენ ოჯახში მეგრულად.

ქ. მ. – მეგრულად საუბრობთ, ძალიან კარგი, მშვენიერია, მშვენიერია.

ი. ბ. – ჩემი გოგო ინგლისურის, ინგლისურის მასწავლებელია, ბიჭი მე რასტოვში მყავს, იურიდიული დაამთავრა ბიჭმა, ჯარი დაამთავრა კო-

ჯორში, სპეცნაზი დაამთავრა და მერე ცოლი რომ მოიყვანა, რუს-ქართვე-
ლაა ცოლი, ჯინჯარაძეა, მარა მამა ქართველი ყავს და დედა – რუსი და
რასტოვშია და ორი ბავშვი ყავს მაგას, ზაფხულობით ჩამოდის.

ქ. მ. – ბალათურიების გვარის შესახებ რა იცით?

ი. ბ. – ბალათურიები არიან, მეგრელები არიან, ნუ, კაი ხალხია.

ქ. მ. – რას უკავშირდება სიტყვა ბალათურია, ბალათერს ხომ არ უკავშირ-
დება, აი, საკუთარ სახელს?

ზ. ჭ. – მეგრულად იქნება ბალდადელი ურია.

ი. ბ. – აბა, ბიჭო, აბა! აბა!

ზ. ჭ. – ხომ გინდათ ცოტა იუმორიც? თვითონ დაგიძახათ, ამოდით.

ი. ბ. – აბა, რა, კაცო, ისეთი მომეწონა, ცეცხლი და გენია, მეგრელებია ასე-
თი, შუსტრი გოგოა, შუსტრი...

თ. ზ. – მეგრელი გეგონა, მაგრამ არ აღმოჩნდა მეგრელი.

ი. ბ. – ხო, არ აღმოჩნდა მეგრელი, გათხოვილი ხარ?

ქ. მ. – კი, მეც ორი შვილი მყავს თქვენსავით.

ი. ბ. – აბა, შენ ვინ დაგტოვებდა, ვინ დაგტოვებდა შენ? ყავა მოუდულე!

ქ. მ. – არა, არ შეწუხდეთ!

ი. ბ. – რას ქვია?

ქ. მ. – გვიანია და... ჩვენ გვირჩევნია, გვესაუბროთ, გველაპარაკოთ. მარ-
თლა გვიანია.

თ. ზ. – ისე თქვენც თუ მესაუბრებით, მე ჩავწერ, კარგი?

ზ. ჭ. – ნეტ, აგიტაციო ი პროპაგანდუ ნე პროვაჟუ, ნე ნადო, იმიტომ, რომ
აფხაზებზე რომ ლაპარაკობთ, ცუდია. მან კარგი ხალხია მაგენი.

ქ. მ. – არა, ჩვენ ცუდს არ ვამბობთ.

ზ. ჭ. – ეგერ არის ბალათურია, მაგას ელაპარაკეთ!

ქ. მ. – თქვენი საუბარიც გვანტერესებს...

ი. ბ. – ჩაერთვება, ჩაერთვება.

თ. ზ. – ძალიან კარგი იუმორი გაქვთ და ჩავწერთ...

ქ. მ. – ასეთ ქალბატონს ვინ ეტყვის უარს?

ი. ბ. – ჩაერთე აგერ!

ქ. მ. – თქვენთან ერთი კითხვა მექნება მოკლედ. თქვენ ნიჭიერი ქალბა-
ტონი ბრძანდებით, აი, ამდენი ენა იცით, ხომ, საბერძნეთში ბერძნებს
ბერძნულად ელაპარაკოთ, აფხაზებს აფხაზურად ელაპარაკოთ, მოსკოვ-
ში რუსს რუსულად ელაპარაკოთ, აი, მე სვანურად შეგიძლიათ დამელა-
პარაკოთ? დიახ, დიახ სვანურად.

ი. ბ. – ხოჩა რე, მიშგუ ლადელ. „კარგი ხარ, შემოგველე, გენაცვალე“

ქ. მ. – აი ნახე, ნახე სვანურიც გცოდნია! კაარგი! ეგეც ჩავწეროთ!

ი. ბ. – ახლა თბილისში ცხოვრობთ?

ქ. მ. – დიახ.

ი. ბ. – ბავშვები დიდები გყავს?

ქ. მ. – სტუდენტები არიან.

ზ. ჯ. – კაცს სვანური გვარი ხო ქონდა?

ქ. მ. – დიახ, გასვიანი.

ზ. ჯ. – ამას აქს დედიდან სვანური – ჩაჩხიანი.

ი. ბ. – ჩაჩხიანი მყავდა დედა.

ქ. მ. – აჰა, აჰა, სასიამოვნო ესეც, სასიამოვნო. ახლა თქვენი ბავშვობიდან გაიხსენეთ რამე.

ი. ბ. – ბავშვობა მქონდა შესანიშნავი, შესანიშნავი კარგი. ყველაფერი გვქონდა ჩვენ ოჯახში: საქონელი, ქათმები, ინდაურები, არ გვიჭირდა. ეხლა ხუთი შვილი ხომ ვიყავით, ხოდა ის, კარგი ბავშვობა გვქონდა. სკოლაში რომ დავდიოდით, კაი მეცვა ყველაფერი, მამაჩემი, საწყალი, სულ მუშაობდა იქ მეურნეობაში. მეურნეობა იყო მანდარინის გულრიფში და იქ მუშაობდა და კაი ფულს აკეთებდა და არენდად ქონდა აღებული ნაკვეთი რა. კაი ბავშვობა მქონდა, ცუდი ბავშვობა არ მქონდა. ძალიან, ძალიან კარგი. და მერე ეს სკოლა რომ დავამთავრე, მერე ტექნიკუმი დავამთავრე საბუღალტრო, და მერე აფხაზები რომ შემოვიდნენ. ჯარი იმისი. თბილისის, საზიზღარი კაცის, რა ერქვა. კიტოვანი. ამანაა რომ ააწიოკა, თორემ მან კარგად ვიყავით. რუსებთანაც კარგად ვიყავი, აფხაზებთანაც კარგად ვიყავი, მეგრელებთან კარგად ვიყავი, სომხებთანაც კარგად ვიყავი, სომხური კიდო ვიცი.

ქ. მ. – სომხურიც იცით? და რა მაინტერესებს, კლასში გყავდათ აფხაზები, სომხები?

ი. ბ. – როგორ არა? რუსები გულრიფშის საშუალო სკოლაში იყო რუსული სექტორი იყო და ქართული და ისე სომხებიც იყო და ყოველნაირი იმისი იყო.

ქ. მ. – თქვენ რომელი სექტორი დაამთავრეთ?

ი. ბ. – მე? მე ქართული დავამთავრე.

ქ. მ. – ბავშვობიდან მაინც, აი, საქონელი გყავდაო, მოვლაში თუ ეხმარებოდით?

ი. ბ. – ყველაფერში ვეხმარებოდით ჩვენ, ბავშვები უსაქმურად არ ვიყავით ხუთივე, ყველაფერში ჩვენ ვეხმარებოდით დედ-მამას, მერე ვენახი გვქონდა, ყურძენს ვკრეფავდით, რაც იყო, მანდარინს ვკრეფავდით.

თ. ზ. – რომელი ჯიშები გქონდათ ყურძნის? ხომ არ გახსოვთ?

ი. ბ. – ცოლიკაური, თეთრი. მანდარინს ვკრეფავდით, იქ მეურნეობა იყო და ფულზე ვკრეფავდით მანდარინს, ტონობით ვკრეფავდით და მერე გვიხდიდნენ. თამბაქო იყო ჩვენთან, მაგრამ თამბაქოში კი არ ვმუშაობდით, ჩვენ უფრო მანდარინებში და ოჯახში ყველაფერს ჩვენ ვაკეთებ-

დით. პამოდორს ვრგავდით, კიტრი იქნებოდა, თუ რაღაცა, ხუთი ბავშვი და დედ-მამაც...

თ. ზ. – ფელამუშს არ აკეთებდით?

ი. ბ. – უ, როგორ არა!

თ. ზ. – ფელამუშს როგორ აკეთებდით?

ი. ბ. – ფელამუშს ახლაც ვაკეთებ, ხომ მოჰყლიტავდნენ ამ იმას, ყურძენს რომ ემახიან, ჩექმები იყო მაშინ, იმას, ჩექმები ახალი უნდა ყოფილიყო, ჰოდა, დაჰყლიტავდნენ ამას და ხო, ამ სალამოს, დღისით ხო გააჩერებდა, ამოიღებდა დედაჩემი იქიდან სოკს, წამოიღებდა იმას, საცერში გაწურავდა მაგას და მერე, რამდენი ლიტრა იყო, დაზომავდა და იმდენ იმას გაუკეთებდა, მაგალითად, სამ ლიტრას სამი ჭიქა, ორი სიმინდის ფქვილი იყო და ერთი – პურის ფქვილი და ამას აურევდა კარგად, კარგად და ნელ პარზე ამას ადუღებდა, ნელ-ნელა. ჩვენ შუაცეცხლი გვქონდა და ის ასეთი ნაჭა ქვია ნაჭა, მეგრულად ნაჭა ქვია, ხოდა აქედან შეშა რაღაცა სხვანაირი უნდოდა, რომ რაღაცა ჩაცვენილიყო, ტკაცს რომ დაიძახებეს, ჰოდა ამაზე, ისეთი გემრიელი იყო, მერე ასეთი ჩაშვები რა, საინები, ჰოდა ამაში დავახამდით და მეორე-მესამე, ერთი კვირა იყო, მერე მაცივარში ჩააწყობდა, ზევით რაღაცას რომ მოიდებდა, იმას გადათლიდა, ისეთი გემრიელი იყო, მერე მეზობლებსაც უგზავნიდით, ვისაც არ ქონდა ყურძენი.

ქ. მ. – ახლა მეგრულად მოგვიყევი, გებჟალიას როგორ აკეთებდი?

ი. ბ. – გებჟალიას?

ქ. მ. – მეგრულად!

ი. ბ. – ინა, ეულირ ყვალი ოკო, ხუცოლირ რე თინა, ეულირ, ხუცოლირი. ათეს გემკოპჭკირუნდით, ათაურე დულა წყარი, თის გენვოთანდით, გაფსინჯენდით, ათაშ გიწილებუდუ თინა და, ე. ი. შილებუდუ კეთება. მერე ათე დულას ქენვორღვანდით თეს ოდო დობზანდით, დობზანდით, თეურე გებშედანდით აშო დო, დობზანდით, დობკიჩუნდით, ხოლო დობზანდით, უკულ ათაურე გილ წყარით თის ათაშ მოფსიროტუნდით დუს დო სრიალა სულგუნი გამოვიდოდა, ჰოდა, ეთე ქენობდვანდით ჭიჭე კასრულს, უკულ ხოლო მაჟიას ჭიჭე ჯიმუს ქობლოლანდით, კინ მაჟიამა ქობლოლანდით...

ზ. ჭ. – ეს სულგუენია...

ი. ბ. – გებჟალიას უკულ, ღუმუს გუვაკეთენდით დო უკულ პიტნას დოპკაკუნდით, ხოდო, უკულ ათეს პიტნა დო ინა ხო ქორე, ათაშ დოპჭკირუნდით, უსვანდით ართ ფენას, უკულ მაჟიას, მუჭო ის, ნაპალეონს აკეთენა ჟირ ფენას, ჰოდო, უკულ ათაშ დოპჭკირუნდით ნაჭრებით დო მუმ ბჟაში ოკო უღუდუკო თავის რძეში და მერე კიდე ნადუდი, ზოგი კიდე, სქელი რომ ყოფილიყო, ცოტა ნადუდს...

თ. ზ. – აურევდა შიგნით.

ი. ბ. – ჰოდა, ისეთი იყო ღომთან, გადასარევი.

ქ. მ. – კიდეც რა გაგახსენდებათ მეგრული კერძები?

ი. ბ. – მეგრული კერძები, ხარჩო მარგალური...

ქ. მ. – აბა როგორ ვაკეთებთ?

ი. ბ. – ჩხოლუმ ხორცი, გავიადინა, ჩხოლუმ ხორცის დოპჭკირუნდით, ჯგირო დოფრჩხუნდით თესი, ხოდო აურე კასრულს ხახვის ჯგირო ტომატიტ თეს ქობლოლანდით, აურე ნემის დოპკაკუნდით, ურცხო სუნელს, ქინძი, ხმელი... თენეფი ირფელი, ოდო ათაურე ხო ქორე თე ხორცი მოხარშული, ქემვორღვანდით, ვურევედით ათაურე, უკულ ჭიჭე ის, წყარს ქენვობუნდით თის დო დოურენდით დო ხარჩოს ქინძის ქენვოჭკირანდით ჭიფე-ჭიფე და სუნი ქონდა გადასარევი!

ქ. მ. – ფანტასტიური! ახლა თქვენ მითხარით მეგრელის ყველაზე კარგი თვისება და ყველაზე ცუდი. ეს ისე, ზოგადად.

ი. ბ. – მეგრელი არის სტუმართმოყვარე, ძალიან, ეხლა რო არ ქონდეს დღეს, ხო, სტუმარი რომაა, მიწიდან ამოთხრის და მაინც გაახერხებს რაღაცას...

ქ. მ. – რომ თავი არ შეირცხვინოს, არა?

ი. ბ. – არა, ტი შტო. ან გოგო რომ გათხოვდება, ვალებს დაიდებს, ოღონდ ყველაფერი უნდა მისცეს. მაგალითად, მე არაფერი არ მქონდა, მაგრამ ყველაფერი მივეცი. რომ გადმოვედით იქიდან, გოგო რომ გამითხოვდა, ყველაფერი მივეცი, რაც არსებობდა. ეხლა კიდეც ვამღეფ. მამაკაცები უფრო ფსიხები არიან, მკაცრები არიან ოჯახში. ქალებს თავის ნებაზე და რაღაცაზე ისე არა. მეგრელებთან მაგი არ ხდება, ან რამე უღალატოს, ან შვილი რო არის, არა, მე ისე გავზარდე გოგო, რომ ყოველი ნაბიჯი ვიცოდი გოგოსი, უნივერსიტეტში ხო დადიოდა, თავის დრო ქონდა. ამ საათიდან აქამდე. ჰოდა, ასე გავზარდე, მაგი არ უნახია არავის და, რომ გათხოვდა, ქალები ამბობენ, აი, ეს გოგო ბიჭის ნაჯდომზე არ არის დამჯდარიო. ჩემს გოგოზე ამბობდნენ, ბიჭის ნაჯდომზე არ დამჯდარა ეს გოგოო. ასეთი არიან მეგრელები, აი ესაა ცუდი თვისება, ეხლანდელი თანამედროვე იმაში არაა ასე, მარა ჩვენ ასე გვზრდიდნენ, დედ-მამა ასე გვზრდიდა ჩვენ.

ქ. მ. – ასეთია ქართული მენტალობა ზოგადად.

ი. ბ. – სტროგი არიან კაცები, სტროგი.

ქ. მ. – არნოლდ ჩიქობავა ძალიან დიდი ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი ჰყავს სამეგრელოს და საქართველოს შესაბამისად და მთელ კავკასიას და იმას აქვს ნათქვამი, მოკლედ, რომ ამპლიტუდა კარგ მეგრელსა და ცუდ მეგრელს შორის დიდია, აი ძალიან დიდი! თუ მეგრელი არის კარგი, არ არსებობს საზღვრები, იმან რო არ მიაღწიოს სიკარგეში, მაგრამ აი ცუდიც, ცუდის საზღვრებიც! იქაც განუზომელია.

ი. ბ. – მეგრელი... მე სოხუმელი ვარ და სამეგრელოში სხვანაირები არიან, სიმინდს ქვია ლაიტი, ჩვენ სიმინდს სიმინდს ვეძახით.

ქ. მ. – ზუსტად ეს გვინდა ახლა ჩვენ. ანუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ აფხაზეთის ქართული მეტყველება განსაკუთრებულია ბევრი რამით, შესაბამისად გვაინტერესებს, აფხაზეთის მეგრელების მეტყველება როგორ განსხვავდება დანარჩენი სამეგრელოს სიტყვების დონეზე, ცალკეული გამოთქმების დონეზე. აი ასეთი მაგალითები კიდევ გაიხსენეთ, კარგი?

ი. ბ. – ისე კი განსხვავდება, ახლა ჩოგანს ვეძახით, ღომს რომ ვზელთ იმას, ისე ხვარჩელი ქვია.

ქ. მ. – მთელ სამეგრელოში?

ი. ბ. – კი, იტყვიან ხვარჩელი ქომუჩია, მამიდასთან რო ვიყავი, რა არის-მეთქი ეს? ჩოგანო, ჩოგანი ღომი რო ამოგვაქ. ეხლაო გამირჩიეო ლაიტი-სიმინდი.

ქ. მ. – ეს ლაიტი თითქოს პირველად გავიგონე.

ი. ბ. – გალელებიც კიდო ასე ამბობენ, ლაიტიო სიმინდზე.

ქ. მ. – ღომი ხომ მცენარეც არსებობს?

ი. ბ. – კი, როგორ არა – ღომის ღომი.

ქ. მ. – არ შეწუხდეთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ თქვენი საუბარი, სად და როდის დაიბადეთ?

ზ. ჭ. – დავიბადე სოხუმში, 1952 წელს. მამაჩემი პედაგოგი იყო, ქართულს ასწავლიდა აფხაზებს სკოლაში.

ქ. მ. – ეს რომელ წლებში?

ზ. ჭ. – 50-იან წლებში.

ი. ბ. – ამისი მამა ქართულს ასწავლიდა აფხაზებს სკოლაში, ერთი საგანი მიდიოდა აფხაზურად.

ზ. ჭ. – ერთი საგანი კი არა, მთლიანად სწავლება მიდიოდა აფხაზურად, ტოესტ, ქართულად, მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, ეგ შეიცვალა. პედაგოგიური ინსტიტუტი სოხუმში მერე გააკეთეს, მერე აშენდა, მანამდე იყო ტეხნიკუმი. ტეხნიკუმის შემდეგ სხვადასხვა სოფლებში – ბეღია, აგუბეღია, პატრახუწა ...

ი. ბ. – ერთი საგანი უნდა ესწავლათ ქართულად აფხაზებს, მაშინ მამაშენი ასწავლიდა აფხაზებს.

ზ. ჭ. – მათემატიკა, რუსულის გარდა, სხვა ყველაფერი ისწავლებოდა ქართულად, მერე აფხაზებმა მეითხოვენ, ჩვენ არ გვინდა ქართული, გვინდაო ჩვენ ენაზეო. მერე გაკეთდა, ერთი საგანი იყო აფხაზური, დანარჩენი იყო რუსულად.

ქ. მ. – რის საფუძველზე „მეითხოვენ“ ეგ, ხომ არ იცით, აფხაზებმა?

ზ. ჭ. – ჩვენი ენა უნდა იყოსო. ქართველებთან ერთად გააკეთეს ეს დამწერლობა.

ქ. მ. – თქვენ სად და სად სწავლობდით?

ზ. ჯ. – მე სოხუმში ვსწავლობდი.

ქ. მ. – რომელი სკოლა დაამთავრეთ?

ზ. ჯ. – მე-16 დავამთავრე.

ქ. მ. – უმაღლესი?

ზ. ჯ. – უმაღლესი არ დამიმთავრებია, საბუღალტრო კურსები.

ქ. მ. – სულ მუშაობდით ხომ? ახალგაზრდობის წლები გაიხსენეთ.

თ. ზ. – როგორ გაიცანით ეს მშვენიერი ქალბატონი?

ი. ბ. – ერთად ვმუშაობდით საკონსერვოში.

ზ. ჯ. – მე ვარ იძულებით გადაადგილებული პირი, მაიძულეს იქიდან წამოვსულიყავი. ექვსი თვე ვიყავი იქ ჩაკეტილი, შემდეგ ბორის ადლებას მამიდაშვილმა გადმომიყვანა.

ი. ბ. – ნაცემია მაგრად, არც ერთი კბილი არ ჰქონდა, რომ ჩამოვიდა.

ქ. მ. – მოგვიყევით ეს, ძალიან გვაინტერესებს.

ზ. ჯ. – მაგალითად, იქ ჩემთან მოვიდა წინ, ჭიშკართან ჟურნალისტი და ეკითხებოდა: კაკ ვი ვაევალიო, ჩვენ ცოტანი ვიყავითო, ძალიან გვიჭირდაო, აქეთ-იქითაო და... ჟურნალისტმა ხომ იცის, ესენი ვინ არიან, და შეეკითხა: რა გვარისა ბრძანდებითო. პასუხი იყო: კვერნამე, კირთამე, სიჭინავა, ნადარეიშვილი, ნაროუშვილი, კასლანძია... გაეცინა ჟურნალისტს. ერთი მოხუცი კაცი იყო იქ, ამის გაცინებაზე: ჩეგო სმეიოშსა, სინოკო, რატომ იცინიო, იკითხა. ოტეც, კტო ს კემ ვაევალო – ვინ ვის ებრძოდაო. გაიგეთ ახლა, რა უთხრა? ყველას მეგრულ-ქართული გვარები ჰქონდა. ეხლაც არიან იქ ასეთები.

ი. ბ. – აი, ტყებუჩავა ხომ არის ქართული გვარი, ერთი ძმა ქართველი იყო, მეორე – აფხაზი. ერთი გადმოვიდა ჩვენთან ერთად, მეორე იქ დარჩა, ვინც აფხაზობდა.

ზ. ჯ. – ყველამ იცის, ეს კონფლიქტი ისე არ მომხდარა. ეს იყო ჩადებული.

ი. ბ. – ეს რაზე ცემეს, იცით? ეს ხომ დარჩა, ვერ გადმოვიდა, ჩვენ გულრიფში წამოვედით და მერე გემით ძლივს გადმოვედით. ეს ვერ გადმოვიდა იმიტომ, რომ ბავშვები მე გადმოვიყვანე და მერე გადმოვალო და დარჩა. დარჩა, უკვე ისეთი მდგომარეობა იყო, მარა აფხაზი მეზობლები მყავდა ძალიან კარგი, ისინი ეხმარებოდნენ ამას და ძალავდნენ და მერე რამეფრად რომ ვინმეს რომ გამოეყვანა. ვიღაცას უთქვია, ამას აქვსო ბევრი ოქრო და ფულიო და გაიყვანეს ეს და უთხრეს, სად გაქვსო ოქრო და ფულიო? ამან უთხრა, არ მაქო ბევრიო, მაქო ნორმალურად რა, ყველაფერს მოგცემთ, ოღონდ არ მომკლათო. ჩვენ კარგად ვცხოვრობდით.

ზ. ჭ. – ან რუსმა გადაიყვანოს, ან სხვა ერის კაცმა ვინმემო, მე რა ოქროს საბადოში ხომ არ ვმუშაობ, ამდენი მოდიხართ, ფულს და ოქროს ითხოვთ-მეთქი.

ქ. მ. – ე. ი. ექვსი თვის მერე გადმოდით მხოლოდ?

ი. ბ. – ეს მარტო ხო, მარა რომ მოვიდა, თმები არ ჰქონდა, ვაზზე კბილი არ ჰქონდა, საერთოდ ასე ლაპარაკობდა, ჩვენ გავგოჟდით კინაღამ.

ზ. ჭ. – არავის არ უნდოდა ჩემი გადმოყვანა, ერთი ქართველიც გადმოწყვა, მაგრამ გადაგიყვანდა თუ არ გადაგიყვანდა, არავინ არ იცოდა. იქ გავიგე, რო გადაგიყვანთო, – უთხრეს, მარა მერე არ გადაიყვანეს, თვითონ აფხაზებმა თქვეს.

ი. ბ. – ბრილიანტები მქონდა, ოქრო მქონდა, კარგად ვცხოვრობდით, ყველაფერი მისცა, რომ არ მოეკლათ. ყველაფერი დაგვეკარგა რა, ვაზზე, რომ გადმოვედით, არაფერი არ გვექონდა. ჩვენ კარგად ვცხოვრობდით. ოქროც გვექონდა და ბრილიანტიც. გზაში პურს გვაძლევდნენ, შევარდნაძე იყო მაშინ. ფოთში რომ ჩამოვედით, რა გვექნა, არ ვიცოდით. ვილაცამ წყალტუბო, თქვა. მატარებელი დგასო, ლურჯას ეძახოდნენ იმ მატარებელს და წამოვედით, აქ რომ მოვედით, სად? არც ერთმა სანატორიუმმა არ მიგვიღო, გადატვირთულიაო. ისეთი ამბავი იყო, ისეთი! აია სანატორიუმი თუ იცით... ძალით შევედით. იმიტომ, რომ ორი ბავშვი მყავდა მე და კიდო ერთი მეზობელი იყო, მაგასაც ბავშვები ყავდა. ძალით შევედით, კალიდორია ასე და... გვმია ისე რო, სასწაულად! დევნილები დაგვესია, ვილაც რა ჰქონდათ, მოჰქონდათ. ჰოდა, დაგვიდებდნენ ასე, პალასი იყო იქ და დაგვიდებდნენ და ასე ჭამდნენ ეს ბავშვები. მოვიდა დირექტორი და ეს ვილაცები. აქ არ შეიძლებაო, წადითო, – გვითხრეს. რას ჰქვია წადით-მეთქი, ჩვენ იქიდან ძლივს გადმოვედით-მეთქი და არსადაც არ წავალთ-მეთქი. რას ჰქვია, არ წახვალო ... ბავშვს მოკიდა ხელი, აქაოდა, არ შეიძლებაო. მე ვუთხარი, ეხლა იქ ლიმონკა მაქ, მოვატყუე, მაგას გავხსნი ეხლა-მეთქი, მე უთხარი და ჰოდა, ბავშვები გაიყვანე ჩემს, დას ვეუბნები და მე ვსიო, ამათთან ერთად. მართალი ეგონათ იმათ და გაიქცნენ, თავისი დირექტორი, ყველა გაიქცა.

თ. ზ. – მურზაყან იოსელიანი იყო მაშინ დირექტორი.

ი. ბ. – კი და მაგისი მოადგილე იყო, მერე კარგად იყვნენ ჩემთან ძალიან. ჰოდა, დაგეტოვა იქ და მეორე დღეს მეზობლებმა, დევნილებმა პური მოგვითანეს, ჩვენ სანამ ჩაგვწერდნენ. რო ჩაგვწერეს და მერე გვირიგებდნენ პურს. პირველად შავი პური იყო ძაან. პირველად ისე გაჭირვებულად ვიყავით, ისე, ისე... ეს ბავშვები სკოლაში შევიყვანე, მე-4 კლასში შევიყვანე, ერთი და ერთი – პირველში.

თ. ზ. – პირველ სკოლაში ალბათ, ხომ?

ი. ბ. – კი, პირველ სკოლაში, ჰო, ჰოდა, რომ მოვიდოდნენ ეს ბავშვები, ხო გვინდოდა რამე. ლობიოს გვირიგებდნენ. ეს ლობიოს რომ მოვხარშავდი, ხომ ჩასქელდებოდა, მეორე-მესამე დღეს მდულარე წყალს ავადუღებდი, ამას გავურევდი, ქინძს დავაჭრიდი და ავურევდი. ბავშვებს კვერცხს და რაღაცას, ჩვენ – მე და ეს ვჭამდით, იმიტომ, რომ ბავშვები სწავლობდა და არ შეიძლებოდა ეს. ბავშვს კამფეტი ენატრებოდა, ტიროდა ერთი, ერთი. ორი გუშონკა გვექონდა, იქიდან გადმოტანილი, სუმკაში. მეზობელმა მითხრა: ამ გუშონს გავეყიდო, ბაზარში წავალო და კამფეტს ვუყიდო. ჰოდა, კამფეტი მოუტანა ხუთი ცალი.

თ. ზ. – რა გავიარეთ, ღმერთო!

ი. ბ. – ვაიმე, მერე ეს ბორში და რაღაცები იყო, გვირიგებდნენ, ქვევით სასადილო იყო, გრაფინი იყო, დაგვხდა იქ, ფართო თავი ჰქონდა და იმაში გვისხამდა, იმ გრაფინში, რა გვექნა, კოვზი ერთი გვექონდა, ჰოდა, მაგიდის დიდი კოვზი იყო ტარით ასე და მე, ეს, ის, ის და აი ასე. ხო, ხო, ჩვენ რო გადავიტანეთ?! ბავშვებს არაფერი არ ჰქონდა, ჰოდა, მერე თეთრი სახლი იყო იქ ერთი და მიდიო, შეიძლება ბავშვზე რამე აქო და მე ვუთხარი, ბავშვი ფეხშიშველი მყავს-მეთქი, ბევრი ფეხშიშველი დადისო, იმ კაცმა მითხრა და ვიღაცა გოგოსი, წითელი ყვავილი ჰქონდა, ჩემი ბიჭი იყო, მას დავეძებდი? ჰოდა, იმან მომცა.

თ. ზ. – პირველი სკოლა დაამთავრეს, ჰო, შვილებმა?

ი. ბ. – კი პირველი სკოლა დაამთავრეს, მერე უნივერსიტეტი დაამთავრა ბიჭმა ქუთაისში, ვამზადებდი ინგლისურში და ასე ვწვავლობდით, ვწვავლობდით! ვაიმე, დედა! სად არ ვიყავი, სად არ ვმუშაობდი?! მწვანოვზე ვმუშაობდი, ტყაჩირი ჰქვია. მერე იქ ბინა დავიქირავე, აქეთ ფული უნდოდათ, ხუთი წელი იქ ვცხოვრობდი, შაბათ-კვირას დავდიოდი, ჩემი და და ეს, ჩემი ქმარი ექვსი თვის შემდეგ რომ გადმოვიდა, ბავშვებს მიხედავდა. და ის მომქონდა. ეხლა კიდო ესე ვმუშაობ, მწვანოვზე ვმუშაობ ეხლა კიდევ. არ უჭირთ ჩემს შვილებს, მარა მიჩოული ხომ ვარ. ვერაფრით ვერ დავჯდები სახლში. ეხლა მოცვებს ვკრიფავ, მოცვზე დავდივარ.

თ. ზ. – აქ, წყალტუბოში?

ი. ბ. – წყალტუბოშიც, ყველგან, მაღლაკი ჰქვია, გვიშტიბი ჰქვია აქეთ, ბიზნესმენებს სად არა აქვთ!

ქ. მ. – ნორმალურად გიხდიან მაინც?

ი. ბ. – რამდენ კილოს მოკრიფავ, იმდენს გიხდიან. მაგალითად 50 ლარს ვაკეთებ, ზოგი ასსაც აკეთებს, ახლა მე მეტი არ შემიძლია.

თ. ზ. – დღეში?

ი. ბ. – დღეში, აბა?

თ. ზ. – ყოჩაღ!

ი. ბ. – ას ლარსაც აკეთებენ უფრო ახალგაზრდები, ძალიან სიცხეა და ვერ ვშვები მე, თანაც წნევა მაქვს და სულ გადამწვარი ვიყავი, საშინლად! თავი ძალიან, ეხლა კაია რომ დღეს დავისვენე, რომ მოწვიმა, არ შეიძლება სველი. ჰოდა, არ უჭირთ, მაგრამ მაინც ვეხმარები ბავშვებს. დაბადების დღეზე ოქროს ვყიდულობ სულ. ეხლა ჩემ გოგომ ოროთახიანი ბინა მიიღო, იქ, პარლამენტთან. ჰოდა, ისინი ახლა სოფელში ცხოვრობენ, ზუგდიდში. სახლი აქვთ, კარი და ყველაფერი. კაი კუხნა ვუყიდე სამი ათასლარიანი ამ გოგოს, მერე აბანო გავუკეთე, ყველაფერი, ფარდები ვუყიდე ჩემი ფულით და გაგიჟდა დედამთილი. კი მარა, რას აკეთებ იმდენს, ცოდვა ხარ ცოდვა ხარ, მეუბნება. ჩემი გოგო კიდევ: დედა, არ გვიჭირს, რატომ ამბობო. არ შემიძლია, მე უთხარი, ასე რომ დავჯდე, უნდა ვიმუშაო. აქ იმდენ ყურადღებას არ ვაქცევ, გოგოს ვეხმარები, მერე ჩემ ბიჭმა უნდა მიიღოს ბინები. ვერა, არ აძლევენ, ყველა.. სკოლაში აქ შევიყვანე, უნივერსიტეტი აქ დაამთავრა, ჯარი კოჯორში დაამთავრა, თბილისში. ე.ი. ბინა მიეცი! რუსეთშიაო. მერე რაა რომ რუსეთშია, ყოველ იმაში ჩამოდის. მოქალაქეობა რუსეთის ჩემ ბიჭს არა აქვს, საქართველოს მოქალაქეა და მიეცი ბინა! ორი ბავშვი ჰყავს, რუსეთში რომ არი, ხო აძლევენ ისეთს, და ამასაც მიეცი მაგი. ყოველ ზაფხულში ჩამოდის, აქ არის. დაწერილი აქვს, აბა არ მიუციათ ახლა, რა ვქნათ? რომ ჩამოდის, ეს ერთი ოთახი მაქვს მე, სად დავაწვინო ეს ბავშვები?! ეხლა თუ კიდევ ბინა ვერ მიიღო, მართლა გავგიჟდები. დაწერეო სასამართლოში, მოიგებო. მაგას ფული უნდა! მერე მე ვიყავი იქ და მითხრეს, რომ უფასოზე რომ დაწერო სასამართლოში, ე.ი. რომ ავიყვანო ადვოკატი უფასო, მთელი ორი წელი უნდაო და სასწრაფოდ ხუთასი ლარი უნდაო. ხუთასი ლარი, მე გაჭირვებულად ვმუშაობ, მაგას მივცე?

ქ. მ. – მივუბრუნდეთ აფხაზეთის მეგრულს, გაიხსენეთ სიტყვები, აფხაზეთში ასე ამბობდით მეგრულად, მაგრამ სხვაგან, ვთქვათ, ასე ამბობენ?

ი. ბ. – ჩვენ ვამბობთ ინდაურს.

ქ. მ. – ვინ ამბობდა ამას?

ი. ბ. – ინდაურს ვამბობდით ჩვენ, მეგრელები აფხაზეთში, აქ კოკუში ჰქვია.

ქ. მ. – კიდევ, კიდევ რა გაგახსენდებათ ასეთი?

თ. ზ. – თავს რას ეძახდით აფხაზეთში?

ი. ბ. – ჭუკი, ჭუკი ჭუკია.

ქ. მ. – აბა, ბერძნულად მითხარით რამე.

ი. ბ. – ბერძნულად წყალს ჰქვია ნერონი, ფსონინი პურს ჰქვია, დათვლა ვიცი: ენა, დიო, ტრია, ტეზერა, პენდერა....

ქ. მ. – მე დაგიტვლი ბასკურად, თუ გინდა: ბატ, ბი.....ამორ... ეს აფხაზეთის ბერძნებთან ურთიერთობისას ისწავლეთ?

ი. ბ. – მე მეზობელი მყავდა ბერძენი, მე მეგრული ვასწავლე მაგას და მაგან – ბერძნული. მაგან მეგრული უფრო კარგად ისწავლა, მე ამივარდა გული, მამამისი მეჩხუბებოდა: რა კარგად ასწავლე მეგრულიო და შენ რატო არ ისწავლე კარგად ბერძნულიო?

ქ. მ. – სახელი და გვარი ხომ არ გახსოვთ ამ მეზობლების?

ი. ბ. – ხაჩევა იყო გვარი, ხაჩევა.

ქ. მ. – ისინი ხო ძირითადად აი პაპანდოპულო და ამ ტიპის გვარებია.

ი. ბ. – კი, კი, მაგრამ ის ხაჩევა იყო.

ქ. მ. – რას გაიხსენებთ აფხაზეთის ბერძნების თვისებებიდან, ბევრნი ცხოვრობდნენ აფხაზეთში.

ი. ბ. – ძალიან კარგი, ჩემი მეზობლები, მაგალითად, ძალიან კარგი, ჯერ ერთი სუფთა ხალხი იყო, გაპრიალებული, ისეთი სუფთა იყვნენ, მერე სტუმართმოყვარე, მეზობლების მიღება, გამოტანა, გადასარევი!

ქ. მ. – აი, ვთქვით ჭირში, ლხინში.. გვერდში დადგომა?

ი. ბ. – კი, კი, კი, როგორ არა! აი მამაჩემის ბიძაშვილი რომ მოკვდა იქ, ახალგაზრდა, ეს მთელი ოჯახი ჩვენ გვეხმარებოდა გულრიფში. გულრიფში მყავდა მე ბერძენი მეზობლები.

ქ. მ. – შიგ გულრიფში ცხოვრობდით?

ი. ბ. – დიახ.

ქ. მ. – მეგრული კერძების მომზადებაზე ხომ ვერ გვეტყვით რამეს მეგრულად?

ი. ბ. – მეგრული ხაჭაპური არ გინდა?

ქ. მ. – ოოოო! მეგრული ხაჭაპური კარგია! ოდონდ მეგრულად!

ი. ბ. – მეგრულ ხაჭაპურს არ ვუკეთებდით, მამაჩემს არ უყვარდა, არც კარაქს...

თ. ზ. – მარგალურო.

ი. ბ. – მარგალურ ხაჭაპურს ვაკო ვართ კარაქი, ვართ ცხიმი, ქობალს დოზანქ ჩვეულებრივო მოთბილო წყარითი, დროჟი, თი დროს რდუ შხვანერ დროჟი, ხო ქოიჩქ, ახლა რომ არი ფხვნილი კი არა, ისეთი არა, ცომს მოვწყვიტავდით და ვინახავდით და იმით. ოდო თე ქობალი გეურდუ, ხომ გეურდუ, უკული მოვაგუნდენდით თეს ათაში, კატალკათი, გავასწორებდი დო ათაურე ბრელ ყვალი, დოფუფჩხოლუნდით, ვართ კარაქ, ვართ მუთუნი. ათაშ დუდს მოვიანდით ათაშ, ათაშ ქობლოლანდით და ქიმ-

თოვდანდით დუხოვკას. უკული კვერცხი დო ყვალი ართო, ფურჩხოლი-რი, თეს ჟიდო ათაშ ყვაილცალო, გეგთიდანდი დო ეს ასეთი, ჰოუ, რა ლამაზი იყო! ყვაილიჯგუა, გიგთიდანდი აშო დო ნამდვილ ხაჭაპური რდ თენა. ასე სმეტანაო, კარაქიო. თენა გამორიცხულ რდ. ჩქიმ მუმას ვაუ-ორდ, გეხანგებუდუ! ნამდვილ ხაჭაპურ თენა რენია. ჩქი მილუდეს ანგუ-რა, ასეთი იყო სპეციალური ხაჭაპურისთვის და შუა ცეცხლი ხომ გვეკონ-და, უკულ თენას შუა ცეცხლის ათაშ გენვოფხუანდით, გოფურუდ თენა, ეს რომ გახურდებოდა, თანაქა იყო დასახური, ამას ნაკვერჩხლებს ზევით მოვყარიდით. თანაქა ერქვა, ჟესტის თავსახური, და ეს ის იყო, ჯერ კარგი ნაკვერცხლები უნდოდა, ჯერ ნაცარი იყო, ათაშ, ათაშ! მარა ხაჭაპური გა-მოდიოდა ისეთი. ნამდვილი! მამაჩემს მარტო ის უყვარდა. დედაჩემი საწყალი ე. ი. დამწვარი იყო ცეცხლში, გააკეთეო დუხოვკაში! არაო! მამა-ჩემს ის უყვარდა! მეგრელები იყო ასე! უკული ღორს რომ დაგვლავდი, შაშხი! სულ ამაში იყო კვამლი გავუშვებდი და კუპატები ასე.

ქ. მ. – ბარემ კუპატის მომზადების წესიც, ოღონდ მეგრულად. როგორ შეკმაზავდი?

ი. ზ. – შიგანს გობრჩხუნდი ჯგირო, ჯგირო, ოკო ირფელი: ძმარი, ღერლი-ლი. იფრელნერო! თეს გორჩხუნქ ჯგირო! ღერლილით რეცხავდნენ. იფ-რელნერო თეს გორჩხუნქ ჯგირო, დოხაშუნქ თესი თი გური, ღვიძლი თე-ნეფ იფრელი, იფრელი დოჭკირუნქ თესი, უკულ ათაიურეშე ქონდარი, ხახვი, ნიორი, ურცხო სუნელი, ართო თეს გეინანდინი, უკულ ასე ჭიჭეს ოჭკომალო გოკოდუდა თის, დანარჩენს ინახავდით. ხახვს კიდო ცალკე ზეთში, ამას დავაყრიდით. მეგრული შიგანი სხვა არის! ახლა სუფრაზე მეგრული შიგანიო და ზუგდიდში იყიდება. ქალები არიან ოთხი ისეთე-ბი, ზუგდიდში ყიდიან ბაზარში ათეჯგუებს კეთებულს. ჩემ გოგომ მომი-ტანა, ნამდვილი შიგანი! ის კი არა გულ-ღვიძლი და შავი როა. ესაა შიგა-ნი, ნაწლავების. ნამდვილი კუჭმაჭი! წინათ ქორწილი რომ იყო, პირვე-ლად ეს შიგანი და ღომი მიდიოდა სუფრაზე. ჰოდა, მე ახლა მზახლები რომ მყავდა რასტოვიდან, გავაგიჟე ისინი, აი ეს გავუკეთე და ელარჯი. როგორ უნდა ექამათ, ისიც არ იცოდნენ. ღომთან უნდა, მე ვუთხარი და, ღომი არ გვიყვარსო და სულუგუნები რომ ჩავდევი ასე, ისე იმ ცხელ ღომ-ში, ვაიმე, კიდო თუ არისო ეს ღომიო. და მივაჩვიე! ღომი არ მიყვარსო! ელარჯსაც ძალიან ამოსული ყველი უნდა, ძალიან ამოსული. ჩემი და სულუგუნით კიდო აკეთებს, სულ ახალი სულუგუნით დაჭრის...

ქ. მ. – მეგრულად, მეგრულად!

ი. ზ. – დოჭკირუნქ ათე ელარჯის დო ათაურე თხითხუ ღუმე ოკო გაკეთე ღერლილიში, ღერლილი აუცილებერო ოკო, ოდო თეს გაკეთენქი, ასე მო-

ხარშულიე თი დროს, ართი გობი თი ყვალს ქენარღვანქ თისდო აქედან იქამდე უნდა გაიწელოს. ასსსე გაიწელება. უკულ დოჭკირუნქ თის დო...

ქ. მ. – საკურთხს მიცვალებულისთვის, იმას ხომ განსაკუთრებული წესების დაცვა უნდა, როგორ აკეთებდით?

ი. ბ. – საკურთხის ირფელ სუმ-სუმ ოკო, მაგალითო ღვინი, წყარი ჭირქათი, ირფელნერი ხილი, მარტო ლელვი არ შეიძლება, დანარჩენი ყველაფერი! კვერაბიებს ვეძახით, კვერაბიები ათეჯგუფეი ქობლოლანდით! ქიგებდვანდით, სანთელი დო ირფელი დო სკამს ქიმკობდგუნთ თექ, კარს გუვონჯანთი, თეთრის გინვოქუნანთი ათე სტოლს, კარს გუვონჯანთი დო სიჩუმე ვითომ თი სანთელი დიჭუნი, წიწილას ქეგლადგანთ, მთელ წიწილას, ჭვილ წიწილა ოკო, ირფელ, მუთ ქოარსებენსი, ირფელ ხილი, აუცილებერო, ღვინო თენა თინა, სკამს ქიმკობდგუნთი, კარს გუვონჯათი, დიჭუდ თი სანთელი, უკულ ბჭკომუნდით, პირველო ბაღანებს ფჩანდი.

ქ. მ. – ახალ წელს რამე განსაკუთრებული, ვთქვათ მეკვლეობა, მეკვლე როგორ დალოცავდა. ესეც მეგრულად მოგვიყევით.

ი. ბ. – მე ვიცი, ასე ახალ წანა ხომ ქორე, მინორთას ოკო, ჩქიმ ბაღანას გუტენქ გალე, ქიმეფჩანქი სენს, ქვირი, კვერცხი, ბრინჯი, შანქარი, კიბირ შანქარი უშკურს, თი უშკურს ფარა, დო კარ გომინჯია, მუ მოილუ, სამჯერ: კარ გომინჯი, მუ მოილუ? ჰოდა, ბედნიერება ხვათი, ბარაქა...

ქ. მ. – ქართულად ამბობთ ამას თუ მეგრულად?

ი. ბ. – მეგრულად, ბედნიერება მომიღ, ჯანმრთელობა მომიღ, ბევრი ფარა, დო იფრელი, დო გუნჯანქ კარს დო თე ბაღანა. ბიჭი უნდა იყოს! უკულ ა, ათეს მუვორღვანთ ბრინჯის, ღერდილს, ვაქოსუნქ მაჟია დღაშა, მეორე დღეს გავხვეტავ, უკულ ათე უშკურს ფარას მიშვოციკუანდით ჩქი ხურდას, ლარიანებს, თი უშკურს დო ფარას ბაღანას ქიმეფჩანქ მაროჟნიშო.

ქ. მ. – ყველაზე მეტად რა გენატრებათ აფხაზეთიდან ანუ ჩვენი ოდაბადედან?

ი. ბ. – ყველაფერი მენატრება მე იქაური, ისე მენატრება რო. მე ისე კარგად ვცხოვრობდი, ოჯახი მქონდა და ბინაც მქონდა ჩეხური ბინა მქონდა. ერთი კაკალი ბიჭი და...

ქ. მ. – ბინა სოხუმში გქონდათ?

ი. ბ. – სოხუმში და სახლი კიდო ქალაქში მქონდა. როგორ არ მენატრება, ყველაფერი მენატრება იქაური. იქ გაიზარდა ჩემი ბავშვები.

ქ. მ. – როგორ წარმოგიდგენიათ, ახლო პერიოდში იქნება შერიგება?

ი. ბ. – არა მგონია, ისე აფხაზები ამბობენ: ჩვენ ომით ავიღეთ და თუ ომით აიღებენ, კიო, ისე არასდროს არ მოხდებაო. მყავს იქ ნათესავები, აფხა-

ზები, არასდროს არ მოხდებაო. თუ ომით აიღებენ, აიღებენ, ნებით ეს არასდროს არ მოხდებაო.

ქ. მ. – როგორი ნათესავები გყავთ იქ?

ი. ბ. – ამას ჰყავს ბიძაშვილები, აფხაზები, აბა რა! ჩქიმ უდეს ცხოვრენა თინეფი, ბინას ხოლო თინეფი ცხოვრენა, უდე მილუ, თინეფ ხოლო თექ ცხოვრენა. მილუდეს კავშირი. დობრეკუნდი, მილუდეს კავშირ.

ქ. მ. – ესეც კარგია, იმედია! დამწვარი რომ არ არის.

ი. ბ. – არა, ქალაქში არ წვავდნენ, უფრო – სოფლებში.

თ. ზ. – ბინა სად გქონდათ?

ი. ბ. – რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან შესახვევი იყო, ახალი რაიონი ერქვა, ბინა იქ მქონდა და კოლოსი რო არი, ჯიქიას ქუჩა, იქ სახლი მქონდა. ვინზაოდი იყო გვერდით. მუ ჯგირ არდგილს ვცხოვრენდით, ჰოდო, ვაბშე მანგარო, ჯგირო ვცხოვრენდით რა.

ქ. მ. – ჩემს მძასაც ბინა ფრუნზეს ქუჩაზე ჰქონდა, ოცდაცხრა წლის ძმა მყავს ომში დალუპული...

ი. ბ. – ასე მილიონერი ვა ვორდი მა. პირველი...

ქ. მ. – ახლა ამ გადასახედიდან, აფხაზეთში ნებისმიერ ოჯახს, მე აფხაზეთში დავიბადე, სკოლა იქ დავამთავრე, ჩემი მოსწავლეობის პერიოდშიც ნებისმიერ ოჯახს შეეძლო ხუთას-ექვსასკაციანი ქორწილის გადახდა.

ი. ბ. – ექვსას კაციანი კი არა, ჩვენ პირველად ლაიკა პლაში ტყავის რომ შემოვიდა, მე მეცვა და ჩემს დას, დუბლიონკა, კანადის დუბლიონკა მოდაში იყო, ქვევით, მე მეცვა საპოშკები და თხოულობდნენ. მათხოვეო, იქ მივდივარ სტუმრადო, ქორწილშიო ყველაფერი. ჩემ ბავშვს რო ეცვა, ისეთი არავის არ ეცვა. ტალკუმკაშა მივშით სოჩაშა, სოხუმს ხოლო რდუ, მარა თეურეშე ვითომ დო, იქ ვყიდულობდი ბავშვზე ყველაფერს.

ზ. ჭ. – რად გინდა ეს მეგრული?

თ. ზ. – გვინდა, გვინდა მეგრული.

ზ. ჭ. – თქვენ მერამდენედ ხართ აქ?

თ. ზ. – მე? პირველად.

ქ. მ. – ჩვენ ძალიან გვესიამოვნა თქვენთან შეხვედრა. დიდი მადლობა მასპინძლობისათვის.

ზურაბ ჭილაია, იზო ბადათურია [75 წლის]

(სოხუმი – წყალტუბო)

ქეთევან მარგიანი

თამილა ზვიადაძე

**ჩემი შემოქმედების მწვერვალზე მე ვიმღერებ რომანსს:
იკაშაშკაშე, იკაშკაშე, ჩემო ვარსკვლავო!**

მ. ჯ. – ბატონო ბესარიონ, თქვენი გვარის წარმოშობის შესახებ ხომ არ იცით რამე?

ბ.ზ. – ვიცი, მეგრული გვარია. ზუგდიდში ცხოვრობენ ზარანდიები, სენაკშიც, სოხუმშიც. ყველგან ვართ ჩვენ, ბასკებიც ყოფილან ზარანდიები.

მ.ჯ. – ეს კიდე ერთხელ ამტკიცებს ბასკებისა და მეგრელების ნათესაობას. (ვიცინით).

ბ.ზ. – აბა რა!

მ.ჯ. – აფხაზი ზარანდიები თუ გაგიგიათ?

ბ.ზ. – არა. შეიძლება იყოს ვინმე სხვებივით ჩაწერილი აფხაზად, ომში რომ არ წაეყვანათ.

მ.ჯ. – რომელ ომში?

ბ.ზ. – მეორე მსოფლიო ომში. მცირე ერების წარმომადგენლები ხომ არ მიყავდათ...

მ.ჯ. – თქვენ რომ ზოგჯერ ამბობთ, აფხაზი ვარო?

ბ.ზ. – ვარ, ისტორიული გაგებით.

მ.ჯ. – „ზარანდია“ რამეს ნიშნავს მეგრულად?

ბ.ზ. – გუგლში წავიკითხე, ზარანდ ირანული უნდა იყოსო და „მოხუცს“ ნიშნავს თურმე. ზოგი ამბობს, სკვითურიაო. სკვითები ახლა მოდამია.

მ.ჯ. – კი. ჭაბუა ამირეჯიბმა თქვენი გვარიც მოდური გახადა „დათა თუთაშხიას“ მერე.

ბ.ზ. – სხვათა შორის, ჭაბუკამ ნამდვილი ამბავი გამოიყენა. მართლა ყოფილან ასეთი ბიძაშვილ-მამიდაშვილი, როგორც დათა და მუშნი. ჭაბუკას ციხეში გაუცნია შელია გუმა, აბრაგად გავარდნილი ტყეში. მისი მამიდაშვილი ბოლშევიკი იყო – რაცხელია შალვა. ის რაღაც თანამდებობაზე იყო და არ აწყობდა ბიძაშვილის აბრაგობა. უთხრა შელიას, ჩაბარდი და ერთ წელიწადში გავაშვებინებ შენს თავსო. შელია ჩაბარდა. მაშინ გაიცნო ჭაბუა ამირეჯიბი ციხეში და მოუყვა ეს ამბავი. მერე არ გაათავისუფლეს და გაიქცა. იმ დროს მოკლეს, გაქცევის დროს.

მ.ჯ. – თქვენ საიდან იცით?

ბ.ზ. – ვკითხულობ მეც. თქვენობით ნუ მელაპარაკებით, ქალბატონო მარინა.

მ.ჯ. – ბოდიში, ბოდიში. ანეგდოტი გამახსენდა: ერთი კაცი ეკითხება მეორეს: – „შენგელია, ეს შენობა შენ ააშენეო?“, „შენობით რატომ მელეპარაკებით, ამხანაგოო?“. „ოხ, ბოდიშით, ამხანაგო თქვენგელია! ეს თქვენობა თქვენ აათქვენეთო? “ ... ჩვენთან პირიქითაა.

ბ.ზ. – დიახსთ!

მ.ჯ. – სოხუმში დაიბადე. მამაც სოხუმელი იყო?

ბ.ზ. – არა, მამა ზუგდიდელი იყო. დედა იყო სოხუმელი, შონია. ჩვენ გოგოლის ქუჩაზე ვცხოვრობდით ძველ პატარა სახლში. მერე ბაბუამ, მამის მამამ, ბინა გვიყიდა ახალ რაიონში. სამოთახიანი. მამა უკვე როსტოვში მუშაობდა შინაგან საქმეთა განყოფილებაში. თავიდან მე-11 სკოლაში ვსწავლობდი ჯერ, მერე მე-2 ინტერნატში გადამიყვანეს. ის ახალ რაიონში იყო. დირექტორი გვყავდა თენგიზ ანთელავა, მერე თქვენს უნივერსიტეტში დეკანი იყო იურისტების.

მ.ჯ. – კარგი კაცი იყო. შვილი საუკეთესო გაზარდა. აცხონოს უფალმა ორივე.

ბ.ზ. – რამდენს დაგვდედა. ვიპარებოდით, უკანა კედელთან გასაძრომი იყო და იქიდან. მერე იწყებოდა მშობლების დაბარება... კარგი კაცი იყო.

მ.ჯ. – უი, რამდენჯერ მინახავს იქ, ეზოს ბოლოში... მე მე-20 სკოლაში ვმუშაობდი და, რომ მივდიოდი სკოლაში, ვხედავდი... ალბათ, თქვენისთანებს ეძებდა, გაპარულებს.

ბ.ზ. – გოგოლზე რომ ვცხოვრობდი, ბეზია, დედის დედა, დამყვებოდა სკოლაში და მუსიკაზე. მუსიკაზე შემიყვანეს, ზედმეტი დრო რომ არ მქონოდა. სკრიპკაზე, ბოდიში, ვიოლინოზე შემიყვანეს. ისე, სმენა კი მქონდა, მაგრამ ვიოლინოზე ამიტომ კი არ შემიყვანეს, დედას პიანინოს საყიდი ფული არ ჰქონდა და იფიქრა, ვიოლინო პატარაა, ფასიც ნაკლები ღირს და ადგილსაც არ იკავებსო. არ იცოდა, რომ ჩემს ზრდასთან ერთად ყოველთვის უფრო დიდი ზომის უნდა ეყიდა. დიდი გავიზარდე და ამხელა ვიოლინოც ძვირი იყო... მივატოვე მუსიკა. სიმღერა მიყვარდა, მაგრამ არავინ მასწავლა. ვამბობდი, რომ გავიზრდები, მომღერალი გამოვალ, **И в пике своего творчества я спою романс: Гори, гори моя звездаааа!** (მღერის) „და ჩემი შემოქმედების მწვერვალზე მე ვიმღერებ რომანსს: იკაშაშკაშე, იკაშკაშე, ჩემო ვარსკვლავო!“

მუსიკიდან რომ მოვდიოდით, ბეზია პროსპექტ მირაზე, მშვიდობის პროსპექტზე, პონჩიკებს მყიდულობდა. მიყვარდა ტკბილეული. იქაური კოქტეილიც. ისეთი პონჩიკები (აქ გავიგე, ქართულად ფუნჩულა ყოფილა) და რძის კოქტეილი არსად შემხვედრია.

გამახსენდა, მოსკოვში ერთმა მეგრელმა გახსნა სახაჭაპურე ბუდკა, ბოდიში, ჯიხური. დააწერა „ხაჩაპური“, რამდენიმე ხანში დაუმატა „ლობიანი“, კიდევ რამდენიმე ხანში – „კაპუსტიანი“. სამივენიანს წვავდა, არა – აცხობდა.

მ.ჯ. – მოსკოვში ომის მერე წახვედი, ჯერ პეტერბურგში და მერე მოსკოვში. ცოტა ომზეც მოყვეი... ვიცი, რომ არ გიყვარს გახსენება, მაგრამ ცოტა... აი, გენოზე, გენო ადამიაზე და ზურბიზე.

ბ.ზ. – ომი რომ დაიწყო და გენო ბიძიას უთხრეს, ბიჭები მოაგროვეო. გენოს ავტორიტეტი ქონდა. ყველა პატივს ვცემდით. უთხრა, სამხედრო არ ვარო და ვერ ვუხელმძღვანელებო, მაგრამ, როცა ნახა, რომ საჭირო იყო, დათანხმდა. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობდით. ჩემი მეგობარი ზური ჩიქოვანიც ხომ მეზობელი იყო. გვითხრა, თქვენ ჩემთან იქნებითო. ბოლოს მთელი ბატალიონი შეიკრიბა, რომელიც შემდეგ 23-ე მექანიზებულ ბრიგადად იქცა, 6 ბატალიონი შედიოდა ბრიგადაში, იმდენი შეიკრიბა. გენო მაგარი სარდალი გამოდგა. მე და რამდენიმე ბიჭი სულ გვერდით ვყავდით. ადიუტანტს მეძახდა. ყველა საბუთი ჩემს ხელში გადიოდა.

მ.ჯ. – და ჩემი წიგნაკი რომ დახიე...

ბ.ზ. – კი. ქალთა ოცეულის წიგნაკები მოიტანეს, ჯუხუ ანჩაბადის.... გენოსთან შემქონდა ხელმოსაწერად და ვხედავ, ნაცნობი სახეა! დავხიე! რა გინდოდა იქ?! არ იყო საჭირო!

მ.ჯ. – კარგად ვისროდი. სამკერდე ნიშანიც მქონდა, „Меткий стрелок“ .

ბ.ზ. – კარგი, რა... ქარი წაგიღებდა...

გენო ბიძია, თუ სადმე წასასვლელი იყო, მგზავნიდა... თბილისიდან ჩამოსულები ბევრჯერ წამიყვანია წინა ხაზის დასათვალიერებლად, ბევრჯერ ტყვიები დაუშენიათ ჩვენთვის, დაბომბვის ქვეშ მოვყოლილვართ... ჩვენი ბიჭები ძალიან კარგად იბრძოდნენ! სხვათა შორის, მხედრიონი ძლიერი იყო. ბრძოლიდან რომ დაბრუნდებოდნენ, ცოტა ხანს ისვენებდნენ, და როგორც კი შეტყობინება მოდიოდა, დაცვის ხაზი გაარღვიესო, წამოიჭრებოდნენ და წამში იქ იყვნენ, სადაც მტერი შემოდისო.

გენო სწორს ამბობდა, იქით არ გადავდიოდით შეტევაზე, თავდაცვითი ბრძოლები გვქონდა. რამდენჯერ გადავედით გუმისთაზე, იმდენჯერ ბრძანება მოდიოდა და უკან დაგვახევინეს. გენო ბოლოს გაბრაზებული ბრუნდებოდა თათბირებიდან. ბოლოს, როცა იარაღი ჩამოგვართვეს, პერემირიე – შერიგება რომ გაითამაშეს, თქვა, გაგვიდესო. ასეც მოხდა.

გენო და მისი ბრიგადა ხელს უშლიდათ სოხუმის ჩაბარებაში. სოჭში მოლაპარაკების მერე ხომ ჩამოგვართვეს მძიმე ტექნიკა, მერე ბრიგადაც დაშალეს. ლალატი რომ არა, ვერავინ გვაჯობებდა.

მ.ჯ. – თქვენ ხომ გამოსულები იყავით. მე ხომ გნახეთ შენ და ზური გულრიფში ჰოსპიტალთან, მედო იწვა იქ დაჭრილი.

ბ.ზ. – მერე სოხუმის ალების ამბავი რომ გაიგო გენომ, უნდა დაგბრუნდეო. მე წინა მანქანაში გამაგზავნა, იმას გაყევით... ის სვანეთის გზაზე მიდიოდა. თვითონ ზური ჩიქოვანი და ერთი სვანი ბიჭი, კარგი ბიჭი იყო, სახელი და გვარი არ მახსოვს, ისინი გაიყოლია, ისინი ჩაისვა მანქანაში. დაბრუნებულა... კოდორის ხიდთან დახვედრიან და იქ მოკლეს სამივე... თბილისში რომ ჩამოვედი სვანეთიდან, მეორე დღესვე წავედი საქართველოდან.

მ.ჯ. – შენ გადაგარჩინა. ღმერთმაც დაგიფარა!

მ.ჯ. – მამარდაშვილის შვილთან ურთიერთობაზე მოყვე.

ბ.ზ. – მერაბ მამარდაშვილის შვილი იყო ჩამოსული ორი კვირით. ჩემთან გააფორმა ხელშეკრულება და დამყავდა მამამისთან დაკავშირებულ ადგილებში. თვითონ ფსიქოლოგი ყოფილა.

მ.ჯ. – რა ჰქვია?

ბ.ზ. – ალიონა. რამდენიმე მეგობარი იყო მასთან ერთად. ფილმის გადაღებას აპირებდა მამამისის შესახებ. მერაბ მამარდაშვილის ფონდი გაუხსნია მისი სიკვდილის მერე... მასალებს აგროვებდა. გორში ვიყავით, ალიონას ბაბუა, მერაბის მამა, სამხედრო ყოფილა და ბევრ ადგილას ნაცხოვრება, ბევრ ქალაქში... გორში დასახლებულა. იქ დაიბადა მერაბ მამარდაშვილი. მერე თბილისში ჩამოსულან. ალიონას ყველა ადგილი მოვატარე. არ სჯეროდა, რომ ვიპოვიდით სახლს, სადაც თბილისში მისი ბაბუა დასახლდა გორის მერე.

ნუ გეშინია, ყველაფერს ვიპოვით-მეთქი... და მართლა... ჭაკჭაკაძეზე ჰქონიათ ბინა, უნივერსიტეტის წინ. ის სახლიც ვუპოვე და ის ეზოც. ვიკითხე და მერაბის კლასელიც კი ვიპოვე. იქ ნაცხოვრება დღესაც. მათი, მამარდაშვილების, ბინა გვიჩვენა. ყველას ძალიან გაუხარდა ალიონას გაცნობა. ზოგი მეზობელი დღესაც იქ ცხოვრობს.

სკოლაც გვაჩვენა იმ კაცმა, სადაც სწავლობდნენ. მათი საკლასო ოთახიც. ძალიან გახარებული იყო ალიონა, არ ელოდა, ამდენს რომ მოვძებნიდით, მერაბის ამდენ ნაცნობს რომ ნახავდა, ყოფილ მეზობლებსაც.

ესენი ლეჩხუმიდან ყოფილან წარმოშობით და მთხოვა, იქ თუ შევძლებთ წასვლასო. წავიყვანე. ულამაზესი ყოფილა რაჭა-ლეჩხუმი. ცოტა გზებია ძნელი სავალი, მაგრამ ავიყვანე მშვიდობით. სოფელია ოყურეში, იქიდან ყოფილან მამარდაშვილები. გზად რომ ვკითხეთ ერთს ეს სოფელი, თქვენ ვინ ხართო. ავუხსენი, ვუთხარი, მერაბ მამარდაშვილი თუ გაგიგია, იმისი შვილია მოსკოვიდან-მეთქი. გაგიჟდა ეს კაცი, თვითონაც მამარდაშვილი ყოფილა, მერაბს როგორ არ ვიცნობთო, აქ ყველა ვამაყოფთ მისითო. ძალიან გვთხოვა, მის სახლში შევსულიყავით, მაგრამ გვეჩქარებაო, ვუთხარით. წამოგვყვა ოყურეშამდე.

იქ მთელი სოფელი დადგა ფეხზე. სათითაოდ მოვიდნენ და გაეცნენ ალიონას. გაშალეს დიდი სუფრა და დაიწყო ქეიფი. რა კარგი ხალხი ყოფილა ლეჩხუმში.

თურმე მარტო ამ სოფელში ხარობს ყურმენი უსახელოური. იმისი ღვინო გაასინჯეს. გამოგვატანეს. მერე როცა ჩამოხვალთ, მეტს დაგახვედრებთო.

ალიონამ თქვა, დოკუმენტური ფილმი უნდა გადავიღოთ, ფონდის პროგრამაშიაო. სულ მადლობებს მიხდიდა. შენც იქნები იმ ფილმშიო. ვნახოთ...

მ. ჯ. – ძალიან კარგი, ბატონო. ერთიც გვითხარი გიორგი სააკაძეზე.

ბ.ზ. – ოოო, ეს მაგარი იყო. უცხოელები დამყავდა თბილისში და ვუხსნი რაღაც რაღაცებს ჩემი დამტკვეული ინგლისურით, ცოტა რუსულსაც ვურევდი. სააკაძის მოედანზე რომ ვართ, მკითხეს, ეს ვინ არისო. მეც ვუთხარი: „გიორგი სააკაძე, კომანდერ, ბიგ მოურავი-მეთქი.“ კომანდერ და ბიგ გაიგეს, მოურავი რა არისო. ვიფიქრე, ვიფიქრე და ვეუბნები: „ქინგ ნოუ?“ – მეფე იცი-მეთქი? „იეს, იესო,“ კიო. მენეჯერი? კიო. ჰოდა, ქინგს მენეჯერ ვოზ ჰი-მეთქი. ასე გავაგებინე, აბა რა, ტო...

მ.ჯ. – ბესო, მამაშენი მეგრელი იყო, დედაშენი მეგრელი იყო და ეს თბილისური კილო საიდან გაქვს, ჰა?

ბ.ზ. – ჯერ ერთი, სოხუმელებს მეგრული კილო არავის არ აქვს, მეორე – მე ხომ თბილისში ვმუშაობდი რამდენიმე წელი... იქიდან ამყვა ეს ტო. მაგრამ მარტო თბილისელ ბიჭებთან წამომცდება ხოლმე.

მ.ჯ. – სოხუმში „ტოს“ მაგივრად რას ამბობდნენ?

ბ.ზ. – ვასია. ყველა ვასიას ამბობდა, ქართველებიც. არა, ვასია! წამოდი, ვასია! ვინაა ეს, ვასია!..

მ.ჯ. – კიდეც რა გახსოვს ჟარგონიდან?

ბ.ზ. – ბრატუხა, სესტრუხა. „ეს ჩემი სესტრუხაა, ხელი არ ახლო.“ „ბრატუხა, რა გინდა?“ ანუ, რუსული ჟარგონი რაც იყო, იმას იყენებდნენ, ოღონდ ქართულად ლაპარაკობდნენ.

მ.ჯ. – ქართულს?

ბ.ზ. – ქართული იყო: ჩანგალისტი; Он чангалист. Пойдём на чангал. Я не в азрах. „ის ჩანგალისტია“, „ჩანგალზე (დაუპატიჟებლად) წავიდეთ“; ვაზრაზ „აზრზე არ ვარ.“;

მ.ჯ. – ახლა, აქ?

ბ.ზ. – აქ უკვე თითქმის არავინ დარჩა მაგ ასაკის და ვინც დარჩა, იმათ დაავიწყდათ ალბათ, ან ერთმანეთში ამბობენ. ახალგაზრდები კი აქაურ ჟარგონებს იყენებენ. ინგლისურზე გადავიდნენ.

მ. ჯ. – სხვები მერე ჩავიწეროთ, მეგრულად.

ბ.ზ. – კი, ბატონო. როგორც ჩემი უფროსი მეგობარი კომუნა იტყოდა: – თიზმა მართალდ მიჩქუ, ტყურა მუშენდ ფთქუავა.
„იმდენი მართალი/სიმართლე ვიცი, ტყუილი რატომ ვთქვაო“.

ბესო ზარანდია [57 წლის]
(სოხუმი-პეტერბურგი-მოსკოვი-თბილისი)
მარინა ჯღარკავა

როგორც სხვა, ისე – მე

მ. ჯ. – რა შეგიძლიათ, მოგვიყვით ან იქაური ცხოვრებიდან, ან აქაური ცხოვრებიდან? რაზეც გინდათ, გვესაუბრეთ.

მ. ა. – რა ვიცი? რა შეკითხვას დასვამთ, იმის მიხედვით გიპასუხებთ.

მ. კ. – აი, როგორ გადმოხვედით იქიდან?

მ. ა. – ჩვეულებრივად გადმოვედით ღალიძგით. ფეხითაც ვიარეთ, კამაზითაც ვიარეთ, დიდი მანქანით, ავტობუსითაც ვიარეთ.

მ. კ. – და რა საშიშროება იგრძენით? რატომ წამოხვედით?

მ. ა. – იმიტო, რო სახლები ფეთქდებოდა ჩემს უკან უკვე, იწვოდა ყველაფერი. ბებია იქ დამიჭრეს.

მ. კ. – ესე იგი აფხაზები უკვე მოსულები იყვნენ.

მ. ა. – აფხაზი იყო, თუ ჩეჩენი, მე არ ვიცი, მაგრამ ბებია, ჩემი ბიძა, დედა-ჩემის ძმა, დაიჭირეს აფხაზებმა, აწამეს ცოცხლად. ფრჩხილები მოკვეთენ, იმითი, რა ქვია, პლოსკოთი, ენა ამოგლიჯეს, თვალები სადგისით დათხარეს, კბილები პლოსკოთი დაამკრეს... ნუ, ერთი სიტყვით, აწამეს. საშინელი ნაწამები, მკვდარი, ქართველების ტყვეზე გავცვალებით და ისე გადმოვიყვანეთ და ისე დავასაფლავეთ.

მ. კ. – აფხაზზე გაცვალეთ?

მ. ა. – აფხაზზე გავცვალეთ. ცოცხალ რამოდენიმე აფხაზზე გავცვალეთ ერთი მკვდარი. ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, ძალიან.

მ. ჯ. – ამ გაცვლაში ვინ დაგეხმარათ?

მ. ა. – ნუ, რა ვიცი... იქ ჩარეული იყო ხალხი და იყო ისეთი ხალხი, ჯგუფი, რომლებიც ამაზე მუშაობდნენ.

მ. ჯ. – როცა გადმოხვედით, სად დაბინავდით, რას აკეთებდით?

მ. ა. – ჩვენ წამოვედით წყალტუბოში. ნათესავის ოჯახში ვიყავით. მერე სანატორიუმში ვიშოვეთ ადგილი და სანატორიუმში გადმოგვიყვანეს აქეთ, საქართველოს სანატორიუმში. დედაჩემი ნერვიულობით აქ დამელუპა, მამაჩემი აქ დამელუპა, ჩემი ძმები ორი აქ გარდაიცვალა, რომლებს სა-

ერთოდ არ მიუღიათ არაფერი, არ ეღირსათ მიღება, ძაან მძიმე ავადმყოფი იყო ჩემი ძმა ერთი და, რომ მივედი იმაში, დევნილთა შტაბში, უარი განაცხადეს, ქულები არ ყოფნისო და ამ დროს საშინელ მდგომარეობაში იყო ჩემი ძმა. რომ მიეცათ ბინა, დღეს ბინა ექნებოდა საწყალს, მაგრამ არ მისცეს, ისე ამოძვრა სული.

მ. კ. – ახლა?

მ. ა. – ეხლა კმაყოფილი ვარ, კი, რა ვიცი, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ.

მ. ჯ. – გული ახლა როგორი გექნება?!..

მ. კ. – არა, თქვენი პირობებით როგორ ხართ? ისინი ვერ ეღირსნენ და თქვენ?

მ. ა. – ჩემი პირობებით კი, რა ვქნა?! როგორც სხვა... ზედმეტი ხო არ მექნება მეც? როგორც სხვა, ისე – მე.

მ. ჯ. – რო გადმოხვედით, დაოჯახებული იყავით?

მ. ა. – კი, როგორ არა. 29 წლის ვიყავი.

მ. ჯ. – ბავშვები?

მ. ა. – ბავშვები 2 მყავდა – გოგო-ბიჭი. აქ დაამთავრეს საშუალო, აქ ისწავლეს.

მ. ჯ. – თქვენი ბავშვობის მოგონებებიდან რა გახსოვთ?

მ. ა. – ყველაფერი კარგი მახსოვს იქეთ, აფხაზეთში.

მ. ჯ. – აფხაზეთთან, რუსებთან კავშირი გქონდათ?

მ. ა. – ძალიან კარგი კავშირი გქონდა. რა ვიცი, აფხაზები მეზობლები გვყავდა: ინაშები, ბჟანები. ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა, ისეთი კარგი ხალხი იყო. აფხაზი იყო ერთი – იასონ ბჟანია, ძალიან... მე არ ვიცი, როგორი კაცი იყო ეს, მე ვერ აღვწერ, ისეთი კარგი იყო, კარგი ოჯახი იყო. დღემდე იქ არიან. მისი გოგო აქ ცხოვრობს, აქ არის გადმოსული, ნაზი.

მ. კ. – აფხაზი იყო?

მ. ა. – ბჟანია აფხაზი იყო. ძალიან კარგი, ძალიან.

მ. კ. – გოგო აქით რატომ გადმოვიდა?

მ. ა. – ქართველზე იყო გაყოლილი და გადმოყვა ქმარს, მაგრამ ეხლაც აქ ურთიერთობა დედამისთან. მამა კი გარდაიცვალა, მამაც გარდაიცვალა, მაგრამ ძალიან კარგად ვიგონებ ყველას იმათ... იმიტომ რო ერთმანეთისთვის არასდროს არაფერი დაგვიშავებია.

მ. კ. – ომი რო დაიწყო, დამაბულობა არ იგრძნობოდა?

მ. ა. – როგორ არ იგრძნობოდა?! იგრძნობოდა, რა თქმა უნდა.

მ. კ. – მეზობლებში?

მ. ა. – არა, ჩვენ შუა არ იყო: ისინი თავიანთთვის იყვნენ და ჩვენ ჩვენთვის ვიყავით, რომ რაიმე კონფლიქტი არ ყოფილიყო.

მ. ჯ. – ერიდებოდით მაინც ერთმანეთის წყენას.

მ. ა. – რა თქმა უნდა, ისინიც გვერიდებოდნენ და ჩვენც, მაგრამ არ იყო ისეთი ხალხი, რომ ის მათთან.

მ. კ. – რომ საქმეები გაგერჩიათ, ისეთი ურთიერთობა არ იყო.

მ. ა. – არა, არა! არა.

მ. ჯ. – აქ დასაწყისში თავს რითი ირჩენდით?

მ. ა. – ზოგჯერ დახმარებით, ზოგჯერ ვწვალობდით. რა ვიცი, აბა?

მ. კ. – აქ რომ მოდით, წყალტუბოში დასახლდით, სასტუმროში მძიმე პირობები გქონდათ? იმიტომ, რომ წყალტუბოელები ამბობენ, რომ დევნილებმა ხეები დაჭრეს ასწლოვანო, პარკეტი დაწვესო მუხისო, გაანადგურეს სანატორიუმებიო. თქვენ კი არ გაბრალებენ, მდგომარეობას აბრალებენ.

მ. ა. – რა თქმა უნდა, მდგომარეობამ მოიტანა. მარტო დევნილებს არ გაუკეთებია ეგი, გახდნენ იძულებული ალბათ, რომ სითბო არ ჰქონდათ, თორე არცერთი, ასე მგონია, რომ არ გააფუჭებდა არაფერს. მაგრამ აქ მარტო ისინი არ არიან, დევნილები, სხვებიც არიან, ადგილობრივებიც, ჩარეული. იმათმაც ბევრი რამე წაიღო და...

მ. ჯ. – იმათაც მოითბეს ხელი.

მ. ა. – იმათმაც მოითბეს ხელი და დევნილებსაც დააბრალებს. კი, რა თქმა უნდა, მოჭრა, პატარა ბავშვებით რო იყო, შიმშილი, მერე სიცივე...

მ. კ. – ხო, რა თქმა უნდა, ადგილობრივებმა ისარგებლეს სიტუაციით – ხელი მოითბეს და დევნილებს შეახოცეს.

მ. ჯ. – კი, ასე იყო. ვაიმე, დევნილების დახმარებებით რამდენი გამდიდრდა თბილისში, სახლები აიშენეს და სულაც არ იყვნენ დევნილები. საზღვარგარეთ წავიდნენ ჩვენი სტატუსით.

მ. ა. – ჩვენი სართული, სადაც ვცხოვრობდით, ძალიან იმათ ვიყავით ერთმანეთში, ნუ, ერთმანეთს არ უჭირებდით, რა ვიცი, ერთმანეთს ვეხმარებოდით. აგერ ამის ბიჭი 8 აგვისტოს აფეთქდა და დაიღუპა.

მ. ჯ. – რას ამბობ... შეეწირა ომს.

მ. ა. – წვალებით გადმოიყვანა პატარები აფხაზეთიდან, გულში ჩახუტებული და აგვისტოს ომს შეეწირა ბიჭი – მამუკა სამაკაშვილი.

მაყვალა არჯევანიძე (63 წლის)
(ოჩამჩირე-ცაგერა-წყალტუბო)
მარინე კაკაჩია; მარინა ჯღარკავა

ისტორია ყველამ ვიცით

მ. ს. – ვცხოვრობდით გაგრაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ვართ წყალტუბოში.

მ. ჯ. – შიგ გაგრაში ცხოვრობდით?

მ. ს. – არადუმი.

მ. ჯ. – მახათაძეებს იცნობდით?

მ. ს. – არა, არავის ასეთს.

მ. ჯ. – რამდენი წლის იყავით, როცა გაგრა დაგატოვებინეს?

მ. ს. – გაგრა რომ დაგვატოვებინეს, ვიყავით 32 წლის.

მ. ჯ. – არ იქნებოდით.

მ. ს. – 28 წლის, 29 წლის იქნებოდი.

მ. ს. – 30 წელია, ლტოლვილები ვართ, მაყვალა.

მ. ა. – მერე, რამდენის იქნებოდი?

მ. ს. – 31 გახდება, რაც აქ ვართ. 31 წელი.

მ. ჯ. – დაოჯახებული იყავით?

მ. ს. – ქალ-ვაჟი მყავდა გაგრაში. ქალიშვილი მყავს. ბიჭი, სამწუხაროდ, – არა. როცა დაბომბვა დაიწყო, ჩქარა წავიდეთო, ემინოდა. 5 წლის იყო მაშინ, როცა წამოვედით. და აქ აგვისტოს ომმა კი იმსხვერპლა ჩემი შვილი.

მ. კ. – ჯარში გაიწვიეს თუ თვითონ წავიდა?

მ. ს. – მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში.

მ. კ. – სამხედრო იყო...

მ. ს. – დარჩენილი იყო 7 თვე და ... სამხედრო იყო, კი.

მ. კ. – ძალად დაღუპულ ბიჭებს ვეძახი მათ, ძალად დაღუპულს. პროვოკაციას რო ავყევით, ის ამბავი იყო.

მ. ჯ. – დიდი ტრაგედიაა.

მ. კ. – დიდი ტრაგედიაა, როცა დიდ პოლიტიკას ეწირებიან ბიჭები. მე მყავს ახლა სახლში ბიჭი და ვიძახი, რომ, ომი რომ დაიწყოს უკრაინაში, არ გავუშვებ. საზარბაზნე ხორცად არა, არ გავუშვებ.

მ. ს. – არა, ქალბატონო, ახლა საქმე იმაშია, რო, ფორმა რო გაცვია, როცა დაჭირდება საქართველოს, მართლა კი უნდა იბრძოლო და იომო, მაგრამ ეს მსხვერპლი რო იყო ბიჭების 2008 წელში, თვითონ მთავრობის ხალხი იყო წასული, ერთი – იყო ასათიანი თავის ოჯახით დარჩენილი თბილისში. დანარჩენს ყველას გახიზნული ყავდა ოჯახები.

მ. კ. – იმასაა, რომ ვამბობ.

მ. ა. – ეს პირტიტველა ბიჭები, არამცოდნე ბიჭები შეეწირა ამ ქვეყანას.

მ. ჯ. – შეატოვეს იქაურობას.

მ. კ. – ვეშაპს. იმას ვიძახი. საზარბაზნე ხორცად იყენებენ ბიჭებს.... მე იმას ვიძახი, გამოიყვანონ ჯერ თავისი შვილები-მეთქი და მერე გავუშვებ ჩემსას.

მ. ს. – ყოველთვის ისტორიიდან მოყოლებული, ეხლა ისტორია ყველამ ვიცით, ალბათ, ოდითგანვე ყავდა საქართველოს მტერი და მოლაღატე. და თუ ომები იყო ადრე ისტორიულად, მაშინ მხედარმთავარი მიუძღვებოდა წინ. და მე ამის არასდროს მეშინია, ყოველთვის ვიტყვი, რო სააკაშვილი ასე იმალებოდა, ომი რომ დაიწყო. ძალიან კარგად იცით.

მ. კ. – კი, ძალიან კარგად ვიცით, შიშისაგან იმალებოდა.

მ. ა. – გორში რა გააკეთა...

მ. ჯ. – ვიცით და მეტი არა? როგორ ხოხავდა... კი...

მ. ს. – მაგრამ სიმართლეს დღეს რო იტყვი, მერე ვის უნდევხარ.

მ. ჯ. – ჰგონიათ, რო ხალხს არ ახსოვს ეს ყველაფერი. გვახსოვს!

მ. ს. – აი, თუნდაც სოხუმის დაკარგვის ამბავი რომ ავიღოთ შევარდნაძის დროს.

მ. ჯ. – აფხაზეთი გაყიდული იყო თავიდანვე.

მ. კ. – გაყიდული იყო. გაყიდა, გაყიდა შევარდნამემ.

მ. ს. – როგორ, შევარდნამე გადარჩა და შარტავა დაიღუპა?! რატო?

მ. კ. – შეწირა იმან.

მ. ს. – როგორ, ის დაიღუპა და შევარდნამე გადარჩა? ეს ასე ჭირდებოდა იმ დროს შევარდნაძეს.

მ. ა. – ყოველთვის ისეა, მზია, ყოველთვის. მოცილება უნდოდათ და მოიცილეს. ეხლაც ისეა. აი, მოვყვით თუნდაც.

მ. კ. – მე არა ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ ვიცი.

მ. ჯ. – მაშეკო, შენ ნაკლები ილაპარაკე ახლა.

მ. ს. – აი, რო მოვყვით ახლა, ყველაზე მთავარი, ვინც აწყობდათ, იგენი ყველა მოიცილეს. ... აი, რო მოვყვით ეხლა, ჟვანია დაიწყო, (ყველა მთავრობას შევეხეთ ძალაუნებურად,) პატარკაციშვილი აიღეთ, რა ვიცი, ვინც არ უნდა იყოს... აი, ხო ხედავ, ყველაფერი იცის ჟვანიას ცოლმა და ხმას ვერ იღებს. რატო? ამოუწყვიტავენ ოჯახს.

მ. ჯ. – შვილები ჰყავს...

მ. ს. – და გააჩუმეს.

მ. კ. – ის ბიჭი ციხიდან ძლივს გამოუშვეს.

მ. ა. – დიდ კაცთან პატარა კაცსა როდი გასვლია მართალიო, აი ასეა.

მ. ს. – ჩვენ ეს ბინები ეხლა კი არ უნდა მიგვეღო, ორი წლის უკან. ხალხს, რამდენს, ლოდინში ამოხდა სული, ბინა, ბინაო და, რამდენი მოასვენეს ცარიელ ოთახში და ისე იტირეს. იმიტო რო ელოდებოდნენ, რამდენი ვინმე დაიღუპებოდა, მაგათთვის უკეთესი იყო. და ვისაც მართლა ბინა ჭირდებოდა, იგენი უბინაოდ დარჩა... თვითონ მთავრობას რამდენი ლტოლვილები ყავდა ჩაწერილი და როგორ ცხოვრობენ.... ცხოვნებული შევარდნაძის ცოლი მაშინ რო ამბობდა, კარგი დიასახლისიო 8 ლარით იარსებებსო. იარსებოს თვითონ 8 ლარით.

მ. ა. – იარსება მაგან...

მ. ჯ. – აწი სადაცაა, იქ იარსებებს.

მ. კ. – არ ცხონდებიან, სულერთია, მაინც.

მ. ს. – არა, სიმართლეს რო იტყვი, მერე...

მ. კ. – სიმართლე მაინც არ იმალება. ჩვენც ხომ ვიცით, ყველამ იცის. დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, სიმართლე გაიმარჯვებს.

მ. ს. – სანამ აფხაზეთის ომი დაიწყებოდა, ყველამ კარგად ყველაფერი იცოდა, აფხაზეზმაც და ყველამაც. ტალავერს აკეთებდა ჩემი მეუღლე და ვეხმარებოდი და, მოვიდა სომეხი და გვეუბნება, რუსულად ამბობდა, რა თქმა უნდა, დაგრჩებათ მაინც ოხრადო. აი, საიდან იცოდა იმან?!

მ. ჯ. – და სიძულვილიც ჰქონდათ, ეტყობა, რახან ასე ამბობდნენ.

მ. ს. – სიძულვილი ძალიან დიდი იყო. მე ვმუშაობდი ბლინჩიკების ცეხში. ლაკერბაია გაგიგიათ ალბათ, ის იყო ჩვენი დირექტორი მაშინ. და ამ ლაკერბაიამ, ისე გააკეთა, რო ქართველსა და ქართველს შორის რუსი ჩასვა, რუსის და რუსის შუა ქართველი ჩააჯინა, დაგვსაქსა რა. ქართველებს არ მოგვცა იმის საშუალება, რო ერთად ვმჯდარვიყავით. ყველამ ყველაფერი იცოდა.

მ. კ. – რუსმა დაგეგმა და ჩვენ განვახორციელეთ.

მ. ა. – ის კი არა, ნათურები ქონდათ, ცისფერი ნათურები ანთებული ბალკომებში, რო ეგრძნო აფხაზებს, ვინ ცხოვრობდა აფხაზების ნათესავი.

მ. ჯ. – რო ცოდნოდათ, კი. მეც ვხედავდი, ნათურა ანათებდა, ჩემი ბინიდან, ცისფრად არა, – თეთრად, სოხუმში. მთაზე. აინთებოდა, ჩაქრებოდა, აინთებოდა, ჩაქრებოდა. რაღაც სიგნალს აძლევდა. ბესოს ვუთხარი მაშინ და მიაქციეს ალბათ, ყურდღება. იცოდნენ იმათ და ემზადებოდნენ მშვენივრად.

მ. კ. – სტადიონზე რომ თავებით ითამაშეს?!

მ. ა. – ეს ხო ნამდვილი ამბავია.

- მ. კ. – ნამდვილი ამბავია. მაშინ იქ იყავით, თუ წამოსული იყავით?
- მ. ს. – წამოსულები ვიყავით.
- მ. კ. – წამოსულები იყავით. ეს იყო 3 ოქტომბერი, მე მგონი. გაგრა რომ დაეცა.
- მ. ჯ. – 2 ოქტომბერი იყო ზუსტად. რა დამავიწყებს.
- მ. ს. – და ზოგიერთს ეს თითქოს ზღაპარივით ჰგონია და სინამდვილეში ეს იყო მართალი.
- მ. ჯ. – მართალი იყო, რას და რას არ აკეთებდნენ და მერე ქართველებს აბრალებენ, მხედრიონს ყველაფერს, და ზოგს სჯერა.
- მ. კ. – ქართველებმაც დააშავეს.
- მ. ჯ. – არა, დააშავეს, კი, მაგრამ ისე არა, როგორც ყვებიან იქ და როგორც აფხაზებმა და უფრო სომხებმა დააშავეს.
- მ. ა. – ყოველთვის მოყვებოდა ომს, აი ქურდობა და, ბოდიში და, მამა-ძაღლობა. ისინი საბრძოლველად არცერთი არ იყო, არცერთი არ იყო. ისინი ცდილობდნენ, რომ გაექურდათ იქაურობა და ეს გააკეთეს.
- მ. კ. – ეს იყო პროვოკაცია. იმათი გამოგზავნა იყო, მაშინ, უკვე პროვოკაცია, შევარდნაძის მიერ დაგეგმილი. შევარდნაძე მოვიდა ამ დავალებით აქ, საქართველოში. ეს ჰქონდა დავალებული და შეუსრულა რუსს ხუთიანზე. და კიდო ზოგიერთს დიდი პოლიტიკოსი ჰგონია.
- მ. ს. – დღეს კიდე რა მდგომარეობა მოდის, გრუზია ბეზ გრუზინო, აი. იმიტოა რო ხდება ეს ყველაფერი ეხლა. ჩვენ ქართველს იქ არ აჩერებენ და აქანე ყოველ ფეხის ნაბიჯზე რუსი, რუსი, რუსი, რუსი...
- მ. ჯ. – აქაც არიან? წყალტუბოშიც?
- მ. ა. – იყიდება საქართველო, მართლა რომ იყიდება. ჩვენ მიწებზე რატო უნდა იცხოვროს ვიღაცა ჩინელმა, ვიღაცამ... ქართველმა თუ შენიშვნა მისცა იმ ჩამოსულს, შენ დაგაჯარიმებენ და შენ იმას გიზამენ, დაგადანაშაულებენ აქეთ, თორე იმას არა, იმას არა.
- მ. ს. – ყველა მიწის შვილები ვართ, მარა რატო, რატო. რატო, სხვა ეროვნება ცხოვრობს, მარა... ჩვენ რატომ უნდა გვიჭირდეს?...
- მ. კ. – თქვენი ვაჟი სადაა დაკრძალული?
- მ. ს. – წყალტუბოში მყავს შვილი დაკრძალული.
- მ. ჯ. – და მემორიალზე მისი სახელი ხომ არის?!
- მ. ს. – მისი სახელობის სკოლაა წყალტუბოში და მისი ქუჩაა.
- მ. კ. – სამაკაშვილის.
- მ. ა. – კი, სამაკაშვილის!
- მ. ჯ. – ჩემი ძმის სახელობის ქუჩა არის თბილისში. მე სოხუმში დამეღუპა. მაგრამ რა?

მ. ს. – აზრი? აზრი რა არი, აზრი?!

მ. კ. – უაზრობა არის აზრი.

მ. ს. – ის ტერიტორიები რომ დაბრუნებულიყო, აი, ჩვენი შვილების სისხლი რომაა დაღვრილი, აი, მაშინ ცოტა ვითომ დაწყნარდებოდი, ვითომ იმას შეეწირა იმათი სისხლი, მარა...ისე აზრი არაფერი არაა.

მ. ა. – ა, რამდენი წელი ველოდებით, რომ ვითომ რაღაცა მოხდება.

მ. ს. – უაზრო ომს შეეწირა ჩვენი უდანაშაულო ბიჭები, მე ვფიქრობ.

მ. კ. – თქვენი გოგო სად მუშაობს?

მ. ს. – ჩემი გოგო დღესდღეობით პოლონეთშია მეუღლესთან ერთად. შვილიშვილი ჩემთანაა.

მ. კ. – ესე იგი იმედი არის, რომ დაბრუნდებიან.

მ. ს. – ჩვენი ასაკის ხალხი ვერ დაბრუნდება. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ამას ვერ მოვესწრებით.

მ. ჯ. – მოვესწრებით.

მ. ჯ. – ძალიან კარგი, თუ მოვესწრებით.

მ. ს. – კარგი ცხოვრება იყო, კარგი დრო იყო, მაგრამ, დაკარგულ საუკუნეს ვერ დააბრუნებო, რო იტყვიან, ნათქვამი როა, არა მგონია, დაბრუნდეს აფხაზეთი.

მ. ჯ. – რომც დაბრუნდეს, ის უკვე ის არ არის, რაც იყო, რაც გვახსოვს.

მ. ს. – ჩემნაირები ბევრი არ წავა, ვისაც შვილი, ძირი, დედა, მამა, დედამამის შვილი აქა ყავს დაკრძალული. რამდენი აქ დაბადებულია დევნილობაში... არ წავა და ესაა.

მ. ჯ. – რა დაგვხვდება?!

მ. ა. – ერთი შესულა და გადაუღია ვიდეო არადუში. ვუყურე. ქუჩა ვერ ვიცანი, ისეა განადგურებული. გადამწვარია სულ სახლები. ჩემ დროს, რომ მოვდიოდით იქედან, რო მოვრბოდით, რო მოვიხედავდით, უკვე სახლი ფეთქდებოდა.

მ. ჯ. – საშინელება გამოვიარეთ. და მაინც, იმედი გვქონდეს! კარგად იყავით, ჯანმრთელად იყავით! შვილიშვილები გიმრავლოთ, გიბედნიეროთ!

მზია სამაკაშვილი, მაყვალა არჯევანიძე

(გაგრა -არადუ-წყალტუბო)

მარინე კაკაჩია, მარინა ჯღარკავა

მამიკოს განებივრებული

მ. ჯ. – ფატი, როგორ დასახლდით აქ, წყალტუბოში?

ფ. ფ. – მართლა რომ გითხრა, ძალიან გვიჭირდა. დახმარების იმედზე ვიყავით. მაშინდელი მთავრობა რასაც გვამლევდა, ხომ იცი. არც არაფერი გამოგვიტანია, სანამ მამიკომ არ მოიტანა რაღაცეები.

მ. ჯ. – ჩამოიტანა? შეძლო?

ფ. ფ. – ხო, ხო. ნახევარი მოპარეს მეზობლებმა. იქიდან ჩამოიტანა, სახლიდან, აფხაზეთიდან. ყოველ შემთხვევაში, აუცილებელი, სარეცხი მანქანა და იგენი მოიტანა. რავი, რო გითხრა, ძან გვიჭირდა. ძან გვიჭირდა. რომ არა აი, ეს დახმარებები, ალბათ, მოგვკვდებოდათ შიმშილით. არც სამსახური, არც პენსია, არაფერი არსებობდა.

მ. ჯ. – რამდენი წლის იყავი მაშინ? 13-14-ის იქნებოდი, ხო? პატარა იყავი მაშინ.

ფ. ფ. – მეშვიდეში რო გადავედი, მერე შეიქნა ომი.

მ. ჯ. – ზაფხულის არდადეგები იყო.

ფ. ფ. – არდადეგები ხო დაემთხვა და ამ დროს იგიც დაიწყო. ჰე, რას იზამ?! ხოდა, ერთი სიტყვით, ერთი წელი გაგვიცდა და მერე შევედი სკოლაში, აგერ შანიძეზე როა, მარა, რო გითხრა, არც პასტა, არც რვეული, არაფერი მქონდა. არც არავინ გვებმარებოდა. ა, რო იტყოდა მასწავლებელი, რო ვისაც გაქვთ, მოუტანეთ წიგნო... ერთი-ორი ცალი მომცეს, რა...

მ. ჯ. – თვითონაც არ ჰქონდათ, ალბათ...

ფ. ფ. – იცი, მართლა ერთი წელი ძლივს ასე გავიტანე და ამიცრუვდა მერე გული და არ მივლია სკოლაში.

მ. ჯ. – რას ამბობ?! გარდამავალ ასაკში იყავი თანაც.

ფ. ფ. – ზაფხულში რომ ჩექმებს ჩაიცვამ...

მ. ჯ. – წარმოდგენილი მაქვს.

ფ. ფ. – ძან საშინელებაა. აბა. ექვსი სკოლა (კლასი) აფხაზეთში დავამთავრე. დავდიოდი და ვსწავლობდი, როგორ არა.

მ. ჯ. – ომმა ამაშიც შეგიშალა ხელი.

ფ. ფ. – ძან გავვიჭირდა. მერე ავიდგით რა, მერე-მერე.

მ. ჯ. – მამა ცოცხალია?

ფ. ფ. – კი. მამიკო მერე ჩამოვიდა.

მ. ჯ. – ღმერთმა კარგად გიმყოფოს.

ფ. ფ. – ბებია აღარ მყავს, ბაბუა, ბიძია. ყველა გარდაცვლილი მყავს და ერთადერთი იმედი მამიკოა.

მ. ჯ. – ოჩამჩირე კარგად გახსოვს?

ფ. ფ. – ბაბუა აქედანაა წასული.

მ. ჯ. – აქედან საიდან?

ფ. ფ. – აქ რა ადგილზე ცხოვრობდა, არ ვიცი, მართლა არ ვიცი. აქედან რო წავიდა, მიწის ნაკვეთი იყიდა, ოჩამჩირეში სახლი ააშენა. რა მიჭირდა მაშინ?!

მ. ჯ. – არაფერი. ბაბუა მამის მამა იყო? ანუ ფანცხავა იყო?

ფ. ფ. – ხო. იქ დავიბადე მე, ოჩამჩირეში. იქ დაიბადა მამიკო, ბიძია. ერთი სიტყვით, იქიდან ვართ.

მ. ჯ. – ისე, ყველანი ცოცხლები გადმოვიდნენ თქვენები?

ფ. ფ. – კი, კი.

მ. ჯ. – ესეც დიდი საჩუქარია ღმერთის.

ფ. ფ. – მარა ბაბუა 1 წელიწადში, 93 წელს ხო ჩამოვედით, 94-ში გარდაიცვალა, ვერ აიტანა. იშემური დამბლა დაემართა და აქ წყალტუბოში, ალბათ გახსოვთ საავადმყოფო,

მ. ჯ. – მე აქ პირველად ვარ, წყალტუბოში.

ფ. ფ. – მართლა?

მ. ჯ. – სოხუმელები ვართ ჩვენ.

ფ. ფ. – სულ იქით ვარ, სულ, სულ. ბაბუას ასთმა ჰქონდა და ვერ აიტანა წყალტუბოს ჰაერი, ვერ აიტანა. იშემური, იშემური დამბლა შეექნა და აქ მერე 95 წელს 20 თებერვალს გარდაგვეცვალა ჩვენ.

მ. ჯ. – სამწუხაროა. ისე ასთმას აქ მკურნალობდნენ, გამიგია, ამ მღვიმეებში. არავის არ უთქვამს? ასთმას მკურნალობენ ხომ აქ, წყალტუბოში?

ფ. ფ. – ვერა. თანდაყოლილი იყო. ვერ აითვისა, აქაური ჰაერი ვერ აითვისა. ჯამთელობა ქონდა ცოტა შერყეული, მაგრამ აქ უფრო ვეღარ აიტანა.

მ. ჯ. – მუშაობ სადმე, ფატი?

ფ. ფ. – კი, დასუფთავებაში. 12 წელზე მეტია.

მ. ჯ. – ყოჩაღ.

ფ. ფ. – პირველად რომ ვიმუშავე, 80 ლარი მქონდა ხელფასი. მაშინ დირექტორი გყავდა ჯემალ ჯიქია. მართლა კარგი ადამიანი. ერთხელაც არ უყვირია. არც საყვედური უთქვია. მე და ბებია ვმუშაობდით, მე მეხმარებოდა ბებია... რავი, პირველად რო ავიღე ფული, ტირილი დავიწყე. ხელფასის გამო. რა გატორებს, გოგოო. მე ვუთხარი, ძაან შენ რო მომეხმარე, შედეგი ესაა, მე უთხარი. მაინც ხო იცი, საკუთარი ნაშრომი ჩემი საკუთარი ნაშრომი იყო. მის მერე ვარ მეუზოვე. მის მერე. ალბათ, სანამ სული არ ამომძვრება, ვიქნები მეუზოვე.

მ. ჯ. – არა უშავს. პროფესიას არა აქ მნიშვნელობა, საქმიანობას. თავის პროფესიას ვინც პატივს სცემს, ის ყველა კარგი ადამიანია. მე, მაგალითად, ჩვენთან დამლაგებლები რომ არიან, ისინი უფრო მიყვარს, ვიდრე ზოგიერთი ვითომ კაცი. უფრო მეტ პატივს ვცემ თქვენი პროფესიის ხალხს, ვიდრე ზოგიერთ სხვას.

ფ. ფ. – დიდი მადლობა.

მ. ჯ. – ოჩამჩირის რა გახსოვს? ბავშვობის მოგონებები! ხო გახსოვს?

ფ. ფ. – რას ამბობ?! მახსოვს, როგორ არა. (იცინის)

მ. ჯ. – მომიყევი ცოტა.

ფ. ფ. – მამიკოს განებივრებული ქალიშვილი, როგორ არ მახსოვს. ჩვენ წინ, მდინარე ღალიძგა ხო გაგიგია?!, ჩვენ წინ იყო. 10 წუთში ჩახვიდოდი. ჩვენ ცოტა მაღლა ვიყავით და უნდა ჩასულიყავი და ყანაც იქ გვქონდა. უნდა გადაგეკვთა მდინარე და ყანა გვქონდა იქ. რა კაი დრო იყო. მართლა კაი დრო იყო.

ქალაქი მახსოვს, სადაც მამიკო მუშაობდა, ხუთსართულიანი უნივერმაგი რომ იყო დიიდი, ყველაფერი რომ შედიოდა იქ.

მ. ჯ. – მახსოვს. ყველაფერი იყიდებოდა.

ფ. ფ. – მამიკო მთავარი გრუშიკი (რუს. грушик – მტვირთავი) იყო იქ. იქ იგრუშებოდა ყველაფერი. მამიკო ბატონ-პატრონი იყო იქ. ყველა აფასებდა. ა, დღეს, დღეს თუნდაც ბაზარში რომ დაიწყო აქანე მუშაობა, ოცი თეთრის მოცემა ჭირდა. იქ, იქ, კაცო, ყველაფერს აძლევდნენ. სკოლაში რომ დავდიოდი, რო წამიყვანდა, ჰა, ეს ჩემი გოგოაო, იტყოდა. ყველას იცნობდა და საჩუქრებით დატვირთული ვბრუნდებოდით სახლში. მიხაროდა.

მ. ჯ. – რა თამაშებს თამაშობდით ბავშვები, თუ გახსოვს?

ფ. ფ. – თამაშებს, რა ვიცი, რო გითხრა... სკოლაში უფრო. და არ მყავდა მაშინ და სკოლაში ფისკულტურის მასწავლებელი სხვადასხვა რამეს მასწავლიდა. ასეთი რაღაცეები იყო, საქანელებიო, ფისკულტურაო. გვათამაშებდა.

მ. ჯ. – მარგალურ მუჭო გიჩქ?

„მეგრული როგორ იცი?“

ფ. ფ. – ჭიჭე-ჭიჭე.

„ცოტა-ცოტა“

მ. ჯ. – ქორშუნო მუთუნდ მარგალურო?

„გახსოვს რამე მეგრულად?“

ფ. ფ. – ქო, ქო. „კი-კი“.

მ. ჯ. – ცუდეს რაგადანთო მარგალურო?

„სახლში ლაპარაკობდით მეგრულად?“

ფ. ფ. – თექ ბრაგადანდით.

„იქ ვლაპარაკობდით“

მ. ჯ. – თექდ რაგადანდით. თაქდ?

„იქ ლაპარაკობდით. აქ?“

ფ. ფ. – ათაქ ქორთულო უფრო. „აქ ქართულად უფრო“

მ. ჯ. – თაქ უმოსო ქორთულო რაგადანთ. „აქ უმეტესად ქართულად ლაპარაკობთ“.

ფ. ფ. – ო, ქუმუორჩქვან, მუ მიჩქუ. “ კი, მივეჩვიე, რა ვიცი.”

მ. ჯ. – მიწკვმა რაგადანდით თექე მარგალურო? დიდა დო მუმა ხოლო რაგადანდეს, ბები დო ბაბუ, ბადანეფ ხოლოო? „ვისთან ლაპარაკობდით იქ მეგრულად?“

ფ. ფ. – „ჩქიმ დიდა აფხაზა რდუ.“ „ჩემი დედა აფხაზი იყო.“

მ. ჯ. – აფხაზურდ ქოიჩქუნო? „აფხაზური იცი?“

ფ. ფ. – ვარი. „არა.“

მ. ჯ. – მუშენი, ვაგოგურუანდესო დიდა? მუ გვარი რდ დიდა?

„რატომ, არ გასწავლიდათ დედა? რა გვარის იყო დედა?“

ფ. ფ. – ვაუგურაფნა ჩქიმდა. რუსული რდ იმწუმა, რუსულდ, ქორთულდ.

„არ უსწავლებიათ ჩემთვის. რუსული იყო მაშინ, რუსული, ქართული“.

მ. ჯ. – მუ გვარი რდგ დიდა? „რა გვარი იყო დედა?“

ფ. ფ. – ჩერქეზია.

მ. ჯ. – ჩერქეზია რდუ დო აფხაზა რდუო? „ჩერქეზია იყო და აფხაზი იყო?“

ფ. ფ. – ქო. მა ვაფშ. ჭიჭე ვორდინ, მიდართ. ოკოდ ცუნაფა ჩქიმ, მარა ბებიქ დო პაპუჩიქ ვა ინეს. „კი. მე არ მახსოვს. პატარა რომ ვიყავი, წავიდა. უნდოდა წაყვანა ჩემი, მაგრამ ბებიამ და მამამ არ ქნეს.“

მ. ჯ. – ვაგომტეს. „არ გაგიშვეს.“

ფ. ფ. – მიდართ დო უკულდ სუმდ-ოთხშა გათხუებე, თითო-თითო თუთას. „წავიდა და მერე სამ-ოთხჯერ გათხოვილა თითო-თითო თვეს.“

მ. ჯ. – ბებიქ დო ბაბუქ მოგრდეს თქვა, ხო? ე.ი. ბებიმ დო ბაბუმ ნარდი რექ დო მუმაში. „ბებიამ და ბაბუამ გაგზარდეს თქვენ, ხომ? ბებიის და ბაბუის გაზრდილი ხარ და მამის.“

ფ. ფ. – ყველა მე მზრდიდა, კი, ბიძიაც, ბაბუაც, ბებიაც, მამიკოც. კარგი დრო იყო.

მ. ჯ. – კარგი დრო იყო. აქ ახლა, ან რომ გადმოგიყვანეს, როგორ ცხოვრობთ? ამ ბინებში (ახალ კორპუსებში) ახლა როგორ ცხოვრობთ?

ფ. ფ. – ნიჩეო. ახლა ჩემმა მეზობლებმა დაგვეხმარეს. პროგრამაში შედიოდა მარტოხელა პენსიონერებზე დახმარების გაწევა. ანუ, საწოლი, კარადა, მაგიდა, ერთი ტუმბოჩკა და სკამები. მერე მამიკომ უთხრა და მიეხმარა მერე მამას. და მერე მეზობლებს უთქვია იმათთვის, მიეცით ცოტა ფულიო ამ კაცსო, ამხელა ტვირთს რომ ათრევსო, ხუთის შრომისაო, მაინც კაიაო, და 150 – 170 ლარი მას მისცა. გვიჭირდა, მართლა გვიჭირდა, რა ვიცი. მეზობლებს არ ვენდური. ძაან დიდი დახმარება გაგვიწიეს. რაც მოგვეცეს. კარმა, აქანე კარმა (გასათბობელი) ხომ უნდა დაგვედგა და განვადებითაც არ მოგვეცეს, ლიმიტი არ გყოფნის, ფატიო, და რა არი, მე ვუთხარი, თქვენ იმედად მტერი არ ყოფილიყოს, მე ვუთხარი ბანკის თანამშრომლებს ვუთხარი, რა იყო, ერთ თავს გთხოვთ, მე ვუთხარი, და, როდესაც მოვბრუნდით, 75 ლარს მთხოვდნენ და მე შემემლო, ის გადამეხა-

და? არ მოგცეს. მაშინ მამიკო არ მუშაობდა. რავი, ხოდა, მამიკოს უთქვია მერე იმ კაცისთვის, ფოტოგრაფისთვის. ფოტოგრაფი იყო ეს კაცი, უღებდა ფოტოებს, აკვირდებოდა, რას აკეთებდნენ მასტერები, სამუშაოებს, ჩვენ ორ კორპუსს რომ აშენებდნენ, ამათ – არა, ჩვენ ორ კორპუსს, მასტერს. და უთხრა მამიკომ, რა იქნება, არ გვქონდა ამდენი თანხაო, რო ვიყიდოთო იგიო, კარმა. ამ ზამთარში არ გვადლევენო, ჩემ შვილს არ აძლევნო განვადებითაცო და დაგვეხმარეთო, რა იქნებაო. ხოდა, რა ვიცი, ყველაფერს გავეუკეთებოთ, ყველაფერსო თითოს. ბევრს არ ქონდა ასე, არ იყვნენ გაჭირვებული, დაგროვებული თანხები ქონდათ და იყიდენ. და მართლა, ჩემ მეზობლებს სიაში ჩავუსვივართ და, დედა, რა გამიხარდა! მირეკავს გამწარებული მანანა, კომიტეტის წევრი რომელიცაა, ჩქარა მოდიო. ხომ მშვიდობაა, მე შემეშინდა, ალბათ, მამიკოს რაღაცა დამართათქვა და მე გული გადამიცივდა. ფატი, მოსულია, ადამიანი მოსულიაო და რატომ, მე ვუთხარი. გოგო, კარმა მოგიტანეს, კარმაო, და დედა, რა გამიხარდა... ა, ახლა მოვალ, მე ვუთხარი, 10 წუთში მანდ ვიქნები-თქვა. დედა, რა გამიხარეს?! მართლა ძალიან გამეხარდა.

მ. ჯ. – აბა რა, გაგიხარდებოდა. ახლაც გიხარია, რომ იხსენებ.

ფ. ფ. – ჰოდა, თვითონ მომიტანეს. ხვალ მოვალო, მოვიყვან ხელოსანსო, არაფერი ფული არ არის საჭიროვო, მე დავადგმევციებ იმასო, კარმასო და ხელი არ ახლოო. არა, როგორ გეკადრება, მე ვუთხარი და მართლა, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ასე დაგვეხმარა. ჩართეს და ასეთი თბილი ზამთარი გვქონდა, ასე თბილად თქვენც გეცხოვროთ. კარადაც მისცეს, ერთი საწოლიც მისცეს, მერე მაგიდა, და რავი, ასე გაგვახარეს.

მ. ჯ. – მამიკოს?

ფ. ფ. – მამიკოს. ეგი პენსიონერი იყო მაშინ, ინვალიდობის, მეორე ჯგუფის. ჰოდა, ასე შეიქნა. მაღლობა ღმერთს, რომ ახლა არ გვიჭირს, მართლა არ გვიჭირს.

მ. ჯ. – ჩვენც ბევრი რამ გადავიტანეთ.

ფ. ფ. – ეს არ უნდა დაივიწყო. მე რაღაცა პატივისცემა მიწოდდა და არაფრით არ მოვიდა მერე, არაფრით რამაზ ჩაკვეტამე.

კიდო კაი, რო კეთილი ადამიანები არსებობენ!

ფატიმა ფანცხავა (43 წლის)
(ოჩამჩირე – წყალტუბო)
მარინა ჯღარკავა

სოხუმელი გიორგი სააკაძე და ზურაბი

მ. ჯ. – ბატონო ჯემალ, სად ცხოვრობდით სოხუმში, საიდანა ხართ წარმოშობით?

ჯ. ბ. – გახლვართ 1941 წელს დაბადებული, 8 ივნისს. ვცხოვრობდი მიმინოშვილის 36-ში, სოხუმში, რა თქმა უნდა, და 32 წელიწადი აქა ვარ, წყალტუბოში. ვიყავი სოხუმელი და ამჟამად წყალტუბოელი ვარ.

მ. ჯ. – საერთოდ არ გეტყობათ ასაკი. ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ასე მხნედ და ჯანმრთელად,

სოხუმის ცხოვრებაზე რას გვეტყვით?

ჯ. ბ. – სოხუმის ცხოვრებაზე რა უნდა გითხრათ?! მქონდა ორსართულიანი სახლი, ვიყავი მშვენივრად მოწყობილი. შეიძლება ითქვას, რო ავეჯითაც სავსე მქონდა და ვცხოვრობდი იქ და, აქ კი არ ვცხოვრობ, ვარსებობ.

მ. კ. – სკოლა იქ დაამთავრეთ, სოხუმში?

ჯ. ბ. – სკოლა დავამთავრე აქ. იმერელი კაცი ვარ მე. გორდის საშუალო სკოლა მაქ დაამთავრებული.

მ. კ. – როგორ მოხვდით აბა იქ, აფხაზეთში?

ჯ. ბ. – სასწავლებლად ჩავედი იქა და დავრჩი მერე საცხოვრებლად.

მ. ჯ. – გორდიდანაა დედაჩემი წარმოშობით.

მ. კ. – თქვენი გადასახლება იყო.

ჯ. ბ. – ხელახალი გადასახლება იყო. ბებიაჩემი შვილებით.

მ. კ. – ხო, თქვენ ცაგერიდან გადმოგასახლეს.

მ. ჯ. – დაოჯახდით იქ.

ჯ. ბ. – იქ მყავდა ცოლი, შვილები.

მ. კ. – მეუღლე სადაური გყავთ?

ჯ. ბ. – იქაური, წებელდელი.

მ. კ. – წებელდელი. გვარი?

ჯ. ბ. – ნაჭყებია.

მ. კ. – მეგრელი მეუღლე. ინტერფერენცია ძალიან საინტერესო იქნება აქ. მეგრულიც ხომ ესმოდა და იმერული კილოც ხომ ესმოდა.

ჯ. ბ. – მეგრული ვისწავლე თბილისში.

მ. ჯ. – ჩემსავით.

მ. კ. – მეგრულად შეგიძლიათ თქვათ? მეგრულად ილაპარაკოთ შეგიძლიათ?

მ. ჯ. – ქომიწით მუთუნი მარგალურო.

„გვითხარით რამე მეგრულად.“

ჯ. ბ. – ტყაშ ნარდი ხო ვავორექ, ვამიჩქუდას მარგალური. (იცინის)

“ტყეში გაზრდილი ხომ არ ვარ, მეგრული არ ვიცოდე.”

მ. ჯ. – მართალო ! თაქ მუჭო დიგურეთ მარგალური?

„მართლა! აქ როგორ ისწავლეთ მეგრული?“

ჯ. ბ. – თაქ ვარ, ქართის. „ აქ არა, თბილისში.“

მ. კ. – თაქ ვაგგოჭყორდესო მარგალურქ? „აქ არ დაგავიწყდათ მეგრული?“

ჯ. ბ. – თექე, სოხუმს, ვამარაგადედუ მა მარგალური. მართალს ბრაგადა, ქართის დიგურე მა. მუნერო ქოიჩქუნო? სავაჭროთ ვორდი დო სოთინ არდგილ ვამაშუ. მუშენი რდ საქმე?! ქართმე ვისაც შევეკითხებოდი, ცოტა ადგილი მომეცით, ყველა მეუბნებოდა: ცოკ, არა, არ შეილება, არა, არა. მერე ვიფიქრე: კაცო, რაა, რა ხალხია, ვინ არიან ესენი, რო ყველა უარს ამბობს და სინამდვილეში შეიქნა ჩვენი მეგრელები ყველა. მერე გავავარჯიშე ენა, ჰოდა, მეგრულად მივმართე.

„იქ, სოხუმში, ვერ ვლაპარაკობდი მე მეგრულად. მართალს ვამბობ, თბილისში ვისწავლე მე. როგორ იცი? სავაჭროდ ვიყავი და ვერსად ადგილი ვერ ვიშოვე. რაში იყო საქმე?! ქართულად.....“

მ. კ. – ათაქ ქუდმორინეთია. „ აქ დამაყენეთო.“

ჯ. ბ. – ჯიმაღეფი, ჭიჭე მიწიკონით – მაქი. ოოდა, აჰ, ათენა ჩქინდ კოჩი ცოფენია. მიიწიენ-მოიწიენ და მომცენ ამხელა ადგილი. მაგრამ ერთი სამი დღის მერე ერთი წავიდა, მერე მეორე მიყვა იმას და დამრჩა მეფური ადგილი. და ვალებში წავედი. ვალები გავისტუმრე და სახლში კიდო ჩამოვიტანე რაღაც საარსებო საშუალება, საარსებო წყარო.

„ძმებო, ცოტა წაიწიეთ-მეთქი. ხოდა, ოჰ, ჩვენი კაცი ყოფილაო.....“

მ. ჯ. – მეგრულმა გიშველათ.

ჯ. ბ. – ჰო, მეგრულმა მიშველა.

მ. კ. – ა, ხედავ შენ? გავარჯიშებამ.

ჯ. ბ. – გავარჯიშებამ. რო არ მეთქვა, მიწიკონი – მაქი, დაღუპულად იყო ჩემი საქმე.

მ. კ. – კარგია. კიდევ რას გვეტყოდით მეგრულად? ცოლს მეგრულად არ ელაპარაკებოდით?

ჯ. ბ. – არა, სახლში ქართულად ვლაპარაკობდით. სხვათა შორის, ჩემსავით მეგრული ჩემმა ცოლმა არ იცოდა.

მ. ჯ. – თქვენ უკეთესად ლაპარაკობდით.

მ. კ. – ამან ისწავლა და იმას არ სცოდნია, ხომ ხედავ.

ჯ. ბ. – არა. იმის ბიცოლები და ისინი ქართველები იყო და ოჯახი ქართულად ლაპარაკობდა და ამიტომ არ იცოდა. ლაპარაკობდა, მარა, ჩემზე მეტს ტეხავდა.

მ. ჯ. – შვილებმა? შვილებმა იცოდნენ?

ჯ. ბ. – შვილებიც აგერ-ეგერ ლაპარაკობენ მაინც.

მ. ჯ. – ესმით და ლაპარაკობენ. აქ როგორ მოხვდით, წყალტუბოში?

ჯ. ბ. – წყალტუბოში მე ტყვედ ვიყავი და ტყვეობიდან დავაღწიე თავი. წითელმა ჯვარმა გამოგვიყვანა ჩვენ, 10 კაცი.

მ. ჯ. – ტყვედ სად იყავით?

ჯ. ბ. – გუდაუთაში.

მ. კ. – ბევრნი იყავით ტყვედ?

ჯ. ბ. – 65-მდე ვიყავით, მარა ნაწილ-ნაწილ გაანთავისუფლეს ე.ი. ხალხი. ჩემთან იყო გენერალი მამულაშვილი, ძალიან, ფრიად კაი კაცი. იმან დაუსვა შეკითხვა, შალი იყო ჩეჩენი, რომელიც ჩეჩნების იყო მეთაური, როგორ ფიქრობო, შალი, თუ ვაჟკაცი ხარ, მითხარი ვაჟკაცურათ, ჩვენ რომ ტყვია-წამალი არ გაგვთავებოდა, ვინ ვისი ტყვე გავხდებოდითო? უთხრა იმან გულახდილად, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვიქნებოდითო თქვენი ტყვე.

მ. ჯ. – როგორ გეპყრობოდნენ ტყვეობაში?

ჯ. ბ. – ისინი, სხვათა შორის, ის ჩეჩენი მოდიოდა და იმ ტყვეებს აკითხავდა და პატივს ცემდა.

მ. კ. – ჩეჩნებმა უფრო მეტი პატივისცემა გამოიჩინეს, ვიდრე – სომხებმა და აფხაზებმა.

ჯ. ბ. – რას იზამ?! ეს უაზრო ომი იყო. არ უნდა მომხდარიყო ეს, მაგრამ მოხდა ომი უაზრობის გამო.

მ. კ. – არ უნდა შემოსულიყვნენ.

ჯ. ბ. – თუგინდ არ შემოსულიყვნენ.

მ. კ. – ჩვენც ვართ დამნაშავეები.

ზ. ყ. – მხედრიონი არ უნდა შემოსულიყო ავტომატებით.

ჯ. ბ. – რას ვფიქრობ, იცით? არა ხართ თქვენ სწორი. ერთი ჯახრიკა ტრანპორტიორი ჰყავდათ აფხაზებს და იმას დააჭენებდნენ იქით-აქეთ. ამით გვაშინებდნენ ვითამ. ამიტომ იყო ვითამ კიტოვანი და იგი რომ შემოვიდნენ.

მ. ჯ. – არა, ისინი ემზადებოდნენ ომისთვის. იარაღი ჰქონდათ უკვე შესყიდული, გეგმები ჰქონდათ დაწყობილი, ბინები, ჩვენი სახლები განაწილებული ჰქონდათ წინასწარ, პასპორტებიც ჰქონდათ აღებული ჩვენს სახლებში ჩაწერის შტამპებით.

ჯ. ბ. – იარაღი მე მკითხეთ.

ზ. ყ. – ემზადებოდენ. ომი მაინც მოხდებოდა. მე საერთოდ გზის პირას ვცხოვრობდი, ყვავილის პარნიკი მქონდა, აფხაზეთში საუკეთესო პარნიკი. ვაშენებდი, ვუმატებდი. მეზობელი მყავდა სომეხი. კარგად ვიყავით ერთმანეთთან. ერთხელ მითხრა, ტყუილად აკეთებ, ეს მიწა მე

დამრჩებაო, შენი მაინც არ იქნებაო. გამიკვირდა. ერთხელ არ მივაქციე ყურადღება, ორჯერ არ მივაქციე. გაბრაზებით მეუბნებოდა. ე.ი. აფხაზები ქართველებს, ვინც არ დაეწერებოდა აფხაზად, არ გააჩერებდნენ. ეს ასე მოხდებოდა.

მ. ჯ. – ასეთი გეგმა ჰქონდათ.

ზ. ყ. – თუ დაეწერებოდი აფხაზად, ხო, იქინე იქნებოდი. ეს ერთ დროს მაინც მოხდებოდა. რატომ დაიწყო შევარდნამემ ომი?

ჯ. ბ. – მე 77 წელს ვთქვი, რომ აფხაზები თეთრ კბილებს გვიჩვენებენ და გული შავი აქვთ-მეთქი. ბევრი არ მიჯერებდა მაშინ.

მ. ჯ. – კიდევ გინდოდათ რაღაცის თქმა იარაღზე.

ჯ. ბ. – იმის თქმა მინდოდა, რომ 89 წელში მეზობლის ქალმა მითხრა, რომ დილასო აფხაზებმაო ავტომატები და ტყვიაწამალი ჩამოიტანეს თურქეთიდან პურის ფქვილებთან ერთადო. მე ვუთხარი, ქალო, ჩვენ კაკებს, მე ვუთხარი, ზღვაში რამდენი თევზია, იგი აქვს დათვლილი-მეთქი და მაგი შეეშლებოდა-მეთქი? და, სხვათა შორის მე გაუვითარებელი კაცი არ ვიყავი და არ მომეწონა მაგისი ნათქვამი და თურმე მართალი უთქვია.

მ. ჯ. – მაგის იმედი გვქონდა ჩვენ, უშიშროება რომ ფხიზლად იყო. თქვენ გეტყობათ, ნიჭიერი და განათლებული ხართ, მაგრამ მოვტყუვდით ყველანი. გულუბრყვილოები ვიყავით, არ მოველოდით სიმუხთლეს.

ჯ. ბ. – 89 წლის შეტაკება რომ იყო, იქ მოვხვდი მე და გიორგი სააკაძეს მეძახოდნენ, იმ დღეს რადგან კეტი მეჭირა ხელში და ერთი ოცდაათი კაცი მინიმუმ დავყარე ძირს. მერე მე მითავაზეს და ჩიკინ-ჩიკინით ერთ მეტრომდე წავედი, მაგრამ არ დავეცი, რადგან ძლიერი ვიყავი. მოვიხედე უკან და, ბოდიში და, ამსიგრძე ენას რო ატლიკინებდა ჩვენი ხალხი, ვის სად გაუქუსლია, ვინ იცის, და ოციოდე კაცი შერჩენილი ვართ ამ აფხაზებს, იმხელა ბრბოს.

მ. ჯ. – როგორც ყოველთვის ხდება.

ჯ. ბ. – ჰოდა, ამ აფხაზებმა კიდევ კულტურულად, წაით ახლა, წადით, უშველეთ თავსო.

მ. ჯ. – გაგიშვეს.

ჯ. ბ. – ხო. წვედი მე ჩერნომორეცისკენ, ყველა ნაცნობი მყავდა და ის, ჩემმა მეგობარმა, ხშირად ერთად ორივეს კაი გვისვია და გვიჭამია, აფხაზმა, ამას ოუარე გვერდი და სხვებს ვურტყამდი, კინალამ ამას დავარტყი, იმან მითავაზა ფიცარი და თავი გადმოვწიე და ბეჭში მომხვდა, ბეჭიდან ასხლეტილი მომხვდა ამაში (კეფისკენ) და აქ ამხელა კოპი მქონდა, ჰოდა, როგორც ჩანს, სატრესენიეც მიმიღია მაშინ. ჰოდა, ამ

ჩერნომორეცში წყალი მოვითხოვე და მომაწოდეს წყალი, მარა კრუმ-კით და იმით ვერ გავძეხი და მე ვუთხარი, ვედრით მომიტანეთ-მეთქი და ემალიროვანი ვედრით სავსე წყალი დავცალე.

და მერე ერთი მეგრელი ბიჭი ასხარტალებდა ენას, რო ზუგდიდში ფეხზე დგასო შერეული ხალხი და გამიშვი და ჩამოვიყვანო. ვუშოვე მანქანა, ბევრ ხალხს ვიცნობდი მაშინ და, ვუშოვე მანქანა და გავუშვი და წევიდა სახში ი კაცი და დავრჩით ისე პირმშრალეები.

მ. ჯ. – რას ამბობთ, მოგატყუათ?

ჯ. ბ. – გვეგონა, ჩამოიყვანდა ხალხს და შევებრძოლებოდით ისევ ამ აფხაზებს და მოგვატყუა. ჰოდა, მე, როგორც დათქმული მქონდა, წავედი ისევ რუსთაველის პარკთან, იქ ველოდებოდი მათ ჩამოსვლას. აბ-ჯაყვიდან სამი მანქანამ გამოიარა, სამასვალიანი გრუზავოი მანქანები, და მეგრულად გვითხრეს, იარადი გვაქვს და მოგვეყვითო. ჰა, მე ვთქვი, ზუგდიდელებია-თქო და მივეყვი. მე ფეხით მივეყვებოდი, ისინი მანქანით მიდიოდნენ. არმისული ბოტანიკურ ბაღამდე ხელნაკეთი გრანა-ტი გვესროლეს, ჰოდა, ჩვენი მანქანები სამივე გაჩერდა, და ეს ხალხი უფალმა უწყის და მე შემოვბრუნდი უკან ფილარმონიისაკენ. მე რომ აქეთ წამოვედი, დამხვდა 3, ჩემზე მთელი თავით მაღლები, სამი ბიჭი და ტი გრუზინ, და? მეუბნებიან. და, მე ვუთხარი და აქ მქონდა შარვლის სათავეში სკამის ფეხი, წვრილი ფეხი, ოდა, ამათ ეკავათ ფანჯრის სტაიაკები ხელში, ჰოდა, ერთმა რო დამარტყა, დავეცი მუხლებზე. პირველი დარტყმა ისეთი იყო. როგორც – ბურთი, ისე ვარ იმწუთშივე, რომ ვიცოდი, მერე მომკლავდნენ. ამითი მოვიგერიე მერე დანარჩენი დარტყმები და რომ მოვიგერიებდი ამას, ამას მოვიგერიებდი, ეგერ ვურტყამდი მეორეს, მოვიგერიებდი, მეორეს ვურტყამდი და ორი გავთიშე. მერე მესამემ ამაში, ხელში რომ დამარტყა, მეგონა, რომ ხელი მომკვეთა. ამ დროს მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა და მე ვთქვი, გადავრჩი. დავხედე ხელს, ხელი მაქ. შეილება ჩვენებმა მომისწრეს-მეთქი და ამ იმედით შევედი სასწრაფო მანქანაში. ღია კარები იყო.

მ. ჯ. – დადიოდნენ, ხო, იმ დღეს სასწრაფოები.

ჯ. ბ. – პოლზე იჯდნენ თვდაღმა ბიჭები და მე, ვინ იყო, რა იყო, იმის განსაზღვრის უნარი არ მქონდა უკვე, იმდენი ნაომარი და იის რომ ვიყავი. ჰოდა, ბიჭებო, ბოდიში, შეიძლება სისხლით დაგსვაროთ-მეთქი, იმდენი სისხლი მომდიოდა. ტი გრუზინ, და? ეგრევე გამიმეორეს აქაც. და მე ეს მარცხენა ხელი, მარჯვენა არ მივარგოდა, ჩავთხარე იმ ბიჭს პირში, სანამ შემაგინებდა, მანამდე. იქ გევითითე, მერე არ მახსოვს არ-

აფერი. მაგრამ მერე დამჩეხეს. ცხრა ჭრილობა მქონდა, დიდი ჭრილობები, თავში. ა, აი, ნახეთ, საფეთქელში. ხელი მიაღვეით.

მ. ჯ. – ხო, აი, საფეთქელს ზემოთ ძვალთა სამწირად ჩამტვრეული.

ჯ. ბ. – აქ სამწახევარი ხუთწახევარზე ჩემი ძვალი არ მქონდა. ეს დაფშვნილი ძვლები ჩამოყრილი იყო ერთ ადგილას, ეს მერე, რეამინაციიდან რომ გამოვედი, მერე ვწახე.

მ. ჯ. – რომ გამოფხიზლდით.

ჯ. ბ. – თავიდან ფეხებამდე დაწოლილი ვიყავი სანდროს მანქანაზე, დაქედებული იმითი... თავიდან ფეხებამდე. იქაც დაქედებული ვიყავი. იმ ხანებში გიორგი სააკაძეს მეძახოდნენ, მაგრამ მერე დავავიწყდი ყველას. ადამია იყო და იმის ფონდს არიგებდა, ოდა, მე ვუთხარი, მე არ მეკუთვნის-მეთქი, მებრძოლი კაცი ვარ, ყველას რო ეხმარებით-მეთქი და? შენო პენსიას ხო ღებულობო, მითხრა. გევიჩიე იმისკენ, მიწოდოდა რომ მეღეწა, მაგრამ არ შემეძლო. ჰოდა, კეკეებმ დამიჭირა. და მერე ეს დაინვალიდებული, პირველი ჯგუფის ინვალიდი გავხდი, ორი ოპერაცია სოხუმში გამიკეთდა, მესამე მოსკოვში.

მ. ჯ. – ყველაფერი თქვენი თანხით.

ჯ. ბ. – ხო, არა, თანხა არ იყო მაშინ, საბჭოთა კამირი იყო და იმ დროს უფასო მკურნალობა იყო. თანხა. მგზავრობა იყო ჩემი და მეტი არა. ჰოდა, ეს ომის დროს დავდიოდი მერე და უკვე იელოვას მოწმე გავხდი და ვქადაგებდი ღვთის სიტყვას, რასაც ქრისტე ქადაგებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხს ჰგონია, იელოვას მოწმეები არ არიან ქრისტიანები.

მ. ჯ. – არა, როგორ არ არიან?!

ჯ. ბ. – ჰოდა, ომის დროს ვლოცულობდი და, რასაც ვლოცულობდი, ზუსტად ისე ხდებოდა ყველაფერი, რომ ჩემ თვალს არ ენახა ვინმე, რომ მომკვდარიყო ჩემ თვალ წინ. მაგრამ ვიცოდი ეხლა, ნაბრძოლები და ის რო ვიყავი, სისხლისდენა გამოცდილი მქონდა და არ მიწოდოდა, რომ მენახა სისხლი. ოდა, ჩემ სახლს ერთი ნაპერწკალი არ ჰქონდა მოხვედრილი. ყველას სახლებს ჰქონდა სწარიადი მოხვედრილი, ზემოთა და ქვემოთაც, მაგრამ ჩემი სახლები მაინც გადარჩენილი იყო და მერე ცოლ-შვილი გამოფხიზნე და მე დავრჩი სახლში იმ იმედით, რომ მე არ მოვკვდებოდი.

მაგრამ ჩემ სახლში რომ ვიყავი, ისე ამიყვანეს ტყვედ. ჯერ მომაკითხეს, პატივი ვეცი და მერე ტყვედ ამიყვანეს.

მ. ჯ. – და ჰყავდით დიდხანს?

ჯ. ბ. – ჰო, გუდაუთაში. 22 დღე ვიყავი, მეტი არა, მაგრამ მთელი საშინელება იყო.

მ. ჯ. – წარმომიდგენია.

ჯ. ბ. – არ მინდა მაგის მოყოლა.

ზ. ყ. – სინამდვილეში საქართველოსი არ იყო სოხუმი? მე იმოდენა მეურნეობა მქონდა, ყველას მოწონდა. ბაღნარი მქონდა. მეზობელი იყო ერთი, გაივლიდა, გამოივლიდა. ტყუილად აკეთებ ამას, მაინც მე დამრჩებაო. ჩვენ რა ვიცით, სად წავიდეთო. შენო, ზური, შენ რო წასავალი გაქო, ასე რომ მომცა მე, მე დავტოვებ აქაურობას და წავალო.

მ. ჯ. – ვინ აგდებდა, ვინ ყრიდა? უბრალოდ, თვითონ ჰქონდათ ასეთი ჩაგონება... თვითონ გაიფუჭეს საქმე....

მ. კ. – კაკალია ხო იყო აფხაზი, კაკალია...

ზ. ყ. – მე ვუთხარი, მაგალითად, მე სად წავიდეო, არ ვიცი, შენ მითხარი, სად წავიდე-მეთქი.

მ. კ. – რატომ, თვითონ ციდან ჩამოვვარდიო?...

ზ. ყ. – ვერ ადგენენ, კაცო, და რა ქნან.

სინამდვილეში, ტერიტორიაო, იმ რუსს შევევკითხეთ მერე ჩვენ, რუსი რო იყო, რუსი გენერალი იყო ჩამოსული, შერიგება რო იყო, მე ელცინს დავუჭირო მხარი – გადამეკიდებიან, შევარდნამეს დაუჭირო მხარი – გადამეკიდებიან... სადაც ომები იყო, ყველგან ნაგდება ეგი. აქ ამ ომში ვიყავი, იმ ომში ვიყავი, იქ ვიყავი, აქ ვიყავი... ოსეთში ომი იყო, იქინე ყოფილა თავისი ჯარით და ახლა აგერ ვარო და მშიერი მიწყდებაო ჩემი ჩასტიო. არც ერთიო, თუ გინდა, შევარდნამეს დავუჭერ ახლა მხარს ჩემი ჯარითო, არ დამკიდებს მე მედალსო, არცერთი მე მედლებს არ დამკიდებსო და დაიშალეთ ახლა ყველაო და წევიდნენ და იმ ღამეს, 5 საათზე კენჭი ყარეს.

ჰოდა, აფხაზებმა თქვეს, კაცო, ჩვენ რა შუაში ვართ? გვითვლიან ეგენი, რამდენი მოკვდება ჩვენ მხარეს, რამდენი მოკვდება თქვენ მხარეს და თქვენ ბოლოს გაგდენიან აქედანო.

მ. კ. – ხომ ხედავ, დაგეგმილი ჰქონდა ეს რუსს. რუსმა ქნა ეს ყველაფერი, რუსმა!

ჯ. ბ. – პარკში, ფრუნზესა და ოქტომბრის ქუჩას შორის რომ პარკი იყო, რა ერქვა, არ მახსოვს...

მ. ჯ. – ყოფილი სტალინის პარკი?

ჯ. ბ. – მგონი, ხო. ფრუნზესა და ოქტომბრის ქუჩებს შორის რო პარკი იყო, კიროვსა და ლაკობას შორის,

მ. ჯ. – კიროვს არა, პროსპექტ მირას, მშვიდობის პროსპექტსა და ლაკობას შორის. მერე რა ერქვა, არ მახსოვს. დიდი პარკი იყო.

ჯ. ბ. – გორბალნიცასთან ახლოს იყო, რა. ჰოდა, იქ აფხაზმა მითხრა, შვილოო, ამასო ყველაფერს აკეთებსო არა აფხაზები და არა ქართველები, არამედ ხოჯენდუები. ხოჯენდუა რა არი-მეთქი? მე ვუთხარი. ხო-

ჯენდუა არისო, შვილოვო, ისო, ვისაც არ ეკითხება და სხვის საქმეში ერევაო. ესე იგი მან თქვა გულახდილად, რომ ამას რუსები აკეთებენო. არ უთქვია, რუსები აკეთებენო, მაგრამ ასე მიმანიშნა. „ხოჯენდუა“ – აი ეს სიტყვა დამრჩა მისგან!

მ. ჯ. – რა ენაზეა, ნეტავი?

ჯ. ბ. – შეიძლება აფხაზური იყოს, არ ვიცი.

მ. ჯ. – იმ პარკს ადრე, მე რომ პატარა ვიყავი, სტალინის ერქვა. მერე არ მახსოვს და ეხლა იმ პარკშია მემორიალი ომში დაღუპულების, აფხაზების, მუდმივი ცეცხლით და წარწერებით. ხსოვნის მემორიალი.

მ. კ. – ოკუპანტებისგან რომ განთავისუფლდნენ, ჩვენ ოკუპანტები ვიყავით და განთავისუფლდნენ ჩვენგან (ირონიულად ჩაიცინა) და ახლა აქვთ პარკი.

ზ. ყ. – ახლა, მაგალითად, მონანებული არიან იგინი?

მ. ჯ. – ცოტა. ყველა არა. ძველები უფრო. ახალგაზრდები არა.

ჯ. ბ. – ახალგაზრდები მოწამლეს იმნაირად, რომ ჩვენზე მეტი მტერი, მათი აზრით, არაა.

ზ. ყ. – არ უნდა მომხდარიყო ჩვენ შორის ომიო, ბევრი დაიღუპაო, ახალგაზრდები დაიღუპაო და მოხუცები განადგურდაო.

მ. ჯ. – ჩამოდიან უკვე სანახავად და აღფრთოვანებულები მიდიან, რა კარგი ყოფილა საქართველოო. ჩვენო გვატყუებდნენო თურმეო და ძალიან კარგად ცხოვრობენ და კარგი ხალხია ქართველებიო, ამბობენ უკვე ასე, ეუბნებიან აფხაზ ახალგაზრდებს, ამხანაგებს.

ჯ. ბ. – ლილოში ვიყავი და რამდენი აფხაზი ქალი ვნახე, რომ საქონელს ყიდულობდნენ.

მ. ჯ. – კი, ჩამოდიან და მიდიან დატვირთულები, მიაქვთ სავაჭროდ.

ზ. ყ. – აფხაზები ცხოვრობდნენ, ერთი აგერ იყო, მეორე – ეგერ, შორს. ჩვენ ცენტრში ვიყავით, ისინი – გვერდიგვერდ.

მ. კ. – ისინი ცოტანი იყვნენ.

ზ. ყ. – ტყე გექტრობით ქონდათ. შენ ორი ათას ხუთასი შეგეძლო აგელო, მაგრამ გადასახადს გაწერდნენ. საქართველოს მიწა იყო და ახლა? რატო ხდება ეს?!

ჯ. ბ. – მე ათას ხუთასი მქონდა და ნეტა ერთი ფეხით გამარონია ჩემ მიწაში.

მ. ჯ. – რამდენჯერ ფეხით ავსულვართ იაშტუხაში დეიდასთან. მაიმუნების საშენის კედელი რომ იყო, იქ ბავშვებს აქეთა მხრიდან ცოტაზე გამოჰიჩქნილი ჰქონდათ ჩასაჭვრეტად. იქიდან მაკაკები ჩიჩქნიდნენ და ვუჭვრეტდით ასე ერთმანეთს. მანქანით როცა ავყავდით, აუცილ-

ებლად ვაჩერებინებდით მამას მანქანას იმ ადგილას, რომ შეგვეხედა მაიმუნებისთვის.

ჯ. ბ. – იმ კედლიდან ვცხოვრობდი ზემოთ, მეოთხე მოსახლე ვიყავი.

მ. ჯ. – დეიდაჩემი ცხოვრობდა ზემოთ... სკოლის მერე. კარგი სახლი ააშენა ბიძაჩემმა, სვეტებიანი, ოვალური ფანჯრებით, თეთრი. ეზო ჰქონდა ისეთი, ყველანაირ ხეხილს ახარებდა.... გადაწვეს სომეხმა მე-ზობლებმა, არც შენ და არც მეო.

ჯ. ბ. – კარგით აბა, დაგტოვებთ, კარგად ბრძანდებოდეთ!

მ. კ. – მადლობა დიდი, გაიხარეთ.

ჯ. ბ. – გაიხარეთ.

მ. ჯ. – დიდი-დიდი მადლობა. დიდხანს იცოცხლეთ ჯანმრთელად, კარგად.

ჯემალ ბოზოხიძე (83 წლის)

(გორდი – სოხუმი – იაშტუხა – წყალტუბო)

ზურაბ ყურაშვილი (63 წლის)

(ოჩამჩირე – წყალტუბო)

მარინე კაკაჩია, მარინა ჯღარკავა

გიორგი მკურნალი

მ. ჯ. – გიორგი, გაკვირდებით აქ, ვივამედის ონკო-ჰემატოლოგიური განყოფილების ახალგაზრდებს: ექიმების დამხმარე პერსონალს, ექთნებს, სანიტრებს. აღფრთოვანებული ვარ, როგორ სწრაფად და ზუსტად აკეთებთ ყველაფერს, როგორი დაუზარებლები ხართ, როგორი სიყვარულითა და სითბოთი ეპყრობით ყველა პაციენტს. თქვენ გაიხარეთ:

გ. კ. – მადლობა.

მ. ჯ. – შენზე მითხრეს, აფხაზეთიდან არისო. ასეა? სადაური ხარ?

გ. კ. – გალის რაიონი, სოფელი ოტობაია.

მ. ჯ. – რომელ წელს დაიბადე?

გ. კ. – 2000

მ. ჯ. – რა გვარის ხარ?

გ. კ. – კორკელია.

მ. ჯ. – ოტობაიაში ბევრს იცნობ ალბათ, რატიებს, ელიავებს...

გ. კ. – არა. ორი ოტობაიაა: პირველი და მეორე. მე მეორედან ვარ. რა-
ტიები პირველში ცხოვრობენ.

მ. ჯ. – და-ძმა გყავს?

გ. კ. – არა.

მ. ჯ. – ბებია-ბაბუა?

გ. კ. – არა.

მ. ჯ. – აჰა. და ოტობაიაში დავამთავრეო სკოლა, მითხარი.

გ. კ. – კი.

მ. ჯ. – და რუსული სკოლა იყო თუ?

გ. კ. – ქართული. ქართული სკოლა იყო. და, რაც დავამთავრე, მაგის
მერე, ორი თუ სამი წლის მერე გადავიდა უკვე მთლიანად რუსულზე.

მ. ჯ. – და რუსული კარგად იცი?

გ. კ. – რუსული კი.

მ. ჯ. – ანუ, ურთიერთობა რუსულად გქონდათ თქვენ.

გ. კ. – კი.

მ. ჯ. – მეგობრები ქართულად საუბრობთ? იქაური მეგობრები.

გ. კ. – რა თქმა უნდა.

მ. ჯ. – მეგრული რამდენად იცით?

გ. კ. – მეგრული საუბარში მიჭირს, ისე ყველაფერი მესმის.

მ. ჯ. – რამე მეგრული გამოცემები, ტექსტები თუ გაქვს ნანახი, წაკითხული?

გ. კ. – გამიგია. წაკითხული არ მაქვს.

მ. ჯ. – თბილისში როგორ მოხვდი?

გ. კ. – უნივერსიტეტში ჩავაბარე, 2017-ში ჩავაბარე და მაგის მერე ჩამო-
ვედი თბილისში.

მ. ჯ. – მარტო ვარო, თქვი.

გ. კ. – კი, მარტო ვარ.

მ. ჯ. – სამედიცინო დაამთავრე უკვე თუ ჯერ სწავლობ?

გ. კ. – კი, დავამთავრე.

მ. ჯ. – რეზიდენტურაც?

გ. კ. – რეზიდენტურაზე ჯერ არ ჩამიბარებია.

მ. ჯ. – აპირებ ჩაბარებას?

გ. კ. – კი. ვაპირებ.

მ. ჯ. – აუცილებლად. რა პროფესია მოგწონს ანუ რა მიმართულება მე-
დიცინის?

გ. კ. – ცოტა მიჭირს გადაწყვეტა, მარა ვფიქრობ ონკოლოგიაზე.

მ. ჯ. – ყველაზე რთული და ყველაზე აქტუალური დღეს.

ბ. კ. – კი

მ. ჯ. – შენ რატო გადაწყვიტე ონკოლოგია?

ბ. კ. – რადგან აქ მიწევს ონკოლოგიურ პაციენტებთან მუშაობა. ჰემატოლოგიასაც ვფიქრობდი. მაინც უფრო ონკოლოგია მომწონს.

მ. ჯ. – ანუ, უკვე იცი, ნოლიდან როგორი მოვლა უნდა და რა სჭირდება ასეთ პაციენტებს.

ბ. კ. – ადრე ვფიქრობდი კარდიოლოგიასაც, ტრავმატოლოგიასაც.

მ. ჯ. – მაგრამ მაინც ყველაზე რთული გადაწყვიტე. დღეს ონკოლოგიაში რამე სიახლეები არის, როგორ ფიქრობ?

ბ. კ. – კი, არის, რა თქმა უნდა. ჯერ კარგად გარკვეული არ ვარ. ვერკვევი.

მ. ჯ. – გაერკვევი. მარგალური მუჭო რაგადანქ? „მეგრულად როგორ ლაპარაკობ?“

ბ. კ. – ჭიჭე მიჭირს. „ცოტა მიჭირს.“

მ. ჯ. – ჭიჭე მა ხოლო მიჭირს. (ვიცინით). მა სოხუმარ ვორექ. თაქ დიბგურე ჯგირო. ჯგირო ვარ. ჯგირო ვაჯოხო თის, მარა ვპოტიკენქ. ჩქიმ ქომონჯი ირიართო გემადიცანდ, მუ მარგაგალურს რაგადანქია.

საჭირო რენო ამდლა მარგალურიშ რჩქინა?

„ცოტა მეც მიჭირს. მე სოხუმელი ვარ. აქ ვისწავლე კარგად. კარგად არა. კარგად არ ჰქვია იმას, მაგრამ ვპოტიკობ (ვჯახირობ). ჩემი ქმარი ყოველთვის დამცინოდა, როგორ მეგრულს ლაპარაკობო. საჭიროა დღეს მეგრულის ცოდნა?“

ბ. კ. – ამდლა ქო, საჭირო რე. „დღეს კი, საჭიროა.“

მ. ჯ. – მუშენ რე საჭირო? აბა ქომიწი, სი მუჭი ფიქრენქ? „რატომ არის საჭირო? აბა მითხარი, შენ როგორ ფიქრობ?“

ბ. კ. – ჯვეშ ნინა რე. ჯვეშებიშ ნინა რე, ჩქინეფიშ. ოკო ვემედინას.

„ძველი ენაა. ძველების ენაა, ჩვენების, უნდა არ დაიკარგოს.“

მ. ჯ. – მართალ რექ. მუშენ ოკო დინას, ვარო? სქან სქუალეფს დაგურუანქო?

„მართალი ხარ. რატომ უნდა დაიკარგოს, არა? შენს შვილებს ასწავლი?“

ბ. კ. – ქო! აუცილებელო! „კი! აუცილებლად!“

მ. ჯ. – А по русски свободно разговариваешь, конечно.

„რუსულად თავისუფლად ლაპარაკობ, რა თქმა უნდა.“

ბ. კ. – Да, нормально. „კი, ნორმალურად.“

მ. ჯ. – Как ты думаешь, русский, на котором говорим мы, из абхазии, и на котором говорят здесь, одинаковый?

„როგორ ფიქრობ, რუსული, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, აფხაზე-თელები, და რომელზეც ლაპარაკობენ აქ, ერთნაირია?“

გ. კ. – Нет конечно. „არა, რა თქმა უნდა.“

მ. ჯ. – А какая разница, по твоему? „და რა განსხვავებაა, შენი აზრით?“

გ. კ. – Ну, всёравно различия есть. „ნუ, მაინცაა განსხვავება.“

მ. ჯ. – და ქართული განსხვავდება თუ არა, ქართული მეტყველება აქა-ურების, თბილისელები მყავს ახლა მხედველობაში, და აი, შენი მხარე, გალელების.

გ. კ. – კი, რა თქმა უნდა, განსხვავდება: დიალექტი, აქცენტი, კილო, ასე ვთქვათ – მეგრული კილო განსხვავებულია. არის განსხვავებები.

მ. ჯ. – მეგრული, სამურზაყანოელების მეგრული და ზუგდიდელების მეგრულიც განსხვავდება ხო ერთმანეთისაგან?!

გ. კ. – რა თქმა უნდა, განსხვავდება.

მ. ჯ. – და, აქ ჩამოსულების საუბარი უკვე ქართული იცვლება თუ არა?

გ. კ. – კი, დროთა განმავლობაში იცვლება.

მ. ჯ. – რა ცვლილებებს ამჩნევ შენ?

გ. კ. – აქცენტი უკვე თანდათან ქრება. ანუ, ის კუთხური აქცენტი უკვე დროთა განმავლობაში ქრება.

მ. ჯ. – და ლექსიკა? ანუ, სიტყვათა მარაგი?

გ. კ. – სიტყვების მარაგიც ივსება.

მ. ჯ. – ივსება. სხვანაირი თუ ხდება? მაგალითად, აქ, აღმოსავლეთში რომ კომშს ამბობენ და ჩვენ ბიას ვამბობთ, აქ რომ კვახია, გოგრა და ჩვენ კოპეშიას ვამბობთ, ასეთი განსხვავებები იშლება თუ?

გ. კ. – ვფიქრობ, ეგენიც იცვლება, კი.

მ. ჯ. – რა შეგიძლია გაიხსენო შენი ბავშვობის მოგონებებიდან? შენ იმ პერიოდში დაიბადე, როდესაც ომი 7 წლის გასული იყო. რა შეგიძლია თქვა ურთიერთობებზე ჩვენი კუთხის მეგრელებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის?

გ. კ. – მახსოვს, 2008 წლის ომამდე, მაშინ გახსნილი იყო მიმოსვლა, ზუგ-დიდიდან ჩვეულებრივ გადავდიოდით ოტობაიაში, მარა იყო ხოლმე მო-მენტები, როდესაც აფხაზები შეიძლება დაგხვედროდნენ საზღვარზე და, ფულით, ფულს რო ვაძლევდით, მერე გვიშვებდნენ. მერე უკვე, რაც 2008 წლის ომის მერე რუსები შემოვიდნენ, აფხაზები ჩვენთან აღარ არი-ან, ანუ შეხება არ მაქ აფხაზებთან. ერთადერთი, აი, საბუთის ალებისას, საპასპორტოში თუ გვექნა შეხება, იქაც ცუდი დამოკიდებულება აქვთ

ჩვენ მიმართ. ჩვენებს იმათ მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვთ. ჩამოდიან, მკურნალობა უფასო აქვთ. ყველაფერი უფასო აქვთ.

მ. ჯ. – ეს კი, გასაგებია, ვიცით. აი, თვითონ ადგილზეა საინტერესო. ისინი უფრო აგრესიულები არიან, ხომ?

გ. კ. – კი, კი...

მ. ჯ. – როგორ ფიქრობ, რისი ბრალია ეს აგრესიულობა? შიშის ბრალი ხომ არ არი, ან კომპლექსების, რომ შეიძლება რაღაცა მოხდეს და...

გ. კ. – ვფიქრობ, რომ რუსული პროპაგანდა მუშაობს იქ ძალიან კარგად.

მ. ჯ. – რა თქმა უნა, მუშაობს. ხომ არ არიან ისეთი გვარის წარმომადგენლები თქვენთან სოფელში, რომელთა ნაწილი მეგრელია, ქართველია და ნაწილი აფხაზობს? თუ იცი ასეთები?

გ. კ. – არ ვიცი. ჩემს სოფელში ეგეთი გვარი ალბათ არ არი.

მ. ჯ. – ჰო, ოტობაიაში არ იქნებოდა. აი, შენ რომ ამბობ ეხლა, გზაზე გვხვდებოდნენ და ფულს გვართმევდნენო, ეს დაყაჩაღებასავით იყო?

გ. კ. – არა, დაყაჩაღება – არა. ნუ, უბრალოდ ითხოვდნენ, რო გავევ-შვით, რაღაცა ფული მიგვეცა. შეიძლებოდა მაშინ ეხლა, ეს არი ალბათ, 2005 – 2007 წლები, მაშინ, აი, 2 ლარი, 3 ლარი რომ მიგვეცა, გიშვებდნენ.

მ. ჯ. – შეგიშვებდნენ. ვინ იყვნენ ესენი? მესაზღვრეები იყვნენ თუ უბრალოდ აფხაზები?

გ. კ. – ფორმიანები იყვნენ. იყო პერიოდი, როცა, მახსოვს, პატარა ვიყავი, მაშინ დადიოდნენ სახლებში, ხან საჭმელი უნდოდათ, ხან – რაღაცა, ანუ არა, როგორც ასეთი, დაყაჩაღება მაგათი მხრიდან აღარ მახსოვს.

მ. ჯ. – დღეს როგორი ვითარება არის?

გ. კ. – დღეს ჩვენთან აფხაზები საერთოდ არ არიან სოფელში, მხოლოდ რუსები, მესაზღვრეები.

მ. ჯ. – რუსები როგორ იქცევიან?

გ. კ. – რუსებიც ზედმეტად არაფერს არ გვაწუხებენ, მხოლოდ არაღეგალურად ვინც ცდილობს საზღვარზე გადასვლას, მაგას დააკავებენ, წაიყვანენ გალში, ნუ, იქ არაფერს, საბუთს ჩამოართმევენ, ჯარიმას დააკისრებენ.

მ. ჯ. – როგორ ფიქრობ, საბოლოოდ როგორი ურთიერთობები უნდა გვქონდეს ჩვენ? ქართველები ხომ ცდილობენ ყველანაირად მათი ცნობიერების შემოტრიალებას, რაღაცნაირად ურთიერთობების დალაგებას.

გ. კ. – იმედი მაქვს, რომ დალაგდება ჩვენი ურთიერთობები.

მ. ჯ. – შენ მოესწრები ამას აუცილებლად!

გ. კ. – არი ხოლმე შემთხვევა, როცა, მანდ ჯერ აფხაზები ამოწმებენ საბუთს, მერე – რუსები. არი ხოლმე, როცა ძაან დიდი რიგია, აქვთ გვერდზე შემოსავლელი გაკეთებული, ფულით, ფულს გადაიხდი და უშვებენ ურიგოდ. მაგრამ არა აქ მნიშვნელობა, პატარა ბავშვიანია, ავადმყოფია, მაგას არ აქცევენ ყურადღებას, ფულის გარეშე არ გაუშვებენ.

მ. ჯ. – ფულია მთავარი...

გ. კ. – კი. და რუსებს აქვთ მაგისი ის, რო, თუ ნახავენ, ვიღაცა პატარა ბავშვით არი, ურიგოთ მიყავთ და გაიყვანენ წინ.

მ. ჯ. – სოხუმში თუ ყოფილხარ?

გ. კ. – სოხუმში ვიყავი 2012 წელს. ექსკურსიით წავედი და როცა ბავშვები ერთმანეთში ხან ქართულად ვსაუბრობდით, ხან – მეგრულად და იქვე რაღაც პატარა ბაზარი იყო, ერთი ქალი გვეჩხუბა, რო ან რუსულად, ან აფხაზურად ისაუბრეთო.

მ. ჯ. – ქალები უფრო აგრესიულები არიან, შენი აზრით, თუ კაცები?

გ. კ. – არ ვიცი. ვერაფერს ვერ გეტყვით. არ მაქ შეხება.

მ. ჯ. – ასეთი სიტუაცია არ შეგხვედრია. აქ რითი ირჩენ თავს მუშაობ?

გ. კ. – ხელფასით.

მ. ჯ. – შენ გიყვარს შენი სამუშაო, გეტყობა. ხელფასს გიმატებენ?

გ. კ. – ჯერ არა. ველოდებით. მოუმატეს, როგორ ვიცი, სანიტრებს და ექთნის თანამშემწეებს. ექთნებს – ჯერ არა.

მ. ჯ. – ქვემოდან დაუწყიათ. მე რომ გიყურებთ ახლა, რამდენიმე ჯგუფი ხართ, ხომ? ყოველდღე იცვლებით, სულ ფეხზე ხართ, სულ ფუს-ფუსებთ. სულ რაღაცას აკეთებთ. აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი ახალგაზრდებით საერთოდ, როგორი შრომისმოყვარეები ხართ. მადლობა დიდი, დრო რომ დამითმე! წარმატებებს გისურვებ! გაიხარე!

გიორგი კორკელია (23 წლის)

(გალი-ოტობაია-ზუგდიდი – თბილისი)

მარინა ჯღარკავა

სოხუმი

ამბობ, მოუთოვია იმ მოლურჯო ზღვასთან...
ემებ, ემებ იმ ფერებს, მაგრამ არსად არ ჩანს,
ანთებ კვლავაც საყდართან სანთლებს,
თაფლის სურნელს,
სადღაც უბის უბეში ინახავ და გკურნავს,
გესიზმრება სო-ხუ-მი და დაშლილი ბუდე,
ამბობ, მოუთოვია იმ მოლურჯო ზღვასთან...
თმაგაშლილი ქალები მოგონებებს ქსოვენ
და მიმოზის ტევრებში ათენდებათ დილა,
სადღაც ბავშვი წაიქცა დათოვლილი თმებით,
მოგვაცილებს შორეთში უვარსკვლავო ზეცა
და ფლამინგოს ყელივით მორკალული მთვარე,
გულწითელა ჩიტი იქ მზეზე ვედარ თბება,
ქარი კვლავაც ორგით ემსგავსება შეშლილს,
გულს ხან ლხინში იოხებს, ხან – კოდორის ხევში,
ამბობ, მოუთოვია იმ მოლურჯო ზღვასთან...
თეთრი ლანდი მიჰყვება ვიწრო გზებს და ქუჩებს,
თეთრი ფარჩა მოუცვამს დახავსებულ ქალაქს,
გესიზმრება სო-ხუ- მი და დაშლილი ბუდე.

ევკალიპტები

ის, რაც წლების წინ გავასხვისე – ევკალიპტები,
დღეს ფოთოლ – ფოთოლ უნდა ვიყიდო.
რას ბრძანებთ? – უცებ მეკითხება აფთიაქარი.
მე შორს ვარ (ფიქრით), ის კი აქ არის
და რჩევას მაძლევს:
მოვხარშო ორთელზე, ჩაის კოვზით ვასვა პატარებს...
გმადლობთ! – ვპასუხობ,
ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ!

კარდიოგრამა

კავკასიონის მწვერვალებს მიუყვება ჩემი კარდიოგრამა.
რამდენიმე ამოვარდნა მაქვს –
უშბა, თეთნულდი, მყინვარწვერი;
იშემიის ნიშნები – როკი და საკენი,
წლების წინ ნაინფარქტალი იალბუზი!


მინდვრის ზამბახი ვარ, მეც მიყვარხარ,
მაგრამ შენი ფეხის ხმა მიხშირებს მაჯისცემას.
ნუ მომწყვეტ, ხომ ხედავ,
შენს ლარნაკს ნაფოტად არ ვეყოფი.

ახალი ათონი

მე ვარ მტირალა სტალაკტიდი,
შენ – სტალაგმიტი,
ასე წვეთ – წვეთად რომ მივიწვევთ ერთმანეთისკენ.
ოდესმე, ალბათ, სლიპინა სვეტზე გადატყდება
ყოველი ჩქამი.
უკუნი ღამეც, ასე დიდხანს რომ გვეცვა ტანზე,
გაიცრიცება...
აფრიან გემებს გადასწვდება ტკბილი „ვარადა“
ასე მეგონა, ერთად ყოფნას (ჩემსას და შენსას),
მღვიმე თუ არა, ღმერთი მაინც დაიფარავდა.

ჩემი ზღვა მენატრება ჩემი ქალაქის!

ჩემი ზღვა მენატრება,
ჩემი ქალაქის!
მხოლოდ ჩემი!
ჩემი ოლქანდრი მენატრება,
მარცხენა ტოტებშეთხელებული
და საშიშად სურნელოვანი!
ჩემი პალმები!
თოლიების ამოცნობაც შემძლია –
სახელებს ვარქმევდი!
სხვა ნაპირი არ მინდა,
არც შავი, მათ შორის!
გიჟებიც მენატრება –
ზოგი ქალაქს მიმავალი,
ზოგი ქალაქს ჩარჩენილი –
მე ჩემი შეშლილები მყავს!
სახლი მინდა –
ზღვაზე გაჭრილი ბილიკით!...
ჭმუნვისათვის სიხარულშემოცლილს
სხვა რა მომცემს ძალას,
რომ მიწისაგან გაჩენილს
მიწად ქცევამდე
ცხოვრება შემეძლოს?!





დალის ხეობა



სამუშაო პროცესი




სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი



„დიალექტური მოგზაურობა“



ინფორმატორების ძიებაში





ჯონი მარღანია, ქეთევან მარგიანი, როლანდ კოვზირიძე



ბესლეთის ხიდი




მარინა ჯღაკავა, მარინე კაკაჩია, თამილა ზვიადაძე, ქეთევან მარგიანი




დიალექტოლოგიური ექსპედიცია



ნათია კოპალიანი, ქეთევან მარგიანი





პროფესორი ჯამბულ ანჩაბაძე



ნაწილი II

გამოკვლევები

აფხაზეთის ქართველთა მეტყველება – ზოგადი დახასიათება (ლინგვისტური ანალიზი)

აბსტრაქტი: აფხაზეთის ქართველთა მეტყველება, გამორჩეული თავისი მოზაიკურობით, გვევლინება სავსებით უნიკალურ მოვლენად ქართველურ ენობრივ სამყაროში და საყურადღებო ფაქტებს წარმოაჩენს ზოგადი ლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. ეს არის ერთგვარი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური „კალეიდოსკოპი“, წარმოდგენილი სალიტერატურო ქართულის დიალექტებით (რაჭული, ლეჩხუმური, იმერული...) და ქართველური ენებით (ზანურ-მეგრული, სვანური).

დასავლეთ საქართველოს ამ კუთხეში ყველა ეპოქაში ერთმანეთს ერწყმოდა სხვადასხვა მოვლენა, რაც ამ მხარის მცხოვრებთა ინტერფერენციულ, ნარევ, ბილინგვურ მეტყველებას ლინგვისტურად ასე საინტერესოს ხდიდა. შესაბამისად, აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველება დიალექტოლოგიური ასპექტით წარმოადგენს ქართველური ენა-კილოების ინტერფერენცირებულ სისტემას, რომელშიც სერიოზული ადგილი უკავია დიგლოსიურ (ქართულ-სვანურ, ქართულ-მეგრულ) და ბილინგვურ (ქართულ-რუსულ, ქართულ-აფხაზურ, რუსულ-აფხაზურ, რუსულ-სომხურ, სომხურ-თურქულ, რუსულ-ბერძნულ) მოვლენებს. დიდძალი მასალის – აფხაზეთური ქართული ტექსტების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ძირითადი თემები: უცხოენოვანი ლექსიკა (რუსიზმები), სამეტყველო კოდების შერწყმა, კალკები, დიგლოსია, ბილინგვიზმი, გრამატიკულ-სტილისტური ინტერფერენცია, ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებანი... სწორედ, ამ კუთხით არის შესწავლილი აფხაზეთური ქართული ტექსტები, ლექსიკა, მორფემიკა, ფრაზეოლოგია. დიალექტოლოგიური კვლევის ძირითად ასპექტებთან ერთად მნიშვნელოვანია გამოკითხვების შედეგებიც: დევნილობაში ცხოვრების უკვე ათეულმა წლებმა აფხაზეთის ქართველობას გარკვეულწილად დაავიწყა თითქმის ყოველდღიური საკომუნიკაციო რუსული, მეტ-ნაკლებად მიავიწყა საშინაო მეტყველების ენები: მეგრული და სვანური. ისინი თავადაც ამჩნევენ და ხედავენ საკუთარი საუბრის ამ „მეტამორფოზებს“. ჩემი მეტყველება უფრო დაიხვეწა – ასეთია დევნილების თვითშეფასება. სწორედ ინტერფერენციის, დიგლოსიის, ბილინგვურ (ტრილინგვურ!) გარემოში ცხოვრების გამოხატულებაა თავად რესპონდენტთა, ინფორმატორთა მიერ ტექსტებში არაერთგზის გაცხადებული შეფასებები: აფხაზეთური ქართული, სო-

ხუმი – უდუდაენო ქალაქი (როგორც მრავალენოვანი), კოდორული სვანური, აფხაზეთური ლეჩხუმური, სოხუმური მეგრული, აფხაზეთური იმერული. თუმცა თითოეული ამ ლექსემისა თუ სინტაგმის დიალექტური ერთეულის (თქმა, კილოკავი...) აღმნიშვნელ ტერმინად ქცევას, ვფიქრობთ, დამატებითი მასალები და ლინგვისტური არგუმენტები დასჭირდება.

დღეს ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოს ძირძველი და განუყოფელი კუთხეა, აფხაზეთის ქართველობა კი – ამ ძირძველ საქარველოში ქართული იდენტობის შენარჩუნების, ქართველური სულიერი მემკვიდრეობის გადარჩენის სამომავლო გარანტი.

აფხაზეთური ქართულის დიალექტოლოგიური კვლევა, დასავლურ ქართველური ენა – კილოების მონაცემთა აღწერა და გაანალიზება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტური ქართველოლოგიის, არამედ თეორიული ენათმეცნიერების კუთხითაც, რამდენადაც იბერიული (ქართველური) ენები უაღრესად თვითმყოფადი ლინგვისტური ლანდშაფტით თუ ისტორიული გამძლეობის ხარისხით ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს თეორიული ენათმეცნიერებისათვის.

საანალიზო მასალა:

ა) აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოცემული კრებული: დევნილთა მეტყველება, I თბ. 2016.

ბ) ავტორების (ქ. მარგიანი, თ. ზვიადაძე, მ. კაკაჩია, მ. ჯღარკავა) მიერ პროექტის ფარგლებში 2023-2025 წლებში ჩაწერილი აუდიო მასალა (50 საათის ქრონომეტრაჟი). წინამდებარე კრებული: **აფხაზეთური ქართული**, [გვ. 1-400] თბ. 2025.

გ) ტ ე ქ ს ტ ე ბ ი: **კოდორული ქრონიკები**, თბ. 2010.

კოდორული სვანური, თბ. 2020.

სამეცნიერო სიახლე:

წინამდებარე წიგნში პირველად ჩაწერილი, თავმოყრილი და გაანალიზებული აფხაზეთური ქართულის (დევნილთა მეტყველების ნიმუშები, ეთნოლინგვისტური ტექსტები, აფხაზეთელ ქართველთა ბუნებრივი მეტყველების ნიმუშები, დიალოგები, გამოკითხვები, ურთიერთობები, დიალექტური საუბრები, სოხუმური „ფოლკლორი“) მასალების საფუძველზე პასუხი გაეცა კითხვებს: როგორია აფხაზეთელ ქართველთა თანამედროვე მეტყველება, როგორია „აფხაზეთური“ დიგლოსია-ბილინგვიზმის გავლენები, შედეგები; რა ტიპის ინტერფერენციული ცვლილებები განიცადა აფხაზეთიდან დევნილი ქართული

მოსახლეობის მეტყველებამ. როგორი დედაენით მეტყველებენ დღეს სოხუმელი ქართველები. კვლევისას, დევნილთა მეტყველების ლინგვისტური ანალიზისას ყურადღება გამახვილდა, ზოგადად, ენობრივი ვითარების პრობლემატიკაზე. ვფიქრობთ, რომ წინამდებარე მონოგრაფიის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ბაზა სამომავლოდ მნიშვნელოვანი სეგმენტი იქნება ქართველური ლინგვისტური (დიალექტური) კორპუსის არქიტექტონიკაში. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული დიალექტოლოგიური კორპუსი ვერ იქნება სრულყოფილი აფხაზეთიდან დევნილ ქართველთა ინტერფერენციული მეტყველების მონაცემთა ბაზის, აფხაზეთური ქართულის გარეშე.

სამუშაო პროცესმა, რესპოდენტების, დევნილების გამოკითხვებმა, საანალიზო დიდძალი მასალის კლასიფიცირებამ, კვლევამ განაპირობა აუცილებლობა ახალი დიალექტური ტერმინის შემოღებისა – **აფხაზეთური ქართული** (შდრ. კოდორული სვანური, სოხუმური ქართული, აფხაზეთური ლეჩხუმური, სოხუმური მეგრული...)

ციტატი რეცენზიიდან: ქ. მარგიანისა და თ. ზვიადაძის ნაშრომი ეხება აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებას. საკითხი შესწავლილია დიალექტოლოგიური ასპექტით. საკვლევი თემა აქტუალურია, რამდენადაც აფხაზეთის ქართველთა მეტყველება დღემდე საერთოდ არ ყოფილა შესწავლილი და მის შესახებ არათუ სპეციალური ლინგვისტური ნაშრომები, არამედ მცირეოდენი ცნობებიც კი არ მოიპოვებოდა.

ჯერ კიდევ საბჭოური (და უფრო ადრინდელიც) ეპოქიდან მოყოლებული, დიდი ხნის განმავლობაში კავკასიოლოგი მკვლევრების მიერ შეისწავლებოდა მხოლოდ აფხაზური ენა და აფხაზი ხალხის ეთნოგრაფია, ხოლო აფხაზეთის ქართველთა მეტყველების, ისევე როგორც მათი ყოფა-ცხოვრების, ეთნოგრაფიული შესწავლა, სამწუხაროდ, მთლად ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი (**ლ. აზმაიფარაშვილი**).

დევნილთაგან პირველად ჩაწერილი ტექსტების წმინდა ენათმეცნიერულ, (გრამატიკულ, ლექსიკურ) სოციოლინგვისტურ ანალიზთან ერთად შეძლებისდაგვარად გამახვილდა ყურადღება აფხაზეთელ ქართველთა ენობრივი ცნობიერების, კომუნიკაციის ლინგვოკულტუროლოგიურ პარამეტრებზეც.

ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია: სოხუმური ამბები, თავგადასავლები, ეპიზოდური ხასიათის ჩანაწერები, მოგონებები, 1992-1993 წლების ტრაგიკული ქრონიკები; მამა-პაპათა საფლავების, ზღვისპირეთის ლაჟვარდოვანი საცხოვრისის, იძულებით მიტოვებული სახლ-კარის მონატრების ტექსტები, ლექსები სოხუმზე, დევნილთა ბუნებრივი საუბრების დიალექტური ჩანაწერები... სწორედ ამ მასალების საფუძველზე, მრავალწლიანი შრომის შედეგად პირველად შეიქმნა კრებუ-

ლი: აფხაზეთური ქართული, აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველება (ტექსტები, გამოკვლევები). სალიტერატურო ენისა და ქართველურ ენათა შესწავლისათვის განკუთვნილი ეს მასალები, უდავოდ, შეიტანს წვლილს თანამედროვე დიალექტოლოგიის, ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკის... განვითარებაში.

ვიმედოვნებთ, რომ სწორედ ამ წიგნით აფხაზეთელი ქართველების მამა-პაპათა სამკალესთან, ადგილის დედასთან, „ოდაბადესთან“, ძირძველ საქართველოსთან კავშირს ურთიერთობის მეტი პერსპექტივა და სარბიელი აღმოაჩნდება, ვიდრე აქამდე იყო.

ამ კონტექსტში, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი წინარე ენათმეცნიერული გამოცემების [„კოდორული ქრონიკები“, თბ. 2010წ. კოდორული სვანური, თბ. 2020წ.]¹ შემდეგი შეფასებები:

„ჩვენი ეროვნული იდენტიფიკაციისათვის ამისთანა წიგნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუ გადამჭრელი არა“ (ნ. ანდლულაძე).

საბედნიეროდ, „კოდორული ქრონიკები“ არ არის მხოლოდ კოდორის ხეობის მოსახლეობის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პირველი ნაბიჯები... ამ წიგნის მნიშვნელობას, ალბათ, გვიან გავაცნობიერებთ. გავაცნობიერებთ მაშინ, როდესაც კოდორს მოწყვეტილი კოდორელები თანდათან გადაასხვანაირებენ თავიანთ საუბარს და მხოლოდ ეს წიგნი შეინარჩუნებს იმ ხიბლს, რასაც პირველად თქმული სიტყვის უბრალოება ჰქვია და არა მხოლოდ ამას! როგორც ჩანს, ჩვენ ქართველთა იმ უიღბლო თაობებს ვეკუთვნიტ, რომლებსაც საკუთარი მიწა-წყლის მიტაცების მოწმობა არგუნა ბედმა. სულაც არ იყვნენ ცუდები ისინი, ვის თვალწინაც იკარგებოდა კლარჯეთი და ტაო, საათაბაგო და სამცხე, ჰერეთი და კავკასიის გადასასვლელები... სულაც არ იყვნენ ცუდი ქართველები, უბრალოდ, იღბალი შეხვდათ ამნაირი. ჩვენც იმათგანი ვართ სავარაუდოდ. მრავალი წელი გაივლის ჩვენს ფუჭ ოცნებასთან ერთად და ერთადერთი რამ, რაც დავიწყებას გამოჰლეჯს ხეობას დალისას, „კოდორული ქრონიკები“ იქნება მხოლოდ, არაჩვეულებრივი წიგნი, არაჩვეულებრივი ავტორების მიერ შექმნილი (დ. თევზაძე).

„კოდორული ქრონიკები“ – დალისხეობელთა ოდისეა, მატთანე, იმედის წიგნი, ისტორია და ყოველდღიურობა, წარსული და მერმისი! „კოდორული ქრონიკები“ იგივე კოდორის ცხოვრებაა! ეს არა მხოლოდ მეხსიერების წიგნია, არამედ – იმედისაც. იმედის, რომ კოდორელები

¹ ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი, მ. საღლიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, 2010 წ. კოდორული ქრონიკები [გვ. 1- 836] თბილისი

ი. ჩანტლაძე, ჰაინც ფენრიხი, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი, 2020 წ. კოდორული სვანური [გვ.1- 738] თბილისი.

არასოდეს დაივიწყებენ თავიანთ საცხოვრისს (ჯ. კაშია). „თანამედროვე თვალთახედვით რომ ვთქვათ, მართლაც, მრავალწახნაგოვანი წიგნი გამოვიდა და ყოველ წახნაგში მას ძალიან დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული და ყველანაირი დატვირთვა აქვს. ხელოვნური არაფერია მასში. ეს უნდა ეამაყებოდეთ არა მარტო ამ ნაშრომის შემდგენლებს, არამედ, საერთოდ, ჩვენს ენათმეცნიერულ აზრსაც. აი, აქ, როგორც წვეთში ჩანს მთელი ოკეანე, ისე ჩანს ჩვენი ხალხის მწარე ბედი, ისტორიული ხვედრი თუ გნებავთ, აი, ამ პატარა დალის ხეობის მაგალითზე, მის საამაყო წარსულზე, ძველ ამბებზე, თანამედროვეობაზე! ესაა უზარმაზარი ფოლიუმი (ნ. ანდლულაძე).

წინამდებარე **აფხაზეთური ქართულიც** – მრავალწახნაგოვნებით, სოხუმური ამბებით, ანტიკურობის დიოსკურიასთან / ძირძველ საქართველოსთან, მამა-პაპათა სამცხალესთან, მშობლიურ „ოდაბადესთან“ კავშირის სურვილით, სამომავლოდ, ვფიქრობთ, განთავსდება ამგვარი წიგნების არქიტექტონიკაში!

ტექსტები-დევნილთა მეტყველება:

(სირთულეები, სტიგმატიზაცია, ლტოლვილობის დამდა!)

ტექსტების შეკრებას, ენათმეცნიერულად, დიალექტურად საინტერესო მასალების შეგროვებას ახლდა სირთულეებიც! გულისტკივილით გავიხსენებ ერთ-ერთ ეპიზოდს: თუ როგორ შეურაცხმყოფელად ჩათვალიეს ინფორმატორებმა, რესპოდენტებმა ჩვენი (ენათმეცნიერთა!) თხოვნა: მოეყოლათ ზღაპრები, ლეგენდები, გადმოცემები!

– მეზღაპრება ახლა მე, როცა არ ვიცი, როდის უნდა დამატოვებინონ საცხოვრისი...

– სვან. გვარდ მწ როქ მწცინგლავალნე? „რა მეზღაპრება!“ პასუხი თხოვნაზე: ალვე ცინგლად ამიმზავა? „აბა ზღაპარი (ზღაპარუკა) მომიყევი“.

– რა მეზღაპრება, ადამიანო, როცა სოხუმში დავკარგე მეუღლე, მეგობარი, უამრავი ნაცნობი და ნათესავი...

– მეზღაპრება ახლა მე? საქმე არაფერი გაქვთ?!

– ვგავარ ახლა მე მეზღაპრეს ?!

ამგვარი იყო არა ერთი დევნილის პასუხი საგანგებოდ აფხაზეთური ქართულის, დევნილთა მეტყველების ჩასაწერად მივლინებული პროფესორების თხოვნაზე...

არადა, როგორი „უწყინარი და სამშვიდობო“ იყო ჩვენი (ენათმეცნიერთა!) მისია! ჩვენ, ქართული ლინგვისტიკის პატრიარქად წოდებული აკაკი შანიძის მოწაფეები თუ ვერა, მოწაფეთა მოწაფეები დიახაც რომ ვიყავით და თავადაც ვაგრძელებდით დიდი მოძღვრის დაწყებულ საშურ დიალექტოლოგიურ საქმეს: როგორც ცნობილია, აკაკი შანიძემ სა-

ქართველოს ყველა კუთხეში ჩაწერა ზღაპრები და სხვა ფოლკლორული მასალები, რამეთუ ენა ყველაზე ბუნებრივი იერით და სახით სწორედ მითისა და ზღაპრის ენაშია წარმოდგენილი, როგორც ეს აღიარებული ფაქტია ლინგვისტიკაში. **მითსა და ზღაპარს აქვს მეტა ენა, ზე ენა!** ანთროპოლოგები, კულტუროლოგები უპირობოდ თანხმდებიან ამ თეზაზე, ამ თვალსაზრისზე.

გარდა ამისა, ზოგადად საქართველოს მთაში, სვანეთში კი განსაკუთრებით, და მათ შორის დალის ხეობაშიც მუდამ, საუკუნეების მანძილზე არსებობდა ტრადიცია ზღაპრების მხატვრულად მოყოლისა, განსაკუთრებით ზამთრის გრძელი ღამების განმავლობაში, ეთნოგრაფიული რიტუალებით დატვირთული „ლიფანაალის“ – გარდაცვლილთა სულების ოჯახებში სტუმრობის კვირეულში. შესაბამისად, ჩვენს ბავშვობაშიც კი იმ მისტიკურ დალის ხეობაში არსებობდა ტრადიცია ზღაპრების მხატვრულად მოყოლისა, თხრობისა, მეზღაპრეობისა...

დეენილებთან მუშაობის, აფხაზეთური ქართულის შეკრების, ჩაწერის, თავმოყრისას თავს გადამხდარმა „მეზღაპრეობა – შეურაცხყოფის“ ამ ეპიზოდმა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ჩვენს ეროვნულ სატკივარზე. ამ ერთი კონკრეტული ფაქტით ნათლად ჩანს, როგორ ეწირებიან თაობები კონფლიქტებს, ომის ქარტეხილებს, როგორ იცვლება მათი ყოველდღიურობა, მამა-პაპათაგან გადმოცემული წეს-ჩვეულებები, იცვლება ყოფიერება, აზროვნება, მენტალობა და ეთნოკულტურული პორტრეტიც კი. ამიტომაცაა რომ **400 გვერდიან დიალექტურ კრებულში არც ერთი ფოლკლორული ნიმუში, ერთი ზღაპარიც კი არ არის წარმოდგენილი...**

დეენილთა მეტყველებაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ სამი ათეული წლის თავზეც ომგამოვლილი მოსახლეობა მძიმედ ტრავმირებულია ფსიქოლოგიურად, მორალურად, ეკონომიურად, ეთნოკულტურულად, იდენტობის, თვითგამოხატვის, თვითდამკვიდრების, გარკვეულწილად მენტალობის კუთხითაც.

გამოიკვეთა, რომ აფხაზეთის ქართველობის ცნობიერებაში (დედაქალაქში განსაკუთრებით!) უკვე ხდება **სტიგმატიზაცია, დამლად ქცევა** სოციოლინგვისტური ტერმინისა **დეენილი** და სტატუსისა **ლტოლვილი** – გაქცეული!²

დეენილი / ლტოლვილი სტატუსების თუ უარყოფითი არა, თვითაღქმით

² საინტერესოა ამ ლექსემის (**ლტოლვილი**) ქართველური შესატყვისობებიც: შდრ. ძველი ქართული **მე-ოტ-ი** „გაქცეული“, **მე-ოტ-ობ-ა-ე** „გაქცევა“, **ოტ-ებ-ულ-ი** „დეენილი, გაქცეული“, **ოტება** „დეენა, გაქცევა“.

შდრ. სვან. **ლრ-ტუ** „გაქცევა, **ლრ-ტუ-ნე** „გაქცევა“ (აქტიური სემანტიკის მასდარი) **ნა-მჷ-ტუ** „გაქცეული“.

გარკვეულწილად არასასიამოვნო კონოტაციის გამო, სკოლებში დევნილი მოსწავლეების უმეტესობას არ სურს საკუთარი იდენტობის ასოცირება ან რაიმე სახით დაკავშირება ამ სოციალურად „მძიმე იარლიყთან“ და ხშირ შემთხვევაში ცდილობს ფაქტის არ დაფიქსირებას და დამალვასაც კი!

ძალიან ბევრმა რესპოდენტმა, საინტერესო საუბრის შემდგომ იგებდა რა ჩვენგან წმინდად ენათმეცნიერულ მიზანს, რომ ვაგროვებდით მასალებს და გამოვაქვეყნებდით წიგნს სახელწოდებით „დევნილთა მეტყველება“, უმაღლესი შედეგად გავაყვამო და ყოველგვარ დელიკატურობაზე „გადაბიჯებით“, მკაცრად მოგვთხოვა, რომ ამ სათაურით წიგნში მისი სახელი და გვარი, მისი მოყოლილი ამბები არ შეგვეტანა.

მუშაობის, მასალების შეკრების, დევნილებთან „ბაასისა და უბნობის“ მრავალჯერად შემთხვევებს, პროცესს მთლიანობაში ამ ტიპის უამრავი სირთულეც ახლდა, რის დასამლევადაც არაერთ რესპოდენტთან მოგვიწია დათმობითი, დაყოლიებითი, ახსნა-განმარტებითი, სოციოლინგვისტური, ეთნოლინგვისტური, დიალექტოლოგიური ხასიათის საუბრები... რაც მთავარია, შედეგიანად!

აი, ასეთი არის დევნილობის მძიმე ხვედრი, უმეტესი მათგანისთვის თავს გადამხდარი ტრაგედიების, მშობლიურ სახლ-კარში არა მხოლოდ ვერ დაბრუნების, მამა-პაპათა საძვალეების ვერ მონახულებისაც მძიმე ჯვარი, პარალელურად სტიგმატიზაციის ტკივილიანი პროცესები... ასეთი არის ვითარება, მოცემულობა დღეს!

ტექსტების ჩაწერის, მუშაობის პროცესმა, მრავალწლიანმა გამოცდილებამ ასევე გვიჩვენა, რომ დევნილები (ასაკოვნები განსაკუთრებით!), როგორც კი მშობლიურ სახლ-კარს, მამა-პაპათა საძვალეს, იქაურ მეზობლობას იხსენებენ, იქაურ ურთიერთობებს ყვებიან, იცვლება მათი ხმის ტემბრი, ცრმელებით ევსებათ თვალები, იცვლება მათი სახის გამომეტყველება; შევნიშნეთ ის გარემოებაც, რომ 80 ან 90 წლის ჩვენი რესპოდენტების სამეტყველო ეტიკეტი, მთელი შეგნებული ცხოვრება რომ თანამდებობებზე იმსახურეს, ლამის ნახევარი საუკუნე ოფიციალურ საქმიანობას ეწეოდნენ, მყისიერად, უმაღლესი იცვლებოდა ამ თემებზე გადასვლისთანავე და ჩვენდა გასაკვირად, ასევე უმაღლესი უბრუნდებოდნენ თავიანთ აკვნის ენას (მეგრულს ან სვანურს). მიუხედავად იმისა, რომ მეგრულად და სვანურად საუბარს ჩვენი დიალექტოლოგიური მიზნებიდან გამომდინარე, არც მეტი, არც ნაკლები, ლამის ვეხვეწებოდით, მაგრამ ამაოდ და უმეტეს შემთხვევაში, უშედეგოდაც! ოფიციალიზიდან გამომდინარე თუ სალიტერატურო ენისადმი „გარდამეტებული“ ერთგულების გამო, ხშირ შემთხვევაში უარი მივიღეთ სწორედ აკვნის ენებზე, საშინაო ენებზე (მეგრულსა და სვანურზე) უკვე სამეტყველო ქცევის მოშლის, მივიწყების გამოც.

ამიტომაცაა, რომ კრებულში შედარებით მწირად არის წარმოდგენილი სვანური და მეგრული ტექსტები. წინასწარი განწყობით კი დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ კუთხით ანუ ქართველური (სვანური, მეგრული) „ნობათით“ ბევრად დატვირთული და ხელხვაყვანი იქნებოდა ჩვენი დიალექტური ტექსტები, ჩანაწერები, ჩვენი აფხაზეთური ქართული.

საკვლევი თემატიკა, ძირითადი ლინგვისტური საკითხები:

საკვლევი მასალა (ტექსტები, ლექსიკა, მორფემიკა, ფრაზეოლოგია...) არის აფხაზეთის ქართველთა მეტყველება, დასავლურ-ქართველური ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური „კალიდოსკოპი“.

დიალექტი ძველბერძნული პოლისემანტიკური სიტყვაა და ნიშნავს: „მეტყველება, წარმოთქმა, გამოთქმა, საუბარი, სამეტყველო მანერა, სტილი“.³ მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულის სრულყოფილებისათვის, ბუნებრივია, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი მასაზრდოებელი დიალექტური მრავალფეროვნების შენარჩუნება, დოკუმენტირება, კვლევა.

დევენილობის ოცდაათი წლის მანძილზე აფხაზეთიდან დევენილთა მეტყველებამ არაერთი ცვლილება განიცადა. (შეიცვალა დემოგრაფიული მდგომარეობაც: 1993 წელს აფხაზეთი იძულებით დატოვა 300 ათასმა ქართველმა! დღეს დევენილის სტატუსით საქართველოში ცხოვრობს 400 ათასი ადამიანი).

თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებულია **ინტერდისციპლინური კვლევების** უპირატესობა. **ინტერფერენცია, დიგლოსია, ბილინგვიზმი** – აფხაზეთიდან დევენილთა მეტყველების ძირითადი დიალექტოლოგიური (ლინგვისტური) მახასიათებლებია და ამოსავალშივე გულისხმობს ისეთი ინტერდისციპლინური დარგების კვლევაში მოშველიებას, როგორიცაა სოციოლინგვისტიკა, ლინგვისტური გეოგრაფია, ეთნოლინგვისტიკა... ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების, ენისა და ადამიანის ურთიერთმიმართება, ცნობილია, რომ აქტუალური პრობლემაა გლობალიზაციის ეპოქისა: ჩ. ჰოკეტის მართებული და მოხდენილი თქმით, „ანთროპოლოგიის გარეშე ლინგვისტიკა არის ბერწი, ლინგვისტიკის გარეშე ანთროპოლოგია არის ბრმა“ [*Hockett Ch. F. Man's Place in Nature. New York. 1973: 675*].

შავიზღვისპირა ქალაქ **სოხუმში** (<სვან. **ცხუმ** / **ცხვიმ-რა** „რცხილა“ გ. მელიქიშვილი, მ. ქალდანი, თ. გვანცელაძე...) განსაკუთრებულად და ზოგადად კი მთელ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება ხასიათდებოდა ინტერფერენციის, დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენე-

³ ბ. ჯორბენაძე, *ქართული დიალექტოლოგია*, თბ. 1989: 7-8

ბით განპირობებული რიგი თავისებურებებით. აფხაზეთელ ქართველთა მეტყველების სპეციფიკას განსაზღვრავდა სხვადასხვა ენებთან (რუსულთან, აფხაზურთან, ბერძნულთან, სომხურთან, თურქულთან, ესტონურთან...) მჭიდრო ურთიერთობა და ყოველდღიური კომუნიკაცია. შესაბამისად, კვლევის ძირითადი საკითხებია: **აფხაზეთური ქართულის დიალექტოლოგიური მახასიათებლები**, აფხაზეთელ ქართველთა მეტყველების „**ლინგვისტური პორტრეტი**“ ე. წ. **აფხაზეთური კოინე**, ქართველურ ენათა და დიალექტთა ინტერფერენციის (ურთიერთზეგავლენის, ურთიერთშეღწევადობის) დინამიკა, სამეტყველო კოდების შერწყმა, დიგლოსია-ბილინგვიზმის შედეგები: **რუსიზმები**, **უცხოენოვანი ლექსიკა**, **კალკები**, **სოხუმური ქართულის**, **კოდორული სვანურის**, **აფხაზეთური ლეჩხუმურის**, **სოხუმური მეგრულის**, **აფხაზეთური იმერულის სპეციფიკა**...

ჯერ კიდევ 1935 წელს სადოქტორო დისერტაციის შესავალი სიტყვა ასე დაიწყო ვარლამ თოფურიამ, დიდმა ქართველმა ენათმეცნიერმა: სხვა სისტემის ენების გავლენითა და ურთიერთზემოქმედებით იმდენად ნარევი სახე აქვთ კავკასიურ ენებს, რომ გავლენილისა და გამვლენელის საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ძნელი ხდება მათ გრამატიკულ-ლექსიკურ უდაბნოში გზის გაგნება.⁴

იგივე შეფასება თამამად ითქმის აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებაზე. რეალურად აფხაზეთის ქართული მეტყველება – ეს არის ერთგვარი დასავლურ ქართველური ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური „კალეიდოსკოპი“, წარმოდგენილი ისეთი ერთეულებით, როგორიცაა: სალიტერატურო ქართულის დიალექტები – ლეჩხუმური, რაჭული, იმერული... ქართველური ენები – მეგრული, სვანური.

ქართული ენათმეცნიერება საკმაოდ მწირია აფხაზეთის მოსახლეობის მეტყველების დიალექტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის კუთხით, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ სოჭელთა (პლასტუნკელთა) ქართულზე ო. მიქიაშვილისა და რაჭულ-ლეჩხუმურზე ვ. თოფურიას დებულებებსა და დასკვნებს; აფხაზეთში მცხოვრებ ლეჩხუმელთა მეტყველების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ აქაურმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და რომ აქ ახალი დიალექტური ერთეული არ წარმოქმნილა⁵

⁴ ვ. თოფურია, *შრომები*, ტ. II 2002: 293

⁵ ო. მიქიაშვილი, *სოჭელი ქართველები და მათი მეტყველება*, 1994: 1-187

ვ. თოფურია, *ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები*, 1963: 165

სოხუმური ქართული:

ტერმინები – დიგლოსია, ბილინგვიზმი, მულტილინგვიზმი ზოგად ენათმეცნიერებაში შემოიტანეს ამერიკელმა ლინგვისტებმა ჩარლზ ფერგიუსონმა (1959 წ.) და ჯოშუა ფიშმანმა (1967 წ.). რაკი ბერძნულში „დიგლოსია“ „ბილინგვიზმსაც“ („ორენოვნებას“) ნიშნავს, ამიტომ ხშირია ამ ცნებათა ერთმანეთში აღრევისა და მათი კვლევის ობიექტთა საზღვრების მკვეთრი გაუმიჯნაობის შემთხვევები (მ. ტაბიძე⁶). როგორც ცნობილია, **ბილინგვალი** ის პიროვნებაა, რომელიც, სიტუაციათა უმრავლესობაში, კომუნიკაციის საშუალებად **თავისუფლად იყენებს ორ ენას** და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა. აფხაზეთიდან დევნილებს, განსაკუთრებით სოხუმელებს შორის, უმეტესობა სწორედ ასეთი ბილინგვალია. რამდენადაც ძირძველი საქართველოს ამ კუთხის ქართველთა მეტყველებაში სხვადასხვა სახის თავისებურება იჩენს თავს: ქართველური ინტერფერენცია და აფხაზეთური დიგლოსია-ბილინგვიზმი!

აფხაზეთურ ქართულში გამოვლინდა სტრუქტურულ-გრამატიკული, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, სინტაქსური ინტერფერენციის უამრავი შემთხვევა, (ინტონაციურისაც კი, რაც აუდიოჩანაწერებში საკმაოდ მკაფიოდ აღიქმება, თუმცა ექსპერიმენტულად ინტონაციის, საწარმოოთქმო მანერების, თავისებურებების შესწავლის ტექნიკურ პირობებს ამ ეტაპზე მოკლებული ვიყავით (*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის არარსებობის გამო*). შესაბამისად, ვერც ამ კუთხით კვლევის შედეგები ვერ აისახა ჩვენს შრომაში.

წინასწარი დაკვირვებაც ცხადყოფდა, და ყველა რესპოდენტი, ყველა ინფორმატორი ერთხმად გვიდასტურებდა, რომ **მთელ აფხაზეთში გამორჩეული იყო სოხუმელთა მეტყველება, სოხუმური ქართული, სოხუმური დედაენა**; სოხუმური ქართულის ძირითადი მახასიათებელი კი, სწორედ, სპეციფიკური ინტონაციაა, მხოლოდ სოხუმელთათვის დამახასიათებელი სამეტყველო მანერაა, რაც „უდედაენო ქალაქის“ ზღვისპირა სოხუმის მცხოვრებთა მეტყველებას ასე თავშესაფარს, ასე შთამბეჭდავს, თამამად შეიძლება ითქვას, ასე კოლორიტულს ხდიდა და ხდის დღესაც დანარჩენ აფხაზეთელებთან მიმართებით თუ შედარებით; ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ენათმეცნიერებაში, ტერმინი დიალექტი განმარტებულია, როგორც მკვლევარძნული პოლისემანტიკური სიტყვა შემდეგი მნიშვნელობებით: „მეტყველება, წარმოთქმა, გამოთქმა, საუბარი, სამეტყველო მანერა, სტილი“ (ბ. ჯორბენაძე).

⁶ მ. ტაბიძე, *ენობრივი სიტუაცია საქართველოში, 2005, გვ. 159 თბილისი.*

სოხუმური ქართული კი, სწორედ, სოხუმელების გამორჩეული სამეტყველო მანერაა, მხოლოდ სოხუმელთათვის დამახსიათებელი სტილია.

აფხაზეთელთა შეფასებები ასეთია:

გ. ა. – „მე რომ ქართულ უნივერსიტეტში მოვედი, შეიძლება სოხუმური ქართულით ვლაპარაკობდი. ანუ როგორ... სოხუმელებს გარკვეული აქცენტი ჰქონდათ...

ქ. მ. – აი, ბატონო გოგი, მივადექით ჩემთვის ყველაზე მეტად სათუთ და ენთიმეცნიერულად საინტერესო საკითხებსაც: სოხუმური ქართული! ეს კი განსკუთრებულად მაინტერესებს.

გ. ა. – სოხუმური ქართული, კი! ქართული ქართული ენაა და „ჩვენი რწმენაა“, მაგრამ აი რას ვგულისხმობ! მაგალითად, მოსკოვში რომ ვმჯდარვით სადმე ისეთ ადგილას, აი, არ იცით, გვერდით მსხდომნი ვინ არიან... სხედან და ლაპარაკობენ გინდა რუსულად, გინდა ქართულად, გინდა სვანურად, გინდა მეგრულად, ...მაგრამ უცებ გაარკვევდი, თუ მოუსმენდი, რომ ესენი სოხუმელები არიან. აი, არ ვიცი ალიტერაცია იყო ეს თუ მახვილი... ყველას ჰქონდა და იყო განსაკუთრებულად სოხუმური. რამდენჯერ ყოფილა.. რომ ბიჭებო, სოხუმელები ხართ! Вы сухумцы, да? – საიდან? როგორ? – მარტივად! ხმაზე და ინტონაციაზე შეგატყვე, რომ სოხუმელი ხარ. აი ეს ჰქონდათ!

რუსიზმები დევნილთა მეტყველებაში:

ტექსტების ანალიზით ირკვევა, რომ სინტაქსურ-სტრუქტურულ, სემანტიკურ რუსიზმებს სჭარბობს ლექსიკური რუსიზმები.

ფაქტია, ისიც, რომ, ლექსიკურმა რუსიზმებმა ხშირ შემთხვევაში განდევნეს კიდევაც საკუთრივ ქართველური მასალა: მაგ. სვანური ფიჩქ „მაგიდა“ ჩაანაცვლა რუსულმა სტოლმა, მეტყველებაში დაიკარგა ქართული სიტყვა სათლი რუსული ვედროს ფართოდ გავრცელების გამო... მსგავსი მაგალითები მრავლად იძებნება.

დანარჩენ საქართველოსთან მიმართებით აფხაზეთის ქართველობაში კონტინგენტი ადამიანებისა, რომლებმაც განათლება (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) რუსულ ენაზე მიიღეს, გაცილებით დიდია.

დევნილთა მეტყველებაში დღეს რუსული ენობრივი გავლენები და ექსპანსია საკმაოდ შესუსტებულია. რუსიზმების გამოყენების თვალსაზრისით სხვაობა თავალსაჩინოა თაობებს შორის. ე. წ. თინეიჯერების, დევნილობაში დაბადებულთა მეტყველებაში რუსიზმები უკვე ჩაანაცვლა ანგლიზმებმა, რასაც ვერ ვიტყვით აფხაზეთში დაბადებულ თაობებზე. აფხაზეთიდან დევნილთა რაჭული, ლეჩხუმური, იმერული მეტყველების ძირითადი დიალექტური მახასიათებელია, ერთი მხრივ, რუ-

სიზმების, ხოლო მეორე მხრივ, ზანიზმებისა და სვანიზმების... განსაკუთრებული სიმრავლე. ამასთან, ძლიერია ინტერფერენციის პროცესი, რომელიც ენობრივი იერარქიის თვალსაზრისით არის როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათისა.

ასე მეტყველებს, მაგალითად, 83 წლის სოხუმელი ქართველი, რომელმაც ზუსტად ნახევარი საუკუნე (50 წელი) იცხოვრა სოხუმში, 30 წელია, დევნილის სტატუსით ცხოვრობს ქ. თბილისში: „ტურბაზაში ვმუშაობდი სოხუმში. რუსეთში მაშინ იყო **ტურისტისკიე პროფსაიუზები**. ტურისტები სხვადასხვა კატეგორიის იყვნენ. ერთი წყება კანონიერად მოდიოდნენ. მეორე ჯგუფი იყო „**დიკარი**“, არავის არ უთანხმდებოდნენ იქ და აქ რო ჩამევიდოდნენ, მერე გვიკავშირდებოდნენ და მესამე – „**სავსემ დიკარი**“. ეგენი **შეიკრიბებოდნენ**, წამევიდოდნენ და მისით **დადიოდნენ**, სადაც უნდოდათ“. სწორედ, ასეთი ნარევი სახე, ასეთი ორენოვანი „შეჯვარებული“ ფორმების სიმრავლე არის ტიპური მახასიათებელი აფხაზეთური ქართულისათვის. ხშირად გამოიყენება ჟარგონიზმები, სლენგი: პროსტა, ნუ, კაროჩე, სესტრიჩკა, ვაბშე, პავაროტი, სასედი, მუჟიკ, „მოდო მუჟიკურად“...

გრამატიკულ-მორფოლოგიური ინტერფერენცია:

ენათმეცნიერებაში ცნობილია, რომ სხვადასხვა ენობრივი კონტაქტები სხვადასხვა შედეგს იძლევა სესხება-ინტერფერენციის თვალსაზრისით; ამასთანავე, პირველი მათგანი უფრო ზედაპირული ხასიათისაა და ძირითადად ლექსიკას ეხება; ხოლო მეორე – შედარებით სიღრმისეული: ამა თუ იმ სიტყვის გრამატიკული ინვენტარი, ფონოტაქტიკა ან წინადადებათა სინტაქსური კონსტრუქციებიც კი ემორჩილება ინტერფერენციულ პროცესებს.

ინტერფერენციულობით ხასიათდება აფხაზეთიდან დევნილთა ქართველური (სვანური, მეგრული) მეტყველება. თუმცა როგორც **ტენდენცია**, უნდა შევნიშნოთ, რომ, ბუნებრივია, დღეს აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველება სალიტერატურო ენის უფრო ძლიერ ზეგავლენას განიცდის, ვიდრე დევნილობამდე; ეს ფაქტი განსაკუთრებით ნათელი ხდება უმცროს თაობაზე დაკვირვებისას: ამ თაობაში დღეს სვანურად, მეგრულად საუბრისას ყველაზე ინტენსიურად მაინც საგრძნობი და თვალში საცემია მოძალემა ქართული ლექსიკისა, იშვიათად კი დასტურდება ქართული სიტყვა-ფორმების მეგრული თუ სვანური აფიქსებით გაფორმების შემთხვევები.

ინტერფერენცია ვლინდება და შეინიშნება ენობრივი იერარქიის (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის) ყველა დონეზე. თუმცა დევნილთა მეტყველების კვლევის ზოგადი სურათის სრულყოფი-

ლად წამოჩენის მიზნით ქართველური ენებისთვის განვიხილავთ მხოლოდ ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიებს, ცალკეულ შემთხვევებს. ინტერფერენციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია: ერგატივს სვანურში ახასიათებს როგორც საკუთრივ მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტებით (-დ, -ემ) წარმოება, ასევე ორ- (ვ-ემ, -ნ-ემ, -ა-დ) და სამფუძიანობაც კი (-ემ-ნ-ემ, -ემ-ნ-ემ-დ): **მუხვბე-მ-ნ-ემ „მამ“, მარე-მ-ნ-ემ „კაცმა“...** აფხაზეთის სვანურ მეტყველებაში, კოდორულ ტექსტებში ძირითადად ვხვდებით ერგატივისეულ ორმაგ აფიქსაციას (-ემ-დ), რაც ენგურის ხეობის ზემოსვანურში დღეს შედარებით იშვიათია ნაცვალსახელთან და თითქმის უჩვეულოა არსებით სახელთან. აფხაზეთური სვანურის ეს მოვლენა ინტერფერენციით განპირობებული არქაიზმია: **ჩი-ემ-დ „ყველამ“** (შდრ. ჩი-ემ): **ლიმზუზლ ჩიემდ ჟი ოხსყედ** (შდრ. ჩი-ემ) „სამმო ყველამ ჩამოვაყალიბეთ“. **ღერთ-ემ-დ „ღმერთმა“ ღერთემდ მაქდის, ლიმიზირ მამ მალტნდედს** (შდრ. ღერთ-ემ) „ღმერთმა მაშოროს, ლოცვავედრება არ მიყვარდეს“. შეიძლება შევნიშნოთ, რომ აფხაზეთიდან დევნილ სვანთა მემკვიდრეების მეტყველებაში **ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას**. ფორმანტა და ალომორფთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მოთხრობითი ბრუნვის დონიან ფორმებს აქ თითქმის ცალსახად ირჩევენ ორივე დიალექტის წარმომადგენლები. აფხაზეთური სვანური მეტყველების მიხედვით, -დ ფორმანტიანი ერგატივი გვხვდება თითქმის ყველა ტიპის არსებით სახელთან, ზედსართავებთან (**მეშხე-დ „შავმა“**), რიცხვითებთან (**სემი-დ „სამმა“, მესგვე-დ „მეექვსემ“**), სახელზმნასთან (**ლიჭვდწნი-დ „კითხვამ“, ლიმიზირ-დ „ლოცვამ“, ლგვე-დ „აშენებულმა“, მგგემ-დ „ამშენებელმა“**)...უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთიდან დევნილთა სვანურში -ემ ფორმანტიანი მოთხრობითი, თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება (ძირითადად ბალსქვემოური წარმოშობის რესპონდენტთა მეტყველებაში). უთუოდ საყურადღებოა გარემოება, რომ სვანური ერგატივის დონიანი ფორმების გაბატონების ტენდენციის მიუხედავად, -ემ ფორმანტი მყარად არის შემორჩენილი იდიომატურ გამოთქმებში: **ღერთ-ემ მაქდის „ღმერთმა მაშოროს“, ღერთ-ემ ჯასწრვინას „ღმერთმა გაპატიოს“** (შდრ. **ღერბეთ-დ ეჯას ძალა ლახვემ „ღმერთმა იმას ძალა მისცა“**), რაც მის არქაულობაზე მეტყველებს. ერგატიული კონსტრუქციის ფორმატში (როგორც სამფუძიანობის ცალკეული შემთხვევები!) საინტერესოა განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა შემდეგი ფორმები: **ერდვამ** (შდრ. **ერდვწიდ**) „ვინც/ვინცმა“, **ერდ-ვა-ლ-ა-შ-ემ** (შდრ. **ერ-ვწ-ლ-ე-დ**) „ვიღაცამ“.

ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესოა, აგრეთვე, გეოგრაფიულ სახელთა (განსაკუთრებით მიკროტოპონიმთა) ანალიზი.

ხანმეტობა მოზარდთა მეტყველებაში⁷

საინტერესოა, რომ მოზარდთა, აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა მეტყველებაში **ხანმეტობის** განსაკუთრებული შემთხვევებიც კი გამოვლინდა. ქართველოლოგიაში ცნობილი ფაქტია, რომ XI საუკუნის უდიდესი ქართველი განმანათლებელის **გიორგი მთაწმინდელის** მიერ პირველად გამოყენებული ტერმინის (ხანმეტი) ანალიზს და ახსნას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა ქართველ მეცნიერთა შორის. როგორც **ენობრივი მოვლენა**, **ხანმეტობა** ძველ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებდა V-VII საუკუნეებში: **ხიხილო, ხცან, დახიდვა, შეხუბო...**

სვანური ენის არქაულობისა და სირთულის შესახებ არაერთხელ მიუთითებიათ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართ. ძველი ქართული ენის სხვა არაერთ ლექსიკურ თუ გრამატიკულ მოვლენასთან (ინკლუზივ-ექსკლუზივი, ტმესი ანუ განკვეთა, მრავალგზისობა...) ერთად ხანმეტობა ქართველურ ენათაგან შემოინახა მხოლოდ თანამედროვე სვანურმა: **ხასყენე „აკეთებ“, ხაგემ „აშენებ“, ხიღრაღ „მღერი“...**

ირკვევა, რომ **აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა მეტყველებაში თავს იჩენს ახალი, ერთგვარად ინტერფერენციული ტიპის ხანმეტობა**. ინტერფერენცია კი გამოიხატება ძველი ქართულის, თანამედროვე სვანურისა და სალიტერატურო ქართულის ენობრივ ფორმათა ერთგვარი შერწყმით: მაგ. **ხვეძახით „ვეძახით“, ხიჩხუბობთ „ვჩხუბობთ“, ხვიბანავაღდ „ვბანაობთ“, ხვიქნები „ვიქნები“, ხვაწარმოებ „ვაწარმოებ“...** ტექსტების ანალიზით ირკვევა, რომ **დევნილი ბავშვების ხანმეტობა გულისხმობს ქართულ ზმნურ ფუძეებზე ხ- პრეფიქსის დამატებით საუბრისათვის სვანური იერის მინიჭებას, სვანურად ამეტყველებას**. შეინიშნება, რომ სწორედ ასე გამოხატავენ მოზარდები დამოკიდებულებას, შეიძლება ითქვას, ერთგულებას „საშინაო მეტყველებისადმი ანუ აკვნის ენისადმი“ (ა.შანიძე). ერთეული მაგალითების სახით ასევე გამოვლინდა **ბავშვთა მეტყველების ხანმეტობის** დამატებითი „არგუმენტებიც“, როცა ქართულ ზმნურ ფუძეს ემატება არა მხოლოდ ხანმეტობის **ხ-** პრეფიქსი, არამედ თემის ნიშანიც და მრავალგზისობის მარკერიც სვანურია: მაგ. **ხვაკეთაჳი (<ხვ-ა-კეთ-აჳ-ი) „ვაკეთებ“, ხვითამაშავაღდ (<ხვ-ი-თამაშ-ავ-აღდ) „ვთამაშობ ხოლმე“⁸**

⁷ წაკითხულია მოხსენებად ექვთიმე თაყაიშვილის (ექვთიმე ღვითის კაცისადმი) მიძღვნილ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე:

„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი“ 21-22. 12. 2023 წ.

<https://www.sou.edu.ge/marTvis-organoebi/3/11/147/86/15>

⁸ კოდორული სვანური, თბ. 2010 გვ. 700-704.

მოზარდთა მეტყველებაზე დაკვირვება, აქ გამოვლენილი საკმაოდ საინტერესო ხანმეტი ფორმების ეთნოლინგვისტური ანალიზი შესაძლებელი გახდა ჩანაწერების ვრცელი კონტექსტების გათვალისწინებით:

ნ.დ – გუნ ხომა ჰაზ ხედვანდა ბებოს ი ნაჲ, ბოფშარს გუნ გვალატდა ალ ჰაზვისგა **ლი-თამაშავალ** (*უნდა ეთქვა: ლიშდრალ*).

ლ.წ. – გვიყვარდა თამაში.

ნ.დ – ი თივა ზვინარ ერ ლასვდ ეჯდარჟინ, ჟი ერ სგურიდად ი ესღურიდად. ეშუ ლადელს, მი ი სი, ესღურიდად სოკოე **ლეკრეფავთე**.

ნ.დ – სურათ გულვა ნაჲ, სი ი ანანო ერ **ხიჩხუბობთ** ი სგაჲ ერ უკვე შერიგებულარ ხიშდ... ჩი ლადელს ერ **ლიმოწმავისგა** ხვარდად მი, მეგი, ანანო, მარიამ, ნანა...

ლ.წ. – დემეგ, ბაჟ ხოლა ლი. ი მაშყიდ ჭალაჲ ერ ლასვ ჩვიბ ი ბოფშარ ერ **ხვიბანავალდ** ეჩეღსგა. (*უნდა ეთქვა: ხვიბრალდ*).

ნ.დ – მი ლამაჰტივდ, მარე მი კუმშის ყოლა მამ წარმომიდგენია ეშდ ზაღუნდო. ი წარმომიდგენია ერე გუნ ბეგი პოლიტიკოს, პარლამენტარ **ხვიქნები** ი პარლამენტისგა კანონარე ლიმტიცავის შევუდგები. (*უნდა ეთქვა: ხვიირა*).

ნ.დ – მამ მიხა, ათხე შეიძლება ალა გატაცება გარ ლი, უარს ეჯღაჲ დეს ტული. ხოჩა ურთიერთობაჲს **ხვაწარმოებ** გუშგევი მეზობლარცაჲს,

ნ.დ – დიახ, ზუსტად ამჟი, ალო ძალმომრეობოშე **მამგევმ მამ ირა**.

ნ.დ – ი მი ვფიქრობ, ერე ნაჲ ხეკვეს ხვაჰკვარდედ ამჟი ი მამ ხეკვეს **ვგარგლიდედ** ეჯას.

ნ.დ – მი ამჟი ხვათერ ათხე ბოფშარს, ერე ეჯიარ, უმეტესობა, ხადურდ მამ ფიქრობენ მომავალჟინ ი **ხაკმაყოფილავის** აღდროინდელ ლირდე ი მამ ხოხახ იმ ხაჰრეხ მომავალისგა.

ლ.წ. – მარიკა მიშგუ ხოჩა დედა, მარე მეჰად მარიკას **ხეძახით** მეც და ირაკლიც. საბა მიშგუ ხოხრა მუხზე ადუ ხატული დედას⁹

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ვ ე რ ს ი ა :

ნ.დ – ძალიან დიდი ეზო ჰქონდა ბებოს და – ჩვენ – ბავშვებს ძალიან გვიყვარდა ამ ეზოში თამაში (შდრ: **ლი-თამაშავალ**).

ლ.წ. – გვიყვარდა თამაში და არა **ლი-თამაშავალ**!

ნ.დ – და თივის ზვინები რომ იყო, მარხილზე რომ დავჯდებოდით და მივდიოდით, როგორ გვიხაროდა. ერთ დღეს მე და შენ რომ წავედით სოკოს საკრეფად! (სოკოე **ლეკრეფავთე**).

ნ.დ – ჩვენ გვაქვს სურათი ერთი: შენ და ანანო რომ ჩხუბობთ (შდრ. **ხიჩ-**

⁹ კოდორული სვანური, თბ. 2010 გვ. 702-703.

ხუბოზი) და მერე უკვე შერიგებულები რომ ხართ... ყოველდღე იმის შემოწმებაში (შდრ. **ლიმოწმავისგა**) ვიყავით **მი**, მეგი, ანანო, მარიამ, ნანა...

ლ. წ. – მე მახსოვს მდინარე რომ იყო შოორს, დაბლა და ბავშვები რომ ვბანაობდით (შდრ. **ხვიზანავალდ**) იმ მდინარეში...

ნ.დ – მე მაპატიეთ, მაგრამ მე საქონლის ყოლა და ფერმერობა ვერ წარმომიდგენია ათი წლის შემდეგ. და წარმომიდგენია, რომ ვიქნები (შდრ. **ხვიქნები**) ძალიან მაგარი პოლიტიკოსი, პარლამენტარი ვიქნები (შდრ. **ხვიქნები**) და პარლამენტში შევუდგები კანონების დამტკიცებას.

ნ.დ – არ ვიცი, ახლა ეს შეიძლება მხოლოდ გატაცებაა, ამიტომ სამომავლოდ უარს მაინც ვერ ვამბობ, რომ მხოლოდ კარგ ურთიერთობებს ვაწარმოებ (შდრ. **ხვწარმოებ**) ჩვენს მეზობლებთან!

ნ.დ – დიახ, ზუსტად ასეა, აბა ძალმომრეობით **არაფერი არ იქნება** (შდრ. **მამგვემ მამ რა!**).

ნ.დ – და მე მგონია, რომ ჩვენ ამაზე ძალიან ბევრს უნდა ვფიქრობდეთ და ვლაპარაკობდეთ (შდრ. **ვგარგლიდე**).

ლ. წ. – მე ასე ვატყობ ახლანდელ ბავშვებს, რომ მათი უმეტესობა სრულებითაც არ ფიქრობს მომავალზე, აკმაყოფილებთ (შდრ. **ხაკმაყოფილავი**) ამდროინდელი ყოფა და არ იციან, თუ რა უნდა დააპირონ სამომავლოდ.

ლ. წ. – მარიკა დედაა ჩემი. მაგრამ ყოველთვის ვეძახით (შდრ. **ხვეძახით**) დედას – არა, მხოლოდ მარიკას მეც და ირაკლიც. ჩემი პატარა ძმა – საბა კი ეძახის დედას.

ინტერფერენციის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ასევე ორმაგი უარყოფის ფორმები: სვანურს არ ახასიათებს ორმაგი უარყოფა, შესაბამისად, ეს ხელოვნური ფორმები (სვანურისთვის არაბუნებრივი მეტყველება!) სალიტერატურო ქართულის ინტერფერენციად კვალიფიცირდება: მაგ. ძალმომრეობით **არაფერი არ იქნება** (შდრ. სვან. **მამგვემ მამ რა!** უნდა ეთქვა: **მამგვემ რა**).

სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური ასპექტები:

აფხაზეთის დიალექტოლოგიური მასალების შეკრებისას საგანგებოდ შევხვდით კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებსაც (რესპონდენტთა, ინფორმატორთა საერთო რაოდენობა ასეულებს გასცდა!) მოზარდების თაობისაგან განსხვავებით, ასაკოვანი რესპონდენტები გამოირჩეოდნენ აფხაზეთის თემატიკაში გარკვეულობის, ფაქტების ფლობის, ორატორული ნიჭის... მიხედვით. კვლევის მიზანი იყო, მასალებში ასახულიყო ძალდაუტანებელი, ბუნებრივი ფორმები და გამოთქმები, ჩვეულებრივი მეტყველება აფხაზეთის ყველა კუთხის წარმომადგენლებისა. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მუშაობა ახალგაზრ-

დებთან ახლებური აზროვნებისა და მენტალობის, მშობლიური ენა-კილოების არასრულყოფილად ცოდნის გამოც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რაც ზოგადად ტენდენციის მიმანიშნებელია და ერთგავარად გამოხატავს **საერთო სურათს დევნილთა მეტყველების დიალექტოლოგიური კუთხით შესწავლა-შეფასების თვალსაზრისით**. ენათმეცნიერებთან საუბარში თითქმის ყოველი მათგანი, ყველა ლტოლვილი შეთანხმებულივით ერთხმად აღნიშნავდა, რომ დევნილობაში ცხოვრების ათეულმა წლებმა მათ გარკვეულწილად თითქმის დაავიწყა ყოველდღიური საკომუნიკაციო რუსული, დაავიწყა სწორედ „**სოხუმური ლინგვა ფრანკა**“, მეტ-ნაკლებად დაავიწყა საშინაო მეტყველების ენები: მეგრული და სვანური. ისინი თავადაც ამჩნევენ და ხედავენ საკუთარი საუბრის, საკუთარი სამეტყველო „ეტიკეტის“ ამ „**მეტამორფოზებს**“ და საკუთარი მეტყველების ცვლილებებს სახელმწიფო ენის, სალიტერატურო ენის, დედაენა ქართულის სასიკეთოდ: „**ჩემი მეტყველება უფრო დაიხვეწა**“ – ასეთია დევნილების თვითშეფასება.

სწორედ ინტერფერენციის, დიგლოსიის, ბილინგვურ (ტრილინგვურ!) გარემოში ცხოვრების გამოხატულებაა თავად რესპონდენტთა, ინფორმატორთა მიერ ტექსტებში არაერთგზის გაცხადებული შეფასებები: აფხაზეთის ქართველთა მეტყველება, ჩვენი შეფასებით **აფხაზეთური ქართული კოინე, სოხუმი – უდედაენო ქალაქი** (როგორც მრავალენოვანი!), **კოდორული სვანური, აფხაზეთური ლეჩხუმური, სოხუმური მეგრული, აფხაზეთური იმერული...**

უდედაენო ქალაქი: თითოეული ამ ლექსემისა თუ სინტაგმის (აფხაზეთური ქართული, კოდორული სვანური, სოხუმური მეგრული, აფხაზეთის იმერული...) დიალექტური ერთეულის (თქმა, კილოკავი...) აღმნიშვნელ ტერმინად ქცევას, ვფიქრობთ, დამატებითი მასალები და ლინგვისტური არგუმენტები დასჭირდება. უდედაენო ქალაქთან დაკავშირებით კი საგულისხმოდ მივიჩნიეთ შემდეგი ეპიზოდიც:

მაგ.: ჩავედით ერთხელაც სოხუმში, ჩემი მეგობარიც წამომყვა. ველარ დაბრუნდა თბილისში დროზე, ამიტომ რომ ჩავედით, მთხოვა, ტელეფონზე დამარეკინე, ოჯახს გავაგებინებ, აქ რომ ვარო. მობილურები მაშინ არ იყო, მოგეხსენებათ. დასარეკად შევედით ერთ-ერთ ორგანიზაციაში. ვსაუბრობდით. უცებ კარი გაიღო, კაბინეტში შემოვიდა კაცი და თავის უფროსს უთხრა: „**ნიკალაევიჩ, თქვა ჭუმე, ქართშა მიდიხართ, მოჟეტ, ადინ დვა კილო კრასკა ჩამოიტანოთ!**“ ჩემს მეგობარს გაეცინა – ბიჭო, ერთი წინადადების სათქმელად რამდენი ენა გამოიყენაო. დასკვნაც მიაყოლა: „**სოხუმი უდედაენო ქალაქი ყოფილა!**“

ეს თეზა, ეს დებულება, **სოხუმი – უდედაენო ქალაქი** არ არის მხოლოდ ჩვენი დროის „პროდუქტი“, მხოლოდ თანამედროვეობის ერთგვარად ტკივილიანი რეალობა, საქართველოსგან დროებით? (ვინ იცის, როდემდე?) მოკვეთის სოხუმური ნოსტალგია! ეს ისტორიის სიღრმიდან საუკუნეების მანძილზე გადმოყოლილი მოცემულობაა ამ ზღვისპირა ქალაქისთვის! ანტიკური პერიოდის მოგზაურებიც, მოღვაწეებიც ხომ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ აქ, დიოსკურიაში, 30-მდე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელს შეხვდები, რომ აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა და ეს ხალხები განსხვავებულ ენებზე საუბრობენ.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, ანუ ათასწლეულების წინანდელ ვითარებას და მოცემულობას **მრავალენოვან** დიოსკურიაში განსაკუთრებით დეტალურად აღწერს გეოგრაფიის, ისტორიის გიგანტი, ანტიკურობის დიდი მოღვაწე. **სტრაბონის**¹⁰, რომელსაც, იმედია, ვერავინ დასწამებს მიკერძოებას სვანების მიმართ, როდესაც ხაზგასმით წერს: „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც **დიოსკურიის** ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, კრებენ ლაშქარს 200.000 კაცის რაოდენობით: მართლაც, მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არა ორგანიზებული“¹¹. შრომატევადი კვლევის საფუძველზე ზ. ჭუმბურიძე დაასკვნის: ძველი ბერძენი ავტორების ეს ცნობები სვანების მრავალრიცხოვანების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიკური მასალების ანალიზი¹². ეს მიმდებარე ტერიტორიებია: ჩრდილო კავკასია (თერგისა და ყუბანის სათავეები)¹³, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მთიანი სამეგრელო. ქართველი მეცნიერები უპირობოდ თანხმდებიან თვალსაზრისზე, რომ ამ ტერიტორიების გეოგრაფიულ სახელთა დიდი ნაწილი ეტიმოლოგიურადაც და ფაქტობრივადაც სწორედ სვანური ძირებით, სვანური მაწარმოებლებით, სვანური ლექსიკით არის გაჯერებული. ზოგადად, პროდუქტიულობის თვალსაზრისით, სვანურის **ლა- ლე- ლი-** აფიქსებს, თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ჯადოსნური“ ძალის მაწარმოებლები, იმდენად დიდია ამ ფორ-

¹⁰ **Strabo**, XI, 2, 19 თ. ყაუხჩიშვილი, **სტრაბონის გეოგრაფია**. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1957 გვ. 126

¹¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, გვ. 341.

გ. **მელიქიშვილი**, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, გვ. 50-68, თბილისი.

¹² ზ. **ჭუმბურიძე**, სვანური ენა, 2007, გვ. 25, თბილისი.

¹³ **Лавров** Л. 1950, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М.Л.

მანტოა მატოპონიმიზებული „ძალა და უნარი“ (შდრ. ლე-ბარდე, ლა-ჯა-ნური, ლა-ხამეილაში, ლე-სიჭინე, ლე-მამამე...) მაგ. აკად. გ. მელიქიშვილის¹⁴ დაკვირვებით, მხარე სახელად **ლე-ჩხუმი** და ჰენიოხური ქალაქის ძველი სახელი **ცხუმი**, სწორედ, სვანური წარმოშობის უნდა იყოს. ისტორიკოსი მოიხმობს უხვ საილუსტრაციო მასალას თანამედროვე სვანეთის ტოპონიმიიდან: ცხუმარი, ცხუმელური, ცხმორი, ცხომარეთი... გ. გასვიანის¹⁵ დასკვნითაც, აფხაზეთის ქალაქ ცხუმის სახელწოდების შემოქმედი თავის დროზე სვანურენოვანი მოსახლეობა იყო. ის სვანური **ცხუმ** „რცხილადან“ წარმოდგება და პრეისტორიული ფუძე და ძირი ამ ზღვისპირა ქალაქისა ქართული/ქართველური ტოპონიმია.

დასკვნები:

1. წინამდებარე მონოგრაფიის **მეცნიერული სიახლეა აფხაზეთური ქართულის, აფხაზეთის თემატიკის დიალექტური ტექსტების ჩაწერა, დიგიტალიზაცია, ქართველურ ენათა და დიალექტთა ინტერფერენციის დინამიკის თავისებურებებისა და ხარისხის დადგენა, ენათმეცნიერული კვლევა და ანალიზი.**
2. ტექსტების თემატიკა მრავალფეროვანია: სოხუმური ამბები, თავგადასავლები, ეპიზოდური ხასიათის ჩანაწერები, ლექსები სოხუმზე, დევნილთა ბუნებრივი საუბრების დიალექტური ჩანაწერები... სწორედ ამ მასალების საფუძველზე, მრავალწლიანი შრომის შედეგად პირველად შეიქმნა კრებული: **აფხაზეთური ქართული.**
3. **აფხაზეთური ქართულის, აფხაზეთური კოინეს** ძირითადი დიალექტოლოგიური (ლინგვისტური) მახასიათებლებია **ინტერფერენცია, დიგლოსია, ბილინგვიზმი**, რამეთუ აფხაზეთელ ქართველთა მეტყველება ქართველური ენების (მეგრული, სვანური) და სალიტერატურო ქართული ენის დიალექტების (რაჭული, ლეჩხუმური, იმერული...) ინტერფერენციულ, ნარევ მეტყველებას წარმოადგენს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიგლოსიურ (ქართულ-სვანურ, ქართულ-მეგრულ) და ბილინგვურ (ქართულ-რუსულ, ქართულ-აფხაზურ, რუსულ-აფხაზურ, რუსულ-სომხურ, რუსულ-ბერძნულ, სომხურ-თურქულ) მოვლენებს.
4. **რუსიზმების** განსაკუთრებული სიმრავლე არის აფხაზეთელ ქართველთა, დღეს აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველების უპირველესი მახასიათებელი, რასაც სოხუმური „ლინგვა ფრანკა“ განაპირობებდა.

¹⁴ გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, თბილისი.

¹⁵ გ. გასვიანი, აფხაზეთი: ძველი და ახალი აფხაზები, 1998, თბილისი.

ამასთან, ძლიერია **ინტერფერენციის** პროცესი, რომელიც **ენობრივი იერარქიის** თვალსაზრისით არის როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათისა.

5. ინტერფერენციულობით ხასიათდება ასევე აფხაზეთიდან დევნილთა ქართველური (სვანური, მეგრული) მეტყველება. გამოვლინდა სტრუქტურულ-გრამატიკული, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ინტერფერენციის უამრავი შემთხვევა.

6. წარმოჩნდა, გამოიკვეთა სპეციფიკურობა **სოხუმური ქართულისა, სოხუმური მეტყველებისა.**

7. დღეს აფხაზეთელ ქართველთა მეტყველება სალიტერატურო ენის უფრო ძლიერ ზეგავლენას განიცდის, ვიდრე დევნილობამდე.

8. დიალექტოლოგიური ასპექტით კვლევის საფუძველზე აფხაზეთური ქართულის, სოხუმური ქართულის, აფხაზეთური მეგრულ-სვანურის ინტერფერენცია ნაერთი ენობრივი ფორმების, სინტაგმების, ლექსემების, გრამატიკული ფორმების სიჭარბით, სიმრავლით თავსდება ზოგადლინგვისტურ უნივერსალიათა არეალში.

9. დევნილთა მეტყველების დიალექტოლოგიური კვლევა, დასავლურ ქართველური ენა-კილოების მონაცემთა აღწერა და გაანალიზება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტური ქართველოლოგიის, არამედ თეორიული ენათმეცნიერების კუთხითაც, რამდენადაც ჯერ კიდევ ანტიკურობის ეპოქის იბერიული (ქართული) / თანამედროვეობის ქართველური ენები უაღრესად **თვითმყოფადი ლინგვისტური ლანდშაფტით** ანუ ქართველური მრავალფეროვნებით, **მედეგობითა და ისტორიული გამძლეობის** ხარისხით ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს თეორიული ენათმეცნიერებისათვის.

10. აფხაზეთის ქართველთა მეტყველების ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით შესწავლის პირველი ნაბიჯები, ბუნებრივია, უშეცდომო ვერ იქნება. შესაბამისად, ავტორები ყველა საქმიან შენიშვნას უცილობლად გავითვალისწინებთ. კრებული **აფხაზეთური ქართული** კი მრავალწახნაგოვნებით, სოხუმური ამბებით, ძირძველ საქართველოსთან, ანტიკურობის დიოსკურიასთან, მამა-პაპათა საძვალესთან უწყვეტი კავშირის სურვილით, რწმენით, ენთუზიაზმით, პათოსით... მომავალში, ვფიქრობთ, განთავსდება **ეროვნული იდენტიფიკაციისთვის** მნიშვნელოვანი წიგნების „არქიტექტონიკაში“.

ბიბლიოგრაფია:

ბატონიშვილი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი.

გვანცელაძე, 2024 – თ. გვანცელაძე, გ. გვანცელაძე, ს.ჭავჭავაძე, მ.ხობულაძე, ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში, თბილისი.

გასვიანი, 1998 – გ. გასვიანი, აფხაზეთი: ძველი და ახალი აფხაზეთი, თბილისი.

ზარდალიშვილი, 1949 – გ. ზარდალიშვილი, კლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდებების დადგენისათვის, თსუ შრომები, ტ.36. თბილისი.

თაყაიშვილი, 1991 – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910წელს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, თბილისი.

თოფურია, 2002 – ვ.თოფურია, შრომები, ტ. II, თბილისი.

თოფურია, 1963 – ვ.თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, თბილისი.

კოდორული ქრონიკები -2010: ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი, მ. საღლიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, 2007-2010 წწ. კოდორული ქრონიკები [გვ. 1- 836] თბილისი

კოდორული სვანური – 2020: ი. ჩანტლაძე, ჰაინც ფენრიხი, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი, კოდორული სვანური [გვ.1- 738] თბილისი.

Лавров Л. И. 1950 – Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М.Л.

მელიქიშვილი, 1965 – გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი.

მიბჩუანი, 1989 – თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან.

მარგიანი, 2005 – შ. მარგიანი, კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა, კრებული: დალელთა იმედი – შუქრი მარგიანი, თბილისი.

მარგიანი, 2018 – ქ. მარგიანი, Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics (according to the speech of Kodori Gorge population) Materials of the III International Scientific-Practical Conference “Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time”, Vol. I Kyoto, Japan.

მარგიანი ქ. კაკაჩია მ. ჯღარკავა მ. 2016 – დევნილთა მეტყველება, I თბილისი.

Март Н. 1911 – Где сохранилось сванское склонение? Известия Императорской Академии Наук. СПб.

ტაბიძე, 2005 – მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი.

ფუტყარაძე, 2022 – ტ.ფუტყარაძე, მ. ტაბიძე, მ. ლაბაძე, ს.კეკუა, კ. გეჯუა, ფ.ჩელეზი,მ.სალია, ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით, თბილისი.

ქალდანი, 1970 მ.ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, ტ. 17, თბილისი

ქალდანი, 1999 – მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „აფხაზეთის მოამბე“, # 2 თბილისი.

ჩანტლაძე, 2002 – ი. ჩანტლაძე, დეფექტურ ზმნათა თავისებურებანი კოდორის ხეობის სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესია, თბილისი.

ჩანტლაძე, 2007 – კოდორის (დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგები, „კოდორული ქრონიკები“, თბილისი.

ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010 – შ. ჩართოლანი, მ. ცინდელიანი, კოდორის ხეობის „დალ“ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ცხადაია, 1986 – პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“ 122, #1, თბილისი.

ხორავა, 2008 – ბ. ხორავა, წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება, კრებული: სვანეთი – ქართული კულტურის სავანე, თბილისი.

ხორავა, 2014 – ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, თბილისი.

ხვისტანი, 2018 – რ. ხვისტანი, კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდინარე კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი, თბილისი.

ჯაფარიძე, 2009 – ვ. ჯაფარიძე, მთიანი აფხაზეთის (მდ. კოდორის შუა წელის) არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საკითხისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი.

ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

Hockett Ch. F. 1973 – Man's Place in Nature. New York

ინტერეფერენციის საკითხები იმერეთში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების მიხედვით

აფხაზეთი საქართველოს ჩრდილო – დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. საზღვარი ჩრდილო – დასავლეთით მდინარე ფსოუზე გადის, ხოლო აღმოსავლეთით – კოდორის ქედსა და მდინარე ენგურზე. აფხაზეთის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის წყალგამყოფი ქედია, ხოლო სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მას შავი ზღვა აკრავს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები. აფხაზთა დაახლოებით ნახევარი 1866-1878 წლებში თურქეთში გადასახლეს. ტერიტორია დაატოვებინეს ქართველთა გარკვეულ ნაწილსაც. ამ მოვლენებმა, როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწე -აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ორი ძირითადი ცვლილება გამოიწვია:

1. აფხაზთა ერთი ნაწილი თურქეთში გადასახლდა და არსებითად გათურქდა;

2. მეორე ნახევარი, მართალია, შინ დარჩა, მაგრამ ცარიზმის პოლიტიკის წყალობით, ქართული ეროვნული სამყაროდან გადავიდა რუსულ ეროვნულ სამყაროში.

აფხაზეთში მთელი რიგი დასახლებული პუნქტები სრულიად დაცლილი აღმოჩნდა. დაიწყო ამ მიწებზე გარედან მოსული მიგრანტების ჩასახლება. მნიშვნელოვან კონტინგენტს შეადგენდნენ თურქეთიდან გადმოსული სომხები და ბერძნები, რომლებიც სახლდებოდნენ დღევანდელი სოხუმის, გულრიფშისა და გაგრის ტერიტორიებზე, ჩამოსახლდნენ აგრეთვე რუსები და ესტონელები.

როგორც პროფესორი ბექან ხორავა აღნიშნავს: „ცარიზმი შეეცადა, აფხაზეთში რუსები ჩაესახლებინა, მაგრამ ისინი ხალისით სულაც არ მიდიოდნენ ამ მხარეში – ემინოდან გადასახლების სირთულის, კლიმატული პირობების... ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოდან მიწის სიმწირითა და სივიწროვით სულმეხუთული მოსახლეობა გადმოდიოდა და მკვიდრდებოდა... ქართველი საზოგადოებრიობა თვლიდა, რომ ეს იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენა – ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე. სანაპირო ზოლში დამკვიდრდნენ მეგრელები, გორაკბორცვიან ადგილებში – რაჭველები და ლეჩხუმლები, მთიან ნაწილში – კოდორის ზემო წელში კი – სვანები. <https://smr.gov.ge/uploads/Files/afxazeti>.

პროცესმა ფართო ხასიათი მიიღო მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან. კერძოდ, 1934 წელს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ლავრენტი ბერიაშ დაიწყო რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთ-სამეგრელოს ცალკეული მხარეებიდან მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე მისი სრული ათვისებისა და მხარის დემოგრაფიული ცვლილებებისათვის. ამას „არ ჰქონია ინფილტრაციის ხასიათი – ქართველები გამოუყენებელი მიწის მასივებში ჩასახლეს. ეს გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით – მიზანი გახლდათ ინდუსტრალიზაციის კურსის გატარება, სამრეწველო საწარმოების შექმნა, მხარის ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება, პირველ რიგში, ტვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლუატაციაში შესვლა, მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამ პერიოდში აფხაზეთში ფეხი ძლიერად მოიკიდა ქართული წარმოშობის მოსახლეობამ და თანდათან გაქრა დომინანტი ბერძნულ-ჩრდოლო კავკასიური ელემენტები. აფხაზეთში დამკვიდრდა საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი ქართული დასახლებები (ბ. ხორავა).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა იყო ქართული და აფხაზური. საურთიერთო ენა ძირითადად გახლდათ რუსული. კომფაქტურად ჩასახლებულმა ქართველებმა ნაწილობრივ შეინარჩუნეს დიალექტი. სამწუხაროდ, როგორი იყო მათი მეტყველება ენობრივი გავლენების, ინტერფერენციის, დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენების თვალსაზრისით, შესწავლილი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით პროფესორ ოთარ მიქიაშვილის მიერ სოჭელი (პლასტუნკელი) ქართველების მეტყველებაზე დაკვირვებას, რომელიც აისახა კიდეც მის ნაშრომში (მიქიაშვილი, 1986);

იმერეთიდან, ლეჩხუმიდან, რაჭიდან ჩამოსახლებულები ძირითადად ცხოვრობდნენ ოჩამჩირის რაიონში (სოფლები: არადუ, ახალდაბა, ცაგერა, კოჩარა.), სოხუმის შემოგარენში (სოფ. ოდიში), ლესელიძეში, პლასტუნკაში და სხვ. მათი მეტყველების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ აქაურმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და რომ აქ ახალი დიალექტური ერთეული არ წარმოქმნილა (თოფურია 1963:165);

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ზრდა აფხაზთა პროტესტს იწვევდა. ანტიქართული პროტესტის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წლის მოვლენები, როცა პროტესტი მოჰყვა პავლე ინგოროყვას ფუნდამენტურ ნაშრომს „გიორგი მერჩულე“, რომელშიც მეცნიერი ავითარებდა აზრს, რომ თანამედროვე აფხაზები არ იყვნენ ადრეული „აბაზგ-აფსილებისა“ და ადრეული შუა საუკუნეების „აფხაზების“ შთამომავალნი.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები დაიძაბა ასევე 1957, 1967, 1978 და 1989 წლებში. საბოლოოდ პროცესი დასრულდა 1992-1993 წლების ომითა და ქართველთა ეთნოწმენდით. აფხაზეთის ქართული მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადანაწილდა. მათი საბოლოო დამკვიდრების პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული. უკვე 30 წელია, რაც ისინი გაფანტულნი არიან სხვადასხვა ადგილას და, ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში მეტყველებამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

პროექტი, რომელზეც ჩვენმა ჯგუფმა იმუშავა, სწორედ ამ ცვლილებების დაფიქსირებას, აღნუსხვასა და ანალიზს ისახავს მიზნად. დევნილთა მეტყველების ენათმეცნიერული კვლევა აქტუალურია სახელმწიფოებრივად, ფასეულია ლინგვისტურად, საინტერესოა მეცნიერული (ქართველოლოგიური) ასპექტით. კვლევები განვახორციელებთ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც დევნილთა მეტი რაოდენობაა კომპაქტურად ჩასახლებული. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, გაგვერკვია :

1. რა განაპირობებს ინტერფერენციულ ცვლილებებს, რა ფაქტორები იწვევს პროცესს;
2. როგორია ინტერფერენციის მასშტაბები;
3. რა გზით, როგორი ფორმით მკვიდრდება დევნილთა მეტყველებაში ლექსიკური და გრამატიკული ნასესხობები;
4. როგორია ინტერფერენციული თუ სხვა ტიპის ენობრივი ცვლილებების დინამიკა.

ყურადღებას შევაჩერებთ იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების თავისებურებებზე. მათი უმრავლესობა თავის დროზე ლეჩხუმიდან აფხაზეთში გადასახლებული მოსახლეობა გახლავთ – **აფხაზეთელი ლეჩხუმელები**. მათ ამჟამინდელ მეტყველებას აშკარად ეტყობა ქვემოიმერულის გავლენა.

ქვემოიმერული დიალექტი, რომელიც იმერულის განშტოებას წარმოადგენს, მოიცავს წყალტუბოს, სამტრედიის, ხონისა და ვანის რაიონებს. ქვემო იმერეთის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობით შედარებით უფრო ერთფეროვანია, რადგან ამ კუთხეს არც ადგილობრივების, არც უცხო ტომების მასობრივი მიგრაცია არ შეხებია.

ლეჩხუმური დიალექტი რიონისა და ცხენისწყლის შუაწელის გასწვრივ მდებარე მიწა-წყალსა და მდინარე „ლაჯანურას“ მთელ ხეობაზე ვრცელდება. ლეჩხუმს ადმოსავლეთით საზღვრავს რაჭა, დასავლეთით – სამეგრელო, ჩრდილოეთით – ქვემო სვანეთი, სამხრეთით – იმერეთი.

როგორც ბ. ჯორბენაძე მიუთითებს – წმინდა გეოგრაფიული პრინციპით, ლეჩხუმური, რა თქმა უნდა, ზემო ზონაში მოექცეოდა (რაჭულთან ერთად), მაგრამ არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ დიალექტოლოგიურ პრინციპს. ამ თვალსაზრისით კი ლეჩხუმური (ისტორიულადაც და ამჟამადაც) მეტ სახლოვეს იმერულთან (უპირატესად კი ქვემოიმერულთან) ამჟღავნებს (ბ. ჯორბენაძე, 1989:494);

ისტორიულად ლეჩხუმი ცნობილია, როგორც **თაკვერი**, ივარაუდება, რომ „დღევანდელი ლეჩხუმის მოსახლეობა სვანური, მეგრული, შემდეგ რაჭული და იმერული ტომების საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა“ (დ. ბერძენიშვილი).

ლეჩხუმის მეტყველების განვითარება ორი ქართველური ენის (სვანური და ზანური) და ორი დიალექტის (ქვემოიმერული და რაჭული) მეზობლობაში, რა თქმა უნდა, განაპირობებს მის თავისებურებას.

ემპირიული ენობრივი (დიალექტური) მასალის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებაში ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვა ენობრივ-დიალექტური მოვლენა, რაც მეტყველებას ინტერფერენციული იერსახის მატარებელს ხდის. განსხვავებული ენობრივ-დიალექტური კოდისათვის დამახასიათებელი ნიშნების ზედდება ანუ ინტერფერენცია – ერთი რომელიმე ენის ან დიალექტის მეორეზე ნებისმიერი ზემოქმედება ხშირად არაკონტროლირებადი პროცესია. რა თქმა უნდა, გამოყენებადი ენა თუ დიალექტი უფრო ადვილად მოქმედებს მეორეზე.

აფხაზეთელ ლეჩხუმელთა მეტყველებაში უხვადაა წარმოდგენილი არქაული ფენა (დიალექტიზმებად გააზრებული არქაიზმები), ეთნოგრაფიული თავისებურებების ამსახველი ლექსიკა, რუსული ენის ზეგავლენით დამკვიდრებული ფორმები, ზანიზმები. ეს ყველაფერი კი მეტად საინტერესო სურათს იძლევა. რა თქმა უნდა, მოსახლეობამ ლეჩხუმური დიალექტი შეინარჩუნა, ასევე შეისისხლხორცა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ნიუანსებიც; დევნილობისას კი ამას დაემატა თავისებურებები, რომლებიც გაჩნდა იმერულთან ურთიერთობისას.

აღსანიშნავია, რომ ჩაწერილი ტექსტები შეიცავს ენობრივი ანალიზისათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას. ზოგიერთი ფორმა არ დასტურდება ძირ დიალექტში. ტექსტების შეკრება და ყველა იმ ცვლილების აღნუსხვა, რაც დიალექტში დროის გარკვეულ მონაკვეთში დაჩნდება, შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს დიალექტის ცვლილებების შინაგანი ტენდენციები.

წარმოვადგენთ რამდენიმე ნაწყვეტს გაბმული თხრობის სახით ჩაწერილი ტექსტებიდან:

ნ. ჯ. – 57 წლის, სოფელი არადუ (ოჩამჩირე):

„არადუ ძირითადად ლეჩხუმიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას ეკავა. ჩემები ცაგერის რაიონის სოფელ ზუბიდან გადმოუსახლებიათ. ჯანელიძეები იმერლები ყოფილან, წარმოშობით სოფელ გორდიდან. შემდეგ გადასულან სოფელ ზუბში. ცხოვრების თავიდან დაწყება ადვილი როდია, მაგრამ დასახლებულან, გამრავლებულან... გაუჭირდათ იქიდან წამოსვლა, თვალზე ცრემლით დაუტოვებიათ ლეჩხუმი.

ბებიას ოჯახი უფრო ადრე ჩაუსახლებიათ აფხაზეთში. სიამაყით ამბობდა ხოლმე – მე 1915 წელს სოხუმში დაბადებული ქალი ვარო. ბებიას მამა – დიდი ბაბუა ანტონი მღვდელი ყოფილა, მის შტოს **ხუცისანებს** ემახდნენ თურმე. ნახევრად გაუვალი ტყე დახვედრიათ არადუში ჩამოსახლებულებს, მგლებითა და ტურებით სავსე... გაჩეხეს, იშრომეს, იწვალეს... ბევრი ჭირი ნახეს, სანამ წელს წამოიდგამდნენ.

კომუნიკატურად იყო დასახლებაული ლეჩხუმელებით **არადუ, ახალდაბა, ცაგერა, ლინდავა, კოჩარაც** ნაწილობრივ. ცხოვრობდნენ **კოპალიანები, ჩაკვეტაძეები, მამარდაშვილები, ცვარიანები, ასლანიკაშვილები, სალინაძეები, თუთისანები, ბენიძეები, ყურაშვილები, გოლეთიანები, კუხალაშვილები, ჯანელიძეები – ნაკლებად...**

რა თქმა უნდა, მოსახლეობამ ლეჩხუმური დიალექტი შეინარჩუნა. ეს ისე იყო გამჯდარი ძვალ-რბილში, თუ გინდა, სისხლში, რა დაავიწყებდათ?! თვითმყოფადობა შეინარჩუნეს. თუმცა დიალექტმა სხვა ენების (რუსული, აფხაზური, მეგრული) გავლენა მაინც განიცადა. ამას მაშინ მივხვდი, როცა ლეჩხუმში ავედი, სოფელ ზუბში, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ. ტკბილად ჩამესმოდა იქაური დიალექტი, რომელიც გაცილებით ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე – ჩვენი. ინტონაციაც სხვანაირი ჰქონდათ თითქოს... მივხვდი, რომ ჩვენთან, აფხაზეთში, ბევრი რამ უკვე შეცვლილი იყო. ახლა აქ, წყალტუბოში ცცხოვრობთ და ისევ ავირიეთ – ლეჩხუმურ-იმერულით ვსაუბრობთ“.

ნ. მ. – 83 წლის:

„ჩემი **დედიდან** ვიცი ლეჩხუმური სიტყვები. მახსოვს ბევრი. ახალგაზდები არ ლაპარაკობენ ამ სიტყვებით, ჩვენ თუ **შემოგვჩა**. ლეჩხუმიდან აფხაზეთში **რო** ჩასულან, **სხოკან** ცხოვრება **ძაან** გაჭირებიათ – **მიყობოდა** დედაჩემი. სულ **საქნარობდა**, რაც მახსოვს. ეზო დაწვრილებული ქონდა, ბალახს **რავა** გააჩერებდა, **ხვართქლას** ძირიანად **ამოაკვანკვალებდა**, **მორეთ** ამოღება რო არ დაჭირებოდა. **იმისანე გაჩისტული** ქონდა ეზო-გარემო, **ბდღვერსაც** ვერ ნახავდი. უთენია დგებოდა, ეზოს ბოლოში, სახლის უკან ქონდა გადაღობილი, იქ იყო საქათმე, აქით **რავა გამოუშობდა** ფრინველს! **მოვსებულ ქათამს საბუდრეში** შეიყვანდა, რო კვერცხი დაედო, **პოპოცებს** ფრთებს აჭრიდა, წიწილებს

თხიპის წამალს დააღვრიებდა – აფერი არ ავიწყდებოდა. პურტყვი არ გვყავდა მაინდამაინ. ყველიზა კი გვყოფნიდა რძე. საგვაჯილეს ინახავდა დედაჩემი, გვიყვარდა ჩვენ გვაჯილი. ეგი იცით, რაია? – უმარილო, ფუმფულა ყველია, გადაზილული. ცოტას კი მოანცროვდა მარილს, თლა ცოტას, წყუთე არ უნდა იყოს. პური ჩვენ ქარხნული გვქონდა, მარა ბეზიე კი იხსენებდა რაცხა კოტოტიან პურს, გომიჯებს ჯობდაო. მე არ ვიცი მაი რანაირია. დედაჩემი საჭმელსაც კაის აკეთებდა, კაი ბაჟბაჟას, აფერს არ დააკლებდა. ქერო ვატატყი ქალებია, იმათ კი არ გავდა! ბოსტანიც გქონდა, აპა? ლობიეც, ა, იმნაირი, აშენებულ ლობიოს რო ეძახიან, ხარდანზე როა. კოკორაჭა ლობიო -ბეზიე ეძახოდა ასე. შავი და თეთრი როა -ჭრელი კიდო. მეიცა, რას უძახოდენ? – ფარდელიო. მე გოუქნელი მიყვარდა ლობიო, ახლაც მასე ვარ, პირშილი ქვია მაგას, ქერო მოხარშავ და არ გაქნი, ნიგოზი უხდება.

მამაჩემიც კაი მშრომელი კაცი იყო. ცოტა ღვინო უყვარდა, მარა არავის აფერს უშავებდა. ხმას არ ოუწევდა არავის. პატარა ვენახი ქონდა, ვენახი არ ერქვა თლა, მარა, კი ახარებდა თავის ჭიას. ჯიშები? კი არ მახსოვს ყველე. არა, უსახელოური არ იყო, მაგას სხვანეირი ადგილი და მიწა ჭირდება. ადესა გვქონდა, ცოლიკოური, კიდო ნაკუთნოური? არ ვიცი ზუსტად, შავი ყურძენი იყო, მრგვალი მარცვლები ქონდა. კაბისტონი გამიგონია მე ძველებიდან, ფაჩხატაც – თეთრი ყურძენია, მარა ჩვენ არ გვქონდა. ახლა იმდონი არ იყო ყურძენი, წიკვა რო დაჭირვებოდა, ისე კი ეხმარებოდენ ერთმანეთს მეზობლები. ლეჩხუმში ბურულიანი სახლი გვქონდაო, ყობოდენ ძველები, რომე და – წუმა რო არ ჩამოსვლოდათ. აბა, თუ სახლიზა არ ვარგიხარ, ცოლი და შვილი მშიერი და ტიტველი გყავს და შენ ქე დაწიწინოფ აქით-იქით, რანაირი ოჯახის კაცი გქვია? დიდი ბაბუეი იმისანე მარჯვე კაცი ყოფილა, რომე ყიში არ გოუვიდოდა, აზავერის ძალა ქონია, სასახელო ნამდვილად, გზას გოუწალდავდა ადამიანს, იმისანე კი არა, ზოგს საქნარი რო ეზარება და გაგდებული აქვს კვინიხი თელი დღე. გაჭირვებით იქიდან წამოსვლა, მარა მერეთ კი იყვენ კმაყოფილი. ნეტაი ე ომი და უბედურება არ ყოფილიყო და...”

რ. კ. 78 წლის – სოხუმში რომ გადმოვედით, ჯერ ბინად ვიყავით, მერე შევიძინეთ სახლი, მე-4 მიკრორაიონი ერქვა. აი, საბჭოს ქუჩა რო იყო, მერე კარლ-მარქსი დაერქვა, იმის იქით არაფერი არ იყო და 4 ახალი ქუჩა გაკეთდა: პერვაია ნოვაია – ჯგუზურიას ქუჩა; ვტარაია ნოვაია – მაიაკოსკის ქუჩა; ტრეტაია ნოვაია – შერვაშიძის ქუჩა; ჩეტვიორტაია ნოვაია – თარხნიშვილის ქუჩა. მე ვტარაია ნოვაიაზე ვცხოვრობდი, ჯერ იყო ნომერ პიატ, მერე -12. ტურბაზაში ვმუშაობდი სოხუმში. რუსეთში მაშინ იყო ტურისტჩესკიე პროფსაიუზები. ტურისტები სხვა-

დასხვა კატეგორიის იყვენ. ერთი წყება კანონიერად მოდიოდენ. მეორე ჯგუფი იყო „დიკარი“, არავის არ უთანხმდებოდენ იქ და აქ რო ჩამევიდოდნენ, მერე გვიკავშირდებოდნენ და მესამე – „სავსემ დიკარი“. ეგენი შეიკრიბებოდენ, წამევიდოდნენ და მისით დადიოდენ, სადაც უნდოდათ.

ერთხელაც ასე შეკრებილან, ასულან მთაზე. დიდი ჩანჩქერია იქ, მერე – პატარა ტბა. ერთს უთქვამს, ზემოდან უნდა მოვუაროო და ასულა. იქ აშხეფებს წყალი, დოუცურდა ფეხი და კი ჩავარდა. დაიკარგა კაცი. გაგვაგებიეს ჩვენ. წვედით. მდინარე არ იყო ადიდებული, მორევში კარმანჩიკებია, აქ ხომ არის-მეთქი, ძლივს ვნახეთ. გავძახე იმგენს, იქით რო იყვენ. ვქაჩაობთ, ვქაჩაობთ, ამოვქაჩეთ ძლივს...”

წყალტუბოში მცხოვრებ დევნილთა მეტყველებაში თავჩენილი მოვლენების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რა შეინარჩუნა დიალექტმა და რა შეითვისა ახალი. ფაქტია, რომ დევნილთა მეტყველებაში შეიმჩნევა როგორც ლეჩხუმური დიალექტის, ასევე ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ფორმები, როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათისა.

ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები:

ბგერითი ცვლილებების მიხედვით ქართული ენის დიალექტები სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენენ. აფხაზეთელ ქართველთა (ლეჩხუმელთა) მეტყველებაში აისახა სიტყვები, რომლებიც გადმოსცემენ დიალექტის ბგერითი სტრუქტურის თავისებურებებს და გამოიყენებიან განსაზღვრული ფუნქციით.

ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელია უ^ა-ს არსებობა, რომელიც საანალიზო მასალაში უმეტესად ვინ-ითაა წარმოდგენილი:

„თუ დროზე გამევიდოდით, თვარა მერე იმედიც არ რჩებოდა გადარჩენის“. „მამაჩემმა წამოსვლაზე ვარი მითხრა, ვერ დატოვა თავისი ნაშრომ-ნაჯაფი“ „ვარესის ღირსი ვარ, ასთე რო მოვტყუვდი“;

„ია“ ბოლოკიდურ პოზიციაში ქვემოიმერულში წარმოდგენილია -იე, ლეჩხუმურში გვხვდება -იე-ი ფორმებიც. საანალიზო მასალა ორივე ფორმას ადასტურებს: „ნათლიეს დატოვება არ მინდოდა, მაგრამ ბოვშები იყო პირველ რიგში გადმოსაყვანი“. „ჩემი ბიძიეი მუშაობდა იქინე და მაგიზა უფრო ვჩქარობდი“. „ჩემი ბაბუეი ძაან მშრომელი კაცი ყოფილა“.

ხმოვანთა ასიმილაციური ცვლილებები ხდება უმეტესწილად ზმნის პირიან ფორმებში, სადაც ი და უ მორფემები მოქმედებენ ზმნისწინისეულ ხმოვნებზე და იმსგავსებენ მთლიანად ან ნაწილობრივ. დამსგავსება ხდება როგორც ახლო, ისე შორეულ პოზიციაში, ვიღებთ

რეგრესული მიმართულების კონტაქტურ და სრულ ასიმილაციას აი, აე, ოე, აუ, ეუ კომპლექსებში:

აი → ეი

„რას წეილებდა, უკვე გამარცხული იყო თელი ქუჩა?!“

„კი ამბობდა ცხონებული, დეილუპებით, დროზე წადითო, მარა ვინ დოუჯერა?!“

„რავა თუ მებელი გადეიტანეთო, თლად გაცოფდა ის მაღალი“.

აუ → ოუ

„არაფერი გაჭირვება არ დოუკლია, მეტი რა უნდა ექნათ?“ „ბერ-მნებს კი გოუჩდათ პატრონი და გადაიყვანეს გემებით“. „იქოურობას ვეფერი ვერ შეგვიცვლის აწი“. „არავის არ გოუგონია მისი ხმა“; „კაი ბედოური ვერ გაასწრებდა, ისე მირობდა“.

აე → ეე სრული რეგრესული ასიმილაციით:

„რას ივლიდა ჩქარა მაგი, წლოვანი იყო და ქი დეეცა“. „წეეჩხუბე რამდენიც გინდა, გაფუჭებულ საქმეს რას უშველი?!“ „არ უნდა დეეგვიანებია სატვირთო მანქანებსო“.

ოი → ეი

„რას მეიგებ ასე ომს?“ „კიტოვანმა შემეიყვანა ერთი ჯგუფი, მაგრამ ვერ შევიდენ“. „ე ბოვშები რომ მეიყოლა, რა უნდა გვექნა?“

ვე → ო

„იქით გაყობოდენ კანაოს და შოუხოვდენ მერე მარცხნივ“; „არავის არ უშობდენ, გადაკეტეს გზა“. „მიჩოული ვიყავით იქაურობას, ახლა ისევლე თავიდან უნდა დავიწყოთ აქ მეზობლობა“.

ო-ს ადგილს იშვიათად იჭერს ვე – ო:

„რავა შემემლო ავანტყოფის მარტვე დატოვება?!“

საკმაოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა სუბსტიტუცია, როგორც იმერულში, ასე ლეჩხუმურ დიალექტშიც. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, სუბსტიტუციის დროს ისეთი ბგერები ენაცვლება ერთმანეთს, „რომელნიც მონათესავე და აკუსტიკურად ცოტად თუ ბევრად მსგავსნი არიან“ [თოფურია, 1925].

ა) ზაგისმიერი ბ-ს შეცვლა ამავე ჯგუფის ფ ბგერით:

„თვალს რავა მოვხუჭავ, გავათენეფ, ოლონდ ე ბოვშები გავიყვანო“. „ჩემს თავს რას დავეძეფ, დია! „კი ვამბოფ, მაგრამ ვის ესმის?“ . „ასე ვფოხიალოფთ, შვილო, და გაგვაქ თავი“.

ღ → ხ:

„რა მნიშვნელობა ქონდა, იმ წყალში კი დეიხრჩობოდა, რომ გადამხტრიყო“. „ვილაცა ხვთისნიერი თუ შეგიფარავდა, დიდი გმირობა უნდოდა“.

ჯ → ქ: „ჩააჟდინა ორივე და გაუშვა“

დ → თ:

„**ნახევრათ** დანგრეული იყო მაშინ სახლი, მერე ქი გადაწვეს“. „ჩემი ეზო მაინ **დამხვთებოდეს**, მეტი არაფერი მინდა“. „შორიაო, **წუხთენ** და ახლა კი ნანობენ“.

ს → ზ:

„რამდენიც უნდა **ზდიო**, აწი წლებს შენ დეეწევი? – გევიდა ცხოვრება!“
„**ავტობუზი** ჭიშკართან აჩერებდა, ბეჩა!“

გ → ქ:

„სიკეთე არ **დაგვეკარქება**, მაინც მჯერა ამის“.

ხბო-ხფო (ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაცია): „იმისანე მოცუც-ქნული იყო სამწყროვი, **ხფოც** ძლივას ეტეოდა“.

ხბო-ხპო – (პროგრესული დისიმილაცია): „იმდონი საქონელი წეიყვანეს და ერთი **ხპო** არ დოუტოვეს პატრონს“.

საკმაოდ ხშირია **მ** თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც:

„ცოცხალს ვილა დეეძებდა, **კვდარსაც** ვერ მარხავდა ზოგი“. „სამოვრები იყო და საქონელს ვუშობდით, აქ სანე უნდა **წყესო?**“ „**თლა** წახდა საქმე-თქვა, შევუთვალე“. „**თელი** ღამე იბობმბებოდა სოხუმი ყველა მხრიდანო-თქვა“.

უჩინარდება **ლ** ბგერაც:

„ნეტა ჩემ **სახში** დამაბრუნა, მოვესწრები ვითომ?1“ „ქალებიც **გვახდა** და ბავშვებიც – ვერ გავრისკავდით“. „ტყვია-წამალი **გვაკდაო**, ტანკე-ბიო, აბა, რას იბძოლებდენ?“

იკარგება **ნ**:

„უსაშველო **გოუჩდა** შენ მტერს“! „**სიმიდიც** მოგვყავდა, მიწა კი გვქონდა ყანის დასათესი“. „კაი **ამიდები** დეესწრო და ქი დარჩა ჩვეთან კაი ხანს“.

ასევე: ეუზნება – ეუნება, აღდგომა – აღდომა, ჩევედი – ჩევეი, ულვაში – ულაში, მგელი – გელი, ფრჩხილი – ფჩხილი...

ბგერის ჩართვა:

„**როცხა** ხო გათავდებოდა და ვუცდიდით“. „ჩვენ რო გვეგონა, **ისტე** არ გაანაწილეს ეს ბინები“. „ის **ანგურის** სახლი კი გოუძლებდა, ასე ვფიქრობ“. „ბოვშვებს ვინ დასვამდა სუფრზე **ურცხო** ადამიანთან?“, „ეგი **მაშვინ** რა ვიცოდი, თვარა არ მოვტყუვდებოდი“, „ყველანაირი არ გამოდგება მაგიზა, კაი **ჭყინტლი** ყველი უნდა“.

საანალიზო მასალა გვიჩვენებს, რომ ფონეტიკურად სახეცვლილ თითქმის ყველა ფორმას გამოიყენებენ იმერეთის მკვიდრი აფხაზეთის ქართველები. მათ მეტყველებაში გვხვდება ასიმილაციის, დისიმილაციის, სუბსტიტუციის, ბგერათდაკარგვის შედეგად მიღებულ სიტყვები... ფონეტიკური დიალექტიზმები – როგორც უწოდებენ, სიტყვები,

რომლებმაც მიიღეს განსაკუთრებული ფონეტიკური დიზაინი დიალექტში.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან საინტერესო აღმოჩნდა იმ სიტყვათა აღწერა-ანალიზი, რომლებიც გრამატიკული ფორმებით განსხვავდება სალიტერატურო ენის ვარიანტებისაგან.

ე-ხმოვნითაა წარმოდგენილი ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები: .. **დეიდეს** მარტო დატოვება ვერ შევძელით”. „ექვსი **ბაღანეს** პატრონი ვართ”, „**რუსქართველეს** რა გამოლევს აქანეო – ამზობდა ცხონებული”.

-ე დაბოლოებაა სახ. ბრუნვის ნიშნის ადგილას თანხმოვანფუძიან სახელებთან : „ყარაული **ვასილე** რო იყო, იგიც აღარ დაგვხვდა”. „რაც-ხა ორი **კაკალე** მეიბა და ისიც ჩამოყარეს“;

შეუკუმშავი და შეუკვეცავია სახელები: „**წყალის** დამსხმელი არავინ ყავდათ საცოდავებს”. „**პეპელას** ფერის გარჩევის დრო სა იყო?” „**რამეფერად** ამ მდინარეს უნდა გადავსულიყავით”.

საინტერესო სურათს გვიჩვენებენ თანდებულიანი სახელები. დღევანდელ ქართულში -ვით ორ ბრუნვას დაერთვის. ხმოვანფუძიანი სახელები (მხ.რ-ში) და ნაცვალსახელები მას მხოლოდ მიცემითში დაერთავენ: ძმასავით, შენსავით...თანხმოვანფუძიანი სახელები (და -ებიან მრავლობითში დასმული ხმოვანფუძიანი სახელები) კი -ორივე ბრუნვაში: სახლ-ი-ვით, სახლ-ს-ა-ვით; კლდე-ებ-ი-ვით, კლდე-ებ-ს-ა-ვით. ნათესაობით ბრუნვასთან – ვით თანდებული სალიტერატურო ქართულში არ გამოიყენება. რაც შეეხება იმერულ დიალექტს, -ვით თანდებულის ნათესაობითის ფორმაზე დართვის შემთხვევები არცთუ იშვიათად გვხვდება (თანხმოვანფუძიან სახელებთან): წყალ-ის-ა-ვით, ცეცხლ-ის-ა-ვით...იგი შეიძლება შეიცვალოს მისი ფონეტიკური ნაირსახეობით -ვეთ(ხალხ-ის-ა-ვეთ, ცხენ-ის-ა-ვეთ...). იმერულის გალენით ლექსუმელთა მეტყველებაშიც იჩინა თავი მსგავსმა ფორმებმა: „ახლოს რას მივიდოდი, ტყეში **ცეცხლისავით** მოჩანდა რაღაც”. „მაგი ჩვენებური **ლეღვისავით** ტკბილი ხო არ გეგონა?”

-ვით თანდებული დაერთვის ზმნურ ფორმებს:

„კაი ახლა, არ გამიწყრეო – **შემომცინასავით**”.

„შუადღეზე ვითომ **დაცხრასავით** სროლა, მარა მაინც სამალავში დავრჩით”.

– ზე თანდებულის პარალელურად, ქვემოიმერულში, როგორც მიუთითებენ, დაჩნდება – ზენ/ზე/სე (კაცსე, ვენახსე), -თან თანდებულის დართვისას შესაძლოა, დაიკარგოს მიცემითი ბრუნვის ნიშანი – ს. ანალოგიური ცვლილებაა ნათესაობითზე დართული – თანა თანდებულის შემთხვევაში.

არის ისეთი შემთხვევა, როცა – თან თანდებულს ცვლის ნანათე-საობითარი მიცემითი, რომელიც გამოხატავს ლოკატივს:

„**ჩვენსას** ასე ამზადებდენ, მარა მერე კი შევეჩვიეთ ამისანასაც“. „ისე თავისუფლად ვეღარ გადახვიდოდი **მეზობლისას**, დამალულივით იყო ყველა სახში“.

ორიგინალურადაა ნაწარმოები ზოგიერთი ნასახელარი ზმნა (საქნაროფს, მოახელკეთილა, გაშუადღდა, მოასახურავეფს, მიაყურის-ძირა, მოიმჩატებდა, აიზღარბება, მიიცხვირება...),

მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნები -ნ, -ან, -ენ, -ეს შეგვხვდა თავისი ფონეტიკური ნაირსახეობებით, აგრეთვე: არ-იენ/ლარიენ მეშველი ზმნით(ძალზე იშვიათად).

„არაფერში არ **გვიშლიენ** ხელსო – ამბობდენ და აჰა, თუ არ უშლით“.

„**იჭერდენ** ყველას, სანე იყო გასაქცევი?“ „როგორც იქნა, მოგვიტნეს ამბავი, ტყეში **არიენო**, ცოტა დავმშვიდდით“. „რო გეიქცე, **გესვრიენ**, უნდა გაჩერდე, ჯობია“. „შვილები მეეწყვენ და იგენი **გვიგზავნიენ**“.

ლექსუმურისათვის, ისევე როგორც ქვემოიმერულისათვის, დამახასიათებელი მოვლენაა მე-4 სერიის ფორმათა პოვნირება (ნაკერავა, ნაბარავა, დანავალა...დანავალიყო), რისი ნიმუშებიც იშვიათად შეგვხვდა აფხაზეთელ ლექსუმელთა მეტყველებაში. მაგ.: „ვითომ რამეს **ნაპარავიყო**, ის, წეილო ხელები უკან“. „თავისით **მინავალა** ე კაცი, რას ერჩოდენ?“

ფართოდაა გავრცელებული მეშველზმნიანი წარმოება (იცინიხ-არ, კივიხარ, ვტევივარ...): „ქე **ბლავიხარ**, რა ვიციო, უთქვია“. „ყველაფერს ვხედავ, სიმწრით არ **ვტევივარ** კაცი კანში, რანაირად უნდა მე-ითმონო ეს?“ „თქვენ კი **იცინიხართ**, აბა, ერთი ჩვენ გვკითხე-თქვა“;

შესამჩნევია **ზმნისწინთა ფუნქციური ცვლილებები**:

ზმნისწინის ხმოვნითი ნაწილი ცვლილებას განიცდის ასიმილაციის ან დისიმილაციის საფუძველზე ფუძისეული ხმოვნის გავლენით. ამის შედეგად კი ვიღებთ ფორმებს: დეიწყო(დაიწყო), გამოეკიდა(გამეეკიდა) და სხვ.

ხშირია წა- და მო-ზმნისწინთა გამოყენების შემთხვევები ოდნობითის გამოსახატავად (**წაიჭამე, წამოიტირეს, წაუზბერო, წაუბიძგა, წაბდღვნა** და სხვ.), იცვლება თემის ნიშანი (**ახსომთ, აპირობს, მოგისოზ, გადახოვ...**).

სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმათა ძირითადი მაწარმოებელია არის -ებ, თუმცა შეიმჩნევა ორმაგი წარმოებაც: „წყალტუბოში ჩემი **დანები** ცხოვრობენ და იმიზა ვარჩიე აქ ყოფნა“. ასეთი შემთხვევები ბევრი არ დადასტურდა და, ვფიქრობთ, ეს უფრო ქვემოიმერულის გავლენაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ლექსუმურს ახ-ასიათებს **-ნ -ებ** დაბოლოება ოჯახის გვარ-სახელთა წარმოებისას (ჩაკ-ვეტაძენები...), საანალიზო მასალამ ასეთი ფორმები არ დაადასტურა. შეგვხვდა ფორმა: **ხუცისანები**.

სახელთა წარმოებისას ფართო გამოყენებისაა – ობა სუფიქსი: „შუა **ყანობის** დროს რომ მოუხდებოდა კაცს ქეიფი, რაის გამკეთებელია იგი?“ „არც **შიშიანობა** გვახსოვდა ჩვენ და არც – **ომიანობა**“. „**ჩემსობას** უფროს-**უნცროსობა** უნდა გცოდნოდა, ბეჩა“.

- ურ სუფიქსითაა მიღებული წარმომავლობის აღმნიშვნელი სა-ხელები: თვალოური (თვალაძეები, მანაგაძოური...) : „დასახლდა მერე და თვალადის ქალიც ქი მეიტაცა. რას შეარჩენდენ **თვალოურები**?!“

ზოგ სახელთან პარალელურად გამოიყენება -იან და -იერ სუფიქ-სი: **ჭკვიანი -ჭკვიერი, თავიანი, თავიერი ...**

მორფოლოგიურ თავისებურებათა განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთელ ლექსუმელთა მეტყველება ძირითადად მისდევს ლექსუმურ დიალექტს, მაგრამ მასში აშკარად შეიმჩნევა იმ-ერულის გავლენა. ასე რომ დიალექტურად სახეცვლილი გრამატიკუ-ლი ფორმები, რომლებიც დამახასიათებელია იმერულისთვის, ნიშან-დობლივი შეიძლება იყოს ლექსუმურშიც. პარალელურ ფორმათა გა-დანაწილება შეიძლება სოციალური ნიშნითაც იყოს განპირობებული.

რაც შეეხება წინადადებებს, ჯერ კიდევ ჩნდება მეგრულისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციები, ასევე თავისებურად აგებული წი-ნადადებები, რომლებიც ძირითადად ქვემოიმერულისათვისაა ნიშან-დობლივი.

ლექსუმური ყურადღებას იქცევს საინტერესო ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებით. ზოგი საერთოა იმერულთან, ზოგიც – რაჭულთან. დაჩნდება ზანური და სვანური ფენაც.

საანალიზო მასალამ დაადასტურა:

დიალექტურად გააზრებული არქაიზმები:

აზავერი – ხარი (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 41);

აკინჭილება – ცუდი საქმის დაჭინება (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 44);

ბადიმი – ორმოს პირი მოდებული (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 90).

ბავლი – ქორისაგან პირველ დაჭერილი ფრინველი, გამოიყენებენ ფრაზეოლოგიზმში: „ბავლი არ გაასხმევია“-თავისუფლება არ მისცა, შებოჭა (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 90).

ბუჯერი – ქართული ენის კილოებში გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. გურულში აღნიშნავს ცომის მოსაზელ დიდ გობს, ლეჩხუმურში – სახლის კუთხეში დატანებულ თაროს (მ.ალავიძე), შინაურ ფრინველთა ბუდის სახელიცაა, ქეგლში განმარტებულია როგორც ჭურჭლეულობის დასაწყობი თარო სამზარეულო სახლში. ქ. ძოწენიძის მიხედვით, ბუჯერი სამზარეულოში ნამზადის შესანახავია (ძოწენიძე 1974: 63).

გვიმი – ჯურღმულის თონე წყალთათვის (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 180);

გომიჯი – ხმიადი (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 165).

გოროხი – გამხმარი, გამაგრებული მიწა, ბელტი; მიწა გასატყორცნი ქვასავით (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 167);

ლეჩაქი (ლაჩაქი) – კუბასტი, დედათ თავსაბურავი (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 414);

ტოულო – ცხენის ფეხის მისაბმელი, საბელი (სულხან-საბა ორბელიანი, I, 1991, 142).

ხვინჭკა – წვრილი კენჭი. განმარტებულია სულხან-საბასთან: **ხვინჭკა** – წყალთ კენჭი (ორბელიანი 1993: 285);

ღვინჭა – წურილოვანი ქვა, კენჭი: „შთააგდის ბუდესა მას შინა ღვინჭა ერთი მცირე (აბულაძე 1974: 601).

ლეჩხუმურისათვის ნიშანდობლივი ფორმები:

ვატატყი – უმაქნისი.

პოპოცი – მამალი.

გვაჯილე – გადასაზელი ყველი, **ტუკი** (კეტი).

ალეში – გულგრილი.

ასაბია – ოჯახი, თავისახლი.

ბაური – დათვი.

ბაღდო – მსუქანი.

გვესნიტი – მზაკვარი.

გლიმურბი – უხასიათო.

დარანა – ძლიერი სიცხე.

დედეცა – აზრნაკლი და სხვ.

შეიმჩნევა **ლექსიკური ერთეულები**, რომლებიც **იმერულისათვისაა დამახასიათებელი**:

ქენქერა – დაბნეული.

ჟვაპი// ყვაპი – უმწიფარი, **ღვლერქი** – თასმა.

პელენწუკე – უგემოვნებო.

უტია – გაეცალა.

კინკილა – ერთი ცალი.

ერცხე – ცოტა.

ერთი ფიორი – ძალიან ცოტა,

თხლეშა – ძლიერი წვიმა.

დაკვარკვალიტება – გადაგრეხვა,

უწიწინებს – ქრის.

ტრიშინი – გაუთავებლად სიარული...

სგანური ფენა:

კოჯე – მთიანი ბორცვი.

მექვი – თივის ბულული.

ხანი – საკვამური...

ზანური ფენა:

მორაგადე – მოლაპარაკე.

ჯარგვალი – ქოხი.

ჯიმადა – ბიძა.

ძღაბი – გოგო.

ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი:

ყვიცი ეტაკა – ძალიან მოენატრა;

ოშოშეს დადება – ვინმეს დანაშაულის პირის გამომშვენება;

ტიპარიკი ამოიკრა – უეცრად წავიდა, აიბარგა;

ნაქი ამოიღო – დაიღალა, ძალა ბოლომდე დახარჯა;

ჩიორიკეს ბარტყი – თმაგამეძილი;

ქვაში მავალი – მოხერხებული;

ჟამის კვიტიტი – შეუხედავი;

შვობის დათვი – მოურიდებელი, რომ არ დაზოგავს არავის;

წელი წამოიღო – ცხოვრება გაიუმჯობესა;

ერთი დაჯდომა მიწა – ძალიან პატარა ადგილი;

ჭაჭების ჩაწყვეტა – დაღლა;

ხოწჩა ჭერი – აკიდოების, ჩურჩხელეების, ხილის გასახმობად დასაკიდებელი ადგილი;

კვინიხი აქვს გაგდებული – სულ დინავს, ზარმაცია;

გზას გოუწალდავდა – სწორ მიმართულებას მისცემდა;

ჩიტი ვერ წამეისვენებს – ადგილი, სადაც არც ხეა, არც ბუჩქი;

ჩიტი კურკანტელს ვერ გეიტანს – დაბურული, გაუვალი ადგილი;

სამოყვრო გზა – დიდი მანძილია, შორსაა;

თავში ყვაჭიჭე ამომიყვანა – მომაბეზრა თავი ამდენი ლაპარაკით;

ჩემს ჭირს მიწაზე არ აგდებს – პატივს მცემს. ზრუნავს;

ერთი შეწვი, მეორე მოხარშე – არცერთი არ უქნია ღმერთს;

არ გავიდა უკანა კარში – გამოუსადეგარია, ვერ დაეყრდნობი;

ააყუდა ყალიონი – მოკვდა;

დაბმულ ქაჯს ააწყვეტინებს – შეუხედავია;

წილადობიე ლაპარაკობს – იქითაც და აქითაც რომაა;

წიპოლიკით გარბის – ეშინია;

თავის მოზიბგვა – ზევიდან გამრობა, მოხმობა;

წინა კარში შევედი და უკანა კარში გამოვედი – წუთისოფელი ძაან მალე გავლიე;

შენც არ მეიტანო ჯორკიდებული – მცირე მოსაკითხით მოსული;

სინათლისკენ ჩქარობს – ჩრდილში დათესილი მცენარე რომ ნაჩქარევად იზრდება;

მეიწამა წასვლა – მიხვდა როგორც იქნა, რომ წასულიყო;

მოვსებული ქათამი – კვერცხის დე- ბისთვისგამზადებული...
 ბისთვის გამზადებული
 ენა არ ეგვალება – ბევრს ლაპარაკობს;

რ უ ს ი ზ მ ე ბ ი:

ატკაზი – უარი;
 პერევაროტი – გადატრიალება;
 მინიმალნი – მცირედი;
 ნააბაროტ – პირიქით;
 კადრაგოი – საკადრო;
 ფოლაგოდი – მეფუტკრე;
 ვადაპადი – ჩანჩქერი;
 რომელი გოდა ხარ? – რომელ
 წელს დაიბადე?
 სვინაფერმა – ღორების ფერმა;
 ლაგერი – ბანაკი;
 კანეშნა – რა თქმა უნდა,
 პასუდა – ჭურჭელი;
 დაჩნიკი – დამსვენებელი;
 ვიეზდნოი – სამგზავრო;
 რეგულარიანი ვაისკა – მუდმივი
 ჯარი;

პრაგულკა -გასეირნება
 კარმანჩიკები – ჯიბეები
 საინტერესო სურათს იძლევა
 დარგობრივი ლექსიკა:
 ყურძნის ჯიშებიდან აფხაზეთე-
 ლი ლეჩხუმელები ასახელებენ:
 ადესას, ცოლიკოურს, ნაკუთნო-
 ურს, კაბისტონს, ფაჩხატას...
 ლობიოს ჯიშებიდან – ფარდელი,
 აშენებული ლობიო (ხარდნის),
 კოკორაჭა, პირშილი (დამზადე-
 ბული)...
 დღესასწაულებიდან: ნათლისღე-
 ბა, შობა, კალანდა, მარიობა(მარი-
 ამობა), ოქონობა..

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, აფხაზეთელ ლეჩხუმელთა მეტ-
 ყველეზაში ძირითადად ლეჩხუმურისა და იმერულის გავლენა შეიმ-
 ჩნევა, უკვე იშვიათია რუსული, აფხაზურისა და მეგრულის ზემოქმე-
 დების ნაშთები.

Issues of interference according to the speech of IDPs living in Imereti

Abstract

The displaced population from Abkhazia has been scattered in the corners of Georgia for 30 years.

Naturally, during this time, the speech of the internally displaced persons underwent slight or significant changes. The study of interference issues is the subject of our research. The recording and analysis of the peculiarities of the speech of IDPs from Abkhazia has not been carried out on such a scale yet.

Researches are conducted in those regions of Georgia, where more number of IDPs are compactly settled. This time, we paid attention to the peculiarities of speech of the IDPs living in Imereti, in particular, Tskaltubo.

It should be noted that the majority of displaced persons from Abkhazia living in Tskaltubo were displaced from Lechkhumi. That is why, naturally, they brought with them speech peculiarities characteristic of Lechkhumi Kilo.

In the speech of the Lechkhumi people of Abkhazia, the dialectal variety of household and economic vocabulary is abundantly represented. The archaic layer (archaisms understood as dialectisms), vocabulary reflecting ethnographic features, forms established under the influence of the Russian language, and loanisms are also distinguished. All this gives a very interesting picture. Of course, the population preserved the Lechkhumi dialect, and also incorporated nuances characteristic of the speech of Georgians living in Abkhazia; During the exile, the peculiarities that appeared during the relationship with Imereti were added to this.

The speech of Svans displaced from Abkhazia is also characterized by interference. Observation of which made it clear that the ergative here, as well as in Svanur of the Enguri valley, is characterized by the production of its own narrative rotation formants, as well as bi- and even tribasicity.

The study of the speech of IDPs from Abkhazia and linguistic research is relevant from a national point of view, valuable from a linguistic point of view, and interesting from a scientific (Georgian) aspect. It should be noted that the recorded texts contain very important information for linguistic analysis. Some forms are not attested in the root dialect. The collection of texts and the identification of all the changes that will appear in the dialect in a certain period of time provide an opportunity to determine the internal trends of the dialect changes.

It was found that in the speech of the displaced people from Abkhazia, various linguistic and dialectal events are combined, which makes the speech bear an interference appearance. Superimposition of signs characteristic of different language-dialect codes, or interference – any influence of one language or dialect on another is often an uncontrollable process. Of course, the language or dialect used influences the other more easily.

Based on the analysis of empirical linguistic (dialectal) material, the publication presents the research results and answers to the following questions in a more or less complete way:

1. What causes interference changes, what factors cause the process;
2. What are the levels of interference;
3. In what way, in what form are lexical and grammatical borrowings established in the speech of the IDPs;
4. What are the dynamics of interference or other types of language changes.

Key words: interference, IDP speech, Abkhazia, Imereti

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე 1972 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1974;

თოფურია 1963 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, თბილისი, 1963.

მიბჩუანი 1989 – თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1989.

მარგიანი 2018 – ქ. მარგიანი, Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics (according to the speech of Kodori Gorge population) Materials of the III International Scientific-Practical Conference “Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time”, Volume I, Kyoto, Japan, 2018.

მარგიანი 2010-2011 – ქ. მარგიანი, დაღის ხეობის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. VIII, თბილისი, 2010-2011.

მარგიანი 2012 – ქ. მარგიანი, სვანეთის მიკროტოპონიმის ლექსიკური ანალიზი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველური ონომასტიკა, ტ. V, თბილისი, 2012.

მიქიაშვილი 1986 – ო. მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები, თბილისი, 1986.

ქალდანი 1970 – მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, ტ. XVII, თბილისი, 1970.

ქეგლ, I – VIII 1950-1965 -ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950 -1965;

ღლონტი 1884 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო – თქმათა სიტყვის კონა, 1984;

ჩანტლაძე 1998 – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური მიეზანი, თბილისი, 1998.

ცხადაია 1986 – ვ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 122, #1, თბილისი, 1986.

მოწენიძე 1974 – ქ. მოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974.

ხვისტანი 2018 – რ. ხვისტანი, კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (მდინარე კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი), თბილისი, 2018.

ბეჟან ხორავა, <https://smr.gov.ge/uploads/Files/afxazeti>.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1989;

დიგლოსია-ბილინგვიზმის საკითხები დევნილთა მეტყველების მიხედვით

ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდის განვითარება ამ ენის მატარებელი ხალხის მატერიალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ზრდაზეა დამოკიდებული. რაც უფრო სწრაფად ვითარდება ერი, მით უფრო სწრაფად მდიდრდება მისი ენის ლექსიკური შედგენილობა. ენის ლექსიკის შევსება სხვადასხვა გზით ხდება. ენის ლექსიკური ფონდი მუდმივად ცვალებადია. ლექსიკის გამდიდრების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო თავად ენობრივ რესურსებშია. გარდა ამისა ერთ-ერთი გზაა სესხება. მიზეზები სესხებისა სხვადასხვა ენისთვის განსხვავებულია, ისევე როგორც მათი ბედი და ისტორიული განვითარება. დღეს ამ პროცესს ხელს უწყობს: ცოცხალი კომუნიკაცია, მედიის – ბეჭდური, რადიო, ტელევიზია.. – საშუალებით ინფორმაციის მიღება, მხატვრული ლიტერატურა...

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საუკუნეების განმავლობაში მტრულ-მოყვრული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ იმპერიებთან, ამიტომაც ქართულ ენაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენებიდან – არაბული, სპარსული, თურქული, რუსული – ნასესხობების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ შემოაღწია. რუსულიდან ნასესხები სიტყვები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველი მოიცავს სიტყვებს, რომლებმაც შემოაღწიეს ქართულში იმ დროს, როდესაც ქართველებმა ჯერ არ იცოდნენ რუსული ლიტერატურა, მეორეში შედის ის სიტყვები, რომლებმაც ქართულში ბევრად უფრო გვიან შემოაღწია, მაშინ, როცა ქართველთა უმრავლესობამ რუსული წიგნიერება აითვისა. პირველი ჯგუფი ძირითადად შედგება ყოველდღიური სიტყვებისგან, რომლებიც აღნიშნავენ სხვადასხვა საგანს, წონა-ზომას და სხვ.: სამავარი – "სამოვარი", კალოშები – "გალოშები", მეტრი – "მეტრი"... მეორე ჯგუფი შედგება არა მხოლოდ ყოველდღიური სიტყვებისგან, არამედ აბსტრაქტული ცნებების აღმნიშვნელი ლექსემებისგან: რევიზია, ზაკონი – კანონი, მიტინგი, რალი, სესია... ისიც უნდა ითქვას, რომ რუსული არსებითი სახელები ნასესხებია მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის ფორმით. რუსული ენიდან ნასესხებ სიტყვებს შორის ბევრია ისეთი, რომლებსაც აქვთ ქართულში შესაბამისი ეკვივალენტები: სობრანიე – „შეკრება“, სტოლი – „მაგიდა“...

რუსულიდან ქართული ენის ლექსიკაში სიტყვების გადმოსვლა დაიწყო ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. რუსული ენიდან შემოსული (როგორც ყველა სხვა ენიდან ნა-სესხობანი) სიტყვებიც ექვემდებარებოდნენ ფონეტიკურ დეფორმაციას (ცვლილებას), თუმცა მას არ შეეძლო სიტყვის ფუძის ძირეული შეც-ვლა გამოეწვია. ეს ცვლილებები განპირობებულია შემდეგი ფონეტი-კური კანონზომიერებებით:

1. უცვლელად გადმოსული ნასესხობები: ბუნტი, მარტი, მარში, შკა-ფი, ბანკა, კარანდაში ...
 - ა) ის იყო დირექტორი სოხუმის **პარკა კულტური ი ოტდიხა** და მა-ლიან ბევრი აფხაზი მეგობარი ჰყავდა.
 - ბ) იქ მუშაობდა და კაი ფულს აკეთებდა და **არენდად** ქონდა ალებ-ული ნაკვეთი რა.
 - გ) ორი **გუშონკა** გვქონდა იქიდან გადმოტანილი, **სუმკაში**.
 - დ) არა, კაცო, იქამდე, გდე **კარაბლი** ოტპლივაუტ.
 - ე) მიუხედავად იმისა, რომ ყველგან იყო **ზავისტ**, როგორ ვთქვათ, ცოტა შური იყო,
2. პირდაპირი მნიშვნელობით გადმოსული ნასესხობანი: პოლი, სტო-ლი, სპიჩკა, ჩემოდანი, სალფეთქი...
 - ა) გამიწყრა, რატომ ადრე არ მითხარი, ბიძაჩემი ამ **ვადაკანალის** უფროსი იყო.
 - ბ) **სტროგი** არიან კაცები, **სტროგი**.
 - გ) აბა, რა, კაცო, ისეთი მომეწონა, ცეცხლი და გენია, მეგრელებია ასეთი, **შუსტრი** გოგოა, **შუსტრი**...
 - დ) კაი **კუხნა** ვუყიდე სამი ათასლარიანი ამ გოგოს, მერე აბანო გა-ვუკეთე, ყველაფერი, ფარდები ვუყიდე ჩემი ფულით...
 - ე) **ზავუჩი**, **ზავუჩები** იყვნენ ქართველები. დირექტორი იყო აფხა-ზი.
3. ფონეტიკური ცვლილებებით მიღებული ნასესხობანი:
 - ა) დაბომბვა დაიწყო, ზოგი სად იყო და ზოგი – სად, რომელ **კანაოში**.
 - ბ) ძალით შევედით, **კალიდორია** ასე და... გვშია ისე რო, სასწაულად!
 - გ) ჰოდა მე ახლა მზახლები რომ მყავდა **რასტოვიდან**, გავაგიჟე ისინი, აი, ეს გავუკეთე და ელარჯი.
 - დ) არასდროს, ვერცერთი პედაგოგი ამას **პროსტა** არ გაბედავდა, ალ-ბათ...
 - ე) ჩემს თვალში მასეთი კაცი არავინ არ არის. მაგას პირიქით **ვაბშე** სა-ერთოდ ქართველად არ ვთვლი. იქ ჩვენ ადამიანობას უფრო ვაქცევ-დით ყურადღებას მეტი წილი, ვიდრე ეროვნებას.

აქედან გამომდინარე, არსებობს ლექსიკური „რუსიზმების“ რამდენიმე ტიპი:

- I. რუსული წარმოშობის სიტყვები, რომლებმაც შეინარჩუნეს ძლიერი ფორმალური სემანტიკური კავშირი შესაბამის რუსულ სიტყვებთან;
- II. რუსული წარმოშობის სიტყვები, რომლებმაც თითქმის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ფორმალური სემანტიკური კავშირი შესაბამის რუსულ სიტყვებთან ფონეტიკური და ლექსიკური ადაპტაციისა და მათი სხვა მნიშვნელობების შეძენის გამო;
- III. არარუსული წარმოშობის სიტყვები, ნასესხები რუსულის მეშვეობით, რომელთაც აქვთ ფონეტიკური და ლექსიკური ადაპტაციის სხვადასხვა ხარისხი.

არც სიტყვა – პარაზიტები და არც დიალექტიზმებია (მორფოლოგიური თუ სინტაქსური) უცხო ჩვენი რესპოდენტებისთვის:

ა) „არა, **ტი შტო**. ან გოგო რომ გათხოვდება, ვალებს დაიდებს, ოღონდ ყველაფერი უნდა მისცეს“.

ბ) დამაბულობა ვიგრძენი, როცა უკვე გადავედით ჭოჭუას ქუჩიდან ენგელსის ქუჩაზე, **ოთხმოცდაპირველ** წელს, 1991, აი, როდესაც ჩვენთან 9 აპრილის შემდეგ რომ მოჰყვა. ჩვენთანაც ხომ იყო აქციები, **მაგენსაც** ჰქონდათ თავისი აქციები.

გ) ერთადერთი აზრი, რაც მე გამოვიტანე, რომ იქ ყველაფერი ცუდადაა. სოსედი, კოტორიე ბილი ხოროშიე, სეიჩას ვსე პლახიე. ი ვტვოემ დომე ჟივუტ ტროე ბოვეიკი, კოტორიე სჩიტაუტ, ჩტო ტვოი დომ იხ ტროფეინი დომ. პოტომუ ჩტო, ონი ვოევალი ნა სტორონე აფხაზცევ.

დ) მე ქუჩაში აღმოვჩნდი ცარიელ-ტარიელი, ვერ გადაიტანდა, რომ ის სახლი, რომელიც იყო მისი **ნაკოწიწარი**, ასე ვილაცის ხელში ჩავარდებოდა და ასე-ასე.

ე) ვ პოისკახ ლუჩშიე ჟიზნი. მაგრამ **მაგენს** (ბერძნებს), ჩვენგან განსხვავებით, არაფერი დაუკარგავთ, სახლები გაყიდეს, შიგნით ნივთი გაყიდეს და რეფრეჟირატორებით სავსე ავსებული წაიღეს.

ზ) მერე **ეცინოდნენ**, ყველაფერი მათი არ იყო, შენი ნებართვა რაში სჭირდებოდათო?!

თ) ცოტა ქვემოთ ფირცხელიანები რომ ცხოვრობენ, ა, **იმგენტან** დგას კოშკი.

ი) არ უჭირთ ჩემს შვილებს, მარა **მიჩოული** ხომ ვარ.

კ) წამები წყვეტდა ჩვენს ყოფნა-არყოფნას, რადგან რუსის გაწვრთნილი მეომრები, მართალია, შემოტევაზე იყვნენ და წამგებიანი პოზიცია ეჭირათ, მაგრამ მაინც ამოგვჟლიტავდნენ, თუ არ **მოვახდენდით** მათ განადგურებას.

საქართველოში რუსების დაუსრულებელ, ორასწლიან ბატონობას, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია არც ენობრივ ასპექტში. ენა კი, ვიცით, ერის სულიერი განვითარების ამსახველი სარკეა. ნებისმიერი ეროვნული ენა ასრულებს რამდენიმე ძირითად ფუნქციას: კომუნიკაციურს, ინფორმაციულს, ემოციურს და, რაც მთავარია, მოცემული ენობრივი საზოგადოების კულტურული სამყაროს შესახებ ცოდნისა და იდეების მთელი კომპლექსის ჩაწერისა და შენახვის, ე.ი. შემეცნებით ფუნქციას. სწორედ ეს ფუნქცია დაზარალდა ყველაზე მეტად იმ ავბედით დროს. ასეთ მოვლენას ზოგადად ლინგვისტიკა არსად უყურადღებოდ არ ტოვებს. არც ქართულ ენათმეცნიერებას გამოჰპარვია ეს მოვლენა. არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიემდვნა რუსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს.

აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ეს პროცესი იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ არა მხოლოდ ზოგადად ქართველ ერზე, არამედ თითოეულ მის წარმომადგენელზე წარუშლელი კვალი დატოვა. და ეს კვალი იმდენად თვალსაჩინოა, რომ დღესაც კი არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეიძლება „რუსულენოვანი ქართველები“ ვუწოდოთ.

თანამედროვე ლინგვისტიკა სულ უფრო და უფრო ხდება ადამიანზე ორიენტირებული, ამიტომაც „ადამიანური ფაქტორის“ პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს საკითხი თავის განსახიერებას პოვებს კომუნიკაციურ ლინგვისტიკასა და კომუნიკაციურ მეთოდოლოგიაში, რომელთა შესწავლის ცენტრალური საგანია ადამიანი და მისი ენა, ე.ი. ენობრივი პიროვნება. საკამათო არ არის, რომ ყოველი ტექსტის უკან დგას ლინგვისტური პიროვნება, რომელიც ფლობს ენობრივ სისტემას. უფრო მეტიც, იმის გაგება, რომ ენის სწავლა დამოუკიდებლად თავისთავად შეუძლებელია, აღარავის ეჭვს არ იწვევს. ამ პრობლემას სწავლობენ არა მხოლოდ ენათმეცნიერები და მეთოდოლოგები, არამედ სოციოლინგვისტები, ფსიქოლინგვისტები და სხვები. აქედან გამომდინარე, „**რუსულენოვანი ქართველის**“ ენობრივი თავისებურებების შესწავლა საინტერესო სურათს მოგვცემს აქსიოლოგიური ლინგვისტიკის ასპექტიდან.

აქსიოლოგიური ლინგვისტიკა (ლინგვოაქსიოლოგია) არის ინტერდისციპლინარული ცოდნის სფერო, რომელიც სწავლობს ღირებულებების განსახიერებას ლინგვისტურ ცნობიერებაში და კომუნიკაციურ ქცევაში.

როგორც ჰუმანიტარული დისციპლინა, ლინგვისტური აქსიოლოგია იძლევა შესაძლებლობას, გავიგოთ სხვადასხვა კულტურული და მორალური ფენომენი. იგი ასრულებს თავის ფუნქციას კულტურის

ფუნდამენტურ დონეზე, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის სულიერების დიაგნოსტიკა. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ აქსიოლოგიური ლინგვისტიკა მალე დაიკავებს ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს ლინგვისტიკაში და გახდება ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ჰუმანიტარული მეცნიერება (Wolf E. M.).

ლინგვისტიკაში აქსიოლოგია მოიცავს შემდეგ ასპექტებს: 1. ლინგვისტური ანთროპოლოგია და აქსიოლოგია; 2. ენის აქსიოლოგიის ემოციური ასპექტები; 3. ენის აქსიოლოგიური ორიენტაციების ცვლილებები; 4. აქსიოლოგიის შემეცნებითი ასპექტები;

ლინგვისტიკაში აქსიოლოგიური მიდგომა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ანალიზით, არამედ მოიცავს სოციოკულტურული ნორმებისა და ღირებულებითი სისტემების შესწავლას, რომლებიც ყალიბდება ენობრივი ურთიერთქმედებით. ლინგვისტურ კონსტრუქციებში ჩადებული პრინციპები და ღირებულებები შეიძლება ასახავდეს ღრმა კულტურულ დამოკიდებულებებსა და ქცევის ნორმებს. გაირკვა, რომ არა მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობა, არამედ მათი ემოციური შეფერილობა მნიშვნელოვანია ენის ღირებულებითი ორიენტაციის გასაგებად. ერთსა და იმავე სიტყვებს სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში სხვადასხვა ემოციური რეაქციების გამოწვევა შეუძლია, რაც განპირობებულია ღირებულებითი პრიორიტეტების განსხვავებებით.

თანამედროვე კვლევა ყურადღებას ამახვილებს დროითი და სოციალურ-კულტურული ცვლილებების გავლენით ენის ღირებულებითი ორიენტაციების ცვალებადობაზე. ასეთი ცვლილებების მაგალითები შეიძლება მოიძებნოს ტექნოლოგიური განვითარების, მიგრაციული პროცესებისა და გლობალიზაციის კონტექსტში.

ენაში აქსიოლოგიურ ორიენტაციას შეუძლია ასახოს სამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნებითი წარმოდგენები. კოგნიტური მექანიზმების კვლევა, რომლებიც საფუძვლად უდევს ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირებას, გვეხმარება, უფრო ღრმად გავიგოთ, თუ როგორ ურთიერთქმედებს ენა ადამიანის აზროვნებასა და აღქმასთან. ეს ასპექტები ხაზს უსვამს ლინგვისტიკაში აქსიოლოგიის შესწავლის მნიშვნელობას, როგორც კულტურასთან, კოგნიტურ პროცესებთან და სოციალურ ცვლილებებთან დაკავშირებულ მრავალფაქტორულ ფენომენს. ლინგვისტური და კულტურული ტიპების შესწავლა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა იმის გამო, რომ ლინგვოკულტურული ტიპების თეორია თანამედროვე აქსიოლოგიური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ახალი მიმართულებაა.

„რუსულენოვანი ქართველის“ როგორც ლინგვოკულტურული ტიპის წარმომადგენლად შეიძლება მოვიჩნიოთ ქართველი, გარკვეული ეთნოსოციალური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც საუბრობს და ფიქრობს რუსულად და აღიქვამს და აფასებს სამყაროს რუსული კულტურისა და რუსულენოვანი ქცევის პრიზმაში. როგორც წესი, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც სკოლა და უმაღლესი განათლება რუსულ ენაზე წიგნებითა და სახელმძღვანელოებით, მხატვრული ლიტერატურითა და მედიით მიიღეს. რუსულენოვან გარემოსთან კომუნიკაციის წყალობით ისინი ჩამირულნი არიან რუსი ხალხის კულტურულ და სემანტიკურ სივრცეში. მშობლიურ კულტურასთან და ენასთან კავშირი, როგორც წესი, მხოლოდ ოჯახურ წრეში აქვთ ყოველდღიურ დონეზე. ეს ნიშნავს, რომ სამყარო მთლიანად მათ მიერ აღიქმება, შეიცნობა და ფასდება ძირითადად რუსული ენის საშუალებით. ეს ქმნის საფუძველს დიგლოსია-ბილინგვიზმის საკითხებთან პარალელის გავლებისა. სწორედ ენობრივი ცნობიერებაა ის, რაც აყალიბებს მის ლინგვოკულტურულ ტიპს. ამას არც თავად უარყოფენ. ჩვენი არაერთი რესპოდენტი ამის ნათელი დადასტურებაა. „რუსულენოვანი ქართველის“ ლინგვოკულტურული ტიპის ტიპურ წარმომადგენლად გვესახება სოხუმიდან დევნილი ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი, ქალბატონი მანანა გულუა, რომელსაც რუსულენოვანი განათლება აქვს მიღებული. ქეთევან მარგიანის კითხვაზე „ამდენ ქვეყანაში გიცხოვრიათ, ამდენ ქალაქში გიმუშავიათ, ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის თქვენი სამედიცინო პრაქტიკა, ექიმობა. თქვენი მენტალობა მაინც კი ამაყად განაცხადეთ, მე მეგრელი ვარო, მაგრამ თქვენი მენტალობა, თქვენი თვითაღქმა როგორია?“ ასე პასუხობს: „არასდროს არც ერთი წიგნი ქართულად არ წამიკითხია იმიტომ, რომ ვერ ვკითხულობ. მე ახლაც არ შემეძლია ქართულად, ვერ აღვიქვამ, ჩემი ბრალი ხომ არ არის! ვაზროვნებ რუსულად დღემდე“. მართალია, მას დედაენად მეგრული მიაჩნია, ამაყად აცხადებს: „მეგრულია ჩემი **რადნოი იაზიკი**, სიტყვა არ არსებობს ქართულ ენაში, იმას ფესვები თუ არ აქ მეგრულში!“ მაგრამ „დედაენას“ მაინც „**რადნოი იაზიკს**“ ეძახის.

ასეთივე აზრისაა ჩვენი სხვა რესპოდენტებიც. მაგალითად სოხუმიდან დევნილი ქალბატონი ლიანა გვასალია აღნიშნავს: „ეს 18-19 წლის გოგონა ამას ყველაფერს, აი, ახლა მიკვირს ხანდახან, ამას ყველაფერს როგორ ვუძღვებოდი, მაგრამ ვინაიდან საქმეთა მართველობა რუსულად იყო, ჩემთვის ეს იყო **როდნოი იაზიკი**. აი ასე.“ მას ოცდაათი წლის შემდეგაც სრულიად ქართულ გარემოში უჭირს ქართულად მეტყველება. კითხვაზე როგორი მეზობლები იყვნენ აფხაზები? პასუხობს: „როგორები და ჩვეულებრივები. აფხაზები მაინც **სო სვოიმ ხა-**

რაქტერომ, როგორ ვთქვა ეს ქართულად, არ ვიცი.“ „დაჟე წარმოდგენა არა მაქვს, ამას იტყოდა: **ვოტ ტი არმენინ, ტი გრუზინ, ტი გრეკ, ტი აფხაზ**. ამაზე აქცენტი არასდროს არ გაკეთებულა. **ნაციონალნასტ ნე ზატრაგიალას ნიკაგდა**“- ყველა თავის მასწავლებლებზე.

ამის მიზეზად ისინი რუსულენოვან განათლებას ასახელებენ: „მოსკოვში, აკადემია **იმენი პიროგოვა, პედიატრიჩესკი ფაკულტეტი**, ამიტომ ვარ რუსულენოვანი, სახლში მეგრულად, გარეთ – რუსულად“. იმასაც აღნიშნავენ, რომ „ყველანი ვსაუბრობდით რუსულად, რა თქმა უნდა. **ზასედანიე რექტორატა, ზასედანიე უჩონოვა სოვეტა, ვსო პროვოდელას ნა რუსკომ იაზიკე**.“

მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნების რესპონდენტთა უმრავლესობა პატრიოტიზმის გამო თავს ქართული კულტურის ნაწილად თვლის: „არა, **პროსტო**, მე ხომ ვხუმრობ, ვენაცვალე საქართველოს და ქართველს, ყველგან ვამბობ, რომ ქართველი ვარ.“

ამ თვალსაზრისით „რუსულენოვანი ქართველის“ ენობრივი ცნობიერება ის ფენომენია, რომლის შესწავლა თანამედროვე ქართულ აქსიოლოგიურ ლინგვისტიკას საშუალებას მისცემს, გააფართოოს კვლევის არეალი, რადგან ეს ლინგვოკულტურული ტიპი მიეკუთვნება ლინგვოკულტურული ტიპების განსაკუთრებულ ტიპს, აქვს გარკვეული კონცეპტუალური, ხატოვანი, ფიგურალური და ღირებულებითი მახასიათებლები. ჩვენი კვლევა კი შეიძლება ჩაითვალოს „რუსულენოვანი ქართველის“ ლინგვოკულტურული ტიპის წინასწარი, ყოვლისმომცველი მოდელირების მცდელობად და რადგან ეს ენობრივი ტიპი ქმნის კულტურულ და ლინგვისტურ სივრცეს, რომელიც წარმოადგენს ტოლერანტობისა და მენტალიტეტის განსაკუთრებულ ტიპს, ვიმედოვნებთ, რომ ასეთი კვლევა სასარგებლო იქნება მისი დამახასიათებელი ნიშნების დასადგენად. მითუმეტეს, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ ყოფილა შედარებითი ლინგვოკულტუროლოგიისა და კოგნიტური ლინგვისტიკის სპეციალური შესწავლის საგანი. შესაბამისად დადგინდება ისიც, რომ ქართული ენისა და ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორიაში არ არსებობდა არც „არაბულენოვანი ქართველი“, არც „მონღოლურენოვანი ქართველი“, არც „სპარსულენოვანი ქართველი“ და „არცერთენოვანი ქართველი“. დასტურად იმისა, რომ იმპერიები და მათი დამოკიდებულება პეროპილის მიმართ საუკუნეების განმავლობაში განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამიტომაც „რუსულენოვანი ქართველის“ ლინგვოკულტურული ტიპი პროდუქტია რუსული იმპერიალიზმისა, მისი პეროპის სპეციფიკისა. ამის უდავო მტკიცებულებაა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება. და რომ არა ქართული ენისთვის დამახასიათებელი სამყაროს აღქმისა და

შეფასების ის უნიკალური თვისება, ეროვნული ხასიათის ის თავისებურებები, რამაც დღემდე გაგვაძლვინა, ვინ იცის, რით დამთავრდება ჩვენი რესპოდენტების ეპოპეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლომთათიძე 1988 – ლომთათიძე ქ. კალკებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში; ქართული სიტყვის კულტურის საკითხები: წიგნი მერვე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1988
2. მიქიაშვილი 1986 – მიქიაშვილი ო. ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები, თბილისი, 1986.
3. უთურგაიძე 1976 – უთურგაიძე თ. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“
4. ფოჩხუა 1974 – ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“
5. Wolf 2009 – Wolf E. M. შეფასების ფუნქციური სემანტიკა, მ., 2009.

სლენგი, სოხუმური ჟარგონიზმები აფხაზეთელი ქართველების მეტყველებაში

აფხაზეთი მრავალეროვანი კუთხე იყო საქართველოსი. ყოველ ერს შენარჩუნებული ჰქონდა ენა, ადათები, ყოფის თავისებურებები. საერთო საურთიერთო ენა საბჭოთა პერიოდში გახდა რუსული. იმ რეგიონებში, სადაც ჭარბობდა ქართულად მოსაუბრე მოსახლეობა, ძირითადი საურთიერთო ენა ქართველებისა იყო ქართული, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში – მეგრული. არაქართველ ნაწილთან (აფხაზები, ბერძნები, სომხები, რუსები, თურქები და სხვ.) საერთო საკომუნიკაციო ენა იყო რუსული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იქ, სადაც ქართველების გვერდით კომპაქტურად ცხოვრობდნენ სხვა ერების წარმომადგენლები, მაგ., აფხაზები, სომხები ან ბერძნები, ყოველდღიური ხშირი ურთიერთობების გამო მათ შეისწავლეს ერთმანეთის ენები – ქართველებმა – აფხაზური, სომხური ან ბერძნული, სომხებმა მეგრული ან ქართული, აფხაზებმა – ქართული, მეგრული...

ასეთმა ენობრივმა მრავალფეროვნებამ დალი დაასვა ძირითად ენებს და გამოიწვია რიგი ცვლილებებისა. მაგ., სოხუმელების ქართულ მეტყველებაში განსაკუთრებით შეიცალა წარმოთქმა და ქალაქური ლექსიკა. ერთმანეთში შეზავდა ცოტა ქართული (მეგრულით), ცოტა აფხაზური, ცოტა რუსული ინტონაციური ნოტები. მოხდა ინტერფერენცია. (დავარქვით მას პირველადი, რადგან ქართველთა მეტყველებამ ომის შემდეგ დევნილობაშიც გარკვეულწილად განიცადა ცვლილებები).

ტერმინი ინტერფერენცია მიღებულია ლათინური *interferens-* დან. *inter* – „შორის“, „ურთიერთ“ + *ferens-* „მატარი, გადამტანი“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი)¹⁶. გამოიყენება მსგავსი მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავებული ასპექტებით. მაგ.: ინტერფერენცია ფიზიკაში, ქიმიაში, ვირუსოლოგიაში, ფსიქოლოგიაში და ა.შ. ზოგი მეცნიერი (ჯ. გრინბერგი, რ. დობოლდი...) იყენებს ტერმინს „დიფუზია“.

ლინგვისტიკაში ინტერფერენცია ნიშნავს ერთი ენის მეორეზე ზემოქმედებას ისე, რომ შედეგად ვიღებთ სხვადასხვა ტიპის ცვლილებას მეტყველებისას ან წერისას.

ამერიკელი ენათმეცნიერის, ურიელ ვაინრაიხის მიხედვით, ლინგვისტური ინტერფერენციის გამომწვევი მიზეზია ენობრივი ურთიერთობები, რომლებშიც იგულისხმება ან ორ ენობრივ კოლექტივს შორის

¹⁶ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?>

სამეტყველო ურთიერთობები“, ან სასწავლო სიტუაცია. „ორი ან რამდენიმე ენა კონტაქტშია, თუ მათ იყენებს ერთი და იგივე ადამიანი“. ხშირად ენების ურთიერთობის შედეგია ინტერფერენცია, ანუ თითოეული ენის ნორმებიდან გადახვევა, რაც ხდება ბილინგვთა მეტყველებაში ორ ან მეტ ენასთან შეხებისას.“¹⁷

ბილინგვიზმის დროს კოდების აღრევაც ხდება, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ კოდების აღრევისას ენებიც იცვლება, ინტერფერენციის დროს კი ერთი ენა განიცდის ცვლილებას მეორე ენის გავლენით.

სოხუმელთა ლექსიკაში, უმეტესად ახალგაზრდების სლენგში, ხშირი იყო რუსიზმების გამოყენება და პირიქით. ამისი შესანიშნავი მაგალითია სოხუმური ჟარგონიზმები, რომლებიც ერთნაირად გამოიყენებოდა როგორც რუსულად საუბრისას, ისე – ქართულად მოლაპარაკების მიერ.

1. **Параход** – პარახოდი – ირონიული უარყოფა ნათქვამის. „წახვალ არა პარახოდი“; „ეტყვის არა პარახოდი“...
2. **Гоим** – გოიმი – გაუთლელი, ჩამორჩენილი, უგემოვნო.
3. **Кекелка** – კეკელკა – უგემოვნო.
4. **Сиафант** – სიაფანტი – მატყუარა.
5. **Ништяк** – ნიშტიაკი – მშვენიერი, ძალიან კარგი.
6. **Симон** – სიმონი – მიმართვა, შემოსულია ქუთაისურიდან.
7. **Вася/ Васа** – მიმართვა სოხუმური.
8. **Макути** – მაყუთი – ფული.
9. **Понт** – პონტი – 1) ტყუილი, გაუგებარი; 2) რაღაც საქმე.
10. **Свети** – სვეტი – გამოსული, გამორჩეული... რუსული свет – მაღალი საზოგადოება; **выход в свет** – საზოგადოებაში გამორჩენა.
11. **Маханя** – მახანია – დედა
12. **Пахан** – პახანი – მამა
13. **Братуха** – ბრატუხა – ძმა, ძმაო.
14. **Сеструха** – სესტრუხა – და, დაო.
15. **Тёханша** – ტიოხანჩა – დეიდა, მამიდა, ბიცოლა
16. **Дяхоз** – დიახოზი – ბიძა
17. **Коцы** – კოცები – ფეხსაცმელი
18. **Шкары** – შკარები – შარვალი
19. **Тля буду** – დაფიცება „ტილი ვიყო“
20. **Пиндос** – პინდოსი – სოხუმელი ბერძენი
21. **Чангалист** – ჩანგალისტი – სუფრაზე დაუპატიჟებლად მიმსვლელი/მოსიარულე

¹⁷ (Weinreich 1953, gv. 1-7)

22. **Начангал** – ნაჩანგალ – ჩანგალზე წასვლა, დაუპატიჟებლად წასვლა
23. **Сагол** – საღოლ – ყოჩად, კარგია. თურქულში მაღლობას ნიშნავს.
24. **Беспонтовый** – ბესპონტა – უპონტო.
25. **По братски** – პა ბრატცკი – ძმურად.
26. **Бомба** – ბომბა – რაღაც ძალიან კარგი, საუკეთესო.
27. **Важняк** – ვაჟნიაკი – ვაჟნი, მნიშვნელოვანი, საჭირო.
28. **Взрах** – აზრზე ვარ; ნი ვაზრახ – არ ვარ აზრზე.
29. **Хош** – ხოში – სურვილი, ჟინი.. Хош имею – ხოში მაქვს „მინდა, ჟინი მაქვს“.
30. **Понты гнать, понты кидать, понтоваться** – პონტის დაყრა, პონტაობა – ტრიპაჩობა, თავის მოწონება, ტყუილების თქმა...
იყო რამდენიმე ფრაზა, რომელსაც ფიცილის სემანტიკა აქვს:
31. **Клянусь мой маму** – ჩემი დედას გეფიცები.
32. **Клянусь, абижусь** – გეფიცები, მეწყინება.
33. **Мой душу мотал** – მოი დუშუ მატალ – დაფიცება, „ჩემი სული ვაწვა-ლე“

ინტერნეტმედიაში მასალა შეაგროვა ბლოგერმა გიორგი ჯახაიამ, რომლის გზავნილი „აფხაზეთი საქართველოა. ჩვენ დავბრუნდებით!“ NASA-ს მიერ გაშვებულია კოსმოსში. გიორგიმ რუსული სკოლა დაამთავრა. ბრწყინვალედ იცის ქართული, მაგრამ მისი აქცენტით უცებ მიხვდებით, რომ ის სოხუმელია, რადგან მის მეტყველებას რუსული იერი დაჰკრავს.

თავისებურ სლენგსა და ჟარგონიზმებს დღესაც იყენებს სოხუმელების ის თაობა, რომლებსაც ახსოვთ მშობლიური ქალაქი, ურთიერთობები, ომი.

„იქ გვხვდებიან მძარცველები და იყო ბესპრედელი. იყო ქაოსი, როგორც ველურ დასავლეთში. ვინ ვის ესვრის და ვინ ვის ძარცვავს, ვერ გაიგებ. და ვისი გვამი სად აგდია. ვინ რას ჩალიჩობს და ვინ – რას. (დევენილის დღიურიდან. გოჩა ბახია – Gocha Bakhiaa)

„პონტები დაყარა და წავიდა. როგორ დავუჯერებდი მაგ სიაფანტს?“

„დამიძახა, ბრატუხა, სად მიდიხარო?“

ჟარგონი არაფორმალური ენაა. თუ სიტყვების მნიშვნელობა არ იცი, ვერ გაიგებ. ჟარგონი სამწერლობო ენა არაა, თუმცა დღეს მწერლები ხშირად იყენებენ.

ჩემს ახალგაზრდობაში გამოყენებული ჟარგონიზმები დავიწყებას ეძლევა და მათი მნიშვნელობები დღეს ახალგაზრდებმა უკვე არ იციან, ვერ იგებენ. არც ჩვენ გვესმის მათი სლენგი. ყველა ენა იცვლება დროთა განმავლობაში.

ენების გამოყენების შესახებ თვითონ რესპოდენტებიც ლაპარაკობენ. მაგ., იზო კოკაია-დემურია ბაბუშერიდან ამბობს: „სომხური კარგად ვიცოდი, რადგან მეზობლები მყავდა სომხები. იმათ კი იცოდნენ მეგრული. ახლა ცოტა დამავიწყდა, მაგრამ, როცა დავფიქრდები, თავისით მახსენდება...“

ქალაქ სოხუმში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მეგრული ნაკლებად იცოდნენ, რადგან ეს უფრო მშობლების ენა იყო. სამაგიეროდ, დიდობაში და განსაკუთრებით დევნილობაში მათ მოუწიათ სწავლა მეგრულის, რადგან კომუნიკაციები ჰქონდათ მეგრულად მოლაპარაკებთან, თანაც, მშობლიურ ალავს მოწყვეტილებს, ნოსტალგია გაუჩნდათ ყველაფერ მშობლიურისადმი, რაც მთავარია, წინაპართა ენისადმი. რას ამბობენ მეგრულის ცოდნაზე ჩვენი რესპოდენტები:

1. **მადონა დოლბაია, სოხუმელი:** „წარსულის მოგონებების ყველაზე ზღაპრული სურათი ბებისთან ურთიერთობაა. რატომღაც მეგრულსაც ბების ენას ვეძახდი, ასე მეგონა, ამ მითითურ ენაზე მარტო ბებიები და ბაბუები საუბრობდნენ. ისინი რომ არა, ალბათ, არ მეცოდინებოდა ეს ულამაზესი ენა. რამდენჯერ უთქვამს ბებოს, – ქიდეკვირი, ბები, მუ სქვამს ვრაგადანთი: ჭუდე დინოდგუ, ჩხოუ დინორე, ჯა გედგუ... ქარწყეჟო? ოშნერო ირაგადე ართი სიტყვა (= დააკვირდი, ბებო, რა ლამაზად ვლაპარაკობთ: სახლი დგას, ძროხა დგას (შიგნით), ხე დგას... ხედავ? ასნაირად ითქმის ერთი სიტყვა). არადა, მართალი იყო.“ დოლბაია მადონა. (დევნილობა მეტყველება 2016, 313)
2. **ნანა ცაცუა, სოხუმელი:** „ჩვენ მოსკოვში ოქუმელების ჯგუფი გვყავს. მეგრულ სიტყვებს ვაგროვებთ. შენ არც გეცოდინება. ამ პირველ ეპიზოდში ეს ასაკოვანი ქალი ამბობს: – ჩქიმი სათანაფო კვატა ანაყუ ღირუნია (= ჩემი სააღდგომო იხვი ძალიან ძვირი ღირსო). აქ აღსანიშნავია სიტყვა „ანაყუ“ ანუ ძვირადღირებული.

ძალიან მომწონს ასეთი გამოთქმა: „ჭუჭელს ჭუჭელი ელაფალუნსია“, ესე იგი: ჯინჭარს ჯინჭარი ამოეზრდებაო, ასე ამბობენ სამურზაყანოში ცუდ ადამიანზე, რომელიც სიცუდეში თავის წინაპარს ემსგავსება. დათომ მასწავლა სიტყვა „ტომბა“: ტომბა გურაფილი. ესე იგი, კარგი ტვინის პატრონი, კარგად ნასწავლი.

– ანუ ღრმად ნასწავლი... ეს თუ გაგიგია: „ტომბა გაგეფაშ დინახალე“... ანუ „ღრმა გაგების შიგნით“. ხუმრობით ვამბობდით ახალგაზრდობაში, ჟარგონული გამოთქმა იყო.

– „ტომბა“ ჟარგონია?

– რა, „ტომბა“ ღრმას ნიშნავს. ფრაზაა ჟარგონული.

– ღერდილი ოქუმურად არის „ჭყვინჭყვი“.

„მატატიეფი ქუგოიგებუნო“? (= „მატატიები“ გაგიგია?) ეს ჩუსტებია.

„გეხეზირი რექო?“ ეს იცი, რას ნიშნავს? მოსკოვში გავიგე ოქუმელ-ებისგან. ნიშნავს: მზად ხარ ან ვარ წასასვლელად. ეს თუ გაგიგია: მუ ვლო-ლა თე ვალალეფსი?(= რა ვუყო ამ უსაქმურებს?). „ვალალეფი“ – უსაქმურები, უტვინოები. უფრო დარმოედებს (რუს. =მუქთახორა) ნიშნავს. ეს თუ გაგიგია? – „გილესერგელუ თე საგვა“ (= დაეთრევა ეს უვარგისი).

– „საგვა“ რას ნიშნავს?

– „საგვა“ ნიშნავს უფრო, ალბათ, „ღურელიში შური“ (= მკვდრის სული), უვარგის ადამიანს, უფრო, ალბათ დოყლაპიასთან არის ახლოს, მაგრამ დოყლაპია უფრო სხვაა.

ამ დილით კიდო ერთი სიტყვა გამახსენდა. ეს შენ ტოჩნო (რუს. = ნამდვილად, ზუსტად) არ გეცოდინება. ეს სიტყვა „ყანთარი“. „ყანთარი“ ნიშნავს ლიფჩიკს. „ჩუანი“ (=ქვაბი) გეცოდინება. ერთმა შენმა მოგვარემ, ნაგვაზაოდან არის ჩემი მეგობარი, მაგან მასწავლა „მერმეწა“. მე მოსკოვში ვისწავლე ეს სიტყვა. მეტი ჯერ ვერაფერს ვერ ვიხსენებ.

– „მერმეწა“ ცუდს ნიშნავს, ყროლს, აყროლებულს... ასეა მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში.

– ეს ჯღარკახე ამ სიტყვას ხშირად ხმარობს და საკმაოდ კარგი მნიშვნელობით, საკმაოდ კარგ ხალხზე ამბობს ამ სიტყვას. ჩემი მეგობარი ჯღარკახე მეუბნება, ნაგვაზაოში „მერმენწას“ ყოველთვის კი არა აქვსო უარყოფითი მნიშვნელობა.

– რას ნიშნავს ნაგვაზაოში ეს სიტყვა?

– ნუ, ყოველთვის კი არა აქვს ამ სიტყვას ნეგატივი. საერთოდ ვერ წამომედგინა ასეთი ლექსიკონი – მეგრულ-ქართული. ლექსიკონი это далеко не показатель величия мингрельского (= „ეს ახლოსაც არაა მეგრულის სიდიადის მაჩვენებელი“). შენ თუ იცოდი „ანაყუ“ და „ჭყვინჭყვი“? გამნარყი ქოიჩქუნო მუ რე? („გამნარყი“ იცი, რა არის?). „გამნარყი“ არის რჯული (მოდგმა, შთამომავლობა).

ასეთი გამოთქმა თუ გაგიგია, „სი კუბაკი, დირსიკი ოსური“? დათო ამბობს ხშირად ამ ვირაჟენიეს (=გამოთქმას). „დირსიკი კუბაკი“ ნიშნავს ჟადნი (რუს.=ძუნწ) ადამიანს. დათომ მხოლოდ მეგრული იცის და თანაც დოგაფილი მარგალურს რაგადანს (= დაგებულ მეგრულს ლაპარაკობს). აი, ქართულში დიდი პრობლემები აქვს. ასე ამბობს: „დამწვარი ქათამი“, იმის მაგივრად, რომ თქვას „შემწვარი ქათამი“. კიდო ამბობს „შემერცხვა“, ვერ ვასწავლე „შემერცხვა“. (დევნილთა მეტყველება 2016, 308)

3. ჯემალ ბოზოხიძე, სოხუმი: „–თექე, სოხუმს, ვამარაგადედუ მა მარგალური. მართალს ბრავადა, ქართის დიბგურე მა. მუნერო ქოიჩქუნო? სავაჭროთ ვორდი დო სოთინ არდგილ ვამაშუ. მუშენი რდ საქმე?! „იქ, სოხუმში, ვერ ვლაპარაკობდი მე მეგრულად. მართალს ვამბობ, თბილისში ვისწავლე მე. ქართშე ვისაც შევეკითხებოდი,

ცოტა ადგილი მომეცით, ყველა მეუბნებოდა: ცოკ, არა, არ შეილება, არა, არა. მერე ვიფიქრე: კაცო, რაა, რა ხალხია, ვინ არიან ესენი, რო ყველა უარს ამბობს და სინამდვილეში შეიქნა ჩვენი მეგრელები ყველა. მერე გავავარჯიშე ენა, ჰოდა, მეგრულად მივმართე.

“ ჯიმაღლეფი, ჭიჭე მიწიკონით-მაქი. ოოდა, აჰ, ათენა ჩქინდ კოჩდ ცოფენია. „მმებო, ცოტა წაიწიეთ-მეთქი. ხოდა, ოჰ, ჩვენი კაცი ყოფი-ლაო.....“ მიიწიენ-მოიწიენ და მომცენ ამხელა ადგილი. მაგრამ ერთი სამი დღის მერე ერთი წავიდა, მერე მეორე მიყვა იმას და დამრჩა მე-ფური ადგილი. და ვალებში წავედი. ვალები გავისტუმრე და სახლში კიდო ჩამოვიტანე რაღაც საარსებო საშუალება, საარსებო წყარო.

4. აფხაზეთელი ახალგაზრდა გ.კ. ამბობს, რომ ამჩნევს განსხვავებას აფხაზეთელების მეტყველებასა და აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებთა მეტყველებას შორის. განსხვავება ძირითადად აქცენ-ტშია და შემდეგ ლექსიკაში. სამურზაყანოელების მეგრული მეტ-ყველებაც განსხვავდება ვთქვათ ზუგდიდელების მეტყველების-გან. თუმცა, ერთად ცხოვრების შედეგად, დროთა განმავლობაში ეს განსხვავება ქრება.

ინტერფერენცია შეიძლება გამოიყვედეს ენობრივი ურთიერ-ობების ყველა სეგმენტში, განსაკუთრებით – ლექსიკაში, აგრეთვე: ფონეტიკაში; ინტონაციაში; მორფოლოგიაში; სინტაქსში; სტილისტი-კაში; სემანტიკაში... ყველა ეს შემთხვევა მეტ-ნაკლებად დაფიქსირეუ-ლია ჩვენ მიერ ჩაწერილ ადრინდელ და ახლანდელ ტექსტებში. ინ-ტერფერენცია უფრო შეეხო ლექსიკას ინტონაციასა და მორფოლოგიას.

მაგ., ერთი მორფოლოგიური თავისებურება შეიძინა აფხაზეთი-დან წყალტუბოში დასახლებულმა დევნილთა ნაწილმა. ესაა იმერულ-ისთვის დამახასიათებელი ზმნის მე-3 პირის სუბიექტის მრავლობი-თობის აღმნიშვნელი -ენ სუფიქსი, რომელიც ჩნდება -ეს და -ნენ სუ-ფიქსების ადგილას.

უნდა იყოს – ნენ , -ეს	არის -ენ
მოვიდ-ნენ	მოვიდ-ენ
დაიკარგ-ნენ	დაიკარგ-ენ
დაეწყვ-ნენ	დაეწყვ-ენ
გააკეთ-ეს	გააკეთ-ენ
დაწვ-ეს	დაწვ-ენ
თქვ-ეს	თქვ-ენ

დაფიქსირებულია ქართიზმები მეგრულში ზოგიერთ იმ პირთა მეტყველებაში, რომლებიც მეგრულს დევნილობისას უფრო ფართოდ იყენებენ.

1. ჩემი დიდა (მერი ფიფია) **ხშირო** გიშინანდ: ჩემი მუმა გალის რა-იტაბაკიმ უნჩამ რდუ და ჩქინდა გილემეს სტუმარები სოხუმშე. მუაჩქიმს ომსახურედ **მანქანა** დო ყუდეს მიდგუდეს ტელეფონი. სოფელს მანქანაში ხუმას გეგონენდესი, მეზობელეფი იჩიებდეს, ლადი მოურსია. მა ფშუ, – იჩიებდ დიაჩქიმი, – სტუმარო ნესტორ ლაკობა მოურდუა.

„ჩემი დედა (მერი ფიფია) ხშირად იხსენებდა: ჩემი მამა გალის რა-იტაბაკოს უფროსი იყო და ჩვენთან დადიოდნენ სტუმრები სოხუმიდან. მამაჩემს ემსახურებოდა მანქანა და სახლში გვედგა ტელეფონი. სოფელში მანქანის ხმას რომ გაიგონებდნენ, მეზობლები ამბობდნენ, ლადი მოდისო. მე მახსოვს, – ამბობდა დედაჩემი, – სტუმრად ნესტორ ლაკობა მოდიოდაო. მანანა ხვინგია. (დევნილთა მეტყველება 2016,290)

2. ჰამილტონი რუსიკო, სოხუმი: მა, სკოლა და უნივერსიტეტი სოხუმს გავათე... **ნამეტანი** მიორდუ სოხუმი დო ასე მუდროს გითმივშინა ჩქიმ **ახალგაზრდობაშ ულამაზეს** წანებს, გური ჩიამურებით მაფშაფუ...

„მე სკოლა და უნივერსიტეტი სოხუმში დავამთავრე... ძალიან მიყვარდა სოხუმი და როცა ვიხსენებ ჩემი ახალგაზრდობის ულამაზეს წლებს, გული ცრემლებით მევსება.“ (დევნილთა მეტყველება 2016,196)

დღეს უკვე თანდათან ქრება ის თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისთვის, რადგან თაობა, რომელიც მატარებელი იყო ამ განსხვავებული მეტყველებისა, უკვე ნელ-ნელა მიდის. ახალმა თაობამ კი აითვისა იმ კუთხეების, იმ რეგიონების მეტყველება, რომლებშიც ცხოვრობენ.

ლიტერატურა:

1. ბესარიონ ჯორბენაძე, 1997, ენა და კულტურა, თბ.
2. გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ. (2009). ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, თსუ.
3. მ. კაკაჩია, ქ.მარგიანი, მ.ჯღარკავა, დევნილთა მეტყველება, 2016.
4. Weinreich, Languages in contact, 1953 – <https://www.scribd.com/document/616067647/Languages-in-Contact-Weinreich-1953>
5. Luaibi Fais Ramaahan, Concept of an Interference in Linguistics, 2014 – WWW.APRIORI-JOURNAL.RU N4, 2014
6. <https://cyxymu.livejournal.com/270620.html>
7. ინტერნეტ რესურსები.

The Speech of the Forcibly Displaced People from Abkhazia
(The Basic Aspects of Dialectological Research)

The perfection of the centuries-old literary Georgian Language needs to preserve and document its provider dialectal diversity. As it is known, *dialect* is an ancient Greek polysemantic word and means: speech, utterance, pronunciation, conversation, speech manner, style.

The speech of the forcibly displaced people from Abkhazia has never been the object of fundamental research in Kartvelology, and it is being carried out for the first time. During the thirty years in exile, this speech underwent many changes (The demographic picture has also changed: in 1993, 250,000 Georgians left Abkhazia forcibly. Today, more than 300,000 people live in Georgia with the status of forcibly displaced person).

The speech of Georgians who lived in the Black Sea coastal city Sokhumi in particular, and in general, in entire Abkhazia, was characterized by several peculiarities caused by the interference, diglossia-bilingualism. The specificity of the speech of Abkhazian Georgians was determined by the close relationship and daily contacts and communication with different languages (Russian, Abkhazian, Greek, Armenian, Estonian...).

The goal of the publication is a dialectological analysis of Abkhazian Georgian, a linguistic study of the speech of the forcibly displaced people from Abkhazia: dynamics of the interference of the Kartvelian languages and dialects (mutual influence, mutual entering), merging of speech codes, results of diglossia-bilingualism: Russianisms, foreign vocabulary, calques... It is the result of interference, diglossia, and living in a bilingual (trilingual!) environment that the respondents and informants themselves have repeatedly stated in the texts: Abkhazian Georgian speech, Sokhumi – city without mother tongue (as multilingual!), Kodorian Svan, Abkhazian Lechkhumian, Sokhumian Megrelian, Abkhazian Imeretian. ... However, to turn each of these lexemes or syntagmas into a term denoting a dialectal entry (local dialect, subdialect...), the authors of the present paper believe, that it requires additional materials and linguistic arguments. It can be said that the speech of the forcibly displaced people from Abkhazia is a kind of "mixed" speech with the interference of Kartvelian languages (Megrelian, Svan) and literary Georgian dialects (Rachian, Lechkhumian, Imeretian...), in which diglossia (Georgian-Svan, Georgian-Megrelian) and bilingual (Russian-Abkhazian, Russian-Armenian, Russian-Greek) occurrences take a serious place.

Based on the dialectological research, the interference of Abkhazian Georgian, Sokhumian Georgian, and Abkhazian Megrelian-Svan is attributed to the field of general linguistic universals due to the abundance and numerousness of "crossed-bred" language forms, syntagmas, lexemes, grammatical forms (inclusive-exclusive, ergative construction, khanmeti phenomenon...).

The dialectological study of the forcibly displaced people's discourse, the description and analysis of the data of the Western Kartvelian languages and sub-dialects are important not only from the standpoint of linguistic Kartveliology but also from the standpoint of theoretical linguistics, as the Iberian (Kartvelian) languages - with a highly independent linguistic landscape and the degree of historical durability – contain too noteworthy information for theoretical linguists.

In modern science, the superiority of interdisciplinary studies is recognized. Interference, diglossia, bilingualism are the main dialectological (linguistic) features of the speech of the forcibly displaced people from Abkhazia, and it implies "to assist" in the research of such interdisciplinary fields as sociolinguistics, linguistic geography, ethnolinguistics... Interrelation between language and culture, language and society, language and human are known to be a topical problem of the globalization era: As Ch.Hockett rightly says, linguistics without anthropology is infertile, anthropology without linguistics is blind.

The speech of Georgians who lived in the Black Sea coastal city Sokhumi in particular, and in general, in entire Abkhazia, was characterized by several peculiarities caused by the interference, diglossia-bilingualism. The specificity of the speech of Abkhazian Georgians was determined by the close relationship and daily contacts and communication with different languages (Russian, Abkhazian, Greek, Armenian, Estonian...).

The goal of the publication is a dialectological analysis of Abkhazian Georgian, a linguistic study of the speech of the forcibly displaced people from Abkhazia: dynamics of the interference of the Kartvelian languages and dialects (mutual influence, mutual entering), merging of speech codes, results of diglossia-bilingualism: Russianisms, foreign vocabulary, calques... Back in 1935, a great Georgian linguist Varlam Topuria began the introduction to his doctoral dissertation with the following words: "Caucasian languages have such a mixed look due to the influence and mutual influence of languages of other systems that without a thorough study of the influenced and the influencer languages, it becomes difficult to find the way in their grammatical-lexical desert." [1: 293]. The same assessment can be said about the speech of the forcibly displaced people from Abkhazia. In fact, the Georgian speech of Abkhazia is a kind of Western Kartvelian linguistic-dialectological "kaleidoscope", represented by such entries as Megrelian, Svan (Kartvelian languages), Lechkhumian, Rachian, Imeretian (Georgian dialects). In "this world" of Western Georgia, almost in all eras, different language-dialectal phenomena always merged and are still merging today, which made the interference, mixed, bilingual speech of the inhabitants of this region so linguistically interesting.

It should be noted with offense that Georgian linguistics is quite poor in terms of studying the speech of Abkhazia's population from a dialectological standpoint if we do not take into account the provisions and conclusions of O.Mikiashvili [2:1-187] on Georgian of the Sochian (Plastunkians) and V. Topuria's researches on Rachian-Lechkhumian: in the scientific literature about the speech of the Lechkhumian people living in Abkhazia, it is only mentioned that the local Georgians preserved the Georgian language and that no new dialectal entry was formed here [3:165].

The analytical materials of the paper are: a) empirical material, conversations of the forcibly displaced people, speech samples of Abkhazian Georgians in natural form recorded (30 hours duration) by the authors within the Shota Rustaveli National Science Foundation project (#OTG-I-23-229); b) texts: The speech of the forcibly displaced people, Tb., 2016; Kodorian Chronicles, vol. 2010 [4: 1-834]; Kodorian Svan, Tb., 2020; I. Kipshidze, Megrelian texts; G. Dumézil, Laz Texts; a four-volume of Svan prose texts.

Based on the analysis of the texts, a special excess of foreign vocabulary (Russianisms) is revealed in the speech of the forcibly displaced people from Abkhazia: the determining factor of such result was undoubtedly the language policy of the Soviet Union, based on which in all-over Abkhazia the clerical work was conducted in the Russian language throughout the "Communism Great Era". In the linguistic literature, it is believed that a large part of the lexical stock of the languages of civilized peoples is borrowed. This is a natural process. Nations with a long history have borrowed most of their vocabulary from the languages of ancient civilizations (Sumerian, Latin, Greek...), today from English. That is why in linguistics the word-phrase *borrowing process* is considered a completely moderate, natural, and even necessary phenomenon. Ethno-cultural contacts with civilized nations are clearly imprinted in the structure of the Georgian language and especially, in the vocabulary. The detection of foreign language layers sheds light on the way of historical development of Georgians and their social relations with ethnic groups of different origins. In addition, the Georgian language has also contributed to the historical development of other languages. It is believed that from the end of the 18th -19th centuries, the Georgian literary language and, accordingly, the dialects underwent great influence of Russianisms. Georgian scholars (A. Shanidze, K. Lomtadze, A. Arabuli, Sh. Apridonidze, O. Mikiashvili...) have consistently studied Russianisms in the Georgian literary language and dialects. From the 18th -19th centuries, information reflecting European lifestyle and European culture entered Georgian through Russian. Lexical borrowing from Russian has been greatly established, but, fortunately, lexical borrowing did not go beyond the sphere of the objects and phenomena reflecting and arising in life. The Georgian rich vocabulary has greatly contributed to it – the Russian vocabulary was not given a range to narrow the Georgian vocabulary. That is why, even at the level of dialectal discourse, the number of borrowed Russian words did not exceed one hundred [5:215-234]. The dynamics of interference and chronology of the establishment of Russianisms in the speech of the forcibly displaced people from Abkhazia, in the Kartvelian languages can be determined from published texts (Al. Tsagareli, N. Marr, B. Nizharadze, I. Kipshidze, Z. Dumézil, Arn. Chikobava, A. Shanidze, A. Oniani, I. Asatiani ...) and on the comparison-contrast ground of live speech data.

Empirical material and the analysis of the speech texts of the forcibly displaced people reveal that lexical Russianisms undoubtedly prevail over syntactic-structural and semantic Russianisms. But it is a fact that in many cases lexical Russianisms have driven out even the prop Georgian material: e.g. The Svan word *pičk* "table" was substituted by the Russian word *stol*, the Georgian

word satli “water pail/bucket” was lost in the speech due to the wide spread of the Russian word vedro. Similar examples are attested in abundance.

It should be noted that, compared to the rest of Georgia, the number of Georgians of Abkhazia, who received their education (primary, secondary, higher) in Russian, is much larger. In many cases, this part of the society finds difficulties in academic writing communication in their native Georgian language. This is a regrettable reality in the lives of the forcibly displaced people – the reality caused by the accompanying phenomenon of diglossia-bilingualism in the Abkhazian "Soviet Era". It is also a fact that the Russian language influences and expansion in the speech of the forcibly displaced people are quite weakened today. The difference in the use of Russianisms is obvious between generations. In the speech of so-called teenagers, those born in exile, Russianisms have already been substituted by Anglicisms, which cannot be said regarding the generations born in Abkhazia.

Along with an abundance of Russianisms, Zanisms, Svanisms which are the main dialectal characteristics of the Rachian, Lechkhumian, and Imeretian discourses of the forcibly displaced people from Abkhazia, is interference, which is of both grammatical and lexical-phraseological nature in terms of linguistic hierarchy: household, economic, field vocabulary, archaic layer (archaisms considered as dialectisms), vocabulary reflecting ethnographic features, forms established under the influence of the Russian language: goroxi "dry land, clod", očkōče "forest troll", bažbaža "delicious, fat", erti daždoma mica (*lit.* “only one can sit on this soil/ground”) "a very small place", čitiver camoisvenebs (*lit.* “a bird cannot rest”) “a place where there is neither a tree nor a bush”, aaqūda qalionī "died"... Russianisms are: aṭkazi "refusal", perevaroṭi "coup", romeli goda khar? "In what year were you born?", večni "forever", kanešna "of course", dačniki – “vacationer”... Jargonisms are: proṣṭa “simply”, nu “look here”, sestrička “(dear) sister”, vabše “at all”, pavarōṭi “turn-off”, sasedi “neighbor”, mužiki “men”, mužikurad “like a man”...

Examples from the texts: This is how an 83-year-old Georgian from Sokhumi, who has lived in Sokhumi for exactly half a century, has been living as a forcibly displaced person in Tbilisi for 30 years: "In Sokhumi, there was Council Street, then it was called Karl-Marx, there was nothing beyond that and then 4 new streets were built: Pervaya Novaya (“the first new”) – Jguburia Street; Vtaraya Novaya (“the second new”) – Mayakovsky Street; Tretaya Novaya (“the third new”) – Shervashidze Street; Chetvyortaya Novaya (“the fourth new”) – Tarkhnishvili Street. I lived on Vtaraya Novaya (“the second new”) and worked in Turbaza in Sokhumi. At that time, there were turisticheskiesprofsozuzis (“Tourist Trade Union”) in Russia. Tourists were of different categories. A group came legally. The second group was "dikar" (“wild”), they did not agree with (uṭanxmdeboden) anyone there and when they arrived here, they contacted us, and the third was – "savsemdikar" (“too wild”). They gathered (šeikribeboden) and walked (dadioden) wherever they wanted". This kind of mixed forms, the abundance of such bilingual "mixed" forms are a typical characteristic of Abkhazian Georgian.

The Kartvelian (Svan, Megrelian) speech of the forcibly displaced people from Abkhazia is characterized by interference. Numerous cases of structural-grammatical and lexical-phraseological interference have been revealed, however, due to the format of the article, the authors of the present paper brings only a few examples this time. Megrelian: "Irpel punkcionirens tek, irpel: berkasa gokonoo, banki gokono, bazar gokono" [6:I-132] – "Everything is functioning there, everything: savings bank, bank, market"; berkasa < зберкаса "savings bank". From the standpoint of interference, the ergative and ergative construction turned out to be particularly noteworthy: in Svan, the ergative is derived by means of ergative case formants (-d, -em), and has two- (v-em, -n-em, -a-d) and even three-stem (-em-n-em, -em-n-em-d): muxvbe-m-n-em "brother", mare-m-n-em "man". In Abkhazia's Svan discourse, in Kodorian texts, there is attested Ergative double affixation (-em-d) which is relatively rare at pronouns and almost unusual at nouns in Upper Svan of the Enguri Gorge. This phenomenon of Abkhazian Svan is archaism due to interference: či-em-d "everyone" (cf. či-em): limkhubaal čiemd ži okhsqed (cf. či-em) "We all formed a brotherhood", yert-em-d "God" makdis, limzir mam malṭndeeds (cf. yert-em) – "Let God spare me if I don't like praying and pea."

As a trend, it can be noted that this type of declension is trying to prevail in the speech of the descendants of the Svans forcibly displaced from Abkhazia. Despite the variety of formants and allomorphs, the forms with Ergative case -d formant are used almost uniquely by the representatives of both dialects. According to the Abkhazian Svan language, the Ergative with -d formant can be found at almost all types of nominals – adjectives (mešxe-d "black"), numerals (semi-d "three", meesgve-d "the sixth"), deverbative nouns (lichvdaani-d "question", limzir-d "prayer", luge-d "built", mugem-d "builder")...It should also be noted that in the Svan language of the forcibly displaced people from Abkhazia, the Ergative case with formant -em is very rare, but still occurs (mainly in the speech of respondents of Lower Bal origin). It is undoubtedly noteworthy that, despite the domination of the tendency of Svan Ergative forms with -d the -em formant are firmly preserved in idiomatic expressions: Ghert-em makdis "Let God spare me", Ghert-em žasaarvinas "May God forgive you" (cf. Gheerbet-d ežas žala lakhvem "God gave strength to smb"), which indicates its archaic nature. In the format of the Ergative construction (as individual cases of three-stemmed!) the following forms of indefinite pronouns are noteworthy: er-d-va-m (cf. er-d-va-id) "who/whom", erd-va-l-a-š-em (cf. er-va-l-e-d) "someone" [7: 177]. From the standpoint of interference, the analysis of geographic names (especially of micro-toponyms) is noteworthy, as well.

As a trend, it should be noted that today the speech of the forcibly displaced people from Abkhazia is more strongly influenced by the literary language than before exile; This fact becomes especially clear when observing the younger generation: in this generation, when speaking in Svan, Megrelian, "attacking" of Georgian vocabulary is most intense, noticeable and observed. There are rarely confirmed cases of Georgian word-forms with Megrelian and Svan affixes... It is noteworthy that in the speech of the forcibly displaced children from Abkhazia, even special cases of khanmeti (middle stage of Old Georgian when x-marked

verbs occurred) were revealed [8: 698-704]. It is a well-known fact in Kartvelology that the analysis and explanation of the term (khanmeti) first used by the greatest Georgian Enlightenment of the 11th century Giorgi Mtatsmindeli (George the Hagiorite) resulted in differences of opinion among Georgian scholars. As a linguistic phenomenon, khanmeti is characterized of the ancient Georgian literary language in the 5th-7th centuries: kh-ikhilo "You will see", kh-can "You recognized someone", da-kh-idva "Put down", še-kh-uabt "Hang on"... The archaic nature and complexity of the Svan language have been repeatedly pointed out by Georgian and foreign researchers. Along with many other lexical and grammatical phenomena of the Old Georgian language (inclusive-exclusive, tmesis...) among the Kartvelian languages, only the modern Svan has preserved the khanmeti phenomenon: kh-asqeene "You make/do smth", kh-agem "You build", kh-aambvi "You narrate smth.", kh-ighraal "You sing". ..

It turns out that a new kind of interference type of khanmeti phenomenon appears in the speech of the children forcibly displaced from Abkhazia. And the interference is conveyed by a kind of fusion of the language forms of Old Georgian, modern Svan, and literary Georgian: e. g.: khvezakhit "We call", khičkhubot "We quarrel", khvibanavaald "We bathe", khivknebi "I will be", khvačarmoeb "I produce"... The analysis of the texts reveals that the khanmeti phenomenon of the forcibly displaced children means that the adding of an x-/(kh-) prefix to the Georgian verbal stems gives a Svan nuance to the speech, i.e. speaking in Svan. It can be observed that this is how adults express their attitude, one might say, loyalty to "the home language or the cradle language" (A. Shanidze). Separate examples also reveal additional "arguments" of the khanmeti phenomenon in children's speech, when not only the khanmeti x -prefix is added to the Georgian verbal stem, but even a theme marker and a marker of multiple features are of Svan: khvaketavi (<khv-a-ket-av-i) "I do/make", khvitamašavaal (<khv-i-tamaš-av-aal) "I play sometimes" [8: 700-704].

While collecting the dialectological materials of Abkhazia, the authors of the present publication especially met the compactly settled forcibly displaced people (the total number of informants exceeded hundreds). Unlike the generation of teenagers, the elderly respondents were selected according to awareness of the Abkhazian topic, knowledge of facts, and oratorical talent... The research goal was to reflect effortless, natural forms and expressions, ordinary speech of the representatives of all parts of Abkhazia in the materials, it was especially interesting to work with young people even because of their new way of thinking and mentality, and their imperfect knowledge of their native language. As if they were unanimous, nearly all the forcibly displaced people noted that the ten years of living in exile made them almost forget their daily communication in Russian, more or less they forgot their native languages: Megrelian and Svan... They notice and see these "metamorphoses" of their speech: "My speech has become more perfect."- this is the self-estimation of the forcibly displaced people [6:5].

It is the result of interference, diglossia, and living in a bilingual (trilingual!) environment that the respondents and informants themselves have repeatedly stated in the texts: Abkhazian Georgian speech, Sokhumi – city

without mother tongue (as multilingual!), Kodorian Svan, Abkhazian Lechkhumian, Sokhumian Megrelian, Abkhazian Imeretian. ... However, to turn each of these lexemes or syntagmas into a term denoting a dialectal entry (local dialect, subdialect...), the authors of the present paper believe, that it requires additional materials and linguistic arguments.

In conclusion, it can be said that the speech of the forcibly displaced people from Abkhazia is a kind of "mixed" speech with the interference of Kartvelian languages (Megrelian, Svan) and literary Georgian dialects (Rachian, Lechkhumian, Imeretian...), in which diglossia (Georgian-Svan, Georgian-Megrelian) and bilingual (Russian-Abkhazian, Russian-Armenian, Russian-Greek) occurrences take a serious place.

Based on the dialectological research, the interference of Abkhazian Georgian, Sokhumian Georgian, and Abkhazian Megrelian-Svan is attributed to the field of general linguistic universals due to the abundance and numerousness of "crossed-bred" language forms, syntagmas, lexemes, grammatical forms (inclusive-exclusive, ergative construction, khanmeti phenomenon...).

The dialectological study of the forcibly displaced people's discourse, the description and analysis of the data of the Western Kartvelian languages and sub-dialects are important not only from the standpoint of linguistic Kartveliology but also from the standpoint of theoretical linguistics, as the Iberian (Kartvelian) languages - with a highly independent linguistic landscape and the degree of historical durability – contain too noteworthy information for theoretical linguists.

References:

1. Topuria V. (2002), Proceedings, Introductory word when defending the dissertation, Vol. II, Tbilisi. 1:293 (in Georgian).
2. Mikiashvili O. (1994), Georgians from Sochi and their speech, Tbilisi. 2:1-187 (in Georgian).
3. Topuria V. (1963), *Condition and tasks of the study of dialects of the Kartvelian languages*, Tbilisi. (in Georgian).
4. Chantladze I., Margiani K., Ioseliani R., Margiani-Subari K., Sagliani M. (2010), Kodorian Chronicles, Tbilisi. P.(1-836) (in Georgian).
5. Mikiashvili O. (2005), Towards the history of the formation of the New Georgian language (aspects of Russo-Georgian language relations), Tbilisi. 5:215-234 (in Georgian).
6. Margiani K., Kakachia M., Jgarkava M. (2016), The speech of the forcibly displaced people, I. Tbilisi. 6:1-132 (in Georgian).
7. Margiani K. (2018), Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics (according to the speech of Kodori Gorge's population), *Materials of the III International Scientific-Practical Conference "Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time"*, Volume I, 7:1-177 Kyoto, Japan.
8. Chantladze I., Fähnrich H., Margiani K., Ioseliani R., Margiani-Subari K. (2020), Kodorian Svan, Tbilisi. 8: 700-704 (in Georgian).
9. Jorbenadze B. (1989), Georgian Dialectology, Tbilisi. p.1-630 (in Georgian).

ქეთევან მარგიანი, მარინე კაკაჩია,
მარინა ჯღარკავა, თამილა ზვიადაძე

უცხოენოვანი ლექსიკა (რუსიზმები) აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებაში¹⁸

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ითვლება, რომ ცივილიზებულ ხალხთა ენების ლექსიკური მარაგის დიდი ნაწილი ნასესხებია. ეს ბუნებრივი პროცესია. დიდი ისტორიის მქონე ერებს ლექსიკის უდიდესი ნაწილი ნასესხები აქვთ ძველი ცივილიზაციის ენათაგან (შუმერული, ლათინური, ბერძნული...), დღეს უკვე – ინგლისურიდან, ამიტომაც ლინგვისტიკაში სიტყვათა სესხება სრულიად ზომიერ, ბუნებრივ, უფრო მეტიც, აუცილებელ მოვლენადაც კი ითვლება.

ცივილიზებულ ერებთან ეთნოკულტურული კონტაქტები მკვეთრად არის აღბეჭდილი ქართული ენის სტრუქტურაში და განსაკუთრებით – ლექსიკაში. უცხოური ენობრივი ფენების გამოვლენა აშუქებს ქართველების ისტორიული განვითარების გზას და მათ სოციალურ ურთიერთობებს სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსებთან. ამასთანავე, ქართულ ენასაც თავისი წვლილი შეუტანია სხვა ენათა ისტორიულ განვითარებაში.

ითვლება, რომ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნიდან ქართული სალიტერატურო ენა და, შესაბამისად, დიალექტები განიცდის რუსიზმების დიდ მოძალებას. ქართველ მეცნიერთა (ა. შანიძე, ქ. ლომთათიძე, ა. არაბული, შ. აფრიდონიძე, ო. მიქიაშვილი...) მიერ თანმიმდევრულადაა შესწავლილი რუსიზმები ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. ქართველურ ენებში რუსიზმების დამკვიდრების ქრონოლოგიის დადგენა შესაძლებელია გამოცემული ტექსტებისა (ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ბ. ნიჟარაძე, ი. ყიფშიძე, ჟ. დიუმეზილი, არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ა. ონიანი, ი. ასათიანი...) და ცოცხალი მეტყველების მონაცემების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

როგორია დევნილთა მეტყველება ენობრივი გავლენების, ინტერფერენციის, უცხოენოვანი კალკების, დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენების თვალსაზრისით – საკითხი ჯერ შეუსწავლელია.

დღეს ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოს ძირძველი და გაუყოფელი კუთხეა, აფხაზეთის ქართველობა კი – ამ ძირძველ საქარ-

¹⁸ წაკითხულია მოხსენებად „კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ კონგრესზე“ 17-19. X. 2023

ველოში ქართული იდენტობის შენარჩუნების, ქართველური სულიერი მემკვიდრეობის გადარჩენის სამომავლო გარანტი. დასავლეთ საქართველოს „ამ სამყაროში“ ყოველთვის ერთმანეთს ერწყმოდა და ერწყმის სხვადასხვა ენობრივ-დიალექტური მოვლენა, რაც ამ მხარის მცხოვრებთა – დღეს დევნილთა – მეტყველებას ინტერფერენციული იერსახის მატარებელს ხდის. ამ მხარის ქართველთა მეტყველება ხასიათდებოდა დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენებით განპირობებული რიგი თავისებურებებით. აფხაზეთელ ქართველთა მეტყველების სპეციფიკას განსაზღვრავდა სხვადასხვა ენებთან (რუსულთან, აფხაზურთან, ბერძნულთან, სომხურთან...) მჭიდრო ურთიერთობა და ყოველდღიური კომუნიკაცია.

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს დევნილთა მეტყველებაში უცხოენოვანი ლექსიკის, კერძოდ, რუსიზმების შესწავლას.

სრულყოფილებისა და ეპოქათა შესაბამისად შედარების შესაძლებლობის მიზნით, საანალიზო მასალა ამოკრებილია შემდეგი ტექსტური გამოცემებიდან: დევნილთა მეტყველება, თბ. 2016 წ. კოდორული ქრონიკები, თბ. 2010 წ. კოდორული სვანური, თბ. 2020 წ. ი. ყიფშიძის „მეგრული ტექსტები“, ჟ. დიუმეზილის „ლაზური ტექსტები“, სვანური პროზაული ტექსტების ოთხტომეული...

განსაკუთრებით თვალშისაცემი აღმოჩნდა რუსიზმების სიჭარბე „კოდორულ ქრონიკებში“ სვანურის სხვა დიალექტებთან – ბალსხემოურთან, ბალსქვემოურთან, ლენტეხურთან და ლაშხურთან მიმართებით. ასეთი შედეგის განმაპირობებელი ფაქტორი კი, უდავოდ, იყო საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკა, რომლის წყალობითაც მთელს აფხაზეთში და, ბუნებრივია, ისტორიული დალის / კოდორის ხეობაშიც საქმის წარმოება მთელი „კომუნისტური დიადი ეპოქის“ მანძილზე რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

ევროპული ყოფის, ევროპული კულტურის ამსახველი ინფორმაციები XVIII – XIX საუკუნეებიდან ჩვენში რუსულის მეშვეობით შემოდიოდა. საკმაოდ მოიკიდა ფეხი ლექსიკურმა სესხებამ რუსულიდან, მაგრამ, საბედნიეროდ, ლექსიკური ნასესხობანი ყოფის ამსახველი საგნებისა თუ მოვლენების სფეროს ვერ გასცდა. აქ თავისი სიტყვა თქვა ქართული ენის ლექსიკურმა სიმდიდრემ. რუსულ ლექსიკას არ მიეცა გასაქანი ქართული ლექსიკის შესავიწროებლად. ამიტომაცაა, რომ თვით დიალექტური მეტყველების დონეზეც კი ნასესხებ რუსულ სიტყვათა რაოდენობა ვერ გასცდა ერთ ასეულს (მიქიაშვილი, 2005).

ემპირიული მასალით, დევნილთა მეტყველების ტექსტების ანალიზით კი ირკვევა, რომ სინტაქსურ-სტრუქტურულ, სემანტიკურ რუსიზმებს, მართალია, უდავოდ, სჭარბობს ლექსიკური რუსიზმები, მაგრამ ფაქტია, რომ ლექსიკურმა რუსიზმებმა ხშირ შემთხვევაში განდევნეს კიდევაც საკუთრივ ქართველური მასალა. დანარჩენ საქართველოსთან მიმართებით აფხაზეთის ქართველობაში კონტიგენტი ადამიანებისა, რომლებმაც განათლება (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) რუსულ ენაზე მიიღო, გაცილებით დიდია. ხშირ შემთხვევაში საზოგადოების ამ ნაწილს მშობლიურ ქართულ ენაზე აკადემიური წერითი კომუნიკაცია უჭირს კიდევაც... დევნილთა ცხოვრებაში ეს სამწუხარო რეალობა; რეალობა, განპირობებული „აფხაზეთური“ თუ „საბჭოთა ეპოქის“ თანმდევი და მახასიათებელი დიგლოსია-ბილინგვიზმის მოვლენებით. დევნილთა მეტყველებაში ფაქტია ასევე, რომ დღეს რუსული ენობრივი ექსპანსია საკმაოდ შესუსტებულია. რუსიზმების გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით სხვაობა შეინიშნება თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისა და თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი ტექსტების მონაცემთა შედარების თვალსაზრისითაც.

რუსიზმების გამოყენების თვალსაზრისით სხვაობა თავალსჩინოა თაობებს შორის. ე. წ. თინეიჯერების, დევნილობაში დაბადებულთა მეტყველებაში რუსიზმები უკვე ჩაანაცვლა ანგლიზმებმა, რასაც ვერ ვიტყვით აფხაზეთში დაბადებულ და ომგამოვლილ თაობებზე.

Кетеван Маргиани, Марина Какача,
Марина Джгаркава, Тамилა Звиададзе

Иноязычная лексика (русизмы) в речи вынужденно переселенцев из Абхазии

В лингвистической литературе считается, что значительная часть лексического фонда языков цивилизованных народов заимствована. Это естественный процесс. Народы с многовековой историей заимствовали большую часть своего словарного запаса у языков древних цивилизаций (шумерского, латинского, греческого..., сегодня сюда входит и английский. Вот почему заимствование слов в лингвистике считается вполне умеренным, естественным и даже необходимым явлением.

Этнокультурные контакты с цивилизованными народами прочно запечатлены в структуре грузинского языка и особенно в лексике. Выявление иноязычных слоев проливает свет на путь исторического развития грузин и их социальные отношения с этническими группами различного происхождения. Естественно грузинский язык также внес свой вклад в историческое развитие других языков.

Считается, что на рубеже XVIII-XIX веков грузинский литературный язык и, соответственно, диалекты, особо претерпевают натиск русизмов. Грузинские ученые (А. Шанидзе, К. Ломтатидзе, А. Арабули, Ш. Афридонидзе, О. Микиашвили...) последовательно изучали русизмы в грузинском литературном языке и диалектах. Определить хронологию становления русизмов в картвельских языках можно по опубликованным текстам (Ал. Цагарели, Н. Мари, Б. Нижарадзе, И. Кипшидзе, З. Диумезил, Арн. Чикобава, А. Шанидзе, А. Ониани, И. Асатиани...) и на основе сравнения-сопоставления данных живой речи.

Какова речь переселенцев с точки зрения языковых влияний, интерференции, иноязычных кальков, явлений диглоссии-билингвизма – вопрос до сих пор не исследован.

Сегодня оккупированная Абхазия является древнейшим и неделимым уголком Грузии, а грузинское население Абхазии является будущим гарантом сохранения грузинской идентичности и выживания картвельского духовного наследия в этом коренном регионе. В «этом мире» Западной Грузии всегда были и продолжают смешиваться различные лингводиалектические явления, что делает жителей этого региона, сегодняшних переселенцев, носителями речи, которая относится к виду интерференции. Речь грузин этого региона характеризовалась рядом особенностей, вызванных явлениями диглоссии-билингвизма. Специфика речи абхазских грузин определялась тесным родством и ежедневным общением с разными языками (русским, абхазским, греческим, армянским...).

Целью данной публикации является изучение иноязычной лексики, в частности русизмов, в речи вынужденных переселенцев.

Для полноты и возможности сравнения по эпохам материал анализа собран из следующих текстовых изданий: **Diaspora Speech**, Тб. 2016 год; **Кодорские хроники**, Тб. 2010 год; **Кодорули Сванури**, Тб. 2020 год; «**Мегрельские тексты**» Кипшидзе, «**Лазские тексты**» Ж. Дюмезиля, четыре тома сванских прозаических текстов и др.

Особенно поразительным оказалось обилие русизмов в «Кодорских летописях» по отношению к другим диалектам сванского — балземоурскому, балсквемоурскому, лентехурскому и лашхскому. Определяющим фактором такого результата, несомненно, была языковая политика Советского Союза, благодаря которой делопроизводство велось на русском языке по всей Абхазии и, естественно, в исторической долине Дали/Кодори, а также на протяжении всей «эпохи великого коммунизма».

С XVIII-XIX веков информация, отражающая европейское бытие и европейскую культуру, поступала к нам через русский язык. Лексические заимствования из русского языка закрепились, но, к счастью, лексические заимствования не выходили за пределы сферы предметов или событий, отражающих бытие. Здесь сказалось лексическое богатство грузинского языка. Русской лексике не была дана возможность сузить пределы грузинской лексики. Именно поэтому даже на уровне диалектной речи количество заимствованных русских слов не превышало одной сотни (Микиашвили, 2005).

По частоте употребления русизмов разницу можно наблюдать с точки зрения сравнения данных современной живой речи и текстов, записанных почти столетие назад.

Разница в употреблении русизмов очевидна между поколениями. В речи подростков, так называемых тинейджеров, рожденных в изгнании, русизмы уже сменились англицизмами, чего нельзя сказать о поколениях, родившихся в Абхазии и переживших войну.

**Ketevan Margiani, Marine Kakachia,
Marine Jgharkava, Tamila Zviadadze**

Foreign Language Vocabulary in the Speech of Internally Displaced People from Abkhazeti

In the linguistic literature, it is accepted that a sizable part of the lexical stock of languages is borrowed. This is a natural process. Nations with a long history have borrowed a large part of their vocabulary from the languages of ancient civilizations (Sumerian, Latin, Greek...), today English is also included. That's why borrowing words in linguistics is considered a completely moderate, natural, and even necessary phenomenon.

Ethno-cultural contacts with civilized nations are strongly imprinted in the structure of the Georgian language and especially in the vocabulary. The detection of foreign language layers sheds light on the historical development of Georgians and their social relations with ethnic groups of different origins. Besides, the Georgian language has also contributed to the historical development of other languages.

It is believed that since the 18th–19th centuries, the Georgian literary language and dialects have been affected by Russianisms. Georgian scientists (A. Shanidze, K. Lomtadze, A. Arabuli, S. Afridonidze, O. Mikiashvili, etc.) have consistently studied Russianisms in the Georgian literary language and dialects. It is possible to determine the chronology of the establishment of Russianisms in Georgian languages based on the published texts (A. Tsagareli, N. Marr, B. Nizharadze, I. Kipshidze, Z. Dumezil, A. Chikobava, A. Shanidze, A. Oniani, I. Asatiani, etc.) and based on comparing and contrasting live speech data.

The issue of the speech of people displaced from Abkhazeti in terms of linguistic influences, interference, foreign language calques, and diglossia-bilingualism is still unexplored. Occupied Abkhazeti is an inseparable part of Georgia, and the Georgian population of Abkhazeti is the future guarantor of the preservation of Georgian identity and the survival of Georgian historical and ethno-cultural heritage. In this area of Western Georgia, various linguistic-dialectal events have always been and continue to be mixed together, which gives the speech of the forcibly displaced people from Abkhazeti an interference appearance. The speech of this society is characterized by a number of peculiarities caused by the events of diglossia-bilingualism, the specifics of which were determined by the close relationship with different languages (Russian, Abkhazian, Greek, Armenian, etc.) and daily communication.

The purpose of this publication is to study foreign language vocabulary, in particular Russianisms, in the speech of the internally displaced population from Abkhazeti. For the sake of completeness and the possibility of comparison according to eras, the analysis material is collected from the following text editions: "Speech of Internally Displaced People," Tbilisi, 2016; "The Kodori Chronicles," Tbilisi, 2010; "Kodorian Svan," Tbilisi, 2020; "Mingrelian Texts" (I. Kipshidze); "Laz Texts" (Z. Dumezil).

The abundance of Russianisms was especially striking in Kodorian Svan in comparison with other dialects of Svan: Balszemouri, Balskvemouri, Lentekhuri, and Lashkhuri. The determining factor of such a result was undoubtedly the language policy of the Soviet Union, due to which proceedings were conducted in Russian throughout the whole of Abkhazeti and, naturally, in the historical Kodori (Dali) Gorge as well throughout the Communist "Great" Era.

From the 18th to the 19th centuries, information reflecting European existence and culture entered Georgia through Russia. Lexical borrowings from the Russian language have gained a foothold, but, fortunately, they did not go beyond the sphere of objects or events reflecting being. Due to the lexical value of the Georgian language, the Russian vocabulary was not given a chance to narrow down the Georgian vocabulary. That is why, even at the level of dialect speech, the number of borrowed Russian words did not exceed one hundred (O. Mikiashvili, 2005).

Empirical material and analysis of the speech of the Kodori population reveal that syntactic-structural, semantic Russianisms prevail over lexical Russianisms. But it is a fact that lexical Russisms in many cases drove out the actual Georgian material. Compared to the rest of Georgia, the contingent of Georgians in Abkhazeti who received their education (primary, secondary, and higher) in Russian is extremely large. In many cases, this part of society finds it difficult to communicate academically in their native Georgian language. This is a sad reality in the lives of internally displaced people.

Today, Russian language expansion is rather weakened. The difference in terms of the frequency of use of Russianisms can be observed from the point of view of comparing the data of modern live speech and texts recorded almost a century ago. The difference in the use of Russianisms is obvious between generations as well. In the speech of teenagers, those born after the war in Abkhazeti, Russianisms have already been replaced by Anglicisms, which cannot be said about the generations born in Abkhazeti and those who survived the war.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი I ტექსტები

ნინო ვახანია, სიზმრებად ქცეული მწვანე ქალაქი.....	5
კობა ალხაზაშვილი, ჩაპა – ჩემი სახლის დარაჯი.....	14
გიორგი ესებუა, წერილიდან.....	15
ზოგი ცხოვრობს კარგად და ზოგი ცხოვრობს სწორად! (გოგი ანთელავა).....	16
მადამს ვეძახდი ჩემს მასწავლებელს (გოგი ანთელავა)	45
პირიბე ნიგურიანი (გოგი ანთელავა)	51
გიორგი ანთელავა, ღია წერილი მწერალ ივანე თარბას	59
დავაკებაზე ვდგავარ, მწვერვალზე უნდა ავიდე! (ვახტანგ გასვიანი)	65
სეფე – კარგი მედიატორი (ვ. გასვიანი)	68
განათლების „სამყაროში“ (ვ. გასვიანი)	71
აფხაზეთის მასწავლებლები – მშვიდობის ელჩები (ვ. გასვიანი)	82
დევენილობის სირთულეები (ვ. გასვიანი).....	87
მინისტრი თამარ კოლონია (ვ. გასვიანი)	88
გუდაუთელი ექიმი ზაირა ოტირბა (ვ. გასვიანი).....	92
მადლიერება (ვ. გასვიანი)	93
„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული!“ (ვ. გასვიანი)..	95
„სანამ ჩაჩბას იტყვი, მანამ აჩბა უნდა თქვაო“ (ჯონი მარლანია).....	100
ლეგენდა – ვახტანგ ვახანია (ჯონი მარლანია)	102
სოხუმური „ფოლკლორი“ (ჯ. მარლანია)	105
აფხაზეთის წარჩინებულები (ჯ. მარლანია).....	115
ნონა კვარაცხელია, „გმირებს ნუ შაეჭიდები, სიკვდილო, დამარცხდები!“ ..	119
ბებოს ელიზონდოვებზე დიდი მამულები ჰქონია! (ნინო დადვანი).....	124
დალისხეობელთა რიტუალები (ანიკო ჯაჭვლიანი-ქალდანი)	126
ლალქანა „კანაფის ყანა“ (ანტისა ჯაჭვლიანი).....	130
ბურიატების მსგავსი (ვენერა გასვიანი-გერლიანი).....	135
ლექსი ჩემი სულია! (ნუნუ ჯანელიძე)	137
ლექსუმური ლექსიკონი (ნუნუ ჯანელიძე)	143
„სავსემ დიკარი“ ტურისტები (როლანდ კოვზირიძე)	149
ქართული დროშა ფრიალებდა, ქართული ჰიმნიც ისმოდა! (მაია ასათიანი).....	155
ჩვენ თუ „შემოგვჩა!“ (ნელი მამარდაშვილი)	158
ბედისწერავ, გევედრები! (ილუშა ნემსწვერიძე).....	161
კერძები (ი. ნემსწვერიძე)	165
მკურნალობა (ი. ნემსწვერიძე)	166
ომი (ი. ნემსწვერიძე).....	167
ჩემთვის რავა მივიტამალებდი?! (ნათელა კოპალიანი)	171
შვილები ყველაზე დიდი სიმდიდრეა, დია! (ტატიანა ჩაკვეტაძე).....	178
ნათლისღების დღესასწაული (ტ. ჩაკვეტაძე).....	181
მჭადის გამოცხოვა; ღომი; გულსართიანი პურები (ტ. ჩაკვეტაძე).....	182
დედა შვილებთან უნდა იყოს! (მერი კოპალიანი).....	185
არასოდეს გენახოთ ის, რაც ჩვენ გადავიტანეთ! (ზურაბ ყურაშვილი)	186
მინდა სამუდამოდ წავშალო... ღმერთო, დამავიწყე! (მაია არჯევანიძე)	188
როგორ გვეგონა, ასე თუ გავგიმეტებდნენ?! (დალი კუხალაშვილი)	189

„კაკ ნე ხაჩუ ტებია უბივატ!“ (ზაირია სამუშია).....	191
არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი ასე... (ვასო გელანტია)	194
ჩემს სახლში შტაბი გაუმართავთ (ნოდარ თუთისანი)	196
„გრუზინკა“ (იზოლდა კარტოზია)	197
ისევ მეზობელი აფხაზები თუ მოგვხედავდნენ... (ლიანა ნანობაშვილი).....	199
გმირები (ნუგზარ მემველიანი)	201
მეგრული „ენციკლოპედია“ (მანანა გულუა).....	231
ასეთი იყო ჩვენი „პრიკლუჩენია“ (ლიანა გვასალია).....	243
გადმოვედით უკრაინული გემით (ლალი დავითაია).....	251
სად მიდიხარ, რატომ მიდიხარ, ვისთან მიდიხარ! (ირინე ჯოლოგუა)	256
პლასტუნკელი ქართველების დახმარებით (მადონა ნამგალაძე)	267
სვანური სიმღერა „დედემ-დედემ მირანგულა“ (ზაალ ქობალია)	272
დედაჩემი – იმერელი დემეტრადე (ანიკო ფირცხელიანი).....	275
განცხადება „პროლი კრასკილია“ (ზურაბ ჭილაია, იზო ბაღათურია)	279
იკაშაშკაშე, იკაშაშკაშე, ჩემო ვარსკვლავო! (ბესო ზარანდია)	294
როგორც სხვა, ისე – მე (მაყვალა არჯევანიძე)	299
ისტორია ყველამ ვიცით (მზია სამაკაშვილი, მაყვალა არჯევანიძე)	302
მამიკოს განებივრებული (ფატიმა ფანცხავა)	307
სოხუმელი გიორგი სააკაძე და ზურაბი (ჯემალ ბობოხიძე)	312
გიორგი მკურნალი (გიორგი კორკელია).....	320
დარიკო ფიფია, სოხუმი.....	326
რობერტ მესხი, ევკალიპტები; კარდიოგრამა; ახალი ათონი	327
მარინე ტურავა, ჩემი ზღვა მენატრება, ჩემი ქალაქის!.....	328

ნაწილი II გ ა მ ო კ ვ ლ ე ე ვ ბ ი

ქ. მარგიანი, აფხაზეთის ქართველთა მეტყველება – ზოგადი დახასიათება (ლინგვისტური ანალიზი)	338
თ. ზვიადაძე, ინტერეფერენციის საკითხები იმერეთში მცხოვრებ დევნილთა მეტყველების მიხედვით.....	360
მ. კაკაჩია, დიგლოსია-ბილინგვიზმის საკითხები დევნილთა მეტყველების მიხედვით.....	377
მ. ჯღარკავა, სლენგი, სოხუმური ჟარგონიზმები აფხაზეთელი ქართველების მეტყველებაში.....	385
Margiani K., Zviadadze T., Kakachia M., Igharkava M., The Speech of the Forcibly Displaced People from Abkhazia	392
ქ. მარგიანი, მ. კაკაჩია, მ. ჯღარკავა, თ. ზვიადაძე, უცხოენოვანი ლექსიკა (რუსიზმები) აფხაზეთიდან დევნილთა მეტყველებაში	399
К. Маргиани, М. Какачия, М. Джгаркава, Т. Звиададзе, Иноязычная лексика (русизмы) в речи вынужденно переселенцев из Абхазии	402
Margiani K., Zviadadze T., Kakachia M., Igharkava M., Foreign Language Vocabulary in the Speech of Internally Displaced People from Abkhazeti	404

დამკავადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com



ქეთევან მარგიანი

ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. არის 150-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, 7 ლინგვისტური მონოგრაფიის თანაავტორი. 2006 წლიდან დღემდე არის შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის 12 სამეცნიერო პროექტის მონაწილე. აკადემიკოს შ. ნუცუბიძის სტიპენდიანტი (თსუ 1987-1991), ახლაგაზრდა მეცნიერთა საპრეზიდენტო სტიპენდიანტი (2000-2003). ჰყავს ორი შვილი – ნინო და ანანო და დევანები.



თამილა ზვიადაძე

ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. არის 70-მდე სამეცნიერო სტატიისა და 5 ლინგვისტური მონოგრაფიის ავტორი. დაჯილდოვებულია საქართველოს განათლების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საპატიო სიგელით. ჰყავს ორი შვილი – იაკობ და თეონა ალხაზაშვილები.



მარინე კაკაჩია

პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. არის 60-მდე სამეცნიერო სტატიისა და სამი ლინგვისტური მონოგრაფიის თანაავტორი. ინტერესთა სფერო: ქართული ენის სინტაქსი.



მარინა ჯღარკავა

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ლექციებს კითხულობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ავტორი 70-მდე სამეცნიერო სტატიისა. ინტერესთა სფერო – ქართველური ზმნა.

